რჩეული ეროტიკული

ტომი 7

ლ. ვორონკოვა

ალტაყრი ამოიხრიჯა

ნ. ლყაბოვი

ცხრა ამაბ იჭით

„ნაკადული“
თბილისი
1987

84 Р 7—44
3 629

ლ. ვორონკოვას „ალტაური მოთხრობა“ და ნ. დუბოვის „ცხრა მთას იქით“ ეძღვნება იმ ბედხიერ წლებს, რომლებსაც ბავშვობა ჰქვია. ისინი გვესაუბრებიან მთიანი ალტაის პიონერთა ცხოვრებაზე, მათ საქმიანობაზე, მეგობრობაზე, ურთიერთსიყვარულსა და თავდადებაზე.

ნ. დუბოვის მოთხრობაში ნაამბობია აგრეთვე ქართველ რევოლუციონერზე, სახღრო ვასაძეზე, რომელსაც ალტაელი პიონერები სანიმუშო და მისაბაძ ადამიანად სახავენ.

თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

© [illegible]. 87

70803 — 167
3 [illegible] — 87
М [illegible] (08) — 87

ლ. ვორონოვა

ალფაყრი ჟოთხრობა

*

კოსტია მოხსენებას წერს...

კოსტია კანდიკოვი გაშლილ რვეულს უჯდა, ხელში ფანქარი ეჭირა. სკოლაში დიდი შესვენება იდგა და ბავშვებს ერთი გნიასი ჰქონდათ: დერეფანში დარბოდნენ, ძიძგილაობდნენ, მღეროდნენ, იცინოდნენ. კოსტიას კი დრო რომ არ დაეკარგა, ფიზიკის წყნარ კაბინეტში ჩაიკეტა და მოხსენების წერას შეუდგა. მოხსენება ნორჩი ნატურალისტების წრის სხდომაზე უნდა წაეკითხა.

ბიჭი წარბებს ჭმუხნიდა, მოკლე ქერა თმას იჩეჩავდა, ხელში ფანქარს ატრიალებდა, იწყებდა წერას და ნაწერს უმალვე შლიდა. ტიმირიაზევის „მცენარეთა ცხოვრების“ წაკითხვის შემდეგ თითქოს თვალი აეხილა. შეჩვეული და ჩვეულებრივი სამყარო, რომელშიც ცხოვრობდა, უცებ სულ გადასხვაფერდა, ახალი ფერებით, აზრებით, გრძნობით აციაგდა...

„ყველაფერში მზეა! წარმოგიდგენია, ყველაფერში! — ფიქრიანად იმეორებდა გულში კოსტია. — პურშიც, ხორცშიც... აგერ ღუმელთან შეშა რომ აწყვია, მართლა შეშა კი არა, მზის დაფარული ენერგიაა, „მზის სხივთა კონსერვია“... აგერ ფანჯრის რაფაზე ბეგონია დგას: გაჩნდა, გაიზარდა და ცოცხლობს, ცოცხლობს, ვინაიდან მზის სხივი დაეცა! საოცრებაა ეს ყველაფერი, საოცრება, მაგრამ!..“

კოსტიამ ტიმირიაზევის წიგნი გაშალა და ისევ წაიკითხა სტრიქონები, რომლებმაც განსაკუთრებით განაცვიფრეს:

„...ოდესღაც... დედამიწაზე მზის სხივი დაეცა, ოღონდ უნაყოფო მიწაზე კი არა, არამედ ხორბლის მწვანე ღეროზე, ანუ, უფრო სწორად, ქლოროფილის მარცვალზე. დაეცა და ჩაქრა. მაგრამ განა გაქრა. შიგა მუშაობას მოხმარდა... შემდეგ გარდაიქმნა ჩვენს კუნთებად, ნერვებად... გვათბობს, გვამოძრავებს. შესაძლოა, ამ წუთში ჩვენს ტვინში ციმციმებს...“

კოსტიამ ნორჩ ნატურალისტებს ეს როგორ მოუყვეს გასაგებად და საინტერესოდ?

ბიჭი დაფიქრებული მივიდა ფანჯარასთან. დილით მინებზე გაჩენილი ყინულის ნაზი ვერცხლისებრი ნაყშები გამდნარიყო. მხოლოდ მინების ნაპირებს შერჩენოდა რამდენიმე მბრწყინავი ტოტი. ფანჯარაში ვეება მთის ჩეინეშ-კაიას თოვლით გაჭაღარავებული მრგვალი კონუსი იცქირებოდა.

„თბება... — გაიფიქრა კოსტიამ. — გაზაფხული დგება. ჩეინეშ-კაიაზე უკვე ნაკადულები გამოჩნდნენ... როგორ ბრწყინავენ! ნეტავ ზემოთ ამიყვანა — მწვერვალებზე ახლა ერთი ჩხრიალ-რაკრაკია. გაზაფხულს მზე მობრძანდება!..“

— ეჰ, რა დროს ეგაა! — გონს მოეგო უცებ კოსტია. — ამდენ ხანს რვეულს ვუჯექი, შიგ კი სიტყვა არ ჩამიწერია... რა დავარქვა მოხსენებას? კარგი ბატონო, „მზის სხივს“ დავარქმევ.

კოსტია ისევ მიუჯდა მაგიდას, მაგრამ ფანქარი აიღო თუ არა, კარზეც დააკაკუნეს:

— კოსტია! კანდიკოვ!

„მომაგნეს!“ — ეწყინა ბიჭს, მაგრამ სული განაბა და გადაწყვიტა, ძახილზე არ ეპასუხა, დააკაკუნებენ და წავლენო.

კართან კამათი ატყდა:

— გაიწი, მე დავაკაკუნებ!

— მე რა, ხელები არ მაბია!..

კარზე დააბრახუნეს.

— კოსტია, გააღე!

— რა გაყვირებს? იქნებ არცაა იქ?

— მაია, მოიცა, ჰუმრუტანაში შევიხედავ.

— მე უკვე შევიხედე. საკეტში გასაღებია!

— ის აქ არის, აქ, ფანჯარაში დავინახე!

კოსტია ადგა და კარი გააღო. კართან მეხუთეკლასელები — მაია ვილისოვა და ერკელი ვორობიოვა იდგნენ.

— რა მოგვიდათ, მეცადინეობას არ აცლით ადამიანს! — მოიღუშა კოსტია. — აბა, რა გინდათ?

— წავკამათდით! — გახაცხადა მაიამ. იგი ღელავდა და სახეზე სიწითლე ედებოდა. — რეპეინიკოვს ვეუბნები, ანატოლი მასწავლებელთან უცებ რად წავიდეთ-მეთქი, თვითონ უნდა ახლავე მასთან გაიქცეს.

— წაკამათდით და ნასტიას მიაკითხეთ, ისაა თქვენი ხელმძღვანელი. — შეესიტყვა გოგონებს კოსტია. — მე რა გიყოთ?

— რა და, ჩეჩეკმა ლიდასგან საშინაო დავალება გადაიწერა, — აუხსნა მაიამ. — ჰოდა, შენ უნდა უთხრა ჩეჩეკს!

— ჩეჩეკს ძალიან ეშინია ანატოლი მასწავლებლისა... — მორიდებით დასძინა ერკელიმ. — ძალიან ეშინია... თუ იმასთან წახვალთ, სკოლიდან გავიქცევიო!

— მოიგონა! — გაბრაზდა კოსტია. — სადაა ახლა?

— უკანა პარმაღზე ზის.

დერეფანში ზარის ხმა გაისმა. შესვენება დამთავრდა.

მაიამ კოსტიას აჩქარებით მოქაჩა სახელოზე და სთხოვა:

— დაგვესწარი რგოლის სხდომაზე, ჰა? შენ ჩეჩეკს უკეთ ეტყვი, ჰა?

— კეთილი. შეიძლება, დაგესწროთ, — მიუგო კოსტიამ და კაბინეტი დაკეტა. — თვითონ საქმის გარკვევა არ შეგიძლიათ და გინდათ, სხვებმა გააკეთონ ყველაფერი. თქვენც პიონერები გქვიათ!

კოსტიამ მაიას ორჭოფულად უთხრა, შეიძლება დაგესწროთო. მაგრამ ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა გაკვეთილები. რა თქმა უნდა, რგოლის სხდომას დაესწრებოდა, რაკი საქმე ჩეჩეკს ეხებოდა. სულ ამ სულელ გოგოს როგორ სჭირდა ყველაფერი: ხან ვიღაცას წაეჩხუბებოდა. ხან რაღაცას გატეხდა... ხან კიდევ კოლმეურნეობის ცხენს მოახტებოდა და მთაში, ტაიგაში, საძოვარზე გაშლილ რემასკენ მიქროდა. შემდეგ თავს იმართლებდა, ძალიან მომენატრა ცხენებიო... კარგი საზრუნავი კი გაუჩინა კოსტიას მისმა საუკეთესო მეგობარმა იაკნაი ტორბოგოშევმა!

კოსტია და იაკნაი ყვითელმა, თეთრკბილა ძაღლმა კობასმა

დაამეგობრა. კობასი კოსტიამ გამოზარდა და უკვე ციყვზე ნადირობას ასწავლიდა. ერთხელაც ალტაის შორეულ კოლმეურნეობაში მცხოვრებმა ბიჭმა იაკნაი ტორბოგოშევმა დაინახა, რომ კობასს ქამანდით მიათრევდა ვიღაც ძაღლების მოყვარული. კობასი ნადირს არ უფრთხოდა, ადამიანებისა კი ეშინოდა. ჰოდა, დაიღუპებოდა, რომ იაკნაი არ გამოსჩენოდა. მან უცხოს კობასი წაართვა და ცოცხალ-მკვდარი მიუყვანა კოსტიას. იმ დღიდან დაიწყო ბიჭების მეგობრობა. კარგადაც შეთვისდნენ, თუმცა სხვადასხვა კლასში სწავლობდნენ (იაკნაი ერთი წლით უფროსი იყო კოსტიაზე) და ბუნებითაც ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან — კოსტია მკაცრი და სიტყვაძუნწი გახლდათ, იაკნაი კი — თბილი და ალერსიანი.

დადგა დრო და მეგობრები იძულებულნი გახლდნენ ერთმანეთს განშორებოდნენ. იაკნაი შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ ბარნაულის ტექნიკუმში წავიდა სასწავლებლად. შემოდგომის ნათელი, ოდნავ ნაღვლიანი დღე იდგა. ჩეინეშ-კაია ლალისფერ კბოდეებზე შეყუჟული ბუჩქნარების ფერშეცვლილ ფოთლებს შეეწითლებინა. დახშული ხმით ბუბუნებდა დამცხრალი კატუნი. კოსტია მის ხმაურს უსმენდა და ფიქრობდა, ალბათ ზაფხულში ბობოქრობამ დაღალაო...

იმ დღეს კოლმეურნეობაში ჭვავის აღებას ამთავრებდნენ. კოსტიაც მინდვრად იყო, სამკალ მანქანას მიჰყვებოდა და ძნებს კრავდა. ბალახს უკვე ცვარი დააჩნდა, როცა უკანასკნელი ძნა შეიკრა. კოსტია დედასთან ერთად ბრუნდებოდა შინ და უცქეროდა, ჩეინეშ-კაიას მაღალ მომრგვალო მწვერვალს როგორ ეფარებოდა მზე. დაისის ნარინჯისფერი ცის ქვეშ მთა ჩამუქებული და წყნარი ჩანდა, ხოლო მწვერვალზე შეფენილი ტყე მის თავზე დადგმულ ვიწრო გაბარჯღულ გვირგვინს ჰგავდა.

— ჩვენთან ვიღაც მოსულა, — უთხრა ბიჭს დედამ. — პარმაღზე ზის.

კოსტია დააკვირდა და სიხარულით ატაცებულმა მიუგო:

— იაკნაი მოსულა!

კოსტიას უნდოდა გაქცეულიყო. ხელი ეტაცა იაკნაისათვის, გადახვეოდა, ეცეკვა. მაგრამ გრძნობების გამომჟღავნება არ უყვარდა. მშვიდად მივიდა მეგობართან და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, იაუნაი!

იაუნაიმ პარმაღიდან ჩამოირბინა და მაგრად ჩამოართვა ხელი:

— გაგიმარჯოს, კოსტია!

რამდენიმე წამს ბიჭები ბედნიერებით თვალებგაბრწყინებულნი უცქეროდნენ ერთმანეთს.

— ეს ვინღაა? — ღიმილით იკითხა დედამ. — კიდევ ვინა ზის ჩემს პარმაღზე?

საფეხურიდან მორცხვად წამოდგა გოგონა. მას ალტაური მრგვალი ბეწვის ქუდი ეხურა. ქუდს ამშვენებდა შინდისფერი ლენტი და ასევე შინდისფერი აბრეშუმის ფოჩი, რომელიც გოგონას მხარზე ეხებოდა. გოგონას წამწამები დაეხარა და შავი დაძაგრული ნაწნავის ბოლოს წიწკნიდა.

— ო, ეს ჩემი დაა, ჩეჩეკი, — თქვა იაუნაიმ. — სასწავლებლად ჩამოვიდა. აქ ისწავლის. ჩვენ ხომ მეხუთე კლასი არა გვაქვს... ჰოდა, ჩამოვიყვანე, ინტერნატში იცხოვრებს. მე კი ხვალ ბარნაულში მივდივარ.

— ჩეჩეკი! — მიუალერსა გოგონას დედამ. — ეს სახელი რუსულად როგორღა იქნება, ჰა?.. აბა, მითხარი, ჩეჩეკ, მე ხომ ალტაურად ყველაფერი არ მესმის. — დედა გოგონას მხრებზე მოეხვია, დაიხარა და მაყვალივით თვალებში ჩახედა.

— ჩეჩეკი ყვავილს ნიშნავს, — წყნარად მიუგო გოგონამ.

— რა კარგი სახელია! — თქვა დედამ. — ყვავილი!.. კი მაგრამ, ბავშვებო, მოხვედით და სულ პარმაღზე ზიხართ? დიდი ხანია აქა ხართ, იაუნაი?

— ორი საათი იქნება, რაც მოვედით.

— და სულ აქ ზიხართ? ეჰ, რა უსინდისოები ყოფილხართ!.. შენ ხომ იცი, გასაღებს სად ვინახავთ. შესულიყავით შინ, დანაყრებულიყავით... მართლაც რანი ყოფილხართ!.. შემოდით, ჩეჩეკ, შემოდი! ქუდი მოიხადე. ეს რა ლამაზი და მოხდენილი ქუდი გჭონია!..

ბიჭები მარტო დარჩნენ გარეთ.

— კონსტანტინე, ერთი სათხოვარი მაქვს, ძალიან დიდი სათხოვარი, — უთხრა იაუნაიმ კოსტიას.

— აბა, მითხარი.

— ძალიან დიდი სათხოვაოი.

— მაინც?

— ჩეჩეკს აქ ვტოვებ. ეს კი სულელია, ტაიგის გარდა არსად ყოფილა. მიმიხედე, როგორც შენს დას. ისე მოუარე, შეგიძლია ეს დიდი სათხოვარი შემისრულო?

— შემიძლია, — მიუგო კოსტიამ. — მაშ, როგორ? ამას რა კითხვა უნდა?

— ეშმაკის ფეხია! — განაგრძო იაენაიმ. — ჩუმად რომაა, ამან არ შეგაცდინოს. ჯერჯერობით ეშინია.

— არა უშავს, როგორმე მოვუვლით, — გაიღიმა კოსტიამ.

სად იყო და სად არა, ყვითელმა გამხდარმა კობასმა მოირბინა, იაენაი დაყნოსა და შებღოტება და ალერსი დაუწყო.

— ერთი უყურე, მეგობრობა ამანაც იცის, შენ კი გგონია, მე... — კოსტია უცებ შებრუნდა.

— კარგი რა! — ღიმილით უთხრა იაენაიმ. — ახლა ეს მითხარი, შენი ხურტკმელი თუ იზრდება?

კოსტია შეკრთა:

— იზრდება, მაშ წავიდეთ, განახებ!

ამხანაგებმა. ის იყო, ბოსტნისაკენ წასვლა დააპირეს, რომ პარმაღზე ჩეჩეკი გამოვარდა და წკრიალა ხმით დაიძახა:

— კენსკინ! კენსკინ! დედაშენმა ვივახშმოთო!

...მეორე დღეს კოსტიამ და ჩეჩეკმა იაენაი გააცილეს. მათ ბორნით ერთად გადაცურეს კატუნი. იაენაიმ გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ სთხოვა კოსტიას·

— მიმიხედე, კონსტანტინე, ხომ იცი, ციყვივით ეშმაკია!..—შემდეგ დას მკაცრად უთხრა:—კონსტანტინეს გაუგონე, ძმასავით ვეყოლება. გაზაფხულზე კი ჩამოვალ და შინ წაგიყვან. იცოდე, ისწავლე...

ბორნის ნაპირთან მდგომი ჩეჩეკი ცრემლს აღვარღვალებდა მწვანე კატუნში. თვითონაც გუნებაწამხდარი კოსტია ცდილობდა ეხუმრა:

— კარგი, ჩეჩეკ, თორემ კატუნის წყალი გამლაშდება და თევზები სულ დაიფანტებიან. მერე კარგი იქნება ეს?

...ის დღე იყო და ის, კოსტია ჭირსა და ლხინში სულ მხარში ედგა ჩეჩეკს.

ბოლო გაკვეთილის დამთავრებისთანავე, კოსტიამ მეხუთე კლასს მიაშურა. იქ ლიდა კოროლკოვას რგოლის წევრები შეკრებილიყვნენ. მოვიდა უფროსი პიონერხელმძღვანელი ნასტიაც.

— კოსტია, კოსტია, აქ მოდი! — დაუძახა კოსტიას მაია ვილისოვამ. — ბავშვებო, კოსტიამაც მოგვისმინოს!

— ჩეჩეკსაც უნდა დავუძახოთ, — თქვა ნასტიამ.

ერკელეი ჩეჩეკის მოსაყვანად გაიქცა.

ჩეჩეკს წიგნები იღლიაში ამოეჩარა, დაბნეულად უცქეროდა მთათა მწვერვალებს და ნელა ჩადიოდა პარმაღზე.

— ჩეჩეკ, რგოლის შეკრებაზე წამოდი! — დაუძახა ერკელეიმ.

ჩეჩეკმა შეცბუნებით შემოხედა:

— შეკრებაზე რა მინდა? მე ხომ პიონერი არა ვარ?

— მერე რა, ნასტიამ თქვა მოვიდესო.

— ნასტიამ?..

ჩეჩეკი დაფიქრდა, მდუმარედ შემობრუნდა და ერკელეის გაჰყვა.

რგოლის შეკრებაზე პირველად ალიოშა რეპეინიკოვმა თქვა სიტყვა:

— ბავშვებო! ჩეჩეკ ტორბოგოშევა ძალიან ცუდად მოიქცა: დავალება კოროლკოვასგან გადაიწერა, მაგრამ ამბობს, თვითონ დავწერეო. ამისთანა რამ გაგონილა? თუ ყველანი ასე მოვიქეცით, რაღა მოსწავლეები ვიქნებით! — ალიოშა ღელავდა, ლოყები და ყურები აუწითლდა. — ჩემი აზრით, ამგვარი ამბები უნდა აღვკვეთოთ და უმალ ანატოლი მასწავლებელს ვუთხრათ.

— არა! — იყვირა უცებ ჩეჩეკმა. — არ უთხრათ!.. კენსკინ, კენსკინ, ანატოლი მასწავლებელს არ უთხრან!..

— არა, ჯერ შენ უნდა მოგესაუბროთ, — მეგობრულად მიმართა ჩეჩეკს მუდამ ალერსიანმა, ლურჯთვალა ნასტიამ. — ლიდასგან რატომ გადაიწერე დავალება?

ჩეჩეკმა თვალები დახარა და ჯიუტად მიუგო:

— არ გადამიწერია.

— არა, გადაიწერე, — უთხრა ლიდამ. — ტყუილს კიდევ რა-

ტომლა ამბობ. შემდეგ ადექი და რვეული მარფა მასწავლებელს მიეცი. რაო, მისი მოტყუებაც გინდა?

— მე მინდა მარფა მასწავლებლის მოტყუება? ეგ რა თქვი? — იქით ჰკითხა გაკვირვებულმა ჩეჩეკმა. — არ მინდა მე მისი მოტყუება.

— არ გინდა, მაგრამ მოატყუე! — კვლავ თოფისწამალივით იფეთქა ალიოშამ. — კიდევ კიმეორებ, ჩვენ, პიონერებმა, ასეთი უპატიოსნო საქციელი კი არ უნდა დავმალოთ, ანატოლი მასწავლებელს უნდა მოვახსენოთ.

ჩეჩეკმა ალიოშას ანთებული თვალები შეავლო და კბილებში გამოსცრა:

— ოჰ, შე ტუუ-ეზი! [1] ბირკავა! — უცებ შავი ნაწნავები შეარხია, შებრუნდა და სწრაფად გავიდა კლასიდან.

— კი მაგრამ, ლიდა, ჩეჩეკს მეგობრულად არ ესაუბრე? — ჰკითხა ლიდას ნასტიამ. — იქნებ უკეთ გაეგო...

— როგორ არ ვესაუბრე, — მიუგო ლიდამ. — მე ველაპარაკები. ის კი იცინის, მეუბნება, ამით ვითომ სტრიქონები დაგაკლდა, თუ რაო.

ნასტიამ სხვა ბავშვებს გადახედა. ისინი დუმდნენ.

— თქვენ რაღას იტყვით, პავლე, ანდრეი, მამინ სიიაბ?

პავლე და ანდრეი თითქმის ერთხმად ალაპარაკდნენ:

— რა თქმა უნდა, ანატოლი მასწავლებელს უნდა ვუთხრათ! თორემ კიდევ გადაიწერს და ცუდად ისწავლის, ჰოდა, მისთვის უარესი იქნება.

მამინ სიიაბმა ღრმად ჩამჯდარი, ოდნავ ელამი თვალები მოავლო ყველას და თქვა:

— არ ვიცი... მე მგონი, ამხანაგის ღალატი ძალიან ცუდია! ძალიან ცუდი!

— მერედა ვინ ღალატობს? — იყვირა ალიოშა რეპეინიკოვმა. — ჩვენ რა, მისთვის ცუდი გვსურს თუ!..

— კოსტია, შენც გვითხარი რამე, — სთხოვა კოსტიას ნასტიამ. — აბა, მოვუსმინოთ, რას გვეტყვის კოსტია. ჯერ ერთი კომკავშირელია. მეორეც, სწორედ მან იცის, რა სჯობია ჩეჩეკისთვის.

---

[1] ტუუ-ეზი — ალტაურ თქმულებებში მთის სული, „მთების მეუფე".

— ის ხომ... — დაიწყო ალიოშამ, მაგრამ ნასტიამ შეაჩერა:

— შენ უკვე მოგისმინეთ.

— მაინც რატომ ჩქარობთ, ანატოლი მასწავლებელს გააგებინოთ ეს ამბავი? — დაიწყო კოსტიამ.

— ვიცოდი, რომ სწორედ ამას იტყოდა! — ისევ იყვირა ალიოშამ და ისევ გააჩერა ნასტიამ.

— მე კი მგონია, ჩვენს დირექტორს, ანატოლი მასწავლებელს თავისი საზრუნავიც ყელამდე აქვს, — მშვიდად განაგრძო კოსტიამ. — რაო, თვითონ ვერაფერს მოვისაზრებთ? ჩეჩეკი, რა თქმა უნდა... დაუღევარი გოგონაა, მაგრამ თავმოყვარეცაა, თან ძალიან თავმოყვარე! ცოტათი ისიც უნდა დავინდოთ...

— რასაკვირველია, უნდა დავინდოთ! — შეაწყვეტინა მაიამ. — იცით, როგორ ეშინია დირექტორის!

— რომ ეშინია, სწორედ ამიტომ უნდა ვუთხრათ ანატოლი მასწავლებელს! — აჰყვა ალიოშა. — გადაწერაზე მაშინვე აიღებს ხელს.

— მე ჩეჩეკის გამოსარჩლებას არ დავიწყებ, — თქვა კოსტიამ, — მაგრამ „კომსომოლსკაია პრავდაში“ ასეთი რამ წავიკითხე: ქალაქელი პიონერები კოლმეურნეობას ეწვივნენ, რათა მარგვლაში მოხმარებოდნენ. ერთმა პიონერმა ყველას აჯობა და დაუწყეს ქება, ყოჩაღ, ყოჩაღო! სამაგიეროდ უახლოესი მეგობარი ხმას არ იღებდა. რატომ? იმიტომ, რომ ეს ყოჩაღი პიონერი სარეველებს ძირიანად კი არ თხრიდა, ზედა ნაწილს აგლეჯდა, ხოლო ფესვებზე მიწას აყრიდა, რომ არავის შეემჩნია. ახლა მითხარით, ის პიონერი პატიოსნად იქცეოდა? არა, არ იქცეოდა! დანაშაულსაც კი სჩადიოდა. მისმა მეგობარმა რაღა გააკეთა? პიონერხელმძღვანელთან გაიქცა საჩივლელად? თუ მთელი რაზმი შეჰყარა? არა. საღამოს იმ პიონერს გულახდილად ელაპარაკა. ისიც ყველაფერს მიხვდა და უფრო შეუყვარდა მეგობარი.

კოსტია გაჩუმდა. კლასშიც სიჩუმე იდგა, მხოლოდ ფანჯარასთან წკაპუნებდა ვერცხლისფერი წვეთები.

— ბავშვებო, იქნებ ჩვენც ასე მოვიქცეთ? — იკითხა ნასტიამ. — მოვესაუბროთ ჩეჩეკს, ავუხსნათ...

— ასე მოვიქცეთ, ასე! — ერთხმად იყვირეს გოგონებმა: მაიამაც, ერკელეიმაც და ლიდა კოროლკოვამაც. — უცებ რად გავიქ-

ცეთ მასწავლებელთან? რაო, თვითონ არ შეგვიძლია ამ საქმეს მოვუაროთ?..

— მეც მოვესაუბრები, — აღუთქვა ბავშვებს კოსტიამ. — ჩეჩეკი ხომ პიონერი არაა, ხომ უნდა აღვზარდოთ, ჩვენ კი ყველანი ვალდებულნი ვართ, იგი აღვზარდოთ.

— თანაც დირექტორი შინ არაა, — ეშმაკურად ჩაიღიმა ანდრეი კოლოსკოვმა. — გორნო-ალტაისკიდან ჯერ არ დაბრუნებულა.

მთელი რგოლი მხიარულად დაეთანხმა კოსტიას და ნასტიას, მხოლოდ ალიოშამ აიჩეჩა მხრები.

— მე რა, განა წინააღმდეგი ვარ? — თქვა მან. — კი ბატონო. ოღონდ დირექტორი რომ მოსაუბრებოდა, ხელად აღზრდიდა!

გოგონები მაშინვე გაიქცნენ ჩეჩეკის მოსაძებნად.

— ალბათ უკვე ინტერნატშია.

— შეიძლება ზის და ტირის!

— ოჰ, ოჰ, ნეტავ ამ გადაწერის ამბავი არავისთვის მეთქვა.

— როგორ არ გეთქვა? უთქმელობა უპატიოსნებაა. სულ ერთია, მარფა მასწავლებელი მაინც გაიგებდა!

— იქნებ კანდიკოვებთანაა? კოსტიას დედას ძალიან უყვარს.

კოსტიამ უკეთ იცოდა, სად მოეძებნა ჩეჩეკი. ის ბაღზე გამავალ მოხრაშუნე შემლხვალ ბილიკს გაჰყვა. ბაღში ბებერი არყის ხეებისა და შოთხვების გაყინულ წვრილ ტოტებს ტკაცანი გაჰქონდა. სკოლის ტექნიკური თანამშრომლები ამ ბილიკით ნაკადულ გრემუჩიზე მიდიოდნენ წყლის მოსატანად. მთიდან დაშვებული ბობოქარი ნაკადული არასოდეს არ იყინებოდა და მდუმარე ნაპირებს შორის ხმაურობდა და ბრწყინავდა. ჩეჩეკი ახლა მის მაღალ ნაპირზე ქარიშხლის მიერ წაქცეულ ხეზე იჯდა. კოსტიამ შორიდან დაინახა გოგონას შინდისფერფოჩიანი ქუდი. ჩეჩეკს ცხვრის ქურთუკი ეცვა. მოკუნტული იჯდა. ნაზი წარბები შეეკრა და შორს ცაში მომტრედისფროდ მჩინარ მწვერვალებს გაჰყურებდა.

„სტვენიასავით არ ზის?“ — ჩაიცინა კოსტიამ.

უცებ ჩეჩეკმა სიმღერა წამოიწყო და კოსტია გაჩერდა. გრემუჩი ხმაურობდა, ბობოქრობდა, სადღაც ჩეინეშ-კაიაზე რუები რაკრაკებდნენ.

ჩეჩეკის წვრილი ხმაც რაკრაკებდა თოვლქვეშ მიმავალ რუსავით:

მდინარე მორბის. ხმაურობს,
ხმაურობს ზემოთ დიდი ტაიგა,
დიდი კატუნიც აგრე ხმაურობს...

მე წავალ მთებში, წავალ ჩემს სახლში,
დედა შემხვდება
და მეტყვის: „გამარჯობა ჩეჩეკ!
ამდენ ხანს რად არ მოდიოდი შინ?“

წავალ შორს, ტაიგაში.
ენე![1] ენე! მე შინ მოვდივარ...
მაგრამ რა ვქნა — გზაზე თოვლი დევს,
მაგრამ რა ვქნა — ტაიგაში მგლები დადიან...

მთებისა და ტაიგის ხსენებაზე კოსტია ჩეჩეკთან მივიდა და გვერდით მიუჯდა. რამდენიმე წამს უხმოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

— კენსკინ, რაო, — უთხრა ჩეჩეკმა. უცებ გაახსენდა, რომ კოსტიას მამა ყოველ შეხვედრაზე ეკითხებოდა: „ჩეჩეკ, როგორაა შენი საქმეები?“ თვითონაც სცადა თავაზიანობა გამოეჩინა და კოსტიას ჰკითხა: — კენსკინ, როგორაა შენი საქმეები?

— ჩემს საქმეებს არა უშავს, — მიუგო კოსტიამ და მკაცრად შეათვალიერა. — შენი კი რიგზე ვერაა.

ჩეჩეკმა წამწამები დახარა.

— შინ წასვლას აპირებ, არა? — განაგრძო კოსტიამ. — აგრე არ მღეროდი: „დედიკო, შენთან მოვდივარ... დედიკო, უკვე ვისწავლე და ხბოების მოსამწყემსად მოვდივარ... დედიკო, ყველას სწავლა სწყურია, მე კი არა!..“

ჩეჩეკმა თავი ვერ შეიკავა და გაიღიმა:

— აგრე არ ვმღეროდი.

— ვითომ რატომ? შეგეძლო ასე გემღერა, მართალი იქნებოდი.

— აბა, რა ჩავიდინე ასეთი? — იყვირა ჩეჩეკმა და შავგვრემანი ლოყები აეტკიცა. — რა ჩავიდინე? დიდი ამბავი, თუ დავალება გადავიწერე! ლიდასთვის ხომ არ მომიპარავს?

---

[1] ენე — დედა.

— მოპარე.

— არა, მისი რვეული უკანვე დავდე.

— რვეული კი დადე, მაგრამ მისი ნაშრომი, მისი აზრები მი-ითვისე. ახლა თავს ნუ იკატუნებ, თითქოს არაფერი გაგეგება!

— მისი აზრები?.. — გაიმეორა ჩეჩეკმა.

— დიახ, მისი აზრები. მერედა რისთვის? განა საკუთარი აზ-რები არა გაქვს? შენ შენიც გეყოფა. აი, ახლა მარფა მასწავლე-ბელი ორ ერთნაირ ნაწერს კითხულობს! შემოვა კლასში და იკი-თხავს: ვინ ვისგან გადაიწერაო? რას ეტყვი? იძულებული გახდები, მთელი კლასის წინაშე აღიარო.

— ვაღიარო?

— მაშ! აღიარებ კიდევაც. აბა, როგორ? მერედა, კარგი იქნება ეს შენთვის?

— ძალიან ცუდი იქნება... — წაიჩურჩულა ჩეჩეკმა.

— რასაკვირველია, ძალიან ცუდი იქნება, — უთხრა კოსტი-ამ. — ხოლო ის, რაც შენ გააკეთე, უარესია. კარგი, არა უშავს. ნათქვამია: ძაღლი ვინც მოჰკლა, იმან გადაათრიოსო.

— რა კარგი იქნებოდა, არავის სცოდნოდა... — ცოტა ხნის დუ-მილის შემდეგ თქვა ჩეჩეკმა. — უკეთესი იქნებოდა. ხომ მართა-ლია, კენსკინ?

— არა, — მიუგო კოსტიამ. — ცუდი იქნებოდა. შენ ხომ დავა-ლება მოიპარე.

ჩეჩეკმა თავი დახარა, ფუნთულა ტუჩები გამობზიკა და მდუ-მარედ დაიწყო შინდისფერი ფოჩის წიწკნა.

— იცი, რა, — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უთხრა კოსტიამ. — მიდი მარფა მასწავლებელთან და ყველაფერი აუხსენი. ახლა კი გაიქეცი და სადილი ჭამე. რა გინდა აქ, მარტო რომ ზიხარ და ტაიგაზე მღერი. მეგობრები გეძებენ. ადე, გაიქეცი!

კოსტია ადგა, ჩეჩეკიც წამოხტა:

— კენსკინ, ახლა მარფა მასწავლებელთან წავალ და ყველა-ფერს ვუამბობ! ჰა? შემდეგ კი ახალ თხზულებას დავწერ.

კოსტიამ გეზად გახედა ჩეჩეკის გახალისებულ სახეს და ჩაი-ღიმილა:

— ეჰ, შე ზოლიანო ციყვო, შეხ!

— ოჰ, ზოლიანი ციყვიო! — გაიცინა ჩეჩეკმა. — განა ზურგზე ზოლები მაქვს? მე ხომ დათვი არ მომფერებია!

ჩეჩეკი ხტუნვა-ხტუნვით გაუყვა ბილიკს. კოსტია კი ნელა მიაბიჯებდა და ალერსიან, ცისფერ თვალებს დაფიქრებით ავლებდა მიდამოს. უცქეროდა ღრუბლებს შორის გამოჭიატებულ ცისლურჯ ნაფლეთებს, ქვებმოშიშვლებულ მთის ფერდობებს, გაყუჩებულ ლარიქსებს, რომლებიც თითქოს სასწაულს ახდენენო, წვეროებისაკენ უკვე გზავნიდნენ მაცოცხლებელ წვენს და მასალას ამზადებდნენ თავიანთი მეწამული გირჩებისათვის, რათა დროულად მორთულიყვნენ და ზეიმით შეხვედროდნენ გაზაფხულს.

საჩუქარი ნორჩ ნატურალისტებს

ინტერნატში სიწყნარე იდგა. ამ დიდ ოთახში ასეთი სიწყნარე არასდროს ყოფილა. გოგონები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ: ზოგი გრძელ მაგიდასთან წიგნს უჯდა, ზოგი წინდებს კემსავდა, ზოგი ლოგინს იშლიდა და დაძინებას აპირებდა. უკვე გვიანი იყო. გარედან ცისფერ ფარდებში კუნაპეტი სიბნელე იცქირებოდა.

ჩეჩეკი მაგიდის შუა ადგილას, ლამპის ახლოს წარბშეჭმუხვნილი იჯდა და წერდა. მართალია, ხანდახან ლაპარაკში შეცდომებს უშვებდა, მაგრამ ძალიან ადვილად ლაპარაკობდა რუსულად — მათ ალტაურ დაწყებით სკოლაში ხომ რუსულ ენას სწავლობდნენ. ამას გარდა, ალტაიში იმდენი რუსი იყო, თითქმის ყველა ალტაელი ორ ენაზე მეტყველებდა — ალტაურზე და რუსულზე. სამაგიეროდ რუსულად თხზულების წერა ჩეჩეკს სულს უწამებდა. აქ ხომ ერთდროულად რამდენიმე საქმე უნდა ეკეთებინა: დალაგებულადაც ეწერა, გასაგებადაც და უშეცდომოდაც... ამ საღამოს ინტერნატში ამიტომ იდგა სიწყნარე — გოგონები ცდილობდნენ, მეგობრისათვის ხელი არ შეეშალათ. ყველამ იცოდა, რომ ჩეჩეკმა უკვე მიაკითხა მარფა მასწავლებელს და დანაშაული აღიარა. ისიც სიტყვასიტყვით იცოდნენ, რა უპასუხა მარფა მასწავლებელმა.

„დანაშაულის აღიარება ცოტას ნიშნავს, — უთხრა მასწავლებელმა ჩეჩეკს. — დანაშაული უნდა გამოასწორო. დაჯექი და დავალება ხელახლა დაწერე. ოღონდ იცოდე, არავინ დაგეხმაროს, თო-

რემ როგორღა გაკიგებ. ვინ დაწერა? იქნებ შენ დაწერე? იქნებ მაიამ. იქნებ კოროლკოვამ! მე კი მინდა შენი ნამუშევარი ვნახო!“

მაია ვილისოვა წიგნს კითხულობდა და ისმოდა გადაშლილი ფურცლების შრიალი. ხანდახან ყირგიზოვას საქსოვი ჩხირები გაიწკარუნებდა. შორეულ კუთხეში გაურკვევლად ჩურჩულებდნენ გოგონები... გარეთ კი სიბნელეში ბობოქარი კატუნი ხმაურობდა.

ჩეჩეკი კალმისტრის ბოლოს კვნეტდა და ფიქრობდა.

— რაო? ხომ არ დაგეხმარო? — ჰკითხა მაიამ.

ჩეჩეკმა თვალები დაუბრიალა:

— დახმარება არ შეიძლება!

იმ წუთს, როცა ყველა გასუსული იყო, ვიღაცამ დააკაკუნა. ცქვიტმა ერკელეიმ კართან მიირბინა და რაზა გადასწია. ზღურბლზე შალმოხვეული მაღალ-მაღალი, გამხდარი მარფა მასწავლებელი გამოჩნდა.

— მარფა მასწავლებელი! — გაუხარდათ გოგონებს, ზეზე წამოხტნენ და გარს შემოეხვივნენ.

— მარფა მასწავლებელო, აქ დაბრძანდით!

— არა, აქ, ჩემს საწოლზე, რბილია, ახალი ლეიბი დამიგეს!

— არა, აქ, ღუმელთან სჯობს, ძალიან თბილია! აბა, ხელი შეახეთ!

— ჩუმად, ჩუმად! ეს რა ჭილყვავებივით ახმიანდით!.. — გაისმა მარფა მასწავლებლის ცოტა არ იყოს უკმეხი ხმა. — ჩეჩეკ. რასა შვრები?

— დავწერე!

— ყველაფერი?

— არა, სულ ცოტა დამრჩა, სულ ცოტა!

— მაშ, დაჯექი და დაამთავრე.

მარფა მასწავლებელმა ჩვეულებისამებრ ინტერნატი მოიარა, დახედა გოგონების საწოლებს, სუფთად თუ აქვთო, შეამოწმა, ყველას ჰქონდა თუ არა პირსახოცი, ხელი შეახო ღუმელს — როგორაა გამთბარიო, იკითხა, სადილად რა იყო დღესო, შემდეგ დაჯდა და ღუმელს ზურგი მიაყრდნო. უკვე ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, მაგრამ ლურჯი თვალები მაინც უციაგებდა, თეთრი კბილები უელავდა. ოღონდ თვალების სიახლოვეს და ლოყებზე, იქ, სადაც

სიყმაწვილეში ფოსოები აჩნდა, წვრილი ნაოჭები ეტყობოდა. გოგონები წიწილებივით შემოუსხდნენ გარშემო.

— მარფა მასწავლებელო, იქნებ რამე გვიამბოთ?

— გვიამბეთ რა, გვიამბეთ!

— აბა, რა უნდა გიამბოთ, — მიუგო გოგონებს მასწავლებელმა. — თქვენ სულ გვიამბე, გვიამბეს გაიძახით!.. ჩეჩეკ, შენ რაღას წამოხტი?.. მაცალეთ, ერთხელ მაინც დავჯდე და ჩუმად ვიყო... წერე, ჩეჩეკ, წერე! მე აქ დავჯდები და ცოტას წავთვლემ ღუმელთან... რაო, არ შეიძლება თქვენთან მოხუცებული დაჯდეს და წასთვლიმოს?..

მარფა მასწავლებელმა თბილ შალში ნიკაპი ჩარგო და თვალები დახუჭა. ინტერნატში ისევ დაისადგურა სიწყნარემ, ისევ გაისმა ჩეჩეკის კალმის წრიპინი და აპრილის უკუნ სიბნელეში კატუნის ხმაური...

გოგონები ფეხაკრეფით დადიოდნენ მასწავლებლის გარშემო და. თუ რამის თქმა უნდოდათ, ყურში უჩურჩულებდნენ ერთმანეთს — მასწავლებელი დაიღალა და დაისვენოსო...

წუთები გარბოდნენ. მართალია, მასწავლებელი მდუმარედ იჯდა და ეძინა კიდეც, მაგრამ მაინც კარგი ჰქნა, რომ მოვიდა! უცებ თითქოს სიმშვიდე დადგა ინტერნატში, თითქოს აქ დედასავით მშობლიური ადამიანი ჰყავდათ.

ჩეჩეკმა ბოლო სტრიქონი ჩაათავა, კალამი დადო და მიმოიხედა. ყოველი მხრიდან გაისმა ჩურჩული.

— ჩეჩეკ, დაწერე?

— ჩეჩეკ, დაწერე?

— დავწერე, — ჩურჩულით უპასუხა ჩეჩეკმა მეგობრებს. ძალიან ჩუმად კი უპასუხა, მაგრამ მასწავლებელმა მაშინვე გაახილა თვალები, თითქოს ამ სიტყვას ელოდაო.

— ოჰ, როგორ მომერია ძილი, — თქვა და ჭაღარა თავი გააქნია. — აბა...

მის წინ მდგომ ჩეჩეკს მაყვალივით თვალები უბრწყინავდა:

— დავწერე, მარფა მასწავლებელო!

— კეთილი, მომეცი რვეული. — მასწავლებელი წამოდგა, რვეული შალქვეშ შეინახა და თქვა: — უკვე დავისვენე და ერთ ახალ ამბავს გეტყვით. ეს-ესაა გამახსენდა.

გოგონები გამოცოცხლდნენ.

— რას?

— რას და ანატოლი მასწავლებელმა გორნო-ალტაისკიდან ბოცვრები ჩამოიყვანა. ახლა ნორჩ ნატურალისტებს თავიანთი ბოცვრები ეყოლებათ.

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ბოცვრები? როგორებია? რამდენია?

დაიწყეს ჩაცმა, ხელს სტაცებდნენ ქურქებს, თავშლებს.

— ადრე რატომ არ გვითხარით, მასწავლებელო? — ჰკითხა ლიდა კოროლკოვამ. — უკვე იქ ვიქნებოდით!..

— თვითონაც არ ვიცი. დავჯექი და დამეძინა, — მიუგო მასწავლებელმა. — ეტყობა, ნამეტანი ვბერდები.

უცებ ჩეჩეკმა რაღაც მოისაზრა, მასწავლებელთან მივიდა და ცნობისმოყვარეობით შეხედა თვალებში:

— მასწავლებელო, მართლა გეძინათ?

— მაშ, სიზმარიც კი ვნახე!..

ჩეჩეკმა შეამჩნია, რომ მასწავლებელს ეშმაკურად უციაგებდა თვალები, და წყნარად გააქნია თავი.

— არა, მასწავლებელო, ნამდვილად არ გეძინათ, უთუოდ ისე, განგებ დაიძინეთ... დაიცადეთ, რომ წერა დამემთავრებინა.

— ეს კიდევ რა მოიგონე? აქ მოცდის დრო სადა მაქვს! — გაეღიმა მასწავლებელმა, მაგრამ ჩეჩეკმა მის თბილ თავშალში სახე ჩარგო და მხიარულად აყვირდა:

— ნამდვილად არ გეძინათ, არ გეძინათ, მელოდით, რომ მეც წამოვსულიყავი ბოცვრების სანახავად! დიახ, დიახ, დიახ!

მარფა მასწავლებელს თან ფარანი ჰქონდა. გოგონები ხელიხელჩაკიდებულნი მიჰყვებოდნენ ფარნის მკრთალ მოქანავე შუქს. სოფელში აქა-იქ ჭიატებდნენ ფანჯრები. მაღლა შავად ჩანდა ცა, უფრო შავად გამოიყურებოდნენ აქეთ-იქით აჩხორილი მთების კონუსები. სულ ახლოს, ეზოების გადაღმა უჩინარი კატუნი აქოჩრილ ტალღებს მიაქანებდა.

— ეჰ, აგაფორიაქეთ! — ბუზღუნებდა მასწავლებელი. — დილამდე უნდა დაგვეცადა...

— რას ამბობთ, მასწავლებელო, როგორ თუ დილამდე, —

ყვიროდნენ პასუხად გოგონები. — ბიჭები ალბათ დიდი ხანია იქ არიან. ჩვენ კი დილამდე გვეცადა!..

ბიჭები მართლაც შეყრილიყვნენ სკოლის დირექტორის — ანატოლი მასწავლებლის ვეება სამზარეულოში. თვითონ დირექტორი ბოცვრებიანი გალიის წინ ჩაცუცქულიყო. მას შავი ხუჭუჭა თმა ჰქონდა, შავგვრემანი იყო, წვრილი თვალები უღიმოდა, მხიარულად გამოიყურებოდა. გოგონები ერთად შეცვივდნენ სამზარეულოში და იქაურობა ჟივილ-ხივილით, სიცილით, შეძახილებით აავსეს.

— რა ლამაზები არიან! არ იკბინებიან? შეიძლება მოვეფეროთ?..

დირექტორმა გალიაში ფართო ხელი შეყო და ერთი ბოცვერი გამოიყვანა. ბოცვერმა ყურები დაცქვიტა და შიშნეულად მიაცქერდა ბავშვებს, ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა დირექტორს.

— ეს შინშილაა, — თქვა დირექტორმა. — ხედავთ, მთლად შავია. ხელი გადაუსვით, ნუ გეშინიათ. დახეთ, რა ფუმფულაა!

რამდენიმე ბავშვმა ხელი გასწია ბოცვრებისაკენ. ბავშვები ერთმანეთს უბიძგებდნენ, ყველას უნდოდა ხელი შეეხო მუქი ნაცრისფერი ცხოველისათვის.

ამ დროს კარი გაიღო და სამზარეულოში კიდევ ერთი ბავშვი, ალიოშა რეპეინიკოვი შემოვარდა. ალიოშა სოფლის ბოლოში ცხოვრობდა და უმცროსი ძმისგან სრულიად შემთხვევით გაეგო, რომ დირექტორმა ბოცვრები მოიყვანა. მან ბავშვები მისწი-მოსწია და გალიასთან მიიჭრა.

— აბა, სად არიან? უჰ, რა მხეცუნებია! როგორ აცმაცუნებენ ტუჩებს! ანატოლი მასწავლებელო, დამაჭერინეთ, რა? ერთი წუთით დავიჭერ, ჰა? დამაჭერინეთ, რა?

დირექტორმა ბოცვერი მისცა. როგორც კი ალიოშას ხელებში აღმოჩნდა, ბოცვერმა უკანა ფეხები ააფხარკალა, თავი დაიხსნა და იატაკზე ისკუპა. ბავშვები სიცილ-ყვირილით დაესივნენ, მაგრამ ბოცვერი ეშმაკი და ღონიერი აღმოჩნდა. დაიჭირეს და ისევ გაქცევას ლამობდა. ალიოშა ორჯერ დავარდა ძირს, როცა დასაჭერად დასდევდა. ერთხელ ხელებით ჩავარდა გოჭების საჭმელში, მეორედ — ნახშირიან თუჯიაში. ბოლოს ბოცვერი მაინც დირექტორ-

ზა დაიჭირა და არა ალიოშამ. დირექტორმა ღონიერი ხელით მიაკრა იატაკს, ქეჩოში სწვდა და გალიაში შეაგდო.

— უჰ, რა მაგრები ყოფილან! — იმეორებდა აღტაცებული ალიოშა და ბოცვრებს თვალს არ აშორებდა. — როგორ დამიღლიტა ხელები, სისხლიც კი მადინა.

— შეიძლება რამე ვაჭამოთ? — იკითხა ჩეჩეკმა. — მე ვაჭმევ.

— შვრია უნდა მივცეთ, — თქვა დირექტორმა. — ალიოშა, მერხზე შვრიით სავსე პარკი დევს და მოიტანე... მაშ, ასე ჩეჩეკ, პარკი შენ დაიჭირე, რეპეინიკოვი კი შვრიას სანაყრეში ჩაუყრის.

ჩეჩეკმა პარკს ხელი მოჰკიდა, მაგრამ უცებ მოიღუშა და მაია ვილისოვას უთხრა:

— ჰა, დაიჭირე, მე არ მინდა.

მაიამ პარკი გამოართვა, ჩეჩეკი კი მოქუფრული გადგა განზე.

გამომშვიდობებისას დირექტორმა ბავშვებს უთხრა:

— ამხანაგებო, მინდა ერთ საყურადღებო საკითხზე მოგესაუბროთ.

— რაზე?

ბავშვებმა ყური ცქვიტეს.

— რაზე უნდა მოგვესაუბროთ, პატივცემულო მასწავლებელო?

— ხვალ გეტყვით, როცა ყველა მოსწავლე სკოლაში იქნება, — უთხრა ბავშვებს დირექტორმა. — მინდა ამ საყურადღებო საუბარში ყველა მონაწილეობდეს.

ბავშვები ყოველნაირად ცდილობდნენ, დირექტორისათვის ეთქმევინებინათ, რაზე უნდა მოსაუბრებოდა მათ, მაგრამ დირექტორს მეტი არაფერი უთქვამს.

საყურადღებო საუბარი

მეორე დღეს, მეცადინეობის შემდეგ, საერთო კრება მოიწვიეს ნემსიწვერებით, ფუქსიებით და სატაცურებით სავსე დიდ დარბაზში.

— ბავშვებო, მითხარით, რომელ თქვენგანს უნახავს ვაშლის ხე? — იკითხა დირექტორმა. — მოშრიალე ვაშლის ხე?.. ხელი ასწიეთ.

ბავშვებმა ცხობისძოუვაოეობით, ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, მაგრამ ხელი არავის აუწევია.

— აბა, თვითონ ვაშლი ვის უჭამია?

— მე! — ასწია ხელი კანდიკოვმა.

— ჩვენც გვიჭამია! — წამოიძახა კიდევ რამდენიმე ბავშვმა.

— მეც! ტკბილი ვაშლები იყო!

— ჩვენს კოლმეურნეობაში თითქმის ყველას უჭამია. — თქვა კოსტიამ. — შარშან ჩვენმა თავმჯდომარემ გორნო-ალტაისკიდან მთელი ტომარა ჩამოიტანა და ყველას დაურიგა.

— მე კი თვალითაც არ მინახავს! — გაისმა ერკელეის ნაზი ხმა.

— ჰოდა, უნდა გითხრათ, რომ ჩამოვრჩებით. ბევრმა სკოლამ უკვე დაიწყო ვაშლის ბაღების გაშენება

კრება გამოცოცხლდა: „ბაღები"!.. რამდენიმე ბავშვმა მაშინვე ასწია ხელი:

— სად ვიშოვოთ ნერგები?

— კი მაგრამ, ვინც დარგო, გაახარა?

— ვინმემ გაახარა?..

— ეს რა სეტყვასავით დამაყარეთ კითხვები! — გაიცინა დირექტორმა. — ახლავე ყველაფერს გიამბობთ. ალბათ ბევრ თქვენგანს მამებისა და ბაბუებისგან გაუგონია, რომ მთიან ალტაიში ვაშლი არ ხარობს, ჩვენს ზამთარს, ჩვენს ჭირვეულ ჰავას ვერ უძლებს. ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა ღუპავს... ასე ამბობენ. მე კი გუშინ განათლების საოლქო განყოფილებაში ჩერგის სკოლის მასწავლებელს შეეხვდი. ამ სკოლის ბაღს წელს ათი წელი შეუსრულდა. ხედავთ, ჩერგის სკოლა თურმე რამდენი წელი იწევს მოსავალს! იქ უკვე კოლმეურნეებმაც დაიწყეს ვაშლის დარგვა... კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: ანოსინის სკოლამ დიდი ბაღი გააშენა — ვაშლიც დარგეს, ალუბალიც და კენკროვანებიც. პრემიაც კი მიიღეს ბაღის გაშენებისათვის... ამ გაზაფხულზე შებალინოშიც ჩაჰყარეს ნერგები. ის კი ჩვენზე მაღლაა, იქ უფრო ძნელია ნერგების გახარება. ჩელუშმანის ხეობაში, ტელეცკის ტბის მახლობლადაც მოსწავლეებმა, თურმე მშვენიერი ბაღი გააშენეს... ჩვენ რაღას ვშვრებით? რა გულ-ხელი დაგვიკრეფია? განა მიწა არა გვაქვს?! გვაქვს! იცით, რა საბოსტნე ნაკვეთია ჩეინეშ-კაიას მახლობლად? უპოხიერესი შავმიწა ნიადაგია! თუ არ გვეყოფა, კოლ-

მეურნეობას ვთხოვთ. ასეთი საქმისთვის მიწას ყოველთვის მოგვცემენ. ბაღები ხომ ჩვენი ახალი სიხარულია, ჩვენი კოლმეურნეობების ახალი სიმდიდრეა. ხოლო ისინი ჩვენ, კომკავშირელებმა, პიონერებმა, მოსწავლეებმა, პირველ რიგში ჩვენ უნდა გავაშენოთ. გავახაროთ, ყველგან მოვამრავლოთ, სადაც უნდა ვიყოთ, სადაც უნდა ვცხოვრობდეთ... კომკავშირელებო, პიონერებო, აბა, რას იტყვით!

კრება მღელვარედ აგუგუნდა.

რამდენიმე ბავშვმა ხელი ასწია. დირექტორს კითხვები დააყარეს. მთავარი კითხვა კი ასეთი იყო:

— სად ვიშოვოთ ნერგები?

— ნერგებს ჩვენი ალტაელი მიჩურინი მიხეილ ლისავენკო მოგვცემს. — თქვა დირექტორმა. — გუშინ ვეწვიე... აი, ვისა აქვს ბაღი, ბავშვებო! მანამ არ მოვისვენებ, სანამ ჩვენთანაც არ აყვავდება ვაშლის თუნდაც პატარა, თუნდაც მწირი ბაღი!

ჩეჩეკმაც ასწია ხელი, უნდოდა ეთქვა: აბა, ჩქარა დავრგოთო, მაგრამ მაშინვე ძირს დაუშვა და ტუჩი მოიკვნიტა. რა მეცამეტე გოჭივით ვიქცევი, პიონერებს ეკითხებიან, მე კი ვინა ვარო?

უცებ ჩეჩეკს ეწყინა, თითქოს სადღაც ბოლოში მიაგდეს, მოიშორეს, არაფერს ეუბნებიან, არაფერს ეკითხებიან... ხედავთ, სკოლაში რა ჩაიფიქრეს — ბაღი გავაშენოთო! მას კი ზედაც არ უყურებენ.

ჩეჩეკს ნელ-ნელა უწითლდებოდა სახე, მდუმარედ იჯდა კრებაზე. თვალები დაეხარა, ნიკაპი ოდნავ აეწია.

კრება კარგა ხანს გაგრძელდა: ყველას უნდოდა გაეგო, რა ჯიშის ხეებს დარგავდნენ, რომელი ჯიშის ვაშლი როგორ გამოიყურებოდა, რა ფერის, გემოს, სუნის ნაყოფს ისხამდა... დირექტორს ეს ყველაფერი გაეთვალისწინებინა: ყველა ჯიშის ვაშლის სახელწოდება ჩაეწერა, რომელთა შოვნაც შეიძლებოდა ლისავენკოს სანერგეში, და ცალკეული ნაყოფების ფოტოსურათები წამოეღო.

გადაწყვიტეს, ბაღი ჩეინეშ-კაიას ძირას დიდ შავმიწიან ნაკვეთზე გაეშენებინათ. კრებიდან გამოსული ბავშვები ვარაუდობდნენ, რა დაერგოთ, რომელი ჯიშის ვაშლები, რომელი კენკროვანი მცენარეები.

— მე „მეწამულ რანეტს“ დავრგავ! — წკრიალა ხმით გაიძახო-

და მაია. — უსათუოდ „მეწამულ რანეტს!“ ამბობენ, ჩერგის სკოლაში ისეთი „რანეტი“ აქვთ, როგორც კი ნაყოფი დამწიფდება, მთელი ხე კენწეროდან ძირამდე სულ წითელი ჩანსო.

— ჩემთვის სულ ერთია, რომელ ვაშლს დავრგავ, — მიუგო ერკელეიმ. — ოღონდაც გაიხაროს!.. ამბობენ, ვაშლი საოცრად ლამაზად ჰყვავის, საოცრად ლამაზადო!

გოგონები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ვარაუდობდნენ, რომელი ვაშლი დაერგოთ, როგორ მოევლოთ, როგორ აყვავდებოდა მათი ვაშლები.

— ჩეჩეკ, შენ რაღას დუმხარ? — ჰკითხა უცებ ლიდა კოროლკოვამ. — ხმას არ იღებს, თითქოს არაფერი ედარდება.

— რა თქმა უნდა, არ მედარდება.

მეგობრებმა გაცბუნებით მიაპყრეს თვალი:

— როგორ თუ არ გედარდება? ვითომ რატომ? განა ვაშლებს არ დარგავ?

— მე ხომ პიონერი არა ვარ! — მიუგო ჩეჩეკმა და ტუჩები მოკუმა.

გოგონებმა ერთხმად იყვირეს:

— პიონერი თუ არა, მოსწავლე ხომ ხარ!

— განა ვაშლებს მარტო პიონერები რგავენ? ამას დამიხედეთ!

— ნასტია, — მიმართა უფროს პიონერხელმძღვანელს აღელვებულმა ლიდამ. — ჩეჩეკს ვაშლების დარგვა არ უნდა.

ნასტიამ ჩეჩეკს მხარზე ხელი დააოდ და თვალებში ჩახედა:

— მართლა არ გინდა ვაშლების დარგვა? განა ასეთი ზარმაცი ხარ?

— ზარმაცი არა ვარ! — გაბრაზდა ჩეჩეკი. — მინდა, მეც დავრგო ვაშლები, მაგრამ დირექტორმა — კომკავშირელებიო... პიონერებიო...

ჩეჩეკს უცებ ცრემლი წასკდა. მეგობრებმა გაიცინეს და ღიმილით აუხსნეს, რატომ თქვა დირექტორმა, პიონერები ყოველ საქმეში მოწინავენი უნდა იყვნენო! შემდეგ უთხრეს: ეს იმას კი არ ნიშნავს, თუ პიონერი არა ხარ, ვაშლები არ დარგოო.

— ჩეჩეკ, ერთი მითხარი, პიონერი რატომ არა ხარ? — ალერსიანად ჰკითხა ნასტიამ. — რატომ არ შედიხარ პიონერთა რიგებში?

— ჩვენთან, იმ სკოლაში, პიონერხელმძღვანელი არ გვყავდა, — მიუგო ჩეჩეკმა და ცრემლი მოიწმინდა. — შემდეგ კი ხელმძღვანელი მოვიდა და თქვა, ვისაც გინდათ პიონერობა, ჩაეწერეთო. იქ რა უნდა ვაკეთო-მეთქი, — გავიფიქრე და არ ჩავეწერე. შემდეგ პიონერხელმძღვანელი ავად გახდა. შემდეგ, ზაფხულში, ბებიასთან წავედი ბრიგადაში, შემდეგ, შემოდგომაზე, პირდაპირ აქ მოვედი. ჰოდა, რა ვიცი, რატომ მოხდა ასე ყველაფერი!

— გოგოებო, მივიღოთ პიონერულ რაზმში, — გაუბედავად თქვა ერკელეიმ.

ლიდა კოროლკოვამ, რომელსაც წითელი ზოლი ეკეთა, როგორც რგოლის ხელმძღვანელს, მკაცრად შეხედა ერკელეის:

— ჩვენ რომ დაჭერობანას ვთამაშობდეთ. მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, მივიღოთო. განა პიონერულ რაზმში ასე ღებულობენ? ჯერ უნდა შევამოწმოთ, როგორ სწავლობს, როგორ მუშაობს... ჰოდა, ჩეჩეკ, პირველ მაისამდე გამოსწორდი, კარგი ნიშნები მიიღე. საქმეს მოჰკიდე ხელი...

— ვაშლები დარგე. ამაზე უკეთესი საქმე რა იქნება! — უთხრა ჩეჩეკს ნასტიამ. — ჰოდა, ყველას უჩვენე, როგორ შეგიძლია მუშაობა! ჰა? ვერ შეძლებ, თუ?

— არ ვიცი... ვაშლი არასოდეს დამირგავს, ჩვენთან ტაიგაში არ ხარობს, — თქვა ჩეჩეკმა.

— ო, ჩვენ კი ოდესმე დაგვირგავს! — გაიცინა მაიამ. — ერთად დავრგავთ!.. უჰ, ერთი მალე დადგეს გაზაფხული!

— გაზაფხული უკვე დგება... — ხმადაბლა თქვა ერკელეიმ, რომელიც ცაზე მიმავალ ვარდისფერ ღრუბლებს უცქეროდა და წვეთების წკაპაწკუპს აყურადებდა.

კოსტიას ჯადოქრობა

კოსტია მოხსენებას კითხულობდა. ნორჩ ნატურალისტებს უამბობდა იმას, რამაც თვითონ გააოცა გაკვეთილზე. უამბობდა მზის სხივზე, რომელიც ხორბლის მწვანე ღივში აღწევს, სახამებლად, შაქრად, წებოსგვარად იქცევა და ხვდება პურში. ხალხი კი ჭამს პურს. ამრიგად მზის ეს სხივი ხვდება კუნთებში, სისხლში, ადამი-

ანს აძლევს მოძრაობის უნარს, სითბოს, სიცოცხლეს... კოსტია ბავშვებს უხსნიდა, როგორ შთაბერავს მზე მცენარეს სიცოცხლეს, მცენარე კვებავს ცხოველებს, ხოლო ადამიანი მცენარეებითაც იკვებება და ცხოველებითაც. სიცოცხლე დამოკიდებულია ქლოროფილის მარცვალზე, მცენარის ქსოვილში მოთავსებულ ამ პატარა მარცვალზე. ქლოროფილის მწვანე მარცვალია სწორედ ის რგოლი, რომელიც ყველაფერს ღებულობს მზისგან, რაც კი სიცოცხლეს სჭირდება დედამიწაზე.

— ჰოდა, ვფიქრობ, — ამბობდა კოსტია. — როგორ უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი ყოველ მწვანე ტოტს. ვთქვათ, ვინმემ ტაიგაში ტოტი მოტეხა, ან კოცონი დაანთო და მწვანე მდელო გადაწვა, ან ყვავილი მოწყვიტა და გადააგდო... ტაიგაში, რა თქმა უნდა, ხეები საკმაოდაა. ბალახიც საკმაოა. მგრამ, მე მგონი, უნდა გვახსოვდეს, რა სამუშაოს ასრულებს ეს ტოტი ჩვენთვის! სწორედ ის ეგებება მზეს, გვიმზადებს საკვებს, წმენდს ჰაერს... ბავშვებო, ნუ დავივიწყებთ ამას, ვიყოთ შეგნებულნი და კეთილშობილნი!

ჩეჩეკი კოსტიას თვალს არ აშორებდა. ო, როგორ უწყალებდა გულს ეს ქლოროფილის მარცვალი, როცა ბოტანიკას სწავლობდა! ახლა ამ უჯრედებს, პროტოპლაზმას, აღარ იკითხავთ... იმაზე კი, როგორ ემსახურება ადამიანს ბალახის ღერო, რა შესანიშნავ. რა უდიდეს საქმეს აკეთებს, არასდროს უფიქრია.

ჩეჩეკს ცხოვლად წარმოუდგა მწვანე მინდორი, სადაც ყოველი ბალახის ღერო მზისკენ მიიწევდა. ყოველ ბალახის ღეროს მზე თავის გრძელ მცხუხვარე სხივს ალერსიანად უგზავნიდა და კვებავდა... მზე სხივებს მწვანე არყის ხეებსაც უგზავნიდა და ფიჭვებისა და ლარიქსების მწვანე წიწვებსაც. ეს სასწაული კი ხდებოდა სრული დუმილით, საღღესასწაულო და საზეიმო დუმილით...

უცებ ჩეჩეკმა გაიფიქრა, ადამიანს ამქვეყნად ქლოროფილის მარცვლებისთანა ღონიერი და აუცილებელი მეგობრები არა ჰყავსო. წყნარად ცხოვრობენ ისინი, იზრდებიან, სულ შრომობენ, გამუდმებით უმარაგებენ საკვებს, სითბოს და სუფთა ჰაერს ყველას — ფრინველსაც, ძროხასაც, დათვსაც, ადამიანსაც... თითოეულ ბალახის ღეროს შეიძლება უმღერო კიდეც!

კოსტიას მაგიდაზე მიკროსკოპი ედგა. იგი დირექტორისთვის

გამოერთმია. ახლა მოსწავლეები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ამ იდუმალ პატარა მილს. ჩეჩეკმა მოხსენების დაწყებამდე ჰკითხა კოსტიას — ნეტა რა არის აქ, ამ მილშიო? კოსტიამ მიუგო: შიგ მცენარეთა უჯრედები ჩანსო. ჩეჩეკმა პაჭუა ცხვირი მოჭმუხნა: სხვა რაღაც მეგონაო!

მოხსენების შემდეგ კი ჩეჩეკს სწორედ ამ უჯრედების ნახვა მოუნდა. მაინც როგორია უჯრედი? სადა აქვს შაქარი და სახამებელი?

კოსტიამ მოხსენების კითხვა დაამთავრა და თქვა:

— ახლა კი ჯადოქრად ვიქცევი და სასწაულს მოვახდენ!

ბავშვები, დიდებიცა და პატარებიც, მოხსენების კითხვისას ძალიან წყნარად ისხდნენ. შეიძლება ჩეჩეკივით ისინიც ხედავდნენ ჩვენს ირგვლივ, დედამიწაზე გაჩაღებული უხილავი მუშაობის სურათებს. მაგრამ როცა კოსტია მიკროსკოპთან მივიდა, ყველა შეინძრა, ალაპარაკდა, გარს შემოერტყა მას:

— ახლა შეიძლება მიკროსკოპში ჩახედვა?

— აბა, ჩამახედე!

ყველანი რიგრიგობით ჩასცქეროდნენ მიკროსკოპს. ჩეჩეკი ხელს იკვრევინებოდა, წინ მიძვრებოდა:

— გამიშვით! ჰა, გამიშვით!

მან რიგს არ დაუცადა და მიკროსკოპისაკენ გაჰყო თავი. ამ დროს მეორე მხრიდან ალიოშამ გამოსწია თავი და მილის ზემოთ მათი თავები ერთმანეთს მაგრად შეეჯახნენ. ალიოშამ შუბლზე იტაცა ხელი და შეჰყვირა:

— ვაი!

ჩეჩეკმაც იტაცა თავზე ხელი, ბავშვებმა ერთხმად გადაიხარხარეს, ალიოშამაც გაიცინა:

— ო, ჩეჩეკ, მაგარი თავი გქონია!

ჩეჩეკს კი არ გაუცინია, არც არაფერი უთქვამს.

— რას გაგულისდი? — სიცილით უთხრა მაიამ. — განა განგებ დაგაჯახა თავი?

— რა თქმა უნდა, განგებ დამაჯახა! — მიუგო ჩეჩეკმა და ნიკაპი ასწია. — ყველაფერს ჯიბრზე მიკეთებს:

— კარგი ახლა! — უთხრა კოსტიამ. — ჩახედავ თუ არა?

ჩეჩეკი ფრთხილად დაიხარა. მიკროსკოპს მინის ქვეშ მცენარის

ვეება, თითქოსდა განგებ გაკეთებული მკრთალი მწვანე უჯრედები ჩანდა.

— ახლა კი ვიჯადოქრებ, — თქვა კოსტიამ.

— ჯადოქარი ხარ, წვერები კი არა გაქვს! გეტყობა, ჯერ ჯადოქრობა არ გისწავლია, ახალგაზრდა ხარ, — გაიცინა უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნასტიამ.

— აი, ნახეთ, თუ არ მისწავლია.

კოსტამ წყალში, რომელშიც მცენარის პატარა ანათალი იდო, რაღაც ჩაასხა და თქვა:

— აბა, ვნახოთ, ამ უჯრედში არის თუ არა ყურძნის შაქარი. თუ არის, ვარდისფრად უნდა შეიღებოს!

უცებ ყველამ დაინახა, რომ უჯრედების პროტოპლაზმა გავარდისფრდა.

— ოჰ! — წამოიძახა ჩეჩეკმა.

— ახლა გავიგოთ, სახამებელი არის თუ არა. თუ არის, ცისფრად უნდა შეიღებოს! — თქვა კოსტიამ და წყალს კიდევ რაღაც დაუმატა.

უჯრედებში მიმალული პაწია მარცვლები მაშინვე ლაქვარდისფერი გახდა.

— დახე, დახე! — გაისმა ძახილი.

— ახლა კი ვნახოთ, სად არის აქ უჯრედისი. იგი უნდა გალურჯდეს!

კოსტიამ წყალში რაღაც გამჭვირვალე სითხე ჩაასხა და უჯრედების კედლები გალურჯდა. ყოველი უჯრედი მიკროსკოპის ქვეშ ერთიანად იყო შეფერილი — ვარდისფრად, ცისფრად, ლურჯად, ერთიანად დაენაწევრებინა იდუმალ ჯადოქრობას.

მოზრდილი ბავშვები, კოსტიას თანაკლასელები იცინოდნენ. მათაც იცოდნენ ამ ჯადოქრობის ამბავი! უმცროსები კი გაკვირვებულნი უცქეროდნენ კოსტიას, განსაკუთრებით ჩეჩეკი: მართლა ხომ არ ჯადოქრობსო.

— მოგეშველები! — აჩქარებით უთხრა ჩეჩეკმა კოსტიას, როცა მან შუშების ალაგება დაიწყო. — მეც წაგაღებინებ!

კოსტიამ ფიზიკის კაბინეტში მიკროსკოპი წაიღო, ჩეჩეკმა კი შუშები. მოხსენებით ძალზე კმაყოფილი ნორჩი ნატურალისტები სიცილითა და ლაპარაკ-ლაპარაკით გამოვიდნენ ოთახიდან.

— დააწყვე და წადი. — უთხრა კოსტიამ ჩეჩეკს. — ამათ მე თვითონ დავალაგებ.

ჩეჩეკმა შეშები მაგიდაზე დააწყო, მაგრამ არ წასულა. მდუმარედ ათვალიერებდა თაროებზე ჩამორიგებულ უცნაურ, უცნობ ხელსაწყოებს: კოლბებს, ძაბრებს, მილებს. ფანჯარასთან, კუთხეში მინის დიდი ქილა შეამჩნია. ქილას ქაღალდი ჰქონდა გადაფარებული. ჩეჩეკმა ფრთხილად ასწია ქაღალდი და ქილაში უცებ ძალზე ლამაზი რამ დაინახა: წყალში ჩაკიდებული იყო ჯოხზე დამაგრებული ძაფი, ხოლო ძაფზე რაღაც ბზინავდა ბროლის პაწია მარცვლებივით...

— კენსკინ, ეს რაა?

— აჰ! — გაბრაზდა კოსტია. — ხელი არ ახლო, თორემ ყველაფერს გააფუჭებ! როცა საჭირო იქნება, თვითონ გაჩვენებ. წადი აქედან!

ჩეჩეკს კოსტიასი არ შეშინებია:

— არ ვახლებ. ოღონდ მითხარი, რა არის ეს? ჰა? ესეც ჯადოქრობაა?

— ჰო.

— მაშ, მართლა ჯადოქარი ხარ?

კოსტიამ ჩეჩეკს შეხედა, იცინის თუ არაო. მაგრამ ჩეჩეკი არ იცინოდა. მაყვლისფერი, ოდნავ ელამი თვალები სერიოზულად და ვამომცდელად მიეშტერებინა მისთვის.

კოსტიამ ვერ მოითმინა და ჩაიფხუკუნა:

— ფუი, მართლა ციყვი ხარ, მართლა! მაშინვე დაიჯერე. ჯადოქარი კი არა, ქიმიკოსი ვარ.

— ქიმიკოსი?

ჩეჩეკს გონებაში მსწრაფლ წარმოესახა კოსტიას წელანდელი სასწაულები, ისიც, რაც მინის ქილაში ხდებოდა, ბიჭს თვალებში ჩახედა და უთხრა:

— მეც მასწავლე რა, ჰა? მეც მინდა ქიმიკოსი ვიყო!

— ო, დამიწყო ახლა ამან მასწავლე-მასწავლეო! მოვა დრო და თვითონ ისწავლი. ამას ყველაფერს ხომ სკოლაში ასწავლიან!

— ამასაც სკოლაში ასწავლიან, რაც ქილაში ხდება?

— ო, ამას არა. წიგნში ამოვიკითხე და ახლა ცდას ვაყენებ.

— მერედა რას მიიღებ?

კოსტია ქილისაკენ გადაიხარა. დიდხანს უცქირა მძივებიან ძაფს.

— რას მივიღებ? ბროლის ყელსაბამს.

— ყელსაბამს? — გაუბარდა ჩეჩეკს. — ოჰ, რა კარგია! მეც რომ კარგად ვისწავლო, გავხდები ქიმიკოსი?

— თუ კარგად ისწავლი, რასაკვირველია, გახდები, მაგრამ სულსწრაფობას თავი უნდა დაანებო!

— დავანებებ! — იყვირა ჩეჩეკმა. — აი, ნახავ!

— ჰო, ვნახავ, — მიუგო კოსტიამ, ჩეჩეკი თითქმის ძალით გამოიყვანა გარეთ და კაბინეტის კარი დაკეტა

ჩეინეშ-კაიას ძირას

მიწყნარდა. მიყუჩდა ჩრდილოეთის ქარი — ბრაზიანი ხიუსი. იმ მხარეს მიაშურა, საითაც კატუნისა და ბიის წყლები მიედინებიან და დიდ მდინარე ობს უერთდებიან. თოვლისა და ყინულის სამეფოში, ყინულოვან ოკეანეში გადაიხვეწა.

იწურებოდა აპრილის დღეები, მთები ხანიერ ზამთარში წამოცმულ თოვლის სუდარას იშორებდნენ. ფერდობებზე, მზის გულზე უკვე ჩნდებოდა გაზაფხულის ნაზი სიმწვანე, ცოტაც და მთების შვერილებსა და ხეობებში ღია ყვითელი ფურისულები შეირხნენ, გაიფურჩქნენ პაწია ლურჯი იები, ხასხასა ვარდისფერი მოოდო მაჯაღვერას შხამიან ბუჩქებს, ალტაის მთებზე ლარიქსებმა ყვითელი და მეწამული გირჩები გამოისხეს...

ღელავდნენ ნორჩი ნატურალისტები, ნასტიას მოსვენებას არ აძლევდნენ. თვითონ ნასტია ნაკლებ როდი ღელავდა: აგერ გაზაფხული დადგა! მიწა უკვე ტენიანი და შავი გახდა, ნერგები კი არა და არ ჩანდა!

— ნუ გეშინიათ! თავის დროზე ყველაფერი იქნება, — ამშვიდებდა მათ დირექტორი, ანატოლი მასწავლებელი, — ახლა რომ ბაღი გავაშენოთ, ვაითუ დილით ყინვამ დაჭკრას? მოიცადეთ, დღე შევარჩიოთ...

ეს დღე აპრილის დამლევს დადგა. მეცადინეობის დამთავრე-

ჩისთანავე ბავშვები ორმოების ამოთხრას შეუდგნენ. მდუმარე ჩეინეშ-კაიას ძირას მიდამო კაბებმა და პერანგებმა გადააკრელეს, ატყდა ერთი ჟრიამული. პოხიერ შავ მიწაში ადვილად ჩადიოდა ბარი. ტენიან კოლბოხებს მსუბუქი ოხშივარი ასდიოდა.

ჩეჩეკს ნაწნავები თავზე დაესვია, რომ თავისუფლად ემუშავა, ფეხს მონდომებით აჭერდა ბარს. გულიანად უნდა გარჯილიყო, თორემ ყველა ეტყოდა: შენ რა პიონერი უნდა დადგე, რაზმში ჩარმაცები არ გვჭირდებაო!

ჩეჩეკი ორმოებს თხრიდა და გოროხებს ფშვნიდა, მაგრამ მის ყურადღებას ღროდადრო მზე, გაზაფხული, მთების მწვერვალებიდან, აყვავებული ლარიქსებიდან თუ კატუნის ცივი მწვანე ტალღებიდან წამოქროლილი სურნელოვანი ნიავი იპყრობდა, ჩეინეშ-კაიას იისფერ კლდეებს გასცქეროდა, რომელთა შორის სანთლებივით თეთრად კრთოდა მაღლა აზიდული არყის ხეები. ნეტავ იქ ამიყვანა და ირგვლივ მომატარებინა თვალი, რამდენ მთას დავინახავდი, — ფიქრობდა გულში. ყურს უგდებდა კატუნის ტალღების დაუცხრომელ ტყლაშუნს, მის დაუდგრომელ საგაზაფხულო ფრთონას უჭვრეტდა. აი, უნდა დაჯდე ტივზე, ახსნა და თავქვე დაუყვე მდინარებას! სად ჩაგიყვანს წყალი? იქნებ თვით ბიისკამდე!..

ჩეჩეკი უცებ ფიქრებიდან ერკვეოდა, გააფთრებით იწყებდა მიწის თხრას და გოროხებს აქეთ-იქით ფანტავდა.

როცა ჩამობინდდა და ბავშვებმა ბარები ძირს დააწყვეს, წრის მამასახლისმა კოსტია კანდიკოვმა ნაკვეთს ჩამოუარა. დირექტორი მომავალი ბაღის კუტიკართან იდგა, ხელებდაკაპიწებულს ბარი ეჭირა. იქვე, პატარა მორზე იჯდა და ბარი ფეხზე მიეყრდნო ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელს. კოსტია მათთან მივიდა.

— პატივცემულო დირექტორო, რაღაც რიგსე ვერ უნდა იყოს. — თქვა შეფიქრიანებულმა.

ორივე მასწავლებელმა კანდიკოვს შეხედა.

— რა მოხდა. კანდიკოვ?

— წყალი შორსაა. თუ გაზაფხული გვალვიანი იქნა, მიწის მორწყვა დაგვჭირდება.

დირექტორმა მხრები აიჩეჩა.

— რას იზამ? ჩვენი ტბორიდან მოგვიწევს წყლის გამოყვანა...

— არ შეიძლება. ტბორი ძალიან პატარაა, თანაც იქ ხომ ლიფსიტების გაშვება გვინდა...

— მაშ, რას გვთავაზობ, კანდიკოვ? — ჰკითხა ფიზკულტურის მასწავლებელმა, რომელიც გატალახიანებულ ყვითელ ბოტინკებს ბალახით იწმენდდა. — ტბორი რომ პატარაა და იქ ლიფსიტები უნდა გავუშვათ, უშენოდაც ვიცით. ჰოდა, რაკი სხვა გზა არაა, წყალი კატუნიდან უნდა გამოვიყვანოთ.

კოსტიამ ფიზკულტურის მასწავლებლის ხმაში ოდნავ შესამჩნევი დაცინვა იგრძნო და სახე შეეფაკლა.

— მე კი ვფიქრობდი... კატუნიდან კი არა...

— აბა, აბა! — უმალ გაამხნევა ბიჭი დირექტორმა. — განაგრძე! მგონი, ვხვდები შენს ჩანაფიქრს. ოჰ, ნათელი გონება გაქვს! თვითონაც ვფიქრობდი ამაზე. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, წყალი კატუნიდან კი არა, გრემუჩიდან უნდა გამოვიყვანოთ! ამის თქმა გინდოდა, ხომ?

დირექტორს შავ-შავი წვრილი თვალები სიხარულით გაუხათდა. კოსტიას მეგობრულად მოუთათუნა ხელი მხარზე და ბიჭს გაეღიმა:

— დიახ, პატივცემულო დირექტორო.

— აბა, აბა, როგორ აპირებ ამის გაკეთებას?

— გრემუჩის მაღლა უნდა ავყვეთ და იქიდან ნაკადული გამოვიყვანოთ... ისეთი არხი გავაკეთოთ, წყალი პირდაპირ ჩვენს ტბორში ჩამორბოდეს...

დირექტორმა გაკვირვებით შეხედა კოსტიას:

— კარგად მოგიფიქრებია! ყოჩაღ! — გახალისებულმა და გამხიარულებულმა დირექტორმა, თითქოს ეს-ესაა ფასდაუდებელი საჩუქარი უძღვნესო, წამოიძახა: — რას არ მოიფიქრებენ ჩემი ბავშვები! მათთან ერთად შეიძლება არათუ ნაკადული გამოიყვანო, არამედ მთებიც შემოატრიალო!..

მეორე დღეს, საღამოს, სკოლის დელეგაცია ქალაქ გორნოალტაისკში, სწავლული მიჩურინელის მიხეილ ლისავენკოს ცნობილ სანერგეში წავიდა. დელეგაციაში შედიოდა სკოლის დირექტორი, ნორჩი ნატურალისტების წრის მამასახლისი კოსტია კანდი-

კოვი და მისი ამზანავი, ნორჩი ნატურალისტი ვასია მანჭინი. რომელსაც ერთი სული ჰქოდა ლისავენკოს სანერგეში მოხვედრილიყო და ეხახა, როგორ იზრდებოდნენ ვაშლები.

წინა დღეს დედა კოსტიას სამგზავროდ რომ ამზადებდა, მზრუნველობით არიგებდა:

— რაკი ბაღის გაშენება დააპირეთ, ნერგები ჭკვიანურად უნდა შეარჩიოთ! ისეთები არ ჩამოიტანოთ, რომ ჩვენთან ვერ გაიხარონ, თორემ ხალხი აღარ დაგიჯერებთ. ფრთხილად იყავით, საქმე არ წაახდინოთ! ბაღის გაშენება ძალიან სერიოზული ამბავია, უბრალო რამე არ გეგონოთ... საშარო საქმეა. მთელი სული და გული უნდა ჩააქსოვოთ, ჰაიჰარად არ უნდა მოეკიდოთ. ვაშლი კარტოფილს კი არ ჰგავს, მიწაში რომ ჩაჩრი და იზრდება. ძირხვენა თუ მოეყინა, ახალს გამოიღებს და ისევ დაიწყებს ზრდას, ხოლო ვაშლი მოყინვის შემდეგ ახალ ყლორტებს არ ამოიყრის.

კოსტიას მამა იმ დღეს კოლმეურნეობაში მშენებლობაზე მძიმე სადურგლო სამუშაოს ასრულებდა. შინ მობრუნებულს ახლა პიროში ჩიბუხი გაეჩარა და ისვენებდა. იგი რადიომიმღებს მისჯდომოდა, წყნარ მუსიკას უსმენდა, თან, ცოტა არ იყოს, დამცინავად აქნევდა თავს.

— ბავშვებს ართობენ. ეგაა და ეგ... — თქვა ბოლოს

კოსტიამ მამას შეხედა. ბიჭი ძალიან ჰგავდა მამას: მასავით დაჭანებული შუბლი, მშვიდი ცისფერი თვალები და შავი წამწამები ჰქონდა.

— ასე რატომ ლაპარაკობ?

— გამოცდილება მალაპარაკებს, — მიუგო მამამ. — მეც და მამაჩემიც — შენი ბაბუა — ამ საქმემ გადაგვიყოლა. სულ გვინდოდა ვაშლების ბაღი გაგვეშენებინა. ორიოლის გუბერნიაში ბაბუაშენს ოდესღაც დიდი ბაღი ჰქონდა... აქ კი ბევრი ვეცადეთ და ვერაფერს გავხდით! ზოგჯერ ნერგი გაიხარებდა კიდეც, ყვავილსაც გამოიღებდა, მაგრამ ყინვა მოუჭერდა და გახმებოდა. ისევ დავრგავდით, ისევ გავზრდიდით, ხანდახან შემოდგომამდეც მივატანინებდით სულს, აგვისტოში კი თეთრი ჭირხლი დაფარავდა და ნასკვს მოუსუსხავდა!.. ბაბუაშენი პირდაპირ ტიროდა — ეჰა, ეს რა გვემართებაო! ავდექით და ბაღის გაშენებას თავი მივანებეთ. ბაბუა-

შენი. კარგი მებაღე, ვერაფერს გახდა და თქვენ რას შეძლებთ? დრო და ფული დაგეხარჯებათ, ეგ იქნება და ეგ.

მამის სიტყვებმა კოსტიას. ცოტა არ იყოს, გუნება გაუფუჭეს. მას ახსოვდა ბაბუა — მოუსვენარი, მომთმენი მოხუცი, რომელიც მთელი სიცოცხლე ებრძოდა მიწას. ძალ-ღონეს არ ზოგავდა მის დასამორჩილებლად. მაგრამ ვერა და ვერ დაამორჩილა...

— ჩვენი ბაბუები ჩვენსავით როდი ჰკიდებდნენ საქმეს ხელს, — დაამშვიდა კოსტია დილით სკოლის დირექტორმა. — ისინი მიჩურინს არ იცნობდნენ, არც მიჩურინი იცნობდა მათ. ორიოლის ვაშლების გახარება ალტაიში არც მაშინ შეიძლებოდა და არც ახლა. მიჩურინის ვაშლების გახარება კი შეიძლება. რომ არ შეიძლებოდეს. ლისავენკოს ბაღები არ აყვავდებოდა და ნაყოფი არ დამწიფდებოდა!

— გვენახა მაინც... — თქვა კოსტიამ.

დირექტორს გაეცინა.

— აი, მესმის! არავის სიტყვას არ უნდა ენდო! — დირექტორმა კოსტიას მხარზე ხელი მოუთათუნა და დაურთო: — არა უშავს, ხვალ ნახავ. მაშინ შეიძლება დაიჯერო!

...მზე ჩეინეშ-კაიას მწვერვალს ეხებოდა, როცა დირექტორი, კოსტია და ვასია ნავმისადგომისკენ დაეშვნენ. ზოგმა მოსწავლემ ისინი ნაპირამდე მიაცილა, გამოემშვიდობნენ და გაკვეთილების მოსამზადებლად შინ გამობრუნდნენ.

ჩეჩეკს დელაგაცია არ გაუცილებია. გრემუჩის მაღლა წაქცეულ ხეზე დიდხანს იდგა. აქედან კარგად ხედავდა, როგორ მოშორდა ტივი ნაპირს. როგორ დაიძრა. როგორ დინჯად გააპო საღამოს პირზე მოციგლიგე მწვანე ტალღები, როგორ მიადგა დაისის მცხუნვარე შუქით განათებულ მეორე ნაპირს. ჩეინეშ-კაიას ლურჯმა ჩრდილმა სკოლას და სოფელს უკვე მწუხრის ბინდი გადაეფარა, მაგრამ მდინარის გაღმა ჯერ კიდევ სინათლე იდგა. ჩეჩეკიც ხედავდა. რომ თეთრ გზატკეცილზე სატვირთო მანქანა გამოჩნდა, სკოლის დელეგატები ჩაისხა და გაქანდა, ბობოქარი, აქაფებული მდინარის მაღლა გარინდულ ლარიქსებსა და არყებს შორის გაუჩინარდა.

ქალაქი გორნო-ალტაისკი მრგვალ ბორცვებს შორის ხეობაში, ზედ მთიანი ალტაის ზღურბლზეა გაშენებული.

კოსტია კატუნის ნაპირისა და მახლობელი მთების ტაიგის გარდა არსად ყოფილა. ამიტომ გორნო-ალტაისკი ძალიან დიდი და ლამაზი მოეჩვენა. იგი ბანკისა და ფოსტის ქვის თეთრი შენობების წინ ჩერდებოდა. საბჭოების ნათელი და დიდებული სახლი რომელიღაც კარგი ზღაპრის სასახლეს შეუდარა. მოსწონდა, რომ ქუჩებში ფიცრის ბილიკები იყო და წვიმის დროსაც კი ფეხი ტალახში არ ჩაეფლობოდა. ფიცრები ფეხის დაბიჯებაზე ირხეოდნენ და იხრებოდნენ, რაც ძალიან ართობდა ორ მეგობარს — კოსტიას და ვასიას.

ლისავენკოსთან უცებ არ წასულან. დირექტორს განათლების საოლქო განყოფლებაში საქმეები ჰქონდა და ბავშვები სასეირნოდ გაუშვა. ისინი საბჭოების სახლის წინ დაბურულ ბაღთან დაშორდნენ ერთმანეთს.

— ეს ბაღი სხვათა შორის ლისავენკომ გააშენა, — უთხრა დირექტორმა კოსტიას და ვასიას. — ადრე აქ ცარიელი მინდორი იყო.

— მარტომ გააშენა? — გაუკვირდა ვასიას.

— მარტომ არა, კომკავშირელები ეხმარებოდნენ. პატარა წნელები დარგეს, მაგრამ ახლა ხედავთ, რამოდენა ხეებია! მთელი ქალაქიც სულ ხეებითაა მოფენილი. ეს ხეები კი ლისავენკოს საღგურისაა. აი, რა კაცი ცხოვრობს ჩრდილოეთში! ბედნიერი კაცია ლისავენკო: ცოცხალია და ყველას გულს უხარებს, მოკვდება და მისი ბაღები მთელ ალტაიში დარჩება. ადამიანები ლისავენკოს სახელს მადლიერებით გაიხსენებენ. აი, როგორ უნდა ვიცხოვროთ, ბავშვებო!

— ერთი მანახა მაინც! — თქვა კოსტიამ.

— დღეს ვნახავთ, — გაიღიმა დირექტორმა. — განათლების განყოფილებაში საქმეებს მალე მოვრჩები და წავალთ. თქვენ კი დროს ტყუილად ნუ დაკარგავთ, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დათვალიერეთ. ის სწორედ ლისავენკოს სადგურისკენ მიმავალ გზაზეა.

კოსტია და ვასია ხეებით დაჩრდილულ მყუდრო ქუჩებს მიუყვებოდნენ. უკვირდათ, ქუჩებში რომ უამრავი ხალხი დადიოდა, ნეტავ როდისღა მუშაობენო? ერთხანს უხივერმაღის ვიტრინების წინ იდგნენ, გული იჯერეს იქ გამოფენილი ათასგვარი საქონლის ცქერით. რას არ ხედავდნენ ვიტრინებში — ფეხსაცმელს, პერანგებს, ნაირნაირ ჭურჭელს, პორტფელებს, ახალთახალ მბზინავ კალოშებს, რვეულებს, საღებავებს... მაღაზიაში შესვლა მოესურვათ, მაგრამ ვადაიფიქრეს და გზა განაგრძეს. ხიდზე შეჩერდნენ და მოაჯირიდან დაკლაკნილ პატარა წყალმარჩხ, მაგრამ შფოთიან მდინარეს გახედეს.

— რა ჰქვია ამ მდინარეს? — ჰკითხა კოსტიამ იქვე მიმავალ ბიჭს.

— ულალუშკა, — მიუგო ბიჭმა და გაჩერდა. — აგერ ბაზარიცაა. ზაფხულობით იქ თაფლს ყიდიან.

— ა-ა, ეს არის ულალუშკა... — დაფიქრებით თქვა კოსტიამ. — იცი, ვასია, ამ მდინარის სახელის მიხედვით წინათ ქალაქს ულალა ერქვა.

— წინათ აქ ქალაქი არც არსებობდა, — მიუგო ვასიამ. — სოფელი იყო და მუხლებამდე ტალახი იდგა!

ქერათმიანმა, ცისფერთვალა ბიჭმა კოსტია და ვასია მუზეუმამდე მიაცილა.

— შემოგვყვები? — გაულიმა ბიჭს კოსტიამ.

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა. მე უკვე ვიყავი. საშინელებაა.

მუზეუმში არავინ იყო. ვასია და კოსტია გაუბედავად მიაბიჯებდნენ ცივ, მდუმარე ოთახებში. ამ სიწყნარეში ნაბიჯების ხმა ისეთ გუგუნს გამოსცემდა, ხოლო ლაპარაკი ისე უცნაურად ჟღერდა, ბავშვებმა მაშინვე ფეხაკრეფით დაიწყეს სიარული და ჩურჩულითღა მიმართავდნენ ერთმანეთს.

კოსტია და ვასია მაღლა ავიდნენ. ვასია წინ მიდიოდა. უცებ შეჩერდა, უკან დაიხია და კოსტიას ფეხზე დააბიჯა. კოსტიამ მის მხარზემოდან გადაიხედა წინ და ლამის თვითონაც გაიქცა ქვემოთ.

— რა იყო?

— ფუი! — შეცბუნებით გაიღიმა ვასიამ. — ცოცხალი მეგონა!

ბავშვების წინ, ღრმა წალოში შამანი იდგა. მხრებზე ტყაპუჭი

ესხა. თავზე, შავ თმაში თეთრი ღრუბები უჩანდა. თავიდან ზორგზე ბელი ჩითის უაბრავი წვრილი იაქერი ჩაჭიდებოდა, ყოველ იაქერს ბოლოში ეყვანი ჰქონდა. შამანის ფეხებთან ტყავგადაკრული ვეება დაირა იდო. რომელზეც გაავებული შავი სახე იყო გამოსახული. კოსტია შამანს ათვალიერებდა და ამბობდა:

— აი, თურმე როგორნი ყოფილან!.. რა საშინელია!

— საზიზღარიცაა, — შეიქმუხნა ვასია. — მაგას ჩემს სახლში ფეხს არ შემოვადგმევინებდი. წამო, წამო!

ვასია მარჯვნივ შებრუნდა, უცებ უკან გადახტა და კოსტიას ფეხზე ისევ დააბიჯა ფეხი. კუთხეში ქალი იჯდა, რომელსაც უცნაური ალტაური სამოსი, გრძელი ჩეგედეკი[1] ეცვა, ბეწვის მაღალი ქუდი ეხურა, მხრებზე კი შავი ნაწნავები ეფინა.

— რაო, კიდევ ცოცხალი არსება ნახე? — ჩაიცინა კოსტიამ. — შენთან ერთად მუზეუმებში სიარული თურმე არ შეიძლება, ფეხებს დაუბეჭავ ადამიანს.

მეგობრებმა გაიცინეს. მაგრამ უმალ დადინჯდნენ: თვალწინ დაუდგათ ალტაელების ბნელით მოცული მძიმე, დუხჭირი, მონური წარსული... და გული სულ უფრო სევდით ევსებოდათ, უმძიმდებოდათ. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ყველაფერი ოდესღაც არსებობდა.

აგზნებული ვასია კეფას იქექავდა. შავი თვალები ანთებოდა. კოსტიას იგი არასდროს ენახა ასეთ დღეში.

— შეხე, შეხე... — გაიმეორა ვასიამ. — ალტაელი ქალი. დედაჩემისთანა ქალი, შეიძლებოდა ცხენივით ან ძაღლივით გაგეყიდა და გეყიდა!

ვასიამ ორი ნაბიჯი გადადგა და კოსტიას ისევ მოსწია სახელოზე:

— შეხედე, ოიროტელი ხანი ალტაელ ბავშვებს მიერეკება. ყველასათვის თოკი ჩაუბამს კისერზე. დახე, ძაღლებივით მიერეკება! ესენი ხანის მონებია, ხანმა იყიდა ანდა პირდაპირ წამოლალა. მეც შეიძლებოდა მათსავით თოკით წავეყვანე!.. თურმე რა უმწეონი ყოფილხართ, ჩვენო ალტაელებო!

---

[1] ჩეგედეკი — გათხოვილი ქალის გრძელი, უსახელოებო სამოსია, რომელსაც ქურქის ზემოთ იცვამენ. ჩეგედეკი მიუთითებდა, რომ ქალი მონურად ემორჩილებოდა ქმარს.

ბიჭები განცვიფრებულნი უცქეროდნენ უცნაურ საგნებს, რომლებითაც ალტაელები მიწას აიუმავებდნენ. აი, ანდაზინი — სასნისის მაგვარი ხის კავი. ძას საფერხე ცხენის უნაგირს აბამდნენ და ასე ხნავდნენ მიწას. აგერ ტოტიგაფარჩხული ხმელი ხე. ამ ტოტებით ყანას ფარცხავდნენ.. ბიჭები შიგადაშიგ ერთმანეთს უყურებდნენ და იცინოდნენ. მათი კოლმეურნეობის მინდვრებში ხომ ჩვეულებრივად ტრაქტორები მუშაობდნენ, რომელთაც მძლავრი გუთნები, ფარცხები და სათესელები ჰქონდათ.

ბიჭებმა მთელი ბუზეუმის დათვალიერება ვერ მოასწრეს, რადგან სკოლის დირექტორმა მოაკითხათ. მუზეუმიდან გამოსული კოსტია უცებ ვერ მოვიდა გონს. სად მზე. წყნარი ქუჩები. შორიდ ამართული საბჭოების თეთრი შენობა, ხეების ნაზი სიმწვანე, ქუჩაში მიმავალი მანქანა და სად ყოველივე ის, რაც ამ მდუმარე ოთახებში ნახეს!

შემდეგ კოსტია და ვასია კიდევ დიდხანს ფიქრობდნენ პირქუშ და საზარელ წარსულზე. რომელიც მხოლოდ მოხუცებმა იცოდნენ, რომელიც მხოლოდ მათ ახსოვდათ...

ბიჭებმა ვერც შეამჩნიეს, ისე მივიდნენ ქალაქის გარეუბანში და დამრეც ფერდობზე ამავალ დატკეპნილ გზაზე გადაუხვიეს. წინ ფიცრის ჭიშკარი დახვდათ, მაგრამ იგი ღია იყო. ჭიშკარში შევიდნენ თუ არა, მზიან, ოდნავ შემწვანებულ ბაღში აღმოჩნდნენ.

კოსტიას თვალები გაუბრწყინდა:

— პატივცემულო დირექტორო, ნეტა სადა ვართ? ლისავენკოსთან?

— მაშ, — მიუგო დირექტორმა. — ლისავენკოსთან, ტატანაკოვის ხევში ვართ.

ბიჭებს მუზეუმი გადაავიწყდათ. კოსტიას გული აუჩქროლა ბაღში დასადგურებულმა სიხარულმა, მიწიდან მაღლა ამავალმა თბილმა ოხშივარმა, მზიურმა სიწყნარემ და აქოჩრილი ხეების, ბუჩქების, ბალახების თითქმის თვალნათლივმა, გაღვიძებულმა ჩუმმა სიცოცხლემ...

ფერდობზე, ზედ დამრეცი მთის წვერომდე, მაღლა აწვდილი ალვის ხეების მწკრივი — ცივი ქარების საფარი — მიიწევდა. ხეების გამოკვეთილი, სწორი რიგები დიდ მანძილზე შემორიგებოდა ფერდობებს. გაფაფრულ შპალერებად იდგა ურიცხვი ბუჩქი. თვალის მისაწვდენზე ყველგან შავად ისახებოდა ხეების გარშემო შემობარული წრეები და კვლებით დახაზული რომელიღაც ნარგავების პლანტაციები.

გზისპირას გაშენებული, ახლად შემწვანებული ბუჩქების მარჯვნიდან და მარცხნიდან პატარ-პატარა სახლები იცქირებოდნენ. კოსტია ცდილობდა გამოეცნო, რომელ მათგანში შევიდოდნენ, მაგრამ დირექტორი არსაით არ უხვევდა, ყველაზე დიდი, ორსართულიანი სახლისკენ მიემართებოდა, რომელსაც მოჩუქურთმებული აივანი ამშვენებდა.

— ლისავენკო აქ ცხოვრობს? — ხმადაბლა იკითხა მანჟინმა.

— არა, — მიუგო დირექტორმა. — აი, იქ, ძველ სახლში. იმ სახლს უკვე ჩავუარეთ. აგერ, ბუჩქების მიღმა „ყვავის ბუდის“ მუქი სახურავი ჩანს. ლისავენკო ასე ეძახის თავის სახლს.

— აქ რაღაა?

— აბა, წაიკითხე, რა წერია დაფაზე?

დიდი სახლის კარზე კვადრატული დაფა ბზინავდა. მანჟინმა და კოსტიამ ერთხმად წაიკითხეს: „გორნო-ალტაისკის მ. ა. ლისავენკოს სახელობის ხილკენკროვანთა საცდელი სადგური“.

— ა-ა, — მიხვდა კოსტია. — აქ სამეცნიერო კაბინეტებია!

სახლის მახლობლად მუშები ბარავდნენ და მიწას რკინის საცრით ცრიდნენ. კოსტიამ მასწავლებელს შეხედა.

— ამას რისთვის აკეთებენ, პატივცემულო დირექტორო?

— ყვავილნარებისთვის. აქ შარშან ივლისში შემოვიარე და ნეტა გენახათ, როგორ ჰყვაოდა ყველაფერი. ამ ადგილას, კიბესთან თეთრი, წითელი და ყვითელი ვარდები იყო, ცოტა ქვემოთ კი ვეებერ ტყის ყაყაჩოები. მახსოვს, მახსოვს წვიმას მცირე ხნის წინ გადაევლო. ტყის ყაყაჩოების ყვავილები წვიმისგან დამძიმებულიყვნენ, ძირს დახრილიყვნენ და გეგონებოდა, გაზონზე უზარმაზარი ვარდისფერი თაიგული დევსო!..

კოსტიას თვალები აენთო:

— ჩვენც რომ მოგვცა, ჰა, პატივცემულო დირექტორო?

— ჩვენც დავრგავთ, — მიუგო დირექტორმა. — ყველაფერს დავრგავთ!.. ახლა კი, აქ დამიცადეთ, მე სადგურის მნესთან შევივლი.

დირექტორი ხის საფეხურებს აჰყვა და სახლში შევიდა. კოსტია და მანჟინი გზის პირას იდგნენ და ცნობისმოყვარეობით იცქირებოდნენ აქეთ-იქით.

— შეხე, ეს რა ხეა? — იკითხა კოსტიამ და მის თავზე გადმოხრილ წვრილ ტოტებს ხელი შეახო.

— ტირიფი ხომ არაა? — შეეხმიანა მანჟინი.

— ტირიფი? მერედა ასე თეთრი რატომაა?

— იქნებ ობი გაუჩნდა?

ერთმა ახალგაზრდა მუშამ ჩაიცინა:

— ობი! აბა, რას არ მოიგონებენ. ხე კი, რა თქმა უნდა, ტირიფია, კურაის ტირიფი. ლისავენკომ კურაის ტრამალიდან მოიტანა. მისი ტოტებისგან კალათებს წნავენ. შეხედეთ, როგორი ტოტები აქვს: წვრილები, მოქნილები, შენს ნებაზე მოხრი, შეიძლება განასკვო კიდეც. მათ კანაფის მაგივრადაც ვხმარობთ. თქვენ კი ობიო, გაიძახით. რა ახირებული ხალხი ხართ!

— მანჟინ, მოდი, ჩვენც დავრგოთ, ჰა? — ცოცხლად თქვა კოსტიამ. — ხედავ, რა ხე ყოფილა!

— ბალში რომ გაიაროთ, ბევრ სხვა საინტერესო ხესაც ნახავთ, — შეეხმიანა ბიჭებს მეორე მუშა. — თვალები აგიჭრელდებათ და დასარგავი მცენარეების შერჩევა გაგიჭირდებათ!

კოსტიამ და მანჟინმა ერთმანეთს გადახედეს:

— კარგი იქნებოდა. გაგვევლო!

ამ დროს პარმაღზე ანატოლი მასწავლებელი გამოჩნდა. მასთან ერთად გამოვიდა სადგურის მნე. ვამხდარი კაცი.

ანატოლი მასწავლებელმა თითქოს ბიჭებს მიუხვდაო, თქვა:

— ბავშვებო, მე სადგურის მნეს გავყევი ნერგების შესარჩევად, თქვენ კი მანამდე ბალი დაათვალიერეთ, სადგურის მნე ნებას გაძლევთ.

— ორანჟერეაში ნინაა და დაუძახეთ, იგი გაგიღებათ, — დაურთო მნემ მასწავლებლის ნათქვამს.

— იცოდეთ, ბუზებს თვლა არ დაიწყოთ. თვალი და ყური გააძვირეთ. — უთხრა ნასვლისას ბიჭებს ანატოლი მასწავლებელმა

მნე და ანატოლი მასწავლებელი წავიდნენ. კოსტიამ და მანჟინ-
შეცბუნებით მიმოიხედეს: „სადაა ორანჟერეა? ვინაა ნინა?“

— ოჰ, რა ხალხი ხართ! — გაეცინა ახალგაზრდა მუშას, რომელმაც მათ კურაის ტირიფის ამბავი მოუყვა. — ბოჩოლებივით დგახართ და ფეხის გადადგმა გეშინიათ! აგერ, ბუჩქებში, გრძელი დაბალი სახურავი ჩანს. იქაა ორანჟერეა. კარი შეაღეთ და ნინა-თვნ დაიყვირეთ. ჰოდა, გამოვა. ნინა ჩვენი მეყვავილე-პრაქტიკანტია. აჰა, თვითონ მორბის... ნინა! ნინა! — გასძახა მუშამ. — აქეთ მოდი, შენ გკითხულობენ.

ნინა წითელლოყება, ქერათმიანი გოგონა იყო. ცისფერი ზედატანის სახელოები აეკაპიწებინა. ბიჭებს სერიოზული, ნაცრისფერი თვალები შეავლო და, თუმცა თვითონ ოდნავ მაღალი ჩანდა კოსტიაზე, ზვიადად იკითხა:

— რა გნებავთ, ყმაწვილებო?

როცა გაიგო, ბიჭებს ბაღის დათვალიერება უნდათო, უმალ გამოცოცხლდა. მიწით მოსვრილი ხელები ბალახზე შეიხოცა, თავი ასწია და სტუმრებს უთხრა:

— წავიდეთ. მაგრამ საიდან დავიწყო, აღარ ვიცი. კარგი, რასაც გზაზე ვნახავთ, იმაზე გიამბობთ. წავიდეთ.

გაუყვნენ ტოტების სიფრიფანა ჩრდილებით აპრელებულ ბილიკს.

— აი, ჩვენ ხეობაში მივდივართ, ირგვლივ ბაღია, — დაიწყო ნინამ. — ამ ფერდობზეც ბაღია, იმ ფერდობზეც ვაშლები, მსხლები, ქლიავები, ათასგვარი კენკროვანია... ტატანაკოვის მთელი ხეობა ბაღებითაა მოფენილი. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ მიდამოებში არც ერთი ხე არ დგას, რომ ეს ფერდობები გათელილი, გადახრუკული ბალახითაა დაფარული, საქონელი დაეხეტება, ხეობაში მტვრიანი ბილიკი მიიკლაკნება და ადამიანს მხოლოდ ერთი რამ — მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადული უხარებს გულს... წარმოიდგინეთ?

— მე ვერა! — გაეცინა კოსტიას და მანჟინს გადახედა. — შენ?

მანჟინი გაწითლდა და თავი გააქნია:

— აქ რომ ბაღები არ იყო, ამის წარმოდგენა შეუძლებელია!

— ო, ამის წარმოდგენა არ შეგიძლიათ, — განაგრძო ნინამ. — აქ კი სწორედ ასე იყო ყველაფერი, როცა 1933 წელს ლისავენკო ალტაიში ბაღების გასაშენებლად ჩამოვიდა და ოთხი ჰექტარი მიწა გამოუყვეს. მაშინ ამ ადგილებში ხეს ან ბუჩქს ვერ დალანდავდით. მოშიშვლებული ფერდობების მეტი არა ჩანდა რა. ახლა კი ხედავთ, როგორია ეს მიდამო?.. ჰო, სხვათა შორის ყველაფრის ერთბაშად ნახვას ვერ მოახერხებთ. ჩვენთან ამჟამად მარტო სხვადასხვა ნარგავებს ოთხმოც ჰექტარზე მეტი უჭირავს!

ნინა კოსტიას და მანჟინს ბაღში, პლანტაციებში დაატარებდა. უამბობდა, როგორ ცდიდა ლისავენკო სხვადასხვა ჯიშის ხეხილს, როგორ ამყნობდა მათ, როგორ აჯვარებდა, მტვერავდა, ალტაის ხეობების დამახასიათებელ მკაცრ და თავისებურ ჰავას აგუებდა... მრავალი წლის მანძილზე როგორ აგროვებდა და ეძებდა ადგილობრივ კენკროვნებს, ხოლო შემდეგ ცდიდა მათ, აჯვარებდა და ხეხილისა და კენკროვნების ყველაზე გამძლე, საიმედო და მსხმოიარე ჯიშებს მთელ ალტაის მხარეში აგზავნიდა. კარგად შეეგუენ მთის ხეობებს ალტაური ვაშლები: „პეპინ-შაფრანთან“ შეჯვარებული „რანეტი“, „ბელფიორ-ჩინურა“, „ერმაკი — ციმბირის დამპყრობი“... და „რანეტთან“ შეჯვარებული მრავალი სხვა ჯიში. ლისავენკომ დაახლოებით ოცდაათი ათასი ასეთი ჰიბრიდი გამოიყვანა... კენკროვნებიც ახლა ასევე ხარობს საკოლმეურნეო და სასკოლო ბაღებში. განსაკუთრებით კი ადგილობრივი ჯიშებისაგან გამოყვანილი კენკროვნები: ყოლო „ვისლუხა“, მარწყვი „ალტაის აბორიგენი“, ხურტკმელი „ალტაის ინდუსტრია“. ხურტკმელის ახალი ჯიში „მიჩურინელი“ თვითონ ლისავენკომ გამოიყვანა.

ამ წლების მანძილზე საცდელ სადგურში ხილკენკროვანთა დაახლოებით ორი ათას სახეობას და ჯიშს სწავლობდენ. შავი მოცხარის მხოლოდ ერთი სახეობა ოთხი ადგილიდან მოიტანეს — მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროზე აგროვებდნენ მას. ახლა რამდენი თესლით ამოსული მოცხარი და რამდენი მისი ნერგი გაახარეს და დაუგზავნეს მთელ მხარეში მებაღეებსა და ნორჩ ნატურალისტებს, ვინ მოთვლის! ყოველ გაზაფხულ-შემოდგომაზე იმდენი ნერგის თუ თესლის გაგზავნა უხდებათ, საქმეს პირდაპირ ვერ აუდიან. მებაღეებს ვაშლებიც სჭირდებათ, ქლიავებიც, ლისავენკოს კარტოფი-

ლიც — ალტაური „ალისფერი ღვინი“, ბოსტნეულიცა და ყვავილებიც!.. ყველაფერი აქედან მიაქვთ: აქ საიმედო ჯიშებს შეგირჩევენ. ილოცავენ, ამა თუ იმ ადგილას კერძოდ რომელი ჯიში ივარგებს. გასწავლიან, როგორ დარგოთ, მოუაროთ. დაგეხმარებიან, თუ საქმე გაგიფუჭდათ და გაუხარდებათ, თუ ყველაფერი კარგად აგეწყოთ.

— რა გგონიათ, ვინ გამოგზავნა ალტაიში ლისავენკო? — თქვა ნინამ სიამაყით. — თვითონ მიჩურინმა! მიჩურინმა უთხრა: ციმბირის მკაცრი ბუნება უნდა დავამარცხოთ, ალტაი ციმბირის მებაღეობის მარგალიტად უნდა ვაქციოთო. ჰოდა, ლისავენკომ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სადგურს. ორი წლის შემდეგ კი მიჩურინთან წავიდა რჩევის საკითხავად. ძალიან უჭირდა მაშინ ლისავენკოს, არავის სჯეროდა, რომ ალტაიში ვაშლი გაიხარებდა, ფულს არავინ აძლევდა... იცინოდნენ კიდეც: ვის გაუგონია ალტაიში ვაშლი, ჩვენი ვაშლი კარტოფილიაო! მაგრამ მიჩურინმა ლისავენკო გაამხნევა: უკან არ დაიხიო, შენს საქმეს ბოლომდე მიჰყეო. ლისავენკოც დაბრუნდა ტატანაკოვის ხეობაში და საქმეს უფრო მტკიცედ შეეჭიდა. შემდეგ მიჩურინი მასზე წერდა: „ლისავენკო საფუძველს უყრის ალტაის მებაღეობას“. აი, როგორი კაცია ჩვენი ლისავენკო! გაიგეთ?

— გავიგეთ, — თავი დაუქნია მანჟინმა გოგონას.

კოსტიამ კი ჰკითხა:

— მას ხომ ორდენი აქვს?

ნინამ მხრები ოდნავ აიწურა და მიუგო:

— მაშ! შრომის წითელი დროშის ორდენიცა აქვს და „საპატიო ნიშნისაც“, მედალიც „შრომითი მამაცობისათვის“, აგრეთვე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიდი ვერცხლის მედალი! აბა, რა გეგონათ?

ნორჩი ნატურალისტები გაოცებულნი დაეხეტებოდნენ ბაღის ფერდობებსა და ბილიკებზე, აქ კიდევ ბევრი გაუგონარი სახელწოდების უჩვეულო ხე და ბუჩქი ნახეს. მაგალითად: იაპონური გრაკლა, პენსილვანიური იფანი, ყირიმული ფიჭვი, შორეული აღმოსავლეთის ზღვისპირეთის კორპის ხე.

— ამას შეხედეთ! — მოუხმო ბიჭებს ნინამ და დაბალი, მაგ-

რამ ძალიან ხშირტოტებიანი ბუჩქნარი უჩვენა. — აბა, გამოიცანით, რა არის?

— ფოთლები რომ ჰქოხდეს, გამოვიცანობდი! — ძიუგო კოსტიამ. — მარტო კვირტები აქვს და...

— ვერც ფოთლებიანს გამოიცნობდი! — შეაწყვეტინა ნინამ. — თქვენთან კატუნზე ასეთი მცენარეები არაა. ეს შავი ცირცელია.

— შავი? — გაუკვირდა მანჟინს.

— ჰო, შავი. მისი ნაყოფი სულ შავია, თან ძალიან მსხვილი და ტკბილი, ოღონდ ცოტათი მწკლარტეა, სამაგიეროდ ამ ნაყოფისგან გემრიელ მურაბას აკეთებენ. შავი ცირცელი ისე იხუნძლება, ტოტები ეღუნება ხოლმე.

კოსტიამ და მანჟინმა ისევ გადახედეს ერთმანეთს.

— ნეტავ ჩვენც მოგვცა, ჰა?

— ურიგო არ იქნებოდა.

— თქვენ სულ ასე გაიძახით, — გაეცინა ნინას. — ადექით და დარგეთ, ნერგები გვაქვს.

მანჟინმა კოსტიას ოდნავ წაჰკრა ხელი იდაყვქვემოთ.

— ეს ვინ არის?

შემწვანებული მოცხარის ბუჩქებს შორის ტანდაბალი, მხარბეჭიანი კაცი მოაბიჯებდა. აუჩქარებლად მოდიოდა, ბუჩქებს აკვირდებოდა. ზოგიერთ ბუჩქთან ჩერდებოდა, მსუბუქად ახებდა ხელს ბუსუსებიან ტოტებს.

ნინამ შეამჩნია, რომ ყმაწვილები ფერდობს მისჩერებოდნენ, ისიც შებრუნდა და უცებ წელში გასწორდა, ნაცრისფერი თვალები გაუბრწყინდა:

— ისაა!

კოსტიამ სული მოითქვა. აგერ თვით ლისავენკო მოაბიჯებდა თავის დიდ ბაღში!

ლისავენკომ ბავშვები დაინახა და აუჩქარებლად გამოსწია მათკენ. ყმაწვილები ცოტათი დაფრთხნენ, მანჟინი შეუმჩნევლად ამოეფარა ამხანაგის ზურგს.

— სტუმრებია? — იკითხა ლისავენკომ. — ნორჩი ნატურალისტები?

— ნორჩი ნატურალისტები ნერგების წასაღებად ჩამოვიდნენ. — ძიუგო ნინამ. — ბაღს ვათვალიერებინებ.

კოსტიამ ლისავენკოს შეხედა. ლისავენკოს ახალგაზრდული, ნაცხოებარე, ოდნავ ემშაკური თვალები მას დიდი სათვალიდან უღიმოდნენ. კოსტია ერთბაშად გაახალისა ამ მზერამ. სწრაფად მოიძრო კეპი და სახეაწითლებულმა თქვა:

— გამარჯობათ, პატივცემულო მიხეილ!

— გამარჯობათ პატივცემულო მიხეილ! — გაიმეორა მანჟინმა კოსტიას მხარეკან და მანაც მოიხადა ქუდი.

— გაგიმარჯოთ. — უპასუხა მათ ლისავენკომ. — ნერგებისთვის ჩამოხვედით? რის დარგვას აპირებთ?

მანჟინმა კოსტიას უკნიდან უბიძგა — შენ უპასუხეო. ლისავენკოს ალერსიანი ხმითა და საქმიანი კილოთი გამხნევებულმა კოსტიამ თამამად მიუგო:

— ვაშლის დარგვას ვაპირებთ, ალუბლებიც გვინდა დავრგოთ. ჰო, იმასაც ამბობენ, რომ ჩვენთან „ვიქტორია" კარგად ხარობს.

— მერედა სად დარგავთ?

— კატუნზე. მანჟეროკის მახლობლად.

— კეთილი. ჯიშები უნდა შეგირჩიოთ. მარტონი ჩამოხვედით?

— არა, ჩვენი დირექტორი აქაა. მნეს გაჰყვა ნერგებისათვის.

— ნინა. — მიმართა ქალიშვილს ლისავენკომ. — ჩვენებს უთხარით, კარგი, ღონიერი ნერგები შეარჩიონ. ესენი ხომ ნორჩი ნატურალისტები არიან!

ნინამ თავი დაუქნია:

— კი, ბატონო.

— თქვენ კი, ყმაწვილებო, წარმატებებს გისურვებთ. — უთხრა ბიჭებს ლისავენკომ და კოსტიას მხარზე ხელი მოუთათუნა. — გაამენეთ ბაღი. შემოდგომაზე გესტუმრებით, ვნახავ, რა ვექნებათ გაკეთებული.

— მართლა გვესტუმრებით? — ჰკითხა კოსტიამ.

— მართლა. აუცილებლად ჩამოვალ.

ლისავენკო ბიჭებს დაემშვიდობა და ფერდობს გაუყვა. კოსტია და მანჟინი მანამ გაჰყურებდნენ უკან, ვიდრე იგი ბუჩქებისა და ხეების ნაზ სიმწვანეში თვალს არ მიეფარა.

— რამ გაგახეკათ? — გაეცინა ნინას. — წავიდეთ, ნერგები შევარჩიოთ!

— ჰო-ო... — ჩააგრძელა მანჟინმა და ქუდი ფაიხორა. — მთლად უბრალო კაცია! მთლად უბრალო.

— არ გვესტუმრება. — ამოიოხრა კოსტიამ. — ყველას რომ ესტუმროს...

— გესტუმრებათ, აი, ხახავთ! — შეესიტყვა ნინა. — ნორჩი ნატურალისტები უყვარს. მათ ყოველთვის საუკეთესო ნერგებს აძლევს. გესტუმრებათ! ანოსინის სკოლასაც ესტუმრა და ჩერგშიც იყო. ჩერგში თვითონ დარგო ვაშლი — „ქარვა".

— მანჟინ, წადი პუნქტში, მე კი ცოტა ხანს კიდევ გავივლი ბაღში. — სთხოვა კოსტიამ ამხანაგს. — მინდა ეს ვაშლები ახლოს ვნახო. თუ საჭირო ვიქნე, დამიძახე... კარგი?

— კარგი, — დაეთანხმა მანჟინი.

ნინა და მანჟინი წავიდნენ. კოსტია კი იმ ფერდობზე დაბრუნდა. სადაც ვაშლების გრძელი და მწყობრი რიგები ჩამწკრივებულიყო. ჩიტები თავიანთ საგაზაფხულო სიმღერებს გალობდნენ. შორიდან მუშების ლაპარაკი, ქალიშვილის კისკისი ისმოდა... მაგრამ კოსტიას ეჩვენებოდა, რომ ამ ნათელ. მზით. სიხარულით სავსე ბაღში მარტო იყო და იგი ჯერ კიდევ შიშველ. კვირტებდაბერილ ვაშლებს შორის დაეხეტებოდა

„რა სანახავი იქნება აქაურობა, როცა ესენი აყვავდებიან! — გაიფიქრა კოსტიამ. — ეჰ. ნეტავ მაჩვენა!"

და უცებ ყოველი მხრიდან დაცულ წყნარ ხევში ზედ მზის გულზე დაინახა საოცრება — ტოტებგაშლილი ერთიანად თეთრი, ერთიანად ვარდისფერი პატარა ხე, რომელიც საამო სურნელს აფრქვევდა. კოსტია სუნთქვაშეკრული მიუახლოვდა. ცინცხალი, სპეტაკი ყვავილები თითქოს მის მიახლოებაზე იშლებოდნენ. ყვავილებს შორის ჯერ კიდევ გაუშლელი ვარდისფერი კოკრები აბზეკილიყვნენ და მათ სითეთრეს სხვა ელფერს მატებდნენ. ხე უძრავად, საზეიმოდ მორთული იდგა — არც ერთი ტოტი არ ერხეოდა, არ თრთოდა, თითქოს ეშინოდა, თუნდაც ერთი თეთრ-ვარდისფერი ფურცელი ჩამოვარდნოდა.

„ნეტავ ჩეჩეკს ანახა!.. — გაიფიქრა კოსტიამ. — აცეკვდებოდა კიდევაც!"

კოსტია დიდხანს იდგა ვაშლის წინ, უცქეროდა და მის ნაზ სურნელს ისუნთქავდა...

„ვაშლები ჩვენთანაც აყვავდება. დღეს და ხიალ არა, მაგრამ მაიხც აყვავდება". — გადაწყვიტა მან.

უცებ ჯადოსნური ბოჩვენება ეჩვენა: ალტაის ძოების მდუმარე კონუსებს შუა თეთრ-ვარდისფერი ბაღები იყო, რომლებიც უფრო და უფრო შორს, უფრო და უფრო მაღლა მიიწევდნენ მაღალ-მთიანი ხეობების სიღრმეში...

და თითქოს ფიცარით გაიმეორა:

— დიახ, აყვავდება!

შორიდან მანქანის ხმა მოისმა.

უნდა დავბრუნდე! ხის გარშემო შემობარულ შავ მიწაზე კოსტიამ ყვავილის ფურცელი დაინახა, ერთადერთი ფურცელი, რომელიც ვაშლს დავარდნოდა. დასწვდა, კომკავშირის ბილეთი ამოიღო, მის გარეკანსა და ბუდეს შუა ჩადო და უკვე მესამეჯერ (ახლა ხელში კომკავშირის ბილეთი ეჭირა) თქვა:

— დიახ, აყვავდება!

რა მოხდა გადასასვლელზე

ღამით კატუნი ახმაურდა. სადღაც სათავეში ღვართქაფი ყოფილიყო და მდინარე აბობოქრდა.

დილით გადასასვლელთან ყველაზე ადრე ჩეჩეკმა და მაია ვილისოვამ მიირბინეს: ხომ არ მოდიან ჩვენები გორნო-ალტაისკიდან, გაღმა მანქანა ხომ არ დგასო?

— ჩეჩეკ... ჩეჩეკ... — დაბნეულად თქვა უცებ მაიამ. — ერთი შეხედე. საღლაა ტივი?

ჩეჩეკი სხარტად შემობრუნდა:

— ოჰ! ტივი არ ჩანს!..

ტივი არ ჩანდა. მობობოქრე მომწვანო-თეთრი წყლის ზემოთ შავი ზონარივით ეკიდა ბაგირი. ხოლო ნაგლეჯი მეორე ბაგირისა, რომელსაც ტივი მიჰყვებოდა, უმწეოდ ირწეოდა ტალღებზე.

მოის ძირას მოხუცი მეტივე, ალტაელი ვასილი გამოჩნდა. ჩეჩეკი მისკენ გაქანდა.

— ძია ვასილ, ტივი სადაა? რა მოხდა, ჩაიძირა? — გასძახა გოგონამ.

— მოგლიჯა, — მიუგო ვასილიმ.

მაიამაც მიირბინა მასთან:

— როგორ მოგლიჯა? როდის?

— ღამით. კატუნი აბობოქრდა და ტივი მოგლიჯა.

— რა გვეშველება, ძია ვასილი? დღეს ხომ გორნო-ალტაისკიდან ანატოლი მასწავლებელი და ჩვენი ბიჭები ჩამოვლენ! რა უნდა ქნან, გაღმა იცხოვრონ?

— გაღმა რად უნდა იცხოვრონ? — გულგრილად მიუგო მეტივემ. — ტივი მანჟეროკთან გაიხირა. ამოვათრევთ.

— როდის ამოათრევთ?

— როცა შევძლებთ. სამი, ოთხი, ხუთი დღის შემდეგ ამოვათრევთ.

— მერედა ჩვენები გაღმა იცხოვრებენ?

— იცხოვრონ რა. ახალ ამბებს გაიგებენ და შემდეგ ჩვენ გვიამბობენ...

როცა რომელიმე მგზავრი შორიდან ბრუნდებოდა, მეტივე პირველად ამას ეკითხებოდა:

— ტაბიშ-ბარ ბა? (ახალს რას გვეტყ

თან განზე იყურებოდა და ჩიბუხს პიოიდან არ იღებდა, თავს ისე იჭერდა, თითქოს ახალი ამბები სულაც არ აინტერესებდა, ხოლო თუ კითხულობდა, ზრდილობის გამო კითხულობდა. მთელ იმ არემარეში კი ყველამ იცოდა, რომ გაგიჟებით უყვარდა ახალი ამბების მოსმენა.

— ოჰ, ჩეჩეკ! — თქვა მაიამ მღელვარებით. — ტივი განგებ ხომ არ გაუშვა, რომ ჩვენებს იქ რაც შეიძლება ბევრი ახალი ამბავი შეეტყოთ? ისინი კი საცაა მოვლენ, ბაღს ჩამოიტანენ. რა ვქნათ?

— ჩქარა! — იყვირა ჩეჩეკმა. — ჩქარა მარფა მასწავლებელს ვუთხრათ! აჰ! აჰ! ვაშლები გაღმა დარჩება და სულ დაკარგება!

კვირა დღე იყო. მაგრამ ბავშვები უკვე სკოლასთან ირეოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, ისხდნენ პარმაღზე, ბაღში ორმოებს ასწორებდნენ, სარებს თლიდნენ ნერგებისათვის... ხან ერთი, ხან მეორე ჩეინეშ-კაიას მწვანე შვერილზე ადიოდა და კატუნის გაღმა იყურებოდა — მანქანა ხომ არ მოჩანსო, თუმცა მარფა მასწავლებელმა თქვა, წასულები გორნო-ალტაისკიდან შუადღეზე ადრე ვერანაირად ვერ ჩამოვლენო.

მარფა მასწავლებელი თეორ პატარა ქოხში ცხოვრობდა სკოლის ეზოს სიღრმეში. აქოშინებული ჩეჩეკი და მაია ეზოში შეცვივდნენ და მათმა ნათქვამმა ორმა სიტყვამ — „ტივი ძოგლიჯა“ — უძალ ააფოროიაკა წყნარად მომლოდინე ბავშვები.

ბავშვებმა თავიანთი საქმე მიატოვეს და ჯგროდ გაქანდნენ გადასასვლელისკენ. მარფა მასწავლებელიც გამოვარდა თავისი ქოხიდან. თავსაფარი წაიკრა და ნაპირისკენ გაუჩქარა. მოირბინა უფროსმა პიონერსელმძღვანელმა ნასტიამ, ბუნებისმეტყველების ახალგაზრდა მასწავლებელმა. ანა მასწავლებელმა...

ყველანი ნაპირზე იდგნენ და გასცქეროდნენ წყალში დასეილებულ ბაგირის ნაგლეჯს, მათ წინ მოპობოქრე, აქაფებულ მდინარეს...

— ნეტავი ნავი მოგვცა... — თქვა ვიღაცამ.

— ნავი?.. მერედა სად ვიშოვოთ?

— უნდა გაგვეკეთებინა და გვექნებოდა...

— უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ უცებ ხომ ვერ გააკეთებ.

— ნავი ასკატშია! — გაახსენდა ანა მასწავლებელს.

— ბიისკში გემებიცაა... — დაურთო ფიზკულტურის მასწავლებელმა: იგი ბექზე იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი.

ანა მასწავლებელი გაწითლდა, მაგრამ მას მარფა მასწავლებელი გამოექომაგა:

— ასკატი ბიისკზე ცოტა უფრო ახლოსაა, მაგრამ ისიც, რა თქმა უნდა. შორსაა — სამ კილომეტრზეა...

მარფა მასწავლებელთან მეშვიდეკლასელი ლონიერი, ჯმუხი ყმაწვილი ფედია შუმილინი მივიდა და უთხრა:

— მარფა მასწავლებელო, ასკატში რომ მივირბინოთ, ნავს მოგვცემენ?

— თუ ვთხოვთ მოგვცემენ. მაგრამ მხრებით მოგვიწევს მისი ამოტანა. მდინარეს ხომ ალბა ვერ ამოვცურავთ! ნავის ამოტანას კი მკლავმაგარი ბიჭები სჭირდება. სადაც ქვიანი ადგილები არაა, შეიძლება მიწაზე ვათრიოთ.

— წავალთ და ამოვიტანთ! — თქვა ფედიამ. — ჰა, ბიჭებო?..

— რა თქმა უნდა, ამოვიტანთ! — შეეხმიანა რამდენიმე ბიჭი. — სამი კილომეტრი რაა? წავიდეთ, ბიჭებო! ჩქარა წავიდეთ, თორემ შეიძლება უცებ ჩვენები მოვიდნენ!

ნავის წამოღება თხუთმეტმა ყმაწვილმა ითავა, მაგრამ მათგან ყველაზე ღონიერი ექვსი ბიჭი შეარჩიეს. ბიჭებმა მაშინვე გასწიეს ასკატისკენ. მდინარის პირას მიმავალ ბილიკს დაუყვნენ.

იმ დღეს ძალიან ღელავდნენ ყველანი. მოსწავლეები ხან გადასასვლელისკენ გარბოდნენ — ჩვენი მანქანა ხომ არ მოვიდაო, ხან გორაკზე ადიოდნენ — ასკატიდან ნავი ხომ არ მოაქვთო. ხან ისევ ბარს ჰკიდებდნენ ხელს — ვიღაცას მოეჩვენა, თითქოს ორმოები უსწორმასწორო იყო. ხან ხელახლა ითვლიდნენ სარებს და ახლებს თლიდნენ — ხომ შეიძლება რომელიმე გატყდესო!

მოშუადღევდა. ტექნიკურმა მუშაკმა ქრისტინამ ინტერნატის მოსწავლეებს სადილზე მოუხმო. არავის უნდოდა წასვლა, მაგრამ ბავშვებს მარფა მასწავლებელმა დაუცაცხანა და ინტერნატის ყველა მოსწავლე, შორეული სოფლებიდან ჩამოსული გოგო-ბიჭები, რომლებიც სკოლაში ცხოვრობდნენ, იძულებულნი გახდნენ, სასადილოდ გაქცეულიყვნენ.

— ჩეჩეკი სადღაა? — მიმოიხედა მაიამ. — გოგოებო, ჩეჩეკი არ გინახავთ?

— ალბათ ყველას გაგვასწრო, — თქვა კოროლკოვამ.

ჩეჩეკი ამ დროს ჩეიხეშ-კაიას კლდოვან კედელზე შვერილიდან შვერილზე მიცოცავდა. გრემუჩისკენ რომ წასულიყო, გადასასვლელს დაინახავდა, სამაგიეროდ აქედან ასკატიდან მომავალი ბილიკი არ ჩანდა. თუ ბაღის უკან ლოდზე ავიდოდა, ბილიკი გამოჩნდებოდა, გადასასვლელს კი სახურავები ეფარებოდა.

ჩეჩეკმა ვეება კლდის წწვანე შვერილზე შეყუჟულ პირველ არყის ხემდე მიაღწია, დაჯდა, თეთრ ზროს ხელები მოხვია და გაიღიმა: აქედან ბილიკიც ჩანდა და გადასასვლელიც!

„ციყვი!“ — გაახსენდა როგორ ეძახდა კოსტია. — ახლა რომ კოსტიას დავენახე, ალბათ ისევ მეტყოდა. ეჰ, შე ციყვო, — გაეღიმა გოგონას.

ჩეიხეშ-კაიას კლდოვან ნაოჭებში პაწია ნაკადულები ჩამორბოდნენ. მაღლა და მაღლა არყის ხეები შეფენილიყო. ქვების თავზე თაგვის ცერცველა მაქმანისებრ ფოთლებს არხევდა. ზედ გოგონას თვალწინ ქვებშუა პატარა ცხვირსატეხელას ამოეყო თავი და თითქოს სახეში შემოსცქეროდა. ჩეჩეკმა ლოყა მიაკრა არყის ხის გრილ, ატლასისებურ ქერქს და წვრილი ხმით ამღერდა:

მწვანე ბალახზე ვზიავარ.
ბალახი იზრდება ქვებზე.
კენსკენი მოვა მალე
და ვაშლებს ჩამოგვიტანს.

მანქანა მოქრის გზაზე.
რკინის რაშიეით მოქრის,
მანქანას მოაქვს ბაღი,
ვაშლები მოაქვს ჩვენთვის...

მანქანას ვაშლები მოაქვს,
ჩვენთვის სიხარული მოაქვს.
ვაშლებით სავსეა ძარა,
თეთრი ყვავილებით სავსე!..

ჩეჩეკი თვალს არ აშორებდა მდინარის გალმა გაწოლილ შარაგზას. შარაგზაზე არავინ ჩანდა და სიწყნარე იდგა.

შემდეგ ჩეჩეკმა ასკატის ბილიკს გახედა და შეამჩნია, რომ ბუჩქებშუა ვიღაცები მოდიოდნენ. გოგონა წამოიწია, არყის ხეს მოეჭიდა და იმ მხარეს გადაიწია. ქვემოთ მართლა მოდიოდნენ ვიღაცეები. ერთი წუთის შემდეგ გოგონა ქვევით დაეშვა. აჩქარებით მოფოფხავდა, ცურდებოდა და მუხლები ეტყავებოდა. მალე ბუჩქებშუა ასკატის ნავის ცისფერი ქიმი გაკრთა.

ბიჭებმა ნავი ზედ გადასასვლელთან მიათრიეს. დაწითლებული, გამხიარულებული ბავშვები ოფლს იწმენდდნენ და ჰყვებოდნენ, როგორ მოჰქონდათ ნავი: სადაც ქვიანი ადგილი არ იყო, მიწაზე მოათრევდნენ, ხოლო ქვიან ადგილას მხარზე იდებდნენ. ერთხელ კი, ჩარეცხილ ნაპირზე უცებ ფეხი დაუცურდათ და დაეცნენ, ნავიც პირდაპირ მდინარეში ჩაუვარდათ. მაგრამ დროზე სტაცეს ხელი, თორემ ონავარი კატუნი, კაცმა არ აცის, საით გაიტაცებდა.

მალე მთელმა სკოლამ ნაპირზე, გადასასვლელთან მოიყარა თავი: მოვიდნენ მოსწავლეებიც, მასწავლებლებიც და ტექნიკური მუშაკებიც... მოვიდა მათემატიკის მასწავლებელიც. მოირბინა ალიოშა რეპეინიკოვმაც. რომელიც ბოცვერების მოყვანის დღიდან სულ მათ წინ იყო ჩაცუცქული, ელაპარაკებოდა, აქებდა, გალიებს უწმენდდა, გაუშვებდა და ისევ იჭერდა. მოუსვენარი და სულსწრაფი ალიოშა ადგილზე ვერ ჩერდებოდა: დარბოდა ნაპირზე,

მიძირებოდა ვასილის ჯიხურის სახურავზე, რომ მალე დაენახა მანქანა.

— მოდის! მოდის! — იყვირა უცებ ალიოშამ და სახურავიდან კოტრიალით ჩამოგორდა.

ყველა წამოხტა. შარაგზაზე მართლა გამოჩნდა მანქანა, მაგრამ მას არც სვლა შეუნელებია და არც გაჩერებულა. ისევ დასხდნენ ნაპირზე, ალიოშა კი სახურავზე აძვრა. ისხდნენ ბავშვები და წყნარად ბაასობდნენ, ყური გამახვილებული ჰქონდათ, ცდილობდნენ, მდინარის ხმაურში ძრავის თუხთუხი გამოერჩიათ.

მანქანის ხმა პირველად ჩიჩიკმა გაიგონა. წამოხტა, ხელი ასწია და გაირინდა. გაირინდა და მაშინვე დაიყვირა:

— მოდის! მოდის! მოდის!

გაღმა ისევ გამოჩნდა მანქანა. ამჯერად მანქანას არ ჩაუვლია, გაჩერდა. ისევ წამოხტნენ ყველანი.

ბავშვებმა ხელის ქნევა დაიწყეს და კატუნს ერთსულოვანმა ყვირილმა გადაუქროლა:

— ვაშა-ა-ა! ვაშა-ა-ა! ბაღი მოვიდა!

ჯეუხმა ფედია შუმილინმა მაშინვე დაიწყო წყალში ნავის ჩაშვება. ამხანაგებმაც ხელი შეაშველეს. ანდრეი კირგიზოვმა და ვანია პეტუხოვმა ნიჩბებს მოჰკიდეს ხელი, ფედია საჭეს მიუჯდა... ნავმა რწევა დაიწყო და ფედია მთელ ძალ-ღონეს ძაბავდა, რომ საჭე დაემორჩილებინა.

— მოიცათ! მოიცათ! ნავს განა ასე მართავენ? აბა, დამაცადეთ! — ნაპირიდან გაბრაზებით გასძახა ბიჭებს ფიზკულტურის მასწავლებელმა და ფართო ნაბიჯებით დაეშვა წყლისკენ. — უჩემოდ სად მიდიხართ? რატომ არ დამიძახეთ? თქვენ მოერევით ნავს? გაგიჟდით!

ის პირდაპირ წყალში შეთხლაშუნდა თავისი ყვითელი წაღებით, ნავთან მივარდა, ზედ ავიდა და საჭეს სტაცა ხელი. ნავი მაშინვე გასწორდა, თითქოს ოჩანმა ცხენმა პატრონის ხელი იგრძნოო. და აქაფებულ ტალღებზე რწევით ნელა დაიძრა გაღმა ნაპირისკენ.

ეს დღე დღესასწაული იქნებაა

ჩეინეშ-კაიას ძირას ძთელი დღე არ შეუწყდარა ლაპარაკი:

— ანატოლი მასწავლებელო, კარგად ვრგავ?

— ანატოლი მასწავლებელო, ეს რომელი ჯიშია — „რანეტი?"

— ანატოლი მასწავლებელო, „პეპინ-შაფრანი" როგორი ვაშლია?

— ჩემს ნერგს ძალიან გრძელი ფესვები აქვს, ორმოში არ ეტევა!..

ოფლით შუბლდაცვარული, ხელებდაკაპიწებული ანატოლი მასწავლებელი, რომელსაც უკვე მოესწრო გაზაფხულის მზეზე გარუჯვა. მთელ ნაკვეთზე დაქროდა. ბავშვებს უჩვენებდა, როგორ დაერგოთ, როგორ გაესწორებინათ ფესვები, როგორ მიემაგრებინათ სარებზე ნერგები.. და იქვე უხსნიდა ბავშვებს — „პეპინ-შაფრანი" ძალიან ლამაზი, პრიალა ვაშლია. ამ ნერგებს კი „ერმაკი — ციმბირის დამპყრობი" ჰქვია, ძალიან კარგად ხარობს გადაწვენილი. ხოლო ესენი „ჩინურებია". მათ სულ არ ეშინიათ ყინვის და მაგარი ტოტები აქვთო.

ნასტია ნერგებს არიგებდა. მის გარშემო ბავშვები ირეოდნენ:

— ნასტია, „მეწამული რანეტი" მომეცი, მას წითელი ნაყოფი აქვს.

— მე „პეპინ-შაფრანი" მომეცი.

— მე კი „ერმაკი", „ერმაკი!"

— მე კიდევ „ერმაკიც", „რანეტიცა" და „ქარვაც".

მოსწავლეებს სულ დაავიწყდათ დაღლილობა. ფრთხილად არჩევდნენ ვაშლის ნერგებს, ფესვებთან ხელით უსრესდნენ მიწას. წვრილ, სუსტ ნერგებს ახალ სარებზე აკრავდნენ.

ანატოლი მასწავლებელმა გორნო-ალტაისკიდან ვაშლების გარდა მოცხარის რამდენიმე ათეული და მარწყვ „ვიქტორიას" რამდენიმე ასეული ბუჩქი ჩამოიტანა. ნერგები სასწრაფოდ უნდა დაერგოთ, რომ ფესვები არ გამოშრობოდათ.

მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც მუშაობდნენ: მარფა მასწავლებელი, ანა მასაწვლებელი, ფიზკულტურისა და მათემატიკის მოხუცი მასწავლებელიც...

მთის ძირას მთელი დღე არ შემწყდარა ლაპარაკი და სიცილი.

ვერავინ შეამჩნია. რომ რაღაცით ძალზე ნაწყენი ჩეჩეკი მდუმარედ და უხალისოდ რგავდა თავის ვაშლებს. კოსტიამ კი შეამჩნია:

— რაო, ციყვო, დაიღალე?

— ერთი შენცა! — გაბრაზდა ჩეჩეკი.

— ამას დამიხედეთ, გაბრაზდა! დაიღალე და დაისვენე. რა გაბრაზებს, თუ იცი!

კოსტია წავიდა. ჩეჩეკმა პირქუში მზერა გააყოლა და თავისი მეოთხე ვაშლის ფესვების გასწორება დაიწყო. ყოველ მოსწავლეს ოთხ-ოთხი ნერგი ჰქონდა დასარგავად. ჩეჩეკი ნერგს ფრთხილად აყრიდა მიწას ფესვებზე, ვიდრე მაია ვილისოვას სარი ეჭირა, შემდეგ კი თავისი თბილი ხელებით დიდ ხანს და ალერსიანად უბეკნიდა გარშემო. მაგრამ წვრილი შავი წარბები წინანდებურად ეკმუხნებოდა და ფუნთუსა ტუჩები გაბუსხული ჰქონდა.

შებინდდა და ბავშვები ისევ ბაღში იყვნენ. ვეება, მდუმარე ჩეინეშ-კაია, მწვერვალზე რომ ბანჯგვლიანი გვირგვინი ედო, თითქოს დაიღალა ბავშვების ფაციფუცის ცქერით და ბაღს ცისფერი ჩრდილი გადმოაფარა. მაგრამ ბავშვები კიდევ დიდხანს ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ყღარუნებდა ვედროები — გოგო-ბიჭები კატუნიდან წყალს მოარბენინებდნენ და ნერგებს რწყავდნენ.

სკოლაში ცოტა ვედრო აღმოჩნდა, ყველას არ ყოფნიდა. ჩეჩეკმა შეამჩნია, რომ წყლის მოტანა დიდხანს არ მოუწევდა, სოფელში კოსტიას დედასთან გაიქცა და ბადია სთხოვა. იქიდან მდინარეზე ჩავიდა და წყალი ამოიღო. შემდეგ ბაღისკენ ამავალ ბილიკზე დაბნეულად მიაბიჯებდა. გზადაგზა წყალი ეწუწებოდა. ეწუწებოდა და წითელი ყვავილებით მოჩითული, ჭრელი კაბა უსველდებოდა.

ჩეჩეკი თავის ვაშლებთან მივიდა, ბადია ააყირავა, რომ ნერგებისთვის წყალი დაესხა. უცებ მის ფეხებთან რომელიღაც ცხოველი გასხლტა და კუნელის ხშირ ბუჩქებში შეეარდა.

— ვაი! — იკივლა ჩეჩეკმა და ბადია მოწყვეტით დადგა ძირს. — რა იყო?

ბაღში უეცრად ყვირილით შემოვარდა ანატოლი მასწავლებლის პატარა ვაჟიშვილი საშა.

— ალიოშა! ალიოშა! — იყვირა ძთელი ხმით. — ჩქარა! შენი ბოცვრები გაიქცნენ!

ალიოშა რეპეინიკოვი ბაღიდან გავარდა.

— ნელა! ნელა! — მისძახოდნენ ყოველი მხრიდან. — ვაშლებს უყურე. არ გადატეხო!

ალიოშას არაფერი ესმოდა. იგი ფარდულში შევარდა, სადაც ბოცვრების გალიები იდგა. ერთი გალიის კარი მოღებული იყო. ბოცვერს თურმე კარის წვრილი თოკი გადაეღრღნა და გაქცეულიყო. მას სამი სხვაც მიჰყოლოდა.

სასოწარკვეთილმა ალიოშამ ირგვლივ მიმოიხედა. მარტო მან დაინახა, ბოცვერი ბაღის ღობესთან ბალახს როგორ ჭამდა და გრძელ ყურებს აკანცარებდა. ბოცვერი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ დაცვარულ ბალახზე საღამოს სიგრილეში სირბილი შეეძლო. ალიოშა მიეპარა, თავზე დააცხრა, ხელი სტაცა, გალიაში ჩაკეტა და ისევ ბაღში გამოიქცა:

— ბავშვებო, კიდევ სამი კურდღელი დარბის! უნდა დავიჭიროთ!

— ჩვენს ვაშლებს კანს შემოაღრღნიან! — იყვირეს გოგონებმა. — სულ გააფუჭებენ!

ეს იყო და ალიოშა საყვედურებით აავსეს:

— ამას სულ გაურბის ბოცვრები!

— მებოცვრე ჰქვია, რაღა!

— მარტო აჭმევს და ეფერება, მოვლა კი არ შეუძლია.

ბოცვრები ხან აქ გახტებოდნენ, ხან იქ. ბავშვები უკან დასდევდნენ, ყვიროდნენ და უფრო აფრთხობდნენ. დატრიალდა უბედურებაც: მოუქნელი ანდრეი კოლოსკოვი დაეცა და კატია კირგიზოვას ვაშლი გადატეხა. კატია ცდილობდა გადატეხილი ნერგი წამოეყენებინა, მაგრამ ნერგი ძირს ეცემოდა და კატია ხმამაღლა ტიროდა.

— ჩემი ყველაზე კარგი „პეპინ-შაფრანი“ გადატეხეს!

ორი ბოცვერი დაიჭირეს, მესამეს კი ვერასგზით ვერ მიაგნეს. ალიოშა ყოველი ბუჩქის ქვეშ იცქირებოდა და კითხულობდა:

— აქ ხომ არ გაურბენია? არ გინახავთ?

— მე ვიცი, სადაც ზის ბოცვერი, — წყნარად უთხრა ჩეჩეკმა მაია ვილისოვას.

— სად? — უმალ ჰკითხა მაიამ.

ჩეჩეკმა კუნელის ბუჩქზე ანიშნა თავით.

— იქ გაინაბა.

— მერე რას დუმხარ? — გაუკვირდა მაიას და მაშინვე იყვირა: — ალიოშა, აქეთ! აქ მიმალულა!

ბავშვები ბუჩქს შემოეხვივნენ და ალიოშამ ბოცვერი დაიჭირა.

— მორჩა და გათავდა, ამიერიდან ვეღარ გამეპარებიან! — თქვა მან.

ბავშვებს გაეცინათ:

— რამდენჯერ დაიჭირე, მაგრამ მაინც წამდაუწუმ გარეთ დარბიან!..

ბინდი დგებოდა. ჩეინეშ-კაიას მიღმა ცას სინათლე აკლდებოდა. ბავშვები ნელა, აუჩქარებლად გამოვიდნენ ბაღიდან, ძალიან დაიღალნენ, მაგრამ ძალიან გახალისებულნიც იყვნენ. ყველა ნერგი დაირგო, მოირწყო. ჰოდა, გაიხარონ!

— ეს დღე დიდი დღეა ჩვენს ცხოვრებაში, — უთხრა ბავშვებს გამომშვიდობებისას დირექტორმა. — ჩვენ საძირკველი ჩავუყარეთ ბაღს, პირველ ბაღს ამ არემარეში! დაიმახსოვრეთ დღევანდელი რიცხვი — ოცდაშვიდი აპრილი.

— და ეს დღე ჩვენი ნორჩი ნატურალისტების დღესასწაული იყოს! — კვერი დაუკრა მარფა მასწავლებელმა. — ბაღის დღესასწაული! მომავალში ყოველ წელიწადს ვიზეიმებთ ამ დღეს!

— და არ ვისწავლით? — იყვირა ზარმაცობით ცნობილმა მეექვსეკლასელმა სიომამ.

ყველას გაეცინა.

— სიომამ ოღონდაც არ ისწავლოს და მეტი არა უნდა რა!

— არა, ვისწავლით, სიომა, — ღიმილით მიუგო დირექტორმა. — ამ დღეს კი მოვისმენთ ნორჩი ნატურალისტების მოხსენებებს, აღვნიშნავთ მათ წარმატებებს და ახალ ნერგებს დავრგავთ... თანდათან კოლმეურნეობაშიც გავაშენებთ ბაღს, ყოველ ეზოსიან დავრგავთ ვაშლს, მინდვრებშიც ტყის საცავ ზოლებს გავახარებთ... და კიდევ იმდენი სამუშაო და სიხარული გველის. მგონი, მთელი ჩვენი სიცოცხლე ვერ გასწვდება.

ჩეჩეკმა კოსტიას დედასთან, ევდოკია დეიდასთან მიირბინა და ბადია მიუტანა. ყვითელი კობასი ხტუნვა-ხტუნვით უვლიდა გარშემო და კაბაზე ეტანებოდა, მაგრამ ჩეჩეკმა მოიგერია:

— კარგი, კობას! მომეშვი, თორემ გაჩვენებ სეირს!

— შემოდი, შემოდი, ჩეჩეკ! — ალერსიანად შეხვდა გოგონას დეიდა ევდოკია და ბადია გამოართვა. — ახლავე სინათლეს ავანთებ. ჩვენი კაცები ჯერ არ დაბრუნებულან.

ჩეჩეკი მდუმარედ დაჯდა მერხზე.

— რაო, უგუნებოდ ხარ. თუ დაიღალე? — ჰკითხა დეიდა ევდოკიამ. მან ჩამრთველი ჩართო და ვარდისფერი მოღიმარი სახე და ყურებთან ხვეული ქერა თმის კულულები მკრთალმა სინათლემ გაუშუქა.

— არ დაგღლილვარ, არ დავღლილვარ! — მიუგო ჩეჩეკმა. — კენსკინსაც ჰგონია, რომ დავიღალე! თანაც ფიქრობს, თითქოს ვბრაზობ. მე კი მართლა ვბრაზობ, როცა მატყუებენ! — ჩეჩეკს ხმა აუკანკალდა და მწყრალად შეიკრა წარბები.

— ოჰო? გატყუებენ? — გაუკვირდა დეიდა ევდოკიას. — მერედა ვინ გატყუებს?

— ყველა, ყველა! ანატოლი მასწავლებელიც, კენსკინიც!

— კონსტანტინეც? დაიცა. მოვიდეს ერთი, ვაჩვენებ სეირს!

— მოვედი კიდეც. — გამოსძახა კოსტიამ სამზარეულოდან. იგი ოთახში შემოვიდა და ცოტა არ იყოს გაკვირვებით შეხედა ჩეჩეკს. — კი, მაგრამ რისთვის უნდა მაჩვენოთ სეირი?

— რისთვის! — იყვირა ჩეჩეკმა. — იმისთვის, რომ არ მოიტყუო!

არ მოვიტყუო?..

— დიახ! თითქოსდა არ იცის! თავს იკატუნებს! თქვით, ვაშლებს დავრგავთო და...

უცებ ჩეჩეკი მაგიდას დაეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. კოსტია მოეფერა, ჯერ დედას შეხედა, შემდეგ ისევ ჩეჩეკს:

— მერე რა? ვთქვით, ვაშლებს დავრგავთო და დავრგეთ კიდევაც!..

— დავრგეთ, მაგრამ ესენი ვაშლებია? გგონია, არ ვიცი, როგორია ვაშლები? ვაშლები სულ თეთრი და ვარდისფერი ყვავილებითაა გადაპენტილი. ვფიქრობდი, მთელ მანქანა თეთრ ყვავილებს ჩამოიტანენ-მეთქი, ესენი კი წკნელებია. ფოთლებიც არა აქვთ! რაკი ტაიგიდან ჩამოვედი, გგონია, არაფერი ვიცი? ვიცი!

კოსტიამ ჩაიცინა:

— მაშ, კიდევ იყვირე. მე კი ამასობაში ხელებს დავიბან. — უთხრა ჩეჩეკს და წინკარში ხელსაბანისკენ გასწია.

— ოჰ, ჩეჩეკ! ოჰ, შე საბრალო! ვინ გითხრა, ვაშლები ერთბაშად ჰყავიანო? — სიცილით ჰკითხა დეიდა ევდოკიამ ჩეჩეკს.

— ყველა ამბობდა! ჩვენი გოგოებიც ამბობდნენ, ვაშლებს ვარდისფერი და თეთრი ყვავილები აქვთო. მეც მინახავს სურათებზე... ესენი კი იმათ არა ჰგავთ!

— თქვენი ნერგებიც გამოისხამენ ყვავილებს, მაგრამ უცებ კი არა! ეს წკნელები ხომ ჯერ ვაშლები არაა, ესენი ვაშლის შვილებია!

ჩეჩეკმა ცრემლიანი მაყვალივით შავი თვალები შეავლო:

— მაშ, საიდან იციან მათ, რომ ესენი ვაშლებია? იქნებ ვერხვებია?

— ესენი ხომ ლისავენკოს სადგურში ვაშლის თესლისგან აღმოცენდნენ, ვაშლის თესლისგან განა ვერხვი იზრდება.

დეიდა ევდოკიას გაეცინა, ჩეჩეკმაც გაიღიმა და, როცა ხელებდაბანილი კოსტია ოთახში დაბრუნდა, ჩეჩეკი მერხიდან ჩამოხტა, მიუახლოვდა, თვალებში შეხედა და უთხრა:

— კენსკინ, მითხარი, ოღონდ სიმართლე: ჩვენი ვაშლები გამოისხამს თეთრ ყვავილებს, ჰა, ოდესმე გამოისხამს?

— რა თქმა უნდა, — მიუგო კოსტიამ. — მაშ მოვა დრო და აყვავდებიან. შენ კი მათ პირველ ყვავილს დაინახავ.

— შენ?

— მე ვერა. იმ დროისთვის ჩვენს სკოლაში აღარ ვიქნები... — კოსტიამ ხელით ოდნავ განზე გასწია ჩეჩეკი და დედას ჰკითხა: — მამა რად არ მოდის? გვევახშმა...

— ახლავე გავშლი სუფრას...—მიუგო დედამ. — დაჯექი ჩეჩეკ!

ჩეჩეკი მაგიდას მიუჯდა და დაფიქრებით გახედა კოსტიას: გაისად კოსტია აქ არ იქნებაო, გაივლო გულში. კოსტიამ კი პური და კარაქი მიუწია და უთხრა:

— რაო, იჯერე გული ყვირილით? ყველაფერი ამოშაქრე? ეჰ, შე ციყვო, შენა. ერთ ბეწო რამეზე ტირილს მორთავ. პიონერთა რიგებში შესასვლელად კი ემზადები!

— ‘ე არ ვტირი! — მიუგო ჩეჩეკმა. იგი შეწუხებული იყო,

რომ ცრემლი გადმოსცვივდა. — არც მიტირია. ისე გადმომცვივდა ცრემლი. მეტი საქმე არა მაქვს, ვიტირო!

მალე მამა მოვიდა და ყველა მიუსხდა სუფრას. ნავახშმევს კოსტია დიდხანს ჰყვებოდა, რა ნახა ტატანაკოვის ხეობაში: ჰყვებოდა უთვალავ რიგებად ჩამწკრივებული ვაშლის ხეების, მოცხარით დაფარული ფერდობების, კენკროვანთა პლანტაციების შესახებ. განსაკუთრებით დაწვრილებით უამბო შინაურებს, თბილ ხევში რომ ერთთავად თეთრი და ვარდისფერი, ლამაზი და მორთულ-მოკაზმული ვაშლის ხე ნახა.

მამა ყურადღებით უსმენდა კოსტიას და წყნარად იმეორებდა:

— ჰო. ეტყობა, დრო იცვლება. დრო იცვლება...

ჩეჩეკს შეეძლო ამოცანა გადაეწერა, მაგრამ...

ამ დილით ჩეჩეკს ესიზმრა, თითქოს ბებია ტარინჩაკთან იყო აილში, კოცონთან ნიამორის ტყავზე იჯდა, ზემოთ, საკვამურში კი ცისფერი ცა კრთოდა და რომელიღაც მხიარული ჩიტების საგაზაფხულო, საზეიმო ჟივილ-ხივილი ისმოდა.

— აჰა, გაზაფხულიც დადგა! — ალტაურად თქვა ჩეჩეკმა და გაიღიმა. — ბებია, გესმის ჩიტების ჟღურტული?..

ეს თქვა და კიდეც გაეღვიძა ჩეჩეკს. მაია ვილისოვა გვერდითა საწოლზე იწვა. ცისფერ ფარდებში გამოტანებული მზის სხივები მის ქერა, აბურდულ, ბამბურა ვაციწვერას მაგვარ თმას თბილად ეფინებოდა. ჩეჩეკის სიტყვების გაგონებაზე ბალიშიდან თავი წამოსწია და სიცილით ჰკითხა მეგობარს:

— რაო, ცხადში ამბობ ამას, თუ სიზმარში?

ძილისგან სახეგავარდისფერებული ჩეჩეკი მაიას მიაჩერდა. რამდენიმე წამს ვერ მიხვდა, ყავისფერსახიანი და შავნაწნავიანი ბებია ტარინჩაკი უცებ როგორ იქცა ქერათმიან მაიად:

— ბებია დაგესიზმრა? — ჰკითხა მაიამ.

— ჰო. — გაეღიმა ჩეჩეკს. — ჩიტებიც ჟღურტულებდნენ...

— ისინი ახლაც ჟღურტულებენ, გესმის? ბეღურები ლაღობენ!

გოგონები ინტერნატში უკვე დგებოდნენ, ალაგებდნენ ლოგინს, პირს იბანდნენ.

— ჩეჩეკ! მაია! სარკმელს ვაღებ! — იყვირა მკაცრმა მორიგემ. ლიდა კოროლკოვამ. — კიდევ დიდხანს იქნებით ლოგინში?

ჩეჩეკი წამოხტა, სწრაფად ჩაიცვა, ნაწნავების დაშლა დაიწყო. მაგრამ უცებ გაახსენდა:

— ვაი-ვაი! ამოცანას რა ეშველება?

იმ დღიდან, როცა პიონერთა რიგებში შესვლა ჩაიფიქრა, ძალიან ცდილობდა კარგად ესწავლა, ოღონდ გუშინ არ გაუმართლდა — ვერა და ვერ ამოხსნა ამოცანა! ლიდას უნდოდა დახმარებოდა, მაგრამ უარი უთხრა: მე თვითონ უნდა ამოვხსნაო. „ადრიანად ავდგები და ამოვხსნი!“ — თქვა გულში.

მაგრამ ადრიანად ვერ ადგა. ძილი გაუტკბა.

„არა უშავს. ამოცანას ახლავე ჩავუჯდები, — გადაწყვიტა გულში ჩეჩეკმა. — ჩავუჯდები და ამოვხსნი, მაშ! ხოლო ვიდრე თმას დავიშლიდე, ჩიტებს მოვუსმენ!“

ჩეჩეკი გარეთ გავიდა. მთების თავზე მაღალი ცა ბრწყინავდა, ტაიგიდან, ახლომახლო ხეობებიდან, გადახნული მინდვრებიდან, კოლმეურნეობის ბოსტნების შავი კვლებიდან — ყოველი მხრიდან აყვავებული, გამთბარი მიწის ცინცხალი სუნი დიოდა და მთების ფერდობებზე ჩიტების ჟღურტული ისმოდა... ჩეჩეკი ჟივილ-ხივილს აყურადებდა და ჩიტების ხმებს ცნობდა:

„აი, ჩიტბატონა! ეს კი წიწკანაა... აგერ, გუგული იძახის!“

ჩეჩეკს გაახსენდა, ბებია ტარინჩაკის მონაყოლი ზღაპარი ღარიბ გოგონაზე, რომელიც გუგულად იქცა და აილის საკვამურიდან გაფრინდა.

უცებ საიდანღაც, შორეთიდან, ამ მშვიდი ყვავილობის ჟამს, მზის სხივებსა და ჩიტების ნაზ მუსიკაში მკაცრი, სუსხიანი ქარის ტალღამ წამოუქროლა. ჩეჩეკმა ქარის ცივი სუნთქვა ლოყებით იგრძნო, რომლებზეც ჯერ კიდევ შერჩენოდა ლოგინის სითბო. იგი შეშფოთდა, თითქმის ცასავით ცისფერ შორეულ მწვერვალებს გახედა და დაინახა. რომ ედიგანის მთას ღრუბლის თეთრი ქუდი ეხურა, კატუნის ზემოთაც ლარიქსების კენწეროებს ღრუბლის ჭაღარა წვერი ეპოტინებოდა...

— ე-ე! — თქვა ჩეჩეკმა. — ავდარი ახლოვდება. ხვალ გაწვიმ-

დება... მაგრამ არა უშავს... ოუ ობილი წვიმა იქნა. მიწას მოოწყავს...

— ჩეჩეკ, — დაუძახა პარძაღიდახ ერკელეიმ. — სასაუზმოდ ვსხდებით!

ჩეჩეკმა ასე მოუსმინა ჩიტებს, თმა დაიწნა და დილა თვალსა და ხელს შუა გაეპარა. გაკვეთილების დაწყებამდე კი გულმა არ მოუთმინა და მეგობრებთან ერთად ვაშლების დასახედად გაიქცა. ნორჩი ნატურალისტების მიერ დათესილი ბოსტნეულის კვლების თავზე ოდნავ ირხეოდნენ წვრილი სუსტი წკნელები, რომელთაც წვეროებზე ნაზი ფოთლები გამოეღოთ...

ჩეჩეკმა ერთხანს თავის ოთხ ვაშლთან დაჰყო. ყველას გაეხარა და ხალისიანად იდგნენ, მაგრამ ჩეჩეკი ამრეზით უცქეროდა მათ:

„ეს გაწლიკული ხეები დაისხამს თეთრ ყვავილებს და ვაშლებს! ამათ ფოთლებიც სხვა ხეებისთანა აქვთ... არა! თეთრ ყვავილებს, სულ ერთია, არასდროს არ გამოიღებენ არა!"

პირველი გაკვეთილი რუსულ ენაში ჰქონდათ. მარფა მასწავლებელმა ბავშვებს შინ დასაწერად ასეთი თემა მისცა: „როგორ გავატარე პირველი მაისის დღესასწაული". შემდეგ უამბო, რანაირად დაიწყო და აღმოცენდა ეს უჩვეულო დღესასწაული. ჩეჩეკს გული ტკბილად აუტოკდა: პირველი მაისის დღესასწაულზე ხომ მას პიონერთა რიგებში მიიღებდნენ!

ჩეჩეკს მხოლოდ მეორე შენვენებისას, მათემატიკის გაკვეთილის დაწყებამდე უცებ გაახსენდა, რომ ამოცანა ამოსახსნელი ჰქონდა.

— ვაი, რა მეშველება! რა მეშველება? — თქვა და კლასში შევარდა.

კლასში არავინ იყი. ღია სარკმელში გაზაფხულის სუფთა სურნელოვანი ჰაერი იღვრებოდა და ჩეჩეკმა მასში ისევ შეიგრძნო უკეთური, სუსხიანი ტალღა... მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია. გონებაში მხოლოდ ამოცანა უტრიალებდა. ამოიღო ამოცანათა კრებული, ქაღალდი და ფანქარი და მერხზე თვალი მოჰკრა თავისი მეზობლის ლიდია კოროლკოვას გადაშლილ რვეულს. რვეულში ჩაწიკწიკებულად ეწერა ამოხსნილი ამოცანა.

— ოჰ! — გაუხარდა ჩეჩეკს, სწრაფად ჩაიხედა ლიდას რვეულში, ხელი სტაცა ფანქარს... და უცებ ერთიანად გაწითლებულმა სწრაფად კასწია რვეული მერხის განაკიდეს, დახურა. ოჰო! კინა-

ღამ არ წაუცდა ხელი და აო გადაწერა! ზეგ პიონერთა საზეიმო დაპირება უნდა წარმოეთქვა, დღეს კი ისევ სურდა სხვისი რვეულის, სხვისი აზრების მოპარვა... „მერედა არ გრცხვენია? — ჰკითხა თავს გაბრაზებულმა ჩეჩეკმა. — ფუი, ფუი!“

ჩეჩეკი ამოცანას ჩაუფიქრდა, ის იყო ამოხსნის გზას მიაგნო და ზარიც დაირეკა. ჩეჩეკმა ნერვიულად დაწერა პირველი კითხვა... მაგრამ უკვე გვიან იყო: კლასში მათემატიკის მასწავლებელი შემოვიდა.

— რაო, ვერ ამოხსენი ამოცანა? — უჩურჩულა ჩეჩეკს ლიდა კოროლკოვამ.

ჩეჩეკმა თავი გააქნია:

— ვერა.

ლიდამ ეჭვით დახედა თავის რვეულს:

— ჩემს რვეულს ხელი მოჰკიდე?

— კი.

— რატომ?

— რატომ და დავხურე და გვერდზე მივწიე! — ჩეჩეკმა ამაყად გაუსწორა თვალი ლიდას.

ლიდა შეცბა: მიხვდა, რომ ტყუილად აწყენინა მეგობარს.

— რა უნდა ქნა ახლა? — თანაგრძნობით უჩურჩულა ჩეჩეკს. — რომ გამოგიძახოს?

— ჩეჩეკ ტორბოგოშევა, დაფასთან,—თქვა მასწავლებელმა ისე, რომ ჟურნალისთვის თვალი არ მოუშორებია.

ჩეჩეკმა და ლიდამ შეშფოთებით გადახედეს ერთმანეთს. ჩეჩეკმა თავი ისე იგრძნო, თითქოს ხრამის პირას კლდიდან ბილიკზე მიაბიჯებდა, ბილიკიც უცებ შეინძრა და ფეხქვეშ გამოეცალა...

ჩეჩეკს ფერფური წაუვიდა და დაფასთან გავიდა.

„რად უნდა მეშინოდეს? — არწმუნებდა თავს. — რიგიანად უნდა დავფიქრდე და გამოვიყვან. შიში რას მიქვია? შიშზე უარესი არაფერია!“

— ჩეჩეკ, ამოცანა ამოხსენი? — ჰკითხა მასწავლებელმა. — აბა, დავიწყოთ.

— არ ამომიხსნია, პატივცემულო მასწავლებელო.

მასწავლებელმა გაკვირვებით გადმოხედა სათვალის ზემოდან.

— როგორ თუ არ ამოგიხსნია?

— არ ამომიხსნია, მაგრამ მაინც გავიგე. აი, ახლავე ამოვხსნი დაფაზე!

— შინ რატომ არ ამოხსენი? შენი ფიქრით საშინაო დავალებების შესრულება სავალდებულო არაა?

ჩეჩეკმა იცოდა, რომ უსიამოვნო საუბარი გაიმართებოდა, რომ მასწავლებელს ძალიან სწყინდა, როცა საშინაო დავალებებს არ ასრულებდნენ, რომ მთელი კლასის წინაშე უნდა მდგარიყო და გაწითლებულიყო მასწავლებლის გამჭირდავ სიტყვებზე... მაგრამ რა ეშველა!

ჩეჩეკი ცდილობდა, მშვიდად ყოფილიყო. რა საწყენიც უნდა ეთქვათ, იმაზე უარესი ხომ არ იქნებოდა, ერთხელ რომ უთხრეს. ძაღლი ვინც მოკლა იმან გადაათრიოსო, — ასე მიახალეს მაშინ!.. ახლა კი ბუთის ეკაცრავად! შეიძლება ყველაფერი უთხრან, ანას კი ვერ ეტყვიან!

მასწავლებელმა ერთხანს კიდევ იბუზღუნა, ხმაში წუწუნი ჭაერია, ჩიოდა: ბურბე როგორი ბოსწავლეები მყოლია, ასე ჰკონიათ, ამოცანას უნდათ ამოხსნიან, უნდათ არა. მოხუცი კაცი ძალონეს არ ვიშურებ, ესენი კი ამას სულაც არ დაგიდევენო.

ჩეჩეკი თვალებდახრილი იდგა და ხელში ცარცს აწვალებდა, ვერ ამჩნევდა, რომ სულ დაისვარა ხელები, შავი წინსაფარი, ცხვირზეც კი გაუჩნდა თეთრი ლაქა.

— კარგია, აბა, დაწერე პირობა, — თქვა ბოლოს მასწავლებელმა უკვე ჩვეულებრივი, საქმიანი კილოთი.

ჩეჩეკს გაუხარდა: ყველაფერი დამთავრდა, ახლა მთავარია რიგიანად გამოვიყვანო ამოცანაო. მთელი ყურადღება მიაპყრო იმას, რასაც მასწავლებელი კარნახობდა.

ყველაფერი გაქრა მისი თვალთახედვიდან და გონებიდან — კლასიც, მოსწავლეებიც, მათი გაუგებარი ჩურჩულიც, მერხების ჭრიალიც, ფურცლების შარიშურიც და გარეთ ჩიტების ყღურტულიც. დარჩა მხოლოდ დიდი შავი დაფა, მასზე კი ამოცანის თეთრი ციფრები. ჩეჩეკი ერთი წუთით უცქეროდა ამ დაფას.

— იფიქრე... იფიქრე... — ხმადაბლა აფრთხილებდა მასწავლებელი, — ნუ ჩქარობ...

— ჯერ უნდა გავიგოთ, რამდენი ჰექტარი მოხნეს პირველ დღეს...

მასწავლებელმა ხალისიანად დაუქნია თავი:

— ჰო, ჰო. აბა, გაიგე!

ჩეჩეკი გაბედულად და სწრაფად ხსნიდა ამოცანას. ყოველი კითხვის შემდეგ მასწავლებელს შეხედავდა და, როცა მის ალერსიან თვალებს და გამამხნევებელ თავის დაქნევას დაინახავდა, მტკიცედ განაგრძობდა ამოხსნას. აჰა, უკანასკნელი კითხვაც...

უცებ ჩეჩეკს თავგზა აებნა, მოიჭმუხნა, ტუჩი მოიკვნიტა, თვალი მოავლო დაფას და ისევ იგრძნო, ვიწრო საშიში ბილიკი როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ.

კლასში დაძაბული სიჩუმე იდგა. მასწავლებელიც დუმდა, სახე თითქოსდა მოექუფრა. იგი ელოდა.

„ჩავიჭერი... ჩავიჭერი!..“ ამბობდა გულში ჩეჩეკი. ეს სიტყვა გაუთავებლად უკაკუნებდა ტვინში და აზრის თავმობმაში ხელს უშლიდა.

— აბა, — ხმადაბლა უთხრა მასწავლებელმა. — რა მოხდა? ჰა, დაამთავრე!

ჩეჩეკმა თითქმის ანგარიშმიუცემლად დაწერა ბოლო კითხვა და უკანასკნელი ციფრი — პასუხის ციფრი.

— სწორია! — ხმამაღლა, მკაფიოდ თქვა მასწავლებელმა. — დაჯექი! — უთხრა და ჟურნალისკენ დაიხარა, თვალებში კმაყოფილების ღიმილს მალავდა.

ჩეჩეკმა თითქოს ახლაღა ამოისუნთქა თავისუფლად და ისევ აღსდგა ყველაფერი — კლასიც, მოსწავლეებიც, მათი ჩურჩულიც, მოძრაობაც, გარეთ ჩიტების ჟღურტულიც.

ხელები ჩვრით გაიწმინდა და თავისი ადგილისკენ გასწია. ლოყები აფორაჯებოდა, მაყვალივით თვალები უბრწყინავდა. მერხზე დაჯდომისას ლიდას გაუღიმა. ლიდამ უჩურჩულა:

— ყოჩაღ!

სამუდამოდ აღთქმული სიტყვა

ღამით სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჭიდნენ ერთმანეთს გაზაფხული და ხიუსი — ჩრდილოეთის ქარი. ამ ბრძოლაში ხიუსმა გაიმარჯვა. მან ცივი ღრუბლები მორეკა და პირველი მაისის დილა

სუსხიან თქორსა და ჟინჟღლში გათენდა. კატუნის თავზეც ისევ მიიწევდა ლეგა ღრუბლები...

მაგრამ მაინც დღესასწაული იდგა! დილიდანვე სოფლის ხან თავში, ხან ბოლოში სიმღერები ისმოდა. სახლებიდან ღვეზელების და შემწვარი ხორცის სუნი გამოდიოდა. პატარა გოგო-ბიჭები წვიმას აინუნში არ აგდებდნენ, ერთმანეთთან ეზოდან ეზოში გადარბოდნენ, ყველას უნდოდა ახალი სადღესასწაულო კაბა, ბაბთი თუ წაღა ეჩვენებინა მეგობრისთვის.

დეიდა ევდოკიამაც ღვეზელები გამოაცხო და მაგიდას ცისფერ-ქობიანი ახალი სუფრა გადააფარა, ცარცით გაწმინდა სამოვარი, რომელიც ვერცხლივით ბზინავდა და მაგიდაზე დალაგებულ ჯამ-ჭურჭელს, ფანჯრებს თუ ფანჯრებზე ჩამოფარებულ თეთრ ფარ-დებს ისარკავდა...

კოსტიას ღვიძლის ღვეზელი უყვარდა, უფრო მეტად კი ტკბილი ხაჭოიანი ნამცხვარი, მაგრამ სუფრასთან დიდხანს არ დარჩენილა. ერთი სული ჰქონდა სკოლაში შეერბინა. იქ ხომ დღევანდელი საზეიმო საღამოსთვის ჯერ ყველაფერი არ იყო მზად.

ბიჭმა სახელდახელოდ ისაუზმა, ღვეზელის დიდი ნაჭერი პირში ჩაიტენა და წამოდგა.

— სად გარბიხარ? — ეწყინა დედას. — არაფერი გიჭამია...

— არ გიჭამიაო? — ჩაიცინა კოსტიამ. — სამი ღვეზელი სადღაა ან ორი ხაჭოს ნამცხვარი?.. აბა, დათვალე!..

— ნუთუ არ შეგიძლია მაგიდასთან წესიერად იჯდე?

— არ მცალია, დედა! — მიუგო კოსტიამ და პიჯაკი ჩაიცვა. — დღეს არ მცალია!

— ჩვეულებრივ დღეს არ სცალია, დღესასწაულზე არ სცალია! ეს რა ხალხი იზრდება, ღმერთო!

— ჩვენც ხომ არ გვცალია დიდხანს დასაჯდომად, — შეესიტყვა მამა დედას. — გესმის? რეკავენ. კრებაზე გვეძახიან!.. ან იქნებ წამოსვლა არ გინდა? — მამამ კოსტიას მალულად ჩაუკრა თვალი.

დედა სწრაფად წამოდგა:

— ამათ უყურე! მაშ, მარტო კაცებმა უნდა იაროთ კრებებზე? აჰ, ღმერთო, მართლა რეკავენ! მე კი არ ჩამიცვამს და თმაც არ დამივარცხნია! სულ თქვენი ღვეზელების და ნამცხვრების ბრალია... ვაითუ იქ ანატოლი მასწავლებელი უკვე მოვიდა!..

კოსტიამ ვანია პეტუხოვთან შეირბინა, რომელიც ორი სახლის იქით ცხოვრობდა, და ფანჯარაზე დაუკაკუნა:

— პეტუხოვ, წავიდეთ სკოლაში!

— წავიდეთ! — გამოსძახა ვანიამ.

პეტუხოვი პარმაღზე გამოვარდა, ქურთუკს გზადაგზა იცვამდა.

— კოსტია, მოიცა რა, — უთხრა უცებ მეგობარს. — შემოდი რა!

— რა დროს შემოსვლაა! ყვავილწნულები ჯერ სუყველა არ ჩამოგვიკიდია!

— ერთი წუთით!... შემოდი, რამე მირჩიე!

ვანიამ კოსტია უკანა ეზოში გაიყვანა.

— ხედავ ამ ნაკვეთს? მამაჩემი აქ თამბაქოს რგავს. რა იქნება, რომ ვაშლები დავრგო, ჰა, რას იტყვი?

— ვაშლი?

კოსტიამ მიმოიხედა, ნაკვეთს ირგვლივ შემოუარა:

— მოიცა. საითაა სამხრეთი და ჩრდილოეთი?.. ე, არა, ვანია, ცუდი ადგილია — ჩრდილოეთიდან ნაკვეთი მოღიავებულია.

— იქნებ ამ მხარეს ალვის ხეები დაგვერგო?

— შეიძლება. ან ალვის ხეები ან ნეკერჩხალი. ისიც სწრაფად იზრდება.

— კეთილი, დავრგავ, — გადაწყვიტა ვანიამ.

ბიჭები წვიმაში დასველებულ, მოლიპულ ბილიკს გამოჰყვნენ და გზაზე გამოვიდნენ.

— ყოჩაღ შენ, — უთხრა კოსტიამ ვანიას. — კარგად მოგიფიქრებია, მეც მინდა ეზოს გვერდით პატარა ადგილი გამოვძებნო...

კოლმეურნეობის გამგეობის შენობის თავზე ოდნავ ფრიალებდა წითელი დროშა. ფართო, მოჩუქურთმებულ პარმაღზე და ღია ფანჯრებთან ხალხი ირეოდა.

— შეხე, რამდენი ხალხი მოსულა კრებაზე! — გაუკვირდა ვანიას. — გამგეობაშიც ვერ ეტევიან!

— აბა, რა გეგონა, — ამაყად მიუგო კოსტიამ. — დღეს ხომ ანატოლი მასწავლებელი კითხულობს მოხსენებას!

— მოვუსმინოთ!

— მოკუსმინოთ. ფანჯარასთან დაედგეთ.

კოსტია და ვანია ერთ-ერთ ღია ფანჯარასთან მივიდნენ. ცოტა-თი მისწიეს იქ მდგომი გოგონები და მაშინვე დაინახეს ანატოლი მასწავლებელი. სკოლის დირექტორი თავმჯდომარის მაგიდასთან იდგა, ოდნავ ეყრდნობოდა ხელით წითელ მაუდს. მისი ხმა მკაფიოდ ისმოდა:

— ეს დღესასწაული კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჩვენ, მშრომელი ნალხი, ჩვენი მიწის ბატონ-პატრონები ვართ. მაშ, ვიყოთ ნამდვილი პატრონები — მზრუნველნი, საქმიანნი, თაოსანნი... ჩვენი მომთაბარე ხალხი ოდესღაც ისეთ სადგომზე ოცნებობდა, სადაც მიწა არ ხმება და არ ყვითლდება, სადაც ლურჯი და ცისფერი ყვავილები მთელი წელიწადი ჰყვავიან, საიდანაც ფრინველები არ მიფრინავენ და ნადირი არ გარბის. დღეს ეს ოცნება ახდა. ეს ბედნიერი სადგომი ჩვენთვის საკოლმეურნეო ცხოვრებაა!.. მაშ, გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ მტკიცედ უნდა გავუფრთხილდეთ ამ ბედნიერ ცხოვრებას, რომელიც ხელის ერთი მოსმით როდი შეიქმნა. იგი შეიქმნა ჩვენი საუკეთესო ადამიანების — სამშობლოსათვის, ჩვენი მშვიდობიანი შრომისთვის დაღუპული ადამიანების — სისხლის ფასად...

როცა დირექტორმა ლაპარაკი დაამთავრა, ბიჭებთან ოლგა ნაევამ მოირბინა:

— აგერ ყოფილხართ! ჩქარა სკოლისკენ!.. კოსტია, ჩაქუჩი წამოიღე! ტრიბუნის თავზე წიწვი ვერაფრით ვერ მივამაგრეთ, სულ ძირს გვიცვივა!

— მე? — იკითხა ვანიამ.

— შენც წამოდი, შენც! ჩქარა!

მოსწავლეებმა წინადღით მოიტანეს ტაიგიდან ფიჭვისა და ლარიქსის მწვანე ტოტები, რომლებიც კენკრასავით დაემშვენებინა მეწამულ გირჩებს და ყლორტების წვეროზე გამოსხმულ ყვითელ თავთუნებს. მთელი სასკოლო დარბაზი ამ ტოტებს გადაემწვანებინა. გოგონები წვიმას არ შეეპუენ, ხეობაში გაიქცნენ, ფერდობზე ავიდნენ და ყვავილები დაკრიფეს. იქიდან კი დასველებულნი, აკანკალებულნი დაბრუნდნენ.

სამაგიეროდ დროშასთან ჭიქებში, პატარა ლარნაკებსა და ქოთნებში გაზაფხულის ყვავილები — ყვითელი და ცისფერი იები, ჯადვარის მოვარდისფრო-ლილისფერი მტევნები, ნაძვივით ფარღა-

ლალა თეთრი ორფოთოლები, მარწყვა ბალახას ყვითელი ვარსკვ-ლავები იწონებდნენ თავს, რომელიღაც გულადი ბიჭი მაღლა მწვეო-ვალზე ასულა და იქიდან ოქროსფერი უძოვარები ჩამოეტანა, რომ-ლებიც გავარვარებული ნაკვერჩხლებივით ისარკებოდნენ ბელადე-ბის დიდი პორტრეტების მინაში...

კოსტიამ წიწვის გირლანდა დაამაგრა და დარბაზში გაიარა, თან აქეთ-იქით იხედებოდა. დარბაზი საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული იყო. კედლებზე წითელი ქაღალდისგან გამოჭრილი ხუთქიმიანი ვარსკვლავები გაეკრათ. კლასებიდან გამოტანილი ყვავილების ქოთნებისთვის ვარდისფერი ქაღალდი შემოეხვიათ. ნათურების-თვის ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ჭაღები გაეკეთებინათ.

კოსტიამ მთელი სკოლა მოიარა. იგი ჩეჩეკს ეძებდა. კლასებში ღუმელები ენთო. ლარიქსის შეშა ბრიალებდა და ნარინჯისფერი ათინათები მხიარულად, უშფოთველად ცეკვავდნენ ძელურ კედ-ლებსა და მოკრიალებულ იატაკზე. კოსტიამ ჩეჩეკი მეხუთე კლას-ში იპოვა. გოგონა ცეცხლს ჩაჰყურებდა, საჩხრეკით შეშას ატრი-ალებდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

— აბა, როგორაა საქმე? — ჰკითხა კოსტიამ. იგი ცდილობდა ჩვეულებისამებრ მკაცრი შესახედაობა ჰქონოდა, თუმცა მშვიდი, ნათელი თვალები მის კეთილ ხასიათს ამხელდა.

ჩეკმა შეხედა. მის ღრმად ჩამჯდარ გუგებში ცეცხლის ნაპერ-წკლები კრთოდა.

— მეშინია!.. — წაიჩურჩულა გოგონამ.

კოსტია ღუმელთან დაწყობილ შეშაზე ჩამოჯდა.

— ეს რა ქაღალდი გიდევს მუხლებზე?

— საზეიმო დაპირება.

— ისწავლე?

— კი.

— ნურაფრის გეშინია. ეს ხომ ისეთი დღეა, როცა გეშინია კიდეც და გიხარია...

— კენსკინ, გახსოვს, როგორ მივიღეს პიონერთა რიგებში?

— მაშ! შეიძლება არ გახსოვდეს? ასეთ დღეებს ცხოვრებაში არ ივიწყებენ.

— კენსკინ, შენც გეშინოდა?

— ჰო, ჩეჩეკ. ოღონდ კი არ „მეშიაოდა", ვღელავდი.

ჩეჩეკმა ჩაიღიმა: ახლა კოსტიამ სახელით მიმართა, როგორც ნამდვილ ადამიანს. უწინ კი სულ „ციყვს" ეძახდა...

— მერედა იცი, კენსკინ, ადამიანები ასეთ დაპირებას სამუდამოდ იძლევიან.

კოსტიამაც ისევ დინჯად და ალერსიანად გაიმეორა:

— ვიცი. ჩეჩეკ! — შემდეგ ცეცხლზე თვალმიშტერებულმა დაფიქრებით დაუმატა: — დაპირება მეც სამუდამოდ მივეცი.

...საღამო ხანს წვიმამ ისევ დაუშვა. ნისლმოხვეული ჩეინეშ-კაია პირქუში. მოქუშული კედელივით აღმართულიყო სახურავებზე. ხიუსი ღმუოდა და ვრიალებდა, მაგრამ ქარის ღმუილში მიდამოს კოლმეურნეობის შენობიდან გამოჭრილი კომისის[1] ნაზი მელოდია, გარმონის ტკბილი ხმა, მხიარული სიმღერა ედებოდა — სოფელში დღესასწაული იდგა.

სკოლაშიც ყველგან სინათლე ენთო, კლასებში მხიარული ახალგაზრდობა ახმაურდა, აჟრიამულდა. შემდეგ დაირეკა სკოლის ზარი და მოსწავლეებს და სტუმრებს დარბაზში მოუხმო. სოფლიდან ბევრი ხალხი მოვიდა — ბავშვების ნათესავები თუ ნაცნობები. მოვიდა კოსტიას დედაც, ევდოკია. მან უკვე მოასწრო ჩეჩეკის ნახვა, მოეფერა, დაამშვიდა, როგორც შეეძლო, ნაწნავებში ატლასის ახალი ვარდისფერი ლენტი ჩაუწნა... აბა, როგორ არ უნდა გაამხნევო ადამიანი ასეთ მნიშვნელოვან დღეს, როცა გვერდით დედა არა ჰყავს?

აჰა, გაისმა პიონერული საყვირის ხმა. მისმა ბგერებმა მოწკრიალე ოქროს სხივებივით აავსეს დარბაზი, გაიჭრნენ ფანჯრებში, წვიმაში და კოლმეურნეობას გადაუფრინეს. ადამიანებმა სეირნობა შეწყვიტეს და ერთმანეთს კეთილი ღიმილით უთხრეს: „დღეს ჩვენს სკოლაში დიდი პიონერული შეკრებაა. დღეს პიონერები საზეიმო ფიცს დებენ".

ისევ ახმიანდა პიონერული საყვირი და მისმა ოქროს ბგერებმა წვიმასა და სიბნელეში ჩაშავებულ მთებსა და ხეობებს გადაუქროლეს. მათ სადღაც მივარდნილ ადგილას გაღვიძებული ფრინველი შეეხმიანა, ცნობისმოყვარე ციყვმა ფუღუროდან გამოიხედა. დათვმაც წითური თავი ასწია. ჩეინეშ-კაიამ ეს ბგერები აიტაცა და

---

[1] კომისი — მუსიკალური საკრავი.

რამდენჯერმე გაიმეორა. ტაიგაში მწყემსებსაც მოეჩვენათ, თითქოს ქვემოთ, კატუნის პირას ერთი საყვირი კი არ უკრავდა, უამრავი საყვირი ხმიანებდა მთათა მწვერვალებზე...

აჰა, დოლებიც არაკუნდა და გაისმა საზეიმო მარში. ორმა მედოლემ, წითელყელსახვევიანმა, თეთრპერანგიანმა, მოხდენილმა, წერწეტა ყმაწვილმა ლაღად ჩაიარა მთელი დარბაზი. იდაყვები ლამაზად და თავმომწონედ აეწიათ დოლებს ზემოთ, სახეზე სიდინჯე და სიხარული ეხატათ, მათი წვრილი ჯოხები თითქოსდა თავისთავად ეხლებოდა დაჭიმულ დოლებს წყვეტილად და რიტმულად.

მედოლეებს პიონერული რაზმები თავთავიანთი ხელმძღვანელების წინამძღოლობით მწყობრი ნაბიჯებით მიჰყვებოდნენ უკან. მედოლეები ზედ სცენასთან მივიდნენ, დოლებს კიდევ ერთხელ დაჰკრეს შეწყობილად, ჯოხები ძირს დაუშვეს და აქეთ-იქით დადგნენ. რაზმები მარჯვნივ და მარცხნივ განლაგდნენ. შუაში გამოვიდა უფროსი პიონერხელმძღვანელი ნასტია. მას ატლასის ზედატანი ეცვა, ახალი წითელი ყელსახვევი გაეკეთებინა, საზეიმო განწყობილება და იმავე დროს დაძაბულობა ეტყობოდა. ლამაზი მრგვალი სახე აეტკრიცა და სწორი ქერა თმა ოდნავ შეუსველდა საფეთქლებზე.

რაზმების ხელმძღვანელები უფროს პიონერხელმძღვანელს მკაცრ და მღელვარებით აღსავსე თვალებში. უცქეროდნენ და საზეიმო პატაკს აბარებდნენ. ზოგს მღელვარების გამო ხმა უწყდებოდა: დღეს მათ ძალიან ბევრი ხალხი უცქეროდა, ძალიან ბევრი ხალხი უსმენდა.

ჩეჩეკი, ვანია მიხაილოვი და ნიუშა სარუევა განზე იდგნენ. ჩეჩეკს სუნთქვა შეკვროდა. ახლა, აი, ახლა სცენაზე გავა და უჩვეულო სიტყვებს წარმოთქვამს... ახლა, ახლა...

სცენაზე ავიდა სკოლის დირექტორი. ჩეჩეკს არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ანატოლი მასწავლებელი. მართალია, დაძახებას ელოდა, მაგრამ მაინც შეტოკდა თავისი სახელის გაგონებაზე.

სცენაზე სამივენი გავიდნენ. აქ, ალისფერ დროშასთან, ყველა პიონერის თვალწინ მათ თავიანთი საზეიმო დაპირება წარმოთქვეს.

— მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების

წინაშე საზეიმო დაპირებას ვიძლევი, რომ ვიყო ლენინის ანდერძის ერთგული.

დარბაზი გაირინდა.

ამ სიტყვებმა ისე დაიყლერეს, როგორც დიდმა ფიცმა, რომელსაც ადამიანი ვერ უღალატებს.

ჩეჩეკს ხმა ოდნავ უთრთოდა. მისი გაფითრებული სახის შემყურე ევდოკია დეიდას გულმა ვეღარ გაუძლო და თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ბავშვებო, ჩემო ბავშვებო! — ჩურჩულებდა ტირილნარევი ღიმილით. — ოჰ, ბავშვებო, ბავშვებო!..

უკან კიდევ ვიღაც ოხრავდა: პიონერულმა ფიცმა დიდებს გული ისე აუჩუყა, ცრემლი მოერიათ.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა საზეიმო დაპირება ჩაიბარა, მივიდა ჩეჩეკთან (ჩეჩეკი პირველი იდგა) და პიონერული ყელსახვევი გაუკეთა.

როცა ყველაფერი დამთავრდა და პიონერხელმძღვანელმა ბავშვებს მიულოცა, ჩეჩეკი პირველად მიესალმა მას პიონერულად. ამ დროს მოეჩვენა, თითქოს ერთბაშად გაიზარდა, ერთბაშად დიდი გახდა.

საღამო ისეთი მხიარული, ისეთი ხალისიანი იყო, ჩეჩეკს თავის სიცოცხლეში ამდაგვარი რამ არ ენახა. მეგობრები ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, თავისკენ ეწეოდნენ. ის კი წამდაუწუმ ისწორებდა ყელსახვევს, სულ წუხდა, დამიჭმუჭნიანო. შემდეგ კოსტია დაინახა და მაშინვე მასთან მიირბინა.

— კენსკინ!.. — უთხრა, კიდევ ერთხელ გაისწორა ყელსახვევი, წინ გაუჩერდა სიხარულისგან ერთიანად გაბრწყინებული და პიონერულად მიესალმა.

კოსტიას გაეღიმა.

კოსტიას უნდოდა ეთქვა: ჰაი, როგორ გაფხორილხარ, შეციყვო, შენაო, მაგრამ მიხვდა, რომ ახლა ჩეჩეკთან ასე ლაპარაკი არ შეიძლებოდა და უთხრა:

— მომილოცავს, ჩეჩეკ! ნეტავ იაჟნაი ახლა აქ იყოს, ჰა?

— ჰო, იაჟნაი არ არის!.. — ამოიოხრა ჩეჩეკმა. — იაჟნაი რომ

ყოფილიყო! ე-ე-ჰ, იაუნაი რომ ყოფილიყო! დედაც იქნებოდა! მამაც! ბებიაც... — მაგრამ ჩეჩეკს უცებ ისევ გაუბრწყინდა თვალები. — კი, მაგრამ დედაშენი არ წასულა, კენსკინ?

— აბა, როგორ წავიდოდი! ასეთ დღეს სად წავიდოდი! — ევდოკია დეიდა დარბაზის შორეული ბოლოდან მოიწევდა მათკენ.

ჩეჩეკი მისკენ გაქანდა და ისინი ერთმანეთს ჩაეკვრნენ.

— დღეს ჩემთან გაათევ ღამეს, — უთხრა ევდოკია დეიდამ. — ჩვენმა მამამაც ნახოს ახალი პიონერი.

ჩეჩეკმა სახეზე აცრემლებული თვალები მიაპყრო და ისევ ჩარგო თავი ევდოკიას ვარდისფერ ზედატანში.

სცენაზე გამოდიოდნენ მოსწავლეები, ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ჩეჩეკი მაიას და ლიდია კოროლკოვას გვერდით იჯდა, სიამოვნებით უყურებდა და უსმენდა გამომსვლელებს, ყველაზე მაგრად უკრავდა ტაშს, მაგრამ მაინც სიხარული, რომელიც გულში ვეღარ ეტეოდა, გამომზევებას ვერ ახერხებდა. ჩეჩეკს უნდოდა თვითონ ემღერა, ეცეკვა ან ცხენს მოხტომოდა და სადღაც ქარის შესახვედრად გაექროლებინა.

ჩეჩეკი ადგა და ჩუმად გავიდა დარბაზიდან. ცარიელ კლასებს ჩაუარა, შემდეგ უკანა პარმაღზე გავიდა, რათა ღამის ცის ქვეშ დამდგარიყო, ესმინა წვიმისთვის, ეცქირა მთების შავი კონუსებისთვის, მაგრამ გარეთ გამოსული სახტად დარჩა: უკვე აღარ წვიმდა და, როგორც ხშირად იცის მთიან ალტაიში, ამინდი უეცრად შეცვლილიყო, ცივი ღრუბლები სადღაც გადაკარგულიყვნენ, მთიდან აყვავებული ლარიქსების სურნელი დიოდა, ცაც ვარსკვლავებს გაებრჭყვიალებინა. წვიმის მიერ ჩამობანილი სუფთა ვარსკვლავები ბრწყინავდნენ, ციაგებდნენ და იქ, მაღლა, თითქოს რაღაც იდუმალი უხმო თამაში გაეჩაღებინათ, თითქოს მათაც უხაროდათ პიონერ ჩეჩეკის დღესასწაული.

ბედნიერებით აღვსილმა ჩეჩეკმა გაიღიმა: აი, ზოგჯერ როგორი დღე დგება ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში.

მიიწურა სასწავლო წელი. მოახლოვდა გამოცდები. მოსწავლეები უფრო მეტ ყურადღებას იჩენდნენ გაკვეთილებზე. ყველაზე დიდი ზარმაცები და ეშმაკებიც კი მიწყნარდნენ და თავიანთ ნიშნებს ჩაუფიქრდნენ.

კოსტია ძალიან ბევრს და ძალიან ბეჯითად მეცადინეობდა. უკვე მყარად იცოდა, რაც უნდოდა ცხოვრებაში. მას ბაღების გაშენება სურდა და ფიქრობდა, როგორ დაეწერა განცხადება ბარნაულის მეხილეობა-მეკენკრეობის ტექნიკუმში შესასვლელად. ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა. ყველაფერი კარგად აეწყო.

ზოგჯერ საიდანღაც მღელვარების წუთები ეუფლებოდა და ოდნავ ურღვევდა ნათელ შინაგან სამყაროს. ხანდახან შესვენების დროს დერეფანში გამოსულს ეჩვენებოდა, თითქოს პირველად ხედავდა დიდი ხნის ნაცნობ ბზარებიან და ნუჟრებიან მოყვითალო, ძველურ კედლებს, თეთრ, ფართო ჩარჩოებს, ყვავილებით ავსებულ რაფებს (ამ ყვავილთაგან ბევრი თვით მისი გახარებული იყო), და უცებ გულს რაღაც ოდნავ შეუკუმშავდა. მეცადინეობის შემდეგ ხანდახან ბაღში შევიდოდა გასათოხნად. შედგებოდა და ირგვლივ იცქირებოდა: უყურებდა შიმელებს, ნეკერჩხლებით დაჩრდილულ სკოლის სახურავს, მშვენიერ ჩეინეშ-კაიას და არ იცოდა, რა ემართებოდა... შემდეგ კი მიხვდა: ყველაფერი მემშვიდობება და მეც ყველაფერს ვემშვიდობებიო!

მაგრამ კოსტია ასეთ წუთებს მალე აღწევდა თავს.

„არა უშავს, — ამბობდა გულში, — არა უშავს. კმარა. უნდა ვიმუშაო".

ახალგაშენებული ბაღი ახარებდა კოსტიას. ყველა ვაშლმა გაიხარა. გამოცდების შემდეგ არხის გამოყვანას შეუდგებოდნენ, რომ ზაფხულში ბაღი უწყლოდ არ დარჩენილიყო. უნდა შეეკრიბათ ბავშვები და მოენიშნათ გზა, რომელსაც არხი გამოჰყვებოდა. ახალი მოსწავლეები მოვიდოდნენ და ისინიც დარგავდნენ ვაშლებს. ოღონდაც ამინდი გამოკეთებულიყო, ოღონდაც გაზაფხული დამდგარიყო!

გაზაფხული კი ძალას იკრებდა. წვიმების შემდეგ სიმწვანე მოედო ხეობებს, უფრო ხასხასა ფერებით გადაჭრელდნენ მთის მდე-

ლოები, უფრო ჩამუქდა და ბუსუსიანი გახდა ლარიქსების ნაზი წიწვები, უფრო მხიარულად და ბობოქრად ახმაურდა კატუხი

ერთ მზიან კვირა დღეს მარფა მასწავლებელს „გაზაფხულის დღესასწაულის“ მოწყობა მოაფიქრდა. მას უყვარდა დღესასწაულების მოფიქრება. ზამთრობით ლაშქრობებს აწყობდა ტაიგაში, რათა თხილამურებით ერბინათ, მოესმინათ ნისკარტმარწუხების ხმა, როცა ისინი წითელი ვაშლებივით ისხდნენ დათოვლილ ხეებზე, მოეძებნათ ნადირის ნაკვალევი და გამოეცნოთ, რომელი ტყიერის იყო, მოეკრიბათ ფიჭვის და კედრის გირჩები...

ასეთივე დღესასწაულები ეწყობოდა შემოდგომაზეც, როცა მთებში მთელი დღით მიდიოდნენ, კოცონთან სადილობდნენ და უკან მობრუნებულებს უამრავი სხვადასხვა ფერის ფოთლები მოჰქონდათ, შემდეგ კი დღიურებში იწერდნენ თავიანთ დაკვირვებებს და შთაბეჭდილებებს, ფოთლებს კი ჰერბარიუმებში აკრავდნენ. ბოსწავლეებს უყვარდათ ეს ლაშქრობები. წინასწარ არავინ იცოდა, სად მიდიოდნენ, რას იზამდნენ. ყველაფერი თითქოსდა თავისთავად კეთდებოდა და, შესაძლოა, ამიტომაც ყოველთვის ძალიან მხიარული ლაშქრობები ჰქონდათ.

ჩეჩეკმა რომ გაიგო, მარფა მასწავლებელი ბავშვებს გაზაფხულის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად აგროვებსო: — ვისაც უნდა წამოვიდეს, ვისაც არა, არაო, — მაშინვე კოსტიას მოსაძებნად გაიქცა. კოსტია შინ არ აღმოჩნდა.

„მაშ. ბაღშია“, — გადაწყვიტა ჩეჩეკმა.

კოსტიას ცალ ხელში ბადია ეჭირა, მეორეში ფუნჯი, ბაღში დადიოდა და ვაშლების უკვე შეთეთრებულ ზროებს კიდევ ულესავდა კირხსნარს. აქა-იქ კირხსნარი კარგად არ ჰქონდა მოცხებული ზროებს, გაზაფხულზე კი მზე აცხუნებს და შეიძლება ნორჩი კანი დასწვას. ჩეჩეკი მივიდა კოსტიასთან, თვალებში შეხედა და უთხრა:

— კენსკინ, წამოხვალ ჩვენთან?

— არა, არ მცალია, — მიუგო კოსტიამ.

— რატომ არ გცალია?

— იმიტომ, რომ არ მცალია, ხომ გითხარი.

— კარგი, კენსკინ, წამოდი! იქ, ზემოთ ახლა ბევრი ყვავილია, ძალიან ბევრი, ბევრი! ჰა, კენსკინ, წამოხვალ?

ჩეჩეკი კოსტიას ხან აქედან შეხედავდა სახეში, ხან იქიდან, ხან ერთ ყურზე, ხან მეორეზე ჩამოიწევდა თავის შინდისფერფოჩიან მრგვალ ქუდს და ეხვეწებოდა: წამოდი რა, წამოდიო.

ჩვეულებისამებრ დინჯი კოსტია ვაშლიდან ვაშლთან მიდიოდა თავისი თეთრი ბადიათი და მშვიდად იგერიებდა ჩეჩეკს:

— თავი დამანებე! პატარა კი არა ვარ, რომ თქვენთან ერთად მთებში ვიხეტიალო. მოცლილი ხომ არ გგონივარ? შინ ღობე უნდა გავასწორო, უნდა ვიკითხო. ჰოდა, ახლა ავდგე და ამათთან ერთად ყვავილების მოსაკრეფად ვიარო!

ჩეჩეკი არ ეშვებოდა.

— კენსკინ, — უთხრა ბოლოს სევდიანად და ალერსიანად. — გაისად ხომ სკოლაში აღარ იქნები... ჩვენთან ხომ უკანასკნელად წამოხვალ!..

კოსტიამ შეხედა ჩეჩეკს, მის მაყვლისფერ, ოდნავ ელამ მავედრებელ თვალებს, ნახევრად გახსნილ ფუნთულა ტუჩებს, მარცხენა წარბზე ჩამოწეულ მრგვალ ქუდს — ვეღარ მოითმინა და ჩაიცინა:

— ოჰ, როგორ იცი ჩაცინება, შე ციყვო, შენა! ნეტავ მალე ჩამოვიდოდეს იაკნანი და თავის დას მომაშორებდეს!

ჩეჩეკმა გაიცინა და სკოლისკენ გაიქცა. მიხტოდა და ტაშს უკრავდა:

— წამოვა! წამოვა! წამოვა!

...მოსწავლეები მზიან ხეობას ზემოთ მიუყვებოდნენ. მთების ციცაბო ფერდობები სუფთა ხასხასა ბალახს დაეფარა. აბრეშუმივით რბილი წიწვით შემოსილი მშვენიერი ლარიქსები ერთმანეთის მოშორებით ასვეტილიყვნენ, თითქოს ბაღში დგანანო; ეს ბაღი კი მრავალ კილომეტრზე გრძელდებოდა ხეობის გაყოლებაზე, ფერდობებზე მაღლა და მაღლა მიიწევდა... მთების კალთებზე ჭანჭყატასა და ველური ჟოლოს ბუჩქებს შორის პატარა ჭრელი ყვავილები მიყუჟულიყვნენ, ხოლო მთელ ხეობაში მაღალი მუქი წითელი ყვავილები ჰყვაოდნენ, რომელთა ვეება ფურცლები მზეზე თითქოს გიზგიზებდნენ.

ნასტიამ ბავშვებს გაზაფხულის ჰერბარიუმი გაახსენა და ნორჩი ნატურალისტებიც ბეჯითად შეუდგნენ ყვავილებისა და ბალახის შეგროვებას.

— უფრო ყვავილები დაკრიფეთ, გვირგვინებს დავწნავთ! —

უთხრა ბავშვებს მარფა მასწავლებელმა. მას თვალებზე თავსაფარი ჩამოეწია და წითელ ყვავილებს გლეჯდა, თან რაღაცას ღიღინებდა, რაღაცას ულიმოდა. იქნებ იმიტომ, რომ ირგვლივ მწვანე ფერდობებზე მისი მოწაფეები მღეროდნენ და კისკისებდნენ, რომელთათვისაც სიყვარული და მზრუნველობა არ მოუკლია, ანდა კიდევ ერთხელ იგრძნო, რომ თავისი საქმის მოყვარული ადამიანის სიცოცხლე ყოველთვის ლამაზია — ახალგაზრდობის გარიჟრაჟზეც და სიცოცხლის დასასრულსაც...

მასწავლებელთან ხან ერთი მოწაფე მოირბენდა, ხან მეორე და ეკითხებოდა:

— მარფა მასწავლებელო, რა არის ეს? ბაია?

— ეს ბაია კი არა, მარწყვა-ბალახია. მისი ყვავილი პატარაა, ოქროს ვარსკვლავს ჰგავს, ფოთლები — კოხტა, ჩუქურთმიანი... ბაია გაცილებით დიდია, უხეში, აბა, კარგად დააკვირდით! მარწყვა-ბალახს სათრიმლავი ნივთიერება აქვს.

— მარფა მასწავლებელო, ეს რაღა ბალახია? მისი ფოთლები ზემოთ სულ მწვანეა, ქვემოთ კი მოლურჯო.

— ეს ნაღველაა. კეთილი ბალახია, ადამიანებს გულის ავადმყოფობისას ეხმარება, კუჭს კურნავს... ივლისში ყვითელ ფოთლებს გამოისხამს. არ გახსოვთ, ასეთი მსხვილი ყვითელი ყვავილები?!

ხანდახან მასწავლებელი თვითონაც გლეჯდა რომელიმე ღეროს, ჯერ კიდევ შეუფოთლავსა და უკოკროს.

— აბა, ვინ იტყვის ეს რა არის?.. აბა, ნორჩო ნატურალისტებო, — ეუბნებოდა ბავშვებს და აიძულებდა, მის შესახებ მოეთხროთ ყველაფერი: როგორ და როდის ჰყვაოდა, რა განსაკუთრებული თვისებები ახასიათებდა.

როცა ხეობაში სულ მაღლა ავიდნენ, ბავშვებს უკვე ყვავილების მთელი ხელეური ჰქონდათ შეგროვებული.

კოსტიამ ჩაიცინა და მანჟინს უთხრა:

— ვიდრე მოვდიოდით, ბოტანიკის მთელი სახელმძღვანელო გავიმეორეთ. ო, რა ეშმაკია ჩვენი მასწავლებელი!

ალიოშა რეპეინიკოვმა ყველას გაუსწრო და უცებ მწვანე ბექობის წვეროზე გამოჩნდა.

— აქეთ! — იყვირა და ქუდი დაიქნია. — აქ ტბაა!

— მოვდივართ!.. — შეეხმიანა მასწავლებელი. — ბავშვებო, ტბისკენ!

ბექობის წვეროზე, გადაკვეთილ კონუსზე, თასივით მრგვალი, ნათელი, ცისფერი ბროლივით მოკიანთე ტბა იყო, რომლის ნაპირებზე არც ლელქაში ჩანდა, არც ბუჩქები, მხოლოდ სუფთა, მაღალი ბალახი ხარობდა. ამ ტბის ნაპირებზე დასხდნენ დასასვენებლად — თითქოსდა ჭრელი თაიგული გაიფინა ცისფერი წყლის ირგვლივ. იქვე დაიწყეს ბალახის გადარჩევა. ბიჭები საუკეთესო ეგზემპლარებს არჩევდნენ ჰერბარიუმისთვის, გოგონები კი გვირგვინებს წნავდნენ. ყველაზე ლამაზი, ყველაზე ხასხასა ყვავილებისგან მარფა მასწავლებელს მოუწნეს გვირგვინი და მან იგი თეთრი თავსაფრის ზემოდან დაიდგა თავზე. გოგონებმაც დაიდგეს გვირგვინები და ყველანი ერთმანეთს უცქეროდნენ და იცინოდნენ.

— ლიდა, ლიდა! შეხე ჩეჩეკს! შეხე, როგორ უხდება გვირგვინი? — უთხრა მაიამ მეგობარს.

ჩეჩეკი წამოხტა, წყალთან მიირბინა და შიგ ჩაიხედა, როგორც სარკეში. მისი შავი ნაწნავები წყალს შეეხო და ტბის ნათელი სილრმიდან თვალებში შემოხედა მისმა ორეულმა — შავგვრემანმა გოგონამ, რომელსაც შავ თმაზე წითელი გვირგვინი ედგა...

ერთობ კმაყოფილმა ჩეჩეკმა გაბრწყინებული თვალები მოავლო ყველას.

— ე! — მგზნებარედ იყვირა მან. — ჩვენი ბიჭები რატომ არიან უგვირგვინოდ? მოდი, ისინიც მოვრთოთ!

ატყდა ერთი ჟივილ-ხივილი.

— მოვრთოთ! მოვრთოთ! — ყვიროდნენ გოგონები.

— ეგდა გვაკლია! — პასუხობდნენ ბიჭები. — ამათაც მოიგონეს გასართობი.

მაგრამ გოგონები უკვე წნავდნენ გვირგვინებს. მწვანე ბალახით შეკრეს წითელი, თეთრი და ყვითელი ყვავილები. პირველად ნასტიამ მოათავა გვირგვინი. მან ეშმაკური ღიმილით გაიარა ტბის პირზე და ამღერდა:

ხვართქლა დამაქვს,
ხვართქლა დამაქეს
და არ ვიცი,
ვის დავადგა!..

და ყველა აჰყვა სიმღერას. კოსტია შიშით შესცქეროდა ნასტიას, რომელიც უფრო და უფრო უახლოვდებოდა: ეს „ხვართქლა“ ნეტავ მე ხომ არ უნდა ჩამომაცვასო?.

ამასობაში ჩეჩეკმაც დაწნა გვირგვინი. აჩქარებით კრავდა მას მწვანე ბალახით და შიშ-მღელვარებით უცქეროდა ნასტიას: რატომ წავიდა კოსტიას მხარესო?

ყველანი ღიმილით უცქეროდნენ ნასტიას და ელოდნენ, ვის დაადგამდა გვირგვინს. იგი განაპირას მჯდომი ორი ყმაწვილისკენ — კოსტიასა და მანჟინისკენ მიდიოდა. მანჟინი იღიმებოდა, კეთილი თვალები უბრწყინავდა. კოსტიას კი ხელები მიწაზე დაებჯინა, მზად იყო წამომხტარიყო და ტაიგაში გავარდნილიყო. ისღა აკლდა, ამოდენა ყმაწვილისთვის გვირგვინი დაედგათ!

ნასტია მანჟინის წინ გაჩერდა და კოსტია დამშვიდდა, ცოტათი გაიღიმა კიდევაც და გეზად გახედა ვასიას, მაგრამ ნასტია სიმღერის ბოლო სიტყვის ამოთქმისთანავე უეცრად კოსტიასკენ შებრუნდა და თავზე გვირგვინი ჩამოაცვა. კოსტია წამოხტა.

— აბა, ეს რა არის! — წაიბურტყუნა წყენისა და უხერხულობისგან ჭარხალივით გაწითლებულმა. — ამას უყურე!

ბავშვები ყვიროდნენ, იცინოდნენ, ტაშს უკრავდნენ. კოსტიამ გაბრაზებით მოიშორა გვირგვინი, მაგრამ ნასტიამ ისევ ჩამოაცვა და რაც უფრო ბრაზობდა კოსტია, მით უფრო მხიარულად იცინოდნენ ირგვლივ.

— კოსტია, რა ველურივით იქცევი! — თქვა ბოლოს მარფა მასწავლებელმა. — გაზაფხულს ყოველთვის გვირგვინებით ხვდებიან. რაკი ჩვენთან წამოხვედი, უნდა დაგვემორჩილო კიდეც!.. აბა, გოგონებო, ბიჭებს გვირგვინები დაადგით!

ბიჭებიც დამორჩილდნენ, ზოგმა გაბრაზებით, ზოგმა დარცხვენით, ზოგმა კმაყოფილებით დაიდგა გვირგვინი. ვერავინ შეამჩნია, რომ ჩეჩეკი ნასტიას ფეხდაფეხ მიჰყვა და ვერ მოასწრო თავისი ლილისფერი იებისგან დაწნული ნაზი გვირგვინი კოსტიასთვის დაედგა. უნდოდა, ნასტიას ფურისულებისა და საპოვნელების გვირგვინი ბიჭისთვის მოეშორებინა, მაგრამ დროულად შეიკავა თავი და წყნარად გადგა მეგობრების ზურგს უკან.

ამ ოინით ყველაზე მეტად ალიოშა რეპეინიკოვი იყო კმაყოფილი. თავის გვირგვინს მხიარულად იჩოჩებდა ხან ერთ ყურზე,

ხან მეორეზე და მანამ აწვალა, სანამ არ დაშალა და ყვითელი ყვავილები ცალ-ცალკე არ დაიფანტა.

— ეჰ, თქვენც გცოდნიათ დაწვნა! უკეთ ვერ გააკეთეთ? — თქვა მან.

ალიოშა გვირგვინის ყვავილებს აგროვებდა და მათ შეკვრას ცდილობდა: რა არის ეს, ყველას გვირგვინი ექნება, მე კი არაო!

— აგერ ჩეჩეკს აქვს ერთი გვირგვინი! — დაიძახა ლიდა კოროლკოვამ. — ჩეჩეკ, ალიოშას დაადგი შენი გვირგვინი!

ბავშვები მიიწ-მოიწევნენ, ჩეჩეკს გზა მისცეს. ჩეჩეკი და ალიოშა როგორღაც ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ და ყველა მათ უცქეროდა.

— აბა, ჩქარა დამადგი! — თქვა ალიოშამ და მრგვალი, მოთეთრო თავი მიუშვირა.

მაგრამ ჩეჩეკმა ამაყად შეხედა, ტუჩები მოკუმა, იისფერი ვვირგვინი ბალახში მოისროლა და განზე გადგა. ალიოშამ სიცილით აიღო გვირგვინი.

— ეჰ, შენა! ძირს რად აგდებ!.. არ მადგამ და მე თვითონ დავიდგამ.

— ბავშვებო, აბა, ფერხულში ჩადექით და შეწყობილად დასძახეთ სიმღერა! — მიმართა ყმაწვილებს მარფა მასწავლებელმა.

მშვენიერო გაზაფხულო,
მოდი, მოდი სიხარულით,
სიხარულით, სიხარულით,
დაგვიამე ლხენით გული!..

სიმღერამ მახლობელ მთებს გადაუარა და შორს გადაიქროლა. მას ტაიგაში მოძახილი უთხრეს ჩიტებმა, ულიმოდნენ ძილში გაშლილი ყვავილები და შეიძლება ალტაის მთებზე ამომავალმა გაზაფხულმაც ახალგაზრდული მოწოდების ხმის გაგონებაზე ფეხს აუჩქარა...

შინ ბავშვები ცოტათი დაღლილნი ბრუნდებოდნენ. თან ჰერბარიუმისთვის ბალახებისა და ყვავილების ვეება თაიგულები მოჰქონდათ. ბიჭები თავიანთ გვირგვინებს გზაში კარგავდნენ ან ლა-

რიქსის ტოტებზე ჰკიდებდნენ. ალიოშა რეპეინიკოვმა ქუდი ღიაღხურა, გვირგვინი კი უნდოდა სადმე ბუჩქნარში დაეტოვებინა, ძაგრამ სურნელოვან ლილისფერ იებს დახედა და ქუდზემოთ დაიდო. ძალიან ლამაზი გვირგვინი მოეწნა ჩეჩეკს!

ყველა კარგად გრძნობდა თავს, მხიარულად იყვნენ. შიოდათ, იცინოდნენ, ერთმანეთს ექილიკებოდნენ, წინდაწინ ტკბებოდნენ ხალისიანი ვახშმის მოლოდინში და არავინ იცოდა, რა სერიოზული საუბარი გააჩაღა უკან მომავალმა სამმა მეგობარმა.

— ჩეჩეკ, არ თქვა ახლა, ალიოშაზე არ ვბრაზობო! — მკაცრად უთხრა ლიდა კოროლკოვამ ჩეჩეკს.

ჩეჩეკმა შავი წარბები აზიდა:

— რაო, უნდა მეკოცნა?

— ფუი, ჩეჩეკ! — იყვირა მაიამ. — თავს ნუ იკატუნებ! ალიოშა გძულს! დიდი ხანია შეგამჩნიე. მაშინ ანატოლი მასწავლებელმა გითხრა: შვრიანი პარკი შენ დაიჭირე, ალიოშამ კი ბოცვრებს აკამოსო, და შენ იმწამსვე დადე პარკი!

— გასაოცარია! — მხრები აიჩეჩა ჩეჩეკმა.

— ჰოდა, კიდევ!.. — ფიცხად განაგრძობდა მაია. — ალიოშას რომ ბოცვერი გაექცა ბაღში და ძებნა დაუწყო, შენ იცოდი, სად იყო ბოცვერი, მაგრამ ხმა არ ამოგიღია. რატომ არ უთხარი? დღესაც გვირგვინი გადააგდე.

— მერე რა? — პირქუშად უთხრა ჩეჩეკმა. — მინდოდა და გადავაგდე. არ მსურს, ალიოშას გვირგვინს ვადგამდე თავზე და ყოველთვის გადავაგდებ!

— ოჰო! — გაუკვირდა ლიდას. — რატომ? იქნებ გაგლანძღა?

გაბრაზებული ჩეჩეკი დუმდა.

— არასდროს გაულანძღავს, — თქვა მაიამ. — რატომ უნდა ლანძღოს?

— ასე არ ვარგა, ჩეჩეკ, — უსაყვედურა ლიდამ. — შეიძლება შეჩენა იცის და ფაციფუცაა... მაგრამ მაინც ჩვენი პიონერი, ჩვენი ამხანაგია...

— ოჰ! ამხანაგი! — აღშფოთდა ჩეჩეკი. — კარგი ამხანაგი კია! მერედა, ვინ აპირებდა ანატოლი მასწავლებლისთვის ჩემი ამბის თქმას? არავინ, ის კი: წავალ, ვეტყვი, უნდა ვუთხრაო. ბავშვებმა

არ კაუშვეს, თორემ გავარდებოდა. რა უნდა? ჯიბრით მიკეთებს ყველაფერს, რომ შინ გავიქცე. მაგასაც ამხანაგი ჰქვია!

მაიამ ტაში შემოჰკრა:

— უიმე, რას ამბობს!

ლიდა კოროლკოვა კი მოიქუფრა:

— ოჰ, ჩეჩეკ, მთლად აგებურდა გონება. გინდა იცოდე? ჩემი აზრით საჭირო რომ ყოფილიყო ანატოლი მასწავლებლისთვის შენი ამბის თქმა... ჰო, რომ მგონებოდა, ეს სარგებლობას მოგიტანდა... მეც წავიდოდი და ვეტყოდი...

ჩეჩეკი შეჩერდა.

— ჩემზე ეტყოდი, შენ?..

— დიახ, შენზე. დიახ, მე.

— მე კი მეგონა, ჩემი მეგობარი იყავი.

ჩეჩეკმა უცებ თავიდან მოიძრო თავისი წითელი გვირგვინი, მოისროლა და გაქცევა უნდოდა, მაგრამ ლიდა ხელზე ეცა.

— რას შვრები, ჩეჩეკ! კი, რა თქმა უნდა, შენი მეგობარი ვარ, — უთხრა მტკიცედ, — მაგრამ ჯერ მომისმინე და შემდეგ გაიქეცი! მე რომ მგონებოდა, თუ ანატოლი მასწავლებელს ვეტყოდი, როგორ იწერდი დავალებას, ეს გიშველიდა, და მეტად აღარ გადაიწერდი, კარგად ისწავლიდი, წავიდოდი და ვეტყოდი...

ჩეჩეკმა სცადა ხელი გამოეტაცა, მაგრამ ლიდას მაგრად ეჭირა:

— დაიცადე, მომისმინე... მე და სხვებმა კი ვიფიქრეთ, რომ შენ ჩვენც გაგვიგონებდი და ანატოლი მასწავლებლისთვის თქმა საჭირო არ იყო. ალიოშას აზრით შენთვის სჯობდა, ანატოლი მასწავლებლისთვის ყველაფერი ეთქვა, ჰოდა, უნდოდა...

— ჩემთვის სჯობდა, არა?

— რაღა თქმა უნდა! — კვერი დაუკრა მაიამ. — რად გეგონა, ჯიბრით გიკეთებდა ყველაფერს?

— დიახ, ჯიბრით!

— ოჰ, ჩეჩეკ! — დაფიქრებით თქვა ლიდა კოროლკოვამ. — იცი, რას ვფიქრობ ახლა... რას ვფიქრობ! ნაადრევად ხომ არ მიგიღეთ პიონერთა რიგებში?

ჩეჩეკმა შიშნეულად გადახედა მეგობრებს და თავი დაიხარა. მაია მაშინვე მხრებზე მოეხვია:

— ასე რად ამბობ, ლიდა, ნუ ამბობ! ჩეჩეკი ცოტას დაფიქო-

დება და ყველაფერს მიხვდება. აი, მეც ვერ ვხვდები ბევრ რამეს. ჰოდა, ვფიქრობ: რატომაა ასე? ქოხში ცხოვრება სჯობია, ბაბუა-ჩემი კი მაინც აილში ცხოვრობს!..

ლიდას უნებლიეთ გაეცინა:

— კარგი რა, მაია!

ჩეჩეკი კი მთელი გზა დუმდა და რაღაცას ფიქრობდა. მეგობრები ხელს არ უშლიდნენ.

მარუა მასწავლებლის სახლში

გავიდა მაისი. გავიდა გამოცდების მძიმე, მღელვარე დღეები.

იმ დღეებში კოსტიას წიგნების, სახელმძღვანელოების, რვეულების, ნახაზების გარდა არაფერი ახსოვდა.

ერთხელ ვანია პეტუხოვმა, რომელსაც კოსტია გამოცდების მომზადებაში ეხმარებოდა, მეგობარს უთხრა:

— ნეტა რას უზიხარ კრუხივით სახელმძღვანელოებს? გამოცდებს ისედაც ჩააბარებ!

— როგორ თუ ჩავაბრებ... — მიუგო კოსტიამ. — ჩაბარება სხვადასხვანაირად შეიძლება. მე კი ხუთებზე მინდა ჩავაბარო.

კოსტიამ ფრიადებზე ჩააბარა გამოცდები და მხოლოდ უკანასკნელი გამოცდის მეორე დღეს იგრძნო, რომ ცხოვრება მშვენიერი და მრავალფეროვანი იყო. ყველაფერი უნდოდა: ბაღში ვაშლების ნარგავების შესამოწმებლად გაქცევაც, არხის გაყვანაც, ჩეჩეკის ლაქლაქის მოსმენაც, მისი საქმეების გამოკითხვა, მაგრამ მამამ უთხრა, კოლმეურნეობაში კარტოფილის თესვაზე ხალხი სჭირდებათო, და კოსტიამ სიამოვნებით გასწია მინდორში. ხოლო ყველაზე დიდი საზრუნავი ის ჰქონდა, რომ განცხადება დაეწერა და ბარნაულის მეხილეობა-მეკენკრეობის ტექნიკუმში გაეგზავნა.

ყოველივე ამის გარდა კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩნდა: უცებ, თავისდა უნებურად, მსახიობი გახდა.

ერთხელ, საკოლმეურნეო მინდვრებიდან ბრუნდებოდა, ოდნავ დაღლილი იყო და სკოლის ბაღში შევიდა. პატარა ვაშლების ნაზი ფოთლები მოლურჯო ბინდბუნდში მქრქალი მწვანე ჩანდა, ხეები წყნარად იდგნენ, თითქოს უკვირდათ, რომ ცოცხლობდნენ, რომ

მათი რბილი კანის ქვეშ წვენი მოედინებოდა და დიდი ხეებივით თვითონაც შეძლეს ფოთლების გაშლა.

კოსტია ნელა დაბიჯებდა ბაღში, დაფიქრებით იღიმებოდა და ფიქრობდა: „მივდივარ... კლასში ჩემს მერხზე სხვა დაჯდება. ჩემს ვაშლებსაც სხვა მოუვლის. მე კი აქ თითქოს არც ვყოფილვარ... ვაშლებიც დამივიწყებენ... მაგრამ არა უშავს. მთავარია, ბავშვებს უყვარდეთ ისინი!"

ამ ოდნავ ნაღვლიანი ფიქრებით გარემოცული კოსტია ბაღიდან სკოლის ეზოში გამოვიდა და რამდენიმე ბავშვმა ერთხმად იყვირა:

— აჰა, ისიც... კანდიკოვ! კოსტია! მოდი აქ!

მარფა მასწავლებლის შეთეთრებული პატარა სახლის პარმაღზე მოსწავლეები ისხდნენ. აქ იყვნენ უმცროსკლასელებიც, უფროსკლასელებიც და შუათანა კლასელებიც. მარფა მასწავლებელს თეთრი თავსაფარი თვალებზე ჩამოეწია და ზედა საფეხურზე იჯდა. ნასტია, მეექვსეკლასელი ოლგა ნაევა, ტანია ჩუბუკოვა, ალიოშა რეპეინიკოვი, მამინ სიიაბი — სუყველა კოსტიას ეძახდა. ყველაზე მჭექარედ ჩეჩეკი ყვიროდა:

— კენსკინ, აქ მოდი! ჩქარა! გამოიქეცი!

კოსტია ბავშვებთან მივიდა.

— რა მოხდა? — იკითხა გაკვირვებით და მაშინვე ჩეჩეკს შეხედა, კიდევ ხომ არაფერი იეშმაკაო.

ჩეჩეკი მიხვდა, რას მეტყველებდა მისი მზერა, და სიცილით ჩაარაკრაკა:

— არა, არა, არაფერი მიქნია! შენ კი პეტრე დიდი იქნები! მანჟინი ზანგი! მაია საცოლე! ხოლო მე ნადიზზე ვიცეკვებ!

კოსტია დაიბნა:

— მე პეტრე დიდი? მანჟინი ზანგი?

ყველას გაეცინა.

— დაჯექი, კანდიკოვ, — ღიმილით უთხრა მარფა მასწავლებელმა. — ახლავე ყველაფერს მოგიყვებით.

თურმე დრამწრეს გადაეწყვიტა, საზაფხულო არდადეგების წინ გამოსათხოვარი სპექტაკლი დაედგა. სპექტაკლის დადგმა კი გადაეწყვიტათ, მაგრამ გახსენებოდათ, რომ პიესა არ ჰქონდათ, ხოლო ძველი პიესების დადგმა არ სურდათ. ამიტომ მოიფიქრეს, რომელიმე ნაწარმოები გაესცენიურებინათ. საახალწლოდ მათ არკადი

გაიდარის „თემური და მისი რაზმის“ მიხედვით დადგეს სპექტაკლი. მარტში ბებიასა და ბაბუას ზღაპარი წარმოადგინეს (როგორ წავიდა ბებია მიწის მოსახნავად, ბაბუა კი საოჯახო საქმეების გასაკეთებლად დარჩა შინ). სპექტაკლი ისე ხალისიანი იყო, დარბაზში წუთით არ შემწყდარა სიცილ-კისკისი. კაცმა არ უწყოდა, თვითონ მსახიობები რად ითმენდნენ და არ იცინოდნენ. ახლა კი რა დაედგათ?

— მალე პუშკინის დღეები დაიწყება, — თქვა მარფა მასწავლებელმა. — იქნებ პუშკინის რომელიმე ნაწარმოები გაგვესცენიურებინა?

ორი საღამო უსხდნენ პუშკინს: ხმამაღლა კითხულობდნენ ლექსებს, თვალს ავლებდნენ მოთხრობებს, ზღაპრებს...

— ძალიან მომწონს „პეტრე დიდის ზანგი!“ — თქვა ნასტიამ. — წუხელ წავიკითხე, ძალიან, ძალიან მომწონს!

— ჰოდა, „ზანგი“ გავასცენიუროთ! — შესთავაზა ბავშვებს მარფა მასწავლებელმა. — პეტრე დიდი, ასამბლეები, ბოიარები...

ბავშვებს გონება აღენთოთ. ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, თუ რა ეთამაშათ, როგორ ეთამაშათ, ვის ვინ ეთამაშა. იმ საღამოსვე შეუდგნენ პიესის წერას. პიესის დაწერა არც ისე იოლი აღმოჩნდა: საჭირო გახდა ტექსტის მოქმედებებად დაყოფა, დიალოგებად და მონოლოგებად დახაწილება... თავს არ იზოგავდნენ და ერთ კვირაში პიესა მზად ჰქონდათ. პიესა შეიძლება მთლად გამართული არ იყო, მაგრამ რა უშავდა! სამაგიეროდ, რა საინტერესო სიტყვები შეიძლებოდა გეთქვა სცენიდან და რა უჩვეულო კოსტიუმები მოგიფიქრებინა!..

ოღონდ როლების დასწავლას რომ შეუდგნენ, ტანია ჩუბუკოვა შეშინდა:

— ნეტა რას ვეპოტინებით! რა ჩავიფიქრეთ! ჩვენ ხომ არაფერი მოგვეძევება: არც დეკორაციები, არც კოსტიუმები... არც თმა! ხაბარდები სადღა უნდა ვიშოვოთ? მაშინ ხომ ხაბარდები ჰქონდათ.

— არა უშავს! — შეესიტყვა მარფა მასწავლებელი, რომელიც გონებაში უკვე ხედავდა სპექტაკლს. იგი უკვე ატყვევებდა. უკვე ესმოდა იბრაჰიმის ფიქრიანი რეპლიკები, პეტრის მტკიცე ხმა, ატირებული საცოლის გაუგებარი ლაპარაკი. — არა უშავს. ახლა

არაფერი გვაქვს, ხოლო როცა საქმეს შევუდგებით და ყველაფერს გავაკეთებთ, ყოველივე გვექნება. აბა, ვნახოთ, რა გვჭირდება დეკორაციისთვის?.. მაგიდები, სავარძლები... შეიძლება სკამებზე ბალიშები დავდოთ და რაიმე გადავაფაროთ. ესეც თქვენი სავარძლები! ვის შეუძლია ეს გააკეთოს?

— ამის გაკეთებას რა უნდა! — თქვა ოლგა ნაევამ. — მეც გავაკეთებ.

— კეთილი. შენ სავარძლები გააკეთე. ახლა ჭაღი გვჭირდება.

— ჰა, ვინ გააკეთებს?

— ჩვენ ხომ არ ვიცით, ჭაღი როგორია, — მორიდებით თქვა მაიამ.

— რას ჰქვია „არ ვიცით?" არ იცით და ისწავლით. რაკი მოხალისენი არ ჩანან, შენ გააკეთე, ნასტია.

ნასტიამ დუნედ გააქნია ხელი, თითქოს ფუტკარს იშორებსო:

— არა, არა, მარფა მასწავლებელო, ვერ შევძლებ. ისიც არ ვიცი, რა გავაკეთო. მე ჭაღი არასდროს მინახავს!..

მაგრამ მასწავლებელმა ყურად არ იღო მისი ნათქვამი.

— გააკეთებ, გააკეთებ. მოძებნე სურათი და დახედე, თუ არ გინახავს.

მთლად დაბნეული ნასტია ბიბლიოთეკაში გაიქცა. იმედი ჰქონდა, რომელიმე წიგნში მაინც ვნახავ ჭაღის სურათსო.

იმ საღამოდან მოკიდებული მასწავლებლის ბინაში თითქოს სკა გუგუნებდა. მასწავლებელმა ელეკმანარადან დოლბანდის დიდი ნაჭერი ჩამოიტანა. გოგონები ჭრიდნენ დოლბანდს, ღებავდნენ, ახამებდნენ, ასამბლეისთვის საბალო კაბებს კერავდნენ. ქსოვილის თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, ღრუბელივით მსუბუქი ნაჭრები გაფუშფუშებული ეფინა მაგიდებზე, აფშეკილიყო სკამებზე, ფრიალებდა შუა ოთახში — მათ იზომებდნენ, აგვირისტებდნენ. გოგონები რთავდნენ საცოლეს. მაია შუა ოთახში იდგა და შიშველ მხრებს ბუზავდა, უფროსკლასელი ოლგა ნაევა და ტანია ჩუბუკოვა თეთრ კაბას არგებდნენ.

— უფრო დიდი ნაოჭები გაუკეთეთ, უფრო დიდი! — ამბობდა მასწავლებელი. — ყელის ირგვლივ არშიაც უნდა. აქ კი ყვავილი... ნადია, მოიტა ყველაზე ლამაზი ყვავილი!

წითელი და თეთრი ყვავილების ხვავში ჩაფლული შავნაწნა-

ვიანი, ლოყებღაჟღაჟა ნადია ფანჯარასთან იჯდა და გაბაფხული გეგონებოდათ. იგი ძალზე ადვილად და სწრაფად აკეთებდა ვარდებს, დაკბილულ მიხაკებს, ფუმფულა ასტრებს. ყვავილები სულ წითელი და თეთრი იყო, ვინაიდან ნადიას სხვა ფერის ქაღალდი არ ჰქონდა. მის ფეხებთან პატარა, წვეტიანი ჩამონაჭრები ეყარა.

— ვარდი თუ ასტრა? — იკითხა ნადიამ.

მასწავლებელმა გახამებულ ფურჩალებს წითელი ვარდი მიადო, შემდეგ თეთრი, შემდეგ წითელი მიხაკი... მაია განძრევას ვერ ბედავდა, მაგრამ, რაც შეეძლო, გეზად იცქირებოდა კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში: ყვავილები როგორ მიხდებაო.

— არა, არა! — თქვა მასწავლებელმა. — საცოლეს წითელი ყვავილები არ უხდება.

— ვარდისფერი რომ იყოს... — წაიჩურჩულა ერკელეიმ.

— რაო, ვარდისფერები გინდათ? — აჰყვა ლიდა კოროლკოვა. — მოდით აქ, საღებავი დარჩა!

— ყვავილები, ყვავილებიო, იძახით, მაგრამ ქვედა კაბას რა ვუყოთ? — იყვირა უცებ ნაევამ, რომელიც მაიას ქვედაკაბას არგებდა. — ძირს ვარდება, ჩამოკიდებულია! აბა, განა ეს სეფექალია? ყინულის ლოლუაა და მეტი არაფერი!

— ხაბარდა გვინდა.

— დიახაც, გვინდა! მერედა რისგან გავაკეთოთ?

— მე ვიცი. ფარდულში ძველი კასრი აგდია, შეიძლება გვერგვი მოვაძროთ.

— მავთულის ხაბარდა ხომ არ აჯობებს?

— მავთული სადღაა?

— კოლმეურნეობაში. მეკუჭნავეს ვთხოვოთ!

— ჩეჩეკ, გავიქცეთ მავთულის მოსატანად! — დაიძახა კატია ყირგიზოვამ.

— გავიქცეთ.

ზღურბლზე გოგოები ნასტიას შეეჩეხნენ.

— მასწავლებელო, ჭაღი არც ერთ წიგნში არაა. რა ვქნათ? სადაც არის, ისეა დახატული, ვერაფერს გაარჩევ!

— შენ კი მოძებნე, მოიფიქრე, — მიუგო მასწავლებელმა.

— არ ვიცი!

— რას ქვია, „არ ვიცი"! ვიი გაყვალა გულზე ხელების და-

კრეფა? შენსას უნდა მიაღწიო, განა ფარ-ხმალი უნდა დაყარო. იყავი დირექტორთან? არა? წადი მასთან. მათემატიკის მასწავლებელთან წადი. ანა მასწავლებელთან წადი...

ნასტია ისევ წავიდა.

მალე მოირბინეს ნიუშა სარუევამ და ალიოშა რეპეინიკოვმა. მათ უამრავი დაჭმუჭნილი სელი მოიტანეს.

— ალიოშა, წადი! — იწივლა მაიამ. მაგრამ ალიოშას არ ესმოდა.

— აჰა, მოგვცეს! თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, ძია მატვეიმ მოგვცა! — იყვირა ალიოშამ. — მეჯინიბემ ლანძღვა დაგვიწყო, მანდედან სამი წყვილი სადავე გაკეთდებაო. ჩვენ ვუთხარით: ვინაა უფროსი — მეჯინიბე თუ თავმჯდომარე, ჩვენ თვითონ თავმჯდომარემ, ძია მატვეიმ მოგვცა-თქო.

— მოიტა, მოიტა! — გაუხარდა მარფა მასწავლებელს. — გოგოებო. თმის სახვევები იშოვეთ, ახლა პარიკს დავახვევთ!.. შენ კი, ალიოშა, აქედან მოუსვი, დარბაზში ბიჭები დეკორაციებს აკეთებენ და მიეხმარე.

მალე გამოჩნდნენ ჩეჩეკი და კატია კირგიზოვა. აჩხარუნდა მავთული, რაკუნით შემოგორდა გატეხილი კასრის დაჟანგული გვერგვები. ბავშვებს ხელუხლებელი არ დარჩენიათ დედების ძველი ქვედა კაბებიც, რომლებიც გროვად ეყარა კუთხეში. გადაწყვიტეს, ამ ქვედა კაბებისათვის მიემატებინათ ხაბარდის ჩონჩხი. ჩონჩხად გვერგვი არ გამოდგა, ძალიან მძიმე იყო და ქსოვილს ხევდა. მოღუნული მავთული უფრო კარგი აღმოჩნდა.

ხაბარდიანი კაბა ყველაზე პირველად მაიამ ჩაიცვა და აღტაცებულმა გოგონებმა ერთხმად შეჰყვირეს:

— რა ლამაზია! სეფექალია! როგორიც სურათზეა, ზუსტად ისეთია!

— მე? მე? — მოსვენებას არ აძლევდა ჩეჩეკი მასწავლებელს. — მეც ასეთივე კაბა მექნება? მხრები — მოშიშვლებული? ასეთივე თმა?

— ყველაფერი გექნება! — პასუხობდა მასწავლებელი. — შენ პირველი ქალბატონი გახდები. ოღონდ უფრო სწრაფად იხმარე ნემსი!

შემდეგ კიდევ ერთი საკითხი წამოიჭრა: რა ჩაიცვათ ვაჟებს. ამ

საკითხს ყველა ერთად იხილავდა. დაუძახეს ბიჭებს, იხსენებღნენ, ვის რანაირი პიჯაკი თუ ქურთუკი ჰქონდა.

— შლაპებს რა ვუყოთ?

— ერთი შლაპა მეჯინიბეს აქვს, ოღონდ მომჩვარულია.

— მერე რა, მისგან სამკუთხა ქუდს გავაკეთებთ: ფარფლებს ავუკეცავთ, თეთრ ფურალებს მივაკერებთ...

— ფიზკულტურის მასწავლებელსაც აქვს შლაპა!

— მისი შლაპა ახალია და არ მოგვცემს.

— მოგვცემს! ბიჭებთან ერთად სცენას აკეთებს. მოგვცემს!

— პეტრეს ხიფთანი სად ვიშოვოთ?

— იქნებ მამის პიჯაკი გამოდგეს?

— არ გამოდგება. ხიფთანი გრძელი უნდა იყოს. კოსტიას კი მამის პიჯაკი თითქმის ზომაზე აქვს. აყლაყუდა გაიზარდა.

ბავშვები დარბოდნენ სოფელში, თხოულობდნენ პიჯაკებს, ქურთუკებს. მანჟინი მშვენივრად გამოაწყვეს: კოსტიას დედის პლისეს ჟაკეტი ჩინებული ხიფთანივით ადგა, მხოლოდ სახელოები შეუკეცეს, დოლბანდისგან გაკეთებული თეთრი საყელო ნამდვილი შაქმანისა გეგონებოდათ.

— შეხედეთ, რა ლამაზია მანჟინი! შეხედეთ! ოღონდ ცოტათი უნდა გავმუროთ — ეს ხომ ზანგია!

— გამურვა რად უნდა. იტყვიან, ბუხრების საწმენდად დადიოდაო.

— მაშ, ყავისფერი საღებავი უნდა წავუსვათ. თეთრი კაცი აბა, რა ზანგია.

— მანჟინის საქმე მოვათავეთ, მაგრამ პეტრეს რა ჩავაცვათ? რამხელა გაიზარდა ეს კანდიკოვი, ვერაფრით ვერ გამოაწყობ!.. აბა, გაიხსენეთ, იქნებ ბაბუას ნაქონი არმიაკი გეგდოთ სადმე?

— არმიაკი? მეფისთვის გინდათ? მეფეს მუნდირი სჭირდება!

— მოიცათ! ვიცი, სად ვიშოვოთ მუნდირი, — თქვა ვანია პეტუხოვმა. — კარპოვებს აქვთ. ძია პავლეს ოფიცრის ახალი მუნდირი აქვს!

— კანდიკოვ, წადი, თხოვე! — უთხრა მასწავლებელმა.

— მე... მეშინია. უხერხულია.

— პეტუხოვი გაიყოლე. საუხერხულო რა არის, როცა გჭირდება!

...ძია პავლე ახლახან დაბრუნებულიყო სახნავიდან და სასადილოდ ჯდებოდა.

— ჩემი მუნდირი? — გაუკვირდა პავლეს. — აბა, რა ვიცი...

— რას ჰქვია „რა ვიცი!“ — ჩაერია საუბარში მისი მეუღლე სტეპანიდა. — ხედავთ, რა მოუფიქრებიათ! ამათ როგორ უნდა ჩაუგდო ხელში ახალთახალი მუნდირი!

— წესიერად ვიხმართ, — შეესიტყვა ვანია. — არ დავჭმუჭნით! გავუფრთხილდებით!

— არა და არა! — ხელის აქნევით უარობდა დეიდა სტეპანიდა. — რაც გინდათ, ისა თქვით, მუნდირს კი არ მოგცემთ. ხედავ, რა მოსვლიათ ჭკუაში — ახალი მუნდირი საეშმაკოდ მოგვეცითო! დახევენ, დასვრიან...

— დეიდა სტეპანიდა, სიტყვას გაძლევთ!

— თქვენი სიტყვა არ მჭირდება მე. რა თავში ვიხლი თქვენს სიტყვას.

შემცბარმა და გაწითლებულმა კოსტიამ პეტუხოვს სახელოზე მოქაჩა:

— წავიდეთ. რაკი არ გვაძლევენ, ესე იგი, არ შეიძლება. გეყოფა!.. — თქვა და ქოხიდან გამოვიდა.

ვანია პეტუხოვმა კიდევ სცადა დეიდა სტეპანიდას დარწმუნება, მუნდირი აუცილებლად გვჭირდებაო, ეუბნებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა და ისიც ხახამშრალი გამოვიდა გარეთ...

— ეჰ, თქვე დოყლაპიებო, როგორ ვერ დაარწმუნეთ! — უთხრა ბიჭებს მარფა მასწავლებელმა. — ფედია შუმილინ, ახლა შენ წადი. აქ ყველაზე მარჯვე ხარ. ერთი გოგოც გაჰყვეს. ლიდა კოროლკოვა, გაიქეცი!

ახალი დესპანებიც პირში ჩალაგამოვლებულნი დაბრუნდნენ. დეიდა სტეპანიდამ არც მოუსმინა მათ.

— ისევ მე უნდა წავიდე, — თქვა მარფა მასწავლებელმა. — ეს რა შეუგნებელი ხალხია. დაფიქრდნენ მაინც, რით მოვიდეს მეფე ასამბლეაზე? „ახალიო!“ მეფეს სწორედ ახალი სჭირდება!.. ლიდა, დაჯექი ჩემს ადგილას. აჰა, ნემსი. მე კი წავალ.

მასწავლებელმა ძაფის ნაგლეჯები და ქსოვილის ჩამონაჭრები ჩამოიფერთხა, უფრო კოხტად წაიკრა თეთრი თავსაფარი და გავიდა.

დეიდა სტეპანიდამ ამოიოხრა კიდეც, როცა გაიგო მასწავლებელმაც მუნდირს მოაკითხაო, პავლეს საუკეთესო მუნდირს, რომლისთვისაც ნაფტალინი მოეყარა და სკივრში შეენახა.

— ნეტავი რა დაგემართათ, პატივცემულო! — უთხრა მასწავლებელს აღშფოთებულმა. — ხან ბავშვებს მიგზავნით, ხან თვითონ მოდიხართ... რატომ ეპატრონებით ასე სხვის ქონებას?

— შენს ქონებას არაფერი დაემართება, — მიუგო მასწავლებელმა. — თუ ბავშვების არ გჯერა, მე დამიჯერე: უვნებლად დაგიბრუნებთ! აბა, რა ადამიანი ხარ, თუ ხელს არ გაგვიმართავ! სპექტაკლის სანახავად ხომ შენც მოხვალ.

— შემიძლია, არც ვნახო, რა დიდი რამ ეგაა!

— როგორც გენებოს, მაგრამ იცოდე, არ დაგეხსნები, — უთხრა მასწავლებელმა სტეპანიდას და პირდაპირ გამგეობაში წავიდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მკაცრმა, ნაცრისფერთვალება ძია მატვეიმ ყურადღებით მოუსმინა მასწავლებელს და თუმცა მინდორში მიეჩქარებოდა, მასთან ერთად კარპოვებთან შეუხვია.

პავლე კარპოვმა თავმჯდომარე ფანჯრიდან დაინახა და შეცბა:

— შეხე, თავმჯდომარე და მასწავლებელი მოდიან!.. მიეცი მუნდირი! ნეტა რას დაპკანკალებ?

— ოჰ, ღმერთო! — აფაციფუცდა დეიდა სტეპანიდა. — ეს რა ყაჩაღობაა!

— რა ახირებულნი ხართ, ხალხნო, — თქვა ქოხში შესვლისას თავმჯდომარემ. — მასწავლებელი რომ თავდებად გიდგებათ, ეს თქვენთვის არ კმარა? ამათ შვილებს ანდობთ, არ გეშინიათ, მუნდირის ნდობა კი არ შეგიძლიათ!

— არა, რას ამბობთ, არ მენანება, წაიღონ! — მიუგო პავლემ. — სტეპანიდა არ შვრებოდა, თორემ... ნეტა რას ჩააცივდა ამ მუნდირს!

სტეპანიდა მოტყდა. კარადიდან გასაღები გამოიღო და ბუზღუნით გაემართა სკივრისაკენ. იქვე თავმჯდომარის თვალწინ ნაფტალინი ჩამოფერთხა წითელკანტებიან ახალ მუნდირს და მასწავლებელს მისცა:

— ოღონდაც გაუფრთხილდით! გთხოვთ! ის ხომ მთლად ახალია. ერთი ლაქა არა აქვს!

მასწავლებელი გახალისებული ბრუნდებოდა უკან. ახლა მეფესაც არ შერცხვებოდა ხალხში გამოჩენა!

„ზანგის“ სანახავად თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. კატუნის გალმა ნაპირიდანაც მოვიდნენ ვიღაც-ვიღაცები. მთელი დღე რომ სახნავად იყვნენ, მათი ხელები რომ მინდვრად გუთანს, ბოსტნის სარწყავ ვედროებს, საკოლმეურნეო მშენებლობაზე — ხერხსა და ნაჯახს არ მოშორებია და ჯერაც არ დაესვენათ, ამას არავინ აგდებდა აინუნში. სასკოლო სპექტაკლები ყოველთვის დღესასწაული იყო.

კოსტია მთელი დღე ნაკელს ეზიდებოდა და დაღლილობისგან ხელები უკანკალებდა, როცა კულისებში თავის დიდებულ, კალთებშეკეცილ მუნდირს იცვამდა.

— რაო, ქათმები ხომ არ მოგიპარავს, ხელები ისე გიკანკალებს, — გაეცინა ოლგა ნაევას, რომელიც კოსტიას ჩაცმაში ეხმარებოდა.

კოსტიას გაელიმა:

-- ქათმები არ მომიპარავს, მაგრამ ნაკელს კი ვჩიჩქნიდი.

— ვინ ლაპარაკობს მანდ ნაკელზე? — გაისმა მარფა მასწავლებლის მკაცრი ხმა. — ახლა ყოველგვარი ნაკელი დაივიწყე და გახსოვდეს, რომ მეფე პეტრე ხარ! გესმის? შენი აზრები, სიტყვები, თუ სიარული მეფური უნდა იყოს. და დღეს არავითარი ნაკელი არ გიჩიჩქნია, დღეს ბრძანებულებებს წერდი, ბოიარებს წვერს აჭრიდი, უცხო ქვეყნების ელჩებს ღებულობდი. შემდეგ კი იბრაჰიმის დაქორწინება ჩაიფიქრე. ხომ გაიგე? აბა, უფრო ყოჩაღად დაიჭირე თავი, მხრები გამართე!.. კარგია!.. მოდი ერთი, წარბები უფრო უკეთ გაგიშავო.

კოსტია ცდილობდა, უფრო მყარად გადაედგა ნაბიჯი და თავი აწეული ჰქონოდა. სარკესთან მივიდა და უცებ ოდნავ უკან დაიწია. სარკიდან შავწარბა და კატისულვაშა უცნობი შემოსცქეროდა.

— შეხედეთ, შეხედეთ! კანდიკოვს თავისი თავის შეეშინდა! — ძლივს ამოთქვა ნასტიამ დაუოკებელ სიცილ-ქირქილში.

— წყნარად! — თქვა მასწავლებელმა. — ვრეკავ! ვიწყებთ!

გაისმა მესამე ზარი. აშრიალდა ფარდა. ჩამოდგა სრული სიჩუმე და სცენიდან მოისმა მანჟინი-ზანგის ხმა. მანჟინი თავის ფიქრიან მონოლოგს ამბობდა...

სპექტაკლი ფერადოვნად, ხატოვნად მიმდინარეობდა, მოულოდნელი ვითარება იქმნებოდა სცენაზე, ვერცხლისღილებიანი (ვერცხლი კანფეტის ქაღალდი იყო), უცნაურსამოსიანი, მოკლეშარვლიანი, ტალკმოფრქვეული დახვეული პარიკებით მორთული ხალხი დააბიჯებდა, ისმოდა „იბრაჰიმის“ კეთილშობილური საუბარი და „პეტრეს“ მბრძანებლური ხმა. გაკვირვებულ მაყურებელთა თვალწინ დიდი და სრულიად უცნობი ცხოვრება საჩინოვდებოდა.

როცა ასამბლეა დაიწყო, დარბაზში დაგუდული შეძახილი გაისმა. უცებ ყველამ ტაში დასცხო. სცენაზე საკვირველი, რაღაც მხიარული, მრავალფეროვანი რამ ხდებოდა.

კუთხეში ისხდნენ და წინდებს ქსოვდნენ ზოლებიანი წინდებით, წითელი ქვედაკაბებით და თეთრი ჩაჩებით მოსილი შკიპერების ცოლები. მათი ქმრები, მოუქნელი ჰოლანდიელები, ჩიბუხს ეწეოდნენ და ლუდს სვამდნენ.

და აი, — სასწაულთა შორის ყველაზე დიდი სასწაული! — ჭერიდან დაეშვა თეთრსანთლებიანი, პატარა ყვავილების გირლანდებით ერთიანად შემოწნული მრგვალი ჭაღი.

მუსიკაზე (ბაიანი და გიტარა უკრავდა) ერთიმეორეს მიყოლებით საცეკვაოდ გამოვიდნენ ქალბატონები და მათი კავალრები. ციალებდა ვარცხნილობა, ყვავილებით მორთული კულულები, ხაბარდები, ბოელვარე სირმები (ნაძვის წიწვისგან გაკეთებული ოქროსფერი და ვერცხლისფერი სირმები)...

— ეს ვიღაა? — ჩურჩულებდნენ დარბაზში. — აი, ის მთლად ცისფრად გამოწყობილი? კოროლკოვა? არა!.. საცოლე, საცოლე! თეთრი ყვავილებით მორთული! ნუთუ მაია ვილისოვაა?.. ჩეჩეკი ნახე, ჩეჩეკი! შეხედეთ, ერთიანად ბრწყინავს!..

ჩეჩეკი ისე ცეკვავდა, ლამის ფეხს არ აკარებდა იატაკს. ვარდისფერი ფურჩალები უფრიალებდა, თავზე წითელი ყვავილები ერხეოდა. მაგრამ უცნაურად ცეკვავდა: მაგიდასთან მჯდომი „პეტრეს“ მოშორებით, სულ კუთხეში ტრიალებდა.

— შუაში გამოდი!.. შუაში!.. — უსისინებდა კულისებიდან მასწავლებელი. — კუთხეში ნუ იჭუჭკები.

ჩეჩეკმა მასწავლებლის ხმა გაიგონა. მხიარულად გამოვიდა შუაში, მაგრამ „პეტრეს“ დაჟინებულ და მრისხანე მზერაზე ისევ განზე გაიწია და ცეკვა-ცეკვით მოშორდა მას, სცენის მეორე კუ-

თხეში გავიდა. „პეტრეს“ კი დაავიწყდა, რომ სტუმრებთან უნდა ესაუბრა. წარბები შეჰყარა და ჩეჩეკს დააკვირდა: „საიდანა აქვს ყელსაბამი? საიდან? ნუთუ...“

ჩეჩეკმა ცეკვა დაამთავრა. ქალალდის მარაო აიფარა და ერთ-ხანს კედელთან დადგა, შემდეგ კულისებში ჩუმად მიიმალა. „პეტ-რე“ წამოდგა, სცენა ფართო ნაბიჯებით გადაკვრა და გაედევნა. „მსახიობები“ დაიბნენ, ერთმანეთს გადახედეს: „სად მიდის?“

მდგომარეობა „იბრაჰიმმა“ გამოასწორა. პეტრეს ხელი გამოს-დო, თან მუშტი შეუმჩნევლად უბიძგა ზურგში და უთხრა:

— თქვენო უდიდებულესობავ! სად მიბრძანდებით? ჩვენ ჯერ არ დაგვისრულებია სასიამოვნო საუბარი!

კოსტიამ ძლივს გაითამაშა სცენა ბოლომდე. „იბრაჰიმს“ უღი-მოდა, იხუმრებოდა მის „საცოლეს“, სვამდა ლუდს და მოუთმენ-ლად იხედებოდა აქეთ-იქით — ჩეჩეკი ხომ არ დაბრუნდაო.

ფარდის დახურვისთანავე „პეტრემ“ თავისი სტუმრები მისწი-მოსწია და კულისებში გავარდა.

ჩეჩეკი არც აქ აღმოჩნდა და კოსტია ვეება ჩექმების ბრახუნით შეევარდა კლასში. ჩეჩეკი ფანჯარასთან, მაღალი სატაცურის გვერ-დით იდგა და სადღაც სიბნელეში იცქირებოდა. მას — ვარდისფერი ხაბარდით მოსილ, ყვავილებით და ფურჩალებით. ბრილიანტის ყელსაბამით მორთულ თავადის ასულს — ერთადერთი ლამპა ანა-თებდა. კოსტიას ფეხის ხმაზე შიშნეულად შემოტრიალდა.

— ეს რა ყელსაბამი გიკეთია? აბა, მიჩვენე! — უთხრა კოსტიამ თვალების ბრიალით.

ჩეჩეკმა ხელებით დაიფარა ყელსაბამი:

— შენ ვინ გეკითხება? ერთი ამას უყურე!

— სად აიღე?

— რა შენი საქმეა? იქნებ ბებიამ მომცა!

— ბებიამ? ნუ იტყუები! ხელები ჩამოსწიე!

— ჰო, ბებიამ!.. არ ჩამოვწევ! არ ჩამოვწევ ხელებს!..

კოსტია გაბედულად ეცა ხელებში და ჩამოაწევინა. ჩეჩეკი და-უსხლტა და სატაცურიანმა დიდმა ქოთანმა ბრახუნი მოადინა ია-ტაკზე, თბილი ხელების შეხებაზე ფერდაკარგული ალმასები გო-გონას ფეხებთან დაცვივდა, გახამებულ ფურჩალებში გაიჩხირა.

— ოჰ, მთელი ქოთანი დაიმსხვრა! — ხელი ხელს შემოჰკრა ჩე-

ჩეკმა, კოსტიას კი ქოთნისთვის არ სცხელოდა. იგი ალმასის ერთ-ერთ მარცვალს დასწვდა. მარცვალი ხელში ადნებოდა.

— ესენი ხომ ჩემი კრისტალებია! ოჰ, შენ რომ ბიჭი იყო... — კოსტიამ ხელი მომუშტა.

ჩეჩეკი ფურჩალების შარიშურით კარისკენ გაიქცა.

— ჰო, შენი კრისტალებია! ოდნავ გაიბრწყინეს და ყველა გადნა! შეხე, შეხე, შენ თვითონ გასრისე ყველანი!

კარი ნელა გაიღო და ჩეჩეკი მაშინვე გაჩუმდა. კლასში დირექტორი შემოვიდა.

— რა ამბავია აქ?

კოსტია და ჩეჩეკი შუბლშეკრულნი დუმდნენ. დირექტორმა ძლივს შეიკავა სიცილი, როცა მის „უდიდებულესობა მეფეს“ შეხედა, რომელსაც ცალი წარბი ლოყაზე ჩამოდღაბნოდა, პარიკი ღა შლაპა ყურზე მოქცეოდა, შავი ულვაში კი ისე მრისხანედ გაფშეკოდა, როგორც ვეფხვს.

— რა ამბავია აქ? — გაიმეორა დირექტორმა მკაცრად. — ყვირით, ყვავილი ძირს დაანარცხეთ... მერედა, რა კარგი ყვავილი!

ჩეჩეკმა შიშნეულად შეხედა კოსტიას, შემდეგ დირექტორს.

— ეს მე არ მიქნია, ანატოლი მასწავლებელო! — თქვა ჩეჩეკმა. — მაგის ბრალია!

კოსტიამ ჩეჩეკს გადახედა და თვალებში ისეთი რისხვა ჩაუდგა, ჩეჩეკს შეეშინდა, არ დაავიწყდეს, რომ ბიჭი არა ვარო. დირექტორს საცაა სიცილი წასკდებოდა, გააფთრებული „პეტრეს“ დანახვაზე მეტს ვეღარ მოითმენდა. ძლივსღა თქვა: ყველაფერი დაალაგეთო, ცხვირსახოცი ამოიღო. სახეზე მიიფარა და სწრაფად გავიდა კლასიდან.

კოსტიამ მუნდირი გაიხადა, ფრთხილად დადო მერხზე და ქოთნის ნამტვრევების ალაგება დაიწყო.

— დაგეხმარები, ჰა? — უთხრა ჩეჩეკმა.

კოსტია დუმდა. ჩეჩეკი მიუახლოვდა, ჩაცუცქდა:

— კენსკინ, მოდი, მე მიწას მოვხვეტავ... ხელებს ნუ ისვრი, ნუ, ნუ ისვრი, მე თვითონ გავაკეთებ ამას!

კოსტიას ზედაც არ შეუხედავს, ისე მიუგო:

— არ მინდა.

ჩეჩეკი დაღონდა, მიყუჩდა. კარს უკან დახშული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მღელვარე ძახილი გაისმა:

— კანდიკოვი არ გინახავთ?.. კოსტია! კანდიკოვ! სადაა ნეტავ? ახლავე სცენაზე უნდა გავიდეს! ბოლო მოქმედებაა, ის კი არ ჩანს!

კარი ჯიქურ გაიღო.

— აქაა! — იყვირა რეპეინიკოვმა. — აგერაა!

— მოვდივარ, მოვდივარ, — თქვა კოსტიამ, აჩქარებით დაიფერთხა ხელები და მუნდირს ეცა.

რეპეინიკოვი მიიმალა. იგი გზადაგზა ვიღაცას გასძახოდა:

— მოდის!

— კენსკინ... — ნაზად და შესაბრალისად დაუძახა ჩეჩეკმა კოსტიას. — მართლა გაბრაზდი!

კოსტია არც შემობრუნებულა, ისე მიუგო:

— ჰო, გავბრაზდი.

— რომელიღაც ყვავილის გამო!

— ყვავილის კი არა, იმის გამო, რომ ცუდად იქცევი.

ჩეჩეკი კლასიდან გამოჰყვა კოსტიას:

— კენსკინ, ხომ იცი, როგორ მეშინია დირექტორის!..

— ამიტომ შენი დანაშაული სხვას უნდა გადააბრალო?

— შენ რომ ხელებში არ მცემოდი, არც ყვავილს გადმოვაგდებდი!

— შენ რომ ჩემი კრისტალები არ აგეღო, არც მე გეცემოდი...

— კენსკინ, კენსკინ! მაშ, ჩემთანაც აღარ იმეგობრებ?

— არა, შენისთანა მეგობრები არ მინდა! — უთხრა კოსტიამ და კულისებში მიიმალა.

ჩეჩეკს სცენაზე გასვლა აღარ შეეძლო. არაფერი მოხდებოდა, თუ ბალზე ერთი პატარა თავადის ასული არ იქნებოდა... მან ყვავილები და ხაბარდა მოიცილა, კულისებში გამავალ საფეხურებზე დააწყო და ჩუმად წავიდა სკოლიდან.

ხიუსი დაბრუნდა

ტაიგაში წყნარად დუდუხებს ნაკადული კოლოგოში. ნაკადულის პირას ლარიქსის მსხვილი მორებისგან მკვიდრად შეკრული პატარა ქოხი დგას. აქ, სასკოლო მამულში, გაზაფხულიდან ცხოვრობს სკოლის დარაჯი რომანიჩი და სკოლის ძროხებსა და ცხენებს აძოვებს. დღეს რომანიჩი შუადღით დასასვენებლად ქოხისკენ მოლალავდა საქონელს, თან ერთფეროვან სიმღერას ღიღინებდა, რომელსაც გზადაგზა თვითონვე თხზავდა. ამ დროს სადილს იკეთებდა ხოლმე. ძროხები კი ბაკის გვერდით ხშირ ბუჩქნარში თვლემდნენ.

ტყიდან გაშლილ ფერდობზე გამოსულმა რომანიჩმა უცებ სიმღერა შეწყვიტა. მისი ქოხის გვერდით კოცონი ბოლავდა!

„ნეტა ვინ მოვიდა? მონადირეები ხომ არ არიან? თუ სკოლის დირექტორი ჩამოვიდა?“

კოცონი ნელა ბოლავდა, ქრებოდა, მინავლული ნაკვერცხლების მაღლა, ქვებზე თუჯია იდგა.

ქოხის შორიახლო, დამრეც ფერდობზე რაღაცას აშენებდნენ. ტირიფების ძირას ლარიქსის გაუშალაშინებელი ფიცრების გოლა ეწყო. პრიალებდა ხერხი, ჯახაჯუბი გაჰქონდა ნაჯახს და მისი დარტყმის ნახმევი რამდენჯერმე მეორდებოდა მთებში.

რომანიჩმა მზერა გაამახვილა და იცნო თავისი მოსწავლეები: მანჟინი, კანდიკოვი, შუმილინი, ვანია პეტუხოვი, ანდრეი... აგრ ალიოშა რეპეინიკოვი ფაციფუცობს, დარბის, მარგილებს მოათრევს, ხანდახან შეჰყვირებს ხოლმე.

რომანიჩი მათ მიუახლოვდა:

— რას აშენებთ, ყმაწვილებო?

— ბოცვრების ბაკს, — ცოცხლად მიუგო ალიოშა რეპეინიკოვმა. — პირდაპირ ბალახში იცხოვრებენ! აბა გალიებში რა ქნან? გალიებში სივიწროვე, სიბნელეა, როგორ იცხოვრონ? აქ მხიარულად იქნებიან!

— მაშ, ამას ბოცვრების გასამხიარულებლად აშენებთ?

— იმათაც უნდათ უკეთესად ცხოვრება!

უკეთესად ცხოვრებისთვის კი არ ვაშენებთ, — შეაწყვეტინა ვანია პეტუხოვმა, — იმისთვის, რომ კოლმეურნეებმა აღარ გვიჩივ-

ლონ! ალიოშამ ბოცვრები ისე გაათამაშა, ვერაფერს ვუხერხებთ. წუხელ ოცი ბოცვერი კოლმეურნეობის ბოსტნებს შეესია და ერთი აურზაური ატყდა! კინაღამ გაგვასამართლეს.

რომანიჩმა თავი გააქნია:

— ცუდი ამბავია! თქვენი მებოცვრე სადღა იყო?

ალიოშა დუმდა. მის მაგივრად რომანიჩს შუმილინმა უპასუხა ღიმილით:

— სად იყო? სცენაზე. ჰოლანდიელ შკიპერს თამაშობდა, მეფე პეტრეს ესაუბრებოდა!..

— მაშასადამე, ტაიგაში ბოცვრების გადმოსახლება განიზრახით, არა? — თქვა რომანიჩმა. — კარგია, ძალიან კარგია! აქ მხიარულება იქნება... ოღონდ ფიცრები უფრო მეიდროდ მიადგით ერთმანეთს! შუმილინ, მოიტა ნაჯახი, გიჩვენებ, როგორ უნდა შემოღობვა...

სკოლის დირექტორი კარგა ხანია ფიქრობდა ბოცვრების გადაყვანას სკოლიდან, რადგან ისინი ძალიან მრავლდებოდნენ და გაძნელდა ვიწრო გალიებში მათი გაჩერება. უკვე ნაგვერდულებიც ჰქონდა ნაყიდი ბაკის ასაგებად, მაგრამ ვერა და ვერ მოიცალა. იმ საღამოს, როცა სკოლა სპექტაკლზე იყო, ბოცვრები ისევ გამოცვივდნენ გალიებიდან და დილით უკვე მთელი სოფელი ჩიოდა, ხოლო დირექტორი გამგეობაში გამოიძახეს. ანატოლი მასწავლებელმა ჯარიმის გადახდა იკისრა, ბავშვები ბოცვრების დასაჭერად გაგზავნა და ფიცრებით დატვირთული ფორნებიც მაშინვე გაუყენა სასკოლო მამულის გზას.

კულისებში გასვლის შემდეგ კოსტიას ჩეჩეკი არ უნახავს. არც უნდოდა ენახა. ყველას შეუძლია მოითმინოს და ასევე შეიძლება ყველას გაუწყდეს მოთმინების ძაფი. კოსტიასაც გაუწყდა. თავი მოაბეზრა ამ გოგომ. მალე ჩამოვა იაჟნაი, ხვალ თუ ზეგ ჩამოვა და წაიყვანოს შინ. კოსტიას ეყოფა მისი ლოლიავი.

ასე ბობოქრობდა გულში, მაგრამ ჩეჩეკზე მაინც ფიქრობდა შიგადაშიგ. ნაგვერდულს რომ მიწაში არჭობდა, ბრაზობდა, წყრებოდა, თავის თავს ეკამათებოდა: „ხედავ, ჰა? ამ კრისტალებს როგორ დავკანკალებდი, რამდენ ხანს! იმას კი არც უკითხავს, ხელი დაავლო და სულ გააფუჭა!“

იმავე დროს სულის სიღრმეში კეთილი ხმა ესიტყვებოდა: „ის

ხომ გოგონაა! მორთვა, გამოპრანჭვა უნდა. რა უნდა უქნა! გოგოები სულ ერთნაირნი არიან! ჩეჩეკმა ხომ არ იცოდა, რომ ყელსაბამი უმალ გადნებოდა!..“

„არ იცოდა და ნუ იცოდა! — კამათობდა კოსტია. — კი, მაგრამ რატომ თქვა, რომ ყვავილი თითქოს მე გადმოვაგდე? ეს უსინდისობაა! სულ ერთია უარზე არ ვიქნებოდი, ანატოლი მასწავლებელს სულ ერთია ვეტყოდი, მე გადმოვაგდე-მეთქი, მაგრამ მას გაინა ყველაფერი ჩემთვის უნდა გადმოებრალებინა?!“

კეთილი ხმა ისევ ესიტყვებოდა: „კარგი ერთი, კოსტია! ნუ უბრაზდები... ახლა თვითონაც შავ დღეშია! შენ ხომ მაინც იცი, რომ... რომ თქვენთან შინაურივითაა და თქვენც მისთვის შინაურები ხართ... ჰო, გაბრაზდი და გეყოფა!“

ღობე სწრაფად გრძელდებოდა. აქ ღონიერი, ყოჩაღი, მუშაობას ნაჩვევი ბიჭები შეყრილიყვნენ. მწვანე ფერდობზე მჭიდროდ მწკრივდებოდნენ ლარიქსის მოვარდისფრო-ნარინჯისფერი ნაგვერდულები...

ვახშამზე რომანიჩმა ნაკვერცხლით ჩიბუხს დაფიქრებით მოუკიდა და თქვა:

— საოცარი ხალხი კი ხართ, ბიჭებო! ვის უშენებთ ბაკს? თქვენთვის არ აშენებთ. მაშ, ვისთვის იკლავთ თავს? თქვენთვის არა. სულ დაგავიწყდათ, რომ სკოლა ახლა თქვენი აღარაა. მაშ, ასე თავგამოდებით რად შრომობთ?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, გაიცინეს, ცოტა არ იყოს, შეცბნენ კიდევაც, არ იცოდნენ, რა ეპასუხათ.

— იმიტომ, რომ ჩვენი სკოლა გვიყვარს, — თქვა ბოლოს შუმილინმა. — რაო, ახლა ყველაფერს გამოვეკიდოთ? ბაკის აშენება არ დაგვაქცევს!

— ამაზე არც გვიფიქრია, — მხრები აიჩეჩა პეტუხოვმა.

— უცნაური კითხვაა!.. არც ვიცით, რა გიპასუხოთ, — ჩაიცინა კოსტიამ.

— ასე შეიძლება მიპასუხოთ, — წინანდებურად დაფიქრებით თქვა რომანიჩმა.—ეს ყველაფერი იმიტომ კეთდება, რომ ახალი ადამიანები მოვიდნენ დედამიწაზე, ახალი ადამიანები! ჰოდა, მოხუცს უკვირს, მათ რომ უცქერის. უკვირს... და კარგია, რომ მოვიდნენ!

რომანიჩმა ჩიბუხი ბოლომდე მოსწია და თოფი აიღო:

— წავალ მგლებს დავაფრთხობ. თქვენ კი დაწექით, ქოხში

ფართო ტახტია, თივაც ბლომადაა. სულ ვფიქრობ, შეიძლება უცებ ვინმე ღამის გასათევად მოვიდეს-მეთქი.

წყნარად ტკაცუნებდა კოცონი. ირგვლივ ლურჯი ღამე იდგა...

— უცნაური რამ თქვა რომანიჩმა, — ჩაიცინა კოსტიამ. — ვითომ რატომ არ ვცდილობთ ჩვენთვის? აბა, როგორ არ ვცდილობთ? მე, მაგალითად, ალტაის მხარიდან არსად არ ვაპირებ წასვლას. ვისწავლი და დავბრუნდები, ბაღებს გავაშენებ. რაკი ჩემი სამშობლოსთვის გავაშენებ, ჩემთვისაც იქნება... აბა, სხვანაირად როგორღაა?

— განა მე ვაპირებ სადმე წასვლას, — თქვა შუმილინმა. — მეც ალტაის იქით ფეხს არ გავადგამ. როგორ, აქ საქმე არაა თუ?.. ელექტროტექნიკოსი ვიქნები, ჰიდროსადგურში ვიმუშავებ. ახლა, კოლმეურნეობებმა ჰიდროსადგურების შენება დაიწყეს. კამლაკში აშენებენ. კოლმეურნეობა „ბოლშევიკში“ უკვე ააშენეს. „წითელ განთიადში“ საკვლევი სამუშაოები მიმდინარეობს, კაშხალისთვის ადგილს არჩევენ... ასეა მთელ მხარეში. მაშ, აქ ელექტროტექნიკოსები არ სჭირდებათ, თუ რა?

— ოჰ, ბიჭებო, იცით, რას ვფიქრობ! — ამოიოხრა მანჟინმა. — თქმაც არ შემიძლია.

— რას? — დაინტერესდნენ ბავშვები. — თქვი, რა მოგვივიდა!..

— ვფიქრობ, ისეთი სწავლული, არქეოლოგი გავხდე... რომ ყორღანები გავთხარო. ჩვენთან მთებში სხვადასხვა წარწერაა. რაღაცნაირი ნახატებიცაა... ძალიან ძველი წარწერები და ნახატებია. აი, იმათ ამოკითხვას ვისწავლი! ბევრი რამ შეიძლება გავიგო ჩვენი ალტაის შესახებ.

— სწორია, — თქვა კოსტიამ. — ეს საქმე საინტერესოა, ერთობ საინტერესო! მეც ძალიან მიყვარს ისტორია... ერთ წიგნში ამოვიკითხე, რომ ოდესღაც ალტაელებს თურმე შინაომი ჰქონიათ. ერთი უფროსი, ჩაგან-ნარატანი ბრძოლის ველიდან გაქცეულა და გამოქვაბულში დამალულა. შემდეგ უპოვიათ... მაგრამ მე ჩაგან-ნარატანი კი არა, გამოქვაბული მაინტერესებს. გამოქვაბული სადღაც ტარლიკის მთაზეა. ამბობენ, იქ ათასგვარ ძვლებს პოულობენო. ძვლები ალბათ სამსხვერპლო ცხოველებისაა, მაგრამ მთავარი სხვა რამ არის: გამოქვაბულის კედლები ინამება. ნამი მაშინვე მაგრდება, როგორც კი კედლებს მოაშორებენ. იგი მუქი ნაცრისფერია

და გვარჯილას ჰგავს. ძველად ამ ფხენილს თითქოს ნახშირთან და გოგირდთან ერთად წყალში ხარშავდნენ და დენთს აკეთებდნენ... საინტერესო იქნება გამოქვაბულში წასვლა! თანაც ახლოსაა, სადღაც უზნეზის მახლობლადაა...

— ჰოდა, შევიკრიბოთ და წავიდეთ, — მხარი აუბა შუმილინმა.

— წავიდეთ! — დაეთანხმა მანჟინი. — ყორღანზეც ავიდეთ, ამბობენ, დიდი ყორღანის გათხრა დაიწყესო...

— მეც წამოვალ, — თქვა რეპეინიკოვმა, რომელიც ხარბად უსმენდა უფროსი ამხანაგების საუბარს.

შუმილინმა ვანიას ოდნავ უბიძგა გვერდში და უთხრა:

— შენ რაღას ფიქრობ? რას ჩაშტერებიხარ ცეცხლს, იქ ხომ არაფერი გინახავს?

— მაგას თავისი ფიქრები აწუხებს, — შეესიტყვა კოსტია და ბიჭებს თვალი ჩაუკრა. — ისწავლის, მასწავლებელი გახდება და სადმე დიდ ქალაქში წავა...

— ვითომ რატომაო? — წამოვარდა ვანია. — დიდ ქალაქებში მასწავლებლები არ ჰყოფნით, მე თუ არ წავედი? ვითომ ალტაიში მასწავლებელი არ სჭირდებათ? ეჰე! ჰაერივით სჭირდებათ!

ანდრეი კოლოსკოვი დიდხანს ხმას არ იღებდა. ბოლოს თქვა:

— ბიჭებო, გახსოვთ, რა გვითხრა ანატოლი მასწავლებელმა კარგა ხნის წინათ: ისე ახმაურდება ჩვენი ალტაი, მოსკოვში გაიგონებენ მის ხმასო. აკი იწყებს კიდევაც ხმაურს! მდინარეებზე ტურბინები ბრუნავენ... მალე მთებიც გახსნიან გულს, წამოვა მადანი, დაიგება რკინიგზის ლიანდაგი.

— აყვავდება ბაღები, — დაურთო კოსტიამ. — ყველა კოლმეურნეობას ბაღი ექნება. მე მგონია, ჩვენი ალპინისტები, ძმები ტრონოვებიც ძალიან დაეხმარებიან მებაღეებს...

— გმირებიც მაგათ ჰქვიათ! — თავი გააქნია შუმილინმა. — ისინი ხომ ყოველ წელს ბელუხას, კატუნის, ჩუიას მარადი ყინულით და თოვლით დაფარულ, მიუწვდომელ მწვერვალებზე ადიან... რამდენი ძალ-ღონე სჭირდებათ!

— რაო, რეკორდებს ამყარებენ, ვინ უფრო მაღლა ავა, ჰა? — იკითხა რეპეინიკოვმა.

ბავშვებს გაეცინათ.

— უცნაური ვინმე ხარ, ალიოშა, — უთხრა კოსტიამ. — გე-

ტყობა, სულ არ კითხულობ გაზეთებს. საბჭოთა ადამიანებს რისთვის უნდათ ასეთი ცარიელი რეკორდები? ძმები ტრონოვები უბრალო ალპინისტები კი არა, სწავლულები არიან. სწავლობენ ყინვარებს, ალტაის ჰავას... ჰავის შესწავლა და შემდეგ მასზე გაჭგებლობა ასევე საინტერესო საქმეა. მერედა, კიდევ რამდენი საინტერესო საქმეა ჩვენთან!

კოსტიამ თავი ასწია, ვარსკვლავებიან ცას, ირგვლივ მშვიდად მძინარი მთების შავ კონუსებს შეხედა და ამოიოხრა:

— არა, ბიჭებო, ჩვენს მხარეზე უკეთესი ალბათ ამქვეყნად არსადაა!..

კოცონი ნელა ინავლებოდა. წყნარ ხეობაში შარიშური, ფაჩუნი ისმოდა. რული თვალებს უნისლავდა ყმაწვილებს... ფედია შუმილინმა ტკბილად დაამთქნარა:

— დავიძინოთ, ბიჭებო!

მთელი დღე ნამუშევარი კოსტია სიამოვნებით გაიჭიმა ახალ თივაზე. სხვებმა კიდევ სცადეს ლაპარაკი, მაგრამ თითო-თითოდ ჩუმდებოდნენ — ძილი სიტყვას აკლიდათ პირიდან. ქოხის ღია კარში ტაიგის ბალახების მძაფრი სუნი შემრდიოდა, სადღაც მახლობლად ცხენები ფრუტუნებდნენ, მთები უსაზომო, უდრტვინველ სიჩუმეს მოეცვა...

გამთენიისას კოსტიას ესიზმრა, თითქოს ქოხში უცნიური ჭაღარა მოხუცი შემოვიდა და სახეზე სულის შებერვა დაუწყო. კოსტია სახეს იბრუნებდა, მაგრამ მოხუცი იცინოდა, ისევ უბერავდა და ყურებზე ცივ ხელებს ჰკიდებდა.

„წადი, წადი! — იბუზებოდა კოსტია. — ვიცი ვინცა ხარ. შენ ხიუსი ხარ!“..

„დიახ, ხიუსი ვარ, ხიუსი, ხიუსი!“ — აზუზუნდა მოხუცი. კოსტიას მოეჩვენა, თითქოს მოხუცის თეთრ წვერს თოვლი სცვიოდა და მთელ ქოხში დაფრინავდა...

კოსტია მოიკუნტა და გაეღვიძა. ჯერ თვალი არ გაეხილა, ისე იგრძნო, რომ გაითოშა.

„ბიჭოს, გარეთ ივნისი დგას, მე კი მოხუცზე უფრო ვიყინები! — გაიფიქრა და უცებ გულმა რეჩხი უყო, თითქოს ცუდი რამ იგრძნოო: — ხიუსი, ხიუსი...“

კოსტიამ ღამით დახურული ქურთუკი მოიშორა და ზეზე წამოდგა

ტაიგაში ნათელი ცისკარი იდგა. მთელი ფერდობი, ბალახი და ხეები თეთრ ჭირხლს დაეფარა. ბოროტი ხიუსი არ დასიზმრებია კოსტიას, არა, ის ცხადად დაჭროდა და ხეობას თავისი ამონასუნთქით ყინავდა.

— ბაღი! — ყვირილი აღმოხდა კოსტიას. — ვაშლები!

მანჟინმა გაბურძგვნილი თავი წამოსწია და იკითხა:

— რა იყო? რა მოგივიდა?

— ადექი, გახედე! — მიუგო კოსტიამ.

მანჟინი წამოხტა.

— ვა-ა! — ჩააგრძელა მან. — ხედავ, როგორ მოუყინავს!

კოსტია აჩქარებით იცვამდა ქურთუკს. მანჟინი გაოცებული უყურებდა:

— სად მიდიხარ?

— შინ, სკოლაში.

— შენ გგონია... ბაღი?

— ვინ იცის...

— იქ უფრო დაბალი ადგილია. იქ ვერ ჩააღწევს!

— ეჰ, ვერ ჩააღწევს! ვინ იცის, იქნებ ჩააღწიოს!

მანჟინმაც დაიწყო ჩაცმა:

— გავაღვიძოთ ბიჭები?

— გავაღვიძოთ.

ვანია პეტუხოვმა როგორც კი გაიგო, ხეობაში ყინვააო, დაოფიქრებლად წამოხტა, მაგრამ სხვების გაღვიძებას საშველი არ დაადგა. შუმილინი სულ იმეორებდა, სანადიროდ ვერ წავალ, თხილამურები მზად არა მაქვსო. ანდრეი კოლოსკოვმა წაიბუზღუნა, ღობის დამთავრებამდე წასვლა არ შეიძლებაო. სხვები კი იფუთნებოდნენ.

— ყინვა მარტო აქ, ზემოთაა, ქვემოთ კი — არა. ტყუილა წავალთ... — ამბობდნენ და ისევ იძინებდნენ.

სკოლის მამულიდან მარტო კოსტია, მანჟინი და ვანია პეტუხოვი წამოვიდნენ. მღელვარება მოერეკებოდა მათ ხრაშუნა გზაზე და შიში და სიბრალული უკუმშავდათ გულს: „ნუთუ ფოთლებიც შეეყინება ხეებს? ნუთუ ყინვა ხორბალსაც დააზრობს?“

მამულიდან სკოლამდე ოცდაათი კილომეტრი ორ საათში გაირბინეს. ქვემოთ და ქვემოთ, მდინარე კატუნის ნაპირებისკენ რომ ეშვებოდნენ, იმედით იხედებოდნენ აქეთ-იქით: იქნებ აი, იმ მთის გადაღმა უკვე სულ სხვანაირადაა საქმე — არც ყინვაა, არც ჭირხლია, იქნებ იმ ხეობის ბოლოს მშვიდად, მწვანედ ხასხასებს ბალახი და მზის მიერ გაღვიძებული ყვავილები იფურჩქნებაო?

მაგრამ ბიჭები კილომეტრს კილომეტრზე რომ კეცავდნენ, ვიწრო ხეობაში, დაბალ მთებსა და გადასასვლელებზე რომ გადარბოდნენ, ყველგან ხედავდნენ ღამეული ყინვის ნაკვალევს. აი, ნაკადულის პირას გაშავდნენ და თავი ჩაჰკიდეს ნაზმა წნორებმა, აი, კიდევ ლარიქსების, კლდის ქიმის ძირას ჭირხლის ვერცხლისფერი ნაგლეჯი ჩანს, აი, სწორედ ჭირხლი ჩამოედინება ცივ წვეთებად ფიჭვების ხშირი ტოტებიდან...

გული უფრო და უფრო უმძიმდებოდათ ყმაწვილებს. დილით, სასკოლო მამულიდან გამოსვლისას, კოსტია იმედოვნებდა, ბიჭები მართალნი არიან, ყინვამ მხოლოდ აქ, ზემოთ დაჰკრაო, მაგრამ ახლა იმედი სულ უფრო ეშრიტებოდა.

— არა, შეუძლებელია! — ბუტბუტებდა ვანია პეტუხოვი. — შენ როგორ გგონია, კანდიკოვ?

— მეც მგონია, შეუძლებელია.

მანჟინი დუმდა. მამისა და ბაბუისგან იცოდა, რომ მთიან ალტაიში შეუძლებელი არაფერი იყო: შეიძლებოდა შუა ზამთარში არ ჩამოკოთოვა, ზაფხულში კი თოვლი დაედო...

გრემუჩისკენ რომ დაეშვნენ (აქედან სოფელიც ჩანდა და სკოლაც), ბიჭები გაჩუმდნენ. საეჭვო უკვე აღარაფერი იყო: სოფელს უბედურება არ ასცდენოდა. კოლმეურნეობის ბოსტნებში ხალხი გროვდებოდა, ისმოდა მღელვარე ლაპარაკი, ხეობის თავზე ანთებული ნაკელის სქელი დამცავი კვამლი იდგა.

— კარტოფილი მოიყინა! — მიხვდა პეტუხოვი. — ბიჭებო, ახლავე მოვალ... შინ შევირბენ, ვნახავ რა ხდება.

კოსტიამ მდუმარედ დაუქნია თავი. იგი სკოლის ბაღისკენ გარბოდა. მანჟინი უკან მისდევდა. ბაღის თავზეც მიიწევდა კვამლის თეთრი ბოლქვები. კოსტიას გულში იმედის ნაპერწკალი უკრთოდა: იქნებ დაიცვეს. გადაარჩინეს?..

ბაღში ხალხი ტრიალებდა. აქ იყვნენ მოსწავლეებიც და მასწავ-

ლებლებიც. აი, მარფა მასწავლებელი ვაშლისკენ დახრილა. აგერ, დირექტორმა ჩაიარა... ბაღის კუთხეში მეხუთეკლასელი ყმაწვილები მონდომებით შლიდნენ ძველი ნამჯის ანთებულ გროვას, რათა სქლად აბოლქვებულიყო კვამლი. ბევრი ხალხი ტრიალებდა ბაღში, მაგრამ არც მხიარული ყვირილი ისმოდა, არც სიცილი, არც შეძახილები... ეს დუმილი ყველაზე მეტად ყველურად მიუთითებდა, რომ ბაღს უბედურება სწვეოდა.

„სწორედ ამას ამბობდა მამა!“ — გაიფიქრა კოსტიამ.

კოსტია ყველაზე პირველად ერკელეიმ დაინახა. იგი უმწეოდ უცქეროდა თავის დამეკნარ ვაშლებს.

— შეხედე გაშავდნენ! გამუდმებით ვათბობ. იქნებ გაცოცხლდნენ? — უთხრა კოსტიას და პატარა ვაშლის კენწეროს თბილი ხელისგულები მიადო, მომჩვარულ ფოთლებს სულის შიბერვა დაუწყო.

— კოსტია, კოსტია, მოდი აქ! — დაუძახა კანდიკოვს მაია ვილისოვამ. — შეხედე, რა მოხდა, — უთხრა მას და უცებ ატირდა, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. — მთელი დილა ვათბობთ, სულს ვუბერავთ, მაგრამ არაფერი შველის!

კოსტია დირექტორთან მივიდა.

— რად მოხვედი? — გაუკვირდა დირექტორს. წვრილი შავი თვალები დღეს სრულიად არ უღიმოდა, რის გამოც სახე ცოტათი სხვანაირი ჰქონდა.

„გამოცდებზე სწორედ ასე იყურებოდა“, — გაიფიქრა კოსტიამ და მიუგო:

— შევამჩნიე, რომ ყინავდა და გამოვიქეცით. ვიფიქრეთ — ბაღს მოვუსწრებდით, რაღაცას ვეშველიდით.

— ჰო, — დაფიქრებით თქვა დირექტორმა. — დღეს თვრამეტი ივნისია... ვინ იფიქრებდა, რომ ზაფხული ჯერ არ იყო დამდგარი!..

მათთან მანქინი მივიდა:

— პატივცემულო დირექტორო, ყველა დაიღუპა თუ არა?

— ყველა არა... მხოლოდ ეს მხარე. აქ გაშლილი ადგილია! იქ, მთის ძირას კი ნარგავები გადარჩა: ჩეინეშ-კაიამ დაიფარა. წავიდეთ, ვნახოთ.

სამივე გაუყვა ნარგავების მწკრივებს. მოვიდა მარფა მასწავლებელი. ნელ-ნელა მოგროვდნენ გოგონები, უმცროსკლასელი ბიჭები.

აქ ვაშლებს ფოთლები შერჩენოდათ, ოღონდ ცოტათი მომჩვარულიყვნენ.

— ესენი გადარჩებიან, არა? რას იტყვით, ბავშვებო?

კოსტია შეცბა: დირექტორი მათ ისე ელაპარაკებოდა, როგორც დიდებს, ეთათბირებოდა. მაშასადამე, უკვე მოსწავლეები აღარ იყვნენ!

— მე მგონი, გადარჩებიან! — მიუგო კოსტიამ.

მანჟინმა კი თავი გააქნია და თქვა:

— ყველა ვერ გადარჩება.

პარფა მასწავლებელმა თეთრი თავსაფარი ჩამოიწია. ისინი დიდხანს იდგნენ ასე დამჭკნარ ვაშლებთან და თითოეული თავისას ფიქრობდა. მაგრამ საფიქრალი ერთი ჰქონდათ: „სულ წყალში ჩაიყარა ყველაფერი: შრომა, სიხარული, იმედები...“ ამასაც ფიქრობდნენ: „სოფელში დაიწყებენ ლაპარაკს: გაგაფრთხილეთ, რომ ამაოდ არ გარჯილიყავით... მაგრამ არ გაგვიგონეთ! გინდოდათ, რაღაც დაგემტკიცებინათ! ჰოდა, დაგვიმტკიცეთ კიდეცო“.

— მაშასადამე, ასეა საქმე? — თქვა მარფა მასწავლებელმა. — მაშასადამე, ბაღი აღარ გვექნება?

— მაშასადამე, აღარ გვექნება. — ნაღვლიანად მიუგო ოლგა ნაევამ, რომელიც იქვე იდგა ხელზე ნიკაპდაყრდნობილი.

— ასეთია ჩვენი მხარე, — დაურთო მანჟინმა.— ბაღები არ უყვარს.

დირექტორი დუმდა. შავი წარბები შეეკმუხნა, ვაშლებს მოქუფრულ თვალებს არ აშორებდა. ყველა ელოდა, რას იტყოდა.

— რა გაეწყობა, — თქვა მან. — ყველაფერი ერთბაშად როდი კეთდება. გული უნდა გავიმაგროთ და საქმეს თავიდან მოვკიდოთ ხელი!

კოსტიამ ყველას ალალად, მტკიცედ მოავლო თვალი, უცებ გულჯიბიდან კომკავშირის ბილეთი ამოიღო და გაშალა. ბილეთის ყდასა და ბუდეს შუა ატლასისებრი, ვარდისფერი, თხელი, სიფრიფანა ყვავილის ფურცელი იდო.

— მანჟინი ამბობს, ასეთია ჩვენი მხარეო! არაა სწორი. არაა ასეთი! — თქვა მან.

კოსტიას ხმაში ისეთი მხნე, მტკიცე რაღაც გამოსჭვივოდა, ყველა მისკენ შებრუნდა.

— არა, ჩვენი მხარე, ასეთი არაა, — გაიმეორა კოსტიამ. — ჩვენს მხარეს შეიძლება უყვარდეს ბაღები. სადაც ხალხს ნამდვილად უყვარს ბაღები, იქაურობასაც ეყვარება. აი, როგორი ყვავილები ჰყვავის გორნო-ალტაისკში! ხედავთ? განა ეს ყვავილი მე გამოვიგონე, გორნო-ალტაისკის ბაღიდან წამოვიღე.

— გორნო-ალტაისკი გაცილებით დაბლაა, — მიუგო მანჟინმა. — იქ შეიძლება იყოს...

— გორნო-ალტაისკი დაბლაა, ტელეცკის ტბა კი მაღლა. მაგრამ განა არ გსმენიათ, რომ ტელეცკის ტბაზეც ბაღია?

— კანდიკოვ, დაჰკა ხელი, — უთხრა დირექტორმა. — ყოჩაღი ბიჭი ხარ! ამბობ, ჩვენთან ბაღები აყვავდებაო?

— აყვავდება! — მიუგო კოსტიამ და სიწითლემოდებულმა დირექტორის ფართო ხელს ხელი მოუჭირა.

დირექტორს სახეზე ნაცნობი გამომეტყველება აესახა, წვრილ თვალებში სინათლე ჩაუდგა, ღიმილი მოეფინა.

— თვითონ ვართ დამნაშავენი — გული დავიარხეინეთ! — თქვა მან. — ფრთხილად უნდა ვყოფილიყავით. ხომ ამბობდა ხალხი, ცუდი ქარი ქრისო. უნდა გვემორიგევა. ჩვენ კი ვიფიქრეთ, ივნისი დადგა და რაღა გვიჭირსო. ესეც შენი ივნისი! მაგრამ რას იზამ, შეცდომებით ვსწავლობთ. მტკიცედ დავიმახსოვრებთ, რომ ალტაის ჰავისგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ.

მარფა მასწავლებელს სიმხნევე შეემატა და დირექტორს უთხრა:

— იქნებ მართლა დავრგოთ ხელახლა?

— დავრგავთ კიდევაც, — მიუგო დირექტორმა. — თუ ნორჩქა ნატურალისტებმა ამ საქმეზე ხელი არ ჩაიქნიეს

— არ ჩაგვიქნევია! — ყოველი მხრიდან დაიყვირეს მოსწავლეებმა. — ხელახლა დავრგოთ! უკვე ვიცით დარგვა.

ანა მასწავლებელმა, რომელიც აქამდე მორიდებით იდგა განზე, დირექტორს სთხოვა:

— ნება მომეცით, ბავშვებთან ერთად გორნო-ალტაისკში წავიდე. თქვენ ხომ ახლა არ გცალიათ.

დირექტორმა შეურვებით შეიკრა წარბები და დაეთანხმა:

— მარილი ხართ, ახლა წასასვლელად არ მცალია. დრო არა მაქვს! „წითელ განთიადში“ ჯერ თესვა არ დაუმთავრებიათ, იქ უნდა წავიდე, იქნებ დახმარება დასჭირდეთ... ყინვამაც გააჭირა საქმე... პარტიულები უნდა შეიკრიბონ, ხალხს დავეთათბიროთ. როგორ წავალ ასეთ ვითარებაში?

— მეც შემიძლია წასვლა, — განაცხადა მარფა მასწავლებელმა, — რა დიდი ამბავია!

ბავშვებიც აყვირდნენ:

— ნება მოგვეცით, წავიდეთ!

— მეც წავალ! არც მანქანით მგზავრობის მეშინია!

— მე უკვე ვიმგზავრე. თვით ჩემალამდე ვიარე!

კოსტიამ ახლაღა შეამჩნია, რომ ჩეჩეკი ბაღში არ იყო. ლიდია კოროლკოვასთან მივიდა და ჰკითხა:

— სადაა ჩეჩეკი?

— შინ ზის, — მიუგო ლიდამ და სახე გაუნაწყენდა.

— შინ რა უნდა? — გაუკვირდა კოსტიას. — არ იცის, რა მოხდა?

— არ იცის, მაშ! როგორ არ იცის! ყველა ყვირის, ბაღი მოიყინაო. ის ამბობს: იქ არავითარი ბაღი არაა, მარტო წკნელებიაო. არავითარი თეთრყვავილებიანი ვაშლის ხეები არ არსებობს, ხეები არავითარ ვაშლს არ ისხამენო, ხეებს მხოლოდ გირჩები და დათვის ყურძენი ასხიაო. მოიყინოს ეს წკეპლები — დიდი ამბავი! ტაიგაში მაგისთანა წკნელები რამდენიც გინდა, იმდენი იზრდებაო!

მარფა მასწავლებელს ერთი ვაშლის ხე გადარჩენილი მოეჩვენა და მის დასახედად გაემართა. კოსტიამ დრო იხელთა და უთხრა:

— მე გორნო-ალტაისკში ვერ წამოგყვებით, არ შემიძლია — კოლოგოშში მივდივარ. მაგრამ აი, რასა გთხოვთ: წაიყვანეთ ის ციყვი, აი, ის, ჩეჩეკი, ჩეჩეკ ტორბოგოშევა! წაიყვანეთ, რომ საკუთარი თვალებით იხილოს ნამდვილი ვაშლის ხეები — იქ ახლა ჰყვავიან ვაშლები. თუ დაიჯერა, კარგი ნორჩი ნატურალისტი დადგება. მუშაობაში მარჯვეა, თანაც ტაიგელია. იქ ვაშლი არასდროს არ უნახავთ. დაე, აილში მან პირველად მიიტანოს ვაშლი!

— შენი მესმის, კოსტია! — მიუგო მასწავლებელმა. — დასანანია... აჰ, დასანანია, ჩემო ძვირფასო, რომ კლასში ველარ გიხი-

ლავთ! — და გაიფიქრა: რა სწრაფად იზრდებიან ბავშვები! დაუახლოვდები, შეეთვისები და კიდევაც გაგიფრინდებიან.

მარფა მასწავლებელმა თვალები მოიწმინდა. კოსტიას გული აუჩუყდა. უნდოდა ეთქვა, მეც მიჭირს განშორება სკოლასთან და მასწავლებლებთანო, მეც მიყვარხართ და საშინლად ვნაღვლობო... მაგრამ არ შეეძლო ყველაფერი ეს მასწავლებლისთვის ეთქვა. მასწავლებელს არც სჭირდებოდა ამის თქმა, ეს კოსტიას სიტყვების გარეშეც იცოდა.

ბოცვრების ბაკში

სკოლის დირექტორმა კოლოგოშში ბოცვრების მისახედად კოსტიას გაგზავნა გადაწყვიტა. დიდხანს ფიქრობდა ამაზე, ყოყმანობდა: არ უნდოდა ბიჭის გაგზავნა იმ დროს, როცა ბაღს ასეთი უბედურება დაატყდა თავს. კანდიკოვი ძალიან საჭირო იყო აქ, ბიჭიც გულდამძიმებული ტოვებდა ბაღს.

— როგორ წავიდე, ანატოლი მასწავლებელო? ბაღი საბოლოოდ არაა დარგული, არხის გამოყვანაც უნდა დავიწყოთ, — უთხრა კოსტიამ.

„სწორია. მაგრამ ტაიგაში ვიღა გავგზავნო, — ფიქრობდა დირექტორი. — ინტერნატის ბავშვები თავიანთ შორეულ სოფლებში — შინ მიდიან. შეიძლება მანქინს შევთავაზო გაგზავნა, მაგრამ ჯიუტია, არ წავა. უკვე თქვა, ფეხს არსად გავადგამ, სანამ ბაღი არ ამწვანდებაო. პეტუხოვი? გაბედული და მუშა ბიჭია, ოღონდ დაუდევარი. ბოცვრები მაინც და მაინც არ ეცოდება, მშივრები ეყოლება“.

კიდევ რამდენიმე სახელი გაიხსენა დირექტორმა, მაგრამ მაინც კოსტია არჩია.

„ჰო, ტაიგაში ყველას ვერ გაგზავნი. კანდიკოვი კი მტკიცე. საზრიანი, პატიოსანი ბიჭია. რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს. ცხოველებიც უყვარს, თოფის ხმარება იცის. წაიყვანს თავის ძაღლს. არა, კანდიკოვის გარდა ვერავის გავუშვებ. მშვიდად ვიქნები“.

დირექტორმა კოსტიას მამა მოინახულა, მოელაპარაკა, რომ

კოსტია ვაეშვა. მამამ კოსტიას თვითონ გაუწმინდა, გაუსინჯა და დაუტესა თავისი სანადირო თოფი. სკოლის ეზოში დილაადრიან გაამზადეს ოთხთვალა. ბოცვრების გალიები ერთმანეთზე შედგეს და თოკებით შეკრეს. ერთ მხარეს თივაში ჩადეს თოფი, მეორე მხარეს — კარგად გალესილი ცელი, შუაში ერთი ტომარა კარტოფილი და ჩანთა, რომელშიც ბურღული, პური და კარაქი იყო, ჩადეს აგრეთვე ჩაიდანი და კარდალა.

ოთხთვალასთან ყველაზე მეტად ფუსფუსებდა და ფაციფუცობდა ალიოშა რეპეინიკოვი, თუმცა შეწუხებული იყო. როცა გაიგო, ტაიგაში კოსტიას გზავნიანო, მაშინვე დირექტორთან გაიქცა:

— მაინც და მაინც კანდიკოვს რად უშვებთ და მე არა! მეც შემიძლია ბოცვრების მოვლა!

ალიოშას თვალებზე წამიერად ცრემლი მოადგა და ნაწყენი შებრუნდა.

დირექტორს შეეცოდა, მაგრამ თორმეტი წლის ყმაწვილს მარტო ხომ ვერ გაუშვებდა ტაიგაში.

— არ შეიძლება, ალიოშა, — დაყვავებით უთხრა ბიჭს. — მგლებია, შენ კი ჯერ სროლაც არ იცი!

— ვიცი.

— არც ბოცვრები გიჯერებენ, გაგირბიან. ძალიან გეცოდება ისინი. ვინ იცის, შეიძლება მდელოზე გასასეირნებლადაც გაუშვა. ანდა გაგექცნენ... ასე რად ჩქარობ? ჯერ ცოტა წამოიზარდე!

— ვითომ საქმეს თავს ვერ გავართმევ? დღე და ღამე თვალს არ მოვაშორებ ბოცვრებს!

ალიოშას თხოვნამ არ უშველა, ტაიგაში მაინც კოსტია გაგზავნეს.

კოსტიას კოლოგოშში ვასია მანჟინი, ვანია პეტუხოვი და ნასტია გაჰყვნენ. ბიჭები ფეხით გაუდგნენ გზას. ხოლო ოთხთვალაზე, რომელზეც ბოცვრებიანი გალიები ეწყო, ნასტია დაჯდა და სადავეებს ჩაავლო ხელი. მას უნდოდა ენახა, როგორ იცხოვრებდა კოსტია ქოხში: იყო თუ არა იქ ლოგინი, ჭურჭელი ხომ არ დაემატებინა, ანდა ფარდები ხომ არ დაეკიდა, თორემ ბიჭებს ყველაფერი მისუთშაბათებული ექნებათო.

— ალიოშა, შენ ბოცვრების მოსანახულებლად მოირბინე! — უთხრა კოსტიამ სკოლაში მოსულ რეპეინიკოვს.

— რა მონახულება უნდა, ნუ გეშინია. არ მოიწყენენ, — მიუგო ცივად ალიოშამ.

— თუ გინდა ერთად წავიდეთ, ვიცხოვროთ იქ, ჰა?

ალიოშას გული შეუტოკდა, მაგრამ ძალიან იყო ნაწყენი.

— არა. იქ რა მესაქმება... მე რა ხეირს დაგაყრი, შენ მარტოც მოერევი საქმეს! — ალიოშამ უკანასკნელად მოავლო თვალი-ბოცვრების დრუნჩებს, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და სკოლის ეზოდან გავიდა.

ყვითელმა კობასმა ყველას გაასწრო ჭიშკარში, როცა ცხენი წასასვლელად დაიძრა.

— აბა, ბედნიერად! გასწით! — თქვა დირექტორმა. — მე კი ახლა გორნო-ალტაისკში გასაგზავნ გოგო-ბიჭებს შევკრებ. ეჰ, ვაი ჩვენი ბრალი! — ანატოლი მასწავლებელმა ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია. — ბედოვლათი მებაღეები ვართ, ბედოვლათი!

გზა მაღლა და მაღლა, სულ შელმართზე მიიწევდა. სკოლის სისვი იაბო „შავარდენი" ოთხთვალას გაჭირვებით ეზიდებოდა. ოთხთვალა ხან ღრანტეში ვარდებოდა, ხან ქვაზე შეხტებოდა ან ხის დაკვარჯღულ ფესვებზე. ნასტიაც წამდაუწუმ ვიშვიშებდა მოულოდნელ შენჯღრევაზე.

უკან კი სამი ამხანაგი მოდიოდა და სულ ერთსა და იმავეზე — ბალსა და ვაშლის ნარგავებზე საუბრობდნენ.

— იცით, რა მომეჩვენა, ბიჭებო... — თქვა პეტუხოვმა. — დღის კიდევ დავხედე ვაშლებს და თურმე ყველა არ დაღუპულა. მწვანე გულგული აქვთ!

— ის კი შეამჩნიეთ, რომ ზოგმა ფოთლებიც ასწია? — აჰყვა მანჟინი.

— შეიძლება ასეთი ვაშლები გამოცოცხლდნენ კიდეც, მაგრამ მთავარი ეს როდია? — უხალისოდ მიუგო კოსტიამ. — ისინი ხომ მიჩურინული ვაშლებია, რად უნდა მოყინულიყვნენ? არც ერთი ვაშლი არ უნდა მოყინულიყო... ნახევარზე მეტი კი დაიღუპა. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, ვაშლები მიჩურინულია თუ არა, რაკი მაინც იყინებიან?

აქეთ-იქით წყნარი მთები ჩნდებოდნენ — შიშველნიც, მწვანით მოსილნიცა და ტაიგით დაფარულნიც. თითქოს ერთმანეთის უკნიდან იცქირებოდნენ წვეტიანები, თავმომრგვალებულნი, ციცა-

ბონი და ადგილებს ცვლიდნენ. გზისპირა ბალახი უფრო ხშირი და მაღალი ხდებოდა. ანგელოზებსა და გვირილებს შორის სატილიას წითელი თავები გამოჩნდა და ფერდობზე ნაზი ლიმონისფერი შროშნები აკიაფდნენ და გუნდ-გუნდად მიიწევდნენ სადღაც უცნობი მაღლობისკენ.

ორი საათის შემდეგ ოთხთვალა გადასასვლელზე ავიდა. შემდეგ ცხენიც გამხნევდა, უფრო მსუბუქად, სწრაფად მიაბიჯებდა, რადგან დაღმართი დაიწყო.

— გესმით? კოლოგოში დუდუნებს! — თქვა მანქინმა.

შავარდენი წინ ისწრაფვოდა, ნასტია ძლივს აოკებდა:

— აღმართში წელს ძლივს ითრევსო, დაღმართში მუხლი უჭრისო, შენზეა ნათქვამი. აღმართშიაც და დაღმართშიაც თანაბარი ნაბიჯით უნდა იარო!

ბიჭებმაც მოუმატეს ნაბიჯს.

— აჰა, ქოხი!

— აჰა, ნაკადულიც!

— აგერ, ჩვენი ბაკი!

ნასტიამ ზედ ქოხთან გააჩერა ცხენი, ოთხთვალადან გადმოხტა და მაშინვე დაიწყო შავარდნის გამოხსნა. ხელს გადატკეცილ ზურგზე უპარტყუნებდა, მუქ ხეშეშ ფაფარზე უსვამდა და ისე ელაპარაკებოდა, როგორც ადამიანს:

— რაო, გაიხვითქე? არა უშავს, ახლავე დაისვენებ. რას იზამ, ძმობილო, ცხენიც იმიტომ გქვია, რომ ტვირთი უნდა ზიდო... ვერაფერს გააწყობ...

შავარდენიც ოხრავდა, თითქოს ეთანხმებოდა: ჰო, რა უნდა ვქნაო! ნასტია გაოფლილ გვერდებს ნედლი ბალახით უწმენდდა და ამოოხვრაზე ასე პასუხობდა:

— რას ოხრავ? გგონია, მარტო შენ მუშაობ? ჩვენც ხომ ვმუშაობთ, მაგრამ არ ვოხრავთ! წაიმუშავე და მთელი ღამე ბალახებში ისეირნებ, ცუდია განა? აბა, გასწი! — უთხრა და მაგრად დაუტყაპუნა ხელისგული.

ბიჭებს ამასობაში ბოცვრების გალიები ბაკში გადაჰქონდათ. ღობე მაღალი იყო, თითქმის ადამიანის სიმაღლე. მიწაში მყარად ჩარჭობილი ნაგვერდულებისგან მოსწავლეებს მჭიდრო მესერი

გაეკეთებინათ. ვასია პეტუხოვი ბაკში გადახრილ მრუდე ტირიფზე აძვრა, კოსტია და მანჟინი კი ბოცვრებიან გალიებს აწვდიდნენ.

— ე-ე, ბიჭებო! — იყვირა ნასტიამ. — გალიებიდან უჩემოდ არ გამოუშვათ ბოცვრები! — მე თვითონ გამოვუშვებ.

მან მოირბინა, მარდად აძვრა მრუდე ტირიფზე და იქიდან ბაკში ჩახტა:

— ეჰ, თქვენ ვაიმშენებლებო! კუტიკარი ვერ შეაბით!

— კუტიკარის შებმა არ შეიძლება. ძირს გამოუთხრიან და გაიპარებიან.

სახალისო და თავშესაქცევი სანახავი იყო, როგორ მოძვრებოდნენ ბოცვრები გალიებიდან, როგორ აცმაცუნებდნენ პირს და ცქვიტავდნენ ყურებს, როგორ გაიქცა-გამოიქცნენ ბაკში, ხშირ ბალახნარში იმალებოდნენ. განსაკუთრებით პატარები იყვნენ კარგები. ნასტია ვიღრე მათ გაუშვებდა, ხელს ჰკიდებდა, ეფერებოდა, კოცნიდა ატლასივით ყურებზე. ზოგი ისე პაწია იყო, მუკში ეტეოდა. ნასტია სახეზე იკრავდა მათ. მკერდში, ყელზე იხუტებდა.

— პირდაპირ სულში ჩასაძვრენები ხართ! დედა, რა თოჯინები იბადებიან ქვეყნად! თვალები! თვალები მრგვალი მძივებივითა გაქვთ! რა უნდა გიყოთ, ჰა?

— რა უნდა უყო და გაუშვა, ვიდრე ყველასთვის სული არ ამოგირთმევია! — უთხრა პეტუხოვმა.

— ეჰ, ალიოშა არ არის! — გული დაწყდა კოსტიას. — ტყუილა არ წამოვიდა ის ახირებული. აი, ახლა გაიბარებდა!

— ძალიან განაწყენდა, — გაიღიმა მანჟინმა.

— არა უშავს, — თქვა ნასტიამ. — შინ დავბრუნდები და ყველაფერს ვუამბობ... შეხედეთ, ერთი შეხედეთ, როგორ უხარიათ, როგორ დარბიან! რა ხელად დაიწყეს ბალახის ჭამა!

— აქ ბალახი მალე გაქრება, — თქვა პეტუხოვმა. — ერთიანად გადაღრღნიან, აი, ნახავთ!

— ჰოდა, კოსტია, დილიდან საღამომდე ტაიგაში ცელით წოწიალი მოგვიწევს. ო, რა ღორმუცელა პირუტყვებია!

— არა უშავს, — გაეღიმა კოსტიას. — როგორმე გამოვკვებავ.

ვიდრე ყმაწვილები ცეცხლს აჩაღებდნენ და ვახშამს ამზადებ-

დნენ. ნასტიამ ქოხი მიალაგ-მოალაგა: გააკეთა ცოცხი, მორეცხა იატაკი, გაწმინდა ფანჯარა, დაკიდა პირსახოცი.

— ლოგინს შემდეგ შენ თვითონ მოიწყობ, — უთხრა მან კოსტიას. — დღეს ყველანი, სულ ერთია, ტახტზე ერთად დაიძინებთ, ოღონდ ახალი თივა დაიგეთ. კოსტია, იცოდე, არ იზარმაცო, თივა გაიშრალე და ისე დაიგე.

ვახშმობდნენ ცეცხლთან, წყნარ ტაიგასა და დაბინდულ მთებს შორის. ყვითელი კობასიც მეგობრებთან იჯდა და ისიც ვახშმობდა: ნასტიას არ ავიწყდებოდა, წამდაუწუმ აძლევდა ხან კარაქში ასრესილ კარტოფილს, ხან პურს.

შემდეგ კიდევ დიდხანს ისხდნენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ. ფიჩხს უკეთებდნენ კოცონს, უცქეროდნენ, როგორ მიფრინავდნენ მაღლა პატარა, ანცი ნაპერწკლები. და საუბრობდნენ.

რაზე საუბრობდნენ? ყველაფერზე, რაც კი მოაფიქრდებოდათ... როგორ წავიდოდნენ ბავშვები გორნო-ალტაისკში და რას ეტყოდათ ლისავენკო. იქნებ ასე ეთქვა: დარგვა არ გცოდნიათ და ნერგებს აღარ მოგცემთო. მაგრამ არა, ამას არ ეტყოდათ. პირველ წელს ჩერგის მასწავლებელსაც წაუხდა ბაღი, მაგრამ ლისავენკომ უთხრა: მებაღეობა უმსხვერპლოდ არ იქნება, ნერგები კიდევ უნდა დარგოთო. მასწავლებელმაც ისევ დარგო. ზაფხულში კი ვაშლები მომაგრდნენ, შემოდგომის ყინვებს არ შეუშინდნენ. იქნებ ჩვენთანაც ასე იყოს... საუბრობდნენ აგრეთვე პეტუხოვის მიერ ახლახან წაკითხულ წიგნზე, დიდხანს ჰყვებოდნენ თეთრების მიერ გაწამებული ინდიელთა ტომის საშინელ ტრაგედიაზე. ლაპარაკობდნენ ბარნაულის შესახებ, სადაც კოსტია და მანჟინი საშემოდგომოდ აპირებდნენ წასვლას, იმაზე თუ, როგორ დაამთავრებდნენ ტექნიკუმს და ბაღების გასაშენებლად აქ ჩამოვიდოდნენ... შემდეგ ისევ ჩეინეშ-კაიას ძირას გაშლილ თავიანთ პატარა ბაღზე საუბრობდნენ.

კოცონს პირველი ნასტია მოცილდა:

— აბა, გასწით! ხვალ განთიადზე უნდა ავდგეთ. დაწექით, ტახტზე თივა დაგიგეთ.

თვითონ ხშირტოტება ტირიფის ძირას მდგარ ოთხთვალაზე დაწვა.

„ოჰ, რა კარგია! — ამოიქშინა ნასტიამ, კმაყოფილმა თავის თავს

გაუღიმა და ქეჩა გადაიფარა. — შეგიძლია მთელი ღამე ვარსკვლავებს უცქირო...“

ტირიფის ტოტებში გახლართული ვარსკვლავები ციმციმებდნენ. თრთოდნენ. მალე ნასტიამ დაინახა, რომ ისინი ბროლის წვეთებივით გასრიალდნენ ტოტებში, ფოთლების წვეროებზე დაეკიდნენ და ზედ ოთხთვალას თავზე დაირწნენ.

— ქეჩაზე დაეცემიან, ქეჩა დაიწვება, — წაიჩურჩულა ნასტიამ და დაეძინა.

კოსტია მაშინვე არ დაწოლილა. აიღო თოფი, კობასს დაუსტვინა და მთელი ბაკი შემოიარა, აყურადებდა ტაიგას, მის გაურკვეველ შრიალს და ფრთხილ ფაჩუნს. სიწყნარე იდგა. შორეული მთის გადალმა ქათქათა მთვარე ამოვიდა და ხეობა გაანათა. კოსტია ბაკთან მივიდა და ღობიდან შიგ ჩაიხედა. იქ არც ერთი ბოცვერი არ ჩანდა. ხშირი ბალახი არ ინძრეოდა. კოსტიას გაეღიმა: ბოცვრები მიყუჟულიყვნენ.

ქოხის მახლობლად, ზედ ნაკადულის პირას, შავარდენი იდგა. იგი გამძღარიყო და თვლემდა. კოსტიამ ხელი მოუთათუნა:

— დაიძინე, ჩემო კარგო!

ქოხის კარი მოღიავებული იყო. ფართო ტახტზე მძინარეთა ფშვინვა ისმოდა სიბნელეში. კოსტიამ კობასს დაუძახა:

— აქ დაჯექი, იყარაულე! — უბრძანა მას.

კობასი მორჩილად დაწვა ქოხთან, ჩანავლებული კოცონის პირას. კოსტიამ თოფი ფრთხილად მიაყუდა კუთხეში და ტახტზე აძვრა.

„ხვალ მარტო დავრჩები... რომანიჩმა თავისი ნახირი მთაში გარეკა, — გაიფიქრა კოსტიამ და გული ცოტათი შეეკუმშა. — ასია საქმენი ჩვენნი! არ დამავიწყდეს, დილით ამათ უნდა ვუთხრა, რომ არხი გათხარონ, საქმე სხვა დროისთვის არ გადადონ. გათხრა იმ ადგილიდან დაიწყონ, სადაც მაშინ მოვნიშნეთ. ეჰ, გული მწყდება, რომ თვითონ ვერ მივიღებ მონაწილეობას!“

სიწყნარე იდგა ტაიგაში. სიწყნარე იდგა მთებში. მთელ ქვეყნიერებას ეძინა. მხოლოდ მთვარე მიცურავდა დაფიქრებით და სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ცაზე, ათინათებს აფრქვევდა ბალახში,

კისრისტეხით მიმავალ ნაკადულში ისარკებოდა, ხეობაში მთების მკაფიო ჩრდილებს აფენდა, ბალახზე — ხეებისას...

სისხამ დილით, როცა ცა შევარდისფრდა და აგრილდა, ნასტიამ თვალი გაახილა, მან ბიჭები გააღვიძა. სწრაფად ისაუზმეს გუშინდელი კარტოფილით და ნასტიამ, ვასიამ და ვანიამ სოფლისკენ გამოსწიეს.

კოსტია კობასთან და ბოცვრებთან ერთად დარჩა ტაიგაში. პირველ წუთს, როცა ოთხთვალა კოლოგოშის გაღმა ტყეში მიიმალა, მოეჩვენა, თითქოს აქ სულ მარტო იყო.

ტაიგაში

მთების მწვერვალებზე დილა ღადღადდებოდა. ხეობაში ფრინველთა ჭიკჭიკით, ტყის შრიალით შემოდიოდა ნათელმზიანი დღე. ზოგჯერ მთების გადაღმიდან უეცრად გამოჩნდებოდა ღრუბელი, ხეობას გადაუვლიდა და გადმოაწვიმებდა. შემდეგ მდუმარე, წიწვიანი ტაიგა წვეტიანი წვეროებით ანავლებდა დაისს და ღამეულ ცაზე ისევ ბრწყინდებოდა ნაცნობი თანავარსკვლავედები.

გადიოდა ტაიგის უცნაური, მდუმარე დღეები... კოსტია არ იწყენდა. დღეში ხუთ-ექვსჯერ თიბავდა ბალახს, ბოცვრებისთვის ვეება ხელეურები მოჰქონდა, შლიდა და ბაკში ფანტავდა. ბაკში უმალ ქრებოდა ბალახი, უკვე გაჩნდა მოტიტვლებული ადგილები.

ბოცვრები მალე შეეგუენ თავისუფლად ცხოვრებას. დედლები სოროებს თხრიდნენ მომავალი შვილებისთვის და კოსტიამ შეამჩნია, რომელი სად იკეთებდა ბინას. ბოცვრები შუადღის მზეს რომ გარიდებოდნენ, კოსტიამ ფიჭვის პატარა ტოტებისგან გრძელი, დაბალი ქოხები გააკეთა. მსხვილი ნაკოდალებისგან პატარა ვარცლები გამოთალა და ბაკის სხვადასხვა ადგილას მიწაში ჩაფლა. ამ ვარცლებში მოდუდუნე კოლოგოშიდან ამოტანილ სუფთა, ცივ წყალს უსხამდა ბოცვრებს.

თავისუფალ დროს კოსტია კითხულობდა. კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ბავშვებს, სკოლის დირექტორს და მოხუც მათემატიკის მასწავლებელს გამოართვა. სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნი არ

დაუტოვებია წაუკითხავი, მაგრამ აქ მაინც წამოიღო გონჩაროვის ადრე წაკითხული „ფრეგატი „პალადა“.

კოსტიას დიდხანს ეჭირა ხელმე მიჩურინის წიგნი, ფიქრობდა მის ცდებზე, სწავლობდა წიგნში დახატულ ვაშლებს, მსხლებს, ალუბლებს, ინიშნავდა ჯიშების თავისებურებებს — მათ მოყვახილობას, იერს, ხასიათს, შესაძლებლობებს, ჩვევებს... კითხულობდა ციმბირელი მებაღის იაკოვლევის წიგნებს, ლისავენკოს თანამშრომლების წერილებს, რომლებიც გაზეთ „ალტაის ვარსკვლავში“ ქვეყნდებოდა და ანატოლი მასწავლებლის ცოლს შეეკრიბა.

ხანდახან გადაშლილ წიგნს დიდხანს უჯდა და ფიქრობდა. თავში რაღაც გადაუჭრელი საკითხები უტრიალებდა:

„ზოგჯერ გაზაფხულზე გვალვა დადგება, ღრუბლები კი ჩაივლიან და ადამიანი მით ვერ აჩერებს. ანდა რატომ არ შეუძლია თავი დაიფაროს ყინვებისგან, რომლებიც ხან გაზაფხულზე, ხან შემოდგომაზე ყველაფერს სპობენ? რამდენი შავი მიწაა ხეობებში, მოულოდნელი ყინვების გამო კი მას მხოლოდ სათიბებად რატომ იყენებენ? აი, ჩვენი სასკოლო მამული ხომ მშვენიერია! დამრეცი, მზიანი ფერდობებია, ტყეა, წყალია... რატომ არ უნდა აყვავდეს აქ დიდი ბაღები? დადგებოდა გაზაფხული და ყველაფერი — მთელი ხეობა კიდით კიდემდე ვარდისფრად და თეთრად აყვავდებოდა, უეცრად განათდებოდა! შემოდგომაზე უამრავი ვაშლი, მსხალი და ათასგვარი კენკროვანი იქნებოდა... ახლა კი რა არის? ბალახი... ტაიგა... საძოვრები და ბალახი, მეტი არაფერი. ასეთ მიწაზე ხორბალიც მშვენივრად იხეირებდა! მაგრამ ჰავას რა ვუყოთ... გაუჭირდება, გაუჭირდება აქ ბაღებს, თუნდაც მიჩურინულს. რა იქნებოდა ჩვენს ხეობებში ყინვები რომ არ იცოდეს!.. მერედა მეცნიერები რატომ არ ჩაუფიქრდებიან ამას? რიგიანად რომ ჩაუფიქრდნენ, რაღაცას უთუოდ მრისაზრებენ!..“

კოსტიამ აქვე, ბოცვრების ბაკის გვერდით, კოლოგოშის ერთფეროვან დუდუნში წაიკითხა პირველად ფერსმანის „სახალისო გეოქიმია“ და უცებ გონებაში გაუცოცხლდა მენდელეევის ცხრილი, რომელსაც კლასში მაინცდამაინც ხალისით არ სწავლობდა. ცხრილმა ბიჭს ჯადოსნური გასაღებივით გაუხსნა მთების საიდუმლო. ამიტომ ბალახის მოსათიბად რომ მიდიოდა, ჩერდებოდა და დიდხანს უცქეროდა ტყით შემოსილ, ბალახით დაფარულ გულ-

ჩათხრობილ მდუმარე მწვერვალებს. რომელთაც ჯერ წერაქვი და ნიჩაბი არ შეხებოდათ.

რა არის იქ, მათ წიაღში? იქნებ ამეთვისტოს და ბროლის სუფთა კრისტალებია დამალული? იქნებ ოქროს მარცვლებით აბზინებული მადანია განლაგებული, ან მწვანე მალაქიტის და მოელვარე მარმარილოს მასივები, როგორც ურალში ან კუზნეცკის ალათაუში? ვინ იცის, რა სიმდიდრეა აქ, კოლოგოშის პირას მათ სასკოლო მამულში... ნეტავ გაგვეგო!.. გამოგვეძიებინა!.. რამდენი საინტერესო და საჭირო საქმეა ქვეყნად!

ასე სჯიდა კოსტია და მისი ფიქრები ისევ ჩეინეშ-კაიას ძირას გაშენებულ პატარა ბაღს უტრიალებდა.

ბაკის მახლობლად გრილ ბალახში წამოწოლილი ბიჭი სადღაც წიგნის ზემოთ იყურებოდა.

„ნეტავ რას აკეთებენ ახლა იქ? მოიტანეს თუ არა ახალი ვაშლის ნერგები? დარგეს თუ არა? იქნებ სწორედ დღეს რგავენ?.. ეჰ, ნეტავ ჩამერბინა და მენახა!“

კოსტია თითქოს ცხადად ხედავდა მშობლიურ, ვეება, მშვენიერ ჩეინეშ-კაიას, მის ძირას თეთრ სახლს, მწვანე ნარგავებში გამკრთალ ჭრელ კაბებსა და ფერად პერანგებს... მარცხენა წარბზე ჩამოწეულ, შინდისფერფოჩიან, მრგვალ ალტაურ ქუდს, ეშმაკურ, მაყვალივით შავ თვალებს...

„ალბათ წავიდა, — ფიქრობდა კოსტია. — წავიდა და წავიდეს. დასანანია, რომ იაუნაი ვერ ვნახე. ეჰ, დასანანია! ჩეჩეკი გამოსამშვიდობებლადაც კი არ მოვიდა... კარგი, კარგი, წავიდეს. რა ენაღვლება? ნამდვილი ციყვია, ხტუნვის მეტი არაფერი იცის! განა შეიძლება მაგისთანასთან იმეგობრო? მაგისთანას იმედი გქონდეს? თანაც რა ჯიუტია: თვითონაა დამნაშავე და თვითონვე ბრაზობს... კარგი, წავიდეს, კარგად იყოს!“

კოსტიას გვერდით წამოწოლილმა კობასმა უცებ თავი ასწია და წაწვეტილი ყურები ცქვიტა.

— რაო? ვინმეს ხმა გესმის? — ჰკითხა კოსტიამ.

ტაიგაში სიწყნარე იდგა. მხოლოდ ქარი ხმიანებდა მწვერვალებზე ისევე დინჯად და დახშულად, როგორც დიდი კატუნი... კოსტიამ თავზე დაადო ხელი შუბლგანიერ კობასს:

— კობას, რატომ გაქვს შავი ლაქები თვალებზემოთ? ეს შენი წარბებია? ცხვირიც შავი გაქვს, თვითონ კი მთლად ყვითელი ხარ...

კობასმა ბიჭს ოდნავ გაუღიმა თვალებით და ისევ გაიხედა გეზად სადღაც კოლოგოშის მხარეს... უცებ წამოხტა, აყეფდა, კუდი გააქიცინა, გაიქცა ნაკადულისკენ, რომელსაც გზა კვეთდა.

„რა მოუვიდა? — გაუკვირდა კოსტიას. — თოფი უნდა აღილო... — უცებ გაახსენდა: — რა სულელი ვარ! დღეს ხომ დეიდა სტეშამ სურსათი უნდა ჩამომიტანოს. ალბათ ის მოდის"

კოსტია ქოხისკენ დაეშვა. სახე გაუცისკროვნდა. რა თქმა უნდა, შეიძლება კობასსაც ელაპარაკო და ბოცვრებსაც, მაგრამ ადამიანის ხმის გარეშე მაინც დიდხანს ვერ გაძლებ! რაც მთავარია, ყველაფერს შეიტყობ: როგორ ჯრიან შინ, კოლმეურნეობაში, როგორია სკოლის ბაღი... ბევრი ვაშლი გაფუჭდა თუ არა?.. იყვნენ თუ არა გორნო-ალტაისკში ნერგების ჩამოსატანად?.. დეიდა სტეშას, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეცოდინება...

გზას გაფაფრული ბუჩქები ეფარებოდა, მაგრამ კოსტიას უკვე ესმოდა ცხენის ნაბიჯების ხმა, ოთხთვალას თვლებქვეშ მოხვედოილი ფიჩხის ტკაცანი. აი, ტოტებს შორის გაკრთა მარტუღელი, სკოლის ნაცნობი მუქი წითელი მარტუღელი. შავარდენიც გამოჩიდა, ფაფარს მოარხევდა და წინა ფეხებს მაგრად აბჯენდა მიწას, რომ ოთხთვალა არ დაგორებოდა.

— კენსკინ! კენსკინ! კენსკინ!

კოსტიამ ნაკადულთან ჩაირბინა, ყურებს არ უჯერებდა:

— ჩეჩეკი?

ჩეჩეკი ოთხთვალაზე იდგა, სადავეები დაეჭიმა. კოსტიას დანახვაზე ცხენი ჩორთით წამოიყვანა. შავარდენი დაღმართზე დაქანდა, ოთხთვალა ჩამოაჯრიგინა, გადმოირბინა ნაკადული, შხიფების კორიანტელი დააყენა, ოთხთვალა სწრაფად ამოაქანა ბორცვზე და ქოხთან შედგა. ჩეჩეკი ოთხთვალადან გადმოხტა:

— გამარჯობა, კენსკინ!

კოსტიას თვალები უბრწყინავდა, მაგრამ თავშეკავებულად უპასუხა:

— გაგიმარჯოს!

ჩეჩეკს კი არ უნდოდა ეს თავშეკავებულობა შეემჩნია. მიირ-

ბინა კოსტიასთან. ცალ წარბზე ეშმაკურად ჩამოიწია ქუდი და სიცილით შეხედა თვალებში:

— როგორ ხარ, კენსკინ?

— არა მიშავს, კარგად! — თავი ვეღარ შეიკავა და გაუღიმა კოსტიამ. — შენ როგორღა ხარ, ციყვო?

ჩეჩეკს გაეცინა, ტაში შემოკრა, ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ოთხთვალასკენ, კობასს ეჯიბრებოდა სირბილში. ოთხთვალასთან მიირბინა და კოსტიას უთხრა:

— ნახე, რა მოგიტანე! აი, ქონი, დედაშენმა გამოგიგზავნა, კალათში კვერცხებია, ბიდონში — რძე. პური დედამ გამოგიცხო...

კოსტია ცხენს ხსნიდა ხელნიდან და ჩეჩეკს უყურებდა. რა თქმა უნდა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა: ჩხუბი, განხეთქილება, წყენა...

ვიდრე კოსტია ცხენს აპალვანდებდა და აკაზმულობას ალაგებდა, ჩეჩეკმა ქოხში შეიხედა.

— როგორ ცხოვრობ? ეს შენი ლოგინია? ამ ღუმელზე საღილს იკეთებ? კოცონზეც?.. ქოხში მაგიდა არა გაქვს, ჩემი ბებია ტარინჩაკივით უმაგიდოდ ცხოვრობ!.. მაგიდა აი, იქ, გარეთ გქონია! მერეებიც კი გიდგას! კეხსკინ, მოდი ქონში კარტოფილი შევწვათ.

— ახლავე შევწვავთ. დამაცა, — უთხრა კოსტიამ. — ოღონდ შენ დაჯექი, ცოტა დაწყნარდი.

ჩეჩეკი სწრაფად დაჯდა ცეცხლის პირას, ძველ მორზე.

— აი, ვზივარ, დავწყნარდი!

კოსტიამ ანთებული ხის ქერქი შეუდო შეშის ღერებს:

— კარტოფილსაც ახლავე შევწვავთ და ჩაისაც ავადუღებთ. შენ მხოლოდ ის მითხარი, ვაშლის ნერგების მოსატანად თუ იყავით?

— ვიყავით, კენსკინ. მეც ვიყავი... დედა, რა ვნახე, რა ვაშლები!.. ვაშლები ჰყვაოდა, კენსკინ, ყველა ჰყვაოდა! არ გჯერა? ყველა ჰყვაოდა! მთელი ბაღი ვარდისფერი იყო, მთელი ბაღი!

— მოიცა, მოიცა, ნერგები არ მოგცეს?

ჩეჩეკმა თვალები დააჭყიტა:

— ნერგები? რისთვის უნდა მოეცათ? ნერგები რად გვინდოდა, კენსკინ?

უცებ ჩეჩეკმა წკრიალა ხმით, ბედნიერი ადამიანივით ჩაიკისკისა:

— შენ არაფერი იცი? ჩვენი ვაშლები არ გაფუჭებულა! სულაც არ გაფუჭებულა!

კოსტია ჩეჩეკს მისჩერებოდა, არ სჯეროდა მისი ნათქვამი, ჩეჩეკს კი გაუხარდა, რომ კოსტია განცვიფრდა და ტაში შემოჰკრა:

— ჰო, ჰო, არ გაფუჭებულა! სულაც არ გაფუჭებულა. ჩვენ მეორე დღესვე გავსწიეთ გორნო-ალტაისკში ლისავენკოსთან. თვითონ ვნახე ლისავენკო. სათვალე უკეთია. მერედა რა კეთილია: სათვალიდან შემოგხედავს და თავდაპირველად შიში გაგკრავს, მაგრამ უცებ გაგიღიმებს. გვესაუბრებოდა, ყველაფერს გვეუბნებოდა. როგორ ჯობდა დარგვა, როგორ უნდა შეგვეთეთრებინა, როგორ გაგვესხლა ხეები... დაგვპირდა, გეწვევითო. ჩვენი ბაღის ნახვა სურს...

— მოიცა, მოიცა, — შეაწყვეტინა ლაპარაკი კოსტიამ. — შენ ეს მითხარი, როგორ გადარჩა ჩვენი ვაშლები? მაშინ ხომ მოიმჩვარა და გაშავდა კიდეც...

— კი, გაშავდა, მაგრამ არ გაფუჭებულა! ლისავენკოს ვუამბეთ, როგორ გაგვიფუჭდა ბაღი, გვრცხვენოდა, რომ ვერ გავუფრთხილდით... გვეცოდებოდა ბაღი, ლამის ვტიროდით. ლისავენკოს კი გაეღიმა და გვითხრა: არა, თქვენი ბაღი არ გაჩანაგებულა. გაზაფხულის ყინვები ჩვენს ვაშლს ვერაფერს დააკლებს. გაზაფხულზე ვაშლი მაშინ გაფუჭდება, თუ ზამთარში წაახდენს ყინვა. ჩვენს ჯიშებს კი ზამთრის ყინვებისაც არ ეშინიაო. შემდეგ დაურთო: არა უშავს, ნუ დარდობთ, ეს ფოთლები დაჭკნება, ერთი კვირის თავზე კი ახლები გაიზრდება. სათადარიგო კვირტები ახალ ფოთლებს გამოიღებს და ვაშლი ისევ განაგრძობს ზრდას... განაგრძობს ზრდასო...

— განაგრძობს ზრდასო!.. მერე? ვაშლები ამწვანდა?

— ამწვანდა! ამწვანდა, კენსკინ! ჩვენც ყოველდღე ვრწყავდით, ყოველდღე. ახლა კი ბიჭებს გრემუჩიდან პირდაპირ ჩვენს ტბორში არხი გამოჰყავთ.

— გამოჰყავთ? ყოჩაღ! ეჰ, მე კი აქ ბოცვრებთან ვზივარ. მაშ, ბაღი ისევ ამწვანდა? მთავარი ეგ არის! ახლა ხალხი ნახავს, რა არის მიჩურინული ჯიშები!

კოსტია ბედნიერი იყო.

— ჩემი ვაშლებიც მწვანდება. — თქვა ჩეჩეკმა. — ოთხივე!

— ძალიანაც კარგი! ოღონდ იცოდე, წესიერად მოუარე. თვალყური გეჭიროს, ბუგრი არ დაესიოს, გესმის? მწვანე მუმლია ასეთი, თუ დაესია, მაშინვე დირექტორთან გაიქეცი, თამბაქოს ნაყენით უნდა ჩამობანო, თორემ ბუგრი ყველა ყლორტს შეჭამს... შეთეთრებასაც მიადევნე თვალი და გასხვლასაც... ეს ვაშლები მეტად ჭირვეული და მეტად ნაზია! ძალიან უნდა გიყვარდეს!..

— მიყვარს, კენსკინ! მე ხომ მიყვარს!

— ჰო, მაგრამ, შემდეგ იტყვი: წნელებია, წნელებიო!

— რა წნელები, რის წნელები? იცი, როგორ ჰყვავიან? ბალიდან ვერაფრით ვერ გამომიყვანეს. შენ კი ამბობ წნელებიო.

— ოჰო, ამას მე ვამბობ, არა?

— კარგი. კარგი... მოდი, კარტოფილი შევწვათ, ხედავთ, რა ცეცხლი გაჩაღდა... მოიტა ტაფა, მე ქონს დავჭრი... კარტოფილიც გამოიძღვანიე.

ჩეჩეკმა სწრაფად გათალა კარტოფილი, ნაკადულში გარეცხა, მრგვალ-მრგვალად დაჭრა და ქონის ნაჭრებთან ერთად ტაფაზე დაწყო.

კოსტიამ ცეცხლს ფიჩხი შეუკეთა და ჩეჩეკს უთხრა:

— კი მაგრამ, რანაირად გაჩნდი აქ? მე მეგონა, უკვე შინ იყავი. განა იაუნაი ჯერ არ ჩამოსულა? თუ მარტო წავიდა?

— არა, ჯერ არ ჩამოსულა, — მიუგო ჩეჩეკმა. — ისევ სწავლობს. წერილი მომწერა, მალე ჩამოვალ და ერთად წავიდეთ შინო... დედაშენმა მითხრა: ინტერნატში მარტო რად უნდა იცხოვროო. შენი მეგობარი გოგოები შინ წავიდნენ, მარტო ყოფნა გაგიჭირდება. გადმოდი ჩემთანო. მარფა მასწავლებელმა თქვა: ჩემთან იცხოვროს, მარტო ვარო. მამაშენმა — არა, ჩვენთან იცხოვროს, შეგვეჩვიაო. ჰოდა, თქვენთან ვცხოვრობ. მალე იაუნაიც ჩამოვა... კენსკინ. წამოდი ჩვენს სოფელში, ჰა? იაუნაისთან ერთად ვითევზავებდით, წეროებზე ვინადირებდით...

კოსტიამ ჩაიცინა:

— ოჰო, სწორედ ყველაფერს მივატოვებ და წამოვალ! ბოცვრებსაც, სახლსაც, სამუშაოსაც... პატარა კი არა ვარ, რომ სადაც მოვინდომო, იქ წავიდე. მე ხომ ახლა საქმეები მაქვს...

— რა საქმეები! წამოსვლა არ გინდა და ეგ არის!

— ამას უყურე, არ გინდაო... კი, მაგრამ როდის ისწავლი იმას, რომ ენა წინ არ გისწრებდეს!

ნასადილევს კოსტიამ და ჩეჩეკმა ბაკს მიაშურეს, ახლა ბოცვრებისთვის უნდა ეშმიათ. ჩეჩეკი ბაკში გადაძვრა.

— კი, მაგრამ ბაკი ცარიელ ადგილას რად გააკეთეს? რატომ არაა აქ ბალახი? — იკითხა ჩეჩეკმა.

— რატომ არაა! რატომ და მთელი ბალახი ამათ გადაღრღნეს! — მიუგო კოსტიამ.

ჩეჩეკმა ფრთხილად მოიარა ბაკი. ბოცვრები ყურადღებას არ აქცევდნენ. თავიანთ საქმეებზე დარბოდნენ, საუზმეზე მორჩენილ დამჭკნარ ბალახს ღრღნიდნენ, სიგრძეზე გაჭიმულნი ეძინათ ან ზურგზე იწვნენ, თათები აეპლაკათ და მზეზე ნებივრობდნენ.

— არც ისე ბეერები არიან, კენსკინ!

კოსტიამ ღობეზე ახალმოთიბული ბალახის ვეება კონა გადაადგო:

— ახლავე ნახავ...

კოსტიამ და ჩეჩეკმა ბალახი ყოველ კუთხეში გაანაწილეს და უცებ — ნეტა საიდან გაჩნდნენ! — ბაკი ბოცვრებით აივსო. აქ იყვნენ დიდებიც. საშუალოხიც, პატარებიც, მთლად პაწიებიც, ცისფერებიც, მუქი შინშილებიც. წითური კენგურუსმაგვარნიც... ისინი უმალ ეცნენ ბალახს.

— ასე ვაქმევ დღეში ხუთ-ექვსჯერ! ბალახისგან ღეროებსღა ტოვებენ!

— სად სძინავთ?

— ადრე ბალახში იმალებოდნენ. ახლა კი ჯგუფ-ჯგუფად იყრიან თავს, ერთმანეთს მიეკვრიან და სძინავთ. დიდები დიდებთან არიან, პატარები პატარებთან. როცა რაიმე დააფრთხობთ, ვთქვათ, ზოლებიანი ციყვი ჩამოხტება ან რომელიმე ღამეული ფრინველი საზარლად იწივლებს, მაშინვე გარბიან და იმალებიან. ვერც ერთს მოჰკრავ თვალს. სირბილში უკანა ფეხებს ისე აფათქუნებენ, გეგონება, ვიღაც დოლს უკრავსო. ამით მტრებს აშინებენ.

— მგლები არ მოდიან ხოლმე?

— არა. ადამიანის სუნს გრძნობენ. ხანდახან ვამჩნევ, რომ

ტყეში. ახლოს [illegible] დაბის. მოგზარება... მაგრამ შიმდიგ ისევ მი-
დის..

ნათელი, წყხარი დღე ხელა ფოფიხებდა ტაიგაში. ხეობის მწვანე ფერდობებს უძოავად ადგა მზე. მთების თავზე ქუნქულა ლუბლები კრთოდნენ.

— ჩეჩეკ, შენი წასვლის დროა.

— ჯერ არა, შავარდენძა ისეირნოს.

— გინდა, ჩანჩქერი ვნახოთ? გინახავს ჩვენი ჩანჩქერი?

ჩეჩეკი წამოხტა:

— აჰ, წავიდეთ! ეს ჩანჩქერი არასდროს არ მინახავს!

ბაკის ლობეზე გადმოძრომისას კოსტიამ შეამჩნია, რომ ვარცლებში ცოტა წყალი იყო.

— ჩანჩქერიდან მოვალ და ჩავასხამ! — თქვა მან.

კოსტია და ჩეჩეკი კოლოგოშის გაყოლებით მიმავალ უკაცრიელ, ნესტიან ბილიკს გაუყვნენ. ნაკადული ხშირად კვეთდა ბილიკს. ყმაწვილებიც ჩუსტებს ისდიდნენ და ყინულივით ცივ წყალში მიტოპავდნენ. ფერდობებზე მიმოფანტული არყები და ლარიქსები მაღლა-მაღლა მიიწევდნენ. მათ შუა ბალახების ხავერდზე თაიგულივით თეთრად კრთოდნენ დიდი ანგელოზები.

რაც უფრო შორს მიდიოდა ბილიკი, ხეობის ფერდობები მით უფრო ციცაბოვდებოდა. მით უფრო მაღლდებოდა და ხშირდებოდა ბალახი ბილიკის გვერდებზე — თავწითელი ნარშავა, მდელოს ლურჯი ნემსიწვერა თუ თაფლისფერი არშიიანი გრაკლა... კოსტია აქეთ-იქით იყურებოდა და ამ ბალახნარში ჩეჩეკს ვერ ხედავდა. მხოლოდ ყვავილების წვეროკინები ირხეოდა გოგონას გავლილ ადგილას და ნაკადულის რაკრაკთან ერთად მისი წკრიალა ხმა ისმოდა:

— აქა ვარ, კენსკინ! მოდი-ვა-არ!

უფრო გაშაღლდა ბალახი. ფერდობების შვერილებზე მაღალი ფერადი შროშნები ირხეოდნენ, აქა-იქ ხასხასა ყვითელი ფერის უკადრისები კრთოდნენ, ნაკადულს სიბობოქრე ემატებოდა.

კოსტია ციხესიმაგრის ფრიალო კედელივით შიშველ, პირქუშ კლდესთან შედგა და ჩეჩეკს დაელოდა.

ჩეჩეკიც მოვიდა. ხელში ჩუსტები და ყვავილების ვეება ხელეური ეჭირა.

— რა მოგივიდა, კენსკინ?

კოსტიამ ხელი ასწია:

— სუ!.. გესმის?

ჩეჩეკმა მიაყურადა:

— მესმის. ჩანჩქერი ხმაურობს.

ჩანჩქერი პატარა, მაგრამ ლამაზი იყო. მძლავრი ნაკადი პირდაპირ კლდიდან ეშვებოდა, სიმწვანეგადაკრულ ფართო, ბრტყელ ქვაზე ეცემოდა და იქიდან გამჭვირვალე ელვარე ნაკადებად იფრქვეოდა ძირს. ქვემოთ ასეთივე ბრტყელი და მწვანე ქვები თითქოსდა ბუჭით იჭერდნენ ჩამოვარდნილ წყალს და მისი შეკავების ძალა რომ არ შესწევდათ, დაბლა უშვებდნენ დაცალკევებულ ნაკადებად. ეს დიდი სიმაღლიდან გადმოშვებული ნაკადები ქვემოთ ერთდებოდნენ და ხეობაში მიჩხრიალებდა ნაკადული, რომელსაც უკვე კოლოგოში ერქვა. ჩანჩქერი ხმიანებდა და ბზინავდა, ბროლივით და მალაქიტივით ბრწყინავდა, აღსავსე იყო მუსიკით...

— მაღლა ავიდეთ, ვნახოთ, საიდან გადმოჩქეფს წყალი, ჰა?

— ავიდეთ!

ჩეჩეკი და კოსტია მარდად აძვრნენ მთაზე, გზადაგზა მაღალ, ხშირ ბალახს ეჭიდებოდნენ. მათ ნახეს, რომ წყალი მწვერვალის მახლობლად პატარა მრგვალი გამოქვაბულიდან მოჩქეფდა, ბავშვები ზედ წყლის პირას დასხდნენ რბილ, ხავსიან შვერილებზე.

— კენსკინ, აქ თევზი არაა?

— არ ვიცი. არ მინახავს.

კოსტიამ მაღლა აიხედა, თვალი შეავლო ჩეჩეკს, რომელიც ყველაზე მაღალ შვერილზე დასკუპულიყო:

— ჩეჩეკ, ჩემს სახელს რატომ არ ამბობ წესიერად?

— როგორ, კენსკინ?

— აბა, რაა ეს „კენსკინ?“ თქვი: კონსტანტინე, ნუთუ ვერ გამოთქვამ? არა და კოსტია დამიძახე, როგორც სხვები მეძახიან.

— კოსტია... — გაიმეორა ჩეჩეკმა. — კოსტია, კოსტია... კენსკინ, კოსტია მე არ მომწონს!

— მაშ, კონსტანტინე დამიძახე. აბა, თქვი.

— კონნ-სტანნ-ტინნნ-ტინნ-ეე... კონ-სტანნ-ტინნ-ეე!.. კენსკინ, გესმის? შენი სახელი სიმივითაა. აი, როგორც ნასტიას გიტარის

სიმღერა: კონნ-სტანნ-ტინნ-ტინნ-ეე!.. ხომ ჰგავს, კენსკინ? ოჰ, რა კაოგი სახელი გაქვს.

კოსტიამ არ უპასუხა. ღიმილით ისმენდა, როგორ ეღერდა ჩეჩეკის მიერ წარმოთქმული მისი სახელი, და უცქეროდა მწვანე ქვიახე დაცემული ერთი პატარა ნაკადი ვერცხლის მტვრად რომ იქცეოდა. შემდეგ მზეს გახედა და წამოდგა:

— ჩეჩეკ, დროა! უნდა წახვიდე.

კოსტია ჩეჩეკს კოლოგოშის გალმა, გადასასვლელამდე გაჰყვა, სადაც თხემზე მეხის მიერ შემომწვარი ლარიქსები იდგა.

— კარგად იყავი, კენსკინ! შემოდგომამდე! — უთხრა ჩეჩეკმა.

— შემოდგომამდე, ჩეჩეკ!

ყმაწვილებმა ერთმანეთს ხელი დაუქნიეს. კოსტია დიდხანს იდგა მეხის მიერ გახლეჩილ ხესთან, იდგა მანამ,. სანამ ჩეჩეკი დაბურულ ტყეში არ მიიმალა. ხოლო როცა მიიმალა, მაინც იდგა და რაღაცას ელოდა. შემდეგ უკვე შორიდან მოესმა ექოსავით გაუგებარი და შორეული ძახილი:

— კარგად იყავი!.

— შემოდგომამდე!— გასძახა კოსტიამ.

კოსტიას ხმა ბინდშეპარულმა, ტყით დაფარულმა ხეობამ შთანთქა და აღარაფერი უპასუხა.

უცებ კოსტიამ შუბლზე იტაცა ხელი: „ეჰ, ეს რა ვქენი? ბოცვრების ჭამის დროა! წყალიც ცოტა ჰქონდათ... მე კი სულელივით ვდგავარ აქ!“

ბიჭმა ბაკისკენ მოკურცხლა.

ვინ იყო?

საღამოს კოსტია დიდხანს არ დაწოლილა. კოცონთან იჯდა, დატენილი თოფი ეჭირა და ერთ გაუგებარ ამბავზე ფიქრობდა.

სასკოლო მამულში ვიღაც უნდა ყოფილიყო. როცა ჩეჩეკი გაიცილა და უკან დაბრუნდა, ბოცვრების ვარცლები ახალი წყლით ავსებული დახვდა. მოთიბული ერთი იღლია ბალახიც ბაკში იმ ადგილას იდო, სადაც თვითონ არ დებდა. უცებ გაახსენდა, რომ აქ გადმოსვლის მეორე თუ მესამე დღეს მოეჩვენა, თითქოს ბაკთან

ვიღაც მისულიყო. მიწაზე ტირიფის მოტეხილი ტოტი ეგდო, ბოცვრების ქოხების სახურავზე თივა მიმობნეული იყო. მაშინ გაიფიქრა, ტოტი ალბათ მე მომიტყდა და ვერ შევამჩნიეო... მაგრამ თივა? შეიძლება ქარმა გააქიაქა ან ბოცვრებმა მიმოფანტესო... ვინ იქნებოდა? თუ თვითონ ცოტა ხნით სადმე წავიდოდა, ბაკს კობასი დარაჯობდა. კობასს კი არასდროს არ დაუყეფია.

იქნებ ტირიფის ტოტი მართლა თვითონ მოუტყდა და თივაც ქარმა გააქიაქა?.. კარგი, მაგრამ დღეს წყალი ვიღამ ჩაასხა ვარცლებში?

— კობას, შენ რას გაჩუმებულხარ! ვინ ნახე დღეს აქ?

კობასმა კუდი დაჰკრა მიწას.

— არსად არ წასულხარ? არა?

კობასმა შავი ალერსიანი თვალები შეავლო კოსტიას და ისევ დაჰკრა კუდი მიწას.

— ვიცი, არსად წახვიდოდი...

კოსტიას უცებ გაეცინა, „მეც ვზივარ და ვფიქრობ! ეს ყველაფერი ხომ ჩეჩეკმა გააკეთა! ვიდრე მე ცხენს მოვიყვანდი და შევამამდი... რაღა თქმა უნდა, წყალს ჩეჩეკი ჩაასხამდა... მე კი...“

ყველაფერს ნათელი მოეფინა. კოსტიამ ივაბშმა, კობასს აჭამა, კიდევ ერთხელ შემოუარა ბაკს და დაწვა. ღამემ წყნარად და მშვიდად გაიარა. კოსტია ძილში იცინოდა — ჩეჩეკი ეძახდა და მისი სახელი სიმებივით ჟღერდა: კონნ-სტანნ-ტინნნ-ტინ-ეე...“

დილით კი კოსტიამ დაინახა, რომ ორმა მუქმა ცისფერმა შინშილამ მდელოზე გაირბინა და კოლოგოშის ნაპირას ტირიფნარში მიიმალა.

კოსტიამ თვალები მოიფშვნიტა. რა ხდება? იქნებ ჯერ ისევ სძინავს? იქნებ ესიზმრება?..

ეს რომ სიზმარი არ იყო, უმალ დარწმუნდა: ტირიფის ბუჩქის ძირას დიდი მოწითალო ბოცვერი გულმოდგინედ ღრღნიდა წვრილ ტოტს. აი, რაღაცას მიაყურადა, ყურები ცქვიტა, შეხედა კოსტიას და ისევ დაუწყო ღრღნა ტირიფის ტოტს.

კოსტიას შუბლზე ოფლმა გამოჟონა: „გამოძვრნენ! გაიფანტნენ!“...

კოსტია ისე გაიჭრა ბაკისკენ, მიწას ფეხს არ აკარებდა, და შო-

რიდანვე შეამჩნია ოდნავ გადაწეული ნაგვერდული. ღრიჭოში თავი გამოყო ბოცვერმა და ჰაერი მოყნოსა.

კოსტიამ ნაგვერდული თავის ადგილას ჩადგა, ქოხში შეირბინა, ნიჩაბი გამოიტანა, ნაგვერდულს ძირში მიწა მიაყარა. ბაკს ირგვლივ შემოუარა, შეამოწმა ღობე. ღობეს ხელი არ ჰქონდა დაკარებული.

ვინ გადასწია ნაგვერდული? იქნებ ჩეჩეკმა, წყალი რომ მოიტანა, იფიქრა, ღობეზე გადაძრომა ძნელიაო, და ღრიჭო გაიკეთა? ღობე წესიერად მაინც დაეგმანა შემდეგ!.. ბოცვრები კი გაიქცნენ! რამდენი გაიქცა? როგორ დაეჭირა ახლა?

კოსტია კოლოგოშის ნაპირზე ჩავიდა, სადაც მისი ცისფერი შინშილები მიმალნენ, სცადა ისინი ჩვრიით მოეტყუებინა, მაგრამ არც ერთი არ ეკარებოდა.

სასოწარკვეთილი კოსტია ქოხში დაბრუნდა.

— კობას, — პირდაპირ თვალებში ჩახედა ძაღლს, — უდარაჯე! გესმის? არსად წახვიდე. არავინ მოუშვა სიახლოვეს. მე მოვალ!

კოსტიამ თოფი შეინახა, მინავლებული კოცონი ჩააქრო, კობასს პურის ნაჭერი მისცა და შინ, სკოლისკენ გამოიქცა, რათა ბავშვები დასახმარებლად წამოეყვანა. მარტო თვითონ ტაიგაში ბოცვრებს რას დაიჭერდა!..

სკოლის მზიან ეზოში სიწყნარე იდგა. სკოლის ფანჯრებიდან აყვავებული ნემსიწვერები და ფიკუსები იცქირებოდნენ, მაგრამ ფანჯრები დაკეტილი იყო, თეთრ კარზეც ბოქლომი ეკიდა. კოსტიას გულმა არ მოუთმინა და ბაღში შეიხედა, ნარგავებთან მიირბინა. აი, დგანან ვაშლები, ახალი ვაშლები!.. დგანან, მწვანდებიან. მიწა გაფხვიერებულია. ბოსტნეულის კვლები გამარგლულია და ყოველ ნაკვეთზე ჩარჭობილ ჯოხზე ფირნიშია: „მეხუთე კლასი. კოლია რუკავიშნიკოვი“... „მაია ვილისოვა, მეექვსე კლასი“... „კატია კირგიზოვა“... „ალიოშა რეპეინიკოვი“... უამრავი სახელი აწერია ფირფიტებს. ისე ჩანდა, თითქოს ბავშვები ახლახან აქ იყვნენ, მუშაობდნენ, ნარგავებს ძირს უბარავდნენ, რწყავდნენ, დარბოდნენ, ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ... ბაღში სიწყნარე იდგა, კაციშვილის ხმა არ ისმოდა. მხოლოდ კატუნი დუდუნებდა წინანდებურად და ისევე დაფიქრებული იდგა ბანჯგვლიანი მწვანე გვირგვინით მორ-

თული მშვენიერ ჩეინეშ-კაია, რომელსაც ლილისფერი კლდეები მწვანე საფარით გაელამაზებინა.

„სად ვიპოვო ბავშვები? ალბათ ყველა მინდორშია საგაზაფხულო ნათესების მარგვლაზე. ნეტავ ვინმეს შემახვედრა!“

კოსტია მარფა მასწავლებელთან გაიქცა, მაგრამ მის კარზეც ბოქლომი ეკიდა. სკოლის ტბორთან კოსტიამ ვასია კალინკინი და ტოლია რეპეინიკოვი — ალიოშას ძმა — დაინახა.

— ოჰ, კაპოტები უშენოდ გავუშვით ტბორში, — აცნობეს მათ კოსტიას. — ხუთი ცალი!.. აგე, ცურავენ!

— ბიჭებო, ალიოშას დაუძახეთ და ყველას, ვისაც ნახავთ. თან ჩქარა! უბედურება მოხდა!

ბიჭები ალიოშას მოსაძებნად გაიქცნენ, ხოლო კოსტია დირექტორთან წავიდა.

დირექტორი და ორი ნორჩი მეფუტკრე სკებთან ტრიალებდნენ.

ანატოლი მასწავლებელს კოსტიასთვის არაფერი უკითხავს, ისე დაგზავნა ბიჭები — ვინც მინდორში არაა, ყველანი მოიყვანეთო. ცოტა ხანში ყმაწვილები ზედიზედ მოიჭრნენ დირექტორის პარმალთან. სწორედ სადილობის შესვენება იყო და სამარგლავად წასული ყმაწვილები შინ იყვნენ. როგორც კი გაიგეს, დირექტორი სასწრაფოდ გვეძახისო, თავიანთი საქმეები მიატოვეს და მისკენ გამოუჩქარეს. აქ იყვნენ: ნიკიტა ზვერევი, სიომა, ნიუშა სარუევა, ალიოშა რეპეინიკოვი, ანდრეი კოლოსკოვი, კატია კირგიზოვა. მოირბინა შეშინებულმა და დაფეთებულმა ჩეჩეკმაც.

— რა მოხდა? რა მოხდა? გუშინ ხომ ყველაფერი რიგზე იყო, რა მოხდა?

— ყმაწვილებო, — მიმართა ბავშვებს დირექტორმა, — ვინც თავისუფალია, კოლოგოშში გავარდეს. ბოცვრები გაიქცნენ და უნდა დავიჭიროთ.

— გაიქცნენ? — გაუკვირდა ვანია პეტუხოვს, რომელიც ახლახან ეხმარებოდა დირექტორს სკების დადგმაში.—იქ ხომ ადამიანის სიმაღლის ღობეა! ნუთუ მიწა გამოთხარეს? შეუძლებელია!

— არა, არ გამოუთხრიათ, — ცივად მიუგო კოსტიამ.

— თუნდაც გამოეთხარათ! — თქვა ოლგამ. მასაც მიეტოვებინა ნაკადულზე გატანილი სარეცხი და აქ მოერბინა. ოლგა უკვე მოსწავლე აღარ იყო, მაგრამ სასკოლო საქმეებს მაინც არ ანებებდა

თავს. — თუნდაც გამოეთხარათ! დარაჯი რისთვის ჰყავთ? მაშასადამე, ცუდად მეთვალყურეობდა!

— ალიოშაზე ამბობდნენ, ბოცვრები ეპარებოდაო, — კვერი დაუკრა ზვერევმა. — თურმე ჩვენც გვეპარება... ალიოშა, შენ რას გაჩუმებულხარ?

— მოიცათ, — თქვა დირექტორმა. — კოსტია, ბოცვრებს შენი თქმით მიწა არ გამოუთხრიათ, ხომ? მაშ როგორღა გაიქცნენ?

კოსტიას კოპები შეეკრა და დუმდა.

— ვერაფრით დავიჯერებ, რომ კოსტია კანდიკოვი ცუდად მეთვალყურეობდა, — თქვა ვანია პეტუხოვმა. — რაღაც სხვა ამბავია... შენთან ვინმე ხომ არ ყოფილა?..

— გუშინ მასთან ჩეჩეკი იყო. პური წაუღო! — იყვირა ნიუშა სარუევამ. — იქნებ მან უნებლიეთ გამოუშვა...

ყველა ჩეჩეკისკენ შებრუნდა. ჩეჩეკმა უარის ნიშნად თავი გააქნია:

— რას ამბობთ! მე არ გამომიშვია! არსადაც არ გამიშვია, მხოლოდ ვაჭამე.

— ჩეჩეკი განა აღიარებს დანაშაულს?

— რატომ არ აღიარებს? ის ხომ პიონერია!

— შენ რას იტყვი, კანდიკოვ? — ჰკითხა კოსტიას დირექტორმა და ცოტა მოიღუშა. — რას ფიქრობ?

— არ ვიცი, — თვალები არ აუწევია, ისე მიუგო კოსტიამ. — ვერაფერი გამიგია.

— მაშასადამე, პასუხს შენ აგებ.

— რა თქმა უნდა, მე.

— არა, — იყვირა უცებ ჩეჩეკმა. — მე ვაგებ პასუხს! ბოცვრები მე გამოვუშვი!

ყმაწვილები ახმაურდნენ:

— რაღა თქმა უნდა!

— ჩეჩეკს ხომ გული არ მოუთმენს, რომ ოინი არ ჩაიდინოს!

— ადამიანებს ამან უნდა შეჰყაროს უბედურება!

— რატომ გამოუშვი? — ჰკითხა ჩეჩეკს დირექტორმა.

— ისე, უნებლიეთ... — ენა დაება ჩეჩეკს. — ჰო, გამოვედი, კუტიკარის დახურვა კი დამავიწყდა.

— სდექ! — იყვირა პეტუსოვმა. — ტყუილს ამბობ! ბაკს კუტიკარი არა აქვს და დახურვა როგორღა დაგავიწყდა?

— ჩეჩეკ, სიმართლე თქვი, — ჩაერია ლაპარაკში ანდრეი კოლოსკოვი. — ნუ ურეე. არაა ეს მოსაწონი, თორემ იძულებულნი გავხდებით, შენი საკითხი რაზმის საბჭოზე განვიხილოთ.

ჩეჩეკმა დაბნეულად შეხედა კოსტიას:

— ჰო, მე... ჰო, მაშ, არ ვიცი... ჰო, გამოვუშვი, მორჩა და გათავდა! მე გამოვუშვი და მე ვაგებ პასუხს!.. კოსტია სულაც არაა დამნაშავე, სულაც არაა დამნაშავე!

ჩეჩეკს ხმაში ტირილი გაერია, მაგრამ არ ატირებულა, მხოლოდ თვალები აუბრწყინდა უფრო მეტად.

— მე ვაგებ პასუხს, — თქვა უცებ ალიოშა რეპეინიკოვმა. რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა, რომელიღაც ბალახის ღეროს წიწკაიდა და ფერფური მისდიოდა.

ბავშვებმა ერთხმად ამოიოხრეს:

— კიდევ ერთი გამოჩნდა!

— სასწაულები ხდება!..

კოსტიამ უცებ ყურადღებით შეხედა ალიოშას.

— მაშ, შენ მოინახულე ბოცვრები? მაშ, შენ იყავი იქ?

— ძალიან მომენატრნენ. — დაიწყო ალიოშამ და დამნაშავესავით ასწია მოთეთრო წარბები. — ჰოდა, მივირბინე...

— ორჯერ იყავი? — ჰკითხა კოსტიამ.

— ორჯერ, — დაუდასტურა გაკვირვებულმა ალიოშამ. — პირველად ხუთი დღის წინათ, მეორეჯერ გუშინ. შეამჩნიე განა?

— გეგონა, ვერ შევამჩნევდი?

— მე ხომ მათ ვაჭამე...

— ნაგვერდული რატომღა გამოსწია?

— როგორღაც ავჩქარდი... ისევ მივწიე. შეიძლება ცუდად მივწიე... დავინახე, რომ შენ და ჩეჩეკი ჩანჩქერიდან მოდიოდით და გავიქეცი.

— ეგ რა სისულელე გიქნია! — უთხრა ალიოშას დირექტორმა. — რატომ უნდა დამალულიყავი? რატომ? ეს რა სულელური თავმოყვარეობაა. ამის გამო კი. ხომ ხედავ. რამდენი უსიამოვნება შეჰყარე ხალხს!

— უნდა წავიდეთ! ალყას შეძოვარტყამთ და დავიჭერთ.

— ბიჭებო, პური წავიღოთ, მოგვშივდება!

— კარტოფილიც!

— კარტოფილი კოსტიას აქვს, მოვხარშავთ!..

ჩეჩეკი უცებ ვერ მიხვდა, რა მოხდა. ალიოშა კოლოგოშისკენ გარბოდა.

გოგონა შეუმჩნევლად მივიდა კოსტიასთან:

— იცოდი, რომ ალიოშა მამულში იყო?

— არა. ვიცოდი რომ ვიღაც იყო... მაგრამ თუ ალიოშა იყო, არ ვიცოდი.

— არც არავინ იცოდა?

— არავინ.

— მაშ, სულელი ყოფილა. თვითონ გასცა თავი!

— მაშ, შენც სულელი ყოფილხარ: შენს თავზე ის თქვი, რაც არ მომხდარა!

— მე? შენმა მზემ! სულელი არა ვარ. მინდოდა შენს მაგიერ მე ჩავვარდნილიყავი ცუდ დღეში... ამას დამიხედე! მხოლოდ შენ ამბობ ჩემზე, რომ მეგობარი არა ვარ...

— ვხედავ, რომ მეგობარი ხარ, მაგრამ ალიოშაც შენი მეგობარი ყოფილა — არ უნდოდა მისი დანაშაულისთვის შენ გეგო პასუხი...

— ოჰ! ალიოშა ჩემი მეგობარია!

— რატომაც არა? მეგობარია.

— ალიოშაზე ამბობ?

— რა თქმა უნდა. თანაც ნამდვილი პიონერი... ეს ყველაფერი თავისუფალ დროს კარგად აწონ-დაწონე. ახლა კი წავიდეთ. დრო არ არის... ბიჭები უკვე გაიქცნენ.

— მეც წამოგყვებით. ოღონდ დედაშენთან შევირბენ პურისთვის, — მიაყვირა ჩეჩეკმა კოსტიას.

ის იყო ჩეჩეკი სკოლის კიბიდან დაეშვა და გზაზე გამოვიდა, რომ მეზობლის პატარა გოგომ ანიუტამ ხელი დაუქნია და დაუძახა:

— ჰეი, ჩეჩეკ, ჩეჩეკ, ჩქარა გაიქეცი, იაკნაი გელოდება!

დიდებული ხუთტონიანი ბენზინმზიდი უსტ-კანში მიდიოდა. თანაბარი სიჩქარით მიქროდა იგი შარაგზაზე, თანაბრად გუგუნებდა მისი მძლავრი და უზადო ძრავა. მანქანა ადვილად, ძალდაუტანებლად ადიოდა აღმართებზე, თავისუფლად უვლიდა გარს კლდეთა შვერილებს, ფრთხილად ჩადიოდა მკვეთრ მოსახვევებში, თითგოს გონიერი არსებაააო, და როცა დამრეც ფერდობზე გაიჭრებოდა, ისე მიქროდა, გეგონებოდათ, უხარია, ტკბება თავისი ძალით, უხმაურო ქროლვითო.

იაკნაი და ჩეჩეკი ფართო კაბინაში, ყავისფერი ტყავის სავარძელზე შოფრის გვერდით ისხდნენ. იაკნაი შოფერს ელაპარაკებოდა. შოფერი ჰყვებოდა თავის მგზავრობაზე, საგზაო თავგადასავლებზე, იაკნაი — ტექნიკუმზე, ქალაქ ბარნაულზე, თავის საქმიანობაზე.

ჩეჩეკი მათ ყურს არ უგდებდა. წყნარად იჯდა, მაყვლისფერი თვალები დაეჭყიტა და ბედნიერებით გულსავსე აქეთ-იქით იხედებოდა. თვალს არ აშორებდა მიდამოს. რა კარგია ასეთი რკინის ცხენით მოშანდაკებულ გზაზე ქროლვა! ცხენით, რომელსაც გული არასდროს არ ეღლება, მაგრამ გეჩვენება, რომ ღონიერი ფრთები გამოუსხია და თუნდაც ცხრა მთას იქით გაქროლდება, არც სული შეეხუთება და არც გაიხვითქება! რა კარგია! მიქრიხარ, მთების ვეება, ძორძოხა მწკრივები კი შენკენ მოისწრაფვიან, გაგიშვებენ და უკან რჩებიან. შემდეგ ისევ და ისევ გეგებება მაღალი თუ ციცაბო, წაწვეტილი თუ თავმომრგვალებული. ფიჭვითა თუ არყით დაფარული მთები...

გზა კატუნს მიჰყვებოდა, გარბოდა ხრამის ნაპირზე, განიერი, ბობოქარი მდინარის თავზე. უეცრად მდინარე ორად იტოტებოდა, შემდეგ ერთდებოდა და შუაში პატარა კუნძულს წარმოქმნიდა. ჩეჩეკს ეჩვენებოდა, რომ კუნძულზე ხეები შიშისგან კანკალებდნენ, როცა სწრაფად მომავალი წყალი მათ გარს ერტყმოდა.

ჩეჩეკი უცქეროდა ფიჭვნარიან, პირდაპირ წყლიდან ამოწვდილ პირქუშ კლდეებს, შიშველ, კლდოვან ხრამებს... როცა გზატკეცილი მდინარეს სცილდებოდა, მდინარე შორიდან მთლად თეთრად გამოიყურებოდა ტყეებით დაბურულ მთებს შორის. შემდეგ გზა

ისევ მიუყვებოდა მდინარეს და ჩანდა. როგორ ბობოქრობდა წყალი ვეება შავი ქვების გარშემო. ამ დროს ჩეჩეკი იაუნაის სახელიზე ქაჩავდა და ყვიროდა:

— იაუნაი, შეხედე! აქ ალბათ სარტაკ-პაი ხიდს აგებდა!

— არა, აქ არა, — ყოველივის პასუხობდა იაუნაი. — ის ადგილი ჩემალის მახლობლადაა.

სარტაკ-პაის შესახებ ბევრს უამბობდა ჩეჩეკს ბებია ტარინჩაკი. დიდი დევგმირი იყო ეს სარტაკ-პაი! სწორედ მან გაათავისუფლა ქვებისგან ალტაის ყველა მდინარე და გზა დაუდო ურჩ, ციცაბო, მთებს შორის. მდინარე კატუნი კი მისმა შვილმა ადუჩიმ გააჩინა. სარტაკ-პაიმ ადუჩი ბელუხაზე გაგზავნა კატუნისთვის, თვითონ კი სალოკი თითით გაჰყავდა მეორე მდინარე — ცისფერი მდინარე ჩელუშმანი. ვიდრე სარტაკ-პაი თავის ვაჟს ადუჩის ელოდა, მის თითქვეშ დიდი ტბა — ალტინ-ყოლი დადგა. შემდეგ მოირბინა ადუჩიმ და კატუნი მოიყვანა. სპარტაკ-პაიმ კატუნი მდინარე ბიისკენ წაიყვანა. შეაერთა ისინი და ორივე შორს, ყინულოვანი ოკეანისკენ გაგზავნა...

დიდი დევგმირი იყო სარტაკ-პაი! შეეძლო კლდე ორად გაეპო, ელვა დაეჭირა. ერთხელ კატუნზე ხიდის აგება გადაწყვიტა და ქვების ქვებზე დაწყობას შეუდგა... ხიდი შუამდე მიიყვანა და დაინგრა! განრისხდა სარტაკ-პაი და მთელი ქვები კატუნში ჩაყარა. ის შავი ქვები ახლაც იქ ყრია, მათ გარშემო კი გაშმაგებული თეთრი წყალი ბობოქრობს...

შორს გრძელი, ღია ფერის ხის ხიდი გამოჩნდა. გზატკეცილმა იქით გადაუხვია.

— იაუნაი, იცი, რაზე ვფიქრობ... — უთხრა ძმას ჩეჩეკმა — სარტაკ-პაიმ ხიდი ვერ ააგო. ჩვენმა ხალხმა კი ააგო! მერედა რანაირად? განა ჩვენი ხალხი დევგმირებზე ღონიერია?

— ალბათ! — გაეცინა იაუნაის.

— ეჰ, იაუნაი, სარტაკ-პაის ელვის დაჭერაც შეეძლო.

— ეგ რა დიდი ამბავია. ჩვენ ვერ ვიჭერთ, თუ რა! მაშ, რა ანთია ელექტრონათურებში?

— ო! ნეტა სარტაკ-პაი საფლავიდან წამოაყენა და ეს ხიდიბი ანახა!.. ამ მანქანასავით ცხენების შექმნა კი არ შეეძლო, ხომ მართალია, იაუნაი?

იაკნაი უკვე ჩეჩეკს არ უსმენდა.

— აგერ უსტ-სემა, — თქვა მან. — შეხე! მდინარე სემა კატუნს ერთვის. ხედავ, რა მუქი წყალია?

უცებ სემას ნაპირიდან ფიქვის ტყეზე პიონერული საყვირის ხმამ გადმოიქროლა, გაკრთა თეთრი პატარა სახლები.

ჩეჩეკმა კაბინიდან თავი გაჰყო:

— რა ხდება იქ? პიონერებია?

— პიონერთა ბანაკია, — მიუგო შოფერმა. — იქ გორნო-ალტაისკის პიონერები ცხოვრობენ.

მანქანამ პიონერთა ბანაკს ჩაუქროლა. ისევ გამოჩნდა მთები, მთებს იქით კიდევ მთები, ოღონდ კატუნის ხმაური აღარ ისმოდა. გზატკეცილი დაშორდა მას. მხოლოდ პატარა მდინარე სემა დუდუნებდა და ხან ბუჩქებში იმალებოდა, ხან ისევ ლაპლაპებდა მზეზე.

გასცდნენ კამლაკის მდიდარ კოლმეურნეობას, რომელმაც ოლქში სახელი გაითქვა ძლიერი მეურნეობით და სვიის დიდი პლანტაციით. ამ პლანტაციას ათასობით მანეთი შემოსავალი მოჰქონდა.

გასცდნენ მიიუტას, ჩერგას. სწორედ აქ, ჩერგაში გააშენეს ვაშლის პირველი სასკოლო ბაღი მოსწავლეებმა ანასტასია მასწავლებელთან ერთად. აგერ მარჯვნივ. ბექობზე — სკოლაც. აი, მისი გრძელი, დაბალი სახურავი, სახურავის ზემოთ, თითქოს მწვანე სქელი ღრუბელი იცქირებაო, ტოტებგაშლილი ვაშლების ბაღი ჩანს.

ჩერგადან გზა აღმართ-აღმართ მიდიოდა. გზატკეცილი ნელა და შეუმჩნევლად იწევდა მაღლა, მაგრამ განუწყვეტლივ სულ ზევით და ზევით, მწვანე მდელოებსა და წიწვიანი ხეების კორომში მიემართებოდა.

ცხვრის ვეება ფარები, თითქოს თეთრი ღრუბლებიაო, ნელა მოძრაობდნენ მთების ფერდობებზე. ხანდახან ცხვრები ზედ გზისპირზეც ხვდებოდათ. მანქანის დანახვაზე რეტდასხმული რომელიმე ბებერი ცხვარი ზოგჯერ გზატკეცილზე გადარბოდა და ნახევარი ფარაც მას მიჰყვებოდა. ყველა გარბოდა, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და შეუძლებელი იყო ამ გაგიჟებული ცხვრის ნაკადის შეკავება.

შოფერი ბურტყუნით აჩერებდა მანქანას და გზის განთავისუფლებას ელოდა.

შებალინის შემდეგ მოხშირდა ალტაური აილები. ჩეჩეკი დაფიქრებული უცქეროდა მათ. ხეობაში აქა-იქ ლარიქსის ქერქით გადახურული ეული ქოხები ჩანდა. აილის ზემოთ გაკეთებული ხვრელიდან კვამლი ამოდიოდა. ზოგჯერ კარი გაიღებოდა და გარეთ გამოდიოდნენ პატარა ბალღები, ტყაპუჭებში იფუთნებოდნენ და ცნობისმოყვარეობით გასცქეროდნენ მიმავალ მანქანას. ჩეჩეკი დანაღვლიანდა: რატომ ცხოვრობენ აქ აილებში, როცა ალტაიში ბევრმა კარგი სახლების აშენება ისწავლა? ასე ცხოვრობს ბებია ტარინჩაკიც, ქოხში არაფრით არ გადადის საცხოვრებლად!

გზა სულ უფრო შორს და სულ აღმართებზე მიდიოდა. მანქანამ ათობით კილომეტრი გაიქროლა, ადამიანები კი კანტიკუნტად ჩანდნენ. ჩაივლიდა ცხენზე ამხედრებული, ტყაპუჭმოცმული, პირში ჩიბუხგაჩრილი ალტაელი დედაბერი და შემდეგ აღარავინ ხვდებოდათ, გარდა ვეება, ურიცხვი ცხვრის ფარისა და ძროხის ნახირისა. ისინი გვერდზე ჩაივლიდნენ და ტაიგაში იკარგებოდნენ.

რამდენჯერმე ამინდი შეიცვალა: ხან მზე ანათებდა, ხან შხეფავდა და საქარე მინაზე სიფრიფანა საბურველი რჩებოდა. რაც უფრო მაღლა ადიოდნენ, მით უფრო მატულობდა სიცივე.

იაუნაიმ ძარადან ჩეჩეკის ტყაპუჭი ჩამოიღო და უბრძანა ჩაიცვიო.

უღელტეხილიდან სუსხიანი ქარი უბერავდა. ცრიდა. პირქუშად და უგულოდ იყურებოდა ტაიგა. ჩამოდაბლდა ლეგა ცა... აზუზუნდა, აწივლდა ქარი და თეთრი, ფშიკი ხორხოშელა წამოვიდა... მოულოდნელად ძირს ჩამომავალ ხორხოშელაში ფიცრის ფართო თაღი გამოჩნდა, რომელსაც ეწერა: „სემას უღელტეხილი“.

— რამსიმაღლეზე ამოვსულვართ... — თქვა იაუნაიმ. — ჩეჩეკ, ყურები ხომ არ გიბჟუის?

— ცოტათი, — მიუგო ჩეჩეკმა. — და სულ დათმქნარება მინდა.

— მეც.

თაღიდან შემხვედრი მანქანა გამოვიდა. ორივე მანქანა გაჩერდა. შოფრები ერთმანეთის ნაცნობები აღმოჩნდნენ, პაპიროსი გაბოლეს. იაუნაიც მივიდა მათთან. ჩეჩეკმა კი ტყაპუჭი შემოიფუთნა

და კაბინიდან გადმოხტა, უნდოდა ენახა, რომელი ყვავილები ხარობდა სემას უღელტეხილზე.

ტაიგა გატრუნულიყო, გახევებულიყო, კუშტად იცქირებოდნენ ბებერი კედრები, მდელო კი ხასხასა და გადაჭრელებული იყო. ყვითელი და ლილისფერი ყვავილები ბუნდოვნად ილანდებოდნენ მსუბუქ თეთრ ბუქში.

ჩეჩეკი გზიდან გადავიდა და მხიარულად შეჰყვირა:

— უძოვარები!

ნარინჯისფერი უძოვარები ჩეჩეკის საყვარელი ყვავილები იყო. მან თაიგული შეკრა და საჩქაროდ შევიდა თბილ კაბინაში. ხასხასა ყვავილები მაშინვე აისარკა კაბინის ლითონის ნაწილებში, თითქოს სინათლეები აინთოო.

...სემას უღელტეხილიდან ქვემოთ დაეშვნენ. თანდათან შეწყდა თოვლიც და წვიმაც. დაიწყო მკვეთრი მოსახვევები. გზატკეცილი მარყუჟებს აკეთებდა, რომ მკვეთრი დაღმართი საგრძნობი არ ყოფილიყო. დღე ნელ-ნელა ინავლებოდა, დგებოდა წყნარი, ნათელი, ცივი საღამო. მთები განზე გადგნენ და ფართო ხეობაში გაჩოჩნდა კარგად, მკვეთრად ნაგები შენობების სახურავები.

ჩეჩეკმა მინა ხელისგულით გაწმინდა და გაიღიმა:

— აჰა, მოვედით!

ШОН

ცხენსაშენის მთავარი ნაგებობების მოშორებით, ზედ მთაგრეხილის ძირას ვეება თავლის გრძელი სახურავი ჩანდა. იქ სანაშენო ულაყები ჰყავდათ. ცოტა შორს ცხენსაშენის მუშების პატარა დასახლება იყო. ამ დასახლებაში ცხოვრობდნენ ტორბოგოშევებიც.

ნათელფანჯრებიანი ახალი პატარა სახლები მყუდროდ განლაგებულიყო მაღალი მთის ძირას. მათ სახურავებს ნაზი ხშირწიწვიანი ლარიქსები ჩრდილავდა. ზოგი სახლის გვერდით ან უკან ძველი აილები — ხის უხეში ქერქით გადახურული დაბრეცილი, უშნო ქოხები იდგა... ალტაელი მუშები ახალ ბინებში გადავიდნენ, მაგრამ აილები არ მიუტოვებიათ, ძველ საცხოვრებლებს ვერ ელეოდ-

ნენ. ზაფხულში იქ სიგრილეში ითევდნენ ღამეს, ზამთარში კი ოჯახის ხარახურას ინახავდნენ.

ტორბოგოშევების სახლის გვერდით აილი არ იყო. მის მაგივრად დიდსაჩიხიანი ახალი ფარდული იდგა, რომელიც პატრონს თავისი ხელით ძელებისაგან გაეკეთებინა, ხოლო სახლის ფანჯრებთან იორდასალმების წითელი ყვავილებით სავსე ბაღჩა ჰყვაოდა.

საღამოვდებოდა, როცა ჩეჩეკი და იაკნანი თავიანთ სახლს მიადგნენ. მათ შორიდანვე გაიგონეს დედის წკრიალა ხმა, მისი სხაპასხუპით ლაპარაკი.

რამდენიმე ქალი მათ პარმაღთან დედას, ახალგაზრდა, მრგვალსახიან ბალანკას შემორტყმოდნენ გარს. ბალანკას ხელში დაბურცული, თითქოსდა ვერცხლისგან ჩამოსხმული, ახალი საჯანდრავი ეჭირა.

— ეს გუშინ სამნეო ნაწილის გამგემ პეტრემ გორნო-ალტაისკიდან ჩამომიტანა! ამას წინათ ჩვენმა პროფორგმა ანამ მითხრა: ბალანკა, წაიღე ჩემი საჯანდრავი, მაგით გარეცხვა სცადეო. წამოვიღე, ვცადე. ო, რა კარგი ყოფილა! ხელები სულ არ მეტკინა. ვხედავ, სამნეო ნაწილი გორნო-ალტაისკში აპირებს წასვლას. ჩემს ვასილის ვუთხარი, ჩვენც ვიყიდოთ საჯანდრავი-მეთქი. იმან — ვიყიდოთო და აჰა, ვიყიდეთ!

ქალები საჯანდრავს ათვალიერებდნენ, თითებს უსვამდნენ მის ვერცხლისებრ ბურცობებს.

— რა კარგია!

— ამით როგორ უნდა გარეცხო? — შეფიქრიანდა ერთი ქალი. — ვერ შევძლებთ!

— როგორ ვერ შეძლებთ? რას ამბობ! — შეესიტყვა ბალანკა. — თავდაპირველად გგონია ასე! ვინც მოინდომებს, შეძლებს კიდევაც, ხოლო ვინც არ მოინდომებს, ვერასდროს ვერ შეძლებს. აი, თუნდაც ჩვენი ეზე...

წვრილთვალა შავგვრემანმა ეზემ ზანტად შეხედა ბალანკას:

— რაო, რა გინდა ეზესთან?

— რა და გუშინ ისევ გლანძღეს კრებაზე. ოლგას, ტაიჩის, ან ჩემი ქოხი რატომაა სუფთა, შენი კი ჭუჭყიანი? რატომ არ რეცხავ? უღონო ხარ? ღონე გაქვს, ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხარ!

არ შეგიძლია რეცხვა? ჩვენ რატომღა შეგვიძლია? არც ჩვენ დავ-ბადებულვართ ქოხებში!..

ეზემ ხელი გაიქნია:

— მერე თქვენ რა?

— რაო! — აღშფოთდა ტაიჩი. — ყოველთვის რომ გვესმის ეს, განა გვსიამოვნებს? ჩვენ ხომ შენ გამო გკრცხვენია!..

— ეზენ, ეზე! — გაისმა ჩეჩეკის წკრიალა ხმა.

ქალები ერთბაშად შეტრიალდნენ, შავგვრემან სახეზე ღიმილი აესახათ, თვალები გაუნათდათ:

— სტუმრები! სტუმრები!

— ძვირფასი სტუმრები ჩამოვიდნენ!..

ბალანკას ღიმილით სახე გაებადრა და ლოყები ტყის ყაყაჩო-სავით შეეფაკლა.

— ჩემი ბავშვები ჩამოვიდნენ!.. რამდენი ხანი ველოდი! რატომ არ ჩანდით ამდენ ხანს, რატომ?.. — ბალანკამ საჯანდრავი პარმაღ-ს საფეხურზე დადო, შვილებისკენ გაიქცა და ორივე გულში ჩაიკ-რა. — რამდენი ხანი არ ჩამოსულხართ!..

პირველი ჩეჩეკი შევიდა სახლში.

აქ ახალმორეცხილი იატაკის სუნი და ღია ფანჯრებში შეძო-მავალი საღამოს სიგრილე იდგა.

დედამ მაშინვე დასხა შვილები სასადილოდ. ჩეჩეკი მაგიღას მიუჯდა თუ არა, დაიწყო მოყოლა, როგორ ცხოვრობდა ინტერ-ნატში, როგორ რგავდნენ ვაშლებს, როგორ უმასპინძლდებოდა კოს-ტიას დედა კვერებით, კოსტია კი ციყვს ეძახდა, როგორ იყვ-ნენ ისინი ჩანჩქერზე და როგორ გაიქცნენ ბოცვრები...

დედამ სიცილით დაიფარა ყურები:

— ყველაფრის ერთად მოსმენა გაგონილა! ცოტ-ცოტა მოყევი ყოველდღე!..

იაენაიმ კი თავი გააქნია და თქვა:

— ეტყობა, კარგ დღეში ჩააგდებდა კონსტანტინეს ეს ყბედი!

იაენაიმ დედას საოჯახო საქმეები გამოჰკითხა, დედამ კი მას — ბარნაულისა... ჩეჩეკმა ფანჯარაში გაიხედა. მამა ხომ არ მოდისო. შემდეგ ჩართო რადიო (რადიოში აგროტექნიკაზე ლაპარაკობდნენ), ხელი შეახო რაფაზე დადგმულ ყვავილებს და თქვა, ვიცოდი, რომ მორწყვა დაავიწყდებოდათო! მორწყა ყვავილები, ამოიღო თავისი

თოჯინები, მაგრამ მაშინვე მიატოვა ისინი და მამასთან თავლაში გაიქცა. მამა ცხენებს საჭმელს აძლევდა. ჩეჩეკის დანახვაზე გული სიხარულით აევსო:

— ეჰე, ჩემი გოგო ჩამოსულა!.. ბიჭიც ჩამოვიდა? ნასწავლი ხალხი გვეწვია! გამარჯობა, ჩემო გოგო!

ჩეჩეკი მამას მიეხმარა. თივა სადგომთან მიჰქონდა, მაგრამ შიგ შესვლის ეშინოდა. იქ მკაცრი, მოუსვენარი ულაყები იყვნენ. ახლა სადგომში მხოლოდ საფერხე ცხენები და ისეთები დაეტოვებინათ, რომელთაც სარბოლოდ და სადოღედ წვრთნიდნენ. დანარჩენები ტაიგაში წაესხათ ფაშატების ჯოგში.

ჩეჩეკი ცხენებს სადგომის ხის გისოსების გარედან ათვალიერებდა. ცნობდა მათ:

— ეს ლეღვაა!.. რაო, შავო? რაო, ბანჯგვლიანო? როგორა ხარ?

ლეღვა ღრუბელივით შავი გაბანჯგვლული ფაფარით დაფარულ თვალს აპყრობდა გოგონას.

— მამა, არ გეშინია? ფრთხილად, კბილებს ჩაგავლებს!

— არ ჩამავლებს, — მშვიდად მიუგო მამამ. — ცხენი ტყუილუბრალოდ არავის ერჩის!

ჩეჩეკი გზას განაგრძობდა. აი, მუქი წაბლა, ლამაზი ქუხილა, მერედა რა სირბილი იცის, როგორ მკვეთრად ათქარუნებს ფლოქვებს, თავი კი აღერილი აქვს და ფაფარს ამაყად აფარფარებს ქარში.

აგერ ნერვიული და მშფოთვარე, ჩალისფერი ყაბარდოული ბოგდიხანი. იგი სადგომშიც მოუსვენრადაა, წვრილ ფეხებს აბაკუნებს და ჩალისფერ ყურებს არხევს.

აი, ახალგაზრდა ბედაური ვალსი. კეთილი, ნათელი თვალები აქვს, თვითონ კი მთლიანად თითქოს ხავერდისაა. ამასთან შევიდოდა ჩეჩეკი, მაგრამ ვალსი მფრთხალია და წიხლს იკვრევინება.

აი, კიდევ ერთი დოღის ცხენი — თეთრფეხებიანი წაბლა კაჟი. ჩეჩეკს რამდენჯერმე უნახავს, კაჟი როგორ სძლევდა დაბრკოლებებს და მწვრთნელი ნიკოლოზი როგორ ასწავლიდა ესპანური ნაბიჯით სიარულს — წინა ფეხს გამართულად ადგმევინებდა. ეს იყო საზეიმო სიარული, მაგრამ კაჟი ვერა და ვერ სწავლობდა. ხოლო როცა რამეს შეძლებდა, მწვრთნელი შაქარს აძლევდა...

— მამა, რატომ არ გეშინია ამათთან შესვლა? — ჰკითხა ჩეჩეკმა. — მე არც ერთი ცხენის არ მეშინია, ულაყების კი მეშინია — ავები არიან. შეხე, შეხე, ბოგდიხანი როგორ წურავს ყურებს.

— იმიტომ არ მეშინია, რომ მიცხობენ და ვიცნობ. ცხენს ფაქიზად მოპყრობა სჭირდება. მაგალითად, ერთთან უნდა შეხვიდე და დაუყვირო: „დადექი!“ და ისიც გაყუჩდება. გრძნობს, რომ პატრონი მოვიდა. მეორე კი დაყვირებაზე მობრუნდება და კბილებს ჩაგავლებს, მაშასადამე, ამაყია, აი, ამას შაქარი უნდა მოუტანო ან შვრია. მესამეს კი ალერსი უყვარს. ქუხილასთან რომ შეხვალ, მოფერებით ეტყვი: „ქუხი-ლა!“ და ხელს გადაუსვამ, მაშინვე დრუნჩს გამოგიწვდის და ხელზე ან მხარზე გაგიგლასუნებს... აი, როცა ზოოტექნიკოსი ან ბეითალი გახდები, ყველა ცხენი შეისწავლე და დაიმახსოვრე, რომელი როგორი გუნებისაა. ცხენები ხომ ათასგვარნი არიან!

— იაკნაი შეისწავლის... — წყნარად შეესიტყვა ჩეჩეკი.

ამ დროს თავლაში იაკნაი შემოვარდა.

— გამარჯობა, მამა! უკვე აჭამე? როგორ არიან ცხენები? ბოგდიხანს მე მივცემ შვრიას... წყნარად, ბოგდიხან! აბა!

იაკნაი თამამად შევიდა ბოგდიხანთან. ყურებაწურული ბოგდიხანი ცერად უყურებდა ბიჭს. იაკნაიმ ყურადღება არ მიაქცია ცხენის ბღვერას, შვრია დაუყარა და ჩაკირულ კისერზე ხელი დაადო. ბოგდიხანი აცმუკდა, მაგრამ იაკნაის ხელის შერხევაზე უმალ გაყუჩდა და შვრიისკენ გაიწია.

— დაინახე, ჩემო გოგო?.. იაკნაი კარგი მეცხენე დადგება. დაუკვირდი!

— მე მეცხენე არ ვიქნები, — წყნარად მიუგო ჩეჩეკმა. — იაკნაი იქნება. მე კი არა. მე სულ სხვა საქმეს მოვკიდებ ხელს.

— ოჰო, სულ სხვა საქმეს? ერთი მითხარი, რა არის ეს სხვა საქმე?

— ბაღებს გავაშენებ. ბაღებს, ბაღებს! ვაშლებს დავრგავ, რომ ჩვენთანაც, მთებში, ტკბილი ვაშლები ხარობდეს!..

ჩეჩეკმა იმავე დღეს შემოირბინა დასახლება, ეწვია მეზობლებს, მოინახულა მეგობრები, წაეჩხუბა ბეითლის შვილს პეტიას,

რომელიც წაბლა ნიავზე შესკუპებულიყო და თავს იწონებდა, ჩეჩეკი კი არ შესვა.

ვაირბინეს პატარ-პატარა ამბებით აღსავსე ნაირფერმა დღეებმა. ჩეჩეკი პეტიასა და მეღორეობის ფერმის გამგის ქალიშვილთან — კატიასთან ერთად დარბოდა შორეულ ბაკებში, სადაც ღამის სათევად მოჰყავდათ ღორები.

ყმაწვილები უცქეროდნენ, მთა-მთა როგორ მოიწევდა ვეება კოლტი: ღორებიც და გოჭებიც, დიდი მრისხანე ტახებიც. ღორები მიწას თხრიდნენ, ღრუტუნებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ მსუქანი ფერდებით...

დარბოდნენ მეცხვარეობის ფერმაშიც, სადაც ამ დროს ცხვარს პარსავდნენ. უყურებდნენ, მუშები ელექტროსაპარსით როგორ აცლიდნენ ცხვრებს ფუმფულა ქურქებს. გაპარსვის შემდეგ საცოდავი და სასაცილო, გაშიშვლებული ცხვარი ზეზე ხტებოდა, შესაბრალისი ბღავილით გარბოდა ბაკის შორეულ კუთხეში, მიწაზე კი რჩებოდა მისი თეთრი მატყლის მსუბუქი გროვა.

ჩეჩეკი ნაცნობ-მეგობრებს გაუთავებლად უყვებოდა თავისი ახალი სკოლის თეთრ შენობაზე, რომელიც ჩეინეშ-კაიას ძირას, დიდი მდინარე კატუნის ნაპირზე იდგა და უკვე მთელ ცხენსაშენში იცოდნენ, რა მკაცრი (მკაცრი და თანაც კეთილი) დირექტორი, რა მეგობრები ჰყავდა, რა კარგი იყო მარფა მასწავლებელი, რა დიდხანს ეგონა ალ ოშა რეპეინიკოვი ავგუსა, მაგრამ თურმე სულაც არ ყოფილა ავგუსა, ის კი არადა, კარგი პიონერი აღმოჩნდა...

ჰყვებოდა ვაშლების შესახებ, რომელთაც თეთრი და ვარდისფერი ყვავილები ჰქონდათ, ბაღების შესახებ, სადაც ვაშლები და მსხლები მწიფდებოდა, ჰყვებოდა კატუნის ნაპირზე ამწვანებული თაღისი სასკოლო ბაღის შესახებ...

რაზეც უნდა მოეთხრო ჩეჩეკს, არასდროს ავიწყდებოდა თავისი ძმის მეგობარი — კენსკინი, და თუ დავუჯერებთ, ამქვეყნად იაჟნაის მეგობრის კენსკინ კანდიკოვზე უკეთესი, ჭკვიანი და კეთილი ადამიანი არ არსებობდა!

...ნახევარი იელისი ილეოდა, გორნო-ალტაისკში ვაშლები ყვავილობას ამთავრებდნენ და ნაყოფი ინასკვებოდა, ბავშვები ჯგუფად ბირბოდნენ ქალაქგარეთ მდინარე მაიმაზე საბანაოდ, მთებ-

ში კი ხალხს ტყაპუჭები ეცვა და სახლებს ცხელი ღუმელები ათბობდა. უბერავდა სუსხიანი ქარები. ჩეჩეკს თავისი ტყაპუჭი გადაეკალთავებინა და დიდხანს უცქეროდა, შორეულ მწვერვალებზე როგორ ბობოქრობდა თოვლბუქი და ხეებშუა ნამქერებს ტოვებდა.

ჩეჩეკი თავლის ვერცხლისფერი ყავარგადაბურული საჩიხის ქვეშ იდგა, იყურებოდა და ფიქრობდა... რამდენი მთაა ალტაიში! მთები ყოველი მხრიდან შემორტყმია დასახლებას. მთებს იქით კი ისევ მთებია — მუქი მწვანე, მუქი ლურჯი, ლილისფერი მთები, შორით კიდევ — ცისფერი ალტაი — ცისფერი მწვერვალების ცისფერი, ნაზი, ჰაეროვანი მოხაზულობა.

მერედა აქ როგორ იხარებს ვაშლები, როცა მთებზე ზაფხულშიაც თოვს?..

თავლიდან პეტიას მამა — ბეითალი პავლე გამოვიდა. ხოლო ბეღლიდან მომავალ გზაზე მოხუცი დარაჯი ბადინ-იაში გამოჩნდა.

— ცივა, ბადინ-იაშ! — ეთხრა მოხუცს ბეითალმა. — ღამით ხომ არ გაიყინე?

— არა უშავს, — გულკეთილად გაუღიმა ბადინ-იაშმა. — ცოტა გავიყინე.

— შენ ეს მითხარი, ბადინ-იაშ. როდის დათბება? სხვაგან ზაფხულია, ჩვენთან კი სულ ნოემბერია!

— კიდევ ცოტაც და დათბება. ორი სამი დღე და დათბება. ზაფხული დადგება!

ჩეჩეკს გაუხარდა. ბადინ-იაშმა თქვა, მალე დათბებაო, მაშასადამე, მართლა დათბება. ბადინ-იაშმა ყველაფერი იცის. იცის, როდის დამწიფდება კედრის წიპწიპო და როდის არა. ამას ზამთარში გეტყვის. ტაიგის ყველა საძოვარს, ბილიკსა და ნაკადულს იცნობს. ცხენსაშენის დირექტორი ყოველთვის ბადინ-იაშს ეძახის, როცა საძოვრების თაობაზე საბჭოს იწვევს, და ყველაზე უფრო მას უჯერებს.

ჩეჩეკმა შინ მიირბინა:

— დედა, ორ დღეში დათბება! ბებია ტარინჩაკთან წავიდეთ მე და შენ, ჰა?

— როგორ წავიდეთ, ჯერ ცხვრის პარსვა არ დაგვიმთავრებია, — უთხრა დედამ. — შემდეგ კი სათიბში წავალთ. საგაზაფხუ-

ლოდ საქონელს თივა უნდა მოვუმზადოთ. ამ დროისთვის საქონელი დამჭლეულია, გამოკვება სჭირდება. შეიძლება უცებ ყინვამ დაჭკრას, თოვლი გაიყინოს. საქონელი კი თოვლის გაქექვას ვერ შეძლებს, განსაკუთრებით ცხვარი, მას სუსტი ჩლიქები აქვს და დაიმშევა... ისევ თივა გახდება საჭირო. ჰოდა, ამ გაგანია მუშაობისას ფერმა როგორ მივატოვო? არ შემიძლია, ჩემო გოგო. შენ კი, თუ გინდა, წადი. ბრიგადაში სურსათს წაიღებენ და იმათ გაჰყევი.

— კარგი, წავალ. წიგნებს წავიღებ და ბებიას წავუკითხავ.

— წაუკითხავ? ბებია ხომ რუსულ წიგნებს ვერ იგებს.

— მაშ მოვუყვები!

— შენ მოუყვები, ბებია მოგიყვება, მსმენელი კი ვიღა გეყოლებათ? ორივე მოყოლის ოსტატები ხართ. ჯობს მე წამიკითხო, მოვისმენ მაინც, როგორ კითხულობ.

ჩეჩეკმა წიგნი აიღო, მაგრამ უნებლიეთ ფანჯარაში გაიხედა და ზეზე წამოხტა:

— მსუბუქი მანქანა მოვიდა! აგერ, დირექტორის სახლთან გაჩერდა! — ჩეჩეკმა ხელი დასტაცა ქურქს და გარეთ გავარდა, მაგრამ ოცი წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა: — ვიღაცები მოსულან. ნოვოსიბირსკიდან ვართო. კინო უნდა გადავიღოთო და არ გადაიღეს, წავიდნენ... მოდი, წაგიკითხავ.

მაგრამ დედა უკვე სამუშაოზე წასვლას აპირებდა.

— შენ რაო, სტუმრებზე გაბრაზდი? — გაეღიმა დედას.

ჩეჩეკმა ტუჩები გაბუსხა და მიუგო:

—აბა, რა. რა არ მოეწონათ აქ? წავიდნენ!.. მერედა როგორ გვინდოდა გადაღება გვენახა! ყველა ბავშვმა მოირბინა. ჩვენ ხომ არასდროს გვინახავს, როგორ იღებენ კინოს.

— ნახავ. ცხოვრება ხანიერია. ჭურჭელი გარეცხე. მე კი ბაკში წავალ.

ბებია ტარინჩაკთან

ასრულდა ბადინ-იაშის ნათქვამი: ორი დღე ქროდა სუსხიანი ქარი, მწვერვალებს ორი დღე ებურა მოქუფრული ღრუბლები, მესამე დღეს კი ხალხმა გაიღვიძა და დაინახა ნათელი, წყნარი განთიადი, გაიგონეს ჩიტების ჭიკჭიკი.

მზემ ზაფხულის შესაფერად გამოანათა და უცებ გაათბო ხეობა.

ამ დღეს ჩეჩეკი სურსათით დატვირთულ ოთხთვალაზე იჯდა და ბებიასთან მიდიოდა. რამდენი ხანია ამ წყნარ ხეობაში არ ყოფილა, სადაც ცხენსაშენის ბრიგადის ძველი აილები იდგა. მაძღარი ცხენები აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ. ახალგაზრდა, ღაწვმაღალი ანტონი წყნარად ღიღინებდა და ცხენებს არ აჩქარებდა: გამოიდარა, მზე მიდამოს ათბობდა, რად ეჩქარა? გზა დიდ ხეობაში მიიწევდა. აქ ჭვავი ეთესა. ნიავი ტალღა-ტალღა აბიბინებდა ხშირ, დაბალ, ჯერ კიდევ მწვანე ჭვავს.

ანტონმა ერთფეროვანი სიმღერა შეწყვიტა.

— ეჰ, ჭვავი! ახლა მწიფობის დროა, მაგრამ სიცივემ სულ გათოშა, ალარ გაიზრდება... — თქვა და ისევ გააბა სიმღერა.

როგორაც უნდა გაიყინოს მინდვრები, ისინი მაინც გათბება და ხორბალიც ნელა-ნელა დამწიფდება. მერყეევი, ცვალებადი ჰავაა მთიან ალტაიში, მაგრამ ალტაის პოხიერი შავი მიწა ებრძვის მას. ებრძვის საბჭოთა ადამიანი, რომელიც მიწას ბასრი გუთნით ხნავს, ანოყივრებს ნაკელითა და მინერალებით. სხვადასხვა ქიმიური სასუქით... არც ჰაიჰარად თესავს, საუკეთესო ხარისხის თესლს იყენებს... ჰოდა, რა არ ხარობს ხეობებში: ჭვავი, შვრია, სელი თუ წიწიბურა!.. როდის იყო ეს ალტაიში?..

საღამოვდებოდა. ხეობას დიდი ნარინჯისფერი მზე დაბათოდა და მაღალი ლარიქსები ლურჯ ჩრდილებს აყენებდნენ. ხეობაში მთებითა და ხშირი, წიწვიანი ტაიგით გარშემორტყმული აილები — კონუსისმაგვარი ქოხები, ალტაელების ძველი საცხოვრებლები იდგა. აგერ ბებია ტარინჩაკის აილიც გამოჩნდა.

ჩეჩეკმა ანტონს სადაეები გამოართვა:

— აბა, გასწით, რაშებო! სირბილით! აბა!..

ცხენებმა ნაბიჯს მოუჩქარეს, ზანტი ჩორთით წავიდნენ. ბოლო აილთან ჩეჩეკი ოთხთვალადან გადმოხტა:

— ბებია, როგორა ხარ?

აილის ღია კარიდან ბებია ტარინჩაკმა გამოიხედა. მას ნაოჭებით დაღარული ყავისფერი სახე ჰქონდა, დაბერილი ქუთუთოების ქვემოთ ჭუჭრუტანასავით წვრილი ხალისიანი თვალები უკვესავდა.

ბეწვ ს ბრკვალ ქუდს შავი ფოჩი უმშვენებდა, მხრებზე შავი ხეშეში ნაწნავები ეფინა. მან პირიდან აბოლებული ჩიბუხი გამოიღო და სახე ღიმილით გაებადრა:

— ჩეჩეკ! რა კარგია, რომ ჩამოხვედი! მარტო ვარ აქ... მოხუცი ტორბოგოში ტაიგაშია, იშვიათად მოდის შინ... შემოდი, დაჯექი, ჭამე — ხორცი მაქვს, ხაჭოს კვერები მაქვს, კარგი მაწონი მაქვს...

ჩეჩეკი აილში შევიდა, — რამდენი ხანია აქ არ ყოფილა! — და იატაკზე, ნიამორის სქელ ტყავზე დაჯდა.

აილის შუაში, სოხანეში ამოთხრილ ორმოში დიდი ნაკვერცხლები ღადღადებდა. ბებიამ რამდენიმე მშრალი შეშის ღერი ჩააგდო ორმოში, ცეცხლი ავარდა და აილის თავზე გაკეთებულ ხვრელში იისფერი კვამლი გაიწელა.

ლატანებისა და ხის სქელი ქერქისგან გაკეთებული, მუშვარტლისგან გაშავებული დახრილი კედლები ცეცხლის ალმა გაანათა. ჩეჩეკმა ირგვლივ მიმოიხედა. ბებიას აილში ყველაფერი ძველებურად იყო. ერთ კედელთან მაწვნიანი პატარა კასრი იდგა, გვერდით ლატნებზე მიმაგრებული პატარა თარო ეკიდა — იქ პური და ჭურჭელი ეწყო. იქვე იდგა ხის ვიწრო სკივრი, რომელშიაც ბებია ფქვილს ინახავდა. სკივრზე ტყაპუჭი და თხების ტყავები ეფინა, აქ სკივრზე სტუმრებს ეძინათ ხოლმე, ბებია ტარინჩაკი კი ტყაპუჭში გაეხვეოდა და კერის გვერდით სოხანეზე იძინებდა.

— როგორა ხარ, ბებია? რას შვრები? — მხიარულად და ალერსიანად ეკითხებოდა ჩეჩეკი, თან სახეში უცქეროდა. — რა არის ახალი?

— ახალი რა უნდა იყოს! ამას წინათ წითურმა ძროხამ ხბო მოიგო. ახლა სამი ძროხა და სამი ხბო მყავს... მწყემსები ბაბუა ტორბოგოშს ლეკვს დაჰპირდნენ. ჰოდა, მას ძროხების მოდენას ვასწავლი, მე ვბერდები... ახალი კიდევ რა არის! ჩვენს ბრიგადას მეორე ტრაქტორი მისცეს. ამას წინათ კიდევ ახალი მანქანა მოიყვანეს: თვითონ იხვეტავს თივას, ფართო ლილვით იღებს. მთლიანად ცისფერია ყვავილივით. კბილები კი ვერცხლივით უელავს! ლამაზი მანქანაა! სუფთადაც ხვეტავს თივას, განა ჩვენს სათრეველებს ჰგავს...

— შენ კი ამბობ ახალი არაფერიაო! — გაეცინა ჩეჩეკს. — უცებ რამდენი რამ თქვი!

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია ბებია ტარინჩაკმა. — აბა, ეს რა ახალი ამბებია!.. სჯობს, შენ მოჰყვე.

— ო, რა ხარ, ბებია! მაშ, ეს ყველაფერი ახალი არ არის? აქ ადრე ალბათ უფრო ბევრი ახალი რამ იყო!

— ადრე? — ბებია ტარინჩაკმა ჩეჩეკს შეხედა. — მაინც რა იყო ადრე? ერიჰა! არაფერიც არ ყოფილა!

— აჰა! შენთვის არც ტრაქტორია ახალი რამ და არც ცისფერი მანქანა!.. რანაირი ხარ, ბებია!

ბებია ტარინჩაკმა ღიმილით გააქნია თავი:

— ჩვენ ხომ უკვე შევეჩვიეთ. კარგი რამის შეჩვევას განა დიდი ხანი უნდა? არა, კარგი რამის შეჩვევას ცოტა დრო სჭირდება. ჰოდა, ეს თითქოს არცაა ახალი რამ. ახლა სხვა დროა და ჩვენც სხვანაირები ვართ. თითქოს ყველაფერი ასეც უნდა იყოს... შენ კი შორს იყავი. ალბათ შენ იცი ძალიან საინტერესო ამბები, ჰა?

— ჰო, რა თქმა უნდა, ვიცი, — დაეთანხმა ჩეჩეკი და კვლავ მოჰყვა — უკვე მერამდენჯერ! — სკოლის, მეგობრების, დირექტორის ამბები, ის, თუ როგორ აშენებდნენ ბაღს, როგორ ღებულობდნენ პიონერთა რიგებში, როგორ დგამდნენ სპექტაკლს... და, რაღა თქმა უნდა, გაიხსენა, თუმცა გაკვრით, ძმის ამხანაგი, ყველაზე ჭკვიანი და კეთილი კენსკინ კანდიკოვი.

— ეჰ, რასა ვშვრებით! — გონს მოეგო ბებია ტარინჩაკი. — სულ ვსხედვართ და სულ ვლაპარაკობთ. სტუმრებს კი არ ვუმასპინძლდებით!

ჩეჩეკმა ხაჭოს კვერის ჭამა დაიწყო და თქვა:

— დირექტორს ქოხების აშენება უნდა.

— უნდა და ააშენოს, — მიუგო ბებიამ.

— შენც აგიშენებს.

— ააშენოს და თვითონ იცხოვროს შიგ. რად მინდა ქოხი? სადაც დავიბადე, იქვე მოვკვდები... ჭამე, ჩეჩეკ!.. მე ქოხში არ ვიცხოვრებ.

ვიდრე შვილიშვილს რძეს მოართმევდა, ბებია სქელ ლატანთან მივიდა, რომლის გვერდით არყის ხის ქერქის გაქონილი თოჯინა იდგა. ჩეჩეკს თავდაპირველად არც შეუთვალიერებია იგი.

— მეხეთე ცაზე მცხოვრებო იაგოჩი-ხან, კუტის მფარველო! — წაიბუტბუტა და თოჯინას რძე მიასხურა.

— ბებია, კუტი რა არის? — ჰკითხა ჩეჩეკმა.

— კუტი თესლია, რომლისგანაც ჩნდება ყველაფერი: ბალახიც, ყვავილებიც, ხეებიცა და ადამიანიც...

—კი, მაგრამ ასეთი თესლი სად არის?

— არ ვიცი, ჩეჩეკ. ჯობს ბევრი ჭამო და ნაკლები ილაპარაკო!

— ბებია, დღეს კიდევ მიამბობ ზღაპარს?

— ეს განა ზღაპარია? იაგოჩი-ხანი კეთილი ღმერთია. ხელი არ ახლო, თავისთვის ცხოვრობს. ცხოვრობს და ცხოვრობს. შენ რა გინდა?.. აგე, ნახირი მოდის, გესმის, ძროხები ბღავიან, ძაღლები ყეფენ...

ბებია ტარინჩაკი გარეთ გავიდა. ჩეჩეკმა საჩქაროდ შეჭამა კვამლის სუნით გაჟღენთილი ხაჭოს კვერის ნაჭერი და უკან მიჰყვა ბებიას.

მზე უკვე მთების გადაღმა ჩაეშვა. ხეობაში ჩანავლებული სინათლის ფართო ზოლები იწვა. აილებს ზანტი, მძიმე ძროხები მოუახლოვდნენ. აქ ბაკები არ იყო. ძროხები მოდიოდნენ, ჩერდებოდნენ და უხალისოდ იცდიდნენ. აილებთან დიასახლისები ფუსფუსებდნენ. ისინი ძროხების მოსაწველად სხდებოდნენ, ყვითელი ბოჩოლები კი ჯიქანს ეტანებოდნენ.

ბებია ტარინჩაკმა ხის ბადიათი სალაფავი გამოიტანა, ჩიბუხი ისევ პირში ჰქონდა გაჩრილი. უხვი საკვებით დამძიმებული, ჩალისფერი დიდი ძროხა ბადიასთან მივიდა. მას ორიც მიჰყვა. ბებიამ ჯერ ერთი ძროხა მოწველა, შემდეგ მეორე, მესამე.

ბოლომდე არც ერთი არ მოუწველია, რძე ბოჩოლებსაც დაუტოვა. ბოჩოლები კი იმასღა ელოდნენ, როდის მიუშვებდნენ დედის ცურთან... დასახლებაში ხმადაბალი საუბარი, კუჭკუჭი ისმოდა, ირგვლივ, მთებში კი მკვდრული სიჩუმე სუფევდა.

მეზობლის პატარა გოგომ, ჩოო-ჩოიმ ჩეჩეკი დაინახა და დაიძახა:

— ჩეჩეკი ჩამოსულა!

— ჩამოვედი! — მხიარულად მიუგო ჩეჩეკმა. — თქვენი არდინე სადაა, შინ არის?

— არდინე შორსაა, სათიბ ძია. იქ ათევს ღამეს. ნუკლაი და

კოლია მანეევი კი იქვე, ახლოს თივას ხვეტავენ. აგერ, შინ მოდიან.

ხეობაში აილებისკენ ტაიგიდან მომავალი, მხარზე ცელგადებული მუშებიც მოაბიჯებდნენ. ხის სათრეველებში შებმულ ცხენებზე პატარა ბიჭები ისხდნენ. ერთი სულ პატარა, ძლივს რომ ჩანდა ცხენის თავს იქით, მათრახს აქნევდა და რაღაცას მღეროდა.

— ეს ჩოტია, ტიზიაკოვის ბიჭი, — გაიღიმა ჩოო-ჩოიმ. — ცხენები ისე უყვარს, ძირს ვერაფრით ჩამოაგდებ.

სწრაფად ბინდდებოდა. ცაზე ნათელი, წყნარი ვარსკვლავები აკიაფდნენ და მთების წვეროების თავზე დაეკიდა. პატარა ბავშვები მდელოებზე დარბოდნენ და თეთრ ლეკვებს ეთამაშებოდნენ. ლეკვები ეწეოდნენ მათ, ქუსლზე ავლებდნენ პირს და ბავშვები იცინოდნენ.

— წავიდეთ, ჩვენც ვირბინოთ! — უთხრა ჩეჩეკმა ჩოო-ჩოის. — რა ლამაზი ლეკვებია!

ჩეჩეკი მანამ დარბოდა და თამაშობდა, ვიდრე ცას მთლად არ დაეშრიტა სინათლე. შემდეგ ბებიას აილში დაბრუნდა. ძროხები უკვე იწვნენ აილის გვერდით და თვლემამორეულნი იცოხნებოდნენ. მიწაში ჩარჭობილ ერთ ბოძზე მიბმული ბოჩოლები კი ერთმანეთს მიკვროდნენ და ეძინათ.

ბებია ტარინჩაკი გარეთ გამოვიდა, ერთხანს აილის გვერდით დგა.

— მთებს სძინავთ. ტაიგას სძინავს. მალე ადამიანებიც დაიძინებენ. დედამიწას მთელი ღამე მხოლოდ ვარსკვლავები გადმოსცქერიან ნათელი თვალებით, — თქვა მან.

— ბებია, აქ დიდი ხანია არ ვყოფილვარ, — უთხრა ჩეჩეკმა ბებიას, როცა ორივე ნიამორის ტყავებზე დაწვა. — მიამბე რამე. მომიყევი ბოროტი ერლიკის, სარტაკ-პაის შესახებ, შენი ახალგაზრდობის, შამანების შესახებ... ყველაფერი მიამბე!

ბებია ტარინჩაკი სწორედ ამის თქმას ელოდა. მოყოლით რას არ მოყვებოდა, ოღონდაც ვინმეს ესმინა. ბაბუა ტორბოგოში სულ ტაიგაში იყო რემასთან და დუმილი ხანიერ ღამეებში, როცა კაცი-შვილი დამლაპარაკებელი არ ჰყავდა, ბებიას საშინლად მობეზრდა.

კვამლითა და ბალახის მძაფრი სუნით გაჟღენთილ თბილ აილში სიჩუმეა. სიჩუმეა აილის დამრეცი შავი კედლების გარეთაც. მთელ ქვეყანაზე... ჯერ კიდევ მცხუნვარედ ღვივიან და ციმციმებენ ნაკ-

ვერცხლები კერაზე. მთვლემარე ნარინჯისფერი ათინათები ნივნივებზე კრთიან და ბებიას ყავისფერ სახეს და ჭაღარაშერეულ შავ ნაწნავებს ანათებენ. ნაწნავებში სილამაზისთვის მას თეთრი ელვარე ნიჟარები აქვს ჩაწნული.

ბებია ჩიბუხის გასაჩაღებლად ადგა. ცეცხლთან დაჯდა და ალარ წამომდგარა.

— რა ამბავია ამდენი კითხვა ამაზე, იმაზე, — უთხრა ჩეჩეკს. — ძველ დევგმირ სარტაკ-პაიზე რომ დავიწყო ლაპარაკი, ან კიდევ სხვა დევგმირებზე. ღამეები არ გვეყოფა. — შემდეგ ცოტა დაფიქრდა და დაიწყო: — დღევანდელმა ახალგაზრდებმა არაფერი იციან... მთებში დადიან და არ იციან, რომ ბევრი ჩვენი მთა მთა არ არის. ესენი გაქვავებული ალტაელი დევგმირებია...

— როგორ? — გაუკვირდა ჩეჩეკს. — სკოლაში კი გვითხრეს...

— რაკი გითხრეს, მე რაღად გიამბო? უკვე ყველაფერი გცოდნია!

— არა, არა, ბებია! — გონს მოეგო ჩეჩეკი. — რაც სკოლაში გვითხრეს, ის ვიცი, ხოლო რასაც შენ მიამბობ, საიდან მეცოდინება! მომიყევი რა!

ბებია ტარინჩაკმა ერთხანს იყუჩა და ისევ დაიწყო:

— ძველად დედამიწაზე დიდი წარღვნა იყო, ყველა ხეობა, მთა, მთელი მიწა წყალმა დატბორა. წარღვნის შემდეგ დედამიწა თონთლო გახდა, დარბილდა და დევგმირები სიარულს ვეღარ ახერხებდნენ. ჰოდა, მთებად იქცნენ. ახლა ერთ ადგილას დგანან და დედამიწას არ აწუხებენ..

— ყველა ჩვენი მთა ასე გაჩნდა, ბებია? — ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა ჩეჩეკმა.

— ყველა არა, — მიუგო ბებიამ. — მაგალითად, კაზირგანის მთა და კაზერე-დაღის მთა. კაზირგანი და კაზერე-დაღი ძმები იყვნენ. წაიჩხუბნენ და დაშორდნენ ერთმანეთს. დედას მათი შერიგება უნდოდა, ეხვეწებოდა, უმძრახად ნუ ხართო, მაგრამ ძმებმა არ გაიგონეს. დედა გაბრაზდა და ორივე დაწყევლა: მთებად იქეცითო! დევგმირებიც მთებად იქცნენ და დგანან ახლა: კაზირგანი მდინარე აბაკანზე. კაზერე-დაღი მდინარე კემჩინზე. კაზირგანის მთა ძალიან ბრაზიანია. მონადირემ იქ ღამე არ უნდა გაათიოს.

ხანდახან ტუუ-ეზი კაზირგანი ზევით ამოდის და ღამით შემზარავად ხარხარებს. თუ მისი ხარხარი ვინმემ გაიგონა, მაშინვე მოკვდება...

ბებია ტარინჩაკი გაჩუმდა, ჩიბუხი მოქაჩა. ჩეჩეკს ეშინოდა, მაგრამ თავს მაინც კარგად გრძნობდა.

— ბებია, კიდევ მოყევი რამე!.. — სთხოვა ბებიას და ცეცხლთან მიჩოჩდა.

— არის კიდევ ერთი მთა აკ-კაია; მაგრამ ეს მთა კი არა, გაქვავებული შამანია. იყო ორი შამანი — აკ-კაია უფროსი და აკ-კაია უმცროსი. უმცროსს დაუძახეს, ავადმყოფს შეუღოცეო. მან კარგი შელოცვა იცოდა, ავადმყოფს შვებას ჰგვრიდა, რისთვისაც მაუდის თეთრი ხალათი აჩუქეს. უფროს აკ-კაიას შურდა უმცროსისა. უფროსი აკ-კაია ღონიერი იყო, გავარვარებულ რკინას ურუს გარემე კვერავდა: რკინას ცალი ხელით იჭერდა და მეორე დამუშტულ ხელს სცემდა. მას შეშურდა ძმისა და მთად აქცია. ჰოდა, დგას ახლა მდინარე კონდომაზე აკ-კაია — თეთრი ქვა.

— ბებია, კიდევ რა მოხდა?

— მოსაყოლს რა დალევს! მდინარე მრასაზე ქვიშაქვისა და კენჭებისგან წარმოქმნილი კლდეებია. რომ შეხედავ, სვეტები გეგონება. მაგრამ ესენიც სვეტები კი არა, დევგმირებია. ამ კლდეებს ულუღ-ტაგი ჰქვია... მდინარე კიინიგ-ზუს ერთ მხარეს კილანის მთაა აღმართული, მდინარის მეორე მხარეს, ფრიალო კლდეზე კი შვიდი თხემი. კილანი ქვრივი იყო, შვიდი ქალიშვილი ჰყავდა. ერთმა დევგმირმა მაჭანკალი მიუგზავნა, ერთი ქალიშვილი ცოლად გამატანეო. კილანმა არ გაატანა. დევგმირიც ადგა და ქალიშვილები მოსტაცა. ჰოდა, დგანან ახლა დედა და ქალიშვილები მდინარე კიინიგ-ზუს გაღმა-გამოღმა და ერთმანეთს უცქერიან...

ბებიამ კიდევ მრავალი მთის — მუსა-ტაგის — ყინულოვანი მთის, აბოგანის და ბობორგანის ამბავი მოუყვა ჩეჩეკს... ყოველი თქმულების შემდეგ შვილიშვილს გადახედავდა ხოლმე — ხომ არ სძინავსო. მაგრამ ჩეჩეკს მაყვლისფერი თვალები წვიმაგადავლილი შოთხვივით უბრწყინავდა..

— კიდევ, ბებია, კიდევ მომიყევი!

ბებიამაც კატუნის მთის დევგმირის ამბავი მოუყვა:

— სადღაც კონდომას ნაპირზე დიდი მთა. კატუნის მთა დგას, მის ზემოთ კი ფრიალო კლდეა. ამ მთის ძირას დაიბადა საოცარი

ლონიერი ერთი ალტაელი დევგმირი. ჯერ კიდევ პატარაობისას, თამაშის დროს როცა ბიჭებს ხელზე წვდებოდა, ხელს აწყვეტდა, თავზე წაავლებდა და თავს აწყვეტდა... დათვებს შიშველი ხელებით გლეჯდა! ხანდახან მამა უბრძანებდა, წადი, ძროხა მოდენეო, ის კი ძროხას ამოიღლიავებდა და ისე მოჰყავდა. თუ შეშა სჭირდებოდა, ვეება ფიჭვს ძირიანად თხრიდა, მხარზე გაიდებდა და შინ მოარბენინებდა. ათი წლის კი იყო.

ძალა წლითიწლობით ემატებოდა, მაგრამ მშობლებმაც და მეზობლებმაც შეამჩნიეს, რომ ჭკუა აკლდა. ხოლო ძალა უჭკუოდ საშინელი რამაა. ამიტომ მეზობლებმა და მშობლებმა გადაწყვიტეს, ეს საშინელი ძალა მოესპოთ. კატუნის ფრიალო კლდეზე ექვსი კვირა ცეცხლზე ახურებდნენ ლოდს. შემდეგ მამამ უთხრა შვილს: ჩემო კარგო, მდინარის ნაპირზე დადექი და ფრიალო კლდეს უყურე. იქიდან წითელ ირემს გამოვდევნით, შენ კი დაიჭირე და ჩემს მოსვლამდე გეჭიროსო. ჰოდა, მოფრინავს მთიდან გავარვარებული ლოდი, დევგმირი იჭერს. ლოდი დევგმირულ გულს ეწვავს, მაგრამ ეუბნება: სულ რომ დამწვა, ხელიდან მაინც არ გაგიშვებ მამაჩემის მოსვლამდეო! არც გაუშვა. მაგრამ გული დაეწვა და მოკვდა... გძინავს, ჩეჩეკ?..

ჩეჩეკს არ ეძინა. წამოიწია, მუხლებზე დადგა. თვალებში ცრემლი უკრთოდა და ცეცხლის ათინათები გუგებში უქუცმაცდებოდა.

— ოჰ, ბებია, ბებია, ნუთუ არ ეცოდებოდათ? — ჰკითხა ბებიას.

— შეიძლება ეცოდებოდათ კიდეც... — დაფიქრებით მიუგო ბებია ტარინჩაკმა. — მაგრამ რა ექნათ, მისი ეშინოდათ! იქნებ ამიტომაც ღმუის ხოლმე დღეს კატუნის მთა... დუმს, დუმს და აბღავლდება. ზოგი ამბობს, წვიმის წინ იცის ღმუილიო...

ბებია ტარინჩაკმა ჩიბუხი ბოლომდე მოსწია, ნაცარი გამობერტყა და შვილიშვილს უთხრა:

— სადღეისოდ კმარა, დავიძინოთ. ივლისი დიდი თვეა. დღეები გრძელია, ღამეები — მოკლე.

მართლაც ცეცხლი ბოლომდე არ ჩამქრალა, რომ ზემოთ საკვამლე ხვრელში მკრთალი ცისფერი ცა გამოჩნდა და რომელიღაც ჩიტმა დაიჟღურტულა.

ჩეჩეკი მოხერხებულად დაწვა, თვალები მოიწმინდა და დაიძინა.

დილით ჩეჩეკი პატარა მხიარულმა ჩოო-ჩოიმ გააღვიძა:

— რა ძილისგუდა ყოფილხარ? სათიბში წამოხვალ? ნუკლაი უკვე სასაუზმოდ მოვიდა — ალიონიდან თიბავდა! არდინეც მოვიდა!

— ადრე ამდგომსა კურდღელსა, ვერ მოეწევა მწევარიო, — თქვა ბებია ტარინჩაკმა.

იგი კერასთან ფუსფუსებდა, ხაჭოს კვერებს აკეთებდა და კერის თავზე რკინის ცხაურზე კვამლში აწყობდა.

ჩეჩეკი ზეზე წამოხტა:

— არდინე მოვიდა!.. ბებია, პირი სად დავიბანო?

— რაო, ყოველდღე პირის დაბანა ვის გაუგონია? როგორ ერთმანეთს ჰგავხართ ბაბუა და შვილიშვილი. წყალში გაჭყუმპალავათ და მეტი არა გინდათ რა. ნათქვამია, ბევრს იბან, ბედნიერებას ჩამოიბანო. ძველად პირს არასდროს ვიბანდით, ბედნიერებას ვუფრთხილდებოდით.

— მაშ, ძალიან ბედნიერი იყავი?

ბებია ტარინჩაკმა ამოიხვნეშა და არაფერი უპასუხა.

— აბა, მითხარი, მითხარი, ძალიან ბედნიერი იყავი?

ბებიამ ხელი აუქნია:

— წადი, წადი! ჩოო-ჩოი დაგისხამს წყალს.

სუფთა და ცივი იყო წყაროს წყალი. ჩეჩეკი პირს იბანდა, წყალს აშხეფებდა, კისკისებდა. ჩოო-ჩოიმ მას უკანასკნელად ჩაუსხა პეშვში წყალი, რაც მორჩა, თავზე დაასხა. სამაგიეროდ ჩეჩეკმა სველი ხელებით მოწმინდა პირი. გოგონა დაუსხლტა და გაიქცა. ჩეჩეკი გაეკიდა. მდელოზე ძახილი და კისკისი გაისმა.

— დამაცა, დამაცა! — ყვიროდა ჩეჩეკი. — ხელ-პირს შევიმშრალებ და ხელად დაგიჭერ!..

— ჯერ შეიმშრალე! — უპასუხებდა ჩოო-ჩოი.

— შენც შეიმშრალე.

სირბილში ხელ-პირი ისედაც შეაშრათ. ცივმა წყალმა, გამაცოცხლებელმა დილამ, სირბილმა და კისკისმა ჩეჩეკს ლოყები აუღაუღაჟა.

ბებია ტარინჩაკმა შეხედა და გულში თქვა: „ნამდვილი ყვავი-

ლა! ძველად დაპანა გვეშინოდა. ბედნიერება არ ჩამოვიბანოთო, მავრამ იყო ბედნიერება? არა, იგი არ არსებობდა...“

ამ წუთში ტარინჩაკს შეიძლება ახალგაზრდობა გაახსენდა. რა იყო თვითონ? განა ადამიანი ერქვა? როგორც კი გათხოვდა, ჩადრი დაიხურა და არც არასდროს მოუხდია... მუშაობის, გაჭირვების, შიმშილის მეტი არაფერი უნახავს... ქმარი ბატონის მწყემსი იყო, ბატონის ფარებს მწყემსავდა და სულ მისი ვალი ჰქონდა. ბედნიერება კი როდისღა იყო?

ბებიამ ისევ გაიმეორა გულში: „იგი არ არსებობდა, არ არსებობდა...“

ნასაუზმევს ჩეჩეკი ბავშვებთან ერთად სათიბში გაიქცა.

ივლისში ბევრი ბალახი აყვავილდა ხეობებში. ვარდისფერი ქოლგები გაშალეს თავთავებმა. ასფურცელამ მზეს ყვითელი, ბრტყელი, ღილივით ყვავილები მიუშვირა. ბარისპირამ მაღლა აღერა ხაოიანი, ოთხწახნაგა ღერო, რომელსაც თავზე ვარდისფერი თავთავი ჰქონდა. საოცრად ლურჯად კამკამებდნენ ველის სოსნები. ხეშეში, უალერსო შხამა ბალახიც კი ფუნჯად შეკრული თეთრი ვარსკვლავებით იწონებდა თავს.

დილდილობით ბალახზე უხვად იდო ცვარი. ამ დროს გადიოდნენ ხეობაში სათიბი მანქანები და მოთიბული ბალახი სწორ მწკრივებად ლაგდებოდა დამრეც ფერდობებზე. ცოცხალი, მწვანე. მძიმე ბალახი მცხუნვარე მზეზე მქრქალდებოდა, ოქროსფერი ედებოდა, მსუბუქდებოდა და ჭკნებოდა.

ასეთი მოოქროსფრო-მწვანე მწკრივები დაინახა ჩეჩეკმა, როცა ხეობაში ამოირბინა. მწკრივები მაღლა-მაღლა მიიწევდნენ ფერდობებზე, სულ დაალიანდაგეს მახლობელი მთები მწვერვალებზე შეფენილი ტაგის ძირამდე.

დასახლების ყველა მცხოვრები გამოვიდა სათიბად. ფოცხებმა ააშრიალეს გრძელი შემჭკნარი ბალახი. ქალები და ბავშვები სულ მაღლა მიიწევდნენ და ნათიბის მწკრივებს შლიდნენ.

მოხუცი მუშა უსტინი ზვინის დასადგმელ ადგილს ამზადებდა დამრეცი ფერდობის ძირას, ხშირი ლარიქსების ქვეშ.

მზე არემარეს ათბობდა. ივლისმა უცებ ძალა მოიკრიბა, თითქოს უნდოდა, რის გაკეთებაც აქამდე ვერ მოასწრო, ახლა გაეკეთებინა: მიწაც გაეთბო, ხორბლეულიც წამოეზარდა და თივაც გაეშ-

რო. ჩეჩეკს კარგა ხანია შინდისფერფოჩიანი ქუდი მოეხადა და ლარიქსის გაბუძგულ ტოტზე ჩამოეკიდა, მაგრამ შუბლზე მაინც გამოეყონა ოფლმა, საფეთქლებზე ჩამოვარცხნილი თმა დაენამა.

ჩოო-ჩოის უფროსი და არდინე და ჩეჩეკი დიდი ხანია მეგობრობდნენ, ერთად სწავლობდნენ სკოლაში. ახლა ორივე მხარდამხარ მოაბიჯებდა, თივას შლიდნენ და გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. მერედა რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი ერთმანეთისთვის!

არდინე სკოლის შესახებ ეკითხებოდა ჩეჩეკს. ისიც პასუხობდა:

— შენ კარგად გრძნობ თავს! — დაფიქრებით უთხრა არდინემ ჩეჩეკს. — ჩვენ კი პატარა ბავშვები გვყავს... დედას ცოტა შრომადღეები ექნება, მე რომ წამოვიდე...

ჩეჩეკი შედგა:

— რას ამბობ, არდინე! საბავშვო ბაღი რისთვის არსებობს? შეგიდეს დედაშენი დირექტორთან. ხომ გვაქვს საბავშვო ბაღი.

— ვთხოვ, — დაეთანხმა არდინე. — ჩვენს მასწავლებელთან მივალ. გახსოვს ალა მასწავლებელი?

— როგორ არა! კეთილი ქალია.

— მივალ და ვეტყვი დედას მოელაპარაკოს... შემოდგომაზე კი შენთან ერთად წამოვალ კატუნზე.

— რა კარგი იქნება! — შეჰყვირა ჩეჩეკმა. — მხიარულად ვიქნებით, ერთად მოვუვლით ვაშლებს, მყნობას ვისწავლით, ჯიშების გამოცნობას ვისწავლით... დარგვა უკვე ვიცი, დავრგე კიდეც ვაშლები! ოჰ, ნეტავ როგორაა ჩემი კარგი ვაშლები, ჩემი ძვირფასები, ჩემი ნაზი ვაშლები?

ჩეჩეკს უცებ საოცრად მოუნდა კატუნის პირას ყოფილ ყო, სკოლის ბაღში შეერბინა და თავისი ვაშლებისთვის დაეხედა: ხომ არაფერი მოუვიდათო, ვინმეს ხომ არ გადაუტეხავს. ბუგრი ხომ არ დაესია, რამდენი ახალი ფოთოლი გამოიღესო.

— ვაშლებს იქაურ კოლმეურნეობაში მცხოვრები ბავშვები უვლიან, — უთხრა ჩეჩეკმა არდინეს. — ნამდვილად უფრთხილდებიან. იცი, იქ ყველანი ქოხებში ცხოვრობენ, ფიცრის ქოხებში. ჩვენნაირ აილებს სულ არ აგებენ.

— ჩვენს ბრიგადაშიც აშენებენ ქოხებს, — თქვა არდინემ. — ხე-ტყე მოაქვთ... აბანო უკვე ააშენეს. რაო, ჩეჩეკ, ქოხში ცხოვრება კარგია?

— ქოხში არასდროს არ ვიცხოვრებ! — იყვირა უცებ ჩოო-ჩოომ. — იატაკს მორეცხვა სჭირდება!

— ე, იქ ცოტას იცხოვრებ და აილში აღარ დაბრუნდები, — მიუგო ჩეჩეკმა. — ზარმაცო ჩოო-ჩოო, შენც მორეცხავ იატაკს და იტყვი, დახე, რა კარგი ყოფილა ჩემს სუფთა ქოხში ცხოვრებაო!

ხეობებში თივის, გამთბარი წიწვის სურნელი დიოდა, ხოლო მახლობელი მინდვრიდან ტრაქტორის გუგუნთან ერთად ბენზინისა და ახალმოხნული მიწის სუნი აღწევდა.

მეზობლის ქალები ბებია ტარინჩაკს ესაუბრებოდნენ. ჩეჩეკს ესმოდა მათი ლაპარაკი.

— სტუმარი გყავს? შვილიშვილი ჩამოგივიდა?

— შვილიშვილი ჩამომივიდა, — ყოჩაღი შვილიშვილი. წიგნებს კითხულობს. რომელიც გინდა, იმ წიგნს წაგიკითხავს! მერედა რა სიმღერები იცის. ნეტავ მოგასმენინათ! თანაც უნდა მთელ ალტაიში ვაშლის ბაღები გააშენოს.

— შეხე! მართლა ყოჩაღი შვილიშვილი გყოლია!..

სიცხე, სიწყნარე იდგა, ნელა გადიოდა დრო. ლაპარაკი ნელ-ნელა მიწყდა. ჩეჩეკს უკვე კოჭრები დაასხდა ხელებზე, შავგვრემანი არდინე წამდაუწუმ ჩერდებოდა, ქუდს კინკრიხოზე წამოიგდებდა და შუბლს იწმენდდა.

— მოიხადე ეგ ქუდი! — უთხრა ჩეჩეკმა. — შენც ხომ ბებია ტარინჩაკი არა ხარ?

არდინემ ქუდი მოიხადა და ტოტზე ჩამოკიდა.

თმაგაბურძგნილი კოლია მანეევი სულის მოსათქმელად შედგა და ტოტებზე ჩამოკიდებული ორი ქუდი დაინახა.

— ჰეი, ჩოტ. ჩოტ, შეხედე, როგორი ჩიტები სხედან ტოტებზე! ერთი აგერაა, მეორე, შინდისფერბოლოიანი — ქვემოთ. აბა, წადი, დაიჭირე!

პატარა ჩოტი ბუჩქებში კენკრას კრეფდა. მან „ჩიტებს“ შეხედა და აგდებულად გაიცინა:

— ის ჩიტები შენ დაიჭირე, მე კი ცხენებს დავიჭერ, სათრეველა უნდა წამოვიღო, — უთხრა კოლიას და შემდეგ დაიყვირა: — ეჰეი, ვასილი! დროა ცხენების მოსაყვანად წავიდეთ!..

ტყიდან პატარა. ჩასხმული და კედრის წიპწიპოსავით ნამზეური ვასილი გამოვარდა.

— ეჰეი, მოვდივარ!.. — გამოეპასუხა კოლიას.

კოლია და ვასილი მარდად ჩამოხტნენ მთის მწვანე შვერილიდან და ქვემოთ დაეშვნენ.

— საით! — მიაძახა მათ ჩეჩეკმა. — ცხენები გაგქელავენ!

ბიჭებს უკან არც მოუხედავთ, არდინეს კი გაეცინა:

— რას ამბობ! მაგათ ყველა ცხენი იცნობს! ჩვენი ბიჭები ცხენს რომ მოახტებიან, ტკიპასავით ეკვრიან ზედ.

— მეც! — იყვირა ჩოო-ჩოიმ.

— ჩეჩეკ, შენ ხო არ გადაჩვევიხარ ცხენზე ჯდომას?

— ო! — ცოტა გაცხარდა ჩეჩეკი. — მე? ეგღა მაკლია! მე ხომ ცხენსაშენში გავიზარდე. აბა, რას ამბობ, არდინე?

— გახსოვს, როგორ ვარდებოდი ძირს?

— ჰო, ვვარდებოდი... მაგრამ არც ისე ხშირად. არიან დაუდეგარი ცხენები... ახლა ვერც ერთი დაუდეგარი ცხენი ვერ გადმომაგდებს. რას ამბობ! ეგღა მაკლია! თანაც უკვე დიდი ვარ, ეს ბიჭები კი... ბარდას მარცვლებს ჰგვანან!

არდინეს გაეცინა:

— აბა, სცადე ერთი მათი ცხენიდან გადმოგდება!

— ხელისგულზე კოჟრები გამიჩნდა, — გამოტყდა ჩეჩეკი. — წყალი ჩამიდგა.

— მე ორი გამიჩნდა, — უთხრა ჩოო-ჩოიმ.

— ფოცხის დაჭერა არ იცით და იმიტომ, — მიუგო მათ არდინემ. — მაგრამ არა უშავს, მოითმინეთ, თივა ცოტაღა დარჩა გასაშლელი.

ჩეჩეკმა წინ გაიხედა: თივა პატარ-პატარა ბულულებად ეწყო ლარიქსებს შორის, უფრო იქით კი ხეებს წიწვიანი ტოტები შეეკრათ და მზის სხივები ოქროს ისრებივით კვეთდა ხან აქ, ხან იქ ტაიგის მწვანე ბინდს.

— მორჩა! — შვებით ამოისუნთქა შავგვრემანმა არდინემ.

— როგორ მორჩა? — ჰკითხა ჩეჩეკმა. — იმ მთაზე თივა გასაშლელი არაა?

— არა, იქ უკვე გაშრა.

— ჰოო? ისე იქაც შეგვეძლო გაგვეშალა. სულ არ დავღლილვარ!

ასე თქვა, თორემ გულში ძალიან უხაროდა, რომ იმ მთაზე თივა გამშრალიყო, ვინაიდან უკვე არაქათი გამოცლოდა.

ქალები ნელა ჩადიოდნენ ფერდობზე. ლამაზმა გოგონა ჩეინეშმა გაბმული სიმღერა წამოიწყო ოქროს ტბა ალტინ-ყოლზე.

პატარა გოგო-ბიჭები გაიქცნენ და ერთმანეთის გასწრებას ცდილობდნენ. კოლია მანეევმა და ჩოო-ჩოიმ ყველას გაუსწრეს... შემდეგ კოლია მანეევი ჩამორჩა, ჩოო-ჩოის წითელი კაბა კი უკვე შორს ჩანდა ხეობაში.

— ეჰ, ერთი მაბანავა! — თქვა ჩეჩეკმა და ნაწნავები უკან გადაიგდო.

— სად? წყაროში? იქ მუხლებსაც ვერ დაისველებ.

— ტბაზე გავიქცეთ.

— არანურზე? — შეეშინდა არდინეს. — რას ამბობ, ამ ტბაზე სიტყვა არ დაგცდეს!

— ვიცი.. — უცებ ჩაცხრა ჩეჩეკი. — მისი ამბავი გამიგონია... — ერთი წუთის შემდეგ კი გაეღიმა. — ჩვენ კი სკოლის მახლობლად ჩვენი ტბორი გვაქვს. ანკარა წყალია შიგ! ტბორი პატარა იყო. მაგრამ ბავშვებმა გრემუჩიდან არხი გამოიყვანეს. ახლა იქ დღე და ღამე ჩადის წყალი, ხუთი კაპოეტი დაცურავს. ბიჭებმა გაეშვეს.

— ბედნიერი ხარ, ჩეჩეკ! — ამოიოხრა არდინემ. იქით გაიხედა, სადაც წვეტიანი აილები ჩანდა და დაურთო: — აი, ჩვენებიც გამოვიდნენ თივის მოსაგროვებლად'

მოპირდაპირე მხრიდან გზაზე ცხენები ახლოვდებოდნენ, სათრეველებს მოათრევდნენ. ასეთი სათრეველებით ადვილი იყო ფერდობებიდან თივის ჩამოხვეტა. აგერ ცხენის ფოცხიც გამოჩნდა. ახალი ცისფერი მანქანა შორიდან ჩანდა და წამოწეული წვეტიანი კბილები უბრწყინავდა.

— არდინე, შევხვდეთ! — დაიძახა ჩეჩეკმა და პასუხს არ დალოდებია, ისე გაიქცა.

წინ მომავალ ცხენებზე, რომლებიც მძიმე სათრეველას მოათრევდნენ, ჩოტი და ვასილი ისხდნენ. ისინი ძლივს ჩანდნენ ცხენის თავებს იქით.

— ვასილ, ჩოტ, დავჯდები რა ცხენზე, — სთხოვა ბიჭებს ჩეჩეკმა.

ვასილი მედიდურად იყურებოდა წინ და არაფერი უპასუხებია, არც ჩოტს გადმოუხედავს ჩეჩეკისათვის, ისე მიუგო:

— დავჯდებიო? მერე ნორმას ვინ შეასრულებს? შენა?

ბიჭებს დონდროობა წაბლა ცხენები არ შეუჩერებიათ, გვერდით ჩაუარეს ჩეჩეკს.

ჩეჩეკი მოიღუშა: რა უტეხები არიან! ესენიც მუშები მყვანან. ამათ დამიხედეთ — ნორმას ასრულებენ!

კიდევ მოახლოვდა ორი ცხენი, რომლებიც აგრეთვე სათრეველას მოათრევდნენ. ჩეჩეკს უნდოდა ამ ცხენებზე მსხდომი ბიჭებისთვის ეთხოვა, დამსვითო, მაგრამ ბიჭები ჩორთით მოერეკებოდნენ ცხენებს და მისი ნათქვამი არც გაუგონიათ.

— სულელებო! — გასძახა ბიჭებს ჩეჩეკმა. რადგან იცოდა, რომ მის ნათქვამს მაინც ვერ გაიგონებდნენ. — ამათ უყურე! ავდგები და ცხენის ფოცხზე დავჯდები.

ჩეჩეკი არც ფოცხზე დასვეს. ახალგაზრდა მკაცრმა ბრიგადირმა კუზმამ შავი წარბები შეჰყარა და უთხრა:

— ეს მანქანაა, სათამაშო კი ნუ გგონია. განა შეიძლება მანქანა სათამაშოდ აქცინ?

ძალზე გულნატკენი ჩეჩეკი გზაზე გაჩერდა.

— კარგი, კარგი, ჩეჩეკ! — უთხრა მოახლოებულმა არდინემ. — უკეთესია, წყაროზე ხელ-პირი დავიბანოთ.

მოულოდნელად კუზმა ბრიგადირმა ცხენები შეაჩერა და გოგონებს გადმოსძახა:

— გოგოებო, იქ კიდევაა ერთი სათრეველა! გაიქეცით და ცხენები შეაბით! ცხენებს ნუკლაი მოგცემთ.

ჩეჩეკი და არდინე ქარზე უსწრაფესად გაქანდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კი ცხენებზე ისხდნენ და სათიბისკენ სათრეველას მოათრევდნენ. გოგონები მღეროდნენ, იცინოდნენ. შიშველ ფეხებს ფერდებზე უტყაპუნებდნენ ცხენებს. ქარი გრძელ, შავ ნაწნავებს უფარფარებდათ. ეჰე! კარგია, როცა რბილ გზაზე მიქრიხარ, კარგია, როცა ხალხს ბევრი სამუშაო აქვს, ხოლო რაკი სამუშაოა, დოვლათიც ბევრია და მხიარულებაც.

ჩეჩეკმა და არდინემ ცხენები ხეობაში გაშლილ თივასთან გააჩერეს.

— ბაბუა ულტინ! საიდან დავიწყოთ მოხვეტა, — გასძახა არდინემ ბაბუა უსტინს.

ბაბუა უსტინი ახალგაზრდა მუშებს ზვინის დადგმაში ეხმარებოდა. იგი ფიწალზე დაეყრდნო, მზე ხელით მოიჩრდილა:

— ესენი ვინ მოსულან? დამხმარენი? — გაუხარდა უსტინს. — აბა, აბა, იმ ფერდობიდან დაიწყეთ მოხვეტა და აქეთ წამოდით!

გოგონებმა ცხენები მრგვალი ფერდობისკენ შეაბრუნეს. მოპირდაპირე მხრიდან ვასილი და ჩოტი მოდიოდნენ და აბუებული თივით სავსე სათრეველას მოათრევდნენ. ჩეჩეკი მათ მიაჩერდა და თავისი ცხენი დაავიწყდა. ცხენი განზე წავიდა და სათრეველა გადაფერდდა...

— ერთი შეხე, როგორ მოდიან! — გოგონებზე ანიშნა ჩოტმა ვასილის.

ვასილიმ გოგონებს გახედა და დამცინავად დამანჭა მრგვალი სახე. ჩეჩეკი შეცბა და უმალ მიხედა თავის ცხენს.

გოგონები ფერდობზე ავიდნენ, ცხენები მოაბრუნეს და ქვევით დაეშვნენ. როცა ფერდობი ჩამოათავეს, თივა უკვე სათრეველას ხის კედლებზე მაღლა იყო ასული.

— გეზი ზვინისკენ აიღე, — უთხრა ჩეჩეკს არდინემ.

— თივა გზაზე ხომ არ დაგვებნევა? — წაიჩურჩულა ჩეჩეკმა.

მაგრამ შეხმატკბილებული ცხენები ფეხშეწყობილი მიაბიჯებდნენ და ფრთხილად მიათრევდნენ თივით სავსე სათრეველას.

ჩეჩეკი დამშვიდდა: არაფერი ნდომებია სათრეველათი თივის მოხვეტას. ოჰ, ეს ბიჭები! ჰგონიათ, ძნელ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ცხენზე ჯდომის მეტი არაფერი იციან, სულ იმას ცდილობენ, ცხენიდან არ ჩამოვარდნენ. რა მუშაობა ეგაა! ჩეჩეკმა კი შეიძლება ცხენზე დაიძინოს და არ ჩამოვარდეს.

ნეტავ ცხენის ფოცხი გაატარებინა, აი, ის, კუზმა რომ მართავს!.. რა ნარნარად მიდის ეს ლამაზი, ახალთახალი ცისფერი მანქანა. რა პირწმინდად და დიდ სივრცეზე ხვეტს თივას, რარიგ უბზინავს წვეტიანი ვერცხლისფერი კბილები!

უცებ სათრეველა შეტოკდა; დამუხრუჭდა...

— შეჩერდი! — იყვირა არდინემ.

ჩეჩეკმა ცხენი შეაჩერა, მაგრამ გვიანღა იყო: მან თვალი ვერ მოსწყვიტა ცხენის ფოცხს და ვერ დაინახა, სათრეველას კედე-

როგორ შედგა ვეება დაკბილულ ქვაზე. სათრეველა აიწია, ქვიდან გადმოხტა და გზა განაგრძო, მაგრამ თივის დიდი გროვა უკან დარჩა მწვანე გათიბულ მდელობზე.

— ოჰ, სად იყურები? — უთხრა ჩეჩეკს არდინემ.

— რა ვქნათ ახლა? — დაიბნა ჩეჩეკი, არდინე კი უკვე ჩამოხტა ცხენიდან:

— მოდი, საჩქაროდ დავყაროთ სათრეველაზე... ჩქარა, ვიდრე ბიჭებს არ დავუნახივართ!

ჩეჩეკიც ჩამოხტა ცხენიდან. გოგონები თივას იღებდნენ და სათრეველაზე ყრიდნენ. ისე გაოფლიანდნენ, კაბა მხრებზე მიეკრათ, შუბლზე თმა დაუსველდათ, თივა საყელოში უცვივოდათ. მაგრამ მაინც ციბრუტივით ტრიალებდნენ, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, ხომ არავინ გვხედავსო, ხომ არ დაგვცინიანო.

არდინემ თივის ბოლო ნარჩენი შეყარა სათრეველაზე და მეგობარს უთხრა:

— მორჩა! შეჯექი ცხენზე.

გოგონები ისევ მოახტნენ ცხენებს და ნელა, ფრთხილად გასწიეს ზვინისკენ. ჩეჩეკი თვალებს აღარ აცეცებდა, სულ ცხენებს უყურებდა ფეხებში.

ბიჭებმა ცარიელი სათრეველათი ჩაუქროლეს. ჩეჩეკს არც ახლა მოუხედავს მათკენ. ბოლოს გამოჩნდა ფრიალო კლდე, რომელსაც ხშირი ლარიქსების კარავი გადმოხურვოდა, აგერ ზვინიც, მოხუცი უსტინი თვალმოჭუტული უცქეროდა გოგონებს:

— აქეთ, მოიტა, აქეთ! ახლოს, ახლოს!..

არდინემ და ჩეჩეკმა სათრეველა ზედ ზვინს მიაყენეს, ცხენები შეაჩერეს. მოირბინეს მუშებმა, წამოსწიეს სათრეველა. გოგონებმა ცხენები დასძრეს და რბილი, მსუბუქი, მოოქროსფრო-მწვანე თივის გორა ზვინის გვერდით დარჩა.

— გარეკეთ, ცხენები, გარეკეთ! — დაიძახა ბაბუა უსტინმა. — ცოცხლად, ვიდრე არ დაღამებულა!

გოგონები ატკრციალდნენ, ცხენებს მათრახი გადაუჭირეს.

— ოღონდ, ყველა ქვას ნუ ეძგერებით! — დაადევნა გოგონებს.

ჩეჩეკმა და არდინემ ერთმანეთს გადახედეს: ხედავ, მოხუცმა მაინც დაგვინახაო! კიდევ გადაუჭირეს მათრახი გზაფხულზე ზედმეტად დასვენებულ ცხენებს, შიშველი ქუსლები ჰკრეს გადატკე-

ცილ გვერდებზე და ისევ გაქანდნენ ფერდობისკენ. აი, ისევ ფერდობის წვეროზე არიან. სათრეველა ისევ ხელა დაემვა ქვემოთ და ნელ-ნელა იხვეტდა მოშრიალე თივას. თივაც ისევ ირხეოდა სათრეველას კედლებს ზემოთ...

— ეყენრე, ჩეჩეკ, ეყენრე! — იმეორებდა არდინე.

— ნუ გეშინია, ვეყენრებ, ვეყენრებ! — პასუხობდა ჩეჩეკი და გაოფლილ შუბლს სახელოთი იწმენდდა. აქეთ-იქით არ იხედებოდა.

ველისის მზე მაგრად აცხუნებდა. მიწის ზემოთ ოქროსფერი ბური თრთოდა. ხეობას თივის ტკბილი, მძაფრი, მბუთვარე სუნი ადგა.

ფერდობებზე ხის სათრეველები და ცხენის ფოცხი მოძრაობდნენ. ხეობაში სულ უფრო მცირდებოდა თივა, სამაგიეროდ, კლდესთან, ლარიქსების ძირას ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა ზვინები...

უკვე მიწყდა მხიარული ლაპარაკი, ცხენებსაც ოფლისგან ფერდები ჩაეშუქდათ. ბაბუა უსტინი კი ისევ ისე მარჯვედ, მარდად მუშაობდა და დაუღალავად გაიძახოდა:

— აბა, მოიტა, მოიტა! დაუჩქარე, დაუჩქარე! აამოძრავე ფიწალი, აამოძრავე, აამოძრავე! მოიტა, მოიტა, ვიდრე არ დაღამებულა!..

ჩეჩეკმა ვერც შეამჩნია, მთელი თივა ისე გადმოზიდეს ფერდობიდან. ვასილიმ და ჩოტმა ბოლო მწკრივი ჩამოხვეტეს და მრგვალი მთა უცებ სწორი და მწვანე გახდა, თითქოს გადარეცხესო.

— ახლა საითლა წავიდეთ, იმ ფერდობზე? — იკითხა არდინემ.

— იმ ფერდობს ბიჭები წმენდენ, — მიუგო ბაბუა უსტინმა.

— აბა, საით წავიდეთ, დაბლობზე?

— დაბლობზე რა უნდა აკეთოთ?

არდინემ და ჩეჩეკმა დაბლობს გადახედეს — იქ ცხენის ფოცხი ბოლო თივას ღებდა.

— მაშ, საითლა?

— შინ, — უპასუხა გოგონებს ბაბუა უსტინმა. — უკვე გვიანაა. კუჭი საჭმელს ითხოვს.

ახლაღა შეამჩნია ჩეჩეკმა, რომ შუადღე კარგა ხანია გადასულიყო და ხეობაში მცხუნვარე ოქროსფერი ბური აღარ ჩანდა.

ტაიგიდან ვიღაც მხედარი ცხენს მოაჭენებდა. მხედარმა ცხენი ზვინებთან მოაგდო. ეს იყო მზეზე გაყავისფერებული მოხუცი. შავი ულვაში პირის აქეთ-იქით ჩამოკიდებოდა. თხელი წაწვეტებული წვერი ჰქონდა.

— გამარჯობათ! — დახბული ხმით თქვა მან.

და ყველამ სხვადასხვა ხმაზე უპასუხა:

— გაგიმარჯოს!

ჩეჩეკი მკვირცხლად შემობრუნდა: რა ნაცნობი ხმააო.

— ბაბუა ტორბოგოში! — იყვირა და ხელი დაუქნია. — გამარჯობა, გამარჯობა, ბაბუ!

ცხენის ჯოგების მოხუც ზედამხედველს უცებ გაუნათდა მკაცრი სახე და ნაოჭებზე ღიმილი გადაეფინა.

— გამარჯობა, ჩემო ჩეჩეკ! გამარჯობა!

შემდეგ ტორბოგოშმა ბაბუა უსტინს გაუბა ლაპარაკი, შეხედა ზვინებს, იკითხა, რამდენი მოითიბა და რამდენი დარჩა მოსათიბი...

მალე ცხენები დასახლებაში გარეკეს. ბიჭები წინ მიაჭენებდნენ ცხენებს, ჩეჩეკი და არდინე მათ უკან. მხოლოდ ბრიგადირი კუზმა ჩამორჩა ყმაწვილებს, ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი — ეშინოდა ახალთახალი ცისფერი მანქანა არ დაზიანებოდა.

მოხუც ტორბოგოშს თავისი ნისლა ცხენი ჯერ ბაბუა უსტინის ცხენის გვერდი-გვერდ მოჰყავდა, ხოლო საუბარი რომ მოათავა, სადავე მიუშვა. ნისლამ ფაფარგადმოშვებული თავი ასწია, ნესტოები დაბერა და რბილ გზაზე ქარივით გაქანდა. ბიჭები ცდილობდნენ, დასწეოდნენ, მაგრამ სილურჯეშეპარულ შორეთში ცხენის კისრისკენ გადახრილი წამახულქუდიანი მხედრის სილუეტი გაკრთა და მოსახვევში თვალს მიეფარა.

ბაბუა ტორბოგოში

დაღლილი, აგზნებული ჩეჩეკი აილში შევიდა. ბებია ტარინჩაკმა ჰაერი მოყნოსა:

— შენ ან მზე შემოიყოლე ან სურნელოვანი ბალახი!

— ბაბუა სადღაა? — სწრაფად ჰკითხა ჩეჩეკმა.

ბებია ტარინჩაკი ტყავის ტოპრაკში- მაწონს ურევდა და წაიბუზღუნა:

— სადაა?.. ყველგანაა! მხოლოდ აილში არაა არასდროს! ცხენი საბალახოდ გაუშვა და თვითონ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა აბანოს სანახავად. რაღაც აბანოს აშენებენ. ყველაფერში უნდა ჩაეჩხიროს...

— ხტუნვა-ხტუნვით წავიდა? — გაეცინა ჩეჩეკს — ო, რას არ იტყვი, ბებია, თითქოს ბაბუა მუშკი იყოს.

— აბანოს აშენებენ... საქმე გამოლევია ამ ხალხს! სულ დაბანა უნდათ. ზამთარშიაც კი! კოლმეურნეობაშიც აბანოა, საბჭოთა მეურნეობაშიც აბანოა... ახლა ბრიგადაშიც მოუნდათ აბანოს აშენება! რა ხდება? ხალხი მთლად გადაირია. მოითმინონ, დათბება და ნაკადულში დაიბანონ, თუ მაინცდამაინც დაბანა უნდათ. ბებერი ტორბოგოშიც იქ მიხტის!

— ის ხომ ზედამხედველია, ბებია! — სიცილით შეესიტყვა ჩეჩეკი. — აბა, რას ამბობ! უნდა იცოდეს მის საუფროსოში როგორ აბანოს აშენებენ! მაშ... აბანოს რომ ააშენებენ, გაახურებენ და მთელ ქვაბ წყალს გააცხელებენ. შემდეგ რამდენიც გინდა ისხი წყალი და იბანე!.. რაო, არ წახვალ დასაბანად?

ბებია ტარინჩაკს უცებ გაეღიმა:

— თუ ააშენებენ და წყალს გააცხელებენ, რატომაც არ წავალ? ერთი შენცა. ხალხი წავა და მეც წავალ.

— მერედა როგორ გაიხარებ! ახლა კი სულ ბუზღუნებ.

— ვბუზღუნებ? ბაბუაშენზე ვბუზღუნებ. სულ დარბის და დაჭენაობს, შინ არასდროს არაა. მთელი ცხოვრება გარეთაა და ყველაფერზე ეგ ზრუნავს! მერედა, რისთვის ზრუნავს ყველაფერზე, ჰა?

— როგორ არ უნდა იზრუნოს? ის ხომ პარტიულია, ბებია.

ბაბუა ტორბოგოში დაღამებულზე დაბრუნდა შინ. ბებია ტარინჩაკმა მაშინვე შეწყვიტა ბუზღუნი, კერასთან აფუსფუსდა, გაალვივა ნაკვერცხლები, ცეცხლზე თუჯია შემოდგა ჩაის ასადუღებლად, მოიტანა ქუმელი, ფინჯნებში რძე ჩაასხა, ხორცი დაჭრა... ბაბუამ ცეცხლის პირას ფეხები შემოიკეცა და ჩიბუხი გააბოლა. კვამლში შვილიშვილს უცქეროდა და მკაცრი სახე უნათდებოდა და ურბილდებოდა.

— აბა, მიამბე, რას გასწავლიან სკოლაში.

ჩეჩეკმა უცებ არ უპასუხა. რით დაეწყო?

— ბევრი რამაა მოსაყოლი. გინდა, ლექსი წაგიკითხო?

ბაბუა ტორბოგოშმა გადაპარსული შავი თავი დაუქნია.

— მწყემსზე დაწერილ ლექსს წაგიკითხავ. ლექსს „შეხვედრა“ ჰქვია.

მაღალ, მაღალ ბორცვზე იდგა მწყემსი,
ბრინჯაოსგან ჩამოესხათ თითქოს.
დაყრდნობოდა თავის კომბალს ხელით
და გამჭრიახ თვალს ავლებდა შორეთს.

... მღეროდა, რომ გულუხვია ზაფხული,
ბედნიერად ცხოვრობს კოლმეურნე,
იალაღზე ცხვრის ფარები ჩანან,
როგორც თეთრი, თეთრი კუნძულები.

შევეკითხე, როგორა ხარ-მეთქი.
— კარგადაო. შენ როგორღა ხარო? —
აქეთ მკითხა და გარუჯულ სახეს
დაეფინა ღიმილი, ვით სხივი.

ხოლო როცა მწყემსს წარსულზე ვკითხე,
აუთრთოლდა მას უმალ ტუჩები:
— მწუხარება რისთვის გავიხსენო,
როცა გულში დღეს სიხარულია?

ბებია ტარინჩაკი ისე გაიტაცა ლექსმა, ვერ შეამჩნია თუჯიადან როგორ გადმოეღვარა ჩაი — ასკილის ყლორტების წაბლისფერი ნახარში.

ბაბუა ტორბოგოში ჩეჩეკს უსმენდა და თავს უქნევდა. როცა გოგონა გაჩუმდა, ჰკითხა:

— კიდევ იცი ლექსი?

— ვიცი, — მიუგო ჩეჩეკმა.

გოგონა კითხულობდა ლექსებს ოქროს ტბაზე — ალტინ-ყოლზე, მდინარე კატუნზე, ძვირფას ქვაზე, რომელიც ალტაის მთებიდან მოსკოვში მიჰქონდათ დიდი სასახლეების მშენებლობაზე...

— რუსული ლექსებიც ვიცი! — უთხრა ჩეჩეკმა ბაბუას, როცა ყველა ლექსი თქვა, რაც კი ალტაურად იცოდა.

ბაბუამ თავი დაუქნია:

— აბა, თქვი რუსული ლექსები!

ზღვის უბესთან დგას მწვანე მუხა
და ოქრის ჯაჭვი ჰკიდია მუხას...

ბაბუა ტორბოგოშმა ისევ დაუქნია თავი ჩეჩეკს. ბებია ტარინჩაკს თითქმის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ, მაინც იღიმებოდა: შვილიშვილის ნათქვამი სიძღერასავით ჩაესმოდა, ხოლო სიძღერა ზოგჯერ თუმცა არ ესმით, მოსმენა მაინც სიამოვნებთ.

ნავახშმევს ბაბუა ტორბოგოში გარეთ გავიდა. რათა ვარსკვლავებქვეშ დაესვენა. ჩეჩეკი გვერდით მიუჯდა.

— კარგი ლექსები გცოდნია! — უთხრა ბაბუამ. — კიდევ მითხარი რამე მწყემსს შესახებ.

ჩეჩეკმა ისევ დაიწყო:

მაღალ, მაღალ ბორცვზე იდგა მწყემსი,
ბრინჯაოსფერ ჩამოესხათ თითქოს...

ბაბუაც ტუჩების ცმაცუნით იმეორებდა ჩეჩეკის წარმოთქმულ სიტყვებს. შემდეგ ამოიოხრა და თქვა:

— კარგი კაცის შეთხზულია!

— ეს კუჩიიაკმა შეთხზა. — უთხრა ჩეჩეკმა.

ბაბუა ტორბოგოშმა შეხედა:

— კუჩიიაკმა? პავლე კუჩიიაკმა — იიტ-კულაკმა — ძაღლის ყურმა?

— რატომ იიტ-კულაკი?

— ესაა მისი ნამდვილი სახელი. ასე ეძახდნენ წინათ... ჰო, გამიგონია მის შესახებ. მამამისსაც ვიცნობდი. შამანი იყო მამამისი, თანაც ცუდი კაცი. ღარიბ ხალხს ატყუებდა, დაირას აბრაგუნებდა. ო, მარტო ცხენები. საუკეთესო ცხენები რამდენი დაღუპა!..

ბაბუა თითქოს შორეულ წარსულს უყურებსო, ნელა უყვებოდა ჩეჩეკს შამანებს საშინელ და ბნელ ამბებს. ქორწილი იყო, ვინმე ავად გახდებოდა, მოკვდებოდა თუ დაიბადებოდა, შამანი მოჰყავდათ. შემოვიდოდა აილში და შემოიყვანდა ათასგვარ ღმერთთა სულს — კეთილ უღვენსა და ბოროტ ერლიკს. ზეცის მეუფეებსა და მთების სულებს... ყველა ღმერთს მსხვერპლი სჭირდე-

ბოდა: კეთილ ღმერთებს — სამადლობელო, ბოროტებს — გულის მომლბობი. ალტაელი ხალხი მაშინ ბნელი და მშიშარა იყო, ბუნება თავისი საიდუმლოებებით აფრთხობდა და სჯეროდა შამანის ზღაპრები. შამანი მასპინძლის საუკეთესო ცხენს ირჩევდა შესაწირად. ცხენს ფეხებზე თოკს აბამდნენ და ცოცხლად გლეჯდნენ, ზურგზე ლატანს ამაგრებდნენ და ხერხემალს უმტვრევდნენ...

— ოჰ, რა საშინელებაა! — აწყვეტინებდა ბაბუას ჩეჩეკი. — ცოცხალ ცხენს?

— ჰო. ცოცხალს. შემდეგ შამანი დაირას აბრაგუნებდა, ღმუოდა და ტრიალებდა, თითქოს ღმერთებს ელაპარაკებოდა. ღმერთი კი მისივე ხმით პასუხობდა: „აო, კამ, აო!..“ მაშ. ასეიე კურნავდნენ ავადმყოფებსაც. შამანი ცეკვავდა, ღმერთებს ვასძახოდა, ადამიანის სენს კი წვავდა... თუ ავადმყოფი მოკვდებოდა, შამანი არაფერ შუაში იყო. ამბობდა, ასე ნებავდა ღმერთსო, ანდა შესაწირავი არ ვარგოდაო. ჰოდა, იხოცებოდა ხალხი. ბევრი იხოცებოდა, ვინაიდან დახმარება არსაიდან ჰქონდათ. ბნელი დრო იყო. გახსენება მიჭირს. სამაგიეროდ, როცა წარსულს გაიხსენებ და დღევანდელ დღეს შეადარებ, სიცოცხლე გიხარია. ახლა სხვანაირად ვცხოვრობთ. ნათელი დღე დაუდგა ალტაელ ხალხს!..

— ბაბუა, ნუთუ კუჩიიაკიც მამამისივით შამანი იყო?

— ო, არა! კუჩიიაკს მამა არ უყვარდა. გაშორდა, თავის ბაბუასთან, კუჩიიაკთან, წავიდა და მისი სახელი დაირქვა. ბაბუასთან ცხოვრობდა კიდეც. ბაბუამისს კარგად ვიცნობდი. დიდი კაცი იყო, ჭკვიანი, ხალხური მთქმელი, მისთანა მთქმელები დღეს ალტაიში, მგონი, არც მოიძებნება. აიღებდა თავის ტოპშურს [1], დაიწყებდა რომელიმე თქმულების სიმღერას და მღეროდა ერთი ღამე. მეორე. მესამე... მთელი კვირა შეეძლო ემღერა, თანაც დალაგებულად, ჭკვიანურად. მერედა საიდან იცოდა ეს თქმულებები? ზოგი რამ მოხუცებისგან გაეგონა. ზოგსაც თვითონ იგონებდა. ჰაელემ მისგან ისწავლა სიმღერა და თხზვა. შემდეგ თვითონაც დიდი კაცი გახდა. კომუნისტი იყო... აბა, კიდევ მითხარი, ჩეჩეკ, როგორ იდგა მწყემსი მთაზე!

ჩეჩეკს უკვე მობეზრდა მწყემსის ლექსის თქმა.

---

[1] ტოპშუოი — ალტაური მუსიკალური საკრავი, ვიოლინოს ჰგავს.

— ხვალ გეტყვი, კარგი?

— ეჰ, ხვალ! ხვალ ჩემი ნისლა ტაიგაში გაქუსლავს.

— როგორ? ისევ ტაიგაში? — იყვირა ჩეჩეკმა.

— ასეა საჭირო. მეექვსე ბრიგადაში დიდი ხანია არ ვყოფილვარ.

— ბაბუა, — ალერსით უთხრა ჩეჩეკმა, მისი აბოლებული ჩიბუხი ხელით გასწია განზე და თვალებში შეხედა. — მეც წამიყვანე მეექვსე ბრიგადაში. ჰა! დიდი ხანია ცხენის ჯოგები არ მინახავს. წამიყვანე, ბაბუა!

ბაბუა ტორბოგოშმა ნამალევად ჩაიცინა ულვაშებში, ჩეჩეკს გეზად გახედა და უთხრა:

— თუ თვითონ გაიღვიძებ, წაგიყვან. მე კი არ გაგაღვიძებ.

ჩეჩეკი წამოხტა და ტაში შემოჰკრა:

— გავიღვიძებ, გავიღვიძებ! ოღონდ მითხარი: რომელი ცხენი წამოვიყვანო. უფრო ფიცხი მომეცი, რომ შენს ნისლას არ ჩამორჩეს!..

ბალახზე ჯერ კიდევ იდო მძიმე ცვარი, ნისლი ჯერ კიდევ ეჭიდებოდა წიწვს, ბაბუა ტორბოგოში და ჩეჩეკი კი უკვე ტაიგის ბილიკზე მიაქროლებდნენ ცხენებს. ტაიგის თავზე გამჭვირვალე მკრთალი-მწვანე ცა ციალებდა, მთების წაწვეტებულ კონუსებს მშვენიერი, თეთრი მოკიაფე ვარსკვლავი გადმოსდგომოდა.

თაფლა არსლანს აჩქარება არ სჭირდებოდა: იგი თვითონ მისდევდა ბაბუა ტორბოგოშის ცხენს. ტყის მძაფრმა სიგრილემ ჩეჩეკს ძილი გაუფრთხო. სწრაფ სიარულზე სული ეკვრებოდა და მთელი არსებით შეიგრძნობდა, რომ ბედნიერი იყო.

შემდეგ დაიწყო ქვატეხიას რბილ ფოთლებში ჩაკარგული ციცაბო, კლდოვანი ბილიკები. ცხენები ნაბიჯით წავიდნენ. ყურადღებით იყურებოდნენ ძირს და ფრთხილად ირჩევდნენ ფლოქვის დასადგმელ ადგილს. ცა ვარდისფერდებოდა, ნათდებოდა. თეთრი ვარსკვლავი შეუმჩნეველად იძირებოდა განთიადის ვარდისფერ ოკეანეში. ტაიგას ჩიტების ჟღურტული ეფინებოდა. სადღაც შორს მარალმა იბღავლა. ცხენებმა ყურები ცქვიტეს, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებიათ. როცა მხედრები უღელტეხილზე ავიდნენ. მთების გადაღმიდან მზე შემოეგებათ.

უღელტეხილის გადაღმა ტაიგას უფრო მოემატა სინათლე, ცხე-

ნებს მუცლამდე სწვდებოდათ ხშირი ბალახი. ჩეჩეკს ჰირდაპირ სახეში უცქეროდა მდელოს ნემსიწვერა თავისი ცნობისმოყვარე ცისფერი ყვავილებით. ბუჩქებისა და ბალახების სიმწვანეში ერთმანეთში ირეოდა და იხლართებოდა თეთრი ყვავილების კალთებით მორთული ძალუმი ანგელოზები, დაყვავილებული ბუჩქების ხეშეში ტოტები, ნაზი ჭრელი შროშნები, სატილიას წითელი ხავერდოვანი ქუდები.

დაბლა და შორს ფართო, გაშლილი ხეობა მიიწევდა. იქ, ქვემოთ, სადაც მზემ ხასხასა ფერდობებს უკვე თავისი სხივები მოჭფინა, ჩეჩეკმა მობალახე ცხენების რემა დაინახა.

ნისლამ თავი ასწია და დაიჭიხვინა. მას თაფლა არსლანიც აჰყვა. რემიდან მათ მაშინვე შემოეხმიანენ ცხენები. კაკაროტი, ყვითელი ძაღლი გაავებული ღრენით გამოვარდა ბილიკზე.

ფერდობზე მწყემსი ამოვიდა. მზე ხელით მოიჩრდილა და ზემოთ ბილიკს ამოხედა. მან მაშინვე იცნო მოხუცი ზედამხედველი, ფაფახი მოიძრო. ზედამხედველი დიდი კაცია მეურნეობაში, ყოველ საზედამხედველოში ექვსი ბრიგადაა, ხოლო თითოეულ ბრიგადაში თხუთმეტი მწყემსი და ას ორმოცდაათი ცხენი ყოველ რემაში. ჰოდა, ყველაფერ ამას ზედამხედველი განაგებს, ყველაფერ ამაზე ის აგებს პასუხს.

მოსულ-დამხვდურნი ერთმანეთს მიესალმნენ. ტორბოგოშმა ახალი რა არისო, იკითხა.

— ახალი არაფერია. ყველაფერი რიგზეა, — მიუგო მწყემსმა.

ვიდრე ტორბოგოში მწყემსს ელაპარაკებოდა, ჩეჩეკი რემას მიუახლოვდა. წაბლა, თაფლა, შავრა, არაბული, დონური, კავკასიური და ალტაური სისხლის ცხენები ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ ხეობაში. თვალებზე გრძელი ფაფარი ეცემოდათ. გადატკეცილ გვერდებსა და ზურგებზე მზის ათინათები უბზინავდათ. ისეოდა კბილებში მოგდებული ბალახის ბრამუნი და ნელი ფრუტუნი. ხანდახან რემას კვიცის ჭიხვინი გადაუვლიდა და მისი ძლივს გასაგონი ნახმევი სადღაც შორეულ ხევებში მეორდებოდა.

მწყემსმა ახლოს მობალახე ცხენი დაჭირა. მოახტა და გააქროლა. ბაბუა ტორბოგოში უკან მიჰყვა. ჩეჩეკმაც მათრახი გადაუჭირა თავის არსლანს. არსლანი ყალყზე შედგა, იგი მათრახს ვერ იტანდა. თავი გააქნია და უგზო-უკვლოდ გაქანდა. ჩეჩეკმა ფეხე-

ბ უფრო მაგრად დააბჯინა უზანგებს. კარგი ცხენი მისცა მას ბაბუა ტორბოგოშმა. მხოლოდ ასეთი ცხენით უნდა იაროს კაცმა!

ფრიალო, დახრამული კლდის გვერდით პატარა აილი იდგა. აილის წინ კოცონი ბოლავდა. დაბურული, გაფაფრული კედრის ძირას ჩრდილში ეძინათ მწყემსებს, რომლებიც ჯოგებს ღამით ედგნენ. უკვე საიდანღაც ორი ძაღლი გამოვარდა და ყეფა ატეხა. მწყემსები თვალების ფშვნეტით წამოცვივდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, ვინ მოვიდა.

— ახლავე ბრიგადირს დავუძახებ, — თქვა მწყემსმა კინემ, თავი უკან გადასწია და, თითქოს საყვირს ჩაჰბერაო, ყურთასმენის წამღერად დაიყვირა: — ეჰე! ტალაი!.. ტალაი!..

მალე მაღლა, ტევრში თქარათქური გაისმა და მდელობზე წელილფეხება შავრაზე ამხედრებული კაცი გამოიჭრა. ცხენი თვალებს აბრიალებდა და ფთქვინავდა. მხედარი ჩამოხტა, ცხენს ალერსით მოუთათუნა ხელი აბზინებულ კისერზე — წადიო! — ქუდი მოიხადა და ზედამხედველს მიესალმა.

— გამარჯობა, ტორბოგოშ! დიდი ხანია აქ არ ყოფილხარ. ჩამოხტი შენი ნისლადან, დანაყრება გვირდება!

ბაბუა ტორბოგოში ცხენიდან არ ჩამოსულა.

— როგორა ხარ, ჩეჩეკ? ჩამოხტი, დაისვენე, — მიმართა ბაბუამ ლიშვილს.

ჩეჩეკმა ბაბუას შეხედა:

— შენ არ დაისვენებ?

— მე შემდეგ დავისვენებ, ჯერ ცხენებს დავხედავ, — მიუგო ბაბუამ.

ჩეჩეკს მგელივით შიოდა. ახლა ყველაფერს შეჭამდა — ხაჭოს კვერსაც, ხორცსაც და მთელ კასრ მაწონსაც... მაგრამ თავშეკავებით მოკუმა ტუჩები და თქვა:

— მეც შემდეგ დავისვენებ.

მწყემსები ჩეჩეკს შემოეხვივნენ:

— ოჰო, ტაიგაში ჩამოვიდა! შეხე, რა კარგად ზის ცხენზე!

— იქნებ ესეც ზედამხედველი გახდეს!

— ცხენები გიყვარს? ყოჩალ! ჰყვარებია ცხენები!..

— აბა, ჩამოხტი, ჭამე!..

იალაღებზე ხანიერი სიმარტოვით დაღლილი მწყემსები ჩეჩეკს

ულიმოდნენ: რა სასიხარულოა, რომ ტაიგაში ახალი ადამიანი ჩამოვიდაო, თანაც ბავშვი. გოგონაო. თითქმის ყველა მათგანს დასახლებაში თუ ფერმებში შვილები, შვილიშვილები ჰყავდა, რომლებზეც ბევრს ფიქრობდნენ სიმარტოვის ჟამს და გული უკვნესოდათ.

— რამდენი ცხენი გყავს რემაში? — ჰკითხა ტალაის ბაბუა ტორბოგოშმა.

— ას ორმოცდაშვიდი ფაშატი და ოცდათვრამეტი კვიცი.

— ნამდვილად?

— მაშ! პირველად ხომ არა ვარ ბრიგადაში.

— გამორეკე!

ბრიგადირმა ტალაიმ სწრაფად შეხედა ტორბოგოშის უძრავ მკაცრ სახეს, ლამის ჩაიცინა:

— რას იზამ, გამოვრეკავთ!

ტალაიმ თავი დაუქნია მწყემსებს. მწყემსებმა აილის მახლობლად გაშლილი ცხენებისკენ გაუჩქარეს, ხოლო ზედამხედველი, ბრიგადირი და ჩიჩეკი ვრცელ გადათქერილ მინდორზე დაეშვნენ. მინდორს წვრილი ლატანებისგან გაკეთებული ხირხალი კვეთდა. ბალახზე ლატანების მკაფიო ჩრდილი ეფინა, ხირხალის შუაში მკაფიოდ ჩანდა პატარა ღია ჭიშკარი.

მდუმარედ, უძრავად იცდიდნენ. დუმდა მოხუცი ტორბოგოში. დუმდა ღაწვებმაღალი ბრიგადირი. ტალაის ელვარე ცქაფი თვალები მოეჭუტა. დუმდა ჩიჩეკიც. მზე ზურგს უთბობდა მას, თენთავდა, თვლემას ჰგვრიდა. იგი ფიქრობდა: ნეტა დიდხანს მოგვიწევს ცდა? დიდხანს რომ მოგვიწიოს, დამეძინება, უნაგრიდან გადმოვვარდები და სიცილს დამაყრიანო.

მაგრამ აი, შორიდან ძლივს გასაგონი თქარათქური, ძაღლების ყეფა და მწყემსების სტვენა მოისმა.

ჩიჩეკი გამოფხიზლდა, დამძიმებული წამწამები ასწია, გამხნევდა. თაფლა არსლანმა თავი ააღერა და ფეხები შეინაცვლა.

— მორეკავენ!..

რემა ტაიგიდან მოდიოდა და მზიანი ფერდობიდან პატარა მინდორზე ჩამოდიოდა. ცხენები მსუბუქად მორბოდნენ, ერთმანეთს ოდნავ ეჯახებოდნენ, წინ უსწრებდნენ. ფაშატები ჭიხვინებდნენ,

კვიცებს ეხმობდნენ. კვიცები ფაშატებს ეკვროდნენ და სირბილს უშლიდნენ, შიშნეულად იხედებოდნენ აქეთ-იქით.

მოხუცი ტორბოგოში უნაგირზე გასწორდა, პირიდან ჩამქრალი ჩიბუხი გამოიღო და ჩექმაში ჩაიდო. ტალაი უზანგებზე წამოიწია და მწყემსებს ხელი დაუქნია:

— გამორეკეთ!

მწყემსებმა რემა ხირხალთან მიდენეს. ცხენები შეჯგუფდნენ, ადგილზე დატრიალდნენ უეცრად დაგუბებული წყალივით. და როგორც წყალი კაშხალში ნახვრეტს იპოვის და წვრილ ნაკადად გამოედინება, ასე შეამჩნიეს ცხენებმა ღია ჭიშკარი და ჯერ ერთიმეორის მიყოლებით ჭენებით შევარდნენ იქ. შემდეგ მწყემსებმა შეუძახეს და ცხენებმა რიგრიგობით დაიწყეს შესვლა.

ჩეჩეკმა ბაბუას შეხედა: იგი უზანგებზე შემდგარიყო, გამჭრიახი თვალები ჭიშკრისთვის მიეპყრო და ტუჩებს აცმაცუნებდა. „ითვლის! — მიხვდა ჩეჩეკი და ჩაიღიმილა. — თურმე როგორი ყოფილა! რასაც ეუბნებიან, არ იჯერებს, თვითონ უნდა ყველაფერი შეამოწმოს“.

რემა ხირხალის ერთ მხარეს სულ უფრო კლებულობდა და მეორე მხარეს მატულობდა, აი, ჩაიარა უკანასკნელმა ფაშატმა. კვიცს შეეშინდა უკან არ დავრჩეო და მასთან ერთად გაძვრა ჭიშკარში. ბაბუა ტორბოგოშმა წარბები შეჰყარა და ბრიგადირისკენ შებრუნდა:

— ოცდათვრამეტი კვიცი. ასორმოცდახუთი ფაშატია. ორი სადღაა?

ტალაი ცოტათი შეცბა:

— იცი... ერთი პურის მოსატანადაა წასული, მეორე მეჯინიბემ წაიყვანა. ისე კი ყველა საღსალამათადაა, ტორბოგოშ!

— მერე რატომ არ მომახსენებ წესიერად! ასევე უნდა მომახსენო ასორმოცდახუთი ფაშატი, ოცდათვრამეტი კვიცი, ორი ცხენი კი მეურნეობაშია დასაქმებული-თქო. როდისღა გასწავლო, ჰა? უცებ რომ დირექტორს შემოეკლო, ხომ ყეყეჩი ვეგონებოდი. რამდენს გეუბნები, სიზუსტეა საჭირო, სიზუსტე-მეთქი! ტალაი, იცოდე, ეს უკანასკნელი იყოს!

აილისკენ მიმავალი ტალაი მთელი გზა დუმდა და მხოლოდ ოდ-

ნავ იჩეჩდა მხრებს. არც ბაბუა ტორბოგოში იღებდა ხმას. ოღონდ. როცა აილთან ცხენიდან ჩამოხტა, ტალაის უთხრა:

— გაზეთები მოვიტანე... — შემდეგ ჩანთიდან ლამაზად დაკეცილი ახალი გაზეთების დასტა ამოიღო. — აჰა, ტალაი. აქ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაზეა ლაპარაკი. ამერიკის მესვეურები ისევ უთანხმდებიან ინგლისს. რომ მთელი მსოფლიო ხელში ჩაიგდონ. არ ისვენებენ. განსაკუთრებით ამერიკა. უნდა ყველა მოახრჩოს... ეჰ, ეტყობა, კარგად ვერ ასწავლეს ჭკუა! კიდევ ითხოვენ! რა გაეწყობა — მოითხოვენ და გასაგებს გაიგებენ... ჩემო ტალაი: ეს გაზეთები კიდრაშმა კარგად წაიკითხოს და მწყემსებს საერთაშორისო მდგომარეობაზე და ამ ხელშეკრულებაზე ელაპარაკოს...

— კი მაგრამ შეძლებს?

— არა უშავს, შეძლებს. ის ხომ კომკავშირელია, პარტიაში შესვლა უნდა, განცხადების დაწერას აპირებს. რასაც ვერ შეძლებს, შენ გაუსწორე. ახალგაზრდებს უნდა ვასწავლოთ... ახლა კი მითხარი, როგორაა საქმე ბრიგადაში? რა გაკლიათ? რა გამოგიგზავნოთ? ავადმყოფები ხომ არა გყავთ?

აილში ღამის მწყემსებიც დაბრუნდნენ. მალე ყველანი ცეცხლთან, ცხენის რძისა და ქერის თხელი ფაფით სავსე ქვაბს უსხდნენ.

— ეჰ, ეს რა საშმელია! — თქვა ტალაიმ. — სტუმრების მოსვლა რომ წინასწარ გვცოდნოდა... ნუკლაი, — მიმართა უფროს მწყემსს. — აგეღო თოფი და ნიამორი მოგეკლა სავახშმოდ.

— წავალ, — მიუგო ნუკლაიმ.

ჩეჩეკმა გული მოიჯერა საშმლით, მაწვნით და იგრძნო, რომ თვალები ებლიტებოდა.

— დაწექი, დაიძინე, — უთხრა ბაბუა ტორბოგოშმა.

ტალაიმ აილიდან თეთრი ქეჩა გამოიტანა და კედრის ქვეშ ჩრდილში გაშალა.

— დაწექი, ჩეჩეკ.

ჩეჩეკს წასთვლიმა და ბუნდოვნად ჩაესმოდა კოკონთან გაჩაღებული ხმადაბალი საუბარი:

— მეტი ასანთი გამოგვიგზავნე, ტორბოგოშ. საპონი არ დაგავიწყდეს. ახალგაზრდებმა დაბანვას მოუხშირეს. საპონი და საპო-

ნიო. გაიძახიან. კარგი იქნებოდა. ჩაიც მოგეყოლებინა. ჩაი გულს უხალისებს ხალხს...

შემდეგ კედრის ტოტებში ჩიტი აფღურტულდა.

„ეს მარწუხაა..." — გაიფიქრა ჩეჩეკმა და უცებ თვითონაც წითელფრთებიან მარწუხად იქცა, აკისკისდა და მაღლა, ცაში. მთების თავზე დაკიდებული ვარდისფერი ღრუბლისკენ აიჭრა.

— ხედავ, ძილში იცინის! — თქვა ბრიგადირმა ტალაიმ. — ეტყობა კარგ სიზმარს ხედავს!

თვალებში ღიმილჩამდგარმა ტორბოგოშმა თავი დაუქნია:

— ახლა ბავშვები სიზმარსაც კარგს ხედავენ და ცხოვრებაც კარგი აქვთ... ჩვენ კი განა ასე ვიზრდებოდით.

საღამოს ცეცხლის პირას ლხინი გაჩაღდა: წვავდნენ ძველი ჭონადირე ნუკლაის ნანადირევ ნიამორს. კარგად ივახშმეს და გამრიალულდნენ.

— ახლა ჩემს შვილიშვილს მოვუსმინოთ, როგორ ამბობს ლექსებს. — თქვა გაგულკეთილებულმა ბაბუა ტორბოგოშმა. — აბა, იმ მწყემსებზე გვითხარი, მთაზე რომ დგას.

— ოჰ, ბაბუა, ისევ მწყემსის ლექსი მოინდომე! — უთხრა ჩეჩეკმა.

მაგრამ მწყემსებმა თხოვნა დაუწყეს:

— თქვი, ჩეჩეკ, თქვი!

ჩეჩეკი კოცონის წინ დადგა, რომ ყველას დაენახა, და დაიწყო:

მაღალ, მაღალ ბორცვზე იდგა მწყემსი,
ბრინჯაოსგან ჩამოესხათ თითქოს...

ლექსის ბოლო სიტყვები ჩეჩეკმა ხმამაღლა, მკაფიოდ წარმოთქვა და მისი წკრიალა ხმა ტაიგის სიჩუმეში არემარეს მოედო:

ხეობაში კვლავ ისმოდა მღერა,
ბანს აძლევდა მას მთა-ტყე და ისე
მიდიოდა მწყემსი, ბედნიერების
თითქოს ახალ მწვერვალებს ეღტეოდა.

— აი, ყოჩაღ, გოგო! კარგია! კარგი!.. — ახმიანდნენ მწყემსები. მზეზე სახეგარუჯული ახალგაზრდები თუ მოხუცები თვალებში სიკეთეჩამდგარნი შესცქეროდნენ ჩეჩეკს:

— ვინ გასწავლა ეს, გოგონი? — ჰკითხა მონადირე ნუკლაიმ.

— სკოლაში მასწავლეს, — მიუგო ჩეჩეკმა. — უკვე მეექვსე კლასში გადავედი. პიონერთა რიგებშიც მიმიღეს. აი, წითელი ყელსახვევი მიკეთია!

— ო, დიდი ადამიანი გახდები! ისწავლე, გოგონი!

— კიდევ ხომ არ იცი რამე? გვიამბე!

— ჩეჩეკ, ნუ ოჩნობ! — უთხრა ბაბუა ტორბოგოშმა. — გაახალისე ხალხი. აქ ხომ სტუმრები იშვიათად ამოდიან.

ჩეჩეკმა კიდევ რამდენიმე ლექსი თქვა ალტაურად. თქვა ლექსი „ზღვის უბესთან..." იმღერა სკოლაში ნასწავლი პიონერული სიმღერა, მწყემსებს უამბო საუცხოო ხის — ვაშლის შესახებ, რომელიც ვარდისფრად ყვავილობს და ტკბილ ვაშლებს ისხამს, აგრეთვე სკოლის ბაღის შესახებ. უნდოდა „ყველაზე ჭკვიან, კეთილ ადამიანზეც" მოეყოლა, მაგრამ... ცისფერმა თვალებმა გეზად გამოხედეს, მოესმა დამცინავი ხმაც: ეჰ, შე ციყვოო, და შეცბა... გაჩუმდა.

— კიდევ მოყევი, ჩეჩეკ! — სთხოვა ვიღაცამ.

— არა, — მიუგო ჩეჩეკმა.

იგი ბაბუას გვერდით დაჯდა და მხარზე მიეხუტა. ნეტავ კენსკინი ყოფილიყო ახლა აქ! რამდენი ხანია არ უნახავს! რამდენი ხანია არც მაია უნახავს, არც ერკელეი, არც ლიდა...

კოცონის ირგვლივ ლურჯი ღამე წვებოდა. ყველაფერი იკარგებოდა ამ სილურჯეში — მთებიც, ხეებიც, მაგრამ ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანდა კოცონის მცხუნვარე. ნარინჯისფერი ალით განათებულ ადამიანთა ყავისფერი, ქარდაკრული. ღაწვმაღალი სახეები. დაბერილი ქუთუთოები. ცეცხლს ჩაშტერებული წერილი თვალები.

— აბა, მოხუცებო, თქვენც მოყევით რამე, — თქვა ბაბუა ტორბოგოშმა.

— კიდრაში მოგვიყვება, როგორ ებრძოდა ულგენი ერლიკს...

— ეს დედაკაცების ზღაპარია! შამანების მოგონილი!

— ბაბუა ივანოკ, შენ ხანის—ოიროტის ამბავი იცოდი. აბა, მოგვიყევი!

მწყემსები იგონებდნენ ძველ ამბებს, ჰყვებოდნენ ხან ოიროტზე — ალტაელების დამმონებელზე, მათ შვილებზე. რომლებიც ერთ-

შანეთს ებრძოდნენ. მშიშარა მეთაური ჩაგან-ნარატანზე. ვინც ალ-ტაელთა ჯარს უღალატა...

მონადირე ნუკლაიმაც მოჰყვა ძველი ამბავი, თუ როგორ ებრ-ძოდნენ ალტაელები მონღოლებს.

... მონღოლთა საშინელი ჯარები ალტაის მთებს შემოესივნენ, კეცხლის ქარიშხალივით შემოიჭრნენ ალტაის ხეობებში. წინ მე-თაური ჩადოკი მოუძღვებოდათ. ჩადოკს ალტაელი მეომარი ტე-დეოტი დახვდა და ალტაელებმა მონღოლთა ჯარი გააცამტვერეს. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მაშინ.

მდინარე ჩუის მახლობლად, მუნგაშ-იალანის მდელოზე ჩადოკ-მა ამ ომის ძეგლი დატოვა. ალტაიზე საომრად წამოსულმა მეომ-რებს უბრძანა, თითო ქვა დაედოთ გზის პირას და იქ ვეება ყორ-ღანი წარმოიქმნა. როცა ალტაის მთებიდან უკან ბრუნდებოდნენ, მეომრებმა ისევ დააგდეს თითო ქვა და ამჯერად პატარა გორაკი გაჩნდა. ჩადოკმა თქვა: ჩვენმა შვილებმა ნახონ ეს ქვები და ალ-ტაელებს ომს ნუღარ დაუწყებენო.

შემდეგ ჩადოკი კატუნისკენ გაემართა და იქ ბიჩიკტუ-კაიას ფრიალო კლდეს თავისი ბედკრული ლაშქრობის ამბავი წააწერა...

იმხანად ალტაელებმა მონღოლები მოიგერიეს, მაგრამ თვითო-ნაც ძლიერ დაზარალდნენ. ომმა გადაბუგა, სისხლით მორწყო ალ-ტაი და ალტაელები დაფიქრდნენ, როგორ ეცხოვრათ შემდგომ: ჩვენ მცირერიცხოვანნი ვართ, ერთხელ კი მოვიგერიეთ მტერი, მაგრამ მეორეჯერ შეიძლება ვეღარ გავუმკლავდეთო. ამიტომ გა-დაწყვიტეს, ძლიერ მეზობელს — რუსეთს შეკედლებოდნენ. როცა მონღოლებთან ბრძოლა დამთავრდა, ალტაელები იალმენკის მთაზე ავიდნენ და დაინახეს, რომ ალტაი გაჩანაგებული იყო.

— ე, არა! — შეესიტყვა ტორბოგოში. — განა მაშინ შევეკედ-ლეთ რუსეთს. საქმე ასე იყო... პირველად, რამდენიმე საუკუნის წინათ ჩვენთან მტაცებელი ჩინგისხანი მოვიდა და ყველა ალტა-ური ტომი დაიმორჩილა, მონებად აქცია. მონღოლები ძარცვავდ-ნენ ალტაელებს, ხოცავდნენ, ანადგურებდნენ. სრულიად უუფლე-ბონი იყვნენ ჩვენები. საკუთარი ნებით ერთი სადგომიდან მეორე-ზე გადასვლა-გადმოსვლას ვერ ბედავდნენ. გარდა ამისა, ჩინგის-ხანმა ალტაური სამხედრო ახალშენები მოაწყო, სადაც ალტაელე-ბი პურს თესავდნენ, მაგრამ თავიანთთვის კი არა, მონღოლთა არ-

მიისათვის. ტაიგაში დამპყრობლებისთვის გაჰყავდათ გზები, მდინარეებზე გადასასვლელებს აკეთებდნენ... მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ. ასე გვხდიდა სულს მტარვალი დაახლოებით სამასი წელი...

ბაბუა ტორბოგოში ცეცხლს მისჩერებოდა. მან რამდენჯერმე მოქაჩა ჩიბუხი და განაგრძო:

— იმხანად მონღოლები ჩინეთშიაც ბატონობდენ. იქ მონღოლური დინასტია — უანის დინასტია გამგებლობდა. როცა ეს დინასტია დაემხო, მონღოლები ალტაიდან თავიანთ მთებში და ტრამალებში წავიდნენ.

ალტაელებმა სულის მოთქმა და გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ მათ თავს დაესხნენ დასავლეთ მონღოლეთის ხანები — ოიროტები. ოიროტებმა ფეხქვეშ გათელეს ალტაელი ხალხი, მონობის მძიმე უღელი დაადგეს. მაშინდელივით უუფლებო, უბედური არასდროს ყოფილა ალტაელი... ნადირს მოკლავდა და ხანისთვის უნდა მიერთმია, საქონელს გაზრდიდა და ხანთან მიერეკებოდა, ქერს მოიყვანდა და ისევ ხანთან მიჰქონდა... მთებში კაბაჭრელას ფესვებსაც კი აგროვებდნენ და ოიროტის ხანებს უზიდავდნენ... სულ ხანებისთვის მუშაობდნენ: უკეთებდნენ ქვაბებს, სამფეხებს, ლაგამებს, უზანგებს... ყველაფერს, რაც მათ სჭირდებოდათ. ხოლო თვითონ ღატაკურად ცხოვრობდნენ, შიმშილობდნენ. მიწას თოხით ჩიჩქნიდნენ. ქერს კი არ მკიდნენ, ხელით გლეჯდნენ, შემდეგ ჯოხებით ლეწავდნენ და არყის ხის ქერქის აქანდაზით ანიავებდნენ. აბა ასე რა ხორბლეული უნდა მოეწიათ? წიგნებზე, წერა-კითხვაზე ხომ წარმოდგენა არ ჰქონდათ. ასე იტანჯებოდა ჩვენი ხალხი თითქმის სამასი წელი...

და აი, დადგა სისხლიანი წელი — ოიროტებთან ჩინელების ომის სისხლიანი წელი. ომი გაჩაღდა ალტაის მთებსა და ხეობებში და ალტაის მიწის დამპყრობ მტაცებელ ოიროტებთან ერთად იწვოდა, იღუპებოდა, სისხლისგან იცლებოდა ალტაელი ხალხი. ალტაელებმა სწორედ მაშინ მიმართეს რუსეთის სასაზღვრო ხელისუფლებას, სთხოვდნენ, თქვენს ქვეშევრდომებად მიგვიღეთ, დაგვიცავითო... ერთი, მომაწოდეთ ტოპშური!.. — თქვა უცებ ტორბოგოშმა. — სწორედ მაშინ შეიქმნა ეს სიმღერა, რომელსაც ჯერ კიდევ მოხუცი კუჩიიაკი მღეროდა.

ახალგაზრდა მწყემსმა აილში შეირბინა და ცხვრის ტყავგადა-

ჭიმული ორსიმიანი ტოპშური მოლტანა. ბაბუა ტორბოგოშმა ძუის ხელში ალის სიმებს გაუსვა და უცებ გაბმული, ნაღვლიანი სიმღერა წამოიწყო... სიმღერა მსმენელებს ამცნობდა დიდი ხნის გარდასულ დღეებს. მშობლიურ მთებში ალტაის გამანადგურებელი ულმობელი მტრების — მონღოლების — შემოსვრის ამბავს.

პირველი სიტყვები ტორბოგოშმა სხაპასხუპით წარმოთქვა, ბოლო სტროფონებს კი დიდხანს, დიდხანს ჭიმავდა, ვიდრე თავისი მწუხარე გრძელი ნოტი არ ჩაათავა ძუის ხმამ.

ჩეჩეკი გაკვირვებული უცქეროდა ბაბუას: უყურე ამასო?

როცა ტორბოგოშმა ძველი სიმღერის ბოლო სტრიქონი დაასრულა და უკანასკნელმა სიტყვამ დაიღერა, ისე ჩაინავლა, თითქოს კოცონის თავზე აფრენილი ნაპერწკალიაო, ჩეჩეკმა ამაყად, სიხარულით გადახედა მწყემსებს — აი, როგორი ბაბუა მყავს, როგორ მღერის, როგორი სიმღერები იცისო.

მწყემსები კიდევ დიდხანს ისხდნენ და დუმდნენ ფიქრებში გართულნი.

— ჰო, — თქვა ბრიგადირმა ტალაიმ. — ხან ჩინგისხანი, ხან ოიროტები... მთელი სიცოცხლე ასეა. ერთიც ვნახოთ და კიდევ გამოტყვრნენ. არა, ალტაის რუსი კაცის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია!

— სწორია. ოღონდ მეფის დროს რუსებთან ცხოვრება ადვილი როდი იყო, — შეესიტყვა ბაბუა ივანოკი. —ჩინოვნიკები და ვაჭრები ძალიან გვჩაგრავდნენ. ჩვენი ბატონებიც მონღოლებზე ნაკლებად როდი გვხდიდნენ სულს. ძალიან ავიწროებდნენ მდაბიო ხალხს. ძალიან ავიწროებდნენ!

— დიახ, ამხანაგებო, — დაუდასტურა ტორბოგოშმა. — ჩვენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ დავიწყეთ ადამიანურად ცხოვრება. აბა, გახედეთ ჩვენს მიწას. ვინაა მისი ბატონ-პატრონი? უბრალო ალტაელი. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისუფლება მოგვცა, გვეხმარება, გვიგზავნის მანქანებს, გვასწავლის წერა-კითხვას, მტრებისგან იცავს ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას... ალტაელ ხალხს შეუძლია საბჭოთა ხელისუფლების გარეშე ცხოვრება? არა, არ შეუძლია!

მოხუცმა მწყემსებმაც მისი ნათქვამი ექოსავით გაიმეორეს:

— არ შეუძლია!..

შამანი

მეორე დღეს, როცა შუადღის სიცხე განელდა, ბაბუა ტორბოგოში და ჩეჩეკი თავიანთი ბრიგადის სადგომს უახლოვდებოდნენ. ბაბუა ტორბოგოშმა უცებ ცხენი შეაჩერა და გაყურადდა.

— რაო, ბაბუა? — გაეღიმა ჩეჩეკს. — ტრაქტორი გუგუნებს, აგერ, ხეობაში მოდის! შენ თვითმფრინავი გეგონა?

მაგრამ ბაბუა ტორბოგოშმა ანიშნა, გაჩუმდიო. სახე უცებ მოექუფრა. ჩეჩეკი შეშფოთდა და ისიც გაყურადდა; უცებ მოესმა, რომ შორს, იქ სადაც მზის ბურში აილების წვეტიანი კონუსები ილანდებოდა, დახშული ხმით ბრაგუნებდა დიდი დაირა.

— რა არის ეს, ბაბუა? — იკითხა ჩეჩეკმა და ბაბუას სახეს რომ შეხედა, შეეშინდა. — ბაბუა, რა ხდება იქ?

— რა? — ცალყბად გაიცინა ბაბუა ტორბოგოშმა.—ვიღაც ჯადოქრობს.

— ჯადოქრობს? რას ამბობ, ბაბუა! — უნდობლად უთხრა ჩეჩეკმა. — აბა, სადა გვყავს შამანი?

— მაგრამ მაინცა ჯადოქრობს, — პირქუშად გაიმეორა ბაბუა ტორბოგოშმა. უცებ თავის ნისლას მათრახი გადაუქირა, ადგილს მოსწყვიტა და აილებისკენ გაქუსლა. ბაბუა ტორბოგოში პარტიული იყო და შამანებს როგორ გააჭაჭანებდა თავის ბრიგადაში!..

ჩეჩეკი ძლივს ეწეოდა ტორბოგოშს. აილების მახლობლად ჩეინეშს დაეწია. რომელიც სადგომში მიიჩქაროდა. ბაბუა ტორბოგოშმა ცხენი შეაჩერა.

— რა ამბავია? — იქუხა მან. — საიდან გამოტყვრა!

ჩეჩეკს არ გაუგონია, რა უპასუხა ჩეინეშმა ბაბუას. რადგან მათ გვერდით ჩაუქროლა. ბოლო აილთან ცხენიდან ჩამოხტა და იქით გაიქცა, სადაც დახშული ხმით გააფთრებით ბუბუნებდა შამანის დაირა. იქ გაოგნებული შედგა, თვალებს არ უჯერებდა: სადგომის შუაში, ფართო მწვანე მდელობზე ანთებული კოცონის გარშემო მართლა ცეკვავდა შამანი, ირგვლივ მჭიდროდ იდგა ხალხი და მდუმარედ უცქეროდა. საშინელი შესახედაობა ჰქონდა შამანს. იგი გააფთრებით ტრიალებდა კოცონთან, რაღაცას მღეროდა, შიგადაშიგ რაღაცას იძახდა ჩახრინწული ხმით. ლითონის ყღარუნებიან სარაკუნას სცემდა ვეება დაირას, რომელსაც სქელი, მაგრად

დაჭიმული ტყავი ჰქონდა გადაკრული. შამანს ბანჯგვლიანი ტყაპუჭი უფარფარებდა. მის ტანზე ჩამოკიდებული ეჟვნებგამობმული ჩითის გრძელი ჩალიჩები წამისწამად ბზრიალ-ტრიალებდნენ და ზრიალი გაჰქონდათ. შამანის თავზე ყურბის თეთრი ფრთები ირხეოდნენ და ქანაობდნენ.

ჩეჩეკი შეშინებული უცქეროდა ხან შამანს, ხან მის გარშემო მდგომ ხალხს. რატომ მოვიდა შამანი? რატომ ცეკვავს აქ? ხალხი რატომ არ აძევებს, პირიქით, მშვიდად უცქერის და უღიმის კიდეც? მოხუცი ქალებიც მოსულან, გოგოებიც და ბიჭებიც... ეტყობა, სათიბიდან მუშებმაც მოირბინეს: აი, ტაიგის პირას ცხენის ფოცხი და დაუმთავრებელი ზვინი დგას. აგერ თვითონ ბრიგადირი ივან ტიზიიაკოვიც უცქერის და იღიმება! ბებია ტარინჩაკიც მოსულა!.. რამდენი საშინელი რამ უამბო ბებიამ ჩეჩეკს შამანების შესახებ: როგორ ატყუებდნენ ხალხს, როგორ გლეჯდნენ ცხენებს, ღმერთებს მსხვერპლად რომ სწირავდნენ... ღმერთებს კი არც სიკეთე მოჰქონდათ ხალხისთვის, არც ბოროტება! ხის ტიკინები იყვნენ და მეტი არაფერი!.. ახლა ეს შამანი მოვიდა და ხალხიც ისევ უსმენს! ვითომ პიონერი ჩეჩეკიც მოუსმენს?..

ჩეჩეკი წრეში შევარდა და გამგმირავი ხმით იყვირა:

— ჰეი, შე საზარელო არსებავ, რატომ მოხვედი? წადი აქედან! ისევ გამოჩნდა! ამას დამიხედეთ!.. ბაბუა ტორბოგოშ, ჩქარა მოდი, გააძევე!.. აბა, რას დგახარ და არაფერს არ ამბობ, ბაბუა?!

ხალხს ერთსულოვანმა სიცილმა გადაუარა. შამანმა ჩეჩეკს მხიარულად ჩაუკრა თვალი და უფრო ხმამაღლა განაგრძო სიმღერა. ხოლო ვიღაც უცნობმა რუსმა დაუყვირა:

— გოგონა, აქეთ გამოდი, გადაღებას ხელს ნუ უშლი!..

ჩეჩეკი ცოტათი დაობნა. აქეთ-იქით მიმოიხედა, მთის ყაყაჩოსავით გაწითლდა. შემცბარი ღიმილით უკან დაიხია. მან ახლალა დანახა დასახლებაში მსუბუქი მანქანით ჩამოსული ხალხი. ერთი მათგანი, გამხდარი, წარბებდაფანჩული კაცი, აპარატის სახელურს ატრიალებდა.

— „აჰა, კინოს იღებენ! — მიხვდა ჩეჩეკი. — ოღონდ... შამანი მ თთვ-ს რატომ ცეკვავს?..

ჩეჩეკმა ბებია ტარინჩაკთან გააღწია. ბებიამ ღიმილით ჩაიხუტა ჩეჩეკი.

— ო, როგორ დაუყვირე შამანს! ასეც უნდა, გააგდე აქედან! — უთხრა ბებიამ ჩეჩეკს ისეთი კეთილი სიცილით, ჩეჩეკსაც გაეცინა.

— ნუ იცინი, ბებია, ნუ იცინი! მე ამ შამანების დანახვაც არ მინდა, მათ კი კინოში იღებენ!.

გადაღება დამთავრდა. გამხდარმა კაცმა აპარატი დახურა. ხოლო შამანმა უცებ ბანჯგვლიანი ქურქი გაიხადა და ეჟვნები და ფრთებიანი შავი ნაწნავები მოიცილა. თურმე ახალგაზრდა ალტაელი ყოფილიყო, გადაგლესილი, მბზინვარე თმა ჰქონდა. მან გაოფლილი სახე ღიმილით მოიწმინდა, ხალხს მხიარულად გაუახედა და იკითხა:

— რაო, ცუდი შამანი ვიყავი?

— ეს ვინ არის? — უმალ ჰკითხა ჩეჩეკმა ბებიას. ბებია თვითონაც შეცბუნებული უცქეროდა ახალგაზრდას.

— გორნო-ალტაისკის თეატრის მსახიობია, — უჩურჩულა მათ ბრიგადირის ქალიშვილმა, ახალგაზრდა, ლოყებღაჟღაჟა ყატამ. — აქ გადაღებაზე არიან.

— აქ რატომ?

— კინოში ძველი ალტაის ჩვენება უნდათ. ჩვენთან კი სწორედ ალტაივითაა — ირგვლივ აილები დგას.

როცა შამანი ჩვეულებრივ ქალაქელად იქცა, ბავშვებმა კიდევ ცოტა ხანს უცქირეს და შემდეგ პატარა შავი მანქანისკენ გაიქცნენ. ჩეჩეკიც მივიდა მანქანასთან, ვერცხლისფერი რადიატორის წვრილ მილაკებს შეეხო, ხელი გადაუსვა მანქანის კრიალა ფრთას. ო, რა კარგია ასეთი მანქანით გასეირნება!

— ჩეჩეკ, შეხე, რუსი ბებიაშენთან წავიდა! — დაუძახა ჩეჩეკს ფეხშიშველა პატარა ჩოო-ჩოომ.

ჩეჩეკი ბებიას აილისკენ გაიქცა. ბრიგადირი ტიზიიაკოვი და გამხდარი რუსი აილში იდგნენ. ბებიაც იქვე იყო.

— ტარინჩაკ, უმასპინძლე სტუმარს. ღამე გაათევინე. — უთხრა ბრიგადირმა ბებიას.

ბებიამ ხალისიანად დაუქნია თავი:

— კარგი, კარგი! მაწონი მაქვს, ხაჭოს კვერები მაქვს... მოვუვლი, მოვუვლი სტუმარს.

— მე კიდევ ხორცს გამოგიგზავნი. რიგიანად აჭამე.

— კეთილი, კეთილი, ვაჭმევ, ვაჭმევ.

ბრიკადირი წავიდა. რუსი იდგა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. მას ალტაური არ ესმოდა, არც აოასდროს ყოფილა ალტაურ აილში. ჩეჩეკმა შეამჩნია, რომ იგი გაკვირვებული ათვალიერებდა მრავალი წლის ჭვარტლისგან გაშავებულ ხის ქერქის კედლებს და ლატანებს, სოხანეზე კერასთან დაგებულ ნიამორის ტყავს, მაღალ კასრს, რომელშიც ბებია მაწონს აკეთებდა. სტუმარს სახე თანდათან ეღუშებოდა, გაბანჯგვლული წარბები სულ უფრო უთამაშებდა.

— როგორ შეიძლება აქ ადამიანმა იცხოვროს? — თქვა თავისთვის.

— ვინც შეეჩვევა, ის იცხოვრებს, — უთხრა ჩეჩეკმა.

— რუსულად ლაპარაკობ? — გაუხარდა სტუმარს. — რა კარგია! მე კი ვფიქრობდი, ბებიას როგორ ველაპარაკო-მეთქი. მან რუსული არ იცის, მე კი ალტაურად ერთი სიტყვაც არ გამეგება.

ვიდრე ბებია ფუსფუსებდა, სავახშმოდ სუფრას შლიდა, ჩეჩეკი სტუმარს გაეცნო და დაუმეგობრდა. სტუმარმა უთხრა, კინოოპერატორი ვარ, ანდრეი მქვია, შორიდან, მოსკოვიდან ჩამოვედი. ჩეჩეკს სიტყვა „მოსკოვის“ გაგონებაზე გული აუჩქროლდა. როგორია მოსკოვი, როგორი სახლებია იქ? როგორი ქუჩები? როგორია კრემლი? კრემლის თავზე მართლა ყოველთვის ანთია წითელი ვარსკვლავები?

სტუმარი ხალისით პასუხობდა ჩეჩეკს, უამბობდა დიდი სახლებისა და ფართო ქუჩების, ათასგვარი საქონლით სავსე მაღაზიების, ლამაზი თეატრების შესახებ, მოკაშკაშე ფარნების შესახებ, მთელი ღამე რომ ანთია, ტრამვაების, ტროლეიბუსების შესახებ, რომლებსაც ელექტროდენი ამოძრავებთ, პიონერების დიდებული სასახლეების შესახებ, სადაც ბავშვებისთვის საღამოებს, სპექტაკლებს, ლექციებს მართავენ, სადაც ბავშვები სხვადასხვა წრეში მეცადინეობენ, მოდელებს აკეთებენ, ქარგავენ, მუსიკას სწავლობენ...

ბებია ტარინჩაკი კი ამასობაში ქეჩაზე საპმელ-სანოვაგეს აწყობდა. კერის თავზე შემოდებული ცხაურიდან ხაჭოს კვერის ახალი ნაპერი ჩამოიღო, კასრიდან მაწონი ამოხაპა, დაჭრა ლოყებღაქლაჟა კატიას მიერ მოტანილი ცხვრის ხორცი, ჯამში ჩადო ქუმელი, დახრილ ლატანებზე მიმაგრებული თაროდან გამხმარი პუ-

რი ჩამოხსნა და ისიც მოიტანა. ბებია ტარინჩაკს პურს აძლევდნენ, მაგრამ მას თითქმის არ ჭამდა, რად მინდა პური, როცა ქუმელი მაქვს, ხაჭოს კვერი მაქვს, მაწონი მაქვს, რძე მაქვსო..

ანდრეიმ ცხვრის ხორცი შეჭამა და ერთი ჭიქა მჟავე მაწონი დააყოლა.

— გმადლობ, ბებია, მეტი აღარ შემიძლია, — თქვა მან.

მაგრამ ჩეჩეკმა მსწრაფლ უთხრა:

— ასე როგორ იქნება, ძია ანდრეი, ხაჭოს კვერი არ გიჭამიათ, არც ქუმელი, ბებიას ეწყინება!.. — შემდეგ ნათქვამს ალტაურად დაუმატა: — ბებია, სტუმარი არ ჭამს. ცუდად მასპინძლობ.

ბებია ტარინჩაკი აფორიაქდა.

— მიირთვით, მიირთვით. — ამბობდა ალტაურად და ღიმილით აქნევდა თავს.

ბებია მტკიცედ იცავდა ძველ ალტაურ ჩვეულებას. ამ ჩვეულების მიხედვით სტუმარი კარგად უნდა დაენაყრებინა, ყველაფერი მიერთმია, რასაც ისურვებდა, და ძალიან სწყინდა, როცა ის სასმელ-საჭმელზე უარს ეუბნებოდა.

ანდრეიმ შეჭამა კიდევ ერთი ნაჭერი ხორცი, შემდეგ — ცეცხლზე გამხმარი მაგარი ხაჭოს კვერის მომცრო ნაჭერი, რომელიც ძლივს გადაყლაპა, და მჟავე მაწონი დააყოლა.

— გმადლობ, ბებია, გმადლობ! — თქვა და თავი დაუკრა. — მეტი აღარ მინდა.

ბებია ტარინჩაკი ჩეჩეკს მიუბრუნდა:

— რას ამბობს?

ჩეჩეკს ეშმაკურად გაუბრწყინდა თვალები.

— კიდევ მომეცი რამეო!

ბებია აფუსფუსდა. კიდევ აპოხტი მაქვსო...

ანდრეიმ ხორცის ახალი ნაჭრის დანახვაზე ხელები აიქნია:

— მაძღარი ვარ, გმადლობ!

მაგრამ ჩეჩეკმა თავი გააქნია:

— არ შეიძლება, არა! პატარა ნაჭერი მაინც შეჭამეთ, თორემ ბებიას ეწყინება!

ანდრეიმ აპოხტი გასინჯა, ბებია კი სულ აქნევდა თავს და სთხოვდა, კიდევ ჭამეო.

— ჩეჩეკ! — აღშფოთდა ანდრეი. — აუხსენი ბებიაშენს, რომ მაძღარი ვარ. გესმის? მაძღარი[1]

— არ მიჯერებს, — მიუგო ჩეჩეკმა.

— მაშ, მე თვითონ ვეტყვი. როგორაა ალტაურად: „გმადლობ. მაძღარი ვარ?"

— ალტაურად ასე ითქმის: „ტოიბოდიმ!" [1]

— ტოიბოდიმ, ბებია, ტოიბოდიმ! — უთხრა ანდრეიმ ბებია ტარინჩაკს.

ბებიამ, ცოტა არ იყოს, დაბნეულად შეხედა სტუმარს, სიცილით სავსეგუბებული ჩეჩეკი კი ბნელ კუთხეში მაწვნიანი კასრის უკან გახტა.

— აბა, რას უდგეხარ, ბებია. სტუმარს კიდევ მიართვი რამე. კვერცხი ხომ გაქვს, შენ კი დაგავიწყდა, — უთხრა ჩეჩეკმა ბებიას.

— ახლავე, ახლავე! — გაუხარდა ბებიას. სწრაფად მოიტანა კვერცხები და ერბოკვერცხის გაკეთებას შეუდგა. ანდრეი ზეზე წამოხტა:

— რა ამბავია? მე ტოიბოდიმ, ტოიბოდიმ! რა ვუყო ამ ქალს?

ჩეჩეკმა ველარ მოითმინა, სიცილი წასკდა და ძირს გაფენილ ნიამორის ტყავზე გაგორდა. ბებია ტარინჩაკმა იეჭვიანა, რაღაცას ლინბაზობსო. ანდრეი კი ყველაფერს მიხვდა:

— ეს რა მოიგონე. ჰა? სხვა სიტყვა მასწავლე ხომ? ჰაიტ, შე ყაჩაღანავ. დამაცა, გიჩვენებ სეირს! ჩამოხვალ მოსკოვში, ამ ამბავს გაგიხსენებ და ჭამით სულს ამოგართმევ!..

ბებიას კი უკვე მოჰქონდა ტაფამწვარი და სტუმარს ისევ უპირებდა ჭმევას.

— უკვე მაძღარია, მაძღარი, — სიცილით აუხსნა ჩეჩეკმა. — კარგა ხანია გაძღა, განგებ ვუთხარი ტოიბოდიმ თქვი-მეთქი. დაანებე თავი, ბებია, მოასვენე!

ბებია ტარინჩაკი ჩეჩეკს თამბაქოსგან გაყვითლებული თითით დაემუქრა. მის თითზე ოდნავ გაიბრწყინა წითელი სპილენძის ბეჭედმა.

— ეშმაკობას არ იშლი, არა!

---

[1] ტოიბოდიმ — ეერ გავძეხი.

შემდეგ ბებიამ სტუმარს ლოგინი დაუგო, ცეცხლის პირას დაჯდა და თავის დიდ, შავ ჩიბუხს მოუკიდა.

— ერთი ეს მითხარით, ზამთარში ასეთ ქოხში როგორ ცხოვრობთ? — იკითხა ანდრეიმ.

— ისე, მთელი დღე და ღამე ცეცხლი გვინთია, — მიუგო ჩეჩეკმა.

— ღამით ხომ დაგეძინებათ და ცეცხლი ჩაქრება.

— ჩაქრება, მაშ.

— მერე ყინვას რას უშვრებით?

— არ ვიცი, აი, ბებიამ იცის... ბებია, უთხარი, როგორ ცხოვრობენ ზამთრობით აილში, იყინებიან, არა?

— ყველაფერი ხდება, — მიუგო ბებიამ. — მოხუცებს არა უშავდათ, პატარებს კი უჭირდათ, უჭირდათ.

ბებია ტარინჩაკს უცებ თავისი ბავშვობა გაახსენდა, თითქოს ესიზმრაო შორეული დრო.

— ეჰ, ყინვა... ყინვა... დედა საღამოს მთელი ღამის სამყოფ შეშას შემოიტანდა. მოხარშავდა ხორცს. ვივახშმებდით. შემდეგ საშინელი დრო დგებოდა. პატარებს ცეცხლის პირას აწვენდნენ, მე უფრო დიდი ვიყავი და ცეცხლის მოშორებით სოხანეში ამოჭრილ ორმოში იყო ჩემი საწოლი. დედა ხელში ამიყვანდა ხოლმე და ისე მივყავდი ორმოსკენ. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ცეცხლს მაინც არ მოვშორდებოდი, მთელი ქვეყნის სასუსნავი რომ მოეცათ. დედა ორმოში მაწვენდა და ტყაპუჭს მახურავდა. ტყაპუჭი თბილი იყო. მაგრამ ყინვა მიწის ყოველი კუნჭულიდან მოძვრებოდა. იკუნტები და კანკალებ, კბილს კბილზე აცემინებ... დიდხანს არ გეძინება, დიდხანს. წევხარ და აყურადებ. კედლის გარეთ ძროხები დადიან და მათი ფეხის დაბიჯებაზე თოვლს ხრაშახრუში გაქვს... ცოტათი გაათბობ შენს ორმოს და ჩაგეძინება... ღამით ცეცხლი ქრება. შეციებული ბავშვები ტირილს იწყებენ. მეც ვტირი. დედა ისევ ანთებს ცეცხლს. ისევ ვთბებით... დილით კი ვხედავთ, ტყაპუჭს ჭირხლის გუნდა აქვს მოდებული... ძილში რომ სუნთქავ, ტყაპუჭზე პირთან ჭირხლი სქელდება და სქელდება... ამოხტები ორმოდან და ისევე ცეცხლს მიუჯდები... ცუდია ბავშვებისთვის აილებში ცხოვრება. ცუდი!

— არც დიდებისთვისაა კარგი, — ამოიოხრა ანდრეიმ. როცა

ჩეჩეკმა ბებიას მონაყოლი გადაუთარგმნა. — არაა კარგი. დროა, დადგება აილები მიატოვონ, დროა

— ახლა ტოვებს ხალხი, — თქვა ბებიამ. — ზაფხულში კიდევ ცხოვრობენ, ზამთარში არა. ზამთრობით ქოხში გადადიან.

დილით, როცა ჩამოსულებმა ისაუზმეს და იქაურებს ემშვიდობებოდნენ, ანდრეიმ იკითხა:

— არანურის ტბა, რომლის შესახებაც გორნო-ალტაისკში მიამბობდნენ, აქედან შორსაა?

— სადღაც აქაა. მაგრამ ზუსტად სად, არ ვიცი, — მიუგო ალტაელმა მსახიობმა.

მესამე კაცმა, ჭაღარა და ცისფერთვალება მოსკოველმა, რომელსაც რეჟისორს უწოდებდნენ, იკითხა:

— რა არის ეს არანური?

— ტბაა. მის შესახებ ათასგვარ საოცრებას ჰყვებიან.

— არანური სულ ახლოსაა. გაივლი რვა კილომეტრს და ტბაც შემოგხვდება. ოღონდ ნუ მიუახლოვდებით, ირგვლივ ჭაობები, ისლი, ოღროჩოღრო ადგილებია, — უთხრა სტუმრებს ბრიგადირმა ტიზიიაკოვმა.

— არა უშავს, წავიდეთ, შორიდან მაინც შევხედოთ. შეიძლება გადასაღებად გამოდგეს, — თქვა ჭაღარა რეჟისორმა.

ბრიგადირმა აუხსნა, როგორ მისულიყვნენ ტბასთან, მაგრამ ანდრეი საჭეს მიუჯდა და თქვა:

— ბალღებს წავიყვანთ და ისინი გვიჩვენებენ გზას... ჩეჩეკ, იცი გზა?

— ვიცი! — იყვირა ჩეჩეკმა და სწრაფად შეძვრა მანქანაში.

— მეც ვიცი! — იყვირა პატარა ჩოო-ჩოომ და ისიც შევარდა მანქანაში. მას მიჰყვა შავთვალა ნუკლაი, ნუკლაის — კოლია მანეევი, ხოლო კოლიას — ხუთი ბავშვი: გზა ყველამ იცოდა! მაგრამ ანდრეიმ თქვა: კმარა, მანქანა ყველას ვერ დაიტევსო. და შავი კარი დახურა.

მანქანა მერცხალივით მსუბუქად გაქანდა. რბილი სკამი ბიძგებს ანელებდა. ჩეჩეკს ეგონა. ასე მთელი დღე და ღამე, კიდევ დღე, კიდევ ღამე ვიქროლებო, მაგრამ ბავშვებმა, რომლებიც ეჭვნეულად აკვირდებოდნენ სწორ გზას, უცებ ერთხმად იყვირეს:

— ძია. მოუხვიე, მოუხვიე! აქ ნელა. ბურცობებია, იქ კი სწორია, გაუტიე!..

— აგერ ტბაც!

— ძია, გააჩერე! ჭაობია!

მანქანა გაჩერდა. მწვანე მთის ძირას დაფიქრებით მოკამკამე ცასავით ლურჯი ტბა, წყნარი უძრავი ტბა იდგა. არც ერთი ფრინველი არ აცოცხლებდა მას, არც ერთი ხე არ დაშრიალებდა მის გლუვ მძიმე წყალს.

— გადავიღოთ...—თქვა ჭაღარა რეჟისორმა.—ანდრეი, აბა, რას იტყვი? მშვენიერია, არა?

— მშვენიერია... — დაფიქრებით დაეთანხმა ანდრეი, — მაგრამ ნაღველს მგვრის ეს მშვენიერება. უხიაკი, უდაბური ადგილია. ბუნებას თითქოს ეშინია გაიხაროს, აი, როგორც უხარია უსურიის ტაიგაში. იქ ბუნება საუცხოოა, მდიდრული, გულუხვი! აქ კი თითქოს ყოველთვის ფიქრებშია გართული. თითქოს არ სჯერა ბედნიერებისა, თითქოს რაღაცას იხსენებს... მზის სხივებით გაიღიმებს და მაშინვე მზადაა ფოშფოში, ჯანღი მოიბუროს, გულჩახვეულია, დაბღვერილი.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ჭაღარა რეჟისორი. — აქაური ბუნება მკაცრია, მაგრამ აბა, ერთი სხვა თვალით შეხედე მდუმარე ტყეებსა და ხეობებს! გაიხსენე, რომ ტაიგაში სიცოცხლე დუღს. დაეხეტებიან დათვები, მელები, ნიამორები, კეთილშობილი მარალები... ამ ხეობებში ბალახობს ურიცხვი საკოლმეურნეო ფარა, რემა, ნახირი — ათასობით ცხვარი, ცხენი, საქონელი... ყველგან, სადაც კი მდინარეებია, ჰიდროელექტროსადგურები გუგუნებენ... სალეწი მანქანები კალოებზე პურს უკვე ელექტროდენით ლეწავენ, მთებში აკიაფდა ელნათურები. ხეობებში შავ მიწაზე ხორბალი მოჰყავთ... ძველისძველი მომთაბარე ალტაელები ახლა საკოლმეურნეო მინდვრებს ხნავენ, თანაც იმ ორკაპით კი არა, მუზეუმში რო ვნახეთ, გუთნებით და ტრაქტორებით... რას ამბობ — ბაღებს აშენებენ! თანაც აქ, სადაც ვაშლი თავის დღეში არ უნახავთ!

— სკოლის მახლობლად ჩვენც გავაშენეთ ბაღი, — ჩაურთო ჩეჩეკმა.

— ხედავ? შეხედე ჩეჩეკს. აილში აღარ იცხოვრებს. სასწავლებ-

ლად წავა. ერთი იმათგანი გახდება. ბუნებას ყველგან რომ აცოცხლებენ! ამისთანებს გზებიც გაჰყავთ, ელექტროსადგურებსაც აგებენ, ბაღებსაც აშენებენ! ამ თვალით შეხედე მთიან ალტაის — იქნებ შენც იგრძნო, რომ აქ არც ისე უხიაკი და უდაბური მიდამოა! — ანდრეის აპარატი მიაწოდა და დაურთო: — აბა, დაატრიალე! აღბეჭდე წყნარი მთები და მდუმარება. მალე დადგება დრო, როცა ეს მდუმარება ალტაის ხეობებშიც გაქრება!

როცა ყველაფერი გადაიღეს, რის გადაღებაც ჭაღარა რეჟისორს სურდა, მთაზე ავიდნენ და იქიდან გადმოხედეს ტბას.

— ახლა გვიამბეთ, რა სასწაულები იცით ამ ტბის შესახებ. აბა ვინ იცის. ყმაწვილებო? — იკითხა რეჟისორმა.

— მე ვიცი! — დაიძახა ნუკლაიმ და ისე ასწია ხელი, თითქოს სკოლაში იყო.

— მეც ვიცი, ბებია მიამბობდა, — თქვა ჩეჩეკმა.

— შენ ბებია გიამბობდა, მე კი ჩემი თვალით ვნახე, — შეესიტყვა კოლია მანეევი.

— აბა, რიგრიგობით მოჰყევით ყველაფერი, — თქვა ანდრეიმ.

ჭაღარა რეჟისორმა კი უბის წიგნაკი და ფანქარი ამოიღო და ასეთი რამ ჩაიწერა:

.. აქ ოდესღაც ახალგაზრდა დევგმირი ცხოვრობდა... ერთხელ ცხენით ჩაუარა არანურს, ცხენის დარწყულება მოისურვა და პირდაპირ ტბაში შევარდა, მაგრამ უკან ვეღარ გამოვიდა — წყალმა გაიტაცა და მაშინვე ჩაძირა. დაყვირებაღა მოასწრო. ბოლოს გამოცურა, მაგრამ აქ კი არა, ტელეცკის ტბაში. ის ტბა კი აქედან ძალზე შორსაა.

არანურის ტბა ყოველთვის წყნარია. ერთხელ უეცრად აღელდა. მწყემსებმა დაინახეს, რომ ტბაში რაღაც ტრიალებდა. თევზს ჰგავდა და არც ჰგავდა, ვეშაპს ჰგავდა და არც ჰგავდა. ვეება რაღაც იყო! გაიქცნენ ცხენსაშენში და დირექტორს უამბეს. მოცვივდა ხალხი და ყველამ დაინახა, რომ ტბაში ვეება მხეცი ტრიალებდა, იმოდენა იყო, შიგ ძლივს ეტეოდა. დაჭერა მოინდომეს. ნაპირზე ორი ბოძი ჩაასვეს. რკინის ჩანგალს მაგარი სახელური გაუკეთეს, ჩანგალზე ხორცი ჩამოაცვეს. ჩანგალს ბაგირები გამოაბეს. ბაგირები ბოძებს მიამაგრეს და ჩანგალი წყალში ჩაუშვეს. დაელოდნენ, რა მოხდებოდა. იცადეს ერთი საათი, ორი... ხუთი საათი. მაგრამ

არაფერი მომხდარა. სიწყნარე იდგა. დირექტორი წავიდა, რადგან ვ-ღაც ჩამოსვლოდა ტრესტიდან. ხალხი დალამებულზე შინ წავიდა. დილით მოვიდნენ და რას ხედავენ? ერთი ბოძი მოღრეცილი იყო, მეორე — მიწიდან ამოგდებული, ბაგირი — გაწყვეტილი... ხორციანი ჩანგალი კი არ ჩანდა, წყლის სიღრმეში ჩაკარგულიყო, ისევ სიწყნარე იდგა ტბაზე. საიდან გაჩნდა ვეება თევზი? სად წავიდა?

ხალხმა იფიქრა, ტბა უფსკრულიაო. შეიძლება მიწის ქვეშ ტელეცკის ტბას უერთდებაო, ან იქნებ ოკეანესაცო. არანურზე მკვლევარი გეოლოგებიც ჩამოვიდნენ. ტბის სიღრმის გაზომვა უნდოდათ. ათას რვაას მეტრზე ჩაუშვეს საძირავი. მაგრამ ფსკერს ვერ მიაწვდინეს.

ამ ტბის მახლობლად არის ოთხი მდინარე, რომელთაც შესართავი არა აქვთ. მიედინებიან, მიედინებიან და უცებ მიწის ქვეშ იკარგებიან. ხალხი ფიქრობს, აქ მიწისქვეშა გამოქვაბულიაო.

ხალხს არანურის ტბის კიდევ უფრო საკვირველი მოვლენა უნახავს. ზამთარში ძლიერი ყინვების დროს ტბა მეტრ სიღრმეზე იყინება. უცებ, შუა ზამთარში, კაცმა არ იცის, რატომ, საშინელი გრიალით ფეთქდება და ყინული ჰაერში მიფრინავს წყლის სვეტთან ერთად. შემდეგ ყინული ისევ ძირს ეშვება, ტბა ისევ იყინება და ისევ სიწყნარე ისადგურებს ირგვლივ.

ხალხს არ უყვარს არანურის ტბა, არავინ ბანაობს შიგ. არც თევზს იჭერენ, არც ერთი წყლის ფრინველი არ ჯდება მის ზედაპირზე...

— სამაგიეროდ ჩვენმა მასწავლებელმა იბანავა და წყალს არ ჩაუთრევია, ოღონდ ფსკერს ვერც ის მისწვდა [1], — დაურთო ნეკლაიმ სხვების ნათქვამს.

— საინტერესოა... — დაფიქრებით თქვა ჭაღარა რეჟისორმა. წერტილი დასვა და უბის წიგნაკი დახურა. ანდრეიმ კი ჯიბიდან მთელი მუჭა კამფეტი ამოიღო და ბავშვებს ჩამოურიგა:

— აიღეთ მონაყოლის სანაცვლოდ.

— ძია ანდრეი, აქედან სადღა წახვალთ? — ჰკითხა ჩეჩეკმა და კამფეტი ბებია ტარინჩაკისთვის შეინახა სახელოში.

---

[1] არანურის ტბის ამბავი იაბაგანის მცხოვრებთაგან გაგო ავტორმა. მათ თვითონ უნახავთ, ზამთრობით როგორ ფეთქდება ყინული ტბაზე.

— თქვენ შინ წავიყვანთ. ჩვენ ულაგანში წავალთ. შემდეგ კი ტელეცკის ტბაზე.

ჩეჩეკი დაფიქრდა, შორეულ მწვერვალებს მოავლო თვალი. რა კარგი იქნებოდა, თვითონაც წასულიყო, ენახა ეს ტბა... მთელი ალტაი, მთელი ქვეყანა!

— ძია ანდრეი, მომწერეთ რა წერილი, — სთხოვა მან ანდრეის.

— წერილი? — გაეცინა ანდრეის. — სიამოვნებით. კი, მაგრამ რა გაინტერესებთ?

— როცა ტელეცკის ტბაზე იქნებით, ნახეთ, მართლა ჰყვავის თუ არა იქ ვაშლები. ჰოდა. მომწერეთ. გთხოვთ!

— კარგი. — მიუგო ანდრეიმ, — აუცილებლად ვნახავ და აუცილებლად მოგწერ.

ისევ კატუნზე

კოსტია კანდიკოვს ტაიგაში თავის ბოცვრებთან ნელ-ნელა მოწყენილობა ეუფლებოდა, ფიქრი და საზრუნავი დღითი დღე მღელვარებას და მწუხარებას უმატებდა. ეჩვენებოდა, თითქოს ბაღს არავინ უვლიდა, ანატოლი მასაწვლებელს ვაშლებისთვის არ ეცალა: ახლა კოლმეურნეობაში დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული, სკოლის დირექტორს კი, როგორც პარტორგანიზაციის მდივანს, კოლმეურნეობა კიდეც უნდა შეემოწმებინა და კიდეც უნდა დახმარებოდა მას. ინტერნატის თითქმის ყველა ბავშვი თავიანთ სოფლებში წავიდ-წამოვიდა, ხოლო აქაურები ალბათ მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ, შეიძლება ბაღში შეერბინათ, ნარგავებისთვის დაეხედათ, ერთი-ორი ბალახის ღერი მოეგლიჯათ და ისევ დაევიწყებინათ ვაშლები... ვაშლებს კი მორწყვა სჭირდებოდა, რადგან სიცხეები იდგა.

— აბა, ამათ რას ვუზივარ აქ? — ჯავრით ამბობდა ბოცვრების მაცქერალი კოსტია. ტაიგაში ხმის გამცემი არავინ ჰყავდა და თავის თავთან ხმამაღლა ლაპარაკს მიეჩვია. — სახეიროს რას ვაკეთებ? დიდი ამბავი, თუ ერთი კონა ბალახი მოვთიბე და მესერს იქით გადავყარე. ამის გაკეთება ალიოშასაც შეეძლო...

კოსტიას არ უნდოდა, თუნდაც თავის თავს გამოტყდომოდა, რომ ბოცვრები ვერ შეიყვარა. მართალია, ზრუნავდა მათზე, ხანდახან ეფერებოდა კიდევაც ზოგიერთს, რომლებიც არ გაურბოდნენ, მაგრამ დანალვლიანებული გრძნობდა, რომ დღითი დღე თავს აბეზრებდნენ.

— კაცმა საქმე უნდა აკეთოს, მე კი აქ ამათ ვუზივარ! ნეტავ მალე თიბვა დაიწყებოდეს, სამუშაო მაინც იქნებოდა!..

ზოგჯერ, როცა წიგნის კითხვა და ბოცვრებთან ფუსფუსი მოსწყინდებოდა, კოლოგომის ხეობაში დაეხეტებოდა.

— კარგი იქნებოდა, აქ ვაშლები დაგვერგო. — ვარაუდობდა კოსტია — მზიანი ფერდობია... იქ კი — კენკროვნები... კარგი იქნებოდა! ირგვლივ ტყეა, ტყისსაცავი ზოლები აღარ დაგვჭირდებოდა. შეიძლებოდა, როგორც ლისავენკოს აქვს, ისეთი „ატმის ვიქტორია“ გაგვეშენებინა! მერედა როგორი ნაყოფი აქვს, თითქმის მუნტისოდენა! ქვეყნის მოსავალს მოვიწევდით! ეჰ, დასანანია, რომ ბარნაულში მივდივარ!.. მაგრამ რაა დასანანი? — განაგრძობდა მსჯელობას კოსტია: — განა სამუდამოდ მივდივარ? ვისწავლი და ანატოლი მასწავლებელთან, ბავშვებთან ერთად რა ამბებს დავატრიალებ!

კოსტიას სულიც კი უგუბდებოდა, როცა მომავალზე ფიქრობდა. ტაიგაში ხეტიალისას თავისი ბასრი სასხლავით ვერხვს ფიჩვზე ამყნობდა, არყის ხეს ლარიქსზე, რომ ხელი გაეჩვია, უნდოდა ისეთი მყნობა ესწავლა, ყველაზე გამოცდილი მებაღისთვის ეჯობნა. თანაც აინტერესებდა, რა გამოვიდოდა ლარიქსზე ფიჩვის დამყნობით, როგორი ტოტი გაიზრდებოდა...

ბოლოს დადგა თიბვის დროც. კოლოგოშში მოვიდნენ საზიდრები, ჩამოვიდა ცელებით აღჭურვილი სკოლის ყველა ტექნიკური მუშაკი ქალი, მოხუცი რომანიჩი, სკოლის დამლაგებლის ანა კურილინას შვილი ტოლია და რომანიჩის შვილიშვილი ზინა...

მაგრამ ბოცვრებს ბაკთან პირველი ვინ დაინახა კოსტიამ? ვისი თმაგაჩეჩილი, ერთიანად თეთრი თავი ჩანდა ლარიქსის ფიცრების ღობის თავზე?

— ალიოშა! — გაუხარდა კოსტიას. — ნუთუ სათიბად ჩამოხვედი?

ალიოშა რეპეინიკოვი ღობიდან ჩამოხტა.

— სათიბადაც და... შენს დასახმარებლადაც... — მიუგო მან.

კოსტიამ მხარზე ხელი დაადო.

— იცი, რა გითხრა, ბოცვრებს შენ მიხედე, მე კი სათიბად წავალ. ხედავ, როგორი კუნთები მაქვს? — კოსტიამ ხელი მომუშტა და მკლავი მოხარა. — აბა, ხელი შეახე!

— ო! — პატივისცემის გრძნობით ჩააგრძელა ალიოშამ, როცა კოსტიას კუნთები ხელით მოსინჯა. — რკინისაა!

— ჰოდა, რა ვქნა, ამ ხელებით ბოცვრებს ვუძიძაო? მათი მოვლა უფრო შენი საქმეა. მოუვლი?

ალიოშას სახე გაუნათდა, კოსტიამ მადლიერებით სავსე თვალები მიაპყრო და უთხრა:

— კარგი, ჩემი საქმეა და მოვუვლი კიდევაც. დარდი ნუ გექნება.

გახარებულმა ალიოშამ გოგონასავით შეჰკივლა და ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა ტირიფისკენ, რომლიდანაც ბაკში გადაძრომა შეიძლებოდა.

— ე-ე-ი, მოიცა! — მიაძახა გონსმოსულმა კოსტიამ. — ჩვენი ვაშლები რასა შვრებიან?

მაგრამ ალიოშა არც შეჩერებულა, ისე დაუძახა:

— კარგად არიან, იზრდებიან!

— ოჰ, შე გადარეულო! — წაიბუზღუნა კოსტიამ ღიმილით. — სულ შეშალეს ბოცვრებმა.

ალიოშა ბოცვრებს უვლიდა, ხოლო კოსტია თიბავდა. როცა თიბვა დამთავრდა, კოსტია ანატოლი მასწავლებელს მოელაპარაკა და კოლოგოშიდან წავიდა, რეპეინიკოვი კი რომანიჩთან ერთად დარჩა სკოლის მამულში ზაფხულის დამლევამდე.

ზაფხულის თვეები სწრაფად, თვალის დახამხამებაში ილეოდა. გავიდა გრძელდღეებიანი ივლისი... დადგა აგვისტოც. დღემ, როგორც ალტაელები ამბობენ, კარის საკეტის ოდენა მოიკლო, სამეშაო კი თავსაყრელი იყო. წვიმებმა ხელი შეუშალეს თიბვის დროულად დამთავრებას. ხოლო გამოდარებისთანავე ყველაფერი ერთად გახდა გასაკეთებელი: თივის გაშრობაც, პურის აღებაც.

კოსტია ვერ ამჩნევდა, ისე გარბოდა დღეები საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობისას. უკვე დიდ მთიბავებთან ერთად გზავნიდნენ სათიბში. მამამ, კოლმეურნეობის საუკეთესო ზვინისმდგმელმა,

ზვინის დადგმა ასწავლა, და ბრიგადირი ამბობდა, კოსტია საზრიანი ბიჭია, სამკალ მანქანაზე მუშაობა უნდა სცადოსო.

რა გაეწყობა, რაკი ენდობიან, რატომ არ უნდა ისწავლოს სამკალ მანქანაზე მუშაობა?

ჰოდა, ერთ თაკარა დღეს მანქანა ქერის ნათესში გაიყვანა. გზა-გზა ყურს უგდებდა მის თანაბარ კაკანს.

კოლმეურნეობაში ერთსულოვანი მუშაობა იყო გაჩაღებული: დიდი და პატარა, ვისაც კი რაიმეს გაკეთება შეეძლო, მინდორში გავიდა. ჩქარობდნენ, ამინდის გაფუჭებამდე აეღოთ მოსავალი.

სოფელი ახლა წყნარი და უკაცრიელი ჩანდა. მხოლოდ საბავშვო ბაგასა და ბაღში იმატა ხმაურმა და ფუსფუსმა. ვინც ჩვეულებრივ დროს შინ უვლიდა ბავშვებს, ახლა მათაც მოუყვანეს შვილები კოლმეურნეობის გამდელებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამტვერილი, გარუჯული, უძილობისგან თვალებდაწითლებული კაცი, სულ ჩქარობდა. მისი შეფიქრიანებული თვალები უკვე ხედავდნენ, რომ მთების გადაღმიდან შეუმჩნევლად მოიპარებოდნენ ლეგა ღრუბლები, კატუნზე ფოშფოში მოიწევდა და ტაიგის მუქ წიწვს ედებოდა.

ცხელი დღეების მხიარულ ფერხულში ჩაბმულ, მაზუთისა და ნამჯის სუნით გაჟღენთილ კოსტიას ერთი რამ ახსოვდა: ახლა სიჩქარე იყო საჭირო!.. ხოლო დალამებულზე შინ დაბრუნებული, ვახშმობასაც ვერ ასწრებდა, მაგიდაზე იდაყვებს დააყრდნობდა და იქვე იძინებდა, თითქმის ვერ იგებდა, დედას სიცილ-ქილიკით როგორ მიჰყავდა ლოგინისკენ.

ერთბაშად გაავდრდა. კოსტიას ძილში ჩაესმა ყავრის სახურავზე ატეხილი წვიმის შხაპაშხუპი. იგი ტრაქტორის შორეულ, დახშულ სუსტ რახრახად მოეჩვენა და ისე წამოხტა, თვალები ჯერ წესიერად არც ჰქონდა გახელილი.

— რატომ არ მაღვიძებთ?!

ცეცხლზე სახეატკრეცილმა დედამ, რომელსაც ხელში სატაცი ეჭირა, ღუმლის გადაღმიდან გადმოხედა.

— ეჰ, ძილში გაგეპარა დრო! გაგეპარა! — გაიცინა მან. — ხალხი რა ხანია მინდორშია, ხედავ, რა ამინდია! ასეთ ამინდში ძილი გაგონილა?

კოსტიამ ახლალა შეამჩნია, რომ გარეთ ჟგეთი ჩამოდიოდა.

— შენ სულ იცინი!.. — წაიბუტბუტა, ცოტა არ იყოს, შემცბარმა კოსტიამ და თვითონაც გაეღიმა. — აბა, რა გაცინებს? იქნებ დახმარება სჭირდებათ!

— არავის არაფერი სჭირდება, — მიუგო დედამ. — მამამ თქვა, ცოტა დაისვენოსო... შენ ხომ მალე მიდიხარ. უნდა მოემზადო. კოლმეურნეობაში კი მთავარი საქმეები მოთავებულია, დანარჩენს უშენოდაც გაართმევენ თავს.

კოსტიამ შეამჩნია, რომ დედის ხმაში ნაღველი გამოკრთოდა. რა წამს გამგზავრება გაახსენდებოდა, იგივე ნაღველი მასაც ცოტათი უწურავდა გულს. ასეა კაცის საქმე: როცა მიემგზავრები, თუნდაც შენი სურვილით, მაინც სინანულით უყურებ მას, რასაც ტოვებ...

— ცოტა კიდევ იწექი, — უთხრა დედამ. — საუზმობამდე თვალი მილულე, ნასაუზმევს კი აბანოში წადი.

კოსტია ისევ დაწვა, სიამოვნებით გაიჭიმა და ახლალა იგრძნო, როგორ დაღლილიყო ამ დღეებში. რული მოეკიდა, მაგრამ უცებ ხასიხარულო აზრმა გაუელვა გონებაში, თვალები დაჭყიტა და დედას ჰკითხა:

— რა რიცხვია დღეს?

— ოცდახუთი. აგვისტო ილევა.

კოსტია ისევ წამოხტა. ახლა უკვე სრულიად გამოფხიზლდა.

— მალე ხომ იაჟნაი ჩამოვა! შეიძლება ხვალაც ჩამოვიდეს... შეიძლება, ახლაც...

— ჰო, — გაეღიმა დედას. — მე მათ ყოველდღე ველოდები... — თქვა და წყნარად ამოიოხრა: — კიდევ კარგი ჩეჩეკი მაინც რჩება ჩემთან! ვნახავ, როგორ იქნება საქმე და შეიძლება ზამთარში ჩემთან გადმოვიყვანო...

შუადღეს წვიმა ცოტა შენელდა. კოსტიამ არმიაკი ჩაიცვა და სახლიდან გავიდა. ცა ოდნავ განათებულიყო, მაგრამ თქორი მაინც ვერცხლივით ბზინავდა ჰაერში.

— კოსტია, სად მიდიხარ? —ქუჩის მეორე მხრიდან გამოსძახა ოლგა ნაევამ. მას შიშველი ფეხები კალოშებში წაეყო და თავის პარმაღთან ქათმებს აშმევდა, თავზე არაფერი ეხურა.

— ბაღში მივდივარ. დიდი ხანია არ ვყოფილვარ, — მიუგო კოსტიამ. — წამოხვალ?

ოლგამ იუარა:

— რას ამბობ, იქ ახლა ტალახიდან ფეხს ვერ ამოიღებ. ნურც შენ წახვალ. დაიცა, ცოტა ქარმა შემოუბეროს.

— არა, წავალ, — კოსტია აჩქარებით გაუყვა სველ, ატალახებულ ბილიკს, რომელზეც ფეხი უცურდებოდა.

აი, გრემუჩიც. აგერ, გორაკზე, ბებერი შოთხვებისა და ნეკერჩხლების გადაღმიდან დიდი თეთრი ფანჯრებით იცქირება სკოლა. ვეება ჩეინეშ-კაიას მძივების მარჯაშივით ჩამოფარებია წვიმა... მოშორებით კი დაბალი, საოცრად ნათელი, საოცრად გასახარელი ნაზი მცენარეულობა... ვაშლები ჩანს!

კოსტიამ სწრაფად აირბინა ხის ერთი პატარა კიბე, შემდეგ — მეორე... როცა კოსტია მეხუთე კლასში სწავლობდა, აქ კიბეები არ იყო. ბავშვები ციცაბო ფერდობზე მიბობღავდნენ, ფეხი უსხლტებოდათ და ტალახიან ბილიკებზე ეცემოდნენ. ვიდრე სკოლას მიაღწევდნენ, იღლებოდნენ კიდეც. ახლა კი ფერდობზე ყვავილნარებია, ციცაბო ბილიკების ნაცვლად თეთრმოჯირებიანი კიბეებია.

სკოლის წყნარ ეზოში ქათმები დაეხეტებოდნენ. მარფა მასწავლებლის სახლის წითელი ნემსიწვერებით გამოვსებული ფანჯრები ღია იყო. ხომ არ შევსულიყავი? — გაუელვა კოსტიას.

დირექტორის სახლის ბალჩის უკან ანატოლი მასწავლებლის ხმა გაისმა. იქნებ მომენახულებინა? — ისევ გაიფიქრა ბიჭმა.

„შემდეგ!" — გადაწყვიტა და ბალისკენ გაუხვია.

შევიდა ბალში და შედგა.

აი. დგანან მოვლილი, ნასათუთები წვრილი, პატარა ხეები, ფოთლები დასველებიათ და უბრწყინავთ. სწორ რიგებად ჩამწკრივებულან. გაიზრდებიან, ამაღლდებიან და სულ უფრო ზემოთ გადაწლიან ტოტებს, გაიბარდებიან.

კოსტია ახლა ამ პატარა, სუსტ ნარგავებს როდი ხედავდა, თვალწინ ვარდისფრად უკრთოდა აყვავებული ბალი, რომელიც ვარდისფერი ღრუბელივით სცილდებოდა ღობეს და ჩეინეშ-კაიას იისფერ შვერილებს ფარავდა.

კოლოგოშში, პირველ დღეებში კოსტიას ბოცვრების გამოკვებაც ხანდახან სამუშაოდ ეჩვენებოდა: აბა, რა? შეიძლება ბოცვრების მდიდარი მეურნეობა მოაწყო, ხორციც გექნება და ტყავიცო...

შემდეგ როცა სამკალ მანქანაზე მუშაობდა, ფიქრობდა. მანქანაც საინტერესო რამ არის, მექანიკოსს ბევრი საქმე ექნება კოლმეურნეობაშიო. ახლა კი ეს ნაზი ხეები რომ მთელი თავიანთი ფარული სილამაზით დაინახა, მიხვდა, მებაღეობა ჩემი ნამდვილი მოწოდება, ჩემი ნამდვილად საყვარელი საქმეაო.

კოსტა ნელა მიჰყვებოდა მწკრივებს. აგერ ერთი ნარგავისთვის ქარს ტოტი მოეტეხა. ცხვირსახოცს მაშინვე ზოლად მოახია ნაჭერი და ხეს ტოტი შეუხვია. სულში საოცარ სილაღეს გრძნობდა, უცებ მოუნდა ბაღში რომელიმე მებაღე ბიჭი შემოსულიყო და მისი სიხარული გაეზიარებინა.

მაგრამ ბევრი მებაღე ჯერ არ დაბრუნებულიყო არდადეგებიდან. ხოლო აქ დარჩენილები შინ ისხდნენ. არავის ეხალისებოდა ბაღში სიარული ამ წვიმიან ამინდში.

უცებ ღობის გადაღმა წკრიალა ხმა გაისმა:

— კენსკინ, კენსკინ! ჰეი! გამარჯობა! როგორ ხარ?

კოსტია შემობრუნდა.

— ჩეჩეკ! — იყვირა და მაშინვე დაინახა შავთვალა, ლოყებღაჟღაჟა ჩეჩეკი. გოგონას ღობის გადაღმა ასკილის სველი ტოტები გაეწ-გამოეწია და სიცილით უცქეროდა კოსტიას, თავზე ისევ ის შინდისფერფოჩიანი ქუდი ეხურა.

კოსტია კვლებს გადაახტა და ღობესთან მიიჭრა:

— ჩამოდით? სადაა იაკნაი?

— აგერ, გზაზე დგას. მეუბნება, ამ წუთში ბაღის ნახვა რა საჭიროა, მერეც ნახავო. მაგრამ მე გულში გავივლე, მერე რას მიქვია, იქნებ ჩემი ვაშლები უკვე აყვავდნენ-მეთქი... ჰოდა, იაკნაი გზაზე გაჩერდა, მე კი ბაღის სანახავად გამოვიქეცი. აქ შენც დამხვდი... გამარჯობა, კენსკინ, გამარჯობა!

ჩეჩეკს ისე უხაროდა, შავ თვალებში ცრემლიც კი გაუბწყინდა.

— გაგიმარჯოს! ოღონდ ასე ნუ ყვირი, — თავშეკავებულად მიუგო კოსტიამ, თუმცა სახე ღიმილით გაბადროდა და თვალები უბრწყინავდა. — ყრუ ხომ არ გგონივარ?

ჩეჩეკს კი ასეთ წუთებში ხმადაბლა ლაპარაკი არ შეეძლო.

— რამოდენა გამხდარხარ, კენსკინ! იაკნაიზე დიდი ხარ! მერედა რა შავი! სახე ყავისფერი გაქვს, სამაგიეროდ თმა გაქვს თეთრი,

წარბებიც, ხოლო თვალები ღია ფერის... ოღონდ წამწამები გაგშავებია ცოტა. მაგრად გარუჯულხარ!

— მინდორში ვმუშაობდი და მზე მომეკიდა... სად მიდიხართ?

— ინტერნატში. ჩვენ კიდევ ერთი გოგო ჩამოგვყვა.

— ინტერნატში რა გინდათ? ჩვენთან წავიდეთ! დედას ერთი სული აქვს, როდის მიხვალთ, მამაც გელოდებათ.

— ჩვენ კიდევ არდინე გვახლავს!

— მერე რა? არდინეც წამოვიდეს!

კოსტიას უნდოდა ბაღი გადაეჭრა და კუტიკარისკენ გაქცეულიყო, მაგრამ გადაიფიქრა. ღობეზე აბობღდა და ჩეჩეკის გვერდით დახტა ბალახზე.

— წავიდეთ! აი, ნახავ, როგორ გაუხარდება დედას.

— წავიდეთ! — დაიყვირა ჩეჩეკმა. — დედაჩემმა საჩუქარი გამოგიგზავნათ — ისეთი თბილი ხელჯაგებია! დედაშენსაც გამოუგზავნა, მამაშენსაც და შენც! ახლავე განახებ! — ჩეჩეკი კოსტიას უკან მიჰყვა ფერდობზე.

ისინი გზისკენ ეშვებოდნენ.

იქ, ხის ძირას, ზურგჩანთამოკიდებული იაკნაი იდგა.

იაკნაის გაუბედავად მიკვროდა ჩეჩეკის მეგობარი—შავგვრემანი არდინე.

ჩვენი ალტაი

სკოლასთან ყოველდღე იზრდებოდა ქივილ-ხივილი.

მოსწავლეები ჩამოდიოდნენ უზნეზიდან, ვერხნი ანოსიდან, მანჟეროკიდან, შორეული სოფლებიდან, ადგილებს იკავებდნენ ინტერნატში.

ინტერნატის ოთახებში აბზინდა სუფთად გარეცხილი ფანჯრები, გამტრედისფრდა ფარდები, დერეფნებში გამოჩნდა ფეხსაწმენდები.

მარფა მასწავლებელი ყოველ დილით მოდიოდა ინტერნატში,

ჩიტიბოლა ახალ მოსწავლეებს, აბანავებდა, ძველ მოწაფებს სიხარულით ესალმებოდა.

ჩეჩეკს მეგობრებთან შეხვედრა გულს სიამით უვსებდა. ჩამოვიდნენ მაია ვილისოვა, ლიდა, ერკელეი, კატია კირგიზოვა... ინტერნატში ლაპარაკი და სიცილი არ წყდებოდა. ყველას სურდა თავისი ამბები მოეყოლა, ერთმანეთისათვის ყველაფერი გამოეკითხა.

— სამი დღის შემდეგ სწავლა დაიწყება! — ზღურბლიდანვე შესძახა ჩეჩეკმა ევდოკია დეიდას და ოთახში შევარდა — მარფა მასწავლებელმა მითხრა ახლა.

— მორჩა თავისუფლად სიარული! — შეეხმიანა ევდოკია დეიდა. — ბოლო მოეღო სეირნობას.

კოსტია მაგიდას უჯდა და თავის სახელმძღვანელოებსა და რვეულებს არჩევდა.

— რას იზამ, სამ დღეში თქვენც გეწყებათ სწავლა და ჩვენც, — უთხრა კოსტიამ ჩეჩეკს.

ჩეჩეკი უცებ გაჩუმდა და კოსტიას შეხედა:

— თქვენც...

— მაშ, — ჩაეცინა კოსტიას. — აბა, რა გეგონა, მე და იაკნაი სკოლაში დარაჯებად დავდგებოდით?

— სამ დღეში...

— ჰო, ხვალ წავალთ. მესამე დღეს ზუსტად ბარნაულში ვიქნებით.

ჩეჩეკმა წამწამები დახარა:

— ხვალ...

— არა უშავს, არა უშავს, — თქვა დეიდა ევდოკიამ. იგი კოსტიას დაკეცილ თეთრეულს ერთმანეთზე აწყობდა. — წავიდნენ. ისინი იქ ისწავლიან. შენ კი — აქ. წავიდნენ.. სამაგიეროდ გაზაფხულზე ისევ ჩამოვლენ. არსად გადაიკარგებიან!..

ვინ იცის, ვის ამხნევებდა დედა: ჩეჩეკს თუ თავის თავს... ძნელია, როცა შენი ღვიძლი და ხორცი შინიდან მიდის, სახლში დიდხანს იგრძნობა სიცარიელე.

ნასადილევს მოულოდნელად მზემ გამოანათა. კოსტიას უკვე ჩაელაგებინა სახელმძღვანელოები და რვეულები. ზურგჩანთა მზად ჰქონდა, ახლავე შეეძლო გზას გასდგომოდა.

— წავიდეთ, კიდევ გავიაროთ ბალში, — შესთავაზა იაკინაბ.
— წავიდეთ — დაეთანხმა იაკინაი.
— მე? — წამოხტა ჩეჩეკი.
— შენც წამოდი.

ბალში ლაპარაკი ისმოდა. ნორჩი ნატურალისტები ბოსტნეულის კვლებთან ფუსფუსებდნენ, ათვალიერებდნენ ვაშლებს, ამოწმებდნენ გაზაფხულზე დარგულ თავიანთ მოცხარს და „ვიქტორიას". შორს, ვაშლის წვრილ ზროებს შორის კოსტიამ ნასტიას ღია ცისფერი თავსაფარი დალანდა. პიონერხელმძღვანელს ბავშვების გუნდი ეხვია გარს და ნარგავებს ათვალიერებდა.

„წიწილებშემოხვეულ კრუხს ჰგავს!" — მხიარულად გაიფიქრა კოსტიამ.

იაკინაისა და კოსტიასთან მაშინვე მოვიდნენ ამხანაგები — ანდრეი კოლოსკოვი, მანჟინი, ვანია პეტუხოვი. ბიჭებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

— გამარჯობა, კანდიკოვ!
— გამარჯობა, მანჟინ!
— გამარჯობა, ანდრეი!.. როგორა ხართ, ბიჭებო?
— არა გვიშავს. ბარნაულის ამბავი როგორღაა?
— ხვალ მივდივართ.

ისაუბრეს, იცინეს, გაიხსენეს ზოგიერთები...

— აბა, რა გაგიკეთოთ გამომშვიდობების წინ? — იკითხა უცებ კოსტიამ. — კიდევ ხომ არ დაგვერგო!

— რატომაც არა, — კვერი დაუკრა იაკინამ. — დავრგოთ! ავიდეთ ჩეინეშ-კაიაზე, იქ ქვეყნის ველური ხურტკმელია. შეიძლება ბალში დავრგოთ, იქნებ ბალის ხურტკმელი გაიზარდოს.

— სწორია, სწორი! — მხარი აუბა მანჟინმა. — მეც გამიგონია, ველური ხურტკმელი კარგ ნიადაგზე მსხვილ ნაყოფს ისხამსო.

— ანატოლი მასწავლებელიც ამას ამბობდა. — მხარი დაუჭირა ანდრეი კოლოსკოვმა. — ოღონდ საუკეთესო ბუჩქები უნდა შევარჩიოთ, სუსტი ტოტები სულ მოვასხიპოთ. ჰოდა, კარგი ხურტკმელი გაიზრდება. ამბობენ, შებალინსკის სკოლაში ამდაგვარად აკეთებენო

— შეაალიისკის სკოლა რად გახდათ! — გაეცინა კოსტიას. —

ბოსტანში, ზედ ჩემს სახლთან ნახეთ როგორი ბუჩქი გაიზარდა! ყოველ წელს სულ უფრო მსხვილსა და მსხვილ ნაყოფს ისხამს. მალე ბალის ხურტკმელს დაემსგავსება.

— აბა, ავიდეთ, — იაუნაიამ თავი ასწია და ჩეინეშ-კაიას მწვერვალებს გახედა.

— იქნებ ხვალ დილას წავსულიყავით? — თქვა ჰეტუხივმა. — დღეს ამინდს ვერ დაენდობი, ხან მზე ანათებს, ხან წვიმს... სინესტეცაა, მთაზე კიდევ სრიალა ქვებია.

— ხვალ? — ჩაიცინა კოსტიამ. — იცი, მე და იაუნაი ხვალ სად ვიქნებით?—კოსტიამ მაგრად შემოიჭირა ქამარი. — თქვენ როგორც გინდათ, ისე ჰქენით, მე კი ავალ. მე ხვალინდელი დღე არა მაქვს, მხოლოდ დღევანდელი დამრჩა და ისიც ნახევარი!..

დასავლეთისკენ გადახრილმა მზემ მცხუნვარე სხივებით გაანათა ვეება ჩეინეშ-კაია და ისევ ათასფრად ააციაგა.

ბიჭები ციცაბო ბილიკებით მიიწევდნენ მწვერვალისკენ. ფართო ფერდობს მოედვნენ, მარჯვედ მიბობღავდნენ ზედ. კოსტიამ ჭანჭყატებისა და მაყვლის ბარდებს შორის ქვას მიკრული ხურტკმელის რამდენიმე პატარა ბუჩქი შეამჩნია. ფრთხილად მოუახლოვდა მათ, ფეხი დიდ ქვას მიაბჯინა, რომ არ დაცურებულიყო და ბუჩქების ამოთხრას შეუდგა. მოთხრილ ხურტკმელს მზრუნველობით დებდა ძარს, არ უნდოდა ფესვებიდან მიწა მოცლოდა. შემდეგ ხტუნვა-ხტუნვით გამოირბინა ბილიკზე.

— კენსკინ! — გაისმა საიდანღაც ზემოდან. — გესმის, აქ მოდი!..

კოსტიამ თავი ასწია: ჩეჩეკი მაღალ ფრიალო კლდეზე ლარიქსის ზროს მიკრული იჯდა. მის თავზემოთ მხოლოდ მწვანე წიწვი და ლურჯი ცა ჩანდა.

— ამოდი, ნახე!

— შენ ვითომ რა ნახე მანდ? ალბათ რაღაც მოიგონე, — მიუგო კოსტიამ, მაგრამ მაინც ავიდა მაღლა. ვიდრე ლარიქსს მიაღწევდა, გაოფლიანდა და ცოტათი სული შეეხუთა.

— მიმოიხედე! — უთხრა ჩეჩეკმა.

კოსტიამ მიმოიხედა. მის თვალწინ მთიანი ალტაი — მთებისა და ხეობების, მდუმარე ტყეებისა და ხმაურიანი წყლების მხარე იყო გადაშლილი... ერთიმეორის უკიდან იცქიოებოდნენ მომრგ-

ვალო, კონუსისმაგვარი, ტალღოვანი, დამრეცი თუ ციცაბო მწვერვალები... შორს, ლურჯი მთაგრეხილის მიღმა, ამ არემარეში ყველაზე მაღალი მთის — ადიგანის თოვლიანი დიდებული მწვერვალი ჩანდა.

— ხედავ? — ჰკითხა ჩეჩეკმა კოსტიას.

— ვხედავ, — მიუგო კოსტიამ.

და ისევ გაჩუმდა ორივე. სადღაც მახლობლად მარწუხა ჟღურტულებდა.

ფერდობიდან ბავშვების ხმები აღწევდა.

ჩეჩეკს თვალი არ მოუშორებია შორეული მთების მონისლული კონუსებისთვის, ისე თქვა:

— კენსკინ, ჩემთვის რომ ვინმეს ეწყენინებინა... დამიცავდი?

— ეგ, რა საკითხავია! — მიუგო კოსტიამ. — მაშ, როგორ.

— რატომ?

— რატომ? აბა, როგორ გითხრა... ჯერ ერთი... გოგო ხარ. მეორეც, ჩვენი პიონერი ხარ. მესამეც... ჩემი მეგობრის და ხარ, მაშასადამე, ჩემი დაც.

ჩეჩეკი უსმენდა და თავს უქნევდა.

— კენსკინ, იცი, — თქვა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. — უცებ რომ დაცემულიყავი, აი, მაშინ, როცა ხურტკმელს თხრიდი, შენკენ გადმოვხტებოდი.

კოსტია გაკვირვებით შებრუნდა გოგონასკენ:

— რატომ უნდა გადმოხტარიყავი?

— როგორ თუ რატომ? დასახმარებლად. შენ ხომ ჩემი ძმისა და ჩემი მეგობარი ხარ. ეჰ, კენსკინ! მაშ, გგონია, მეგობარს გაჭირვებაში მივატოვებ?

ისევ გაჩუმდნენ. მდუმარე მწვერვალები, ჩამავალი მოწითალო მზის სიკაშკაშე, კატუნის თავზე გაწოლილი იისფერი ღრუბლები ნაზად, იდუმალად აჩქროლებდა გულს...

— კენსკინ, იცი რას ვფიქრობ? — ისევ დაიწყო ჩეჩეკმა. — რა იქნება მომავალში... შენ ისწავლი. შემდეგ ჩამოხვალ, ბაღების გა-

შენებას მოჰკიდებ ხელს და მე დავეხმარები! მეც ხომ ვისწავლი... ჩვენ ისე ვიმუშავებთ, ისე ვიმუშავებთ! მინდა ჩემი ალტაი ლისა-ვენკოს იმ ბალივით აყვავდეს!

კოსტიამ შეხედა:

— შენი ალტაი, ჩეჩეკ?

ჩეჩეკმა რამდენიმე წამს თვალებში უყურა კოსტიას. შემდეგ უცებ მიხვდა.

— ჩვენი ალტაი, კენსკინ! — გაიღიმა მას. — ჩვენი ალტაი!

ნ. ლყბოვი

ცხრა ამაზე იქით

კვამლი ხეობაში

ნელ-ნელა სასოწარკვეთილება დაგვეუფლა. ჩვენ ვოცნებობდით, დიდი საგმირო საქმეები ჩაგვედინა და მსოფლიო გაგვეკვირვებინა, მაგრამ ვერ ვახერხებდით.

— ეს ჩვენ ვიყავით — გენადი, პაშა, კატია და მე.

თავდაპირველად ორნი ვმეგობრობდით: გენადი და მე. ბემდეგ პაშა დოლგიხი და კატია შემოგვიერთდნენ. მე კატიას შემოერთება არ მინდოდა, რადგან ტვინს გვჭამდა თავისი კითხვით: „კი, მაგრამ რატომ?“ და სულ კამათობდა. ისედაც არ მომწონდა: დიდი თვალები ჰქონდა, მაგრად დაწხული ნაწნავები აქეთ-იქით გაფშეკოდა, ჩიკორივით დაუდგრომელი იყო. იგი აშკარად უშლიდა ხელს ჩვენს მკაცრ მამაკაცურ მეგობრობას, ქარაფშუტობისა და ბავშვურობის დაღს ასვამდა მას. ამიტომაც მიუკიბ-მოუკიბავად განვაცხადე, კატიას ჩვენთან ყოფნაზე გადაჭრით ვამბობ-მეთქი უარს. პაშამაც დამიჭირა მხარი, მაგრამ გენადიმ თქვა, მართალნი არა ხართ, კატია ევაკუირებულია და გულისხმიერად და ყურადღებით უნდა მოვეპყროთო.

კატია სოფელში ომის დროს ჩამოვიდა დედასთან ერთად. სახლი იქ, უკრაინაში, ფაშისტებმა დაუბომბეს, მამა ფრონტზე დაეღუპა. ჩვენმა კოლმეურნეობამ დედა-შვილს ქოხი და სხვა საჭირო რამერუმეები მისცა და. როცა ომი დამთავრდა, კატიას დედამ, მარიამ თქვა: გადაჩეულს ახალ მეჩვეული სჯობია. ხალხი

ალაც ცხოვრობს. და არა უშავს რა, კარგი ადამიანები არიან... რად ვიწოწიალოთ აქეთ-იქითო. დარჩნენ კიდევაც...

პაშამ თქვა, კი ბატონო, გულისხმიერება და ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ. მაგრამ გოგოები ძალიან ბენტერები არიან, ტექნიკა არ აინტერესებთ, სამაგიეროდ ხელს უშლიან დამოუკიდებელ ადამიანებს და ხშირად ბღავიანო. კატიამ პაშას ენა გამოუყო და უთხრა, იმასაც ვნახავთ, პირველი ვინ აბღავლდებაო.

სიმართლეს თუ ვიტყვით, კატია არცთუ ხშირად ბღაოდა და არა უშავს გოგო იყო: დედოფალებთან არ თამაშობდა, ჭინჭები არ აინტერესებდა და თავის დაცვა შეეძლო, თუმცა კნაქა გახლდათ და ძალა მაინცდამაინც არ მოსდევდა. ერთხელ, როცა ვასია შეერბატომ გაბრაზება დაუპირა, დიდხანს არ უფიქრია, სტკიცა და მანამ არ გაუნებებია თავი, ვიდრე ისინი ძია ზახარმა არ გააზღვა. კატია მაშინ ჩვენს კლასში მიიღეს და ყველანი ერთად დავდიოდით სკოლაში (ჩვენ უკვე მეშვიდე კლასში გადავედით, მხოლოდ პაშა იყო ჯერჯერობით მეექვსეში).

დიდ საქმეებზე ვოცნებობდით, მაგრამ რაიმეს განვიზრახავდით და მაშინვე ირკვეოდა, რომ ჩვენთვის ვიღაცას უკვე დაესწრო, რის გაკეთებასაც ეს-ესაა ვაპირებდით, თურმე უკვე სხვას ჰქონდა გაკეთებული.

ხომ არ შეიძლება ხელახლა გამოიგონო ორთქლმავალი ან თვითმფრინავი, როცა ისინი დიდი ხნის წინათაა გამოგონილი. ახალი ქვეყნები აღმოაჩინო, როცა მთელი დედამიწა სიგრძე-სიგანითაა მოვლილი და ახალი ქვეყნები აღარ არსებობს, ანდა ჰიტლერელები დაამარცხო, როცა ისინი უკვე დამარცხებულია! ეტყობა, ეოთობ გვიან დავიბადეთ და დიდების გზა ჩვენთვის დახშული იყო. ამდაგვარი რამ ერთხელ შინ ვთქვი. დედამ გაკვირვებით შემომხედა და ნითხრა:

— რა ტუტუცი ხარ! ხალხს უხარია, ეს კი წუხს... დიდება მოესურვა! გასწი ბოსტანში, და დიდებას იქ მოიმკი...

ბავშვებმა ერთხმად დავასკვენით, ბოსტანში, რა თქმა უნდა, არავითარი დიდება არაა, ხოლო თუ მაინც არის, სად ბოსტნისა და სად ომის დიდებაო!

— უცნაურია. — თქვა პაშამ, — დედებს ბავშვები უყვართ, მაგრამ რატომღა ვერ უგებენ? წინათ წიგნებში რა კარგად წერდნენ:

დამილოცნიხარ, შვილო, საგმ რო საქმეთათვისო... აქ კიდევ ბოსტანიო!.. ამას წინათ დგუშისთვის ტყავის ნაჭერი დამჭირდა. ავდექი და ძველ ჩექმას მოვაჭერი, დედამ კი საჯანდრავი მთხლიშა... აი, როგორ დამლოცა!

პაშას უნდა ციოლკოვსკისთანა იყოს და ყოველთვის რაღაცას იგონებს. გააკეთა ძროხების სარწყულებელში წყლის ჩასასხმელი დიდი მანქანა. ეს პირველი მოდელია, კოლმეურნეობისთვის კი უფრო დ დს გავაკეთებო, თქვა მან. მანქანამ არ ივარგა. წყალს თვითონ ვერ ასხამდა. ამიტომ პაშამ ზემოდან პატარა კასრი დაამაგრა, მაგრამ იგი შენ უნდა აგევსო ვედროებით. ბერკეტს ხელს დააჭერდი და კასრი გადმოპირქვავდებოდა, ოღონდ სარწყულებელში თითქმ.ს ნახევარი წყალი არ ხვდებოდა.

დედა ეჩუბებოდა პაშას, ეასთან ეს რა ჯოხები და ბერკეტები აჩონჩხეო, მაგრამ ჯერჯერობით მშვიდობა სუფევდა. ერთხელ კი შებინდებულზე ფერმიდან დაბრუნებულმა მამამ ბერკეტს ფეხი დაადგა და თავიდან ფეხებამდე დასველდა. მამამ მაშინვე დაამტვრია პაშას „მექანიკოსი" და თვით გამომგონებელსაც შავ დღეს დაუყარა, რომ იგი მეედელთან, ძია ფედიასთან არ გაქცეულიყო.

ძია ფედია გაბრაზებული გეგონება, რადგან გაბანჯგვლული შავი წვერი აქვს, შუბლზე ღრმა ნაოჭები ასხია, თვალები გაღმოფიფრულ და ასევე გაბანჯგვლულ წარბებში ჩაბალია, მაგრამ სინამდვილეში კეთილი კაცია: სამეედლოს გვათვალიერებინებს ხოლმე, ხანდახან გვარწევინებს გრძელ მბრეულსაც, რომლიდანაც დიდ საბერველს ბერკეტი უკავშირდება.

საბერველი ძველია, მთლად დაკერებული და, თუ მაგრად დაუბერავენ. ანთნეშდება და აქშინდება, გეგონებათ, საცაა ატირდებაო, ამ დროს ქურის თავზე ალი ქრება და მის მაგიერ უცბად ნაპერწკლებს ფრქვევით ამოვარდება ლურჯი სინათლე, რომელშიც მოცეკავე გავარვარებული ნაკვერცხლები ჩნდება. ძია ფედიას მარდად გამოაქვს ქურიდან ნაპერწკლისმფრქეველი რკინის ნაჭერი და, თითქოს ეზმანებაო, კვერს ისე დაჰკრავს. ამ დროს რკინას ცეცხლოვანი ჩინჩხლები აქეთ-იქით სცვივა. გავარვარებულ რკინას მალიმალ ურახუნებს ყოველი მხრიდან, ვიდრე იგი ფარცხის კბილად ან სხვა რამედ არ იქცევა, შემდეგ არც უყურებს, ისე აგდებს წყლიან ავზში. ყველაფერს ისე მარჯვედ და სწრაფად აკეთებს,

გვშურს ხოლმე. მაგრამ ძია ფედიას რამდენიც უნდა ვთხოვოთ, კვერვის უფლებას არ გვაძლევს.

— არა, ბალღებო, — გვეუბნება იგი, — მჭედელი აი, იქიდან ყალიბდება, — თავით გვანიშნებს მძიმე ურიოზე.— როცა მის მოქნევას ადვილად შეძლებთ, მაშინ სხვა ამბავი იქნება. ჯერჯერობით კი უნდა გაიზარდოთ, შემდეგ იქნებ მჭედლებიც დადგეთ.

კატიას გარდა ყველას შეგვიძლია ურიოს აწევა და გრდემლზე მსუბუქად დაკვრაც. მაგრამ მოქნევა გენადისაც კი უჭირს.

ძია ფედია და ჩვენ ვმეგობრობთ. როცა ისვენებს, ათას რაზეზე ვსაუბრობთ ხოლმე. თუმცა რა, მეტისმეტად სიტყვაძუნწია და უფრო ჩვენ ვლაპარაკობთ, ის კი თვალმოჭუტული აბოლებს სპილენძით მოჭედილ მოკლეტარიან ჩიბუხს და მხოლოდ თავს გვიქნევს.

ძია ფედია ყოველთვის გვექომაგება. მას ყველა პატივს სცემს და უგონებს, სოფლსაბჭოს დეპუტატია, კოლტუბში კრებებზე დადის და „პრავდას" ღებულობს.

პაშამ სწორედ მასთან მიირბინა გამოსასარჩლებლად.

— რაო, ისევ იოინბაზე? — ჰკითხა ძია ფედიამ.

— კი არ ბიოინბაზია, მანქანა გამოვიგონე. მე ხომ არა ვარ დამნაშავე, რომ მამამ ძირს ვერ დაიხედა... — მიუგო პაშამ და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

— ეჰ, შენ რა გითხრა, მექანიკოსო!.. კარგი, წავიდეთ სამაოთლისა და სასჯელის ქმნად.

ძია ფედიამ სამჭედლო დაკეტა და პაშას სახლისკენ გასწია. პაშა დაღონდა, მაგრამ უკან გაჰყვა ჩანჩალით, მზად იყო გაჭიოკუნჯისას მოეკურცხლა.

მამას უკვე გამოეცვალა ტანსაცმელი, ალბათ გულიც დაცხრომოდა, მაგრამ პაშა რომ ქოხში შევიდა, შუბლი შეიკრა:

— შენ რაო, გასილაქება ხომ არ მოგიხდა. აბა, აქ მოდი.

— მოიცა, ანისიმ,—შეაჩერა ძია ფედიამ. — გასილაქება მოესწრება. მოთოკვა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არც აჩქარება ვარგა. თუ იეშმაკა, სხვა ამბავია. ამის ტვინი კი ხედავ, როგორაა მოწყობილი?..

— ვიცი, როგორცაა მოწყობილი. ოღონდ რაღაც მოიგონოს და მეტი არაფერი უხდა...

— მეც მაგას ვამბობ... იქნებ სასიკეთო რამ გამოიგონოს. გასილაქება კი ფიქრს გადააჩვევს.

შემდეგ ძია ფედიამ დაიჩივლა. ფილადისებრი რკინა არა მაქვსო, პაშას მამამ საუბარი ფერმაზე გადაიტანა, რომლის ვაჭეც თვითონ იყო, და ამით დამთავრდა ყველაფერი.

მე ტექნიკა არ მეჭაშნიკება. უფრო წიგნების კითხვა და ათასგვარი ამბის მოსმენა მიყვარს. მაგრამ წიგნები, რომლებზეც ხელი მიმიწვდებოდა, ლამის ზეპირად ვიცოდი. ამიტომ ვცადე ჩვენს სოფელზე მატიანესმაგვარი რამ დამეწერა. რვეულები მენანებოდა, თანაც ისინი არითმეტიკის. ან რუსული წერისა იყო. მერედა რუსულის რვეულებში ვინ წერს მატიანეს! მამას კანტორის დიდი დავთარი ვთხოვე და გარეკანზე დავაწერე: „მატიანე. სოფელ ტიჟას ძველი, შუა და ახალი ისტორია. ნ. ი. ბერეზინის თხზულება“. შემდეგ წიგნიდან გადმოვხატე შესაფერისი სურათი — რუსების ბრძოლა მონღოლ დამპყრობლებთან. ჩვენს სოფელში რომ ბრძოლა ყოფილიყო, ამის შესახებ არაფერი მსმენოდა. მაგრამ ვინაიდან ყველა ისტორიაში უსათუოდაა ომები და ბრძოლები, ვიფიქრე, ჩვენს სოფელშიც იყო-მეთქი.

შემდეგ ჩვეულებისამებრ სოფელი აღვწერე:

„სოფელი ტიჟა მდინარე ტიჟას ნაპირზეა გაშენებული. სულ ოცდაერთი კომლია. აღმოსავლეთით მდინარე ტიჟა ჩაუდის, დასავლეთით კი არაფერი. იქ მხოლოდ სოფელ კოლტუბისკენ მიმავალი გზა გადის. კოლტუბი ჩვენგან ხუთ თუ ექვს კილომეტრზეა (მანძილი ზუსტად ვერ დავადგინე: იქ ყველა ფეხით ან ტრანსპორტით დადის, მაგრამ გზა გაზომვით არავის გაუზომია). კოლტუბში შვიდწლიანი სკოლა და სოფლსაბჭოა, სოფლსაბჭოში კი ტელეფონია. კოლტუბიდან გზა წიწვიან ტაიგას გაივლის და უერთდება ჩუისკის შარაგზას, რომელზეც მანქანები დადიან. მდინარე ტიჟას გაღმა საკოლმეურნეო მინდვრებია გადაშლილი. მინდვრები ზედ ნაპირს მიუყვება, რადგან მდინარის მახლობლად მთლიანად ლარიქსით დაფარული დიდი მთაა აღმართული.

ჩრდილოეთით მთები და ტაიგაა, ხოლო სამხრეთით ისეთი გაუვალი ადგილები და უღრანი ტყეებია. კაცი ვერ გაივლის. ზამთრობით კიდევ შეიძლება აქეთ-იქით წასვლა-წამოსვლა, ზაფხულში კი ვერც ცხენოსანი გააღწევს და ვერც ქვეითი. ძია ზახარს ხომ

მგლის მუხლი აქვს. მაგრამ იქ არ დადის. ულრანის მიღმა შიშველი კლდოვანი მწვერვალებია, კარგ ამინდში შორს, ძალიან შორს თოვლიანი მთები ჩანს.

სოფელი დაარსდა...“

აი, აქ გამიჭირდა: სოფელი, რა თქმა უნდა, უძველეს დროს დაარსდა. მაგრამ მე ვერავითარ სიძველეს ვერ მივაკვლიე. სოფელში ყველაზე წლოვანი დიდედა ლუშა გახლდათ. ის უკვე ვერაფერს ხედავდა, ყურში არ ესმოდა და არც იცოდა, რა ხნისა იყო: ჩემს წლებს აბა, ვინ დაითვლის! ნელ-ნელა ვცხოვრობ და ვცხოვრობო. — ამბობდა იგი.

დიდედა ლუშას გულის მოსაგებად მთელი ხოკერი მაჟალო მივუტანე. მაგრამ ვერაფერს გავხდი. სულ ამას იძახდა:

— მოტრტვლებული ადგილი იყო, ჩვენ რომ მოვედით, ღმერთო დაგკიფარე — მხეცები და ლოდები დაგვხვდა!.. ჯოჯოხეთურად გაეშამდით. შემდეგ შეეჩვიეთ, შეეგუეთ აქაურობას... ამ ადგილებს ხომ არაფერი შეედრება!

ძველი ისტორია ვერ დავადგინე. არც შუა ისტორიას დაადგა საშველი. შემდეგ ბაბუა სავას შევუჩნდი, მან კი ხელი ჩაიქნია:

— რა ისტორია აქვს ჩვენს სოფელს! ამ ულრან ადგილას წელში ვეუდებოდით. სული გვძვრებოდა. ეგაა მთელი ისტორია. ცხოვრებამ აქ ჩვიდმეტი წლიდან შემოაღო კარი, სინამდვილეში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან... ჰო, აი, როგორი ისტორია გვაქვს. ჩვენი საუკუნე ეს-ესაა დაიწყო და ისტორიას შემდეგ დაწერენ... წინათ კი... — ბაბუა სავამ ამას მოაყოლა, 1904 წელს როგორ ებრძოდა იაპონელებს და გიორგის ჯვარი დაიმსახურა, მაგრამ ეს ამბები სულ არ ესადაგებოდა სოფლის ისტორიას.

სოფლის ისტორიას ვერაფერი მოვუხერხე. დავთარი დავმალე, მაგრამ სოფელში მის შესახებ გაიგეს და იმის შემდეგ სულ „ზენატიანე ყოლიას“ მეძახდნენ.

ასე ზედიზედ გადაესხა წყალი ჩვენს ჩანაფიქრს და წამოწყებას.

მე და პაშა გენადის იმედითღა ვიყავით. იგი ცრუპენტელა გახლდათ, რისთვისაც „ცრუპენტელა გენადი“ შევარქვით. დაუფიქრებლად ცრუობდა. თავისი გამონაგონის თვითონვე სჯეროდა და ჰას ისე გატაცებით ჰყვებოდა. ჩვენ პირდაბჩენილნი ვუსმინდით ხოლმე. ახლა მხოლოდ გეაადი თუ მოფიქრებდა რაღაცას და გა-

საჭირიდან გვიხსნიდა. მაგრამ ის არსად ჩანდა. ვერც ქოხში ვნახეთ, ვერც სოფელში, სად გადაიკარგა. დედამისმაც არ იცოდა.

დიდხანს ვისხედით პესტოვების ოროვანდით და ბირკავებით გაბურდულ ეზოში და გენადის ველოდით. პესტოვები — მოხუცი ცოლი და ქმარი — ომის დროს დაიხოცნენ. მათი ქოხის კარ-ფანჯრები აფიცრული იყო და ყოველთვის აქ ვიკრიბებოდით, რადგან ხელს არავინ გვიშლიდა.

რუხ ლურჯ კლდოვან მწვერვალებს ვარდისფერი მოედო. ტიჟას გაფაფრული ნისლი გადმოადგა. დადგა შინ წასვლის დრო.

პაშამ თქვა, სახლში წავედიო. ამ დროს ბუჩქები აბმიანდა და გამოჩნდა აქოშინებული, თმაგაბურძგნილი გენადი. პერანგი გახეოდა, მუხლი და ხელები მიწით და ხის ფისით მოსვროდა, ლოყაზე კი ღრმა, უკვე სისხლშემხმარი ნაკაწრი აჩნდა. ფრთხილად მიმოიხედა ირგვლივ, ჩაცუცქდა და ავის მომასწავებელი ჩურჩულით იკითხა:

— საიდუმლოს შენახვა შეგიძლიათ?

მღელვარებისგან ყელი გამიშრა. კატიას თვალები გაუფართოვდა, ხოლო პაშა შეშფოთებით აქშინდა. ჩვენი სანუკვარი ოცნება იყო, რაღაც გვცოდნოდა. თუნდაც უმცირესი საიდუმლო! და თუმცა არასდროს დაგვჭირვებია საიდუმლოს მსგავსი რამ შეგვენახა. ენაზე კბილის დაჭერა ყველაზე უკეთ შეგვეძლო. ისე კი რა საიდუმლო უნდა ყოფილიყო ტიჟაში, როცა დიდმა და პატარამ ყოველივე იცოდა და არაფერს უმნიშვნელო საიდუმლოს ნიშანკვალიც არ ეცხო!..

გენადიმ ისევ მიიხედ-მოიხედა და უფრო ხმადაბლა თქვა:

— ტიჟას დასახლებული პუნქტის რაიონში დივერსანტები გამოჩნდნენ!

— ტყუი! — უთხრა კატიამ.

— ვტყუი? — ისე აღშფოთდა ვენადი, სული შეუგუბდა. — იცით, სად ვიყავი დღეს? ალბათ მთელი ათი კილომეტრი მუცელზე ვიხოხე. — მან დაკაწრული, დასვრილი ხელები გვიჩვენა. — შიშველი ქედის გადაღმა. ხეობაში კვამლი დავინახე, შემდეგ კი ვნახე...

— რა?

—აი! — გეხადიმ ქაღალდის ნაგლეჯი გამოგვიწოდა.

ეს ჩვეულებრივი კი არა. სქელი და ტკიცინა ქაღალდი იყო, ცალ მხარეს თეთრი, მეორე მხარეს არითმეტიკის რვეულივით მკრთალ-მწვანე ხაზებით დახაზული, ოღონდ არითმეტიკის რვეულისგან განსხვავებით უფრო პატარა უჯრედები ჰქონდა. უჯრედებზე შავი ფანქრით იყო გავლებული კლაკნილი, ტეხილი ხაზები, ხაზების სიახლოვეს პატარა ისრები და ციფრები ჩანდა, გვერდით კი დიდი ისარი, რომელიც ასო №-ს ებჯინებოდა.

უცნაურმა ქაღალდმა ეჭვები გაგვიფანტა.

— რა ვქნათ? — ვერ აიტანა დუმილი კატიამ.

— წავიდეთ და გამოვიძიოთ ვინ არიან.

— იქნებ დივერსანტები არ არიან? საიდან უნდა გამოჩენილიყვნენ? — შევყოყმანდი მე.

— ე, შენ რა გესმის! საზღვარი განა შორსაა?

— იქ ხო მონღოლეთია. ჩვენ კი მონღოლეთთან ვმეგობრობთ.

გენადიმ დამცინავად გადმომხედა:

— ჰო, მაგრამ... ლამები რას შვრებიან?

— „ლამები" ვინღაა? — იკითხა პაშამ.

— ლამა მონღოლების მღვდელია. ჩვენს ქვეყანაში ლამები არ არიან, მონღოლეთში კი არიან. (ძალიან ბევრი რამ იცოდა ამ ჩვენმა გენადიმ!) ჰოდა, დივერსანტებმა ან ჯაშუშებმა ლამას სამოსი ჩაიცვეს და აქეთ გადმოვიდნენ!

— რაიონს უნდა შევატყობინოთ, — თქვა პაშამ.

— აბა, რა! მაგრამ ორდენი? ვინც დაიჭერს, ორდენს იმას მისცემენ.

ყველანი ორდენებზე ვოცნებობდით, ამიტომ პაშას არავინ აუბა მხარი.

— ვისაც ეშინია, წამოსვლას არ ვაძალებ. საქმე სახიფათოა და გულმაგარნი წამოვიდნენ, — განაცხადა გენადიმ.

— გოგოები არ წავიყვანოთ! — თქვა პაშამ.

— რატომ, — აპილპილდა კატია. — შენ გგონია, მეშინია? სულაც არ მეშინია! შენ ჩემზე ადრე გაგეპარება სული კოჭებში.

— კატია, შეიძლება იძულებული გავხდეთ დიდხანს ვიხოხოთ მუცელზე... — უთხრა გენადიმ.

— მე თქვენზე უკეთესად ვხოხავ! — იყვირა კატიამ. — ამათ დამიხედეთ! ეროი არ წამიყვანოთ, ყველას გავაგებინებ! ახლავე

წავალ კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ძია ივანესთან და ყველაფერს მოვუყვები!

განაწყენებული კატია მუქარას მართლა შეასრულებდა და მერე გეყარა კაკალი: ქაღალდს წაგვართმევდნენ, რაიონს შეატყობინებდნენ, შეიძლება მოგვხვედროდა კიდევაც...

— ეჰ, ეს რა ჭირი გადაგვეკიდე!.. კარგი, წავიდეთ! — უთხრა გენადიმ კატიას.

— საცაა დაღამდება, სად წავიდეთ? — შეუყუმანდა პაშა. — ჩვენები რას გვეტყვიან! თანაც ამ წყვდიადში რას იპოვი.

მართლაც მთლად ჩამობნელდა, ფანჯრებში სინათლეები აციაფდა.

შეფიქრიანებულმა გენადიმ კეფა მოიქექა:

— ჰო, ახლა ვერაფერს გაეკეთებთ... კარგი! ხვალ უთენია შევიკრიბოთ აქ...

უცნობი

ჩვენ ყოველთვის ვოცნებობდით რაღაც საიდუმლოზე. აი, ისიც გაგვიჩნდა. მაგრამ ისეთ გულის დამამძიმებელ ტვირთად მექცა, მთლად გავსავთდი, ვიდრე დედა სუფრას შლიდა და ვვახშმობდით. დედა ეჭვიანად მათვალიერებდა და მკითხა:

— რას გაუჩენულხარ?

— ეტყობა, ბევრი ირბინა, — მიუგო მამამ. — მთელი დღე დამთხვეულივით დარბიან. ხედავ, კოვზიც ხელიდან უვარდება.

თეფშისკენ გადავიხარე და თავი ისე დავიჭირე, თითქოს ფეტვის ფაფის ჭამით ვიყავი გართული, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადამდიოდა. მამისა და დედის მ-მართ სინაზე ვიგრძენი, საკუთარი თავის მიმართ კი მწარე სიბრალული — ვაითუ უკანასკნელად ვვახშმობ მშობლიურ ქოხში, უკანასკნელად ვხედავ დედას, მამას და პატარა სონიას-მეთქი.

მინდოდა მოვფერებოდი მათ, მეგრძნობინებინა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს საღამო — შეიძლება ერთად გატარებული უკანასკნელი საღამო... მაგრამ შემეშინდა ეჭვი არ აღმეძრა და გამოკითხვა არ დაეწყოთ. ამიტომ მხოლოდ ის ვიკმარე, რომ ნავახშ-

მევს სონიას ფერადი სურათების კოლექცია ვაჩუქე, რომელსაც იგი დიდი ხანია მთხოვდა. სონია კი ვერ მიხვდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა საჩუქარს, ისე ეძინებოდა, კოლექციის ჩუქება სულაც არ გაჰკვირვებია.

დიდხანს ვტრიალებდი ღუმელზე, მეგონა, თვალს ვერ მოვხუჭავ-მეთქი, მაგრამ როცა დედამ სატაცი აარახუნა, უცებ გამოვფაიზლდი და... თურმე გათენებულიყო. სახელდახელოდ ვისაუზმე — ცხელი კარტოფილი ყელში მეჩხირებოდა — ყველას გამოსამშვიდობებლად მოვავლე თვალი და პესტოვების ქოხისკენ გავიქეცი.

ჩქარა რომ მივსულიყავი, მოკლეზე, ეზო-ეზო გავიქეცი და უეცრად მთელი ძალით დავეჯახე ვასია შჩერბატის, რომელსაც კოჭობით რძე მიჰქონდა. დაორთქლილი სრიალა კოჭობი კინაღამ გაუვარდა ხელიდან. მართალია, სულ ცოტა რძე დაეღვარა, მაგრამ ვასია რის ვასია იყო, შემთხვევა არ გამოეყენებინა და ჩხუბი არ აეტეხა. კოჭობი ძირს დადგა და ამ დროს პარმაღზე დედამისიც გამოვიდა.

— ვასია! — დაუძახა მას. — არ გათავდება შენი ზოზინი? ბიძაშენს შია...

ვასიამ მუშტი მომიღერა, კოჭობი აიღო და ქოხისკენ გაიქცა. მინდოდა შევჩერებულიყავი, გამეგო, რომელი ბიძა გამოეცხადა ვასიას — ის და დედამისი ხომ მარტო ცხოვრობდნენ. მაგრამ გამახსენდა, რომ ბიჭები ალბათ მელოდნენ და მოვკურცხლე.

ყველა იქ იყო. გენადიმ დიდის ამბით შეგვათვალიერა და გვითხრა:

— არავის შეშინებია, არავის გადაუფიქრებია წამოსვლა? ჩაშ წავიდეთ!..

სოფელს გავცდით თუ არა, გენადიმ მაშინვე დაიწყო დაკვირვება: ხან სოფელს შემომდგარ ქედს ათვალიერებდა, ხან დაჟინებით ეცქეროდა ცხვრისა და ძროხების ნაჩლიქრებით დაჩიჩქნილ მტვრიან გზას. არც გზაზე, არც ქედზე საინტერესო არაფერი ჩანდა და პაშამ აგდებულად ჩაიფრუტუნა:

— გენადი, გეყოფა მაიმუნობა!

მაგრამ წინ მიმავალმა გენადიმ უცებ ხელები გაშალა და გზა გადაგვიღობა, დაიბარა: ცხვრისა და საქონლის ნაჩლიქარებს კაცის

დიდი ჩექმის ნაკვალევი ფარავდა. ადამიანის ნაკვალევი გზას კვეთდა და გზისპირა ბალახში იკარგებოდა. გენადიმ ნაკვალევს გვეოდით ჩაუარა, დააკვირდა, შემდეგ უკან დაბრუნდა და გამარჯვებულის იერით შემოგვხედა:

— ნახეთ?

— რა არის სანახავი? ვიღას არ შეეძლო აქ გავლა! ალბათ ჩვენებმა გაიარეს.

— არა, ჩვენებმა კი არა, კოჭლმა. აბა, კარგად დააკვირდი.

— მერე რა მოხდა? არხიპმა ფეხი გადაიყვლიფა, ჰოდა, წაიკოჭლა.

გენადი შეყოყმანდა. ნაკვალევი შეიძლებოდა მართლა ყოფილიყო კოლმეურნეობის მწყემსისა, რომელმაც უთენია გარეკა ნახირი. კიდევ დახედა ნაკვალევს და გზიდან გადაუხვია.

სოფლის განაპირას ქედზე გადავედით და მის ერთ განტოტებაზე დავიწყეთ ასვლა. გენადიმ სწორედ ამ განტოტების გადაღმა იპოვა ნახაზი. მან მწვერვალებიდან ორასი მეტრის დაშორებით შეგვაჩერა და მარტო გაცოცდა წინ. რამდენიმე ხნის შემდეგ მობრუნდა და წაიჩურჩულა:

— მდგომარეობა არ შეცვლილა, შეიძლება გზა განვაგრძოთ.

ჩვენ განვაგრძეთ გზა. მოხრილნი გადავრბოდით ბუჩქიდან ბუჩქამდე.

ქედის განტოტება დამრეცად ეშვება ჩვენი სოფლის მხარეს, ჩრდილოეთ ფერდობი კი ციცაბო და ალაგ-ალაგ ხრამიანია.

მწვერვალს რომ მივაღწიეთ, მიწას მივეწებეთ: ქვემოთ, იქ, სადაც ტიეა მიედინება და ქედის განტოტებას უვლის, კვამლი ამოდიოდა... უქარო ღილა იდგა და მზის ნათელ შუქზე, სოჭნარის მუქ ფონზე, მოცისფრო კვამლის ეს სვეტი ნათლად ჩანდა.

გენადი გაკვირვებით მიაჩერდა მშვიდად ამომავალ კვამლს. გუშინ კვამლი საკმაოდ შორს, შიშველი ქედის გადაღმა ამოდიოდა, ახლა კი სულ ახლოს იყო და, მთებს რომ არ შეეშალათ ხელი, კარგა ხნის წინათ შეამჩნევდნენ სოფელში. მაშასადამე, დივერსანტები საოცრად გულადნი და თავხედნი იყვნენ, რაკი დღისით, მზისით სოფლის მახლობლად მოიკალათეს!

უცებ დამცხა, სუნთქვა შემეკრა, თითქოს სირბილით შევვარდნილიყავ ცხელ წყალში და არც ამოყვიითვა შემეძლო, არც ამო-

სუნთქვა. გუშინ სხვებივით მეც დავუჯერე გენადის. მაგრამ ეჭვი მაინც მიღრღნიდა გულს: იქნებ ახალი თამაში მოიგონა, ხოლო საიდუმლო ქაღალდი სადმე ადრე იპოვა-მეთქი... ახლა კვამლს აშკარად ვხედავდით და ეს ყოველივე სულაც არ ჰგავდა თამაშს, რადგან კვამლის დანახვაზე გენადიც კი დაიბნა.

სუნთქვაშეკრულნი მივხოხდით ტიჟაზე გადამყურე ხრამის პირთან და ქვემოთ ჩავიხედეთ.

ზედ ხრამის ძირას თეთრად ჩანდა პატარა კარავი, გვერდით ცეცხლი ენთო. ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა. შემდეგ კარვიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც უჯრედულა პერანგი ეცვა და ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა. კაცმა თვალებზე რაღაც მიიდო — მოვხვდით, რომ ეს ბინოკლი იყო — და ნელ-ნელა დაიწყო მდინარის გაღმა მდებარე მთების თვალიერება. მართალია, ზურგშექცევით იდგა და ჩვენ ვერ დაგვინახავდა, მაგრამ მაინც უკან დავიწიეთ ცოტათი და მაღალ ბალახში ჩავიმალეთ.

— ოჰ, შეხედეთ! — თქვა უცებ კატიამ.

მდინარის გაღმა მაღალი მთის მწვერვალზე რაღაცამ გაიბრწყინა ერთხელ, ორჯერ... ეს ციალი დროგამოშვებით მეორდებოდა. ქვემოთ მდგომი კაცი ბინოკლით თვალმოუშორებლად უცქეროდა მწვერვალს და, რა თქმა უნდა, ციალს ხედავდა. შემდეგ ბინოკლი მოიცილა, ჯიბიდან რაღაც ამოიღო და მარჯვენა ხელით ხან აღებდა, ხან ხურავდა იმას, რაც მარცხენაში ეჭირა.

— სარკეა! — მიხვდა გენადი. — ნიშანს იძლევა! ხედავთ?

ნამდვილად ასე იყო. მაშასადამე, დივერსანტები გენადის არ მოუგონია. თანაც აქ ერთი კაცი კი არა. მთელი ბანდა იქნებოდა! ვინ იცის, შლაპიანის რამდენი თანამზრახველი იმალებოდა ახლომახლო მთებში, მისადევრებსა და ხეობებში! რაკი ამ მთაზე გამოტყვრნენ, ხომ შეიძლებოდა, სხვაგანაც ყოფილიყვნენ, გაუვალი ტყეებისთვის შეეფარებინათ თავი...

პაშა გაფითრდა და ენის ბორძიკით თქვა (მას ყოველთვის ენა ებმებოდა, როცა ეშინოდა):

— რაი-ონში ხომ არ-არ წავსულიყავით?

ალბათ გენადისაც შეეშინდა, მაგრამ არ იმჩნევდა. მე კი შევშფოთდი და სახლი გამახსენდა. ოთახში ახლა კვერებისა და ახალგარეცხილი იატაკის სუნი დის. მამა ალბათ სამოვარს დგამს, სონია

კი ეხმარება, ცდილობს, სამოვრის მილში ფოთლებიანი გრძელი მწვანე ჯოხი ჩაჩხიროს. მილიდან სქელი თეთრი ბოლი ამოდის, ეფინება იატაკს, სონიას თვალებს უწვავს. სონია ბრაზდება და ფეხებს აბაკუნებს, მაგრად ხუჭავს თვალებს, მაგრამ სამოვარს მაინც არ შორდება და ალალბედზე ჩრის მილში ჯოხს. მამა ღიმილით ადევნებს თვალს და ეუბნება: ყოჩაღ, შვილიკო! კარგი დიასახლისი გამეზარდეო! დედა ძროხას წველის. ძროხა გემრიელად ცოხნის პურის ბოლო ნაჭერს და თაფლისფერ თვალს ბრეცს. საწველში თეთრი ქაფიანი ნაკადი ჩაჩხრიალებს... კიდევ ვნახავ ყოველივე ამას?

ბუჩქებში გავცოცდით და ბჭობა გავმართეთ.

გადავწყვიტეთ, დავხოცილიყავით და მაინც გაგვემარჯა, მაგრამ გასამარჯვებლად საჭირო ძალა აშკარად არ გაგვაჩნდა. პაშამ თქვა, სულაც არ მინდა მოვკვდეო, კატიამ მაშინვე გამოიჭირა: „აჰა, შეგეშინდა! მე კი სულაც არ მეშინია“! გენადიმ ორივე დაამუნათა, ახლა გაბრაზების დრო არ არისო.

ყველაზე გონივრული იყო რაიონში ამ ამბის გაცხადება, სადაც ორი მილიციელი მუშაობდა. გენადის თვითონ ენახა, რომ მათ ბუდეში ნამდვილი ნაგანები და სპილენძის ზუმბები ედოთ. მაგრამ კოლტუბში, სულ ერთია, ტელეფონს არ გაგვაკარებდნენ და უფროსების გარეშე ვერაფერს გავხდებოდით. თანაც ექვსი საათი მაინც დაგვჭირდებოდა, თუნდაც აქეთ-იქით გვერბინა. ამ ხნის განმავლობაში ვინ იცის, რას ჩაიდენდნენ დივერსანტები. ამიტომ ყოველივე კოლმეურნეობის თავმჯდომარისთვის, ძია ივანესთვის — გენადის მამისთვის უნდა გვეცნობებინა. ძია ივანე ფრონტზე ზემდეგი იყო და, რასაკვირველია, უცებ მოიფიქრებდა, რა უნდა გავვეკეთებინა. სახელი და დიდება ამ შემთხვევაშიც გვისხლტებოდა ხელიდან. მაგრამ გენადიმ გადაჭრით თქვა: სახელმწიფო უშიშროების გულისთვის საკუთარ წარმატებაზე უარი უნდა განვაცხადოთო. ეს ალბათ სადმე ამოიკითხა, ისე დალაგებული და შთამბეჭდავი იყო მისი ნათქვამი.

ჩვენც გადავწყვიტეთ, უარი გვეთქვა საკუთარ წარმატებაზე.

პაშამ შემოგვთავაზა ყველანი წავსულიყავით კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან და საქმის ვითარება გვემცნო. გენადიმ სასაცილოდ აიგდო ეს აზრი: ჩვენს არყოფნაში დივერსანტები შეიძლება

მ იმალონ და შემდეგ მათი მოძებნა გაგვიძნელდება. ერთი წავიდეს, დანარჩენებმა მათ გაბუწყვეტლივ ვადევნოთ თვალიო.

— პაშა წავიდეს, — შემოგვთავაზა კატიამ. — სულ ერთია, ეშინია.

— სულაც არ მეშინია! თვითონ ხარ მშ-შარა!..

— რა მოგივიდათ, პატარები ხომ არა ხართ? — გააჩერა ისინი გენადიმ. — მე მგონი, კატია უნდა წავიდეს... კატია, შენ არ გეშინია, მაგრამ თუ ჩხუბი ატყდა, ხომ იცი, გოგო ხარ. ქვების სროლა არ შეგიძლია.

— შემიძლია!

— მოიცა, მთავარი ეგ როდია! შენ სწრაფად დარბიხარ, ახლა კი წუთის დაკარგვა არ შეიძლება.

კატია მართლა ყველას სჯობდა სირბილში, ვერავინ ეწეოდა. ცოტათი გაწითლდა კიდეც სიამაყისგან და წასვლაზე უარი აღარ უთქვამს:

— მაშინ ის ქაღალდი მომეცი, თორემ თავმჯდომარე არ დამიჯერებს.

კატია მართალი იყო, ვინაიდან ძია ივანე მართლაც არ დაუჯერებდა, საიდუმლო ნახაზი კი ქვას გახეთქავდა.

კატიამ ქაღალდი გამოართვა და ბუჩქებში გაქრა. ჩვენ კი თვალთვალი განვაახლეთ.

ცეცხლზე კარდალა ეკიდა. დივერსანტი შეჭამანდს კოვზს ურევდა. შემდეგ კარდალა ცეცხლიდან გადმოიღო და ჭამას შეუდგა. ნასაუზმევს ტიკაზე ჩავიდა. კარდალა გარეცხა, მზეზე დადგა გასაშრობად, ხოლო თვითონ კარავში შევიდა.

ჩვენი ფიქრით დივერსანტი დაწვა, მაგრამ ის კვლავ გამოჩნდა, მდინარის შორიახლო დაჯდა და პატარა წიგნაკში რაღაცის ჩაწერა დაიწყო. იმდენ ხანს წერდა, კისერი გაგვიშეშდა და ხელები დაგვიბუჟდა, ის კი ადგომას არ აპირებდა.

ისევ გამოვხობდით უკან. დავიწყეთ თათბირი. გენადიმ შემოგვთავაზა, დივერსანტს უფრო ახლოს მივეპაროთ, რომ ყველაფერი რიგიანად დავინახოთ, თორემ ტყუილა ვზივართ და ვდარაჯობთო. პაშამ თქვა, არაფერიც არაა საჭირო. სოფლიდან ხალხის მოსვლამდე უნდა დავ ცადოთო. მე გენადის მივემხრე. გადავწყვიტეთ,

პაშა ხრამის თავზე დარჩენილიყო, ძე და გენადის კი შორით ჭოგ-ვევლო და კარავთან მისვლა გვეცადა.

— ოლონდ არ გაიქცე, თორემ გიჩვენებ სეირს, — უთხრა გენადიმ პაშას.

პაშა სრულიად უხიფათო ადგილას იმყოფებოდა. აქედან მოკურცხლვა ადვილად შეიძლებოდა, თუ საქმე ცუდად შეტრიალდებოდა, და მან აგდებულად გამობზიკა ტუჩები:

— თქვენ თვითონ არ მოკურცხლოთ!

მთის სამხრეთ ფერდობზე ნახევარი კილომეტრი გავიარეთ. შემდეგ მდინარეზე დავეშვით, ბუჩქებში შევიმალეთ და წინ გავ-ხოხდით. არასდროს მიფიქრია, რომ ბუჩქებს ასე ჩაბღაუჭება შეეძლოთ და ასეთი ეკლიანნი იქნებოდნენ. დავიკაწრეთ, ტანსაცმელი შემოგვეხა, ვიდრე ორმოცდაათ ნაბიჯზე თეთრად გამოჩნდებოდა კარავი. შემდეგ უკვე მეტისმეტი სიფრთხილით მივიწევდით, ყოველი ჩქამი დამაყრუებელ ქუხილად გვეჩვენებოდა. სუნთქვაშეკრულნი მივხოხავდით, მივხოხავდით და აი, პირდაპირ ჩვენ წინ ფოთლებშუა დივერსანტის უჯრედული პერანგი გამოჩნდა. დივერსანტი აინუნში არ იყო, რა ხდებოდა, თავის საქმეს განაგრძობდა, ჩვენ კი მის ზურგს უკან ვიწექით და თვალს არ ვაშორებდით.

მე ჯერ ხელ-ფეხი დამიბუედა, კისერი მეტკინა. შემდეგ ისე ამქავდა ცხვირი, ლამის სული ამომართვა დაცხიკვების სურვილმა. მაგრამ სახე მიწაში ჩავრგე და მოვერიე სურვილს, რომელსაც შეეძლო საბოლოოდ დავეღუპეთ. ალბათ გენადიც ჩემს დღეში იყო, ვინაიდან ხან წითლდებოდა, ხან ფერი მისდიოდა და სულ იქმუტნებოდა, თითქოს წიწვით გამოისტიენაო.

ტანჯვა აუტანელი გახდა და უცებ დივერსანტმა ისე, რომ არც შემობრუნებულა, ხმამაღლა თქვა:

— კარგი, გამოდით! ისე ქშინავთ, მალე ქარიშხალს დააყენებთ...

ამას კი აღარ მოველოდით და თვალები დავხუჭე, ხოლო ცხვირი მიწაში ჩავრგე. დივერსანტი ჩვენკენ შემობრუნდა და გაიმეორა:

— გამოდით! გეყოფათ კუკუდამალობანა!

უკან დასახევი გზა არ გვქონდა. ოფლად გაღერილნი და გაწითლებულნი ბუჩქებიდან გამოვძვერით.

დივერსანტი ჩვენ გვიყურებდა. ჩვენ კი მას შევცქეროდით. უცაობი მთლად ახალგაზრდა იყო და სულ არ ჩანდა საშინელი, სამაგიეროდ ტანსაცმელი ამხელდა მის სივერაგეს: უჯრედულა პერანგი ეცვა, ფართოფარფლებიანი შლაპა ეხურა, წაღების ლანჩებიდან ვეება ლურსმნები გამოსჩხეროდა.

დივერსანტი ძველ ადგილას დაჯდა და გვითხრა:

— ადამიანები შეხვედრისას ერთმანეთს, მგონი, გამარჯობას ეუბნებიან.

გენადი მოიღუშა და პირქუშად მიუგო:

— იქნებ. არ გვსურს...

— ოჰო? — გაუკვირდა დივერსანტს. — არ გსურთ და არც თქვენი აქ ყოფნაა საჭირო! მე უზრდელები არ მიყვარს.

ვიდრე ვუპასუხებდით (კაცმა რომ თქვას, არც ვიცოდით, რა გვეპასუხა), ფლოქვების თქარუნი გაისმა და ცხენზე ამხედრებული ძია ივანე გამოჩნდა. მას უკან კატია მოესვა. კატიას თავმჯდომარის პერანგისთვის ხელები ჩაეჭიდა და ცხენის მოძრაობის კვალად ხტოდა.

ცხენის მოჭენება და კატიას ძირს ჩამოხტომა ერთი იყო. შემდეგ ძია ივანეც ჩამოქვეითდა, კარავს, ჩვენ და დივერსანტს თვალი მოგვავლო და ულვაში გაისწორა.

— მოქალაქეე, ერთი თქვენი საბუთები გვიბოძეთ! — უთხრა დივერსანტს.

დივერსანტმა გაკვირვებით ასწია წარბები, ჯერ ჩვენ გადმოგვხედა, შემდეგ თავმჯდომარეს, ისევ ჩვენ და დაუსტვინა:

— აჰა, გასაგებია! აქეთ მობრძანდით! — კარავზე მიუთითა ძია ივანეს და შიგ პირველი შეძვრა. თავმჯდომარეც შეჰყვა.

თვითონ, შენი ნებით შეხვიდე მტრის ბუნაგში, საშინელი დაუდევრობაა. მაგრამ თუ ძია ივანე ასე გულუბრყვილო აღმოჩნდა, სამაგიეროდ ჩვენ ვიყავით ფხიზლად. გენადიმ თვალი ჩამიკრა და ორივემ კარგა მოზრდილ ქვას დავავლეთ ხელი. კარვიდან ბუბუნი ისმოდა და ყოველ წამს ველოდით იარაღის დაქუხებას. შემდეგ ბუბუნი მიწყდა.

დრო გადიოდა, დუმილი გულს გვიწურავდა. გავიფიქრეთ, ყველაფერი შემზარავი ტრაგედიით დამთავრდაო, და შიშისა და იმის გამო, რომ არაფერი ვიცოდით, სისხლი გვეყინებოდა.

ისევ გაისმა ბუბუნი. ძია ივანე უკუსვლით გამოძვრა კარვიდან, სიცილით აგვხედ-დაგვხედა და გვითხრა:

— ეჰ, თქვე მაძებრებო, თქვენა! თავგზას ურევთ ადამიანს...

შემდეგ ცხენს მოახტა და გაქუსლა.

ფლოქვების თქარათქური მიწყდა, ჩვენ კი დაბნეულნი ვუცქეროდით უცნობს, რომელიც ისევ მოგვიახლოვდა. მხოლოდ ახლა დავინახე, რომ ცისფერი, ნათელი თვალები ჰქონდა, თანაც ისინი უცინოდა.

— აბა, რად არ იძახით, ხელები მაღლაო, ყმაწვილებო? ვხედავ, მაგრად შეიარაღებულხართ.

ქვები ხელიდან გაგვიცვივდა. გენადიმ გამშრალი ტუჩები მოილოკა, კატიამ მისებურად წამოროშა:

— მაინც რატომ უნდა დავიძახოთ?

— სწორია! ამით უნდა დაგვეწყო. ცნობისმოყვარეობა ცოდნის დედაა. მაშ, გავიცნოთ ერთმანეთი...

ამ დროს ზემოთ ყვირილი გაისმა, ჩამოცვივდა ქვიშა და ქვები. ჩვენს მიერ დავიწყებული პაშა თურმე ყველაფერს ხედავდა, მაგრამ ვერაფერი გაეგო. იგი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო, კლდიდან მეტისმეტად გადმოკიდებულიყო, მომწყდარიყო და გადმოვარდნილიყო. ციცაბო ფერდობზე დაგორებული ახლა ისე ყვიროდა, გეგონებოდათ, ყელში დანას უყრიანო. სისხლი გაგვეყინა. იგი უსათუოდ დაიმტვრეოდა. უცნობი იქით გაქანდა, სადაც პაშა უნდა ჩამოვარნდილიყო, და ხელები გაიშვირა მის დასაჭერად, თუმცა დაჭერა გაუჭირდებოდა, რადგან პაშა მსუქანი და მძიმე ბიჭი გახლდათ.

საბედნიეროდ, პაშა არ ჩამოვარდნილა. იგი ხრამის ძირიდან ათი მეტრის სიმაღლეზე ნაპრალში ამოზრდილ ბუჩქს დაეჯახა, ტოტები მოამტვრია, მაგრამ პერანგით მის ფესურას გამოედო და ჰაერში ისე დაეკიდა, როგორც კაუჭზე. ჯერ მიყუჩდა, შემდეგ კი მთელი ხმით იბღავლა:

— ჩამოვვარდები! მოვკვდები!

უცნობი კარავში შევარდა და სწრაფადვე გამოიჭრა გარეთ. მხარზე თოკი ჰქონდა მოგდებული.

— გაჩერდი! — დაუყვირა პაშას.

— ვაი, ჩამოვვარდები! — ისევ ღრიალებდა პაშა.

— აბა, ერთი ს

ახლალა დავინახეთ, რომ უცნობს ფერი წასვლოდა და შუბლი ოფლით დაცვაროდა. მან ამოიოხრა, ოფლი სახელოთი მოიწმინდა და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ.

— ჰა, ზემოდან სხვა ალარავინ ჩამოვარდება? მოდი, შევთანხმდეთ, მოქალაქენო: შეიძლება მესტუმროთ ხოლმე, ოღონდ ისე, როგორც ყველა ადამიანი სტუმრობს — ქვეითად მეწვიეთ და არა ამ მყვირალასავით.

პაშას „მყვირალა“ რომ უწოდეს, განაწყენდა:

— მე სულაც არ მეშინოდა! ახალი პერანგი მაცვია და ამიტომ ვყვიროდი... რომ გამხეოდა, ისე მომცხებდნენ!..

პაშა, რა თქმა უნდა, ტყუოდა. დედამ პერანგი გამძლე ქსოვილისგან შეუკერა, რომ არ დახეოდა. პერანგი მთელი ჰქონდა და მას მხოლოდ შიში აყვირებდა.

უცნობი ქვაზე ჩამოჯდა, ჩვენ კი ქვიშაზე დავსხედით.

— ახლა გავიცნოთ ერთმანეთი, რომ უეცრად ქვები არ დამცხოთ... მე გეოლოგი ვარ, გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ბიხეილ რუზოვი. შეგიძლიათ პირდაპირ ძია მიშა დამიძახოთ. იქ, — უცნობმა ხელი მთისკენ გაიქნია, სადაც ადრე ნაიდუმლო ციალი შევამჩნიეთ, — ჩემი ამხანაგია. ჩვენ დავცალკევდით, რომ თქვენს რაიონს სხვადასხვა გზით შემოვუაროთ. ზედმეტი ფხიანობა რომ არ გამოგეჩინათ. სოფელში თვითონ ჩამოვიდოდი და ასე დიდხანს მუცლით ხოხვა და მუხლების გადატყავება არ მოგიწევდათ... გჯერათ ჩემი, თუ საბუთები წარმოგიდგინოთ?

— გვჯერა, — ამოიოხრა კატიამ.

— ძალიან კარგი! — გაიღიმა ძია მიშამ. — ვატყობ, შეუპოვარნი და უშიშარნი ხართ. რა საგმირო საქმენი ჩაიდინეთ, ვიდრე დივერსანტებზე ამ საშინლად სახიფათო ნადირობას წამოიწყებდით?

გენადი გაწითლდა — დივერსანტები ხომ მან მოიგონა. — მე და კატიას კი გაგვეცინა. ძალიან მომწონდა ეს ყოფილი „დივერსანტი“. იგი დარბაისლურად ლაპარაკობდა, არც კი ეღიმებოდა, ოღონდ ფართო ცისფერი თვალები ისე ხალისიანად უცინოდა, სულაც არ გვწყინდა მისი ნათქვამი და თვითონაც გვინდოდა გაგვეცინა.

კატიას არაფერს ეკითხებოდნენ, მაგრამ მაშინვე წამოაყრანტალა პაშას მექანიკოსისა და მატიანის ამბავი, თქვა, საერთოდ საინ-

ტერესოს ვერაფერს ვაკეთებთ და ეს ძალიან გვწყინსო. ძია მიშა ყურადღებით უსმენდა, უცებ სახე გაუქვავდა, რატომღაც ისეთი ხველა აუტყდა, თვალებში ცრემლი აუკიაფდა და ცოტა ხნით შებრუნდა კიდეც.

— აჰა! მაშასადამე, ირგვლივ მყოფებმა ვერ შეაფასეს თქვენი მისწრაფებანი. გასაგებია. ადრე მეც შემმთხვევია ასეთი რამეები. მაინც რა გინდოდათ გაგეკეთებინათ, ჰა?

კატიამ უთხრა, ჯერ არ გადამიწყვეტია, მაგრამ ალბათ ექიმი ან მფრინავი გამოვალო. პაშამ გამოაცხადა: ქალაქში წავალ, ვისწავლი და ათასგვარ მანქანას გამოვიგონებო. მე კი ვთქვი — მეზღვაური გავხდები და სულ ვიმოგზაურებ-მეთქი. შემდეგ ვიფიქრე და დავურთე, ხანდახან უკან მოვბრუნდები, თორემ დედა იდარდებს ხოლ-მეთქი.

გენადის თავდაპირველად არაფრის თქმა არ უნდოდა, შემდეგ კი განაცხადა, სამუდამოდ წავალ აქედან. აქ ყოფნა მოსაწყენია, ნამდვილი ადამიანი მხრებს ვერსად გაშლისო.

— ოჰო? — გაეცინა ძია მიშას. — მოწყენია უსაქმურობამ იცის... თქვენ პიონერები ხართ?

— ვართ.

— მერედა რას ნიშნავს ეს?

— იმას, რომ პიონერები ლენინის საქმისთვის იბრძვიან.

— სწორია! სიტყვა „პიონერი“ რაღას ნიშნავს? წინმავალს! მერე თქვენ სით მიდიხართ?.. გგონიათ, თქვენი საქმე გართობა და ბუდეებს დანგრევაა?

— ბუდეებს მარტო პაშა ანგრევს, — თქვა კატიამ.

პაშას ყურები აუწითლდა.

— მე ჩემთვის კი არა, მეცნიერებისთვის ვაკეთებ ამას. კვერცხების კოლექციას ვაგროვებ.

— მეცნიერებას რად უნდა შენი კოლექცია? ძველთაგანვე იციან, როგორ კვერცხებს დებენ ჩიტები, შენ კი სრულიად უსარგებლოდ ხოცავ მომავალ ფრინველებს.

პაშა გაწითლებული და ცხვირჩამოშვებული იჯდა.

— თქვენც კარგები ბრძანდებით, — გვითხრა ძია მიშამ. — ამხანაგი უწესოდ იქცევა და აინუნში არ აგდებთ. აბა, რა პიონერები

ხართ? ცუდია ეს, მოქალაქენო! ხალხი საქმეს აკეთებს, თქვენ კი, ვხედავ, მხოლოდ მამლაყინწობთ, — ცხვირი დაგიჩეჩქვიათ...

კატიამ ფეხები მოიკეცა, ხოლო გენადი ისე შეტრიალდა, გუშინდელი ნაკაწრები არ გამოსჩეხოდა.

— რას აკეთებს თქვენი პიონერული ორგანიზაცია?

მე ვუთხარი; ახლა არდადეგებია და კოლტუბში არ დავდივართ, ჩვენი პიონერხელმძღვანელი მაინც შვებულებაშია, ბიისკში წავიდა-მეთქი.

— მერედა, თვითონ საქმე ვერ გამონახეთ? ადრე რას აკეთებდით?

— ადრე, როცა ომი იყო, ქაცვს ვაგროვებდი დაჭრილებისთვის. ძალიან ბევრი ვიტამინი აქვს! — მიუგო კატიამ.

— მე და გენადი საზოგადოებრივ სამუშაოს ვასრულებდით, კედლის გაზეთს ვწერდით, — გამახსენდა მე.

— ჰოდა, ამით დამთავრდა თქვენი მუშაობა?

ვაღიარეთ, რომ დამთავრდა.

— არ კმარა! როგორ გგონიათ, ხუთწლედი თქვენ არ გეხებათ?

— ხუთწლედი ხომ იქაა, სადაც ქარხნებს აშენებენ, — მიუგო გენადიმ.

— ხუთწლედი ყველგანაა, სადაც საბჭოთა ადამიანია. რა თქმა უნდა, ქარხნების შენება არ შეგიძლიათ, მაგრამ საქმე თქვენთვისაც ბლომადაა. წინათ ადამიანი უმთავრესად თავს იცავდა ბუნებისაგან, ახლა კი საბჭოთა ადმიანი მას ითვისებს. ჰოდა, აი, პატივცემულო მოქალაქენო, შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ამ საქმეში. ოდესმე კი წინმავალნი გახდეთ... მზადა ხართ თუ არა საამისოდ?

ერთმანეთს გადავხედეთ. რასაკვირველია, მზად ვიყავით, ოღონდ არ ვიცოდით, სად წავსულიყავით.

— კარგი. მე სოფელში უნდა შემოვიარო, თქვენ კი გამყევით და გზაზე მოვილაპარაკოთ.

ძია მიშამ სწრაფად დაკეცა კარავი და აალაგა ნივთები. ჩვენ შევთავაზეთ წაღებაში დავხმარებოდით. პაშას ნაჯახი და კარდალა ერგო. კატიას წერაქვი, რომელსაც თურმე „წერაყინი“ ერქვა, ხოლო მე და გენადი შევთანხმდით, მორიგეობით გვეზიდა კარავი.

— მზადა ხართ? — გვკითხა ძია მიშამ. — წავიდეთ!.. ამრიგად,

რა შეიძლებოდა გიკეთებინათ? ამ კითხვაზე რომ ვუპასუხო, უნდა ვიცოდე თქვენი ამბავი. მომიყევით, როგორ ცხოვრობთ და რითაა ცნობილი თქვენი სოფელი.

გენადიმ უთხრა, ჩვეულებრივად ვცხოვრობთ, სოფელი არაფრითაა ცნობილიო.

ძია მიშას გაეცინა.

— რა თქმა უნდა, არ მიფიქრია, რომ აქ ბაობაბები იზრდება, ქუჩებში სპილოები დადიან, ხოლო ქოხები ბროლისგანაა ნაგები, მაგრამ ჩვეულებრივ სოფელშიც ჩვეულებრივი ბიჭები და გოგონები უამრავ მნიშვნელოვან საქმეს იპოვიან, თუ არე-მიდამოს დანახვას ისწავლიან. აი, შეხედეთ! (ახლა ქედზე ვიყავით, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ჩვენი სოფელი) იქ ცხოვრობთ თქვენცა და თქვენი მშობლებიც, მთელ სოფელში კი ორი დაბეჩავებული არყის ხეა, ისიც სოფლის გარეთ.

— მერე რა? — უთხრა პაშამ. — ირგვლივ რამდენიც გინდა, იმდენი ტყეა. ბოლოში ვერც კი გააღწევ.

— ჰო, ჯერჯერობით ტყე ბევრია. მაგრამ ხომ ეჩრიან შეშის დასაბუნებლად, მშენებლობებისთვის. რა იქნება. აქ ოცი წლის შემდეგ? სოფელი ალბათ დიდი გახდება. შეიძლება ქედებზე ტყე გაჩეხონ ან დაწვან და შიშველ ბორცვებს შორის მიშველი ქოხები დარჩება... ამერიკის ზოგ შტატში, ბევრი ბამბა მოჰყავთ. წინათ იქაც იყო ტყეები და ბუჩქნარები. მაგრამ გაანადგურეს და მთელ მიწაზე ბამბას თესენ. ჰავა უფრო მშრალი და ცხელი გახდა. ქარს არაფერი იკავებს, ხშირად იცის ხოლმე „შავი ქარიშხლები" — ქარი ცაში ნაყოფიერ მიწას იტაცებს და შორს მიაქროლებს. მიწა უფრო და უფრო უვარგისდება და მერე უნაყოფო უდაბნოდ იქცევა. ასე შვრებიან მტაცებელი კაპიტალისტები. ჩვენ კი ჩვენი მიწის ბატონ-პატრონები ვართ და მას უნდა გავუფრთხილდეთ. აი, რატომ უნდა მოვუაროთ ყოველ ხესა და ბუჩქს, არ ავჩეხოთ, დავიცვათ ხანძრისგან.

წარმოვიდგინე, რომ ტიჟა შიშველ კლდეებს შორისაა, რომელთაც ქარმა მთელი მიწა მოსტაცა, მშობლიურ მიწაზე „შავი ქარიშიალი" ზუზუნებს, და გული დამეწურა. ვენადიმ თქვა, სწორია, ხეები უნდა დავიცვათ, დარწმუნებული იყავით, ძია მიშა, ამ საქმეს ჩვენ ვითავებთო.

— ძალიან კარგი! ახლა მშვიდად დამეძინება... სასარგებლო საქმეები როდი უნდა ეძებოთ, ისინი თვითონ გეძებენ და გელიან. თქვენს ადგილას შემოვიღებდი დავთარს, მაგალითად, ასეთს — „სასარგებლო საქმეთა დავთარი“ — და შიგ ჩავწერდი ყველაფერს, რაც საინტერესო და კარგი გაკეთდებოდა მთელ დღეს. მაგრამ სასიამოვნო ამბებს კი არა, ისეთ რამეებს ჩავწერდი, რაც ადამიანებს ცხოვრებას უმსუბუქებს...

— ეს კოლია მემატიანემ გააკეთოს, — თქვა კატიამ. — წერა მას უყვარს.

კარგი, წეროს, საქმე კი ყველამ უნდა აკეთოს. გახსოვდეთ, ის დღე დაკარგულია, როცა სხვისთვის კარგს არაფერს გააკეთებ... აჰა. მოვსულვართ კიდევაც.

ყველას გვინდოდა, ძია მიშა ჩვენს სახლში დამდგარიყო ბინად, მაგრამ მან გვითხრა, მე ისეთი ადგილი მირჩევნია, სადაც ნაკლები ხალხი იქნება — არც მე შევუშლი მათ ხელს და არც ისინი შემიშლიან, ჩანაწერები უნდა მოვაწესრიგოო. ამიტომ გადავწყვიტეთ, კატიას ქოხში ეცხოვრა, ვინაიდან კატია და დედამისი მარტო ცხოვრობდნენ. დედამისი, რა თქმა უნდა, უარს არ იტყოდა. ძია მიშა ქოხამდე მივაცილეთ. მან დახმარებისთვის მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, ახლა თქვენ-თქვენს სახლებში გასწით, საღამოს კი შეგიძლიათ, მეწვიოთო.

სასწაულებრივი თვალი

მთელი გზა ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა კარგი და სასარგებლო. მაგრამ მოფიქრება ვერც მოვასწარი, რომ დედამ ფანჯრიდან დამინახა და დამიყვირა:

— სად დაეხეტები, შე უსინდისო? მოდი გოგოს დაუჯექი, დეიდა მაშასთან უნდა გადავიდე...

მე ჯერ სონიას ვეთამაშე. შემდეგ რაკი კარტოფილი გასამარგლი იყო, საღამომდე ვმარგლიდი.

საღამოს კატიას ქოხის მიწაყრილთან თითქმის ერთდროულად მოვიყარეთ თავი მეგობრებმა. ალბათ ჩემზე უკეთესად არც სხვებს

ჰქონდათ საქმე. რადგან ყველა დუმდა. კატია წამდაუწუმ შერბოდა საბლში და მოგვაბსენებდა, რას აკეთებდა ძია მიშა.

— კარტოფილს ჭამს და დედას ელაპარაკება...

— რძეს სვამს...

— კბილებს იწმენდს...

დედას მობეზრდა კატიას შერბენ-გამორბენა და დაუცაცხანა:

— რა ბუზანკალი შეგიძვრა, შე მაცაცერა. დამაცადე კაცთან ლაპარაკი. რას შემორბიხარ და გარბიხარ. იჯექი წყნარად. ანდა გარეთ გადი და იქ ირბინე...

ბოლოს ძია მიშაც გამოვიდა და მიწაყრილზე გვერდით მოგვიჯდა.

— როგორაა საქმე, ყმაწვილებო? რა გააკეთეთ დღეს?

კატია, რა თქმა უნდა, პირველი არატრატდა:

— დეიდა მაშას მოზვერი მოვუძებნე! ბუჩქებში ეხეტიალა, ეხეტიალა და ქედზე ამოეყო თავი. ჰოდა, დეიდა მაშამ მითხრა: გმადლობ, ჩემო გოგოო.

— ძალიან კარგი!

პაშამ თქვა, მინდოდა, ჭიდან ბოსტნამდე წყალსადენი გამეყვანა, რომ წყალი ვედროებით არ გვეზიდა, მაგრამ სამწუხაროდ მილები არა მაქვს, ღარი ხის ქერქისგან უნდა გავაკეთო და შეიძლება მამამ გამომთათხოსო.

მე გულნატკენმა ვაღიარე, ისეთი არაფერი გამიკეთებია, მთელი დღე პატარა დას ვუვლიდი და კვლებს ვმარგლავდი-მეთქი.

— ეს არც ისე ცუდია!.. შენ რაღა გააკეთე? — ჰკითხა გენადის ძია მიშამ.

— ვასია შჩერბიტის ალიყური ვაჭამე!

— რატომ?

— რატომ და სოფლის გარეთ ბუჩქებს ნაჯახით ჭრიდა. ამიტომაც ვცეცხლე...

— აბა, ეგ რა საქმეა, ალიყური უბრალო რამაა. საქმე ის იქნება, დაარწმუნო, დარგოს და არ გაჩეხოს. ალიყურის ჭმევა კი ჩვეულებრივი ჩხუბია.

გენადი გაწითლდა და თქვა, სოფელში ნამდვილი კაცის შესაფერისი საქმეები არაა. მოზვრის ძებნა და კარტოფილის მარგვლა

ყველას შეუძლია, მე კი ასეთი რამეები მომბეზრდა და თუ არაფერი შეიცვალა, იქ გავიქცევი, სადაც საინტერესოა.

— მაშ, სოფელში საინტერესო არაფერია? — ჰკითხა ძია მიშამ. — ეს რაღა არის? — მან მიწიდან კენჭი აიღო.

— ქვა.

— ქვა არის, მაგრამ როგორი? მინდვრის შპატი გახლავს, ურომლისოდაც ფანჯრის მინას, ფაიფურს, ქაშანურს, ელექტროიზოლატორებს, ვერ გააკეთებ... ადამიანმა ბევრი რამ უნდა იცოდეს. რომ ბუნების ნამდვილი მბრძანებელი გახდეს. აი, მიწაზე დადიხართ და გგონიათ, ის მარტო მიწაა, მეტი არაფერი, სინამდვილეში კი განძზე დააბიჯებთ და ამის აინუნშიც არა ხართ მთიანი ალტაი, ყმაწვილებო, სკივრია, რომლის სახურავსაც ჯერ მხოლოდ ოდნავ ვწევთ, ხოლო როცა შიგ შევაღწევთ, იცით, რა იქნება!..

ჩვენ უნებლიეთ პატივისცემით და მოკრძალებით დავიხედეთ ძირს, თითქოს ველოდით, რომ უცებ ათასგვარი განძი გაიბრწყინებდა, მაგრამ მიწა ჩვეულებრივი იყო, ნაცრისფერი, ქვიშიანი, დანაგვიანებული.

ძია მიშას გაეცინა:

— არა, ასე უბრალოდ კი არაა საქმე! თქვენ შეგიძლიათ მიწას ეს განძი წაართვათ.

— თქვენ მაინც რას ეძებთ? ოქროს? — ჰკითხა კატიამ.

— წავაწყდებით და, რა თქმა უნდა, მოვინიშნავთ, მაგრამ მთავარი ეგ როდია... შეგვიძლია ახლა რკინის გარეშე ვიცხოვროთ?

სასაცილო კითხვა იყო. რკინის გარეშე აბა, როგორ ვიცხოვრებდით! მე ვთქვი, ცხოვრება ტყვიის გარეშეც არ შეიძლებამეთქი. ძია ზახარი ამბობდა, ტყვიის გარეშე ჩემს ცხოვრებას რა ფასი აქვსო.

— მონადირეა?.. მართალი უთქვამს! არის ასე ვთქვათ, უბრალო მშრომელი, მუშა ლითონები — რკინა, სპილენძი, ტყვია, ალუმინი და არის ბაქიები, როგორიც ოქროა...

გაგვეცინა, გენადიმ კი თქვა, არაა მართალი, ოქრო უძვირფასესია და ყველა მას დაეძებს, ამაზე წიგნებშიაც წერია.

— არის ოქროზე უფრო ძვირფასი ლითონები, — მიუგო ძია მიშამ. — მაგალითად, პლატინა ან რადიუმი, თანაც ძალზე სასარგებლონი. ოქრო კი ლამაზი ლითონია, მისი მოპოვება ძნელია, ამი-

ტომაც ძვირად ფასობს... მაგრამ ოქროზე როდი ჭირდა გესაუბროთ. ზოგი ლითონი უსიტყვოა, მოკრძალებული, თავის კეთილშობილებას არ ამჟღავნებს. მათი მოძებნა ძალზე ძნელია, კიდევ უფრო ძნელია მოპოვება. მაგრამ ისეთი თვისებები აქვს, რომელთა გარეშე ტექნიკა მომავალში ვერ განვითარდება.

იცით, რომ ხიდებზე მწყობრად, ფეხშეწყობით გავლა არ შეიძლება? ერთ ქალაქში მდინარეზე ხიდი ააგეს. ხიდი ლამაზი, მკვიდრი იყო და ქალაქის ხელისუფალთ ეამაყებოდათ. ერთხელ ხიდზე სამხედრო ნაწილმა გაიარა. ოფიცრები მკაცრნი იყვნენ და ჯარისკაცებიც მწყობრად მიაბიჯებდნენ. ნაწილი საკმაოდ დიდხანს მიდიოდა. ხიდი უცებ აძაგძაგდა, შექანდა და ჩაინგრა. ადრე ხიდი დიდ სიმძიმეს უძლებდა, ახლა კი ჯარისკაცების სიარულზე ჩაინგრა.

ვერავინ მიხვდა უცნაური ამბის მიზეზს და თქვეს, ღვთის რისხვამ გვიწიაო.

თანდათან ცნობილი გახდა სხვა ამგვარი ამბებიც. მკვიდრი და გაუცვეთავი თვლები და მანქანები მოულოდნელად იმსხვრეოდა სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო.

მეცნიერები ჩაეძიენ ამ მიზეზებს და გამოირკვა, რომ „ღვთის რისხვას“ ბრალი არ მიუძღოდა.

თუ მასალაზე ბიძგებით ან ძაბვით ვიმოქმედებთ, განსაკუთრებით თუ ბიძგები შეწყობილად, დროის გარკვეულ შუალედებში მეორდება, მასალაში ხდება გარეგნულად შეუმჩნეველი. მაგრამ ფრიად საშიში ცვლილებანი: იგი იღლება. როცა ჯარისკაცები ხიდზე ფეხშეწყობით მიაბიჯებდნენ, ისინი ხიდს რიტმულად არხევდნენ. რხევებმა სწრაფად დაღალეს მასალა, რისგანაც ხიდი იყო აგებული, და ხიდი დაინგრა.

მასალებს დაღლილობა სერიოზული ავადმყოფობაა და უფრო საშიში ხდება ჩვენს. დიდი სიჩქარეების დროში. მანქანების დეტალები, თვლები, თვითმფრინავების ხრახნები, ტურბინები წუთში ათასობით ბრუნს ასრულებენ და ლითონები, რომლებისგანაცაა ისინი გაკეთებული, სულ უფრო ჩქარა იღლებიან.

— როგორ? მაშ ლითონებს მკურნალობა სჭირდება?.. — იკითხა კატიამ.

— ლითონების დაავადებათა განკურნება არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება დაავადება ავაცილოთ, თუ წინასწარ „ავუცრით“.

— რა ავუცრათ, ყვავილი? — ჩაიფრუტუნა პაშამ

— უფრო ძვირფასი რამ... ძველად ყველაზე ძვირფას თვლებად მიაჩნდათ ლალი და სმარაგდი ანუ ზურმუხტი. ხასხასა მწვანე ფერის, ძალიან მყარი, ხალასი ზურმუხტი ერთობ ძვირად ფასობს...

— მაინც რა ღირს ასეთი თვალი? — ჰკითხა გენადიმ.

— გააჩნია რამოდენაა, რა ფერისაა და რამდენად ხალასია. ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში არის დიდი კრისტალი, რომელიც თითქმის ორმოცდაათი ათასი მანეთი ღირს იქროთი.

— აი, ეს ყოფილა თვალი, ხეტავ მაპოვნინა!..

— ეძებე! — გაიცინა ძია მიშამ. — ზურმუხტი მუდამ მხოლოდ და მხოლოდ ძვირფას თვლად მიაჩნდათ. შემდეგ ქიმიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ მის შემადგენლობაში შედის ლითონი ბივრილი. ბივრილს სასწაულმოქმედი თვისებები აღმოაჩნდა. იგი სულ ორჯერ მძიმეა წყალზე. ბივრილისა და ალუმინის შენადნობისგან დამზადებული თვითმფრინავი ერთ მესამედჯერ უფრო მსუბუქი იქნება დურალუმინისგან გაკეთებულ თანამედროვე თვითმფრინავზე. ბივრილისა და რკინის შენადნობზე სიცხე და ჟანგი არ მოქმედებს. ბივრილისა და სპილენძის შენადნობი ფოლადის თვისებას ღებულობს, შეიძლება მისი წრთობა. ბივრილიანი გამოწრთობილი ბრინჯაო წრთობის უნარს არ კარგავს წითლად ვარვარების დროსაც კი, მაგრამ მისი ყველაზე ძვირფასი თვისება ისაა, რომ ბივრილით ან უფრო სწორად მისი შენადნობებით „აცრა“ ლითონებს დაღლილობისგან იცავს... ოღონდ სამწუხაროდ ბივრილის მოძებნა არც ისე ადვილია, ძნელია მისი მოპოვებაც. ეს სასწაულმოქმედი ლითონი თავს არ აჩენს...

— მაშ, თქვენ მას ეძებთ? — ჰკითხა პაშამ.

— მასაც და სხვასაც.

გენადის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს მამამისი, ძია ივანე მოვიდა.

— თქვენც აქა ხართ? აბა, გასწით სახლებში! ადამიანს დასვენებას არ აცლით!

ძია ივანემ ძია მიშას მოსკოვისა და კიდევ ათასგვარი ახალი ამბის გამოკითხვა დაუწყო და აბა, სად წავიდოდით, კუთხეს მო-

ფარებულნი ვუსმენდით. შემდეგ ორივე ქოხში შევიდა, ჩვენ აღა-ოაფერი გვესმოდა, მაგრამ კატიამ ჩუმად შეგვიყვანა სახლში. ძია ივანე, ძია მიშა და კატიას დედა, მარია დეიდა, მაგიდას უსხდნენ, ჩვენ ღუმელზე ავძვერით და გავირინდეთ. მოგვიანებით მოვიდნენ ძია ფედია, ძია ზახარი, მეზობლები — ლამის მთელი სოფელი შეიყარა.

საუბრობდნენ ყველაფერზე — მოსავალზე, მოსკოველთა ცხოვრებაზე, იმაზე, თუ რას ეძებდა ძია მიშა, იმაზეც, რომ ომი დამთავრდა, მაგრამ ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით. პაშამ უსმინა მათ, უსმინა და ჩაეძინა, მადიანი ხვრინვაც ამოუშვა!

— ვაი, ჩემმა კატიამ ხვრინვა დაიწყო? —შეწუხდა დეიდა მარია. — ხომ არ გაცივდა?

იგი ღუმელთან მოვიდა და დაგვინახა. ძია ივანე გაბრაზდა:

— აქ რა გინდათ, თქვე დაუდეგრებო, ეს ეუთარი, შინ წადით-მეთქი?

— ნუ გარეკავთ! მათაც ხომ აინტერესებთ? — გამოგვეჭომაგა ძია მიშა.

— „აინტერესებთ“! მაგათმა ინტერესმა მოსვენება დამიკარგა...

იძულებულნი გავხდით წამოვსულიყავით.

შინ ზურმუხტის ამბის მოყოლა ვცადე, მაგრამ ჩემმა დამ ვერაფერი გაიგო, დედამ კი არ მომისმინა:

— რას არ მოიგონებ! რომელ ძვირფას თვლებზე მელაპარაკები, ჯობია დაიძინო...

ღამით მესიზმრა, თითქოს ცხენის თავისოდენა ზურმუხტი ვიპოვე, რისთვისაც ორდენით დამაჯილდოვეს, ხოლო მათემატიკის მასწავლებელი ცუდ ნიშნებს აღარ მიწერდა. განა უხერხული არ იყო ორდენოსანს ორიანები ჰყოლოდა?..

სამეცნიერო ექსპედიცია

მეორე დღეს რამდენჯერმე მივირბინეთ ძია მიშასთან, მაგრამ ის იჯდა და წერდა. შემდეგ ძია მიშას ძია ზახარი ეწვია და ორივე დიდხანს ლაპარაკობდა რაღაცაზე. მხოლოდ საღამოს გამოუჩნდა თავისუფალი დრო. ჩვენ მდუმარედ ვისხედით მიწაყრილზე.

— რას ჩამოგიყრიათ ყურები, გმირებო? — გვკითხა ძია მიშამ.

— ყურები რად ჩამოგვიყრია, ისე ვართ, — უთხრა კატიამ. — აი, მე ვფიქრობ, რა კარგი იქნება დიდი, დიდი ზურმუხტი მაპოვნინა-მეთქი!..

თურმე ყველანი ამაზე ვფიქრობდით.

— ძია მიშა, გვასწავლე ძებნა, — სთხოვა გენადიმ.

— ო, ეს სახუმარო საქმე როდია. ძალიან დიდხანს უნდა ასწავლო, დაამთავრო უმაღლესი სასწავლებელი, მიიღო პრაქტიკა და კიდევ კაცმა არ იცის, იპოვი თუ არა... ხალხი წლობით ეძებს და ვერ პოულობს, შენ კი ახლავე გინდა...

— მაინც წამიყვანე! დაგეხმარები, რაღაცაში წაგადგები — ფაფას გავაკეთებ, კარავს ვატარებ...

კატიამ ტუჩი მოიკვნიტა. პაშა აქშინდა. ალბათ მათაც ჩემნაირმა ფიქრმა გაჰკრა გულში. მე კი ვიფიქრე, რომ გენადი უსინდისოდ მოიქცა: ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, ეს კი მარტო მამლაყინწობს, თითქოს გვჯობდეს.

— მე შენზე უკეთესად გავაკეთებ ფაფას! ფაფის კეთება შენ რა იცი, — უთხრა კატიამ.

— კარავის ტარება მეც შემიძლია, — თქვა პაშამ. — კარვისაც და ყველაფრისაც. ამას უყურე!

— ყველანი წაგვიყვანეთ, — ვუთხარი ძია მიშას. — დაგეხმარებით და ყველაფერს გაგიკეთებთ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ. მარტო გენადი რად უნდა წამოვიდეს? ჩვენც გვინდა წამოსვლა.

— აბა, სად უნდა წაგიყვანოთ? მე ხომ აბლა მთებში, მივარდნილ ადგილას წავალ. იქ გასართობად როდი მივდივარ.

ძია მიშა დიდხანს დუმდა, გვათვალიერებდა და რაღაცაზე ფიქრობდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან ისევ მოვიდა გენადის მამა. ის ნიადაგ საოცრად უდროო დროს მოდის ხოლმე.

— ისევ აქა ხართ? — გვითხრა გენადის მამამ. შემდეგ ძია მიშას მიმართა. — გაყარე ესენი, თორემ, ერთი თუ დაუძახე, მერე ველარ მოიშორებ.

— რატომ გავყარო? ჩვენ უკვე მოვრიგდით. თქვენთან კი საალპარაკო მაქვს. შევიდეთ ქოხში.

ესენი ქოხში შევიდნენ, ჩვენ კი გადავწყვიტეთ, ფეხი არსად გაგვედგა, ვიდრე ძია მიშა პასუხს არ გაგვცემდა. ისინი დიდხანს

ლაპარაკობდნენ. შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფანჯარა გაღო და გვითხრა:

— პაშა, გაიქეცი და მამა მოიყვანე, შენ კი, კატია, დედაშენი მოიყვანე... აჰ, მამაშენი აგერ თვითონ მოდის. — მითხრა მე. — კეთილი.

ეტყობოდა, მამაჩემსაც მოსურვებოდა ახალმოსულთან საუბარი.

კატიამ ბოსტნიდან გასძახა დედას, პაშა კი მამის მოსაყვანად გაიქცა. მამამისი ძია ფედიასთან ერთად მოვიდა.

ყველანი ქოხში შევიდნენ, ხოლო ჩვენ მიწაყრილზე ვისხედით, ტკინს ვიჭყლეტდით, რატომ დაუძახეს მათ და გუნება უფრო და უფრო გვიფუჭდებოდა.

— აგე, ძია მიშასთან გვაბეზღებენ და ის ჩვენთან ურთიერთობას არ ისურვებს, — თქვა პაშამ.

— პატარები ხომ არ არიან, რომ დაგვაბეზღონ? — შეესიტყვა კატია. — ჩვენ თვითონ არ ვუამბეთ ყველაფერი?..

— შენ უამბე. ვინ გეხვეწებოდა? ყოველთვის წინამასწარობ...

ფანჯარა გაღო და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ძია ივანემ გარეთ გამოიხედა:,

— აბა, შემოდით.

შევედით. ყველა მაგიდას უსხდა, მოგვჩერებოდნენ და ვერ გაიგებდი, დაგვთათხავდნენ თუ უარესს დაგვმართებდნენ.

— აი, რა გითხრათ, ყაჩაღანებო, — დაიწყო ძია ივანემ. — რა ცოდვებიცა გაქვთ, ყველამ იცით და ჩამოთვლას არ დაგიწყებთ. იმის მაგივრად, რომ საქმეს აკეთებდეთ, სამაგალითონი იყოთ... ჰო, კარგი! ჩვენი ძვირფასი სტუმარი არ გიცნობთ და ამბობს, შესაფერისი ყმაწვილები არიანო... თქვენ წასვლას ითხოვდით... ჩვენც მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, გაგაყოლოთ, ვიდრე მოსავლის აღების დრო დადგებოდეს, მასთან იყოთ, იქნებ კარგი კაცისგან მართლაც ჭკუა ისწავლოთ. რაკი ის ასეთ ტვირთს იკიდებს, თავისი საქმე თვითონ იცის. ერთი კვირით გაგიშვებთ და რიგიანად აღგჭურვავთ. ოღონდ იცოდეთ, თუ ნდობა არ გაამართლეთ, შემდეგ რაც მოგივათ. თქვენს თავს დააბრალეთ!.. აბა, რას დუმხართ?

ხმას ვერ ვიღებდით, აღარ ვიცოდით, დაგვეჯერებინა ეს ამბავი თუ არა.

— გავამართლებთ, ძია ივანე! — დაიწრიპინა კატიამ.

— პროხერები ასე არ პასუხობენ, — თქვა ძია მიშამ. — აბა, წესისამებრ თქვით.

— მზად ვართ! — ერთხმად ვიყვირეთ ჩვენ.

— ახლა კი აქეთ მოდით, მაგიდას მოუსხედით, — განაგრძო ძია მიშამ. — თუ წამომყვებით, მუშაობა გელით და არა სეირობა. სამეცნიერო ექსპედიცია მოვაწყოთ ყველა წესისამებრ... ექსპედიციის უფროსი მე ვიქნები. წინააღმდეგი ხომ არა ხართ?.. ძალიან კარგი. უფროსის თანაშემწე... — მან გენადის შეხედა. გენადი ვაწითლდა. — გენადი ფოლოვი. იყოს? ბიოლოგიური დაკვირვებანი და სამეურნეო საქმეები პაშა დოლგიხს დაეკალოს. სანიტარული ზედამხედველობა და სამედიცინო მომსახურება კატია კლოჩკის ეკისრება...

მოიდოდა მეთქვა, ყველა საინტერესო სამუშაო გაანაწილეთ, მე რალა ვაკეთო-მეთქი, მაგრამ ძია მიშა სათქმელს მიმახვდა:

— დარჩა ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელზეცაა დამოკიდებული მთელი ჩატარებული მუშაობის მეცნიერული ღირებულება. ექსპედიციის სწავლულ მდივნად ინიშნება კოლია ბერეზინი. მისი მოვალეობაა ექსპედიციის დღიურის შედგენა და გზის აგებგმვა. ყველა სამეურნეო საქმეს — საუზმის, ღამის სათევის მომზადებას და ასე შემდეგ — რიგრიგობით გავაკეთებთ. მნიშვნელოვან სამუშაოებს ექსპედიციის ყველა წევრი ასრულებს... ყველაფერი გასაგებია?

ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდით. პაშას, კატიას, გენადის და ალბათ მეც ისეთი ნეტარი სახე გვქონდა. ძია მიშამ და სხვებმაც გაიცინეს.

— განვაგრძოთ. — თქვა ისევ ძია მიშამ. — კოლმეურნეობას გამგეობა ხელს უწყობს მეცნიერულ გამოკვლევებს და გვაძლევს აუცილებელ ინვესტარს: ორ ნაჯახს, ჩაქუჩს, ნიჩაბს, წერაქვს: სულ-სათსაც მოგვცემს პურის გარდა, რომელიც შინ ცხვება და ამიტომ შინიდან უნდა წამოვიღოთ, თითო სულზე თითო პური. უკეთესია ორცხობილა, რომ არ დაობდეს. ინვენტარისა და სამეცნიერო კოლექციის გადასაზიდად ერთი ცხენი დაგვითმეს.

— მაშ! — თქვა ძია ივანემ. — რა თქმა უნდა! ვარსკვლავას ცალუღმა მხრები გადაუყვლიფა, ტვირთის გადასაზიდად კი სავსე-

ბით გამოდგება. თქვენც საქმე გაგიადვილდებათ და მასაც მოსავლის აღების დროისთვის ნავროტი უფრო ჩქარა გამოაკეთებს. ოღონდ, — ძია ივანემ გენადის შეხედა, — მაგის ჭენება არ გავიგონო.

— არავის ვაჭენებინებ, — უთხრა ძია მიშამ. — ექსპედიციის ყოველ წევრს ექნება თავისი ზურგჩანთა, გამძლე შარვალი, სასურველია, ძველი. გამოსაცვლელი პერანგი, პირსახოცი, კოვზი, ტოლჩა, დანა, ნემსი და ძაფი. ყველას უნდა ჰქონდეს უბის წიგნაკი ან რვეული და ფანქარი.

— მე მგონი... მე მგონი, გოგოები არ უნდა წამოვიყვანოთ, — განაცხადა პაშამ.

— მაინც რატომ? — ჰკითხა ძია მიშამ. — კატია არაფრით არ ჩამოგრჩება, ჩიტს ბუდეებს მაინც არ ანგრევს... ხოლო ენის გამოყოფა საჭირო არაა, კატია!.. ეგ არის და ეგ! ახლა შინ გასწით და დაიძინეთ. ხვალ დილის ექვს საათზე ვიკრიბებით. იყავით მზად!

— მზად ვართ! — დავიძახეთ და ქოხიდან გამოვცვივდით.

შინ ფრთებგამოსხმული მივქროდი. დედამ ვერაფერი გაიგო ჩემი ნაამბობიდან, გამიბრაზდა და მითხრა, არსადაც არ გაგიშვებო. ამ დროს მამაც მოვიდა და ყველაფერი მოუყვა. დედამ ერთხანს იბუზღუნა, მაგრამ ისე, სასხვათაშორისოდ, შემდეგ პური დაჭრა, ღუმელში შეაწყო გასახმობად, მამის ზურგჩანთა გამიმზადა და შარვლის დაკერვა დაიწყო. შარვალი ისე გამძლე იყო, გამიკვირდა კიდეც, როცა ლურსმანს გამოვეედე და გავხიე: ვფიქრობდი, ლურსმანი გატყდება, მას კი არაფერი დაემართება–მეთქი...

ღუმელზე ავძვერი და გადავწყვიტე, არ დამეძინა, აბა, რას ივარგებს, თუ თავიდანვე დავიგვიანე–მეთქი! რომ არ ჩამძინებოდა, დიდხანს ვუცქეროდი ლამპას, მაგრამ თვალები მებლიტებოდა და იძულებული გავხდი, უფრო ფართოდ მქონოდა გახელილი.

— რას დაგიჭყეტია თვალები? — მკითხა დედამ. — აბა, დაიძინე.

თბილ ღუმელზე თვლემასთან ბრძოლა ამაო იყო, ფარ-ხმალი დავყარე და უცებ დამეძინა.

ღუმელიდან ოფლად გაღვრილი გადმოვხტი. ქოხში სიბნელე, სიწყნარე იდგა და მომეჩვენა, თითქოს საბოლოოდ დავიგვიანე. ასანთს ვერ მივაგენი, ამიტომ ფრთხილად ავძვერი მერხზე, რომ კედლის საათს მივწვდომოდი და თითებით გაშომეცნო, სად იდგა ისრები. საათს მივწვდი. ამ დროს მერხიც შეინძრა და ბრაგვანი მოვადინე იატაკზე. სონიას შეეშინდა და ატირდა. მამა წამოხტა, ასანთს გაჰკრა და დამიყვირა:

— რას დაძვრები მანდ?

— მომეჩვენა... თითქოს საათი გაჩერდა...

— წადი და დაიძინე!.. არ დაგაგვიანდება.

ბოლოს ფანჯარა გაბაცდა. ქოხში უკვე შეიძლებოდა მაგიდის და ტაბურეტის გარჩევა, ოღონდ კედლები ისევ შავი ჩანდა. ჩუმად ჩავიცვი, ღუმელიდან ჩამოვედი, ზურგჩანთას ხელი ვტაცე და გარეთ გამოძურწვა დავაპირე. ამ დროს დედასაც გაეღვიძა:

— ასე ადრე სად მიდიხარ? ქათმებს სძინავთ, ეს კი წასასვლელად გამზადებულა!

— ქათმებს რა ენაღვლებათ, განა ექსპედიციაში მიდიან!..

— ჭამ და შემდეგ წახვალ, თორემ სულ არ გაგიშვებ.

ამ დილას ყველაფერი ნელა კეთდებოდა როგორც კინოში, როცა მექანიკოსი უხალისოდ ატრიალებს კინოაპარატის სახელურს. დედა უსაშველოდ დიდხანს იბანდა ხელ-პირს, ივარცხნიდა თმას, ოხრავდა, შემდეგ, საწველელი აიღო და აუჩქარებლად გავიდა ეზოში. კედლის საათი ნათლად აჩვენებდა, ოთხი საათიაო. დრო იყო წასვლისა, მამა კი არ იღვიძებდა. დედასაც. რაღაც უნდოდა მოეხარშა... წყალზე ჩავირბინე, მოვიტანე შეშა. დავაპე, წამდაუწუმ საათს გავყურებდი. ახლა მეჩვენებოდა, რომ ისრები ძალიან ჩქარა მოძრაობდნენ, ქანქარას ყოველი რხევა ჩემს დაგვიანებას მოასწავებდა... ბოლოს ადგა მამა, დედამ საუზმე გააწყო. ცხელი საშმელი პირს მითუთქავდა, ყელში მეჩხირებოდა, მაგრამ სასწრაფოდ გადავყლაპე და წამოვხტი:

— წავედი.

— მოიცა! — მითხრა მამამ. — აბა. მაჩვენე შენი ზურგჩანთა... აგრეა... ასე ვინ ალაგებს ჩანთას — ტოლჩა, ორცხობილა ქვემოთაა, თეთრეული კი ზემოთ. ტოლჩა ზურგს გადაგიყვლეფს, ხოლო ორცხობილა ნამცეცებად იქცევა. უყურე, ჩალაგება როგორ უნდა.

მაგრამ ზურგჩანთიდან ყველაფერი ამოაწყო და ხელახლა ჩაალაგა: ორბილი და ისეთი რამ, რაც მალე არ დამჭირდებოდა, ქვემოთ მოაქცია, ზემოთ კი — ტოლჩა, ორცხობილა, კოვზი და მისთანანი. შემდეგ პატარა სკივრში ჩაჰკიდა თავი და, როცა გასწორდა, სიხარულისგან შევხტი: ხელში ეჭირა კომპასიანი საველე ჩანთა.

— აჰა, მოგზაურო! ოღონდ იცოდე, ომში უვნებლად გამოვატარე და შენც გაუფრთხილდი.

ჩანთაში მუშამბის ყდიანი სქელი რვეული იდო, ხოლო პატარა ჯიბეებში წვერწვეთლილი ფანქრები. ჩანთის ერთი გვერდი გამვვირვალე და ლაქწასმულივით პრიალა იყო, რაც მთავარია, ჰქონდა ნაძდვილი კომპასი, მბზინავი კომპასი!

ზურგჩანთა მოვიკიდე. საველე ჩანთა მხარზე გადავიგდე.

— იცოდე, არ იცელქო... კაცივით მოიქეცი. გასაგებია?.. დედას გამოემშვიდობე და მოუსვი. გაქცევაზე ხარ.

დედამ მაკოცა. მე სადღაც ყურსუკან ვაკოცე. საათს შევხედე— შეძრწუნებულმა ამოვიხვნეშე — უკვე ექვსის ნახევარი იყო! — და ქოხიდან გამოვიჭერი. ქუჩაში ისე გავრბოდი, თითქოს სოფლის ყველა ძაღლი მე მომდევდა, მაგრამ მაინც დამაგვიანდა: გენადი და პაშა შეკრების ადგილზე დამხვდნენ. მათ გარს შემორტყმოდნენ ბავშვები, რომლებსაც უკვე გაეგოთ, რომ ძია მიშას მივყავდით, გენადის დინჯად ეჭირა თავი, შეფიქრიანებული ჩანდა, პაშა კი ქშინავდა და ხვნეშოდა. იმოდენა ჩანთა მოეტანა, ორი კაცი ვერ ზიდავდა.

— რა მოათრიე ასეთი?

— რაც მინდოდა... ვინ იცის, რა დაგვჭირდება! მოგინდებათ რაღაცა და არავის ექნება, მე კი აღმომაჩნდება.

კატიამ ქოხში მიგვიხმო. პაშამ ჩანთის ზურგზე მოგდება ვერ შეძლო და ატატებული წაიღო. დაჭიმულობისგან სახე გაუწითლდა.

— ოჰო! — ძია მიშა წამოდგა. — აღტურვილობა ამას ჰქვია! ვხედავ, სალაშქროდ მზადა ხართ, მაგრამ ჯერ პატარა შემოწმება მოვაწყოთ. დასხედით.

ჩვენ მაგიდას მივუსხედით, გარეთ დარჩენილი ბავშვები კი ფანჯრებს მოეკვრნენ.

— სად და რისთვის მივდივართ?

— საძებნელად! — წამოიძახა კატიამ.

— რის საძებნელად?

— ზურმუხტის.

— მე მგონი, რასაც ვიპოვით, ჩვენი იქნება,— თქვა პაშამ.

— არა, მოდი, დავაზუსტოთ ამოცანა. აი, ჩვენი რაიონის რუკა. — ძია მიშამ მაგიდაზე დიდი რუკა გაშალა. — ეს სოფელია, აგერ მდინარე ტიკა მიედინება.

რუკაზე მიხვეულ-მოხვეულად მიიწევდა წვრილი, მოცისფრო ხაზი, ირგვლივ კი ყველაფერი ყავისფერი იყო.

— საქმე ისაა, რომ რუკის მასშტაბი ძალიან პატარაა, რუკა ძველია. შიგადაშიგ შეცდომებიც აქვს. ამიტომ მაინცდამაინც ვერ დავენდობით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ, როგორც გეოგრაფები ამბობენ, ჩვენ წინ „თეთრი ლაქაა", ესე იგი, გამოუკვლეველი მიდამო. ჩვენი ამოცანაა ეს მიდამო გამოვიკვლიოთ.

— გამოუკვლეველი როგორაა, როცა აქ ვცხოვრობთ? — იკითხა პაშამ.

— გამოუკვლეველი „დაუსახლებელს" არ ნიშნავს. ზოგ ადგილას ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობს. მაგრამ გეოლოგიურად ეს ადგილები კარგად არაა შესწავლილი. ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი ჩრდილოეთი და სამხრეთ ციმბირი... ამრიგად. ჩვენი ამოცანაა, შესაძლებლობისამებრ დაწვრილებით შევისწავლოთ ტიკას შეუსწავლელი სათავე. მიდამოს სრულად და ყოველმხრივ შესწავლას ბევრი სპეციალისტი სჭირდება. ჩვენ მათ ვერ შევცვლით, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც კი შეგვიძლია. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევადგინოთ შესასწავლი რაიონის რუკა. ამისთვის კი საჭიროა ტოპოგრაფიული აგეგმვა. როგორც შევთანხმდით, ამ საქმეს კოლია გააკეთებს.

ამოცანა ვერ გავიგე, რამაც გუნება გამიფუჭა, და წავიჩურჩულე:

— ვერ გავაკეთებ.

— არა უშავს. დაგეხმარები. მეორეც, გზადაგზა რაიონს გეოლოგიურად შევისწავლით. ცხოველთა კოლექციის შეგროვებას ვერ შევძლებთ, მაგრამ ცხოველთა სამყაროზე დაკვირვება ისევე აუცილებელია, როგორც მცენარეთა სამყაროზე. კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ: არსებობს მეცნიერება პალეონტოლოგია, რომელიც

გადაშენებულ ცხოველებს შეისწავლის. პალეონტოლოგია გეოლოგიის ღვიძლი დაა და მისი პირველი თანაშემწე. აი, რატომ უნდა ვიყოთ ყურადღებით — იქნებ წავაწყდეთ გადაშენებულ ცხოველთა ძვლებს, გაქვავებულ ნაშთებს, ანაბეჭდებს. ყოველი ასეთი ნაპოვნი მეცნიერებისთვის აღმოჩენაა... ახლა კი შევამოწმოთ აღჭურვილობა. აბა, გამობერტყეთ თქვენი ჩანთები!

ძია მიშამ გენადი და მე შეგვაქო, ყველაფერი კარგად ჩაგილაგებიათო. კატიასთვის დედას მამის ნაქონი ჩანთა მიეცა. ეს რაღაცნაირი ჩანთა იყო, ჯარისკაცურს არ ჰგავდა: ჯიბეები და შესაკრავები ჰქონდა. ძია მიშამ თქვა, ეს ყველაზე მოხერხებული ჩანთააო, შემდეგ კატია აიძულა ჩანთა ჩამოეკიდა და თასმები დაუმოკლა, რადგან ზურგზე კი არა, წელს ქვემოთ ეკიდა. დადგა პაშას რიგიც. მან ცალ-ცალკე და ისე ნელა დაიწყო ნივთების ამოლაგება, ყველას თავი მოაბეზრა. ძია მიშამ ჩანთა გადმოაპირქვავა და ყველაფერი ერთად გადმოყარა. რა არ იყო იქ! მარწუხი, რანდა, თოკები, მავთული, ლურსმნები, ფიცრის, რკინისა და ტყავის ნაჭრები, კოჭები, ცხენის ძუა, დიდ-პატარა ქილები... ძია მიშამ ნივთების გროვას დახედა, შემდეგ პაშას მიაპყრო მზერა, შემდეგ ისევ გროვას:

— შენ რაო, ტაიგაში უნივერმაღის გახსნას აპირებ?

გაგვეცინა, პაშა კი გაწითლდა და გაბრაზდა:

— რის უნივერმაღის!.. რაც წამოვიღე, ყველაფერი საჭიროა: აკი თქვით, გამოუკვლეველ მიდამოში წავალთო. მაშასადამე, ყველაფერი უნდა წავიღოთ.

— კი, მაგრამ მარტო შენს ჩანთას ხომ ერთი სასაპალნე ცხენი დასჭირდება! საქმის გაკეთების მაგივრად მაგას უნდა ელოლიავო. — ძია მიშამ სწრაფად გადაარჩია ნივთები — ცალ მხარეს ორცხობილა, ტანსაცმელი, ტოლჩა, კოვზი, დანა და რვეული დაიწყო. — ამათ წამოიღებ, დანარჩენი კი შინ მიაბრუნე... ყელსახვევი რატომ არა გაქვს?

— ტაიგაში ხომ დამეხევა და დამესვრება.

— წითელი ყელსახვევის დასერა მხოლოდ ცუდი საქმეებით შეიძლება. ასეთ მნიშვნელოვან ლაშქრობაში მონაწილეობ და ფორმა არ გაცვია. ხუთ წუთში აქ იყავი, თანაც ყელსახვევიანად!

პაშამ თავისი ავლა-დიდება ჩანთაში ჩაყარა და შინისკენ გაიქცა.

— აბა, ექსპედიციის ამხანაგო სწავლულო მდივანო, — მითხრა ძია მიშამ. — ვხედავ, კარგად აღჭურვილხარ — ჩანთა, კომპასი გაქვს... ვცადოთ და გამოვიყენოთ.

გავედით გარეთ.

— შენი მოვალეობაა მარშრუტის აგებგმვა. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოთვალო განვლილი მანძილი, განსაზღვრო მონაკვეთების, მოსახვევების ადგილმდებარეობა, დახაზო გზის რუკა. რით დავიწყოთ?

— არ ვიცი.

— ჩვენი საწყისი პუნქტია სოფელი. მაგრამ ეს მეტისმეტად დიდია. უფრო საჩინო საყრდენი წერტილი მოვნიშნოთ. მაგალითად, სამჭედლო. (სამჭედლო თითქმის იქვე იყო.) შემდეგ საით წავალთ?

— მარჯვნივ, საძოვრისკენ, იქიდან კი მდინარეს ავუყვებით...

— მარჯვნივ? მერედა ამ მარჯვენა მხარეს როგორღა გამოსახავ რუკაზე? მიმართულება რომ დავადგინოთ და მას მივყვეთ, უნდა განვსაზღვროთ აზიმუტი. შეხედე: კომპასის ისარი ჩრდილოეთს გვიჩვენებს, ჩვენ კი ჩრდილო-აღმოსავლეთით უნდა ვიაროთ, აი, ნაპირზე, გზის პირას ასვეტილი ნაძვის ხისკენ. თუ ნაძვის ხიდან კომპასის ცენტრისკენ წრფეს გავავლებთ, წრფე და კომპასის ისარი შექმნიან ოცდაათგრადუსიან კუთხეს. ეს იქნება ჩვენი პირველი აზიმუტი. ისე უნდა ვიაროთ, რომ მივყვეთ მიმართულებას, რომელიც მაგნიტურ ისართან ოცდაათგრადუსიან კუთხეს ქმნის.

— მანძილი როგორღა გავზომოთ?

— რაკი ხელსაწყოები არა გვაქვს, სხვა საშუალებით გავზომავთ... აბა, ჩვეულებრივი ნაბიჯით გადაკვეთე გზა და ნაბიჯები დათვალე.

გადავკვეთე გზა:

— ორმოცდასამი ნაბიჯია.

— უკან დაბრუნდი და ისე დათვალე... ახლა რამდენია?

— ორმოცდაორი.

— ისევ წადი!.. ახლა ორმოცდასამია? ვიგულისხმოთ, რომ სწორი ორმოცდასამი ნაბიჯია... კატია, ხელი მოჰკიდე რულეტის ლენტის ბოლოს და გზაზე გადაირბინე... აჰა. შენი ორმოცდასამი ნა-

ბიჯი ჩვენშეტ მეტრს ულრის. მაშასადამე, ერთი ნაბიჯი ორმოცი სანტიმეტრი ყოფილა, შენ ნაბიჯებს დაითვლი ერთი საჩინო პუნქტიდან ან მოსახვევიდან მომდევნომდე და ჩაიწერ.

ამ დროს პაშამაც მოირბინა და თავისი დარჩენილი ნივთები ჩანთაში ჩაალაგა.

— ახლა ყველაფერი რიგზეა. წამოიღეთ აღშფოთვილობა და კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გავწითოთ.

მთელი სოფლის ბავშვები უკან გამოგვყვნენ.

გზად გენადი კიბალამ ეკგერა ვა ია ზიერბაბის. ვასია ძმაკაცებთან — ფიმა რიბაკოვთან და სენია ფედოტოვთან ერთად თავისი ქოხის წინ იდგა და, როცა გავუსწორდით, გადმოაფურთხა და იყვირა:

— შეხედეთ, ბიჭებო, მოდიან ტეინნალრძობი სწავლულები. ეშმაკების ნაფლულები.

გენადი ლამის მოწყდა ადგილს, მაგრამ ძია მიშამ ხელი სტაცა:

— სად მიდიხარ?

— მე მაგას ვუჩვენებ!..

— ისევ ჩხუბი გინდა?

— ეს ყოველთვის თვითონ იწყებს საჩხუბრად.

— რატომ ვერ რიგდებით?

— მაგასთან მორიგება შეიძლება?

ვასია მართლაც ყოველთვის შარზე იყო და გამოდმებით ეიჩხუბებოდით ერთმანეთს. ოდესღაც კი სხვანაირი ურთიერთობა გექონდა: აღრე ერთ კლასში ვსწავლობდით და ძალიანაც ვმეგობრობდით. შემდეგ ვასიამ დიდხანს იავადმყოფა, ჩამოგვრჩა. გაცდენილი მასალა ვეღარ ისწავლა და მეხუთე კლასში ჩარჩა. ჩვენ კი მეექვსეში გადავედით. იმის შემდეგ დავშორდით და ერთმანეთს გადავეკიდეთ. ვასიას თავისი ძმაკაცები — ფიმა და სენია გაუჩნდა. ისინი უფრო პატარები იყვნენ ღა ვასიას, როგორც მეთაურს, ყველაფერს უგონებდნენ. სოფლის ბავშვებიც ორ ბანაკად გაიყვნენ: ზოგნი ჩვენს მხარეს იჭერდნენ და გენადის მეთაურად აღიარებდნენ. ზოგნი ვასიას ემხრობოდნენ. ჩვენ ვასიას მომხრეებს „ველორიბს“ ეძახდით. ისინი კი გასაბრაზებლად „გნოლქათმებს“ გვიწოდებდნენ. „გნოლქათმები“ სრულიად გაუგებარი და სულელური მეტსახელი იყო. მაგრამ რატომღაც მაინც გვიკლავდა გულს.

ვასიას ალბათ შურდა, რომ ჩვენ ექსპედიციაში მივდიოდით, ხოლო ის არ მიჰყავდათ, ამიტომაც წამოროშა სისულელე სწავლულების შესახებ, მისმა ამფსონებმა კი გაიცინეს...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეკუჭხავე უკვე გველოდნენ. პარკებში ჩაყრილი ბურღული, მარილი და შაქარი დიდ ტომარაში ჩავაწყვეთ, იქვე ჩავდეთ ქვაბი და დიდი ჩაიდანი. გენადიმ თავლიდან ვარსკვლავა გამოიყვანა და დავასაპალნეთ.

— სმენა! — ბრძანა ძია მიშამ. შემდეგ ძია ივანეს მიმართა: — ექსპედიცია მზადაა სალაშქროდ. ნებას მოგვცემთ გავემგზავროთ?

— ბედნიერად იმგზავრეთ! — მიუგო თავმჯდომარემ და ხელი ჩამოართვა. — არ გაგვიჯავრდეთ, ძია ზახარს გაძოგაყოლებდით, მაგრამ ისეთი დროა, თითოეული მუშაკაცი ოქროზე ძვირად გვიღირს. სიარულიც უჭირს.

— არა უშავს, ჩვენი რაზმიც ბევრ რამეს გააკეთებს.

— აბა, რაზმო... — თავმჯდომარე ჩვენ მოგვიბრუნდა. — ყმაწვილებო, იცოდეთ, არ იცუღლუტოთ! კაცს მნიშვნელოვან საქმეზე მიჰყავხართ და მისი ნამდვილი დამხმარენი იყავით.

— მზად ვართ! — დავძახეთ და ძია მიშას ნიშანზე გზას გავუდექით.

პირველი ნაპოვნი

ყველაზე წინ პაშას კუდაბზეკილი ბანჯგვლინაი ლეკვი „დოსტი“ მირბოდა, შემდეგ მე მივდიოდი, ჩემს უკან პაშას სადავით მოჰყავდა ვარსკვლავა, შემდეგ გენადი და ძია მიშა მოაბიჯებდნენ. კატია ვერ ისვენებდა. ხან წინ გვისწრებდა და ფეხებში გვედებოდა, ხან ვარსკვლავასთან მირბოდა, საპალნეს ვითომ რაღაცას უსწორებდა, ხან ძია მიშას გვერდით მოჰყვებოდა.

ასე მივდიოდით სოფელში და ყველა ჩვენ გვიყურებდა, ვინაიდან ყოველდღე როდი ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიცია, თანაც პიონერების მონაწილეობით.

ვასია შჩერბატის უნდოდა საბოლოოდ გაეფუჭებინა ჩვენთვის გუნება, მაგრამ ვერაფერს გახდა. როცა გავცდით, უკან მოგვაძახა:

— ჰეი, თოკვამობმულო მოზვრებო! უფრო მარდად იარეთ, თორემ გაგისწრებთ...

ეს უკვე სრულიად უაზრო ბაქიბუქი იყო და ყურადღება არ მიგვიქცევია.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ძია ფედია და ძია ზახარი სოფლის ბოლომდე გამოგვყვენ.

ბავშვებს საოცრად შურდათ: პატარები ვართ და არ მივყავართ. ესენი კი დიდებია და გამოკვლევების ჩატარება შეუძლიათო. ალბათ მოზრდილებსაც ეხარბებოდათ ჩვენი, მაგრამ არ იმჩნევდნენ, ვითომ სასხვათაშორისოდ გვიყურებდნენ. პატარები თავდაპირველად შორიახლო მოგვყვებოდნენ, შემდეგ წრე შემოგვავლეს.

პაშა გაბღენძილი მოაბიჯებდა, ძია მიშა იღიმებოდა, გენადის და კატიას, რა თქმა უნდა, თავი მოსწონდათ, მხოლოდ მე არ მეცალა თვალების საცეცებლად და საყოყოჩოდ: ნაბიჯები უნდა მეთვალა და ასიმუტს დავკვირვებოდი, რომ არ დამკარგვოდა. რასაკვირველია, შეიძლებოდა მდინარის პირას ასვეტილი ნაძვისკენ ჩვეულებრივად სიარული, ვინაიდან იქით სწორი გზა მიდიოდა, მაგრამ ეს არც მეცნიერული საქმე იქნებოდა და არც საინტერესო. გზადაგზა ასიმუტზე დაკვირვება კი უბრალო რამ როდი გასლდათ — კომპასის ისარი სულ ცეკვაედა, ერთ ადგილას არ ჩერდებოდა. გარდა ამისა, ძალიან მიშლიდნენ ხელს ბავშვები: ყველას უნდოდა გაეგო, რატომ დავყურებდი ჩანთას და რა ხვითო იყო ეს კომპასი, მაგრამ პასუხის გასაცემად სად მეცალა — მეშინოდა, ანგარიში არ ამრეოდა. კინაღამ ამერია კიდეც, როცა კატიამ მოირბინა და ლაპარაკი გამიბა. ვეთხარი, ნუ ჩამაცივდი ათასგვარი სისულელით, ისედაც მეშინია თვლა არ შემეშალოს-მეთქი.

— ამას დამიხედეთ! — მითხრა მან. — ძია მიშას ვთხოვ და თავის კომპასს მათხოვებს, რომ ცოტაზე ვატარო. მასაც ხომ აქვს კომპასი. შენ კი ცხვირს ნუ იბზუებ!..

ცხვირს სულაც არ ვიბზუებდი, არ მეცალა. ამიტომ ძალიან გავბრაზდი, თვლაც მაშინვე შემეშალა.

ახლა კატია მძულდა და ჭკუის სასწავლებლად ვცეცხლავდი კიდევაც. მაგრამ ამ დროს ტიკას ნაპირზე მდგომ ნაძვთანაც მივედით.

— ბალღებო, გმადლობთ, რომ გამოგვაცილეთ, — უთხრა ძია

მიშამ პატარებს. — აქედან თვითონ განვაგრძობთ გზას. ნახვამდის... კოლია, აზიმუტი ტიჟის საქცევისკენ მოინიშნე.

— ძია მიშა, — შევჩივლე მას, როგორც კი ბალღებს გავშორდით. — უთხარით კატიას, ნუ მაცივდება, უკვე თვლა შემაშლევინა. ახლა უკან უნდა გავიქცე და ნაბიჯები ხელახლა ვითვალო.

— გაქცევა არ ღირს... ხოლო ანგარიში რომ სწორი იყოს, კატიამაც ითვალოს და შეგეძლებათ ერთმანეთი შეამოწმოთ.

კატიას, რა თქმა უნდა, გაუხარდა, მე კი ცოტა არ იყოს მეწყინა: ვითომ თვლა არ შემიძლია თუ რა! მაგრამ არა უშავს. ლაპარაკით ჩემს გულის გაწყალებას სჯობს ითვალოს...

ბალღები ნაძვის ხესთან იდგნენ და გვიცქეროდნენ, ვიდრე საქცევთან კლდეს არ მოვეფარეთ.

საქცევის იქით ტიჟა თითქმის პირდაპირ დამრეც ქედებს შორის მოედინება. ქედები სოჭშერეულ ნაძვნარითაა დაფარული. მათ მიღმა ბატირგანის ვეება განტოტება ჩანს. ჩვენი მინდვრები საქცევთან დამთავრდა, თხილის, სოკოს, კენკრის საკრეფად სოფლის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით დავდიოდით ხოლმე, ბატირგანს გადაღმა კი სოფლის არც ერთი მაცხოვრებელი არ ყოფილა — იქ უდაბური, ძნელად სავალი ადგილები იყო. აქედან მართლაც გამოუკლეველი მიდამო იწყებოდა, სადაც შეიძლება უჩვეულო რამ აღმოგვეჩინა. ამის გაფიქრებაზე სუნთქვა მეკეროდა და ნაბიჯს ვუჩქარებდი.

— კოლია, ნუ ჩქარობ, დინჯად იარე! — მომაძახა ძია მიშამ.

იგი მშვიდად მიდიოდა, უსტვენდა კიდევაც, თითქოს ექსპედიციაში კი არა, სასეირნოდ ვიყავით. აქეთ-იქით იყურებოდა, ჩერდებოდა, ზედ ტიჟასთან მიდიოდა, ღორღსა და კენჭებზე მიაბიჯებდა და სულაც არ აპირებდა მეცნიერული მუშაობის დაწყებას. გენადი კვალდაკვალ მიჰყვებოდა და ცდილობდა, ყველაფერი მასავით გაეკეთებინა.

პაშა თავდახრილი მიდიოდა, თავის ფეხებთან იყურებოდა, თითქოს საუნჯე იქვე უნდა ყოფილიყო და დახრაღა იყო საჭირო, რომ აეღო. შემდეგ ალბათ კისერი ეტკინა ან რაიმეს პოვნის იმედი გადაუწყდა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. კატია ისე გაერთო თავისი საქმით, აღარავის აწუხებდა, ტუჩებსაც კი აცმაცუნებდა ნაბიჯების თვლისას.

მივდიოდით და მივდიოდით... ბატირგანი უფრო და უფრო მაღლდებოდა. მაგრამ არ გვიახლოვდებოდა, ოღონდ ლურჯი ფერი თანდათან აკლდებოდა და მწვანე ხდებოდა. ვფიქრობდი, ბატირგანამდე უცებ მივალთ-მეოქი, მაგრამ ძია მიშამ მოულოდნელად საათს დახედა და ბრძანა:

— სდეგ! შევისვენოთ და ვისაუზმოთ.

— ჯერ ხომ ადრეა! თანაც სულ ცოტა გზა გამოვიარეთ! — შევესიტყვეთ ჩვენ.

— ახლა თორმეტი საათია. ხუთი საათი ვიარეთ და არც ისე ცოტა მანძილი დავფარეთ. გადაღლა არ შეიძლება: ჩვენ დღესაც უნდა ვიაროთ და ხვალაც ღა საერთოდ უფროსს არ ეკამათებიან... გენადი, ფიჩაი მოიტანე!.. ცხენს საპალნე მოხსენი! კატია წყალზე გასეი, კოლია. წერა შეწყვიტე.

ძია მიშა პაშას საპალნის ჩამოხსნაში მიეშველა. შემდეგ ვარსკვლავა საბალახოდ გაუშვეს. კატიამ ჩაიდანს დასტაცა ხელი და წყალზე გაიქცა, მე წერა მოვათავე და გენადის გავყევი დასახმარებლად. ვიდრე ფიჩხს ვაგროვებდი, შესვენების ადგილას უკვე ცეცხლი დაეხოოთ და ორკაპზე ჩაიდანი ჩამოეკიდათ. სწრაფად ვისაუზმეთ. შემდეგ ძია მიშამ გვაიძულა დავწოლილიყავით და ფეხები მაღლა დაგვეწყო, რომ სისხლი ქვემოთ წამოსულიყო — ასე დაღლილობა სწრაფად ქრებაო. ჩვენ სულაც არ დავღლილვართ, მაგრამ წინააღმდეგობის უფლება არ გვქონდა და ბედს შევურიგდით

ერთი საათის შემდეგ წამოვდექით, ვარსკვლავას ტვირთი ავკიდეთ და განვაგრძეთ გზა.

ახლა ბატირგანი ჩვენს წინ უკვე ცის მეოთხედს ფარავდა. ბუჩქნარები გახშირდა და სიარული უფრო და უფრო გვიძნელდებოდა. ვარსკვლავა თავისი საპალნით წამდაუწუმ ედებოდა როკებს. ამ დროს იძულებული ვხდებოდით, უკან გამოგვეყვანა და გზა მოგვევლო. ბატირგანის ფერდობზე უკვე შეიძლებოდა ცალკეული ხეების გარჩევა, აქა-იქ ყვითლად გამოჩნდა შიშველი ქვები. ბატირგანსა და კლდის შუა ჩაქედილი ტიჟა სულ უფრო მეტად ხმაურობდა. გაბრაზებული ქაფქაფებდა და ბუყბუყებდა.

ძია მიშა სულ ნაპირ-ნაპირ მიაბიჯებდა და ყურდაღებით აკვირ-

დებოდა ქვებს. ჩვენც თვალები დაჭყეტილი გვქონდა, მაგრამ აქ ჩვეულებრივი ქვები იყო: რუხი, მოყვითალო ან მუქი ძწვარე.

ბატირგანის ძირას ტყე გაიწ-გამოიწია და ბალახით დაფარულ ბექობზე აღმოვჩნდით.

— აქ გავათევთ ღამეს, — გვითხრა ძია მიშამ. — მოიხსენით საჭურველი, ცეცხლი დაანთეთ და ღამის სათევად მოემზადეთ.

ვარსკვლავა დავაპალვანდეთ და საბალახოდ გავუძვით, მოვიტანეთ აუარება ფიჩხი. კატია დაჯდა და კარტოფილის თლას შეუდგა, წვნიანი უნდა გაეკეთებინა. ძია მიშამ გვითხრა, ეტყობა, კარგი ამინდი იქნება, ამიტომ ქოხის მაგივრად საჩრდილობელი გავაკეთოთო. მან და გენადიმ ხმელი ხეებიდან გრძელი მორები გამოჭრეს, მიწაში ორკაპი მარგილი ჩაარჭვეს. ზედ ერთი მორი გადეს, ხოლო დანარჩენი მორები დახრილად მიაწყვეს.

მე და პეშა ნაძვის ტოტებს ვეზიდებოდით, მორებს ტოტებით ვკრავდით, ვიდრე ნამდვილი ცალფერდა სახურავი არ გავაკეთეთ. შემდეგ კიდევ ბევრი ნაძვის ტოტი მოვჭერით, საჩრდილობლის ქვეშ დავაწყვეთ და მაღალი, მშვენიერი საწოლი გავმართეთ.

კატიამ წვნიანი ქვაბი ცეცხლზე ჩამოკიდა და ველური ხახვის მოსაძებნად გაიქცა. წვნიანი უკვე მზად იყო, მაგრამ კატია არ ჩანდა. ძია მიშა შეშფოთდა და უცებ კატიაც მოვაოდა თავპირისმტვრევით. ნაწნავები გაწეწოდა, ქშინავდა. დიდხანს ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ ამოღერღა „ნამარხი" ვიპოვეო.

— რას ამბობ? — გაუკვირდა ძია მიშას. — კარგია! მაგრამ ჯერ ვისადილოთ და შემდეგ წავიდეთ შენი ნამარხის სანახავად.

ცოტა არ იყოს მეწყინა: კატიამ უკვე მეცხიერული ღირებულების რამ აღმოაჩინა, მე კი მილურსმულივით მარშრუტით უნდა ვიარო და ნაბიჯები ვითვალო, ასე რას აღმოვაჩენ-მეთქი! ჭამის სურვილიც გამიქრა, თუმცა წვნიანი ძალიან გემრიელი იყო. მართალია, კვამლის გემო დაჰკრავდა, მაგრამ სახლში გაკეთებულ წვნიანზე გემრიელი ჩანდა.

ნასადილევს ნამარხის სანახავად წავედით. გაამაყებული და კმაკოფილი კატია წინ მიდიოდა. ჩვენ ბუჩქნარი გადავჭერით და პატარა მდელოზე გავედით.

ქარიშხლის მიერ წაქცეულ ფუტურო სოჭთან რამდენიმე ძვალი და ფართო თავის ქალა ეყარა.

კატიამ გამარჯვებულის იერით აგვხედ-დაგვხედა. მე შურისგან ლამის გადავირიე: ნაპოვნი ნაღდი იყო.

ძია მიშამ ძვლებს შეხედა და უცებ ისეთივე მაგარი ხველა აუტყდა, როგორც ჩვენი პირველი შეხვედრისას. გენადი სულ იღმიეპებოდა, ცხვირს ჭმუხნიდა, ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა:

— შენი ნამარხი ყარს!

ძვლებს მართლა ლეშის აუტანელი სუნი ასდიოდა.

— ჰო... — თქვა ძია მიშამ. — მგონი, შეცდი, კატია. ეს ნამარხი კი არა, ჩვენი დროის ცხოველია, თანაც შინაური, თავის ქალის მიხედვით ჩვეულებრივი ხბო.

კატია გაწითლდა:

— ხბო აქ საიდან უნდა მოსულიყო. ხბოები ხომ სოფელში არიან...

— არ ვიცი. შეიძლება რაღაცნაირად შემოეხეტა... და მოკვდა. ალბათ არცთუ დიდი ხნის წინათ, რაკი სუნი ჯერაც არ გამქრალა.

ბუჩქებში ღრენა გაისმა და მდელოზე ჩვენი ლეკვი გამოვარდა. პირში ბანჯგვლიანი ჯოხის მაგვარი რაღაც გაეჩარა. მას აქეთ-იქით აქნევდა, ძირს აგდებდა, ღრენით მიათრევდა, შემდეგ ისევ ავლებდა პირს და ატრიალებდა.

პაშა მივარდა და ჯოხი გამოსტაცა. მაგრამ ეს ჯოხი კი არა, რომელიღაც ცხოველის ჭრელი კუდი აღმოჩნდა. კუდს ბოლოში შავი ბალანი ჰქონდა.

— ოი, ვიცანი! — იყვირა კატიამ. — ეს ხომ დეიდა ანას ხბოა! ამ ცოტა ხნის წინათ დაეკარგა. სწორედ მას ჰქონდა ასეთი კუდი...

ყველამ დავადასტურეთ, რომ დაკარგულ ხბოს ნამდვილად ასეთი კუდი ჰქონდა.

— შესაძლებელია, — დაგვეთანხმა ძია მიშა.

— ნეტავ რამ მოკლა?

— ალბათ დათვმა დაგლიჯა, — ივარაუდა გენადიმ.

გუნება გაგვიფუჭდა. ვაითუ დათვი ახლოს იყო და უცებ თავს დაგვსხმოდა? ყველას რომ თოფები გვქონოდა, კიდევ არა უშავდა მხოლოდ ძია მიშას ჰქონდა თოფი და ისიც ბანაკში დავტოვეთ.

უმალ გავყუჩდით და მოვიწყინეთ. პაშამ კი წრიულად დაიწყო სირბილი. წრე უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ძაღლმა ენა გადმოაგდო და გულდაგულ გაედევნა. ძია მიშა უცებ მიხვდა, რას აკეთებდა პაშა:

— ყოჩაღ, პაშა! ოღონდ აქ ადვილად ვერ იპოვი — ბალახი შეგიშლის ხელს...

მაგრამ პაშამ უკვე იპოვა, რასაც ეძებდა. იქ, სადაც გაჩერდა, ბალახი არ იყო და სილას მკაფიოდ აჩნდა რომელიღაც ცხოველის ნაკვალევი.

— აი, — თქვა პაშამ, იგი ახლა ძაღლს აკავებდა, რომელიც ისევ გასაქცევად იწევდა. — ხედავთ? ისაა...

იდუმალ ნაკვალევს ქუსლი არ ჰქონდა, შეწყვილებული იყო და მოკლე: სულ ათიოდე სანტიმეტრი სიგრძისა.

თითების მრგვალი და მოგრძო ანაბეჭდის წინ უფრო გრძელი და წვრილი ნაღარი — ბრჭყალების კვალი ჩანდა. ეს უსათუოდ ნადირის ნაკვალევი იყო, მაგრამ რომლის?

პაშამ თქვა, დათვის ნაკვალევი გაცილებით დიდია, მაგრამ შეიძლება ეს ბელის კვალია, ხოლო ძუ დათვმა გვერდით, ბალახზე გაიარაო. ძია მიშამ კი გვითხრა, დათვისა და ბელის ტერფი მთლიანად აღიბეჭდება მიწაზე, თანაც ისინი ერთმანეთის ნაფეხურზე არ აბიჯებენ. ნაკვალევი დათვზე პატარა ნადირისაა. და თუმცა ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, დროა, ბანაკში დავბრუნდეთ, სადაც ვარსკვლავა და კოცონი უმეთვალყურეოდ დავტოვეთო.

სულაც არ გვინდოდა აქედან წასვლა, ვიდრე არ გავიგებდით, ქატიას „ნამარხი“ ხბოს მახლობლად რომელმა ნადირმა გაიარა, მაგრამ რას ვიზამდით.

მე და გენადიმ ცოტა წავიმუშავეთ ბანაკში, შემდეგ ტიკაზე ჩავედით. გენადიმ წყალზე ბრტყელი ქვების ასრიალება სცადა, მაგრამ მდინარე ბობოქრობდა და ქვები უმალ იკარგებოდა აქაფებულ წყალში.

შემდეგ გენადი დიდ ქვას მიეყრდნო და მითხრა:

— რა კარგია, სულ ასე ვიმოგზაუროთ და ვიმოგზაუროთ...

— რა?

— რა და ვიმოგზაუროთ... რას გააკეთებ, როცა შინ დავბრუნდებით?

— რა უნდა გავაკეთო? ვიცხოვრებ და ვისწავლი... შენც ხომ ასე იზამ.

— არ ვიცი... ალბათ ისევ სამოგზაუროდ წავალ. აქ ყოველივეს გაკეთებას ვისწავლი და წავალ... ერთად ვიმოგზაუროთ, ჰა?

— აბა. როგორ წავალთ, ვინ გაგვიშვებს?

— თვითონ წავიდეთ! პატარები ხომ არა ვართ?... დავიწყებთ ძიებას. ო, რა იქნება. ზურმუხტი რომ ვიპოვოთ! ისეთი ზურმუხტი კი არა. რომელზეც ძია მიშა გველაპარაკებოდა, თუნდაც უფრო პატარა... აი, ამ კენჭისოდენა.

გენადიმ ხელისგულზე რამდენიმე კენჭი დამიწყო და უცებ მომეჩვენა, თითქოს მათ ნათელი მწვანე შუქი გამოაბრწყინეს. შუქი მატულობდა, კაშკაშებდა და ანაზდად მასში გაცოცხლდნენ, ამოძრავდნენ თბომავლები და თვითმფრინავები, აქლემების ქარავნები, მზით გადამწვარი უდაბნოები, პოლუსების მოლაპლაპე ყინულები, ტროპიკების ბარდები და ჩანჩქერები, ქარიშხლიანი ზღვის მომწვანო-ჟალარა ტალღები და წყალქვეშა ნავი, რომლის მეთაურიც მე ვიყავი... მოჩვენება ასევე ანაზდად გაქრა — ეს ხომ ოცნება იყო. ამოვიოხრე და კენჭები წყალში მოვისროლე.

— არა, გენადი! ჩვენ მაინც პატარები ვართ... არსად გაგვიშვებენ. გარდა ამისა, ხომ უნდა ვისწავლოთ! ვთქვათ, წავედით, მაგრამ რომ არაფერი ვიცით... პაპანინელები და ძია მიშა მეცნიერები არიან... ჩვენ კი რას წარმოვადგენთ? აქეთ-იქით ვიხეტიალებთ და მეტი არაფერი...

გენადიმ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან კატია დაგვაცხრა თავს.

— რას იმალებით აქ! — გვიყვირა მან. — ყვირილისგან უკვე ხმა ჩამიწყდა. არც თქვენ იყავით, არც პაშა... ძია მიშა ბრაზობს. ჩემი გამოშვებაც არ უნდოდა... ჩქარა წამოდით!

ბანაკში თოფის გრიალი გაისმა და ფერდობს დახშულმა ნახმევმა გადაუარა.

— გაიგონეთ? ძია მიშა სიგნალს გვაძლევს... ჩქარა გავიქცეთ!

ძია მიშა მართლა ბრაზობდა:

— სად დაეხეტებით? სადაა პაშა?

პაშა სად გაქრა, არ ვიცოდით. „ნამარხიდან“ ბანაკისკენ რომ წამოვედით, პაშა დაწინაურდა, მაგრამ ბანაკში არ დაგხვედრია, არც მისი განუყრელი ძაღლი ჩანდა. გზა არ აებნეოდა, ძაღლი მოიყვანდა ბანაკში. მაშასადამე, რაღაც დაემართა. კატიამ თქვა, სხვადასხვა მხარეს წავიდეთ და მოვძებნოთო. ძია მიშა უფრო გაბრაზდა:

— შემდეგ მე გეძებოთ, არა? ფეხი არსად გაადგათ!

ძია მიშამ თოფი ასწია და ისევ ისროლა ჰაერში. ძუნები დიდხანს იმეორებდნენ სროლის ნახმევს, ვიდრე იგი ბარდნარში არ ჩაიკარგა და არ მიწყდა.

სროლის ხმას უკვე გამოეპასუხა ლეკვის ყეფა. ძაღლი თანდათან ხმას უწევდა და ბოლოს მდელობზე გამოვარდა. მას მოჰყვა აქოშინებული პაშაც. ძლივს იდგა ფეხზე, მაგრამ ისე ბედნიერი ჩანდა, თითქოს ეს-ესაა თვითმფრინავიდან გადმოსულიყო.

— ვიპოვე! ვიპოვე! — დაიძახა შორიდანვე.

— რა იპოვე? — დაუყვირა ძია მიშამ. — ვინ გაგიშვა ბანაკიდან?

— აკი თვითონ გვითხარით...

— რა გითხარით? მე გითხარით, რკინისებური დისციპლინა უნდა გვქონდეს-მეთქი, თქვენც პირობა დადეთ. ერთ რამეზე შევთანხმდეთ: მე თქვენ სერიოზული საქმის გასაკეთებლად წამოგიყვანეთ და არა საოინბაზოდ. თუ საქმის გაკეთება და წესრიგის დაცვა არ შეგიძლიათ, შინ წადით. თქვენი გულისთვის თქვენი მშობლების წინაშე ეაგებ პასუხს. მერედა, რამე რომ მოხდეს, რა გზას დავადგე?.. გადაწყვიტეთ, ან უმკაცრესად დაიცავით წესრიგი, ან შინ დაბრუნდით. აღმითქვამთ, რომ ამიერიდან დისციპლინას აღარ დაარღვევთ?

— აღგითქვამთ! — შეეყვირეთ და ამ მკაცრი სიტყვის შემდეგ შვებით ამოვისუნთქეთ.

პაშა გულნატკენი ქშინავდა:

— მე ხომ განგებ არ დავკარგულვარ... თვითონ ამბობდით, უნდა შევისწავლოთო... ძია მიშა! მომეცით თოფი, მე მას მოვკლავ...

— ვის?

— ნადირს. თქვენ არ მომისმინეთ, მე კი ბუნაგი ვიპოვე.

— რისი ბუნაგი?

— იმ ნადირისა, რომლის ნაკვალევიც ხბოს ახლოს ვნახეთ... ძაღლი თასმით დავიჭირე, მან კი კვალზე დამაყენა... ვიარე, ვიარე, ბუჩქებში სულ შემომეხა ყველაფერი, მაგრამ მაინც ვიპოვე... ნაკვალევი ზუსტად ისეთია, როგორიც იქ იყო.

— ბუნაგი დიდია?

— დიდია!

— მაინც რამოდენა. შევძვრები?

— ვერა...

— შენ?

პაშამ ტანი შეითვალიერა და ეჭვით გააქნია თავი:

— არა, მეც ვერ შევძვრები. კატია ან ძაღლი თუ შეეტევა...

— მაშ, მელიას სოროა?

— მელიას ნაკვალევს ვცნობ. ასეთი როდია, წვრილია, ძეწკვის მაგვარი, ძაღლის ნაკვალევივითაა.. იქ მელიას ნაკვალევი არაა, სწორედ იმ ნადირისაა... ძია მიშა, მომეცით რა თოფი.

— არ მოგცემ, სათამაშო ხომ არ გგონია?

— მაშ, თვითონ მოკალით, — ისეთი ადამიანის კილოთი თქვა პაშამ, რომელმაც გადაწყვიტა უდიდესი მსხვერპლი გაეღო.

— არა, არც მე მოვკლავ. არ შეიძლება უცებ ორ კურდღელს გამოედევნო. გეოლოგები იარაღს უკიდურეს შემთხვევაში ხმარობენ და არა იმისთვის, რომ ენაგადმოგდებულებმა ნადირს სდიონ.

რაც უნდა იყოს, მკაცრად მოიქცა ძია მიშა. განა ყოველდღე გამოჩნდება ასეთი შესაძლებლობა? ნადირი ხომ უცნობია... იქნებ სულაც ახალი ჯიშისაა...

ჩვენ დანა პირს არ გვიხსნიდა, ძია მიშა კი თითქოს არაფერი მომხდარაო, რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. ბოლოს წერა დაამთავრა, წიგნაკი შეინახა და ყურადღებით შემოგვხედა:

— რაო, ყმაწვილებო! საუკეთესო იმედებს ემშვიდობებით? დიადი აღმოჩენა ვერ განახორციელეთ და დიდება ცხვირწინ გაგიფრინდათ? გეუბნებოდით, ყველაფერს გამოვიკვლევთო, სინამდვილეში კი არსად გიშვებთ და თოფის მოცემაც მენანება... ხომ ასეა?

— დიახ, — წამოცდა კატიას და ყველას გაგვეცინა.

— მთლად ასე როდია! ჩანაწერების სახვალიოდ გადადება არ შეიძლება. ახლა კი წავიდეთ. ოღონდ ისეთ ხმაურს ავტეხთ, სულ დავაფრთხობთ ნადირს, არა?

— ჩუმად ვიქნებით, ძია მიშა!

— კეთილი. მაგრამ ჩუმად ყოფნა დიდხანს მოგვიწევს. წამოსვლა ყველას უნდა, ბანაკს და ვარსკვლავას კი უმეთვალყურეოდ ვერ დავტოვებთ. ვინ დარჩება აქ?

ერთმანეთს გადავხედეთ და ხმა არ ამოგვიღია, დარჩენა არავის უნდოდა.

— რა ვქნათ, კენჭი ვყაროთ?

— არა, — თქვა გენადიმ. — მე დავრჩები.

— კარგი, — დაეთანხმა ძია მიშა, მეტი არაფერი უთქვამს, მაგრამ შევატყვე, რომ გენადის საქციელი ძალიან ესიამოვნა, ვინანე კიდეც, რატომ გენადიმ გამოთქვა დარჩენის სურვილი და მე არა-მეთქი. ეს ხომ ფრიად ვაკაციური და კეთილშობილური საქციელი იყო.

დიდხანს მივიწევდით ასკილისა და კუნელის ხშირ ბუჩქნარში, ვცდილობდით, წყნარად გვევლო, მაგრამ მაინც გვარიანად ვხმაურობდით: ხან ხმელი ტოტი გატყდებოდა ფეხქვეშ, ხან აქეთ-იქით გაწეული ბუჩქები აშრიალდებოდნენ. ბექობის განაპირას პაშამ ძაღლი შეაჩერა და თვითონაც შედგა.

— იქით წასვლა აღარ შეიძლება, — დაიჩურჩულა მან. — აგერ ბუნაგი. ხედავთ?

ბექობის მეორე მხარეს ფიჩხის გროვა ჩანდა, გროვის ქვეშ კი ნადირის სავალი.

აქ მოსვლამდე შევთანხმდით, რომ ჩავსაფრებულიყავით და გვეცადა მანამ, სანამ ნადირი ბუნაგიდან გამოძვრებოდა, ანდა შიგ დაბრუნდებოდა. ხეების უკან დავიმალეთ და ნადირის სავალს თვალთვალი დავუწყეთ.

მზე გადავიდა, ტყე თითქოს კვამლით დაიბურა, შემდეგ უცებ თვალშეუდგამმა სიბნელემ მოიცვა. რამდენიმე ხანი გავიდა და ხეების გაფაფრულ სილუეტებს სპილენძის ტაშტივით ყვითელი, ვეება მთვარე გადმოადგა, ნადირი კი არსად ჩანდა. გავიფიქრე. სორო კარგა ხნის მიტოვებულია, ამაოდ ვდარაჯობთ-მეთქი. მინდოდა, ეს ხმამაღლა მეთქვა, მაგრამ უცებ კატია მხრებში ჩამაფრინდა და სოროზე მიმანიშნა: იქ რაღაც ინძრეოდა.

სოროდან უცნაური დრუნჩი გამოჩნდა. იგი ძაღლის დრუნჩსაც ჰგავდა და ღორის დინგსაც. ცხვირიდან კეფამდე თეთრი, ხოლო თვალის ბუდეებზე შავი ზოლები გასდევდა. ხან ერთ მხარეს ბრუნდებოდა, ხან მეორე მხარეს, ჰაერს ყნოსავდა თუ მიდამოს აყურადებდა. შემდეგ ნელა გამოჩნდა მსხვილი ბანჯგვლიანი ტანი და მოკლე თათები. ნადირი უკანა თათებზე შედგა და ისევ დააყურადა

მიდამოს. თან აქეთ-იქით ბრუნდებოდა. როცა დარწმუნდა, საფრთხე არ არისო, ძირს დაეშვა, ცოტა ხნით მიწვა კიდეც სოროს წინ.

ალბათ რაღაცამ უკბინა, გამწარებით დაიწყო ფხანა. შემდეგ ისევ ძედგა ყალყზე. მიდამოს დააყურადა და... აცეკვდა. ტოკავდა, ირხეოდა, მუსიკაღა აკლდა, რომ ცეკვა გგონებოდათ. მსუქანი, მოუქნელი ნადირი მდუმარედ და საქმიანად ტოკავდა ანუ ცეკვავდა. მე ძლივს ვიკავებდი სიცილს, ჩემს გვერდით გაწოლილი კატია კი ქირქილისგან იკრუნჩხებოდა.

უცებ ძაღლი გაავებით აწკავწკავდა და ნადირი სოროში მიიმალა...

— რა მოგვიდა! — უსაყვედურა პაშას ძია მიშამ. — ვერ გაიჩუმე?

დარცხვენილი პაშა თავს იმართლებდა: ძაღლმა სულ დამკაწრა, გასხლტომას ცდილობდა. ბოლოს მაინც გაითავისუფლა დრუნჩი, რომელზეც ორივე ხელი მეჭირაო.

— გამოვაგდოთ ნადირი, — თქვა პაშამ. — გავაღიზიანოთ და გამოვაგდოთ.

— ახლა ვეღარ გამოაგდებ. ეს მაჩვია. მაჩვის სორო კი ღრმაა, თანაც რამდენიმე გასასვლელი აქვს. ვიდრე მაჩვს მიაგნებ, გაიქცევა. ბანაკში დაბრუნების დროცაა.

ზემოდან ხეებზე არეკლილი მთვარის შუქის მკრთალი ათინათები დაგვკრთოდა მარტოოდენ. ამიტომ ბრმად მივდიოდით, ხელებით ვწევდით აქეთ-იქით ბუჩქებს. მხოლოდ იქ, სადაც ხეები მეჩხერად იდგნენ, მთვარის შუქი მიწამდე აღწევდა და უკუნ წყვდიადში მკაფიოდ ჩანდა მთვარის მიერ შეეერცხლილი ტოტები და ზროები.

ბნელით მოცულ ტყეში იდუმალი ცხოვრება იგრძნობოდა, ყოველი მხრიდან ისმოდა გაურკვეველი ჭრაჭუნი და ფაჩუნი. თვითონ ვერაფერს ვხედავდით, ჩვენ კი უთუოდ გვხედავდნენ და, შესაძლოა, გვიდარაჯებდნენ ტაიგის მხეცები. თუ განზე გაიხედავდი, მოგეჩვენებოდა, რომ ჯიქურ შემოგყურებდა ვიღაცის მოელვარე თვალები.

კატია ალბათ ძლიერ შეშინდა, რადგან ცდილობდა, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო ჩემთან.

როცა ჰატარა მდელოზე გადავდიოდით, უცებ ზედ თავზე

ჩრდილმა გადაგვიქროლა და შემდეგ მოშორებით საზარელი კივილი გაისმა, რის გამოც თმა ამებურძგლა და გამიხევდა.

კატია ორივე ხელით ჩამეჭიდა.

— ვაი, რა არის?

— ნუ გეშინია, კატია, ჭოტია, — უთხრა ძია მიშამ.

— არ მეშინია. — ძლივს გასაგონად მიუგო კატიამ და ხელები გამიშვა. მაგრამ მაინც ეშინოდა. მე ხელზე ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

— ვიცი, რომ არ გეშინია. ასეთ რამეებს შეჩვეული არა ხარ და იმიტომ დაიზაფრე. ხელი მომკიდე და ერთად ვიაროთ. კარგი?

კატიამ არაფერი მიპასუხა, მაგრამ ხელი არ გამოურთმევია და მივხვდი, რომ წეღან რცხვენოდა, ეთქვა მეშინიაო, ახლა კი არც ისე ეშინოდა. სულ პატარა და ნაზი ხელი ჰქონდა, გავიფიქრე, მაინც გმირია, ვინაიდან ექსპედიციაში წამოვიდა, არ შეშინდა. ხოლო თუ ცოტათი ეშინია, არა უშავს. გოგონაა, ბიჭებზე სუსტია და უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ-მეთქი. წარმოვიდგინე კიდეც. რომ კატია ათას საფრთხეში. ათას განსაცდელში ვარდება, ჩვენ ვუშველით. ხოლო მთავარი მხსნელი მე ვარ...

უცებ ხელი გამომტაცა და გაიქცა. ხეებს შორის ბანაკის კოცონის ალი გაკრთა და ტყეს საბურველი ჩამოსცილდა...

გენადის ვუამბობდით და ვაჩვენებდით, როგორ ცეკვავდა მაჩვი, ისეთი ალიაქოთი ავტეხეთ, ძია მიშამ დაგვიცაცხანა. ახლავე დაიძინეთო. დავწექით. ნაძვის სურნელოვან ტოტებზე. რომლებიც სასიამოვნოდ გვკბენდნენ. მაგრამ დიდხანს ვერ დავიძინეთ. ქვების იქით შეურვებით დუდუნებდა ტიჟა, ფრუტუნებდა ვარსკვლავა. ცეცხლი ხან ინავლებოდა (ამ დროს გვეჩვენებოდა. თითქოს ხეების შავი ზროები ერთდებოდნენ და ჩვენკენ მოიპარებოდნენ). ხან კი ალის გრძელი ენები აბირბილდებოდნენ (ახლა სიბნელე უკან იხევდა და ხეების ზროები ისევ სვეტებივით გაშეშებულნი იდგნენ).

ყოველივე ეს ჩვენთვის ნაცრობი და ამავე დროს ახალი, უჩვეულო იყო: ამჟამად ხომ სახლებიდან შორს, სამეცნიერო ექსპედიციაში ვიმყოფებოდით. რომელიც ეს-ესაა იწყებოდა და ჯერჯერობით დიდი არაფერი მოუცია. მაგრამ ვინ იცის. ხვალ-ზეგ რას მოგვიტანდა!

გენადი გულაღმა იწვა. მეჩხერ ვარსკვლავებს შესცქეროდა. რა-

ღაცას უღიმოდა. ალბათ იმასვე ფიქრობდა, რასაც მე. კატია თვალმოუშორებლად უცქეროდა კოცონს. მის დიდ გუგებში ანცი ნაპერწკლები ინთებოდა და ქრებოდა. პაშა ხმამაღლა და გულდაგულ ქსიტინებდა — მას დიდი ხანია ეძინა...

წარღვნა

დილით გენადიმ შემანჯღრია. ორივემ პირსახოცებს დავტაცეთ ხელი და ძია მიშასთან ერთად ტიჟაზე დავეშვით. კატია ცეცხლს ანთებდა, პაშა ფაფის გაკეთებას აპირებდა.

წყალი ცივი იყო და გვსუსხავდა. ერთხელ მაინც ჩავყვინთეთ, მაგრამ უცებ გავიყინეთ, კბილების რაკარუკი აგვიტყდა და მაშინვე უკან გამოვბრუნდით. შუა გზაზე კატიას ყვირილი მოგვესმა.

— რა მოხდა, კატია? — ჰკითხა ძია მიშამ.

— როგორ რა მოხდა. ვეუბნები, არ გაბედო-მეთქი, ეს კი თავისას არ იშლის... მდინარეზე ჩასვლა ეზარება და უნდა გაურეცხავი ბურღული მოხარშოს!

— რა მოგივიდა, პაშა?

— რა განსხვავებაა! ცუდი საჭმელი არ მოგკლავს, კარგიც მკვდრეთით ვერ აღგადგენსო, ნათქვამია.

— ეს გენაცვალე ზარმაცის ნათქვამია. არ გესმის, რა არის კარგი და ცუდი და სხვის სიტყვებს იმეორებ. ასე თუთუყუშები იქცევიან. ისწავლე იყო ადამიანი, ანუ ისწავლე ფიქრი. ხოლო ფიქრის დრო რომ გქონდეს და ამხანაგებისთვის ჭუჭყიანი საჭმლის მირთმევის ხალისი გაგიქრეს, დღეს მზარეულობას გაკისრებ... გასაგებია?

— გასაგებია, — წაიბურტყუნა პაშამ. — ისე კატიამ ტყუილად ატეხა ყვირილი: სულ ერთია მიკრობები მოიხარშებიან, მოხარშულნი კი უვნებელნი არიან...

— ყველაფერი ნათელია! კატია, თვალი ადევნე, რომ ფაფა გვაჭამოს და არა მოხარშული მიკრობები...

ვიდრე პაშა ბურღულს რეცხავდა და ხარშავდა, ჩვენები ბარგს და ზურგჩანთებს ალაგებდნენ, მე კი ლაშქრობის პირველი დღის ამბებს ვიწერდი. ძია მიშამ შემოგვთავაზა, ყოველი სადგომისა და

მნიშვნელოვანი პუხჭტისათვის განსაკუთრებული სახელი მოგვეფიქრებინა, რათა ადვილად დაგვემახსოვრებინა. პაშამ მზაკვრულად შეურჩია პირველ სადგომს „კატიას ნამარხი". კატიას კინაღამ ტირილი წასკდა. მე ვთქვი, ეს კი არაა მთავარი, მაჩვის სორომეთქი. სახელწოდება ყველას მოეწონა, პაშასაც კი, რადგან სორო მან იპოვა.

შემდგომ იძულებული გავხდით, ზედ ტიჟას პირზე გვევლო. აქ სიარული ძალზე ჭირდა, ღორღი და კენჭები ფეხისგულებს გვისერავდა და გვტკენდა. სხვა გზა არც იყო, რადგან ბატირგანი ზედ მდინარის კალაპოტს მოდგომოდა.

ძია მიშამ გვითხრა: აქ სიარული კარგიცაა, მდინარე ბუნებრივი ვაშჰერდიაო. ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო „ვაშჰერდი" და აგვიხსნა: ასე ეძახიან ღარს, რომელშიც ოქროს ლექავენ. ღარში ქანს ყრიან, წყალი ქანს რეცხავს: იგი ყველაზე მსუბუქ ნაწილაკებს იტაცებს, უფრო მძიმე შორს მიაქვს, ხოლო ყველაზე მძიმე — ოქრო — ფსკერზე რჩება. ასევეა მდინარეც. წყალს მდინარეში ჩააქვს მთის ქანების ნამსხვრევები და იმის მიხედვით, რასაც მდინარეში ნახავ, თითქმის უეჭველად შეიძლება მიხვდე, რა მოიპოვება ახლომახლო. მდინარეები გეოლოგების პირველი დამხმარეებია: ნიადაგს რომ რეცხავენ, აშიშვლებენ შრეებს, რომელთაც ჩვეულებრივ ნიადაგი და მცენარეულობა ფარავს.

— ასე ნამდვილი მდინარეები შვრებიან, ეს კი განა მდინარეა? ხმაურობს და მეტი არაფერი! — თქვა გენადიმ.

ისეთ ვიწრო ადგილას მივდიოდით, გვეგონა, მილში მივაბიჯებდით (აქ ნაპირები ძალიან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს) და ტიჟა ისე ხმაურობდა, ერთმანეთის ყვირილით ვაგებინებდით სათქმელს.

— არა მგონია, მხოლოდ ხმაურობდეს, — შეესიტყვა ძია მიშა.—ტიჟა ახლა მოდის უწყინრად, თორემ როცა თოვლი დნება ან წვიმს?.. შეხედეთ აგერ თავისი ნიშანი დაუტოვებია...

ნაპირზე, თითქმის ძია მიშას სიმაღლეზე, აშკარად ჩანდა გამოფლატული ზოლი. ძია მიშა მართალი იყო: ტიჟა ძალიან ცვალებადია; სოფელში ამიტომაც ეძახიან „დამთხვეულს": ხან მშვიდად, წყნარად მოედინება, ხან უცებ აიფოფრება, აბობოქრდება და მაშინ მის კალაპოტში ვერც ქვეითად გაივლი და ვერც ზეითად.

ვიწრო გასასვლელი დამთავრდა და უფრო მაღლა ავედით. აქ

ტიკა თითქმის სწორად მოედინებოდა. ბატირგანი კი ნალისმაგვარად უხვევდა.

ნაპირის თავზე, რბილ ბალახზე სიარული გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე წყლის პირას ქვებზე, მაგრამ ძალიან დაცხა, ჰაერი შეიხუთა. ბატირგანის ნალი ქარს გაზს უკეტავდა. მდინარიდანაც კი არ აღწევდა სიგრილე. ზემოთ კი ქარი ქროდა. ბატირგანის გადაღმა მსწრაფლ ჩნდებოდნენ და მაღლა იჭრებოდნენ მოელვარე ღრუბლები. ისინი მწკრივად კი არ მიიწევდნენ, ერთმანეთს ასხდებოდნენ, თითქოს ცაში ვეებერთელა ცარცის სვეტებს აგებენო.

პერანგი გამიოფლიანდა, ძია მიშა წამდაუწუმ იწმენდდა ოფლს სახეზე. ხორშაკიან ბურში მთაგრეხილის წვეროები ცახცახებდნენ, გახურებული ჰაერი ნალის თავზე გაქვავებულიყო, მაღლა და მაღლა ისევ უხმაუროდ შენდებოდა თვალისმომჭრელად მოელვარე ქალაქები და კოშკები. მათ თოვლივით უბრწყინავდათ გუმბათები, ქვედა ნაწილი კი უმუქდებოდათ, მტრედისფერი მცხუნვარე ჯანღი ეფარებოდათ.

ახალ ვიწრო გასასვლელში ნაპირები ისევ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და შევიწროებული ტიკა უფრო ძლიერ ხმაურობდა.

დავეშვით მდინარეზე, მაგრამ აქაც არანაკლები ბუღი იდგა. უარესად ვიგრძენით თავი: ცხელი არა მარტო ჰაერი იყო, მზეზე გამთბარი კლდეებიც სიმხურვალეს გამოსცემდა. ოფლი თვალებს მივსებდა და ეს ძალიან მიშლიდა ხელს, ვინაიდან ტიკაზე ისეთი მოსახვევები და მარყუჟები დაიწყო, იძულებული ვხდებოდი, წამდაუწუმ აღმენიშნა აზიმუტები. ვეღარ ვასწრებდი ჩაწერას და თვლას. ამიტომ მე და კატიამ სამუშაო გავინაწილეთ: მე ვიწერდი და ავღნიშნავდი აზიმუტებს, ის კი ნაბიჯებს ითვლიდა. ამრიგად საქმე გამოკეთდა და ადრინდელზე უფრო სწრაფად მივდიოდით. გენადი და ძია მიშა ხშირ-ხშირად ჩერდებოდნენ, რათა კლდე შეეთვალიერებინათ, ქვა ჩამოეტეხათ ან კენჭი დაემსხვრიათ, შემდეგ ისევ გვეწეოდნენ.

მილი უფრო ვიწროვდებოდა, ტიკა უფრო ძლიერ ხმაურობდა და უცებ ბინდი ჩამოებურა. ირგვლივაც ყველაფერი დაიბინდა. ღრუბლები მზეს ჩამოეფარა, აქა-იქღა ჩანდა ლაჟვარდი ცის ნაფლეთები. ადრე ყველა ღრუბელი თეთრი იყო, ახლა კი თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ მხოლოდ ყველაზე მაღლა მყოფნი, ქვემოთ

კი იბოლქვებოდა, იფაფრებოდა შავი, ტყვიისფერი ღრუბლები, რომელთაც სილრმეში თითქმის მრუმე სილურჯე დაჰკრავდა.

— ჭექა-ქუხილი ატყდება! — შიშნეულად, თქვა კატიამ.

— არა, თუ მაინც ატყდა, დიდი არაფერი იქნება. მაგის დარდი გაქვს!

ვცდილობდი, მხნედ და მხიარულად მელაპარაკა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. შინ ჭექა-ქუხილისა არ მეშინოდა, აქ მთებში კი...

ყველაფრის მომსწრე ძია ზახარი ჭექა-ქუხილზე რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე ლაპარაკი, მხოლოდ თავს აქნევდა: მთაში ჭექა-ქუხილს ღმერთმა ნუ შეგასწროთ, გაიტანჯებითო.

— ცოცხლად, ყმაწვილებო! — გვითხრა ძია მიშამ. — თორემ მომბეზრდა ამ მილში სიარული...

ნაბიჯს ავუჩქარეთ. ძია მიშა შეურვებული უცქეროდა ხან ცას, ხან კლდეებს, თან ცდილობდა, ჩვენ ეს არ შეგვემჩნია. კლდეები ისევ ისე მაღლები იყვნენ და უფრო ციცაბონი გახდნენ. როცა გავიფიქრებდი, ჭექა-ქუხილს ვერ გავასწრებთ და, ვიდრე აქედან გავაღწევთ, წვიმის წყალი ტიკას მოაწყდება-მეთქი, გული მეკუმშებოდა.

წამოშხაპუნდა წვიმა. ძია მიშამ კატია საპალნეზე შემოსვა და დაგვიყვირა:

— გავიქცეთ!

ჩვეიც გავიქეცით.

შხაპუნი შეწყდა, მაგრამ უფრო და უფრო ბაელდებოდა. ტიკა შხუოდა და გუგუნებდა, ჩამუქებულ წყალში მკაფიოდ ჩანდა ქაფის ქოჩრები, ციცაბო კედლები ისევ ისე მიიწევდა ორივე მხარეს

უცებ ნაპირები გაიწ-გამოიწია. ახლა ტიკა არც ისე ციცაბო ქედებს შორის მოედინებოდა. ოღონდ აქ უფრო საშინელება იყო: მთებს ერთიანად ჩამოაწვა პირქუში წყვდიადი. გეზად დავიწყეთ ფეოდობზე ასვლა, რათა მდინარეს რაც შეიძლება შორს გავრიდებოდით და სადგომის ადგილი მოგვეძებნა. ბევრი შესაფერია ადგილი გავიარეთ, მაგრამ ძია მიშას უფრო და უფრო შორს მივყავდით. ის წინ მიაბიჯებდა, ხან ცოტათი ქვევით ჩადიოდა, ხან ზემოთ მიიწევდა, მაგრამ ეტყობოდა, ვერ პოულობდა იმას. რასაც ეძიებდა. ისე ჩამობნელდა, ვარსკვლავას ფეხი უცურდებოდა და ბორძიკობდა.

ბოლოს ძია მიშამ დაიძახა: „სდექ“ და მასთან მივირბინეთ. ძია მიშა პირდაპირ კლდეში გამოკვეთილ ღრმულთან იდგა.

— გამოქვაბული! — იყვირა კატიამ და ცხენიდან ჩამოხტა. — ვაშა!

— გამოქვაბული კი არა, ღრმულია... ყოველ შემთხვევაში უფრო საიმედოა, ვიდრე ტოტებისგან გაკეთებული ქოხი. აბა, ცოცხლად შევუდგეთ მუშაობას!

მღვიმეში სწრაფად შევზიდეთ ფიჩხი, შემდეგ ნაძვის ტოტები. ბოლო გუდურები მოგვქონდა, რომ უცებ ცაზე ცისფერმა სინათლემ გაიელვა და ყურთასმენის წამღებად იგრგვინა. პირველმა გვრგვინვამ თითქოს ელვებიანი ტომარა გააპო და ელვები ერთიმეორის მიყოლებით გამოიფანტნენ. კატია ჩაცუცქდა და თავი ნაძვის ტოტებში ჩარგო. ელვის შუქზე ყველაფერი ისე ნათლად გამოჩნდა, თითქოს უცებ თვალებთან ახლოს მოეტანოთ.

ამ დროს დავინახეთ, რომ მღვიმესთან ნაძვზე მიბმული ვარსკვლავა ყალყზე შედგა, აიწყვიტა და გაუჩინარდა. ჩემ გვერდით მომავალმა გენადიმ ნაძვის ტოტები განზე მოისროლა, ცხენს გაედევნა, უკან ძია მიშა მიჰყვა.

მე და პაშა მათ უკან გავყურებდით, აღარ ვიცოდით, ჩვენც გავქცეულიყავით ვარსკვლავას მოსაძებნად თუ სხვა რამ გაგვეკეთებინა. შემდეგ გადავწყვიტე, რომ ყველა რომ ერთ ცხენს გამოედევნოს, უწესრიგობა იქნება, საჭიროა ცეცხლი დავანთოთ, რათა წასულებმა ადვილად მოგვაგნონ-მეთქი. აღარ ელავდა და უცებ ადრინდელზე უფრო დაბნელდა მიდამო. კატიას მხარზე შევახე ხელი:

— ადექი, უკვე ყველაფერმა ჩაიარა, ნუ გეშინია...

— არ მეშინია... მხოლოდ პირველად შემეშინდა, რადგან ძალიან მოულოდნელად იგრგვინა...

— კარგი. მოკრიბე ტოტები და წავიდეთ.

თუმცა მღვიმიდან გამოსვლა სულაც არ მინდოდა, ვთქვი, მე და პაშა ძია მიშას და გენადის დატოვებულ ნაძვის ტოტებს მოვკრებთ, კატიამ კი მღვიმის შესასვლელთან ცეცხლი დაანთოს, რომ შორიდან ჩანდეს-მეთქი.

— კეთილი, — მიპასუხა კატიამ. — ოღონდ არ დაიგვიანოთ, თორემ ისევ დაიწყება გრგვინვა და საშინელებაა, როცა გრგვინავს და შენ მარტო ხარ...

მე და პაშა გვარიანად გავწვალდით. როცა დავბრუნდით, კოცონი უკვე ენთო. კატიამ ცეცხლს ფიჩხი დააყარა. ალი წამით მიინავლა, შემდეგ კი მაღალი სვეტივით აიჭრა ზემოთ. მღვიმე პატარა აღმოჩნდა და გამოქვაბულს არ ჰგავდა, რომელზეც კატია ოცნებობდა. ეს მთაში გაჩენილი ღრმული იყო მხოლოდ და მხოლოდ.

საქმეები მოვათავეთ, ძია მიშა და გენადი კი არა და არ ჩანდნენ. კატია და პაშა დაღონდნენ, უნდა გამოვტყდე, მეც ჩამოვყარე ყურები. გული რომ არ გაგვტეხოდა, ვთქვი, ძია მიშას და გენადის მოსვლამდე საჭმელი უნდა მოვამზადოთ და ტიჟაზე ჩავალ წყლის მოსატანად-მეთქი.

ფერდობზე ჩასვლა დავიწყე, რომ ჩემ წინ ტკაცანი გაისმა და სიბნელეში პირდაპირ ჩემკენ ვარსკვლავა წამოვიდა. ძია მიშას და გენადის მისთვის აღვირში ხელი ჩაევლოთ და აქეთ-იქით მოჰყვებოდნენ.

— საით გაგიწევია? — მკითხა ძია მიშამ.

— წყალზე.

— მაგის დრო არაა... შეხედე...

დასავლეთით ლეგა ღრუბლებში მეწამული ანაშუქი თრთოდა, ანაშუქის სიღრმეში კი პირი დაეღო ხნარცვს, თითქოს ცაში უცებ უსასრულო სიცარიელეში გამავალი ხვრელი წარმოიქმნაო.

სასწრაფოდ ავედით მღვიმეში. დროულადაც მოვაღწიეთ. ცა თვალისმომჭრელად განათდა და გმინვა-გრიალით გაიპო შუაზე. თითქოს იმავე დროს მძაფრად დაუბერა ქარმა. ელვებიანი ტომარა ისევ გასკდა და ცისფერ მოცახცახე შუქში დავინახეთ, როგორ მოფრინავდა ჰაერში რაღაც ნაფლეთები, მოტეხილი ტოტები, როგორ ეცემოდნენ ერთმანეთს ხეები. შემდეგ ერთბაშად ჩამოვარდა სიწყნარე, მაგრამ იგი მცირე ხანს იდგა, შორიდან თანაბარმა ერთფეროვანმა ხმაურმა მოაღწია.

— ყველაზე საშინელი რამ ახლა იწყება, — თქვა ძია მიშამ.

ხმაური სწრაფად მატულობდა, აცივდა და მიწას მერეხი დაეცხრა. აქ წვეთს ან ჭავლს ვერ გაარჩევდი. ეს იყო უწყვეტი წყლის ნაკადი, ნამდვილი ჩანჩქერი.

— წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, ამას რომ ჩვენთვის მდინარესთან მოესწრო?... — გვითხრა ძია მიშამ. — ჰოდა. პატივცემულო მოგზაურნო, ექსპედიცია გასეირნება არ გეგონოთ... კარგი.

დღის გვაქვს საქმელი? ოქვენი არ ვიცი და მე მგელივით მომშივდა.

ჩაიდანი გარეთ გავიწოდე და იგი უმალ აივსო წყლით. დღის გახრიგი საბოლოოდ დაგვერღვა: ჩვენ სახელდახელოდ ვსადილობდით და ვვახშმობდით.

მერეხი ღვართქაფად იქცა. ფერდობზე, სადამდეც კი ცეცხლის ანაშუქი აღწევდა, ჩანდა, როგორ მიქროდნენ ქვემოთ ბობოქარი ნაკადები.

— მსოფლიო წარღვნასავითაა, — შენიშნა პაშამ.

— შენ რაო, შეესწარი? — ჰკითხა კატიამ.

— არ შევსწრებივარ, ბებიამ მიამბო.

— მსოფლიო წარღვნა არ ყოფილა, ეს ოპიუმია და გამონაგონი, — დარბაისლურად ვთქვი მე.

— არა, წარღვნა იყო. — შემესიტყვა ძია მიშა. — მაგრამ არა იმ დროს და არა ისეთი, როგორიც საეკლესიო წიგნებშია აღწერილი. წარღვნა იყო მაშინ, როცა დედამიწაზე სიცოცხლე არ არსებობდა, და გრძელდებოდა არა ორმოცი დღე და ღამე, არამედ მილიონობით წელი... იცით, რომ ოდესღაც დედამიწაზე არც ქვები მოიძევებოდა, არც ლითონები, ყველაფერი გამდნარი იყო? იმხანად წყალი სულ არ არსებობდა, ვინაიდან წყალი ას გრადუსსზე დუღს. დედამიწაზე ტემპერატურა კი რამდენიმე ათას გრადუსს აღწევდა. წყლის ორთქლი ატმოსფეროს ზედა ფენებში ადიოდა, სადაც გამუდმებით ისმოდა ჭექა-ქუხილი, ახლანდელზე გაცილებით შემაზრზენი. მაგრამ წვიმა დედამიწამდე ვერ ჩამოდიოდა: მანამდე იქცეოდა ორთქლად, ვიდრე დედამიწის ზედაპირამდე ჩამოაღწევდა. შემდეგ ნელ-ნელა შეიქმნა მყარი ქერქი და აი, მაშინ დაეშვა დედამიწაზე წყლის ნაკადები. ეს იყო ნამდვილი წარღვნა, ვინაიდან წყალმა ყველაფერი დაფარა. ეს გახლდათ საშინელი წარღვნა, რადგან წყალი ჯერ კიდევ ცხელ ქერქს ეცემოდა, წამში ორთქლდებოდა და ისიც ზევით მოისწრაფოდა, ზემოდან კი უკვე გაცივებული წყალი ეშვებოდა. ჰოდა, ეს მდუღარე წყლის მორევი მანამდე გრძელდებოდა, სანამ დედამიწის ქერქი ერთიანმა ოკეანემ არ დაფარა...

— შემდეგ რა მოხდა?

— შემდეგ დაიწყო მთების წარმოქმნა, ანუ, როგორც გეოლოგები ამბობენ, ოროგენეზი. დედამიწა ცივდებოდა და მცირდე-

ბოდა. გამყარებული ქერქი ნოჭებად სკდებოდა. შემწვარი კარტოფილის კანივით ნოჭდებოდა. ნოჭები სწორ სივრცეებზე უფრო მძიმე გახლდათ და ჩაიძირნენ გამდნარ მასაში, რომელსაც მაგმას უწოდებენ. ერთი ნაკვეთი რომ იძირებოდა, მეორე იბერებოდა, ზემოთ იწევდა, იქმნებოდა ახალი ხვეულები და ნოჭები, ახალი მთები. ასე გრძელდებოდა ძალიან დიდხანს. მთები იშლებოდნენ, წყალს ნამსხვრევები ოკეანეში ჩაჰქონდა და მის ფსკერზე ახალი ქანები — ნალექი ქანები იქმნებოდა. იმდენი ქანი გროვდებოდა, მათი სიმძიმით ზღვის ფსკერი იზნიქებოდა, ძირს ეშვებოდა, ზემოდან კი ნალექი ქანების ახალი და ახალი ფენები ემატებოდა. შემდეგ ზღვის ფსკერი ხმელეთად იქცეოდა, ხოლო მთები წყალში იმალებოდნენ. ზღვა და მთა მრავალგზის იცვლიდნენ ადგილს და დედამიწის ქერქის ერთი ნაკვეთი ზოგჯერ რამდენჯერმე ხვდებოდა ხან წყალქვეშ, ხან ზედაპირზე. შემდეგ გამოჩნდნენ ცხოველები და მცენარეები. მათაც მიიღეს მონაწილეობა დედამიწის ქერქის წარმოქმნაში. დედამიწის ბევრი ფენა ცხოველთა და მცენარეთა ცხოველქმედების შედეგად გაჩნდა.

— ადამიანი სადღა იყო?

— მაშინ ადამიანი არ არსებობდა. იგი შედარებით გვიან გაჩნდა.

— ჩვენ კი, ესე იგი, ჩვენი მიდამოებიც წყალქვეშ იყო?

— ძალიან შორეულ დროს, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ შემდეგ უკვე წყალქვეშ აღარ ეშვებოდა...

გადაუღებლად წვიმდა და წვიმის ერთფეროვან ხმაურში ნელ-ნელა ჩამეძინა.

გენადის მისალევარი

ხშირად მესიზმრება ხოლმე წინა დღით ნანახი ან მოსმენილი. აი. ახლაც მესიზმრა. თითქოს თვითონ ვუკვირდები, როგორ ცივდება დედამიწა და მასზე იქმნება უნაპირო მდუღარე ზღვა. ზღვა გუგუნებს და აფრქვევს ორთქლს. რომელიც იქვე იქცევა წვიმად, მაგრამ უცნაურია, არც მიწა, არც ზღვა არ ცივდება, პირიქით,

ეფრო ცხელდება. ბოლოს ისე მცხება, რომ ველარ ვძლებ და მელვიძება.

სინათლე პირდაპირ თვალებში მცემს. ცა მოწმენდილია, ჰაერიც ისეთი სუფთა და გრილია, თითქოს ისიც გაირეცხა ჭექა-ქუხილის დროს. მზე ეს-ესაა ამოვიდა აღმოსავლეთით მდებარე ქედის გადაღმიდან. ქედი ჩრდილშია, მაგრამ ჩვენს ნაპირს კაშკაშა სხივები ანათებს, წვიმით გარეცხილი მცენარეულობა ისე ბრწყინავს, გეგონებათ, მთელ ფერდობზე ზურმუხტები მოუბნევიათო. ტიკას თავზე რძისფერი ნისლი იბოლქვება. იგი მაღლა მიიწევს ოქროსფერი ხდება და მაშინვე ქრება. სამხრეთით მოცისფრო ფოშფოშში თოვლიანი მთები ანხორილან და თვალისმომჭრელად ბრწყინავენ.

მზისა და ხასხასა ფერების ბრწყინვა დაუოკებელი სიხარულით მავსებს და მშვიდად ჯდომა აღარ შემიძლია.

— ადექით! — ვიყვირე მთელი ხმით. — ადექით, ძილისგუდებო!

ვიდრე ვსაუზმობდით და ვემზადებოდით, მზე მთელ ხეობას მოეფინა და ნისლი მსწრაფლ გაქრა. გავემზადეთ და, უპირველეს ყოვლისა, მდინარის სანახავად ჩავედით.

ტიკა თითქოსდა გაცოფებულიყო. მას მეტრნახევარზე აეწია და ღრიალითა და ბუყბუყით მიქროდა ნაპირებს შორის. მღვრიე, აქაფებულ წყალში წამდაუწუმ კრთოდა ბღუჯა-ბღუჯა ბალახი, ტოტები, ათასგვარი ნაგავი.

— რა კარგი იქნება, აქ რომ კაშხალი და ელსადგური აიგოს! — თქვა პაშამ. — შეხედეთ, როგორი დინებაა...

მან ტოტი აიღო და წყალში მოისროლა. დოსტმა ალბათ იფიქრა, პაშამ ჩემი გულისთვის გადააგდო და უკან უნდა ამოვიტანოო, ისკუპა და ტოტს უკან მიჰყვა. იგი დინებამ გაიტაცა და ნაპირს ორ მეტრზე მოაცილა. შეეშინდა, თათები გაშმაგებით აამოძრავა, რათა ნაპირზე გამოსულიყო, და აწკმუვლდა. ლეკვი წყალმა დაფარა, სული შეუგუბდა, მაგრამ ერთ წამში ფრუტუნით ამოყვინთა.

დოსტი პირდაპირ კლდისკენ მიექანებოდა, რომელსაც ხმაურით ეხეთქებოდა წყალი, და უთუოდ ზედ მიეკეწებოდა. კატიამ შიშნეულად შეჰკივლა, პაშა კი ნაპირზე აწყდებოდა აქეთ-

იქით. მას ძალიან უყვარდა დოსტი, გარდა ამისა, აპირებდა, იმიერპოლარეთში რომ იციან, ისეთი ძაღლები და მარხილი ჰყოლოდა, ხოლო ამ ძაღლების წინამძღოლი დოსტი ყოფილიყო... მხოლოდ გენადი არ დაბნეულა. ნაპირ-ნაპირ გაიქცა, სირბილში თოკი გაშალა, რომლის მიბმა საპალნეზე დავიწყებოდათ და თან წამოეღო. მოიქნია და ისე მარჯვედ ისროლა, თოკის მარყუჟი დოსტს შეეხო.

დოსტი კბილებით ჩააფრინდა თოკს, გენადიმ თოკი მოქაჩა. ლეკვი მაშინვე ჩაიმალა წყალში, მაგრამ თოკისთვის არ გაუშვია. ალბათ ხვდებოდა, რომ ამით გადარჩებოდა. გენადი ისე სწრაფად ქაჩავდა თოკს, როცა ლეკვი ზევით ამოაგდო. კინაღამ დაამშავა.

ლეკვმა წუთით დაუშვა კუდი, ქანაობდა, გულამოგლეჯით ახველებდა და ფრუტუნებდა, შემდეგ ტანი შეიბერტყა, შხეფების კორიანტელში გაგვხვია, ისევ ასწია კუდი, ახტუნდა, ცდილობდა, ყველა ჩვენგანი გაელოკა. მიირბინა ნაპირთან, აიძაგრა, დაილრინა და გაშმაგებით შეუყოფა მღვრიე წყალს. როცა წავედით, რამდენჯერმე შემობრუნდა და მწყრალად და გულნაწყენად მიაყეფა ახმაურებულ მდინარეს...

ტიჟას მხარდამხარ შვიდი კილომეტრი გავიარეთ, შემდეგ ერთ საქცევთან შევისვენეთ. ნასადილევს, როცა ყველამ დასასვენებლად მოიკალათა, ბანაკს გავცდი, ტიჟას თავზე აღმართულ კლდეზე ავედი და მზით გამთბარ მინდორზე დავწექი.

ტაიგის მუქი მწვანე ტალღები კლდიდან შორს მიიწევდა, მთებზე იშლებოდა, ხეობებში ჩარბოდა. ტყეების მაღლა აქა-იქ მდელოთა ხალიჩები ციაგებდა, შიშველი კლდოვანი მწვერვალების წაბლისფერი, მოიასამნისფრო კედლები აზიდულიყო. მათ ხემოთ თაკარა სხივებში მთის არწივი ბოინობდა. ეს იყო ერთადერთი ცოცხალი არსება ცადაზიდული მთებისა და მდუმარე ტაიგის მთელ ამ თვალუწვდენელ სივრცეში.

დავფიქრდი, რატომაა-მეთქი ყოველთვის წყნარი და უდაბური ტაიგა და რა შორსაა აქედან დიდი ქალაქები, სადაც ამდენი ხალხი და ამდენი საინტერესო რამაა. ძია ფედიაც, ძია ზახარიც და სხვებიც, ყველანი ამბობენ, ჩვენი მხარე მდიდარიაო. ძია მიშამ კი

თქვა, ალტაი საუნჯით სავსე სკივრიაო... სკივრი მართლაცაა, მაგრამ მაგრად დაჭედილი. აი, ძია მიშამ, ანდა იქნებ ჩვენც რომ ისეთი რამ ვიპოვოთ, მაშინ... მაშინ დაიწყება სიცოცხლე! ააშენებენ ათასგვარ ქარხანას, მოაყრიან ათასგვარ მანქანას და კოლტუბში ფეხით სიარული არ დაგჭირდება, ჩაჯდები მანქანაში და ხელად გაჩხდები იქ...

მთის არწივი ქვასავით დაეშვა ძირს. ეს ერთადერთი ცოცხალი არსება მსწრაფლ გაუჩინარდა ჰორიზონტიდან. ირგვლივ უკაცური, უძრავი ტაიგა ჩანდა. და უცებ ყველა ჩემი ზმანება გაქრა... გამახსენდა, რომ კოლტუბში უკვე აშენებენ ელსადგურს, ექნებათ სინათლე, ჩვენ კი არა, ვინაიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ძია ივანე ამბობდა — ამისთვის ბევრი მუშახელი და ფულია საჭიროო...

მე და გენადის ბევრჯერ გვიმსჯელია, რა უნდა გვეკეთებინა სკოლის დამთავრების შემდეგ, მაგრამ საბოლოოდ ვერ დავადგინე. ჩემი გულის ხვაშიადი. ახლა კი მტკიცედ გადავწყვიტე, წავალ აქედან და შემდეგ გამოჩნდება ყველაფერი, შეიძლება მეზღვუარი გავხდე, ან მოგზაური, ან კიდევ მეცნიერი-მეთქი...

მოედნის კიდეში კატიას თავი დავლანდე.

— რას უზიხარ აქ? — მკითხა მან.

— შენ ვინ გეკითხება? — გავბრაზდი მე. — რას დამდევ კუდში?

— ოჰ, ძალიანაც არ მჭირდები! — განაწყენდა კატია. — იჯექი აქ რამდენ ხანსაც გნებავს, ჩვენ კი მივდივართ... ე-ე! — ენა გამომიყო და გაიქცა.

მეც გავედევნე.

მაღალ ქედებს შორის დაკლაკნილ ტიეას აღმა მივუყვებოდით. ძია მიშა და გენადი ღორღს, ზედ ნაპირზე მომდგარ გაშიშვლებულ კლდეებს აკვირდებოდნენ. კატია და პაშაც ათვალიერებდნენ კენჭებს და რომელიც მოეწონებოდათ, იღებდნენ. გავიარეთ ათი კილომეტრი.

ძია მიშა ნაკადულთან შეჩერდა. ნაკადული მართი კუთხით ეშვებოდა ტიეაში.

— შესდექით, ყმაწვილებო! ვბახაკდებით!

— ძია მიშა. ნაკადულს ავუყვები. მივიხედ-მოვიხედავ. — უთხრა გენადიმ.

— კარგი, ოღონდ შორს არ წახვიდე.

გენადი წავიდა, ჩვენ კი საქმეს მოვკიდეთ ხელი: გავმარილეთ ქოხი, მოვაგროვეთ ფიჩხი და ვახშმის მზადებას შევუდექით. გენადი გაოფლილი, აქოშინებული მოვარდა, ძია მიშას რაღაც უთხრა და ისინი ერთად წავიდნენ. უკან გახარებულნი, აგზნებულნი დაბრუნდნენ. ეტყობა, რაღაც იპოვეს. კატიამ მაშინვე სთხოვა მათ, გვაჩვენეთ, რაც იპოვეთო.

— რა უნდა გაჩვენოთ? — ჰკითხა ძია მიშამ.

— რაც იქ იპოვეთ.

— რაც ვიპოვეთ, ხვალ გაიგებთ. გენადიმ, მგონი. შესანიშნავი რამ ნახა, მაგრამ ჯიბით ვერაფრით ვერ წამოვიღებდით... ვივახშმოთ და შემდეგ საქმეს შევუდგეთ.

— აბა. — თქვა ძია მიშამ ნავახშმევს. — ერთგვარად შევაჯამოთ ჩვენი საქმიანობა. საქმე ისაა, რომ მარშრუტის ცოტათი შეცვლა მოგვიწევს, ტიჟას აღარ გავყვებით, ვინაიდან შესაძლოა ნაკადულმა უფრო საინტერესო რამეები შემოგვთავაზოს, შესაძლოა ტიჟაზე უფრო „გულგახსნილი“ აღმოჩნდეს... ამიტომ კარგი იქნება, თუ დაგროვილ მასალას გავსინჯავთ... გადმოაპირქვავეთ ზურგჩანთები!

მე ქვებს არ ვაგროვებდი, ისედაც საკმაო საქმე მქონდა. ზურგჩანთებიც კატიამ, პაშამ და გენადიმ მოიტანეს. ჯერ პაშამ გადმოალაგა შეგროვილი ქვები. ვინაიდან ვარსკვლავას ის პატრონობდა, ქვებს არა მარტო ზურგჩანთაში იწყობდა. დიდ საპალნეშიც ალაგებდა. ჰოდა, ჩვენ წინ ქვების მოზრდილი ნატეხის მოა დაახვავა.

— მდა-ა... — ჩააგრძელა ძია მიშამ. — შენ რომ ნება მოგცენ, ალბათ ბატირგანის ნახევარს წამოიღებდი...

— ყოველი შემთხვევისათვის ვაგროვებდი. — უთხრა პაშამ.— ერთიც ვნახოთ და საყურადღებო ქვა აღმოჩნდეს? მე კი, ხედავ, რამდენი მოვაგროვე...

— ძალიან თადარიგიანი ყოფილხარ

— ხარბია და მეტი არაფერი, — თქვა კატიამ.

— სიხარბე რა შუაშია. მე მგონი, გამოუცდელობის გამო დაუგროვდა ამდენი ქვა... ჯერ ერთი, რამდენიმე ერთნაირი ქვის მოკრება უსარგებლოა. — ძია მიშამ სწრაფად გადაარჩია ქვები და ნახევარი გადაყარა. — მეორეც, დიდი ნატეხების მოკრებაც არ ღირს — მძიმეა და არცაა საჭირო: ხელისგულის ოდენა ნატეხი საკმარისია. ჰოდა, ზედმეტი ქვები უნდა მოიშორო, რომ ტყუილ-უბრალოდ არ ათრიო... მაგრამ ჯერ ვნახოთ, სხვებს რა აქვთ.

კატიამ თავისი ქვები გადმოალაგა. მას სულ სხვადასხვა ფერის გლუვი, მოშანდაკებული კენჭები აღმოაჩნდა.

— აჰა! პაშა უფრო დიდ ქვებს აგროვებს, კატია უფრო ხასხასა ფერისას. ესეც გასართობს ჰგავს, ვიდრე კოლექციას. აბა, გენადი, შენი ქვები ვნახოთ!

გენადის ნამდვილი კოლექცია მოეგროვებინა: სულ სხვადასხვანაირი, მომცრო და კოხტა ქვები ჰქონდა, მაგრამ ძია მიშა არც მისი კოლექციით დარჩა კმაყოფილი:

— ეს რა ქვაა?

გენადიმ არ იცოდა.

— სად, როდის იპოვე?

— დამავიწყდა.

— ეს თუ არ იცი, კოლექცია არაფრის მაქნისია. ვთქვათ, რა ქვაა, უცებ ვერ განსაზღვრავთ, ჯერჯერობით არ იცით გამოცნობა, მაგრამ ყოველ ნიმუშს უსათუოდ უნდა ახლდეს მონაცემები — სად, როდის და რა პირობებში იპოვეთ, თორემ ასეთი კოლექცია პრაქტიკულად სარგებლობას არ მოგვიტანს!

უნდა ვაღიარო, მაინცდამაინც არ გვწყენია, რომ კოლექცია უხეირო აღმოგვაჩნდა. ესენი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ქვები იყო. აი, იქ, ნაკადულთან კი ნამდვილად საყურადღებო რამ ვიპოვეთ. დილით ყველაფერს ისე გულმოდგინედ ვაკეთებდით, სალაშქროდ ადრინდელზე ორჯერ უფრო სწრაფად გავემზადეთ.

მე აზიმუტი მოვინიშნე — პირდაპირ დასავლეთისკენ მივდიოდით. სიარული ძალიან გვიჭირდა, განსაკუთრებით ვარსკვლავა წვალობდა. მთები, რომელთა შორისაც მიიკლაკნებოდა ნაკადულის კლდოვანი კალაპოტი, ლამის ერთმანეთს უერთდებოდნენ. ნაკადულის კალაპოტი არსებითად ჰგავდა ნაპრალს, მთაში გაჩენილ ღრმა, ვიწრო ბზარს, რომელიც დახერგილი იყო ზემოდან

ჩამოქცეული ქახების ქვებითა და ლოდებით. იძულებული ვხდებოდით, ქვიდან ქვაზე გვეხტუნავა. ამ ხტუნვა-ხტუნვაში ისე გავოფლიანდით, ისე გავწითლდით, გეგონებოდათ, სირბილში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

ნახევარი საათის შემდეგ წინიდან სინათლემ იმატა, ნაპრალი გაფართოვდა და უცებ დასრულდა. ჩვენ წინ გადაიშალა ღრმა ქვაბული. მას ორი მხრიდან მაღალი, თითქმის ციცაბო ფლატეები ერტყმოდა. ფლატეები მოშორებით ისევ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მაღალი მთასავით იკვრებოდნენ. ქვაბული ვიწრო ზოლად მიიწევდა ჩრდილო-დასავლეთისკენ. — ყველაზე ფართო ადგილას ერთნახევარი კილომეტრი სიგანის თუ იქნებოდა. ქვაბული სანახევროდ ბუჩქნარს, არყის ხეების, ლარიქსების კორომს დაეფარა. იქ რამდენიმე მხრებგაშლილი კედარიც კი აღმართულიყო. ხოლო შორს შავად ჩანდა ტყის ერთიანი კედელი. მდელოებს ისეთი ხშირი და აბიბინებული ბალახი მოსდებოდა, იმდენი ყვავილი კიანთობდა იქ, გეგონებოდათ, ვილაცამ ყველგან ჭრელი თავსაფრები მიმოფინაო.

— ოი, დედა! — თქვა კატიამ.

თითქოს გვიბრძანესო, ქუდები ჰაერში შევისროლეთ და „ვაშა“ დავძახეთ.

— სწორია! — გვითხრა ძია მიშამ. — „ვაშას“ დასაძახებლად კი გვაქვს საქმე. არა მარტო იმიტომ, რომ აქაურობა ლამაზია, იმიტომაც, რომ გენადიმ თუმცა პატარა, მაგრამ ნამდვილი გეოგრაფიული აღმოჩენა განახორციელა.

ჩვენ უფრო ხმამაღლა ვიყვირეთ და ძია მიშას ვთხოვეთ, რას ნიშნავდა ეს აღმოჩენა. მან რუკა გაშალა:

— აი, სად ვართ. როგორც ხედავთ, რუკაზე ნასახიც არ არის... ვთქვათ, ამ მისადევრისა. მის მაგივრად აღნიშნულია მთლიანი მაღლობები. მაშასადამე, აქ კარტოგრაფი არ ყოფილა და რუკა ნაამბობის მიხედვით შეადგინა, ანდა პირდაპირ დახატა მთები, რომლებიც სინამდვილეში არ არსებობს... ეს ერთი. მეორეც, ჩვენ იმ ბედნიერ ამბავს შევესწარით, როცა ბუნება თვითონ უშლის ადამიანს თავისი ცხოვრების წიგნის ფურცელს. გენადის მისადევარი ნიშანდობლივი გრაბენია.

— „გრაბენი“ რა არის?

— მთათწარმოქმნის დროს ხშირად დედამიწის ქერქი იბზარება, ადგილიდან იძვრის, ერთი ნაწილი მაღლა იწევს, მეორე დაბლა. ზოგჯერ დედამიწის ზედაპირის ნაწილები თავის ადგილზე რჩებიან. ხოლო მათ შუა მოედანი ძირს ეშვება. აი, ასეთ მოედანს ჰქვია გრაბენი. თუ ღრმა ქვაბული წარმოიქმნა, ის წყლით აივსება და ტბად იქცევა. ასე გაჩნდა მაგალითად, ტელეცკის ტბა

ტელეცკის ტბის ამბავი ჩვენ ვიცოდით. მის შესახებ არაერთხელ გვიამბო ძია ზახარმა.

— ტელეცკის ტბა ძალიან დიდი გრაბენია. მისი სიგრძე საოცდაჩვიდმეტი კილომეტრია. სიგანე — ხუთი. არის უფრო დიდი გრაბენებიც. ბაიკალის ტბის გრაბენის სიგრძე შვიდასორმოცდაათი კილომეტრია, სიგანე კი ოთხმოცდახუთი, ხოლო სიღრმე ათას მეტრზე მეტი. ჩვენი აღმოჩენილი გრაბენი პატარაა, მაგრამ გეოლოგისთვის აღმოჩენა გახლავთ. აი, რატომ შევცვალე მარშრუტი. ახლა ჩვენ ამ გრაბენის ბუნებრივ გაშიშვლებებს გამოვიკვლევთ. მართალია, ისინი გამოფიტულია, აქა-იქ ჩამონაშალითაა დაფარული, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესოა, ვინაიდან სწორედ აქ შეიძლება გველოდეს ათასგვარი მოულოდნელი რამ... თანახმანი ხართ?

ჩვენ. მხიარული შეძახილით დავეთანხმეთ და გზას გავუდექით. თუმცა მცირე მანძილი გავიარეთ და ნაკადულის პირას პატარა მდელოზე დავბანაკდით. ძია მიშამ გვითხრა, აქ იქნება ჩვენი ბაზა, საიდანაც დავიწყებთ რაიონის გამოკვლევასო.

თითქოს ჯიბრზე გამოკვლევაში მონაწილეობა ვერ მივიღე — ახლა ჩემი ჯერი იყო მზარეულობისა. შურით გავაყოლე თვალი მიმავალ პაშას და გენადის. კატიამ ბანაკში ერთხანს იტრიალა და შემდეგ ისიც წავიდა, მითხრა ირგვლივ უთუოდ უამრავი კენკრაა და კომპოტისთვის მოვაგროვებო.

გავაკეთე წვნიანი, ავადუღე ჩაი. გავიდა ხანი. რამდენჯერმე გავათბე წვნიანი და ჩაი, მაგრამ წასულები არა და არ ჩანდნენ. ბოლოს ისეთი ჭუჭყიანი, დაღლილნი და მშიერნი დაბრუნდნენ, ხელპირის დაბანისთანავე კოვზებს ეცნენ. განსაკუთრებული არაფერი უნახავთ, მაგრამ ძალიან იმიტომ დაიღალნენ. რომ ციცაბო კლდეებზე ძრომა ერთობ ძნელია.

ჭამას ვაპირებდით, როცა ძია მიშას კატია გაახსენდა:

— სადაა?

ამ დროს კატიაც გამოჩნდა. მორბოდა და ყვიროდა:

— ძია მიშა! ძია მიშა! მეც აღმოვაჩინე...

— ისევ ნამარხი ნახე? — ჰკითხა პაშამ და გადაიხარხარა.

— თვითონა ხარ ნამარხი!.. ძია მიშა, მართლა აღმოვაჩინე! იქ... — კატიამ დასავლეთისკენ გაიქნია ხელი. — იქ კენჭრას ვკრეფდი და ვიპოვე...

— ტბა!.. დიდზე დიდი! თანაც თეფშივით მრგვალი...

ტბა არც ისეთი დიდი აღმოჩნდა — ორასი მეტრი სიგანისა იყო, მაგრამ საოცრად ლამაზი. მას შორიდან ვერ დავინახავდით, რადგან ირგვლივ მაღალი ხეები ეკვროდა. სწორედ ამ ტბიდან გამოედინებოდა ნაკადული, რომელმაც გენდის მისადევრამდე ჟოგვიყვანა. პაშა მაშინვე გაიქცა ნაპირისაკენ, ფეხებით დაჩიჩქნა ქვიშა და თქვა, ტბაში თევზია, ქვიშაში თევზის ქერცლი ვნახეო.

ტბის წყალი თბილი იყო, განა ტიკას წყალს ჰგავდა. ჩვენც, უპირველეს ყოვლისა, ვიბანავეთ. შემდეგ ცოტა ხანს ცხელ ქვიშაზე ვიწექით. ძია მიშამ თქვა, ტბა ძალიან კარგია და ბანაკი აქ უნდა გადმოვიტანოთო.

ასეც გავაკეთეთ. ორ საათში ახალი ბანაკი გაბლილი იყო, ვსვამდით ჩაის, ვტკბებოდით კოკონის ათინათებით, სარკისებრ წყალზე რომ ცეკვავდნენ. შემდეგ ჩავიდა მზე, ცაზე ვარსკვლავები აციმციმდნენ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ორი ცა გაჩნდა: ზემოთაც და ქვემოთაც —ტბაში მოციაგე სიიათლეები ბრწყინავდნენ, კიაფობდნენ.

ძია მიშამ თქვა, ტბას კატიას სახელი დავარქვათ, ოადგან მან აღმოაჩინაო. კატია უამისოდაც გაფხორილი და გაამაყებული დადიოდა, მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა გადაწყვიტა, არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ აღმოგვეჩინა და დავეთანხმეთ: ირქვას კატიას სახელიო.

მრგვალი ტბის მეფე

პაშამ ბანაკში მორიგედ დარჩენა მოისურვა, რამაც ყველა გაგვაკვირვა, ჩვენ კი ჩაქუჩები ავიღეთ და დილიდანვე გავწიეთ ფლატესკენ. კატიას რულეტი მოჰქონდა და ძია მიშას ფენების სისქის

გაზომვაში ეხმარებოდა. გენადი ქანების ნიმუშებს აგროვებდა. მეც დავიწყე ნიმუშების შეგროვება. ამან გამიტაცა და წინ წავედი, კლდოვან კედელს გავყევი. კედელი სულაც არ აღმოჩნდა სწორი და გლუვი, როგორც შორიდან ჩანდა, პირიქით, მიტეხილ-მოტეხილი, მიხვეულ-მოხვეული იყო. წვერი დაკბილვოდა, ჩამოშლოდა და ქვემოთ ნაშალის ვეება ზვინულები გაჭიმულიყო. მალე ჩვენები თვალს მოეფარნენ, მაგრამ მაინც წინ მივდიოდი.

მე გულმოდგინედ ვათვალიერებდი ფლატეს და ნაშალს, ვამტვრევდი ყველა საეჭვო ქვას, მაგრამ ზურმუხტის მაგვარს ვერაფერს ვპოულობდი. მხვდებოდა რძისფერ-თეთრი, ნაცრისფერი, მოყვითალო ქვები, რომელთა სახელწოდებანიც მე არ ვიცოდი, აგრეთვე მოწითალო, მარცვლოვანი პორფირიტები (ასე უწოდებდა მათ ძია მიშა) და მეტი არაფერი. მხოლოდ ერთხელ წავაწყდი შესაფერის ქვას, მაგრამ ის ბოთლივით მომწვანო, ჭუჭყისფერი იყო და ჩაჭუჩის დარტყმაზე ნამსხვრევებად იქცა. არა, რასაკვირველია, ეს ზურმუხტი არ იყო!

უკვე უკან დაბრუნებას ვფიქრობდი, მაგრამ კედელს უკანასკნელად რომ მოვავლე თვალი, მიწიდან ხუთ მეტრზე პატარა ღრმული თუ ხვრელი შევამჩნიე. ქვემოდან მისი დათვალიერება შეუძლებელი იყო და ზევით აცოცება დავიწყე. პირდაპირ ვერ ავცოცდებოდი, ვინაიდან ხვრელიდან ციცაბოდ ეშვებოდა თითქმის მოშანდაკებული ფერდი, სადაც ვერაფერს მოვეჭიდებოდი, ზემოთ კი ნაშალის მაღალი ზვინული აზიდულიყო. სამაგიეროდ გვერდიდან ნაპრალებისა და ქვების მეშვეობით შეიძლებოდა პატარა ლავგარდანამდე მიმეღწია, რომლის თავზეც იყო სწორედ ეს ხვრელი. ლავგარდანზე გვერდულად თუ გაივლიდი, თანაც კედელს გაკრული. ლავგარდანი მხოლოდ ზედ ხვრელთან ფართოვდებოდა ცოტათი და დახრა შემეძლო. პატარა, ნახევრად მრგვალი წალო კრისტალებით იყო მოფენილი!..

თვალები მოვჭუტე, სული მოვითქვი და ისევ გავახილე თვალები: კრისტალები არ გამქრალა. გლუვი, მოელვარე და მინასავით გამჭირვალე კრისტალები უეჭველად ალმასები იყო! აბა, მათ რაღაც ზურმუხტები შეედრებოდა?.. წარმოვიდგინე, ყმაწვილები როგორ დააღებდნენ პირს, როცა ჯიბიდან გოროზად, გულგრილად ამოვიღებდი მთელ მუჭა ალმასებს და ძია მიშას წინ დაუდევრად დავყრიდი...

წალოს გვერდითა კედელში მოვძებნე ადგილი, სადაც მსხვილი კრისტალების თანავარსკვლავედი გაჩენილიყო და ფრთხილად დავიწყე მისი ძირიანად მოტეხვა. ეს ადვილი საქმე როდი გახლდათ: წელში მოხრილი მარცხენა ხელით ვტეხდი თანავარსკვლავედს. ბოლოს იგი ხელთ მქონდა, მაგრამ უხერხულად შემოვბრუნდი, ლავგარდანს მოვწყდი და ციცაბო ფერდზე ჩამოვცურდი. ხელებში კრისტალები რომ არ მქონოდა, ვეცდებოდი, რაიმეს მოვჭიდებოდი და უფრო ნელა დავეცემოდი, მაგრამ ახლა მარტოოდენ თვალები მოვჭუტე, კრისტალები მაღლა ავწიე და ქვემოთ ჩამოვქანდი. ზურგი წვეტიან შვერილებზე გადავიტყაევ და ღორღიან ნაშალზე ხნული გავავლე. გადატყავებული ზურგი მეწვოდა და მწიწკნიდა, მაგრამ ბედნიერი ვიყავი: საუნჯე გადარჩა! უკან გავიქეცი, რათა ძია მიშა და ყმაწვილები მომეძებნა. შემდეგ გადავწყვიტე, ისინი წავიდნენ-მეთქი და ბანაკისაკენ გავემართე.

— მიშველეთ! ვაი-ვაი-ვაი, ჩქარა მიშველეთ! — მომესმა შორიდან ძახილი.

კრისტალები ჯიბეში ჩავიწყვე და თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. ბანაკში არავინ დამხვდა. ნაპირზე დოსტი აქეთ-იქით აწყდებოდა, ტბისკენ იყურებოდა და ხან ყეფდა, ხან წკმუტუნებდა. ტბიდან ისევ მოისმა ყვირილი:

— ვაი-ვაი-ვაი! ახლავე დავიხრჩვები... მიშველეთ!

პაშა ყვიროდა. მას შუა ტბაში ვკიდე თვალი. ცურავდა, მაგრამ რაღაც უცნაურად ცურავდა. უფრო სწორად, მოკუნტული იჯდა, ხან წინ წამოიწევდა, ხან უცებ შეჩერდებოდა და ისევ უკან იხევდა, თითქოს უკუსვლით მიდისო. წყლით არ იგუდებოდა, არც იძირებოდა და საერთოდ წყლის ზევით იყო, რაღაცაზე იჯდა, რაც სწრაფად აწყდებოდა აქეთ-იქით. როცა მოძრაობა ნელდებოდა ან წყდებოდა, პაშაც წყნარდებოდა, მაგრამ როგორც კი განახლდებოდა, ისევ იწყებდა ღრიალს.

სწრაფად გავიხადე, მინდოდა პირდაპირ პაშასკენ გამეცურა, მაგრამ შემდეგ მოვისაზრე, რომ ასე ვერ გამოვათრევდი. ნაპირზე მორის ნატეხი ტივტივებდა. ზედ გადავწექი, ხელები ნიჩბებივით მოვუსვი და პაშასკენ გავწიე. ახლა პაშამ ტრიალი დაიწყო, სწრაფად ცურავდა წრეზე, მის ირგვლივ პატარა ფურთუნებიც კი გაჩნდა.

პაშას ვერ დავეწეოდი, რომ არ გაჩერებულიყო. ახლოს მივ-ცუ[illegible] და დავინახე, რომ პაშა წყალში მთლიანად ჩამალულ პატარა ტივზე იჯდა.

— რა გაღრიალებს? მე მეგონა იხრჩობოდი...

პაშამ პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ტივი შეინძრა და ისევ დაიწყო უცნაურად მოძრაობა. დროდადრო გვერდზე იხრებოდა და უფრო ღრმად იძიოებოდა.

— თევზ-ზია! — ბლუკუნებდა პაშა. — მგონი, ზვიგენი დავიჭირე...

— შე სულელო. ზვიგენები ზღვაშია.

— მაშ, ეს წარღვნამდელი თევზი ყოფილა...

თევზი ალბათ გვარიანად დაიღალა: ტივი სულ უფრო ნელა მოძრაობდა, ბოლოს მთლად გაჩერდა.

— მოუსვი ხელები! — ვუბრძანე პაშას და ორივემ ნაპირისკენ გამოვსწიეთ.

ტივი გაშმაგებით თრთოდა, ხანდახან განზე სხლტებოდა, მაგრამ მაინც უახლოვდებოდა ნაპირს. ვიდრე ნაპირს მივაღწევდით, პაშამ ბლუკუნით მიამბო, რაც მოხდა.

იგი განზრახ დარჩა ბანაკში, რომ თავისუფლად დაეჭირა თევზი. ნაპირზე ათასგვარი წვრილი თევზის გარდა ვერაფერს იჭერდა. ამიტომ ოთხი ლატანი გამოჭრა და ტივად შეკრა. ტივი ფახფახა და ძალიან მჩატე გამოდგა. როცა პაშა ზედ აძვრა, თითქმის წყლით დაიფარა, მაგრამ ცურვა მაინც შეიძლებოდა. პაშა ოციოდე მეტრით მოშორდა ნაპირს. ძია მიშამ სოფელში ზურგჩანთა კი დაუცარიელა. მაგრამ მაინც მოახერხა მსხვილი დაგრეხილი კანაფისგან გაკეთებული მამის ნაქონი ანკესი გადაემალა. ანკესს ფოლადის მავთულის თასმები ეკეთა, ხოლო ზემოდან თითბერი ჰქონდა შემოკრული. პაშამ ანკესს სატყუარა ჩამოაცვა და ისროლა. რამდენჯერმე უშედეგოდ ამოსწია და ისევ ისროლა. უკვე აპირებდა, ყველაფრისთვის მიეფურთხებინა და ნაპირისკენ წამოსულიყო, მაგრამ ანკესი უცებ დაიჭიმა და პაშამ ძლივს მოასწრო ლატანის როკზე კანაფის დახვევა.

ტივი რომ უფრო მძიმე ყოფილიყო, ხოლო კანაფი ნაკლებ მაგარი, ყველაფერი პირველივე ჩიქგზე დამთავრდებოდა. მაგრამ საქმე სხვანაირად შეტრიალდა. უცნაურმა ნადავლმა თვითონ და-

იჭირა პაშა. ბიჭი მაშინვე მოეგო გონს, როცა ტივი შუა ტბაში აღმოჩნდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. სველი დაჭიმული კანაფის ახსნას პაშა უკვე ვეღარ ახერხებდა. უფრო იოლი იყო მისი გადაჭრა, მაგრამ დანა თან არ ჰქონდა, თანაც დაჭერილი უცნობი ვეება ოვეზის გაშვება არ უნდოდა. მას ხან შიში იპყრობდა, ხან იმედი ესახებოდა გულში, ვეღარც ტივი მიეტოვებინა და ზედ დარჩენაც ეშინოდა.

მივცურდით მოპირდაპირე ნაპირზე, რადგან ის უფრო ახლოს იყო და თანდათან დავიწყეთ ნადავლის ამოწევა. იგი წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ მაინც გვნებდებოდა. ზედ ნაპირზე, როცა წყალმარჩხ ადგილას ფართო მუქი ზურგი და ლაქებიანი გვერდები გამოჩნდა, თევზი ისევ აბობოქრდა და შხეფების კორიანტელი დააყენა. ჩვენ მაინც ამოვათრიეთ ქვიშაზე და გაკვირვებისგან შევყვირეთ — ამოდენა თევზი არასდროს გვენახა.

პაშამ თქვა, ქვა უნდა ვხეთქოთ თავში, თორემ ძალას მოიკრებს და ისევ წყალში ჩახტება, მაგრამ თევზთან მისვლას თვითონ ვერ ბედავდა. თევზს ფართოდ დაეღო პირი, ჰაერს იტაცებდა, გააფთრებით ურტყამდა კუდს ქვიშას და ხტოდა, მაგრამ სულ უფრო ეცლებოდა ღონე. პაშამ ტოტის მძიმე ნატეხი მოძებნა და შორიდან დრუზა თევზს თავში. თევზმა სხმარტალი შეწყვიტა და შიმდეგ სულ დაიძინა.

თევზი ძალიან მძიმე აღმოჩნდა. პაშას ვუთხარი, ისევ ტივზე დავმსხდარიყავით და თევზი მეორე ნაპირზე გადაგვეტანა. მან მიპასუხა, სჯობს ტბას შემოვუაროთ, თორემ იქ შეიძლება ისევ გადავეყაროთ სხვა თევზს და მან სულ არ ჩაგვძიროსო. ამიტომ თევზი წყალში შევათრიეთ და კარჭაპივით ბუქსირით წამოვიყვანეთ ნაპირ-ნაპირ.

მე პირველმა შევამჩნიე დიდი ჩექმების ნაკვალევი. კვალი პირდაპირ წყალში შედიოდა, იქ კი წაშლილი იყო. შემდეგ კვალი ისევ უკან ბრუნდებოდა და ქვიშიან ნაპირს შემორტყმულ ბალახში იკარგებოდა.

ირგვლივ წინანდებურად კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაგრამ ეტყობოდა, აქ სულ ახლახან ვიღაცას გაევლო. ვინაიდან კვალი ერთობ მკაფიო გახლდათ. ასე იყო. თუ ისე, გუშინდელი მაინც უნდა ყოფილიყო. ადრინდელს გუშინწინდელი ღვართქაფი წაშლიდა.

ვინ იყო ის კაცი? რატომ აღმოჩნდა ტბასთან? იცის თუ არა ჩვენი აქ ყოფნის ამბავი და თავისი საქმის გამო წავიდა თუ იმიტომ, რომ ტბაზე ჩვენ გამოვჩნდით? თუ დაგვინახა, რატომ ბანაკში არ მოვიდა?

დიდხანს ვფიქრობდით საიდუმლო კვალზე, შემდეგ გაგვახსენდა, რომ ბანაკი უმეთვალყურეოდ გვქონდა მიტოვებული და იქით გავუჩქარეთ.

თევზი უნდა გამოგვეშიგნა და სადილად მოგვემზადებინა, მაგრამ გვინდოდა ჩვენებისთვის გვეჩვენებინა, რა დიდებული ნადავლი ვიგდეთ ხელთ. ჩვენები მალე მოვიდნენ და ვეება თევზმა, რა თქმა უნდა, ყველანი აღაფრთოვანა. პაშამ ისეთი ბაქიბუქი ატეხა, იძულებული გავხდი, მეამბნა, როგორ იჯდა ტივზე მოკუნტული და ღრიალებდა: ვაი-ვაი-ვაი, ახლავე დავიხრჩობიო... ყველას სიცილი აუტყდა, ძია მიშამ კი გვითხრა, მერე რა, თუ ეშინოდა. მთავარი ისაა, რომ უკან არ დაუხევია. ტაიმენი ვეება თევზია და მას შეიძლება მოზრდილი ადამიანი მოერიოს. ეს ტბის ნამდვილი მეუფეაო. კატიამ ჩემი ზურგი დაინახა და იყვირა:

— ოჰ, ძია მიშა, ნახეთ, რა სჭირს კოლიას ზურგზე!

ახლაღა გამახსენდა შარვლის ჯიბეში ჩატოვებული ჩემი ალმასები. მგონი, ვერ მოვახერხე გოროზი და გულგრილი გამომეტყველება მქონოდა, მაგრამ ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რომ ყველას აღტაცება დაეუფლა.

ძია მიშამ ყურადღებით დაათვალიერა კრისტალების თანავარსკვლავედი და თქვა:

— ძალიან კარგია! ჩინებული ნიმუშია! მე მგონი, ეს თქვენს კოლექციას დაამშვენებს.

— როგორ? განა ეს... — დავიწყე გულგატეხილმა.

— ეს კრისტალური კვარცის შესანიშნავი ნიმუშია. შენ ბედმა გაგიღიმა და მსხვილი და ძალიანი ხალასი კრისტალები იპოვე, თუმცა ამის გულისთვის სულაც არ ღირდა ზურგის გადატყავება: კვარცი ძალიან გავრცელებული მინერალია.

ისე გულგატეხილი და ნაწყენი ვიყავი, კატიას უსიტყვოდ მივუშვირე ზურგი იოდის წასასმელად და არც გავჯავრებივარ, როცა მითხრა, ახლა ზებრას ჰგავხარო. კიდევ კარგი, ტრაბახი არ დამიწყია და სისულელე არ წამოვროშე, ალმასები ვიპოვე-მეთქი!..

ტაიმენი მსუქანი და გემრიელი აღმოჩნდა და დიდებულად ვი-სადილეთ.

— კი, მაგრამ როგორ მოხვდა აქ? — იკითხა კატიამ, როცა ნა-სადილევს დასასვენებლად მივწექით.

— კაცმა არ იცის. შეიძლება ეს ნაკადული ოდესღაც დიდი იყო, ორაგულები კი მაღლა ადიან ხოლმე ქვირითის დასაყრე-ლად. ამოვიდნენ, მაგრამ წყალმა დაიკლო და აქ დარჩნენ. შეიძ-ლება ქვირითის მარცვლები ფრინველებს დაუცვივდათ. ჰოდა, ასე-თი „მეუფე“ გაიზარდა. დაჭერით აქ ვინ დაიჭერს, უკაცური ადგი-ლია...

მე ნაკვალევი გამახსენდა.

— ძია მიშა! აქ ადამიანები არიან... ნაკვალევი ვნახეთ ტბის გაღმა.

— ვინ შეიძლება ყოფილიყო? აბა, წავიდეთ ვნახოთ...

ნაკვალევის გარშემო ყველა ბუჩქი გადავაქოთეთ, მაგრამ ვერა-ვინ და ვერაფერი ვნახეთ. გენადი ყურადღებით დააკვირდა ქვიშა-ზე ანაბეჭდს — ლამის ცხვირი გაუხახუნა და თქვა:

— კოჭლია. მარჯვენით კოჭლობს. ხედავთ, მარჯვენა ფეხის ნაჟ-ვალევი სუსტია და სრული არაა. რა თქმა უნდა, კოჭლია!

— ფრიად შესაძლებელია, — დაეთანხმა ძია მიშა. — მაგრამ ის კაცი კარგა ხნის წასულია და აზრი არა აქვს ამ ნაკვალევზე თავის ტეხვას... წავიდეთ ბანაკში!

გენადი კი შეიშმუხნა, რაღაცაზე ფიქრობდა და ფეხს არ იცვ-ლიდა.

— გამახსენდა! — უცებ იყვირა მან. — ისინი არიან!.. ძია მი-შა, როცა თქვენს დასაჭერად წამოვედით... — გენადი გაწითლდა და აირია, — ესე იგი, როცა... თქვენ გეძებდით... სოფლის გარეთ ზუსტად ასეთი კვალი ვნახეთ...

— ისევ რაღაცას იგონებ! — უთხრა ძია მიშამ. — ვთქვათ ჰგავს, მერე რა? აქ ვინ ამოვიდოდა?

რა თქმა უნდა, გენადიმ გადაამლაშა. ნაფეხურები მართლა ჰგავ-დნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. რას აკეთებდა აქ ის კაცი და სად გაქრა?.. ბანაკში გაოცებულნი და საგონებელში ჩავარდნილნი დავბრუნდით... იქნებ მისადევარი სულაც არ იყო უკაცური. აქ ვინმე ცხოვრობდა და მრგვალ ტბას პაშას ტაიმენის გარდა სხვა ნამდვილი მეუფე ჰყავდა?

მეორე დღეს პირველ შესვენებამდე კედლის გასწვრივ მივდიოდით, ვზომავდით ფენებს და ნიმუშებს ვაგროვებდით. კედელი თანდათან დაბლდებოდა, შემდეგ სოჭით და ნაძვით დაფარულ ფერდობად იქცა. მისადევარი თანდათან ვიწროვდებოდა და ბოლოს ერთიანად ტყით დაფარულმა მაღალმა მთამ ჩაკეტა... ძია მიშამ გვითხრა. ადრინდელი მარშრუტით მდინარეზე რომ დავბრუნდეთ, დიდი გზის გავლა მოგვიწევსო. და გადავწყვიტეთ, მთა გადაგვევლო, რათა შემდეგ გზა ჩრდილო-დასავლეთისკენ გაგვეგრძელებინა.

ხეობაში ტყეს წამდაუწუმ ენაცვლებოდა თითქმის კატიას სიმაღლისოდენა ქორფა ბალახით დაფარული კორდები. წინ მიმავალი ძია მიშა ერთ-ერთი ასეთი კორდის ნაპირზე უეცრად შედგა და გამაფრთხილებლად ასწია ხელი. ჩვენ ფრთხილად მივედით, მაგრამ მაღალი ბალახი მზერას გვიშლიდა და ვერაფერი დავინახეთ. მხოლოდ ის შევამჩნიეთ, რომ კორდის შუაში რაღაც მოძრაობდა. ძია მიშამ კატია ხეზე შესვა. კატია უფრო მაღლა აცოცდა და სწრაფად ჩამოცურდა ძირს.

— იქ წითურ ძროხას სძინავს. მის გვერდით კი ბოჩოლაა... ისეთი ლამაზია!

რა თქმა უნდა, ძროხა არ იქნებოდა — საიდან უნდა მოსულიყო აქ! ყველას მოგვინდა მისი ნახვა, მაგრამ უძრავად ვიდექით, გვეშინოდა, უცნობი ცხოველი არ დაგვეფრთხო.

— მას არ სძინავს, — თქვა რამდენიმე ხნის შემდეგ გენადიმ.— მკვდარია. ხედავთ, ყვავებს?..

მოშორებით მდგარ ნაძვის ხეზე ორი ყვავი ჩამოსხდა და რაღაცაზე გააბეს ლაპარაკი, თან კორდს გადმოსცქეროდნენ. შემდეგ მათ სხვები მიემატნენ.

— ჰო, ყვავებმა შეიძლება ლეშის სუნი იკრეს...

მაღალ ბალახში ჩავიმალეთ და კორდზე გავხოხდით. შუა კორდზე დიდი ჟღალი ცხოველი იწვა, ხოლო მის გვერდით პატარა, წრვილფეხება მოწითალო ბოჩოლა, რომელსაც გვერდებზე წაბლისფერი ხალები ჰქონდა. ბოჩოლა ხან დრუნჩს ულოკავდა დედას, ხან

თავით უბიძგებდა, თითქოს ცდილობდა გაეღვიძებინა, ჩაწ სუსტ ფეხებს ფარჩხავდა და შეშდებოდა.

ჩემ ფეხქვეშ ტოტმა ტკაცუნი მოადინა, ბოჩოლა შიშნეულად შეხტა და გვერდზე გავარდა, იქ კატიას შეეჯახა და ორივე წაიქცა. კატიამ კისერზე ხელები მოხვია, მეც მივირბინე და ბოჩოლა დავიჭირეთ.

— ეს ფურმარალია, — თქვა გენადიმ. — ასეთი ტყავი ძია ხართან მინახავს.

— ჰო, — დაეთანხმა ძია მიშა. — ოღონდ ფურმარალი მკვდარი კი არაა, ვიღაც ვიგინდარას მოუკლავს.

ფურმარალის თვალზემოთ პირი დაეღო ნატყვიარს, უკანა მარჯვენა ფეხზე მისთვის ტყავი აეძროთ და ხორცი მოეჭრათ. მონადირე მოკლული ფურმარალის მთლიანად წაღებას ვერ შეძლებდა. ამიტომ დიდი ნაჭერი მოეჭრა და წასულიყო. ალბათ სწორედ მაშინ მოერბინა მიმალულ ბოჩოლას დედასთან.

ერთი ნაჭერი ხორცისთვის მოკლეს დიდი, ლონიერი ცხოველი. ბოჩოლა კი უდედოდ დაიღუპებოდა.

— ამგვარი ქვემძრომები ციხეში უნდა ჩასვა! — თქვა გენადიმ.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა ძია მიშამ, — თუნდაც იმიტომ, რომ ახლა ნადირობა აკრძალულია. მან კი დედა მოკლა. მაშასადამე, ბოჩოლაც.

— ვინმე გადამთიელი იქნება, — დაასკვნა გენადიმ. — ჩვენები ახლა ნადირს არ ხოცავენ... დავიჭიროთ!

— აბა, რას იპოვი! ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო...— შეესიტყვა პაშა.

კატია ბოჩოლას დაფუსფუსებდა, ეფერებოდა, რაღაცას ეუბნებოდა. კატიამ თქვა, ბოჩოლას არათრით არ მივატოვებ. მარტო უსათუოდ დაიღუპებაო.

— რა უნდა ვუყოთ?

— თან წავიყვანოთ! ჰა, ძია მიშა მე ვაჭმევ...

— რას აჭმევ? ალბათ ჯერ ბალახს არც ჭამს.

— ჭამს! ჭამს! — იყვირა კატიამ. — შეხედეთ!

მან ცოტა ბალახი მოგლიჯა და ბოჩოლას გაუწოდა. ბოჩოლამ ბალახი დაყნოსა, ცოტა მოწიწკნა და მაშინვე გადმოყარა პირიდან.

— ხედავ, ჭამა ჯერ არ იცის!

კატია დანაღვლიანდა, ლამის ცრემლი მოერია:

— სულ ერთია, არ მივატოვებ! მასთან დავრჩები და არ მივატოვებ, მორჩა და გათავდა!

— რა გაეწყობა. კარგი ბატონო! წამოიყვანე შენი ბოჩოლა.

კატიამ თოკისგან მოკლე საბელი გააკეთა და ბოჩოლას კისერზე ჩამოაცვა. ბოჩოლა თავდაპირველად უკან-უკან იხევდა და ჯიუტობდა. შემდეგ კატიას დამორჩილდა და უკან გაჰყვა, წვრილ ფეხებს ჩქარ-ჩქარა მიაბაჩუნებდა.

ბოჩოლა მალე დაიღალა, იგი უკან რჩებოდა. მასთან ერთად კატიაც ჩამორჩა ამხანაგებს. ძია მიშამ ბოჩოლა ბავშვივით შეახვია და ვარსკვლავას ზურგზე მოათავსა. კატია წინ წავიდა. გზადაგზა შავ მოცხარს კრეფდა.

ჩამონაქცევებს გვერდს ვუვლიდით და ნელ-ნელა ავდიოდით ფერდობზე. უცებ წინიდან დარტყმის დახშული ხმა და კატიას ყვირილი მოისმა:

— ჩქარა! ჩქარა, აქეთ!..

ხმას მივყევით და მდელოზე გავცვივდით. იქ კატია ხტოდა და მსივილ ტოტს მიწას ურტყამდა. მიწას ბოლი ასდიოდა.

ხანძარი!

ცეცხლი ჯერ კიდევ არ გაჩაღებულიყო, მაგრამ ალი ნაპერწკლების წკაპუნით მწვანე ბალახის პატარ-პატარა კუნძულებს შორის დაიკლაკნებოდა, ჩინჩხვარზე გადარბოდა და სულ უფრო სწრაფად ედებოდა მიდამოს. მდელოზე უკვე დამწვრის მწკლარტე, მწვავე სუნი ჩამოდგა... ჩვენ იქვე მიმოფანტულ ტოტებს დავწვდით და სწრაფად მოსხმარტალე ცეცხლის ჩაქრობას შევუდექით.

მოირბინეს ძია მიშამ და პაშამ. მდელოს ირგვლივ შემოვერტყით, რომ ცეცხლი შორს არ გადასულიყო და მიწას ტოტებს ვუბათქუნებდით. ცეცხლი ჩაცხრა, მაღლა აიმართა მტრედისფერი კვამლი, ხოლო ამ მუხანათურ კვამლში ხან აქ, ხან იქ ისევ სცვიოდა ხოლმე ნაპერწკლები ხმელ ბალახს.

ბოლოს ცეცხლი ჩავაქრეთ, მაგრამ ბალახი ისევ იფუჟებოდა და ბოლავდა. ახლაღა გავიგონეთ მდელოს ნაპირას ჩამდინარე ნაკადულის რაკრაკი. დავატრიალეთ ქვაბი, ჩაიდანი, ტოლჩები და წყალი გულმოდგინედ დავასხით აბოლებულ ადგილებს. კატია ამ საქმეში აღარ მონაწილეობდა. მიწაზე იჯდა, ხელები ფეხებზე მოეკიდა და

უსმოდ ტიროდა. როცა მან ცეცხლი დაინახა, ჩასაქრობად გავარდა, ზედ ალმოდებულ ბალახზე დარბოდა და ცხელ გულზე ტკივილს ვერ გრძნობდა. ახლა კი შეაწუხა დამწვრობამ. ძია მიშამ ფეხებზე რომ დახედა, ამოიოხრა და თავის ჩანთას ეცა. კატიას მანგანუმის ხსნარით მობანა ფეხები, შემდეგ შუშა გაათბო, იქიდან ცვილისმაგვარი სქელი მასა გადმოღვარა, დამწვარ ადგილებზე წაუსვა და შეუხვია. კატიამ ტირილი შეწყვიტა და ახლა სლუკუნებდა.

— ძალიან გტკივა, კატია? — ჰკითხა ძია მიშამ.

— მწვავს...

— ფეხშიშველა რატომ შევარდი ცეცხლში?

— დავფეთდი... ცეცხლი აგერ, ფარჩხისკენ მიიწევდა.

ცეცხლი გრიგალის მიერ დალეწილი ხეებიდან ორ ნაბიჯზე შევაჩერეთ. იმის იქით ხავსითა და ხავსურებით დაფარული გამხმარი ხეები იდგნენ. ცეცხლს რომ იქამდე მიეღწია, ვეღარ შევაჩერებდით.

შარშან მთელი სოფელი გაიქცა კოლტუბში, რათა იქაურებს მეხის მიერ გაჩენილ ხანძრის ჩაქრობაში მიხმარებოდნენ. მაშინ ცეცხლი მწიფობაში შესული პურისკენ მიიწევდა...

ტაიგაში გაჩენილ ხანძარზე საშინელი არაფერია. მობაბანე ცეცხლი კედელივით მიიწევს ცაში, ასწლიანი კედრები და ნაძვები ჩირაღდნებივით ინთება. თავზარდაცემული, გაგიჟებული ყველა ცოცხალი არსება ცეცხლს გამოურბის და ცეცხლგადავლილ ადგილზე მრავალი წლის მანძილზე რჩება ნამწვრის შავი, უსიცოცხლო უდაბნო.

კატია გმირულად მოიქცა. ის კი არაფერს ნიშნავდა, რომ გმირი ახლა იჯდა და ბღაოდა.

— აბა, რა გიყოთ? ჰა? შენ ხომ სიარულს ვერ შეძლებ?

— შევძლებ! ნამდვილად შევძლებ! — კატია წამოხტა, შეჰკივლა, გაფითრდა და უმალვე დაჯდა. — არა, არ შემიძლია... — მას ისევ წამოსცვივდა ცრემლი.

შეწუხებულმა ძია მიშამ ლოყა მოისრისა და ჩაფიქრდა:

— რა გაეწყობა, ყმაწვილებო, ლაშქრობა უნდა შეეწყვიტოთ... მოიცათ! მეხუთე დღეა გზაში ვართ, სურსათი გველევა. ვიცი, მზად ხართ ცხრა მთას იქით იაროთ, მაგრამ კატიას ფეხები ძალიან აქვს

დაბნეული. მკურნალობა სჭირდება. ალბათ არ ისურვებთ, მან თქვენი სიამოვნებისთვის იტანჯოს. არა, ხომ?... მეც ასე ვფიქრობ. ამიტომ ვბრძანებ, შინ გავსწიოთ!

მერედა რა ეშველებოდა ზურმუხტებსა და ყველა იმ აღმოჩენას, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებდით და ვერ განვახორციელეთ?

მაგრამ განა შეიძლებოდა არ დავთანხმებოდით?

კატია ვარსკვლავაზე ბოჩოლას გვერდით დავსვით და დავიძარით.

წინ მიმავალი გენადი მდელოს ნაპირზე შეჩერდა და მიწაზე მიგვანიშნა: კოცონის გაფანტულ ფერფლს ჩექმების ნაკვალევი ანდა.

— ხედავთ? ისევ კოჭლის ნაკვალევია.

ეს მართლაც იგივე ნაკვალევი იყო. კაცი, ვისი ნაკვალევიც ტბის ნაპირას ვნახეთ, ჩვენ წინ მიდიოდა. შეიძლება სწორედ მან მოაკლა ფურმარალი და ჩაუქრობელი კოცონი მიატოვა.

— ძია მიშა, მოდი დავიჭიროთ! — თქვა გენადიმ და ნესტოები მოსხანედ დაებუშტა.

— დასაჭერია... მაგრამ დიდი დრო დაგვეკარგება, კატია სასწრაფოდ უნდა ჩავიყვანოთ სოფელში.

ძია მიშამ ადგილი, სადაც ახლა ვიყავით, რუკისა და გზის აგეგმვის მიხედვით განსაზღვრა (გზას ისიც გეგმავდა. გვითხრა, პარალელურად მუშაობა შეცდომებს აგვარიდებსო). აღმოჩნდა, რომ სოფლამდე სწორხაზობრივად ოცი კილომეტრი იყო. მაგრამ სიარული ისეთ უღრანში მოგვიწევდა, მისი გავლა უვარსკვლავოდაც კი ძნელი იქნებოდა, ხოლო მასთან ერთად სრულიად შეუძლებელი.

— სამკუთხედის ნაცვლად არაწესიერი ტრაპეცია შევკრათ, — გვითხრა ძია მიშამ. — ჩრდილო-აღმოსავლეთით კი არა, პირდაპირ ჩრდილოეთით გავსწიოთ, ვიდრე კოლტუბში მიმავალ გზაზე არ გავალთ. ეს გზა შორია, მაგრამ სამაგიეროდ ადვილად და, მაშასადამე, უფრო ჩქარა ვივლით.

მთის სამხრეთ ფერდობს გავუევით და დაბინდებამდე ვიარეთ.

— თქვენ მაგარი ყმაწვილები ხართ, — გვითხრა ძია მიშამ. — და უნდა ვიჩქაროთ: კატია შეიძლება ცუდად გახდეს...

კატია მთელი არსებით ითმენდა, არ წუწუნებდა, თუმცა ტკივი-

ლები ალბათ ძალიან აწუხებდა. გზადაგზა კენკრას ვკრეფდი და ვაწვდიდი, მაგრამ თვითონ როდი ჭამდა. ბოჩოლას აჩრიდა პირში. მოჩოლა კენკრას ღეჭავდა, ოღონდ არ ყლაპავდა, რაც კატიას უფრო ანაღვლებდა, ვიდრე დამწვარი ფეხები, სულ ეშინოდა, შიმშილით მოკვდებაო.

ჩვენ დაღამებულზე ვივახშმეთ. კატია ახლაც ბოჩოლას დასტრიალებდა თავს: თითითა და ჩვრით აწურავდა პირში თბილ შაქრიან წყალს.

სისხამ დილით სახელდახელოდ ვისაუზმეთ და გზას გავუდექით. შუადღეს იმ წერტილს მივაღწიეთ, საიდანაც მთის მოპირდაპირე მხარეს დაღმართი უნდა დაწყებულიყო.

— შეჩერდით! — იყვირა უცებ გენადიმ. — აგერ ის!

ერთი კილომეტრის დაშორებით უშფოთველ ჰაერში კოცონის კვამლი ადიოდა.

— ისაა! — ყვიროდა გენადი. — ჩქარა გავიქცეთ!

ძია მიშამ თვალი მოჭუტა, ჯერ კვაჭლს გახედა, შემდეგ ჩვენ შეგვავლო მზერა, თოფი გასინჯა და თქვა:

— კარგი! პაშა და კატია ვარსკვლავასთან დარჩნენ. დანარჩენები წავიდეთ!

მთელი გზა თითქმის მივრბოდით, გვეშინოდა, კოცონის გაჭაღებელი კაცი ისევ არ გაუჩინარებულიყო. კლდის ქვემოდან გამომდინარე წყაროს ჩუხჩუხი ჩვენი ნაბიჯების ხმას ახშობდა და შეუმჩნეველად მივედით მდელოს განაპირას მდგარ ხეებთან.

კოცონთან წვეროსანი კაცი იჯდა. პერანგი გაეხადა და მოშორებით ბალახზე გაეფინა გასაშრობად, ეტყობოდა, ახლახან გაერეცხა. ცეცხლზე გამჭვარტლული კარდალა ეკიდა. კაცი წამოდგა, კოპლობით მივიდა მზეზე გაფენილ პერანგთან და ხელი მოჰკიდა. ძია მიშამ გვანიშნა, გაჩერდითო. თვითონ ხეებს გამოეყო და ხმამაღლა თქვა:

— გამარჯობათ!

კაცმა ფაცხაფუცხით ჩაიცვა პერანგი, მიმოიხედა, თვალები პირქუშად, გაფაციცებით მიაბეჭდა ძია მიშას, მაგრამ პასუხი არ გაუცია, კოცონთან დაბრუნდა და მხოლოდ იქ თქვა:

— გამარჯობა!

ძია მიშა ახლოს მივიდა, კაცსა და მის ავლადიდებას მოავლო

თვალი. მან უცებ ეღალი ტყავის ნაჭერი დაინახა და მასზე თავით ანიშნა:

— ახალია?

— შენ რა, დაიმში? დაჯექი, გაჭმევ...

— მე სტუმრად არ მოვსულვარ.

— მაშ, ჩაიარე.

— არა, მოვიცდი. მივიხედ-მოვიხედავ.

— მიდი, მიდი, მიიხედ-მოიხედე. ამისათვის ფულს არ ვღებულობ.

— ესეც კარგია.

ძია მიშა და უცნობი ასე მოკლე-მოკლედ ესიტყვებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ხომავდნენ და წონიდნენ ურთიერთს.

— აბა, მიიხედ-მოიხედე? ახლა მოუსვი აქედან!

— ჯერ ყველაფერი არ მინახავს. მინდა შენს საბუთებს დავხედო.

— შენ რა, დასაკითხავად მოხვედი? — მოიღუშა კოჭლი. — მომშორდი, თავი თუ არ მოგბეზრებია, თორემ კაი საბუთს გიჩვენებ... იცოდე, კუთხვილი საბუთი მაქვს... — თქვა და ხისკენ გაიბიჯა, რომელზეც თოფი იყო მიყუდებული.

— ფეხი არ მოიცვალო! — უბრძანა ძია მიშამ. — სისულელეს მოეშვი, ჩემი თოფი ათვაზნიანია!..

კოჭლი შედგა და მოჩვენებითი გულგრილობით გაიხედა განზე. მეც უნებლიეთ იქით გავიხედე და შევამჩნიე, რომ გენადი ჩემ გვერდით აღარ იდგა. ნუთუ შეეშინდა და გაიქცა?

— მოდი, აურზაურს ნუ ავტეხავთ, — უთხრა ძია მიშამ კოჭლს. — მიჩვენე საბუთი!

— მეშინია არ დამესვაროს, შინ ვინახავ... — დაცინვით მიუგო კოჭლმა.

— სირცხვილიც შინ დატოვე?.. ფურმარალი რად მოკალი? კანონი არ იცი?

— შენ მე კანონებს ნუ მასწავლი. გამომიჩნდა რაღა კანონების დამცველი!

— მე არა, მაგრამ სხვები გასწავლიან. რატომ დაეხეტები ტაიგაში?

— ნეტა რას გადამეკიდე ძველი ხურჯინივით? — იყვირა კოჭლმა. — ჩემი თავის ბატონი მე ვარ, მინდა და დავდივარ...

— შენი თავის ბატონი შეიძლება ხარ, ტაიგისა კი არა, გაიგე? და ნუ ყვირი, ვერავის შეაშინებ...

იმ ხის უკნიდან, რომელზეც კოჭლის თოფი იყო მიყუდებული, გამოჩნდა ხელი, თოფს დასწვდა და მიიმალა. ეს გენადის ხელი იყო. აღტაცებისგან კინაღამ შევხტი.

გენადიმ თოფი მოიმარჯვა და კოჭლს უკან დაუდგა.

კოჭლი ჩექმის ყელისკენ დაიხარა და იქ ქექვა დაიწყო, მაგრამ ამ დროს გენადის უკან ბუჩქები აშრიალდა, იქიდან ვიღაც ყმაწვილმა კატასავით ისკუპა და გენადის ეძგერა. გენადიმ ფეხი ვერ შეიმაგრა. ისინი ერთმანეთს ჩააფრინდნენ და ბალახზე გაგორდნენ. ვერ მოვითმინე და მისაშველებლად გავვარდი. ბიჭი ძვალმაგარი და მარდი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც გავაკარით ბალახზე და... გაკვირვებისგან გავქვავდით:

— ვასია, შენა ხარ?!

— მე ვარ, — თქვა აქოშინებულმა ვასია შჩერბატიმ. — ეგ რა ვაჟკაცობაა, ორი ერთს მეჭიდებით... — აბა, გამიშვით! რას დამწოლილხართ...

— იცნობთ ამას, ყმაწვილებო? — გვკითხა ძია მიშამ.

— ეს ხომ ჩვენი სოფლელია... ვასია შჩერბატი.

— გაუშვით. ეს ვინღაა? — გვანიშნა კოჭლზე.

— არ ვიცით. ვიღაც უცხოა...

— ბიძაჩემია, — პირქუშად თქვა ვასიამ, რომელიც ჰერანგს ისწორებდა.

— ტყუი, შენ ბიძა არა გყავს!

— მყავს. მინუსინსკის ახლოს ცხოვრობს. სტუმრად გვეწვია...

— თანაც ოქროს ეძებ, არა? — მიუბრუნდა ძია მიშა უცნობს. — ნიჩაბი და წერაქვი რად გინდა?

— შენ მე დამიჭირე?

— მძარცველობისთვის არა, მაგრამ ბრაკონიერობისთვის კი. ახლა ნადირის მოკვლა არ შეიძლება, ხოლო შენ ფური მოკალი, დაასახიჩრე და მიატოვე. მაშასადამე, თქვენ ორივენი ნამდვილი ბრაკონიერები ხართ. გარდა ამისა. ტაიგას ცეცხლი წაუკიდეთ...

— ჩვენ არ წაგვიკიდებია! — გაცხარდა ვასია.

— კოცონს რომ არ ჩააქრობ, იგივე ცეცხლის წაკიდებაა. გასაგებია? ერთი სიტყვით, მოქალაქენო, ამ საქმეს ხელისუფლება გაარკვევს, მანამდე კი... გენადი, აიღე თოფი! თოფს სოფლსაბჭოს ჩავაბარებთ და თქვენც იქ წაგასხამთ. იქ იტყვიან, ვინა ხართ და რას აკეთებთ... აბა, წამოხვალთ ნებაყოფლობით?

კოჭლმა თოფს შეხედა, რომელიც გენადიმ ისევ მიუშვირა, ვასიას გადახედა და ხელი ჩაიქნია:

— კარგი, ვასია, წამოკრიფე ბარგი-ბარხანა, იქ ვნახოთ...

კოჭლმა წერაქვი, ნიჩაბი და ცარიელი ზურგჩანთა აიღო, ვასიამ კი ქვაბიდან წყალი გადმოასხა და ხორცს ბალახი მიაფარა.

კოჭლი და ვასია წინ წავიმძღვანეთ. მათ ისევ ისე თოფშემართული მიჰყვებოდა გენადი. შემდეგ ძია მიშა და მე მივდიოდით. ძია მიშამ გენადის თოფი გამოართვა და ჩუმად ამოაცალა ვაზნები. გენადიმ იწყინა, მაგრამ ძია მიშა სწორად მოიქცა, ვინაიდან რამე რომ მომხდარიყო, გენადის ცხელ გულზე შეიძლება თოფი დაექუხებინა.

კატიამ და პაშამ თვალები დაგვაჭყიტეს. ვინ იფიქრებდა, რომ აქ ვასიას ვნახავდით?.. მათ მოვუყევი, რაც მოხდა და რა სიყოჩაღე გამოიჩინა გენადიმ. კატია შეძრწუნდა და აღტაცებაში მოვიდა. პაშამ კი თქვა, დიდი არაფერი ყოფილა, მეც ასე მოვიქცეოდი, შეიძლება უკეთესადაც მოვქცეულიყავი. რომ კატიას და ვარსკვლავას სადარაჯოდ არ დაგეტოვებინეთო. კატიამ დაუყვირა. აგრე მოუხდებოდა პაშას. რადგან, როცა ყველაფერი მთავრდებოდა, მაშინ იჩენდა ხოლმე სიმამაცეს — ამას ვიზამდი და იმას ვიზამდიო.

საღამო ხანს პატარა ხეობაში დავეშვით, რომელსაც ძია მიშას გაანგარიშებით კოლტუბისკენ მიმავალ გზაზე უნდა გავეყვანეთ.

კატია სულაც არ გამხდარა უარესად. როგორც ძია მიშა შიშობდა. ეტყობა, მალამო ძალიან მარგებელი გამოდგა. ვინაიდან საღამოს კატია ჯოხზე დაყრდნობილი დაკოჭლაობდა, ბოჩოლას უვლიდა და გულს გვიწუხებდა, რა დავარქვათო. პაშამ შემოგვთავაზა ნაპოვარა შევარქვათო.

ჩვენ საამისოდ არ გვცხელოდა, მხოლოდ ერთი რამ გვაფიქრებდა: ტყვეები არ გაგვქცეოდნენ.

ტყვეები მოშორებით დასხდნენ. მშრალად შეჭამეს თავიანთი ხორცი, უარი თქვეს ძია მიშას შეთავაზებულ ჩაიზე და დაწვნენ.

მაგრამ ეს მათი ეშმაკური ფანდი როგორ შეგვაცდენდა. მე და გენადიმ გადავწყვიტეთ, რიგრიგობით დაგვეძინა და გვედარაჯა. ძია მიშამ შეამჩნია, რომ დაძინებას არ ვაპირებდი და მკითხა, რა გჭირსო. ჩუმად ვუთხარი ჩვენი ეჭვების შესახებ, გადაწყვეტილი გვაქვს, ბრაკონიერებს ვუდარაჯოთ და თვალი არ მოვაშოროთ-მეთქი.

— აჰა! — გაიღიმა ძია მიშამ. — მე რატომ არ გამანდეთ ეს ამბავი? მოდი ასე გავაკეთოთ: ჯერ მე ვუდარაჯებ, შემდეგ შენ. ჯერ-ჯერობით კი დაიძინე. შენ ისედაც გეყვინთება.

ისე. მართლა ძალიან მეძინებოდა და მაშინვე დავიძინე კიდეც, თუმცა წინათგრძნობა მტანჯავდა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰ-ყვებოდა.

მშვიდობიანი მოლაპარაკება

ასეც მოხდა.

განთიადზე გავიღვიძე, თითქოს ვიღაცამ მიბიძგაო, და მაშინ-ვე დავლანდე გაქცეული ვასიას ლურჯი პერანგი. ვასიამ მიმოიხე-და, შეამჩნია, რომ მე ვუყურებდი. მუშტი მომიღერა და ხეებს იქით მიიმალა. ვიყვირე, ყველა წამოხტა. მაგრამ გამოდეევნება დაგ-ვიანებული იყო. სამაგიეროდ კოჭლს გაქცევა არც უფიქრია: მან ჩემს ყვირილზე გაიღვიძა.

საშინელ გუნებაზე დავდექით. ძია მიშა კი იცინოდა, თურმე სულაც არ აპირებდა ვასიას დარაჯობას.

ოთხ საათზე გავედით კოლტუბის გზაზე. აქედან ჩვენს სოფლამ-დე უკვე ორი ნაბიჯიღა იყო.

ბიჭებმა ჯერ კიდევ საძოვარზე დაგვინახეს და საპატიო ყარა-ულივით მდუმარედ შემოგვხვდნენ სოფლის გარეთ. ყარაული მყის შემოგვერტყა გარს და ჩვენ დიდის ამბით გავწიეთ სამჭედლოსკენ, სადაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეკეთებულ სათიბ-სამკელ მანქანას ამოწმებდა.

— ოჰო, მოგზაურები დაბრუნდნენ? — თქვა ჩვენს დანახვაზე და ძია მიშას მიესალმა. — როგორაა საქმე? ყველაფერი რიგზეა?.. აჰ, ფედოსიას სტუმარი გზაზე წამოიყოლეთ რომ დაგხმარებოდათ?

ძია მიშამ ორი სიტყვით უამბო. როგორ და რატომ დავაკავეთ კოჭლი.

— ამას უყურე! — მოიღუშა ძია ივანე. — ეს როგორ გააკეთე, შე კაი კაცო? ჰა?

ამ დროს ვასიას დედა, ფედოსია მოიჭრა. ალბათ ვასიამ ყველაფერი უამბო და კოჭლის დასახსნელად გამოიქცა.

— რას უყურებ, თავმჯდომარევ? კაცი მესტუმრა და ათასმა ოხერმა კბილები უნდა უკრაჭუნოს? შენ ვინღა ხარ? — ეცა ძია მიშას. — რა თავს გადიხარ. ასეთებიც გვინახავს და ისეთებიც... წავიდეთ შინ, სიდორ! წყლის ნაყვაა ამათთან ლაპარაკი...

— ფედოსია, ბევრს ნუ ლაპარაკობ. ჯერ საქმე გაარკვიე. ჩვენ შენი სიდორის სტუმრობის წინააღმდეგი კი არა ვართ. ისტუმრე, ბატონო! მაგრამ ტაიგაში რისთვის წავიდა?

— დაუშლის ვინმე თუ? რაო, სხვებივით კაცი არაა?

— კაცია, როცა საქმესაა მიჩენილი და აკეთებს, ხოლო როცა არ აკეთებს, უქნარაა... იცი, რომ ნადირი უკანონოდ მოკლა და კინაღამ ტაიგა გადაწვა?.. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, — ჩვენკენ გააქნია თავი თავმჯდომარემ, — ხანძარი სოფლამდე მოაღწევდა. ქარი ხომ იმ მხრიდან უბერავს, ირგვლივ კი ისეთი სიმშრალეა, ერთი ნაპერწკალიღა იკმარებდა. აი, რა შეიძლებოდა დაეტრიალებინა შენს სტუმარს! მაგისთანა სტუმარი ხელს არ გვაძლევს, და გინდ გაბრაზდი და გინდ არა, სოფლსაბჭოში მივაბრძანებთ, იქ გაარკვიონ ყველაფერი.

ფედოსია კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ ირგვლივ მყოფთა მკაცრი სახეები რომ დაინახა, ხმა არ გაუღია, ტუჩები მოიკვნიტა და წავიდა. კოჭლი ჯირკზე იჯდა და გულგრილად იყურებოდა სადღაც განზე, თითქოს არაფერი მას არ ეხებოდა.

— გენადი, გაიქეცი, მერცხალა შეაბით-თქო... — უთხრა გენადის ძია ივანემ. — შენც მოგიწევს ჩემთან ერთად წამოსვლა, მიშა. ვინაიდან მთავარი მოწმე ხარ.

— კარგი, ოღონდ ხელ-პირს დავიბან, — მიუგო ძია მიშამ.

...კატიას შეხვეული ფეხების დანახვაზე დეიდა მარიას ელდა ეცა, მაგრამ ძია მიშამ დაარწმუნა, საშიში არაფერიაო. კატიასაც ყოჩაღად ეჭირა თავი, ისე მხიარულად მოჰყვა ხანძრის ამბავს,

იმას, თუ როგორ აქრობდა ცეცხლს. ისე დასძინა, ახლა სულაც არაფერი მტკივაო, დედა დამშვიდდა.

ნაპოვარა მთლად დაასუსტა შიმშილმა და იმან, რომ სულ შეკრული იწვა. კატიამ დააპირა რძე დაელევნებინა, მაგრამ ბოჩოლას ხომ ჯამიდან დალევა არ შეეძლო. გამახსენდა, რომ ბოთლზე წამოსაცმელი საწოვარა გვქონდა და შინისკენ მოვკურცხლე.

დედას და სონიას ჩემი დანახვა ისე გაუხარდათ, თითქოს მთელი წელი არ გვენახა ერთმანეთი, და კითხვები დამაყარეს, მაგრამ მივუგე: ახლა არ მცალია-მეთქი, საწოვარას ხელი ვტაცე და გამოვიქეცი.

ნაპოვარა უკვე ფეხზე იდგა, მაგრამ ისე იყო მისუსტებული, სულ ბარბაცებდა და ფეხები აქეთ-იქით გაურბოდა. კატიამ ბოთლში რძე ჩაასხა და საწოვარა პირში ჩაუდო. ნაპოვარა თავს აქნევდა და უკან იხევდა, მაგრამ რძის გემო რომ იგრძნო, ტუჩები გააწმაწუნა და წოვა დაიწყო.

მოუთმენლობისგან ისე სასაცილოდ ატოკებდა პაწია ფეხებს და ისე აქნევდა პაწია კუდს, ყველას გაგვეცინა.

— კმარა, გაჭყეპ, — უთხრა დეიდა მარიამ კატიას და, როცა რძე განახევრდა, ბოთლი გამოართვა.

ამ დროს მოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ძია მიშასთან ერთად კოქლი კოლტუბში წაიყვანა.

უკან დაღამებამდე დაბრუნდნენ.

— როგორაა საქმე? რას უზამენ? — გარს შემოვერტყით თავმჯდომარეს და ძია მიშას.

— რას უზამენ? რაიონში გაგზავნიან და იქ განსჯიან.

ჩვენ ჩვენს სახლებში წავედით, მაგრამ შინ გული არ გვიდგებოდა: ისე შევეჩვიეთ ერთად ყოფნას, ნავახშმევს კვლავ მოვედით კატიას ქოხში. აქ თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი: ყველას აინტერესებდა მოგზაურობის ამბავი. ჩვენ ერთმანეთს არ ვაცლიდით ლაპარაკს, ყველაფერზე ერთბაშად ვყვებოდით და, რა თქმა უნდა, რაიმეს დალაგებულად მოყოლის მაგივრად ხელს ვუშლიდით ერთიმეორეს.

მოიცათ, — გვითხრა თავმჯდომარემ. — რა კაჭკაჭებივით ლაქლაქებთ ყველანი? თითო-თითომ მოყევით...

თითო-თითოს მოყოლა ძალიან ძნელი აღმოჩნდა ღა არაფერი გამოგვივიდა.

— ვხედავ, ცუდი მთხრობლები ხართ... იქიებ შენ მოგეთხრო... ვთქვათ მოხსენება წაგეკითხა ან გესაუბრა. ხალხს ძალიან აინტერესებს, რანაირია ქვები და რა სარგებლობა მოაქვთ, — მიმართა თავმჯდომარემ ძია მიშას.

— კი, ბატონო, — მიუგო ძია მიშამ. — თანახმა ვარ. დავამთავრებ მასალების დამუშავებას და წასვლის წინ ვისაუბროთ. ოღონდ... — ის თავმჯდომარისკენ გადაიხარა, ყურში რაღაც უჩურჩულა. იმან კიდევ თავი დაუქნია. — ოღონდ ასე გავაკეთოთ: ჯერ ექსპედიციის ერთ-ერთი მონაწილე წაიკითხავს მოხსენებას ლაშქრობის შესახებ, ჩვენ ხომ ანგარიში უნდა ჩაგაბაროთ? შემდეგ მე შევავსებ. თანახმანი ხართ?

ვფიქრობდი, მოხსენებას გენადი წაიკითხავს-მეთქი, მაგრამ ძია მიშამ სხვანაირად გადაწყვიტა:

— მე მგონი, ასეთი მოხსენება ჩვენი ექსპედიციის მდივანმა კოლია ბერეზინმა უნდა წაიკითხოს. გენადი ფროლოვი მოამზადებს შეკრებილი ნიმუშების კოლექციას. ხოლო პაშა დოლგიხი გამოკვლეული რაიონის რუკას დახაზავს...

კატიას არაფერი დაავალეს, რადგან ჯერ კიდევ ავად იყო.

ძია მიშამ მირჩია, მოხსენება დაწერე, რომ თავგზა არ აგერიოს და ენა არ დაგებას, ვის ეხალისება აბდაუბდის მოსმენაო! მეც მთელი დღეები ვუჯექი მაგიდას, შემდეგ ნაწერი ძია მიშას ვუჩვენე. მან მითხრა, კარგადაა დაწერილი, მგონი, ლიტერატურული მონაცემებიც გაქვსო.

საღამომ დიდებულად ჩაიარა. პაშამ თავისი რუკა კედელზე დაკიდა, ხოლო ძია მიშამ შესავალი სიტყვა თქვა.

— ორასზე მეტი წლის წინათ ხოლმოგორელი გლეხის შვილმა გენიალურმა მეცნიერმა მიხეილ ლომონოსოვმა ხალხს მოუწოდა: „მოვიაროთ მთელი სამშობლო, დავათვალიერთ მიდამოები და გამოვყოთ წარმოებისათვის გამოსადეგი და გამოუსადეგარი მადნები... გზა მოსაბეზრებელი არ იქნება, და თუმცა საუნჯე ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ შეგხვდება, ყველგან ვნახავთ საზოგადოებისთვის საჭირო მინერალებს...“

ხალხმა მხოლოდ ორასი წლის შემდეგ გაიგონა დიდი თანამე-

მამულის მოწოდება და მხარი აობა მას. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ხალხი თავისი ბედის და თავისი მიწის გამგებელი გახდა. როგორც მუყაითი პატრონი, იგი საკუთარ მეურნეობას სწავლობს და წლითიწლობით უფრო მდიდრდება და ლონიერდება. ამ მხრივ აქ, ტიჟაშიც, გადაიდგა პირველი, მაოთალია პატარა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი...

ჩემი მოხსენება ყველას მოეწონა, ისე მიკრავდნენ ტაშს. როგორც ნამდვილ მომხსენებელს. შემდეგ გენადიმ კოლექცია მიმოიტანა და დააწყო, ხოლო ძია მიშა დიდხანს ჰყვებოდა, რა იძალებოდა ჩვენს მთებში და რა სარგებლობა უნდა მოეტანა სხვადასხვა მინერალს.

მეორე დღეს ძია მიშა წავიდა. როგორც ვარაუდობდა, მის ამჩანაგებს უკვე რაიონამდე უნდა მიეღწიათ. ძია მიშა მამაჩემმა წაიყვანა, მამაჩემს თავისი საქმეები ჰქონდა რაიონში. ჩვენ გაათიადზე შევიკრიბეთ კატიას სახლთან. ძია მიშა დეიდა მარიას და თავმჯდომარეს გამოემშვიდობა.

— თქვენ წადით, მე და ბავშვები კი ფეხით წამოვალთ. — უთხრა ძია მიშამ მამაჩემს.

ძია მიშა კოლტუბამდე გავაცილეთ.

განა ამას გასეირნება ერქვა — ყველას ცხელი-პირი ჩამოგვტიროდა. რა თქმა უნდა, ძია მიშა ჩვენთან ვერ დარჩებოდა, ეს კარგად ვიცოდით, მაგრამ განშორება ძალიან გვიმძიმდა. ძალაუნებურად ყურებს ჩამოყრიდი და ოხვრას მოჰყვებოდი, აბა რა იქნებოდა! ძია მიშას ალბათ მობეზრდა ჩვენი ნაღვლიანი ოხვრა და გვითხრა:

— რა მოგვიდათ. მოქალაქენო, ჩემს დასამარხად მოდიხართ თუ რა გემართებათ? რატომ დაგძმარებიათ სახე?

გულწრფელად ვუთხარი. რასაც ვფიქრობდი. სხვებმაც უთხრეს, სწორია, ჩვენც ასე ვფიქრობთო.

— ახლა რაღას გააკეთებთ?

— რა უნდა გავაკეთოთ? სწავლას დავამთავრებთ და წავალთ. მანამ ვივლით, სანამ რაიმე საინტერესოს არ ვიპოვით.

— ჰო-ო! მეგობრებო, ეს სილაჩრე ხომ არაა, როგორ ფიქრობთ?

— რატომაა სილაჩრე? — ჰკითხა კატიამ. — ჩვენ არაფრის არ გვეშინია.

— ასე ჩანს. საბჭოთა ადამიანი თავისთვის კარგ ადგილებს არ ეძებს. ამ კარგ ადგილებს თვითონ ქმნის და ოდესმე შეგრცხვებათ. ბედმა ან საკუთარმა ახირებამ რომელ მხარესაც უნდა გადაგაგდოთ, ადრე თუ გვიან იმ ადგილებისკენ გამოგიწევთ გული, სადაც დაიბადეთ და გაიზარდეთ. მოხვალთ და ყოველი კენჭის და ტოტის ცქერით დატკბებით. აქ ცხოვრება შეიცვლება, უკეთესი და იოლი იქნება. მაგრამ ამას მიაღწევენ სხვები და შეგრცხვებათ, რომ არაფერი გაგიკეთებიათ თქვენი მხარისთვის, მიატოვეთ და დაივიწყეთ მშობლიური ბუდე...

— კი, მაგრამ რა უნდა ვქნათ?

— ეძებეთ, იფიქრეთ. თქვენ ხომ პიონერები ხარ! სხვის ზურგს ნუ ამოეფარებით, იარეთ წინ... ექსპედიცია, რა თქმა უნდა, კარგი რამაა, მაგრამ ისიც ცუდად ჩავატარეთ...

— რატომ?

— მასში ხომ მხოლოდ თქვენ ოთხნი მონაწილეობდით! დანარჩენი ბავშვები?... მათაც ხომ აინტერესებთ. ეს შჩერბატი განა ტყუილა აეტორღიალა ბიძამისს. შეიძლება იმიტომაც წამოჰყვა, რომ დაემტკიცებინა, თქვენზე ნაკლები როდი ვარო.

— სულ ერთია, ვერაფერს დაამტკიცებს!

— რატომ?

— შეუგნებელია, ხიმანკლობის მეტი არაფერი იცის...

— კარგი, ის შეუგნებელია, მაგრამ თქვენ ხომ შეგნებულნი ხართ. მიიმხრეთ, ახალ გზაზე დააყენეთ...

— აბა, როგორ უნდა დააყენო ახალ გზაზე! — თქვა პაშამ.

— ძნელია? ადვილი რომ იყოს, თქვენს გმირობას რა ფასი ექნება. რა წინმავლები ხართ, თუ არავინ მოგყვებათ!.. მეთაური უჯაროდ რის მაქნისია... ასეა, ძმებო!

კატია მთელი გზა ყვავილებს კრეფდა: როცა კოლტუბს მივაღწიეთ, უკვე უზარმაზარი თაიგული ჰქონდა. თაიგულს გვიმრის ფოთლები შემოაფინა და ძია მიშას მისცა.

გამომშვიდობებისას კატია აღრიალდა. მეც ყელში მიღიტინებდა, თვალები მეწვოდა: ძალიან შეგვიყვარდა ძია მიშა და მასთან განშორება გვენანებოდა!

ძია მიშამ მისამართი მოგვცა, გვთხოვა, მომწერეთო. აღვუ-ქვით, ხშირად და ბევრი მიგვეწერა, ხელი ჩამოვართვით, შემდეგ დიდხანს გავცქეროდით მიმავალ საზიდარს. ბოლოს იგი არყის კო-რომს მიეფარა და შინ წამოვედით.

გულდამძიმებულნი დიდხანს მდუმარედ მოვდიოდით. კატიამ რამდენჯერმე სცადა რაღაც ეთქვა და ბოლოს ვეღარ მოითმინა:

— სწორია!

— რაა სწორი?

— რასაც ძია მიშა ამბობდა. ახალ გზაზე უნდა დავაყენოთ!

— ვინ უნდა დააყენო, „ველურები?"

— მერე რა?.. რაკი მათი მეთაური ვასიაა, სწორედ მისგან უნდა დავიწყოთ...

— მე ამ ბრაკონიერთან არ ვიმეგობრებ! — მწყრალად თქვა გე-ნადიმ.

ატეხეს კამათი. მათ შესარიგებლად პაშამ თქვა, რასაკვირვე-ლია, „ველურებს" რაღაცნაირად უნდა შევეწყოთ, მაგრამ ვასიადან კი ნუ დავიწყებთ, ის ყველაზე ჯიუტია, არამედ რომელიმე უფრო სუსტიდანო.

სოფლის მახლობლად გზა ორივე მხარეს აღმართულ ციცაბო ბორცვებს შუა მიდიოდა. როცა ბორცვებს გავუსწორდით. ზემო-დან ქვები წამოხვავდა. ფერდობს მივეკარით და ქვების სროლაც შეწყდა, მაგრამ როგორც კი წამოვდექით, ისევ განახლდა. ამ საქმეში „ველურების" ხელი ერია.

— მხდალებო! — იყვირა გენადიმ. — მალულად რას ისვრით?

— დასცხე „გნოლქათმებს"! — გაისმა ფიმას ხმა და გზაზე ქვე-ბის სეტყვა დაეშვა.

„ველურები" დაუმიზნებლად ისროდნენ და ვერაფერი დაგვაკ-ლეს, ოღონდ გენადის ფეხში მოხვდა ქვა.

— ჰეი, ბრაკონიერო! — იყვირა გენადიმ.— გეშინია ცხვირის გამოყოფა? დამაცა, ხელში ჩაგიგდო...

ხმა არავის გაუღია. ვასია „ველურებთან" არ იყო, ან პასუხის გაცემა არ უნდოდა.

— აჰა! — უთხრა გენადიმ კატიას. — შენ კი მაგათთან შერიგე-ბა მომინდომე!..

— მერე რა გინდა? — შეესიტყვა კატია. — მათ ხომ არ იციან,

რომ შარიგება გვსურს. მერედა, რაკი შეგნებულები ვართ, მაგალითი უნდა ვუჩვენოთ.

— ახლა რომ მათთან მიხვიდე, იფიქრებენ, შეეშინდათო, — მიუგო გენადიმ. — თქვენ რაც გინდათ, ისა ჰქენით, მე კი არ წამოგყვებით.

— არ იფიქრებენ, — განვსაჯე მე. — განა ცოტა გვიჩხუბია? ჩემი აზრითაც, ამ ამბებს ბოლო უნდა მოვუღოთ. ჰოდა, ვასიას კი არ მივადგეთ ან ყველაზე სუსტი კი არ ვეძებოთ, ერთბაშად ყველასთან მივიდეთ. მივიდეთ და ვუთხრათ: ვიჩხუბეთ და ვიკმაროთ. შევრიგდეთ-თქო. ახლავე, ამ წუთში წავიდეთ...

გენადი დუმდა, სახე მოღუშვოდა, პაშა შეყოყმანდა და თქვა:

— წახვალ და კაი ტაბლა-კვერებს გაჭმევენ.

— თუ გეშინია, ნუ წამოხვალ, მე და კოლია წავალთ, — უთხრა კატიამ. — წამოხვალ?

მართალი რომ ვთქვა, ორის წასვლა, თანაც კატიასთან ერთად, სულაც არ მინდოდა, კაცმა არ იცოდა, როგორ შეტრიალდებოდა საქმე, მაგრამ უკან დახევა აღარ შემეძლო და თავი დავუქნიე.

— აბა, აქ ჯდომას რა აზრი აქვს. წავიდეთ!

კატია გაბედულად წამოდგა და ვასიას ეზოსკენ გაიქცა.

მე უკან მივყევი.

— მოიცა, კატია, — ვუთხარი, როცა გავუსწორდი. — მოვიფიქროთ, რა ვუთხრათ...

— რაა მოსაფიქრებელი. მივალთ და ყველაფერს ვეტყვით.

ვასია უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ შეშას აწყობდა. იქვე ისხდნენ მისი განუყრელი ძმაკაცები — ფიმა და სენია. მათ შორიდანვე დაგვინახეს. მაგრამ თავი ისე დაიჭირეს, თითქოს ვერ გვამჩნევდნენ, ხოლო როცა მივუახლოვდით, ფიმა სულელურად დაიღრიჭა.

— „გნოლქათმები“ მოვიდნენ.

— მოვიდნენ „გნოლქათმები“, — ასევე სულელურად დაუდასტურა სენიამ.

— ერთი ჩაფარება ეყოფათ? მარცხენა ხელით?

— მაგას მოეშვით, ბიჭებო! — დაუწყო კატიამ. — ჩვენ მოვედით, რომ...

— მერე ვინ დაგიძახაო? — შიმობრუნდა ვასია. — რა გინდათ აქ?

— არავის დაუძახნია. თვითონ მოვედით, როგორც დელეგაცია, და წინადადება გვაქვს. მოდი, შევრიგდეთ, ბიჭებო, ჰა, აბა, რისთვის ვიჩხუბოთ?

— „გნოლქათმებს“ შიშისგან გული ელევათ, — ისევე სულელურად უთხრა ფიმამ ვასიას.

— იქნებ. მართლა დავზავდეთ. თორემ აზლუქუნდებიან, — მხარი აუბა სენიამ.

— თქვენი არავის ეშინია. გვინდა, არ ვიჩხუბოთ და ერთმანეთი არ გავაბრაზოთ. ჩვენ „ველურები“ არ გიძახოთ და თქვენ კიდევ— „გნოლქათმები“. ეს დიდი სისულელეა! აი, შენ, ვასია... — კატიამ ვასიას გვერდი აუარა და შეშის ნაწყობის წინ დადგა, — შეგიძლია სხვებზე იმოქმედო. მოდი, შეგნებულად, ყოველგვარი რაღაცის გარეშე შევთანხმდეთ და ჩვენც აღარ გაგიხსენებთ ბრაკონიერობას...

ამ სიტყვით კატიამ ყველაფერი გააფუჭა. ვასია გაწითლდა. კატიას ხელზე ხელი სტაცა და მოქაჩა. კატიამ თავის შესამაგრებლად მიორე ხელი შეშის ნაწყობს წაავლო და მრგვალი შეშის ღერები რახუნით მიმოიფანტა მთელ ეზოში. ვასია უფრო გაბრაზდა:

— წადი აქედან!.. თორემ ისეთს გიეცხლავ...

კატია გათითრდა. მაგრამ ფეხი არ მოუცვლია:

— შენთან ისე მოვედით, როგორც დელეგაცია, და უფლება არა გაქვს!..

ფიმა და სენია ზეზე წამოხტნენ. მე კი კატიას ამოვუდექი გვერდში, ვცდილობდი, იგი უკან დამეწია და დამეფარა.

— ვის რაში სჭირდება თქვენი წინადადებები! აბა, მოუსვით აქედან! — გვითხრა ვასიამ.

მოლაპარაკება აშკარად ჩაიფუშა. საჩქაროდ უნდა წავსულიყავით. მაგრამ კატია განგებ ნელა შემობრუნდა და აუჩქარებლად გამოვიდა ეზოდან. მე უკან მოვყვებოდი. ვიფარავდი. რადგან ყოველ წამს მოველოდი, რომ ისინი რაღაცას დაგვცხებდნენ. მაგრამ „ველურებს“ არაფერი უსვრიათ. ოღონდ რომელიღაცამ, ალბათ ფიმამ, ყურთასმენის წამლებად დასტვინა

კატიას გამტყუნებას აზრი არ ჰქონდა, თვითონაც ესმოდა, რომ

ბრაკონიერობის გახსენებით საქმე გააფუჭა და ლამის აღრიალებულიყო. ვცადე დაშემშვიდებინა, რაღაც წავიბურტყუნე, ისინი, სულ ერთია არ შეგვირიგდებოდნენ და ზედმეტია ნერვების აშლამეღჩი.

— მე ამაზე კი არა, იმიტომ ვბრაზობ, რომ თვითონ არაფერი შეგვიძლია და არ ვიცით, რა როგორ გავაკეთოთ...

თავსაბეჭი საჩუქარი

ჩვენი ჯგუფი რამდენიმე ხნით დაიშალა. პაშას მამა საქონელს მირეკავდა მაღალმთიან საძოვრებზე და შვილი თან წაიყვანა. გენადიმ ნებართვა აიღო და ისიც პაშას გაჰყვა, მე კი დედამ არ გამიშვა: იგი მებოსტნეთა ბრიგადაში მუშაობდა; იქ უკვე მარგველა დაიწყო და ჩემს პატარა დასთან დასატოვებელი არავინ ჰყავდა.

ჩემთან ხშირად შემოირბენდა ხოლმე კატია თავის ნაპოვარასთან ერთად. ნაპოვარა მთლად გამოკეთდა, გახალისდა და კატიას ფინიასავით დასდევდა ყველგან.

მამაჩემი რაიონიდან ათი დღის შემდეგ საღამო ხანს დაბრუნდა. ფანჯრიდან დავინახე და შესაგებლებლად გავიქეცი, მაგრამ მან ხელიღა დამიქნია, არც შეჩერებულა, ისე გაემართა გამგეობისკენ. მცირე ხნის ფიქრის შემდეგ სონიას ხელი ვტაცე და დავაპირე, მამას გავდევნებოდი, მაგრამ ამ დროს მთლად გაშავებული გენადი და პაშა მოვიდნენ. ისინიც ახლახან დაბრუნებულიყვნენ საძოვრებიდან.

— რამ გაგაშავათ ასე? — ვკითხე ბიჭებს.

— ქარმა, — მედიდურად ამიხსნა პაშამ. — იქ ისეთი ქარები იცის, თითქმის მთელი დღე და ღამე უბერავს. ამიტომაც ქინქლები არ ჭაჭანებს. შავდები... თანაც მზესთან ახლოსა ხარ!

— რაღაცეებს ნუ იგონებ, — შეესიტყვა გენადი. — გაშავება ქარების ბრალი კი არ არის, ჰაერია გაიშვიათებული და ულტრაიისფერი სხივები მოქმედებს.

— ქარი არაფერია? მერედა რა ქარი იცის!.. ძრავა რომ დადგა... უკვე მოვიფიქრე... — პაშამ აგვიხსნა, როგორი ძრავა უნდა დაიდ-

გას მთაზე; მისი ძრავა უწყლოდ და უორთქლოდ, მხოლოდ ქარის დახმარებით იმუშავებდა და ყველაფერს გააკეთებდა.

— მთაზე ძრავა ვის რაში სჭირდება?

— მთაზე კი არა, აქ სჭირდება! — გაბრაზდა პაშა. — მთაზე ძრავას დინამიკს მივუშენებ და დენი საითაც გინდა, იქ წავა...

— ო, რას არ მოიგონებ! მამა ამბობდა, კოლტუბამდეც კი უამრავი მავთულია საჭიროო, და მთამდე ხაჩის გაყვანას რამდენილა დასჭირდება...

პაშა შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა:

— აქ რა, ქარი არ არის? გავაკეთებ ძრავას და ნახავთ!

— გააკეთე, ვიდრე მამაშენი არ მიგბეგვავს მექანიკოსობისთვის.

პაშა საბოლოოდ გაბაწყენდა და გაჩუმდა, გენადი კი მოჰყვა, როგორ ცხოვრობდნენ საძოვრებზე, როგორ აშენებდნენ ხბოებისა და ფურების ბაკს, რა კარგია იქ ყოფნა, გინდა სულ იქ იცხოვოოო... ამ დროს კატიამ მოირბინა და გვითხრა. ყველას გამგეობაში გვეძახიანო.

გამგეობაში ისხდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძია ივანე, მამაჩემი, მჭედელი ძია ფედია. კატიას დედა—დეიდა მარია და კიდევ ბევრი სხვა.

— ყველა შეიკრიბა? — იკითხა თავმჯდომარემ, როცა ჩვენ მივირბინეთ — ახლოს მოდით. თქვენ შესახებ ქაღალდი მოვიდა. წაიკითხე, ივან! — უთხრა მამაჩემს.

მამაჩემმა სათვალე გაიკეთა და კითხვა დაიწყო:

— „რაისაბჭომ მოისმინა გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. ა. რუზოვის ცნობა, იწონებს სოფელ ტიკას პიონერების მიერ გამოჩენილ ინიციატივას მხარის წიაღისეულის სიმდიდრეთა შესწავლაში და რაიონის ყველა სკოლას წინადადებას აძლევს მხარი დაუჭირონ ტიკელთა თაოსნობას. სოფელ ტიკას პიონერულ ორგანიზაციას გამოჩენილი ინიციატივისათვის გამოეცხადოს მადლობა და დაჯილდოვდეს რადიომიმღებ „როდინათი“. რაიალმასკომის თავმჯდომარე — სოლდატოვი. მდივანი — პიკანკინი“.

— ხედავთ? — თქვა თავმჯდომარემ.— ნამდვილ საქმეს მოჰკიდეთ ხელი და მოგიწონეს... ყოჩაღ! ვინაა თქვენს შორის უფროსი? შენ, გენადი?.. აიღე საბუთი. — მან გენადის ახლახან წაკით-

ხული ქაღალდი გადასცა. — ახლა კი მიიღეთ თქვენი საჩუქარი. — გვითხრა თავმჯდომარემ და მაგიდაზე სამი მუყაოს კოლოფი დადგა — ორი დიდი და ერთი პატარა. — აბა, რას უდგეხართ?

ჩვენ პირდაღებულნი ვიდექით.

— როგორ... გაგიხარდათ! — გაეცინა თავმჯდომარეს.—აი, შეხედეთ. — მან დიდი კოლოფიდან აბზინებული მიმღები ამოიღო, მეორე, უფრო მომცრო კოლოფიდან — ასევე ყუთისმაგვარი რაღაც, რომელსაც მოელვარე რაღაცეები ჰქონდა, ხოლო პატარა კოლოფიდან — თეთრკიდულებიანი ოქროსფერი მავთულის წრიულად დახვეული ჩალიჩი. — აქ მთელი კომპლექსია: მიმღები, ბატარეა და ანტენის ნაკრები. ამათ თან მოჰყვება წიგნაკი-ინსტრუქცია, რომ იცოდეთ, რა რისთვისაა საჭირო და როგორ მუშაობს მიმღები. — თავმჯდომარემ ყველაფერი ისევ კოლოფებში ჩააწყო. — აბა, წაიღეთ და გასწიეთ აქედან. ჩვენ საქმეს უნდა მივხედოთ.

გენადიმ მიმღებიანი კოლოფი აიღო, პაშამ ბატარეიანი კოლოფი, კატიამ ანტენის ოქროსფერი ჩალიჩი და ფრენა-ფრენით გამოვვარდით პარმაღზე.

პაშამ თავი შეატრიალ-შემოატრიალა და თქვა:

— აი. საჩუქარი! დიდებული რამაა! ჰა?

მართლაც დიდებული რამ იყო! სოფელში ჯერ არავის ჰქონდა მიმღები და უცებ სწორედ ჩვენ აღმოვჩნდით ნამდვილი დიდი მიმღების მფლობელნი.

— აბა, წავიდეთ! — ვერ მოითმინა პაშამ. — ხომ უნდა გავსინჯოთ.

— სად?..

გენადიმ თქვა ჩემთან წავიდეთო. პაშა შეესიტყვა — მე ყველაზე უფრო ვერკვევი ტექნიკაში, თქვენ არაფერი გაგეგებათ, თანაც გენადის პატარა ძმამ შეიძლება დაამტვრიოსო. მაინც სად უნდა წავსულიყავით?.. მე მინდოდა მიმღები ჩემთან ყოფილიყო, კატიას კი თავისთან სურდა, თუმცა ხმას არ იღებდა...

— სჯობს კატიასთან წავიღოთ, — ვთქვი მე. — ამათ პატარა ბავშვები არა ჰყავთ. შემდეგ კი ვნახოთ.

მთელი საუნჯე მაგიდაზე ამოვალაგეთ, ლამპის ახლოს დავდგით. მიმღები ისე გლუვი და სუფთა იყო, სულ გინდოდა ხელი გადაგესვა. პაშამ სახელურის დატრიალება დააპირა, მაგრამ გენადიმ

დაუყვირა: სახელურის უაზროდ ტრიალი ოინბაზობაა და მეტი არაფერიო! როცა მიმღების ცქერით გული ვიჯერეთ, წიგნაკს ჩავუჯექით. მისი ნახევარი რთულ ნახაზს ეჭირა. ნახაზს ვერაფერი გავუგეთ. ისღა ვნახეთ, რომ ორ მხარეს ეწერა: „მიწა“ და „ანტენა“. სამაგიეროდ წიგნაკში სხვა ყველაფერი უბრალოდ და გასაგებად იყო, მაგრამ რაც იქ ეწერა, ჩვენ ვერ გავაკეთებდით: ანტენა თურმე მიწიდან ათ-თხუთმეტ მეტრზე უნდა გაგვეჭიმა. ამ სიმაღლეზე აბა, როგორ გავჭიმავდით, როცა სოფელში სამ მეტრზე მეტი სიმაღლის ქოხი არ იდგა. სახურავზე ჯოხიც რომ მიგვემაგრებინა, შვიდ მეტრზე მეტი არ გამოვიდოდა, ხოლო წიგნაკი თხუთმეტ მეტრს ითხოვდა! სოფელში არც ერთი შესაფერისი ხე არ მოიძებნებოდა. მხოლოდ სამასი მეტრის იქით ბორცვზე ჩანდა პირველი სოჭები. მერედა მიმღებს იქ ხომ ვერ წავიღებდით! გენადი ხმას არ იღებდა, თითით დაძაბულად შლიდა მუშამბაზე დაჩნეულ ლაქას. შემდეგ თქვა:

— მოიცათ. მთავარი არც ჯოხია და არც ხე. აქ რაღაც გაუგებრობაა: ქაღალდზე წერია: პრემია ეძლევა პიონერულ ორგანიზაციასო... პიონერული ორგანიზაცია კოლტუბში. სკოლაშია, ჩვენ კი აქ სულ ოთხნი ვართ... რაისაბჭოში ეს ამბავი არ იცოდნენ და ისე დაწერეს... რაკი საჩუქარი პიონერული ორგანიზაციისა, სკოლას უნდა გადავცეთ...

— არა ბიჭო! — გაცხარდა პაშა. — ჩვენ რა ვქნათ?

— ჩვენ? ჩვენც ხომ იმ სკოლის პიონერები ვართ.

— აკი პრემია ჩვენ მოგვცეს...

ცხადია, ჩვენ მოგვცეს, მაგრამ ცხადი იყო ისიც, რომ აქ რაღაც გაუგებრობა იმალებოდა, რომლის გარკვევას ვერ შევძლებდით. ვინ იფიქრებდა, დიდებული საჩუქარი თუ ასე თავსატეხი გაგვიხდებოდა და საგონებელში ჩაგვაგდებდა! დიდხანს ვკამათობდით, მაგრამ ვერაფერზე შევთანხმდით. გამგეობიდან დაბრუნებულმა დეიდა მარიამ გვისმინა, გვისმინა. შემდეგ ხელი ჩაიქნია და გვითხრა — შინ წადითო.

მამას არ დავლოდებივარ. ისე დავიძინე. დილით კი მამა ძალიან ადრე წავიდა. ვერც გენადიმ მოახერხა მამასთან მოლაპარაკება. თავმჯდომარე მამაჩემთან ერთად წასულიყო მინდვრად. გვრჩებოდა ჩვენი ერთადერთი მუდმივი მეგობარი და მრჩეველი ძია ფედია, მაგრამ ისიც წარბშეკრული და შეფიქრიანებული შემოგვხდა:

— ახლა თქვენთვის არა მცხელა, ყმაწვილებო. მალე მოსავლის აღებას დავიწყებთ და იმდენი სამუშაო მაქვს, თავის მოსაფხანად არ მცალია...

პირში ჩალაგამოვლებულნი გამოვბრუნდით უკან.

რა საქმის გაკეთებაც უნდა მომეწადინებინა, როგორღაც ეს საქმე კატიას ქოხის მხარეს აღმოჩნდებოდა. ამით ვსარგებლობდი და კატიას ქოხში შევრბოდი, რომ კოლოფებისთვის დამეხედა მაინც... ალბათ დანარჩენებსაც ეგ სურვილი კლავდა, ვინაიდან ბოლოს ყველა კატიას ქოხთან შევეჩეხეთ ერთმანეთს. თავის მოკატუნება ზედმეტი იყო. ისევ ამოვალაგეთ მუყაოს კოლოფებიდან ყველაფერი, დავათვალიერეთ და უკანვე ჩავაწყვეთ.

— რაო, ასე გექონდეს კოლოფებში შენახული? — იკითხა პაშამ.

— შენ ოღონდაც ატრიალო... წავედით! — თქვა გენადიმ.

— სად?

— მარია მასწავლებელთან კოლტუბში. როგორც ის იტყვის, ისე მოვიქცეთ. კატიამ თქვა, ქოხი უნდა მივალაგოო, პაშამ წამოსვლაზე უარი განაცხადა, ძრავას ვაკეთებ და ტყუილა სასიარულოდ არა მცალიაო. ამიტომ მე და გენადი წავედით.

კოლტუბის გზა ჭაობნარ ხეობაში, ხან შიშველ, კლდოვან, ხან ერთიანად ტყითა და ქარქცეულით დაფარულ მთებს შორის მიიწევდა. იქ ყოველთვის იმდენი რამ იყო საინტერესო, ვერ ამჩნევდი, როგორ გარბოდა დრო: ხან ციყვის ბუდეს წააწყდებოდი, ხან ახალი ჟოლოს ბუჩქნარს, ხან უზარმაზარ, ფესვებიანად ამოგლეჯილ ხის ქვეშ რომელიღაც არნახული ქვების ნაყარს. მაგრამ დღეს ვჩქარობდით, არსად ვჩერდებოდით. მხოლოდ ნახევარი გზის გავლის შემდეგ გადავუხვიეთ განზე, ჩვენი გამოქვაბულისკენ.

ერთხელ, ადრიან გაზაფხულზე სკოლიდან მომავალნი ზოლიან ციყვს გამოვედევნეთ. ციყვი ვერ დავიჭირეთ, მაგრამ გზიდან ასი მეტრის მოშორებით წავაწყდით ერთმანეთს დახვავებულ კლდეებს, რომელთაც თაღი — ნამდვილი გამოქვაბული—წარმოექმნათ. გამოქვაბული წვრილ-წვრილი ქვებისგან, ქარის მიერ შემოტანილი ნახევრად დამპალი ფოთლებისგან გავწმინდეთ. მას ხშირად ვაკითხავდით ხოლმე. რადგან ჩვენი მომავალი ლაშქრობების საწყობი და საწყისი პუნქტი უნდა ყოფილიყო. მას გულმოდგინედ ვუმალავ-

დით ყველას. წასვლისას შესასვლელს ფიჩხით ვქოლაედით. ახლა მინდოდა მენახა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა გამოქვაბულში, მას უჩვენოდ ხომ არავინ სტუმრებოდა, მაგრამ გენადი არ დამეთანხმა — ერთი სული ჰქონდა მარია მასწავლებელს მოლაპარაკებოდა.

მარია მასწავლებელი შინ არ დაგვხვდა. დაკეტილ კარს მანამ ვუკაკუნეთ, სანამ გვერდითა ქოხიდან მოხუცი ქალი არ გამოვიდა და არ დაგვიყვირა:

— რას ამტვრევთ კარს? შინ არავინ არაა, მასწავლებელი ჯერ არ მოსულა...

იქიდან წამოსულნი დირექტორს, საველი მასწავლებელს გადავეყარეთ. დირექტორის ყოველთვის გვეშინოდა. იგი არასდროს გვიყვიროდა, მაგრამ ისეთი რამ ჰქონდა, გვაიძულებდა თავი დაგვეჭირა, წყნარად ვყოფილიყავით. განსაკუთრებით ვფრთხილობდით მუშტი-კრივის შემდეგ აბურძგნილ-აჩეჩილნი არ შევჩხირებოდით თვალებში. მეშვიდე კლასში ისტორიას და გეოგრაფიას გვასწავლიდა. ბავშვები ამბობდნენ, კეთილია და ძალიან საინტერესო თხრობა იცისო, მაგრამ ჩვენ პირველივე კლასიდან მკაცრი და, ცოტა არ იყოს, საშინელი გვეჩვენებოდა, ესე იგი ისეთი, რასაც ერთი სიტყვა „დირექტორი" გამოხატავდა. ტანმორჩილი იყო, ჰქონდა ჭაღარა ბუძგურა თმა. ასევე ჭაღარა, შეკრეჭილი წვერულვაში. კუშტად მოჭუტული თვალები, აუტანელი მეხსიერება: ყველა მოსწავლე სახით ახსოვდა. იცოდა მათი გვარები, ხმაზე ცნობდა და თავს სხვის მაგივრად ვერაფრით ვერ შეატყუებდი. ახლაც უმალ გვიცნო. სკოლის პარმაღს იქ წუთს გავუსწორდით, როცა შესასვლელი კარი გააღო.

— აჰ, ფროლოვი და ბერეზინი? უკვე მოხვედით სკოლაში?

— გამარჯობათ, პატივცემულო დირექტორო, — ერთხმად მივუგეთ მე და გენადიმ. — სკოლაში არა და საქმეზე კი მოვედით...

— სკოლა საქმე არაა? ბეჯითი მოსწავლეები რომ ხართ, გეტყობათ.

— ჩვენ... მარია მასწავლებლის ნახვა გვინდოდა.

— რა სასწრაფო საქმე გაგჩენიათ? არ შემიძლია მე დაგეხმაროთ?

დაბნეულად გადავხედეთ ერთმანეთს.

— დაგვაჯილდოვეს... ესე იგი. პრემია მოგვცეს... — გაბედულად დაიწყო გენადიმ.

— რისთვის დაგაჯილდოვეს?

— მეცნიერული მუშაობისათვის, — წამოროშა გენადიმ.

— ოაო? — გაკვირვებით ასწია წარბები დირექტორმა.

— მთლად მეცნიერული მუშაობისათვის კი არა, რაღაც ამდაგვარისათვის... ინიციატივისათვის. აი...

გენადიმ რაისაბჭოს ქაღალდი ამოიღო და გაუწოდა. დირექტორმა წაიკითხა, დაკეცა და დაუბრუნა.

— ახლა დასხედით და მოჰყევით ყველაფერი, ოღონდ თქვენი სიტყვებით და არა მეცნიერულად.

კიბის საფეხურებზე ჩამოვსხედით და ვუამბეთ ძია მიშას, ლაშქრობის, მოხსენების, ქაღალდის, მიმღების შესახებ და ვუთხარით, არ ვიცით, რა ვუყოთ მიმღებსო.

— თავსატეხი ამბავია! — გვითხრა დირექტორმა. — მარია მასწავლებელი აქ არ არის, ამ საქმის დახანება კი არ შეიძლება... აბა, წამომყევით, სულ ერთია, კაშხალზე ვაპირებდი წასვლას. სწორედ იქ ვიპოვით კაცს, რომელიც ალბათ რაიმეს გვირჩევს...

კაშხალი სოფლის გარეთ იყო. იგი ხეობის ვიწრო ყელს ოთხმეტრიანი ზვინულით კეტავდა. შორს, ხეობის სიღრმეში ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში ფართო წყალმარჩხი ტბა იყო, უფრო სწორად, დიღფოთლება დუმფარებით დაფარული ჭაობი. ტბიდან პატარა ნაკადული გამოედინებოდა და სოფელს მიუყვებოდა. დროდადრო ნაკადული შრებოდა ხოლმე. გაზაფხულზე ხეობა წყლით ივსებოდა. წყალი გამალებით მოჩქეფდა ყელიდან და მდინარე ტიჟასკენ გარბოდა. შემდეგ ისევ წყნარდებოდა ყველაფერი, ნაკადული თანდათან იწრიტებოდა და ტიჟამდე ვერც კი აღწევდა. შარშან ზაფხულში კოლტუბელებმა ხეობის ყელი ქვის კაშხალით გადაკეტეს და წყალს ვზა გადაუჭრეს. შემოდგომის წვიმებისა და გაზაფხულის თოვლის დნობის შემდეგ ხეობა გრძელ დაკლაკნილ ტბად იქცა, რომლიდანაც აქა-იქ კენწეროები ამოეყო ტირიფებსა და ნაძვებს. ხოლო ნაპირებზე წყალში მოხვედრილი ბალახი ნანაობდა. კაშხალის აქეთა მხარეს ღრმა ქვაბულში ელსადგურის ძელური შენობის ახალგარანდული ძელები ბზინავდა. ძელურში წკარუნი და სტვენა ისმოდა.

— ანტონ! ერთი გარეთ გამოდი.

სტვენა შეწყდა. ძელურის კარებში მაღალ-მაღალი, მშვენიერი ჭაბუკი გამოჩნდა. მას ხელები იდაყვებამდე ზეთით ჰქონდა გათითხნილი და უშედეგოდ იწმენდდა ძენძით. ზეთით მოსვროდა შარვალიცა და წითელი მაისურიც, ზეთი უბზინავდა მოწითალო გაბურძგნილ ქოჩორზეც კი.

— გამარჯობათ, საველი ბატონო! — უთხრა ანტონმა. კილოზე შევატყვე, რომ ჩვენი დირექტორის ნამოწაფარი იყო.

— გაგიმარჯოს, ანტონ! როგორ მოლამაზებულხარ, ჰა?

— მანქანას გაპოხვა უყვარს.

— შენ ხომ მანქანა არა ხარ? ის გაპოხე, თავს რად იპოხავ... გაიცანი ყმაწვილები, რჩევისთვის მოგიყვანე.

ანტონმა ქოჩორი შეარხია და გაიღიმა:

— გაპოხვის გამო ხელს ვერ ჩამოგართმევთ... აბა, რამ შეგაწუხათ, არწივებო?

დირექტორმა ორიოდე სიტყვით უამბო ლაშქრობის, პრემიისა და ჩვენი გასაჭირის შესახებ.

— შენ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ხარ და ეს საქმე თავად გეხება. ჰოდა, იფიქრე...

ანტონი მართლაც დაფიქრდა.

— იცით, საველი ბატონო: ტიჟაში ახალგაზრდობასთან მასობრივი მუშაობის საქმე მოუგვარებელია. იქ მხოლოდ ერთი კომკავშირელია, დაშა კულომზინა, თანაც ახალი მიღებულია კომკავშირში, გამოცდილება აკლია...

— სამაგიეროდ კომუნისტები არიან. იცნობ მჭედელს, ძია ფედიას?

— არა. როდის უნდა გამეცნო? ახლახან დავბრუნდი... არა უშავს, ბიჭებო, ნუ იდარდებთ! — გვითხრა ანტონმა.

— არ ვდარდობთ, — მიუგო გენადიმ. — ოღონდ რა ვუყოთ მიმღებს? სკოლას მივცეთ თუ როგორ მოვიქცეთ?

— სკოლას? სკოლას რად უნდა? როგორც კი ამას ავამუშავებთ, — ელსადგურის შენობაზე მიგვითითა. — ისეთ რადიოკვანძს გავმართავთ, ვერც ერთი მიმღები ვერ დაუდგება წინ! პრემიებს კი უაზროდ არ არიგებენ. პრემიას იმიტომ იძლევიან, რომ პატრონებს ჰქონდეთ... მართალს ვამბობ, საველი ბატონო?

დირექტორმა თავი დაუქნია.

20. ლ. ვოროხო

— კარგია, რომ საბჭოურად ფიქრობთ: ყველაზე ზრუნავთ და არა მარტო საკუთარ თავზე. და თუ ასე გსურთ, საკითხი ადგილზე უნდა გადავწყვიტოთ. მოდი, ერთად გადავწყვიტოთ. თანახმა ხარ?

— თანახმა ვართ, — დავუკარით კვერი.

— კეთილი და პატიოსანი! — გაიცინა ანტონმა. — თქვენს სოფელში მოვალ და მოვილაპარაკოთ. იქ ერთ საქმეს ვიწყებთ, ჰოდა, მიმღები სწორედ რომ გამოგვადგება... აი, ცხოვრებაც ეგაა, საველი ბატონო, — უთხრა დირექტორს ანტონმა და თავით ჩვენზე ანიშნა. — გაწვება, მოსვენებას არ გაცლის, გაჩქარებს...

— კარგი, თავს ნუ ისაწყლებ, — გაიღიმა დირექტორმა. — აბა, ყმაწვილებო, ყველაფერი გასაგებია?.. მაშ, მოუსვით შინ.

სიმართლე თუ გინდათ, ვერაფერი გავიგეთ. განსაკუთრებით იმას ვერ მივხვდით, ამ ღიმილიან წითურ ანტონს რატომ ვაწვებოდით და მოსვენებას რად არ ვაცლიდით. მაგრამ ვიგრძენით, რომ ჩვენს საქმეს საშველი უნდა დადგომოდა.

— ამ ანტონს არა უშავს, — თქვა გენადიმ.

— ჰო, მხიარულია... პაშა კი გაგვიბრაზდება, რომ ელსადგურში უიმისოდ ვიყავით!

— ჩვენ ხომ არაფერი გვინახავს.

— მაინც გაგვიბრაზდება. ჩვენთან რომ ყოფილიყო, ითხოვდა...

მივედით პაშასთან. ის მუშაობით იყო გართული და ჩვენთვის ზედაც არ შემოუხედავს: ნაგვერდულებისგან ორ ერთნაირ ქარგოლს აკეთებდა.

— ეს რა იქნება, კასრი? — ვკითხე მე.

— კასრი შენა ხარ!.. გავაკეთებ და ნახავ, ახლა კი, სულ ერთია, ვერ გაიგებ. — გვითხრა პაშამ და ჩვენც შინ წავედით.

ანტონი

ანტონი შესალამოვებულზე ვნახე. ქუჩაში მოდიოდა, სახლებს თვალიერებდა და გაკრიალებულ ჩექმის ყელზე წკნელს იტყაპუნებდა. თითქმის ახალი გადაღებული კიტელიდან ცისფერი მაისუ-

რი უჩანდა, წითური ქოჩორი დაევარცხნა, მაგრამ შუბლზე მაინც აბუებული ზვინივით ადგა.

მივირბინე და შევძახე:

— გამარჯობათ, ძია ანტონ!

— გაგიმარჯოს, ძმისწულო!.. აჰ, შენა ხარ? — მიცნო მან. — სად ცხოვრობს თქვენი თავმჯდომარე?

მივედით ფროლოვების ქოხთან. გენადი გარეთ გამოვარდა და გვითხრა მამა სამჭედლოშია, ძია ფედიას ეხმარებაო.

— მით უკეთესი, — თქვა ანტონმა, — წავიდეთ სამჭედლოში.

ანტონი ისე მიაბიჯებდა, იძულებული გავხდით, სირბილით მივყოლოდით, რომ არ ჩამოვრჩენოდით. სამჭედლოდან უროს რახუნი და კვერის კაკუნი ისმოდა. ძია ფედია გატეხილ ღერძს ადუღებდა და თავმჯდომარე გავარვარებული ღერძის ერთმანეთზე დადებულ ბოლოებს უროს ურტყამდა. თავმჯდომარეს სული ეხუთებოდა, სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხამდა.

— არ შემიძლია! — თქვა ბოლოს და ურო მოისროლა. — სუნთქვა შემიკავა იმ ოხერმა...

— ჰო, ეგ ჭრილობა სახუმარო როდია, — კუშტად უთხრა ძია ფედიამ. — მოითქვი სული, კიდევ გავაცხელებთ...

ძია ფედიამ ღერძი ნარჩილის მხარით ჩადო ქურაში და საბერველის ბერვას შეუდგა.

— მოდი ერთი მე შევინძრ-შემოვინძრე, — თქვა ანტონმა სამჭედლოში შესვლისას. კიტელი გაიხადა და არც მოუხედავს ჩვენკენ, ისე გადმოგვიგდო. — ოღონდ უკან ნუ დამიდგებით, ბავშვებო.

ძია ფედიას არაფერი უთქვამს, მხოლოდ წარბები შეარხია, ნაპერწკლების მფრქვეველი ღერძი ქურიდან გამოიღო, გრდემლზე დადო და კვერი დაჰკრა: ან ადგილს უთითებდა ანტონს ურო სად დაერტყა, ან ხენჯს აცლიდა ღერძს. ანტონმა ფეხები გაფარჩხა და ურო ნელა დაიქნია.

„რახ“, — მჭისედ გაისმა სამჭედლოში „კაკ-კუკ“, — დარტყმა მოითხოვა ძია ფედიას კვერმა. „რახ“, — ისევ უპასუხა ურომ. „კაკ-კუკ“ — „რახ“, „კაკ-კუკ“ — „რახ“, — უფრო და უფრო სწრაფად ეხმიანებოდნენ ერთმანეთს ურო და კვერი; ღერძის თვალისმომჭრელი სიმსივნეც იკლებდა, ცეცხლოვან შხეფებს აფრქვევდა,

იშიმიბოდა. შავდებოდა. „კაკ-კუკ-კაკ,“ — თქვა ბოლოს ძია ფედიას კვერმა და სიბრტყეზე მიწვა.

ანტონმა ურო დაუშვა, ხოლო ჩაბეუტული ღერძი გვერდზე გადაწვა გასაციებლად.

— ოსტატი ყოფილხარ! — აღტაცებით უთხრა თავმჯდომარემ ანტონს.

— სად მუშაობდი ურესმცემლად? — ჰკითხა ძია ფედიამ.

— ცოტათი არმიაში მომიწია მუშაობამ.

— იქ კი გასწავლიდნენ!... შევისვენოთ არა, თავმჯდომარეო? სადღეისოდ კმარა... გმადლობ, ჭაბუკო, დახმარებისთვის.

— არაფრის... ვერა მცნობთ? ანტონი ვარ, გორელოვის ვაჟიშვილი.

— ოჰო. რა ბიჭი დამდგარხარ! ამას წინათ არ ჩამოხვედი არმიიდან? ახლა ელსადგურში უფროსობ?

— ვმუშაობ ცოტ-ცოტას. მე თქვენი დახმარება მჭირდება.

— რაო, გიჭირს რამე?

— არა. იქ ყველაფერი რიგზეა. შეუფერხებლად ვაკეთებთ მონტაჟს. ასე რომ სინათლეს შრომადღეებზე პირველ პურთან ერთად მივცემთ ხალხს! — გაიცინა ანტონმა.

— ახლა კი კარგად იცხოვრებთ! — ცოტა არ იყოს შურით უთხრა თავმჯდომარემ. — აბა, რა საქმემ მოგიყვანა ჩვენთან?

— ახლავე გიამბობთ... ბიჭებო, — მოგვმართა ანტონმა. — გაიქეცით და დაშა კულომზინა მოიყვანეთ.

ვიდრე დაშასთან მივირბენდით, ყველაფერს მოვყვებოდით. შემდეგ კი მასთან ერთად სამჭედლოში მოვიდოდით, საქმიანი საუბარი. ეტყობა, დამთავრდა და ყველაზე საინტერესო რამ გამოგვრჩა. ანტონი უკვე ემშვიდობებოდა თავმჯდომარეს და მჭედელს.

— არა, რაც არ შემიძლია, არ შემიძლია, — ამბობდა თავმჯდომარე. — მინა არაა. არც საამისო ფონდები მაქვს. ასე რომ თქვენ თვითონ...

— ისედაც გავალთ იოლას, — ქოჩორი შეარხია ანტონმა. — ამ საქმეს არავითარი ფონდები არ სჭირდება, მთავარია სურვილი... მაშასადამე, ყველა საკითხზე შევთანხმდით. არა?.. გამარჯობა. დაშა! — მოუბრუნდა ანტონი დაშას. — აი, მოვედი, რომ მენახა, როგორ ცხოვრობთ...

ანტონი და დაშა ქუჩას გაუყვნენ, ჩვენ უკან მივყევით, ველოდით, ანტონი როდის მიხედავდა ჩვენს საქმეს. იგი დაშას მოზრდილი გოგო-ბიჭების ამბავს ეკითხებოდა, ჩვენ კი ყურადღებას სულაც არ გვაქცევდა, თითქოს დაპირება დააივწყდა.

სოფლის განაპირას ბაიანი ახმიანდა და ისევ მიყუჩდა.

— ჰეი, ყმაწვილებო! — მოგვიბრუნდა ანტონი. — რას იმალებით, გავისეირნოთ...

გული გამიტყდა: ეს თურმე სასეირნოდ ჩამოსულა და არა ჩვენს დასახმარებლად-მეთქი...

საძოვარზე, სამ წყებად დალაგებულ მორებთან ჩვეულებისამებრ მოზრდილი გოგო-ბიჭები შეგროვილიყვნენ. აქ ბალახი ერთიანად იყო გაქელილი.

— გოგოებო, შეხედეთ. რა კავალერი მოგიყვანეთ, — თქვა დაშამ

— წითური! — გაიცინა ანტონმა და დამხვდურებიც აჰყვნენ.

— ღამით ყველა კატა ნაცრისფერია, — შეეხმიანა ანცი ანა ტრეგუბოვა.

ანტონი სხვის ხუმრობაზე იცინოდა, თვითონაც ხუმრობდა და, ეტყობოდა, თავს მშვენივრად გრძნობდა, ჩვენ კი სულ უფრო გვიფუჭდებოდა გუნება. შემდეგ გოგოებს ცეკვაც მოეპრიანათ. მალე მოედანზე ისეთი მტვრის ბუქი დააყენეს, მოცეკვავე წყვილები აღარ ჩანდნენ.

გეყოფათ, გოგოებო! — დაიყვირა ანამ. — ისეთი მტვრის ბუქი დადგა, სულს ვერ მოითქვამ... ჯობს ვიმღეროთ.

ძეგარმონე ფედორ რიაბიხმა საბერველები დაკეცა, შემდეგ ერთიანად გაშალა, ბაიანმა დაიჟღრიალა და ერთფეროვანი არეულ-დარეული მელოდია ააჩქარა. ანამ ხელები შემოივლო, თითქოს წელი ეტკინაო, და ისე ხმამაღლა ჩაარაკრაკა შაირი, ყურებში ზარი ჩაგვიდგა. ბაიანმა ისევ დაიხრიწინა. ფედორს კლავიშები აერია, მთელი მუხლი გამოტოვა და კვლავ ერთფეროვნად ატოკდა რამდენიმე ნოტზე. გოგონებმა ახლა ერთხმად დასძახეს კუპლეტი.

წამოვდექი, წასვლა დავაპირე — აქ საქმე არ გამოვიდოდა, ახალგაზრდები ჩვეულებრივად ერთობოდნენ. გენადიც წამოდგა. მაგრამ ამ დროს ფედორმა საბოლოოდ აურია კლავიშები, ბაიანმა

საშინლად დაიყვირიალა სამ ხმაზე და გაჩუმდა, თითქოს თავისსავე ხმამ გააოცა.

— დაკვრაც ამას ჰქვია! — გაკვირვებით ჩაუბოხისხმავა მოშორებით მჯდომმა ივან ლეპეხინმა.

გოგონებმა გადაიკისკისეს და ფედორს ეცნენ.

— მომეცი, მეგობარო, მე ვცდი, — უთხრა ანტონმა ფედორს.

ანტონმა ბაიანი მუხლზე ჩამოიდო, თითქოს იზომებსო, თითები კლავიშებზე ჩაატარა, დაიხარა და დაუკრა.

აკორდები აჩქარებით მისდევდნენ ერთმანეთს, ერწყმოდნენ, ყუჩდებოდნენ და ხმადაბალ რაკრაკად იფანტებოდნენ. მაგრამ აი, ამ ბუნდოვანებაში გამოაღწია მელოდიის სუსტმა ნაკადმა. მას ხმადაბლა, მაგრამ რიხით წაეშველნენ ბანები. მელოდია მოღონიერდა, თითქოს ზედმეტი ბგერები ჩამოიშორაო. მაგრამ ჯერ კიდევ როგორღაც ერთიანად არ ეღერდა, თითქოს ბაიანი მღეროდა, მაგრამ სიმღერას ბოლომდე ვერ ასრულებდა. აყურადებდა და ამოწმებდა ეღერადობას. ბოლოს ეღერადობა გამყარდა, გაფართოვდა და გახალისებულმა ბაიანმა სრულიად და მთელი ხმით გაიმეორა ნამღერი, თითქოს რაღაცას კითხულობსო. ისევ და ისევ მღელვარედ, ჯიუტად იმეორებდნენ კითხვებს კლავიშები. საყვედურით ახმიანდნენ ბანები. ბაიანი მიწყნარდა და აი, დაიწყო ხმადაბალი, გულითადი საუბარი რაღაც მრავალმეტყველსა და მნიშვნელოვანზე, რასაც ვერაფრით გადმოსცემ სიტყვებით.

გაყუჩდა სოფელი, ტაიგა უძრავი, მდუმარე გუშაგივით შემოადგა მას, ახალი მთვარე აიწია მაღლა, რათა მოესმინა, რას კითხულობდა სხივმოსილი ნაღვლისმთოველი გარმონი.

— ოჰ, გოგოებო! ეს რა სიმღერაა? მთელი სული შესძრა, — თითქოს იღვიძებსო, ისე თქვა ნასტია ლაგოშინმა, ანას დაქალმა.

— აი, ცხოვრობს ხალხი!.. — ამოიოხრა ანამ.

— რომელი ხალხი? — იკითხა ანტონმა.

— თუნდაც შენ: ქალაქში ცხოვრობდი, ისწავლე, ყველაფერი ნახე და მოისმინე.

— მე ხომ კოლტუბში ვსწავლობდი და არა ქალაქში. ეს სიმღერაც კოლტუბში გავიგონე რადიოთი.

— ხედავ, თქვენ თქვენი რადიოცა გაქვთ, კლუბიც.. ჩვენ კი

ვიჭუჭკებით აქ, როგორც ცხვარი საძოვარზე. ცეკვას მოინდომებ და პირი მტვრით ამოგევსება.

— ჰო, მენალმეებზე უკეთესად მოაწყვეთ კვამლის ფარდა... ზამთარში თოვლზე ცეკვავთ?

ანამ მწარედ ჩაიქნია ხელი, დანარჩენებმა უხალისოდ გაიცინეს.

— ჩვენთან კოლტუბში იარეთ. გულკეთილნი ვართ, არ გაწყენინებთ.

— შეიძლება თქვენ არ გვაწყენინოთ, მაგრამ გზა გვაწყენინებს. — ჩაურთო ნასტიამ. — იქით შვიდი კილომეტრი, აქეთაც შვიდი კილომეტრი... ასეთი არითმეტიკის შემდეგ აღარც გართობა გინდა და აღარც სიმღერა... ამდენი მანძილის გარბენის შემდეგ კიდევ სამუშაოდ უნდა წახვიდე!

— აქვე მოაწყვეთ რამე... ხედავ, რა ძალა გაქვთ?

— სად მოვაწყოთ, საქათმეში?

— რატომ საქათმეში! აგერ, სოფლის შემოსასვლელში ფიცრებაკრული ქოხია.

— პესტოვებისა, — თქვა ლეპეხინმა. — მოხუცები შვილს ელოდნენ და ხუთკედლიანი ქოხი დაუდგეს. შვილი არ დაბრუნდა, მოხუცებიც ომის დროს დაიხოცნენ და დგას ქოხი. თავმჯდომარე ამბობდა, იქნებ ბელღად ან საკუჭნაოდ გამოვიყენოთო...

— ამ საკითხზე თავმჯდომარეს შევუთანხმდი. უარს არ ამბობს, ქოხი კლუბად ან ქოხ-სამკითხველად ვაქციოთ. ალბათ გამგეობაც დაგვეთანხმება.

— დავიყოლიებთ! — აინთო ლეპეხინი.

— რა ყრია მაგ ქოხში? იჯექი და ცარიელი კუთხეები ითვალე! — იყვირა ანამ.

— მოიცა, — შეაჩერა ანტონმა. — ცარიელი კუთხეები ზარმაცებსა აქვთ... მოსაწყობად პირველ ხანებში ზოგი რამ მოგვიძევება... ბიჭებო, სადა ხართ? — დაიძახა მან.

— აქა ვართ, — შეეხმიანა გენადი.

— აი, ამათ კარგი საქმისთვის პრემია — რადიომიმღები მისცეს. ჰოდა, გადაწყვიტეს, რაკი სოფელში ამდაგვარი რამ არ არის, ყველასი იყოსო. მე რჩევისთვის მომაკითხეს, მე კი თქვენ მოგაკითხეთ. რა თქმა უნდა, ცოტა წამუშავება დაგვჭირდება: ქოხი უნდა მილაგდეს, ანტენის ანძები დაიდგას.

ოჰ, რა ეშმაკი ყოფილა ანტონი! თურმე რა საქმეზე ლაპარაკობდა ბაშინ ელსადგურში...

ყველამ ერთხმად დაიწყო კამათი, საქმეს როდის შევუდგეთო.

— თუნდაც ხვალ, — თქვა ანტონმა. — ბიჭებმა მორები მოჭრან და მოიტანონ. გოგოებმა კი ქოხი დაალაგონ... საღამოს ისევ მოვალ.

უნდოდათ დარჩენაზე დაეყოლიებინათ, მაგრამ არ დათანხმდა:

— არა, ამხანაგებო, ხვალ დილიდანვე სადგურში უნდა ვიყო. აქ თქვენ თვითონ გაართმევთ საქმეს თავს. ხოლო ჩემს მოადგილედ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, აგერ, დაშა კულომზინას დაგიტოვებთ...

დილაუთენია პაშას და კატიას შევურბინე, კატიას მეზობლის თეთრფარვანა გოგო ლუბა აედევნა, ყველამ ერთად გენადის შევუარეთ და პესტოვების ქოხისკენ გავემართეთ.

ფანჯრებზე აკრული ფიცრები ჭრაჭუნით დაგვნებდა, დაიღრჭიალეს დაჟანგულმა ლურსმნებმა და ქოხმა ფანჯრების სიოს შავი თვალებით შემოგვხედა. ლეპეხინმა კარს ფიცრების ჯვარი მოაშორა და ქოხში შევედით. მაშინვე მიტოვებული სახლის, სინესტისა და თაგვების სუნი გვეცა. პირველი გამჭვარტლული ოთახის ნახევარი ღუმელს ეჭირა. სასტუმრო ოთახში მეტი სისუფთავე იყო, მაგრამ ძელებზე მტვრის ნაცრისფერი ქულები იდო, ორპირი ქარის დაბერვაზე მტვრის ხაოიანი ფთილები ტალღა-ტალღა აფორიალდა იატაკზე.

— სასახლეც ამას ჰქვია... — აგდებულად ჩააგრძელა ანამ. — აქ ვერც მიტრიალ-მოტრიალდები.

— საძოვარი უკეთესია?—ჰკითხა დაშამ, პასუხს არ დაელოდა და იქვე დაგდებული ცოცხით აბლაბუდის ჩამოწმენდას შეუდგა.

ნასტია და ანა ვედროებისა და ჩვრების მოსატანად გაიქცნენ. ივან ლეპეხინი ტყეში წავიდა, მას პაშა აედევნა, ჩვენ კი დაშამ მიწაყრილების ამოვსება და ეზოს დალაგება დაგვავალა.

ქოხთან ფინიამ და სენიამ ჩაირბინეს. თავი ისე დაიჭირეს, თითქოს რაც იქ ხდებოდა, სულაც არ აინტერესებდათ, მაგრამ მალე

მობრუნდნენ, ეროხანს იდგნენ. შემოეგ მოშორებით უსაფრთხო ადგილ ას დასხდნენ.

— „გნოლქათმები“ რაღაცას ცდილობენ, — თქვა ფიძამ ძველი ჩვეულებისამებრ, თითქოსდა ენის ბორძიკით.

— ცდილობენ, — კვერი დაუკრა სენიამ.

ისინი აბუჩად გვიგდებდნენ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით — რაც სურდათ. ის ეყბედათ უსაქმურებს, მათთვის აბა, სად გვეცალა!

გოგოებმა აურაცხელი ვედრო წყალი გადმოღვარეს. სასტუმრო ოთახს სინათლე შეემატა. მაგრამ ძველებურად გამოცარიელებული და მოუწყობელი გახლდათ. განსაკუთრებით უსიამოვნო შესახედავი იყო ფანჯრების უმინო, ცარიელი ალათები.

ლეპეხინმა და ფედორ რიაბინმა ტყიდან ორი წვრილი გრძელი ლარიქსი მოიტანეს. პაშა ტრაბახობდა, ჩემი შერჩეული ლარიქსები მოეჩრესო. მან კი იცოდა, რა შეერჩია — მთელ ტყეში ლარიქსზე მაგარი და სწორი არა იყო რა.

საღამოს ანტონს ველოდით. ყველანი ქოხთან მიწაყრილზე შევიკრიბეთ. ანტონმა ვეება პაკეტი მოიტანა, რომელშიც ფანჯრის მინები აღმოჩნდა.

ანტონმა ქოხი დაათვალიერა, შეაქო დამლაგებლები, შემდეგ კი ღუმელზე მიუთითა:

— რისთვის გინდათ? ღვეზელების გამოცხობას ხომ არ აპირებთ? მე რომ მკითხოთ, ეგ უნდა მოშალოთ და სამაგიეროდ პატარა ღუმელი დადგათ გასათბობად. შიგა კედელიც ზედმეტია. ძელები მოხერხეთ და ერთობ შესაფერისი შენობა გექნებათ.

ქოხის გადაკეთებას დიდი დრო არ დასჭირვებია. როცა ძია ფედიამ ახალი ღუმელის აშენება დაიწყო, ჩვენ აგურების გადატანაში. სამზარეულოს გამჭვარტლული კედლების ჩამოფხეკასა და ჩამორეცხვაში, თიხისა და ქვიშის მოზიდვაში ვშველოდით მოზრდილებს. პაშა ივან ლეპეხინს ეხმარებოდა მაგიდის გაკეთებაში. მერხები პირველი ხანებისათვის ქოხებიდან მოკრიბეს.

ნასტიამ შემოგვთავაზა, მაგიდაზე სუფრა გადაგვეფარებინა. გოგონებმა წითელი ქსოვილი გარეცხეს და გააუთოეს, რომელზეც სადღესასწაულო ლოზუნგებს წერდნენ ხოლმე, და მაგიდას გადააფინეს. ქსოვილი ნამდვილ სუფრას დაემსგავსა.

კვირას ანტონი უფრო ადრე მოვიდა. ანძები დააყენეს. საბელებით გაამაგრეს და ყველა ქოხში შეცვივდა, რათა ადგილები დაეკავებინათ. ზედ მაგიდასთან მოვკალათდით, ჩვენ გვერდით დაგვიჯდა ბაბუა სავა. ფედორ რიაბიხიც წინ გამოძვრა თავისი ბაიანითურთ. დაჯდა, თითები შეახო კლავიშებს და ბაიანი საცოდავად, დაბნეულად აყღრიალდა. ფედორს დაუსისინეს, ხელები დაუქნიეს: მოგვეშვი შენი მუსიკიანადო.

ზედ კართან იდგნენ ფიმა და სენია. კისერი წაეგრძელებინათ და ფეხის წვერებზე ირწეოდნენ. ფანჯარაში ვასია შჩერბატი გადმოკიდებულიყო. ჩვენ ვითომ არ შეგვიმჩნევია ისინი — ესმინათ, რა გვენაღვლებოდა.

ანტონმა ანტენა და ბატარეა ჩართო, მიმღების სახელური გადაატრიალა. იმავ წუთს საიდანღაც შორიდან შხრიალსა და ტკაცუნში უხალისო რეკვა გაისმა. იგი გაძლიერდა და მთელი ქოხი აავსო. ბოლოს დასრულდა და დიქტორმა მაშინვე მშვიდი, მტკიცე ხმით თქვა: „ყურადღება! ლაპარაკობს მოსკოვი. ვიწყებთ კონცერტს რადიომსმენელთა თხოვნით...'

ფეხმოუცვლელად, შეუსვენებლად ვუსმენდით ყველაფერს: კონცერტს და უკანასკნელ ცნობებს, საუბარს დონბასის შესახებ და საბავშვო გადმოცემას, ლექციას საერთაშორისო ვითარებაზე და ისევ კონცერტს...

„ლაპარაკობს მოსკოვი!"

შემდეგ მიმღებს შევეჩვიეთ, მაგრამ იმ საღამოს გვეჩვენებოდა, რომ სწორედ ჩვენ გვესაუბრებოდა, ჩვენთვის ლაპარაკობდა უზომოდ მშვენიერი შორეული მოსკოვი. მაგრამ განა მართლა ასე შორს იყო? მშვიდმა, მტკიცე ხმამ დაარღვია ტაიგის სიჩუმე, ამასთანავე თითქოს გაქრა უსასრულო ვერსები, რომლებიც მოსკოვს გვაშორებდა. მოსკოვი ჩვენ გვერდით, ჩვენს ზურგს უკან ისე ახლოს იდგა, რომ მისი მშვიდი, თანაბარი სუნთქვა გვესმოდა.

ანტონი პირდაპირ შეგვიყვარდა. სხვას ვის შეეძლო ასე მხიარული ხუმრობა და სიცილი, ვის შეეძლო ისე გაეტაცა სუყველა თავისი წამოწყებული საქმით, ვის ჰქონდა უნარი მისოდენი გაეკეთებინა!

დიდებსაც ანტონზე ამოსდიოდათ მზე და მთვარე. თავმჯდომარე, როგორც ძვირფას სტუმარს, ისე შეხვდა, ძია ფედია პა-

ტივისცემით ელაპარაკებოდა, თითქოს მისი ტოლი ყოფილიყო. ანას ანტონის დანახვაზე დაკუსული თვალები სიცილით უცისკროვნდებოდა, ბიჭები იღიმებოდნენ. მხოლოდ ფედორ რიაბიხი დადიოდა ერთხანს ცხვირჩამოშვებული და ნაწყენი. შეიძლება ანტონზე ბრაზობდა ან თავის თავზე, რომ პირველ საღამოს თავი შეირცხვინა ამ ახალმოსული ყმაწვილის წინაშე. შემდეგ ნელ-ნელა მოლბა, განსაკუთრებით, როცა ანტონმა ბაიანზე დაკვრის თვითმასწავლებელი მოუტანა. ჩვენ კი გუნდ-გუნდად დავსდევდით უკან. ანტონი იცინოდა და თავის გვარდიას გვიწოდებდა.

კატიამ ერთხელ თქვა, სულ დაგვავიწყდა ძია მიშაო, მაგრამ მართალი არ იყო. ვფიქრობ, ანტონიც სწორედ იმიტომ მოგვეწონა, რომ რაღაცით გვაგონებდა ძია მიშას. ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, იმავე დროს რაღაცით ჰგავდნენ. შეიძლება იმით ჰგავდნენ, რომ ორივეს ძალიან აინტერესებდა და საყურადღებოდ მიაჩნდა ყველაფერი და ყველაფერზე გული მიუწევდა?..

ოქროსფერი ნაკადი

პაშა ანტონს გაედევნა კოლტუბში და ორი დღე არ გამოჩენილა. იქიდან ბედნიერი და ერთიანად ზეთით მოთხვრილი დაბრუნდა. დედამ ანგელოზები დაუფეთა, მაგრამ პაშა მოსაჩვენებლად გაიბუტა და ისევ მიუბრუნდა თავის დაუმთავრებელ მანქანას. თუ იმათ კოლტუბში ელსადგური ექნებათ, მე აქ ქარის ძრავას ავაგებო, — ამბობდა პაშა.

პაშამ ააწყო და სახურავზე დადგა ტურბინისმაგვარი ვეეია დოლი, რომელიც ისე მძიმე გამოდგა, ძლიერი ქარიც კი ძლივს ატრიალებდა. პაშა, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ შემდეგ თქვა, საკისრების ბრალია: ბურთულა საკისრები რომ მქონოდა, ციბრუტივით იტრიალებდა და თავის სამუშაოს შეასრულებდაო. დოლი ვერც საკისრებმა აამოძრავეს. პაშამ თავი მიანება და სხვა რამის გამოგონება დაიწყო.

ანტონი ტიეაში იშვიათად და მცირე ხნით ჩამოდიოდა, მაგრამ ყოველთვის ახალ რაღაცას გვთავაზობდა ხოლმე. ასე იყო

ახლაც. ჩვენ წყნარად მოდუდუნე რადიოს ვუსმენდით. მაგიდასთან კი დაშა, თავმჯდომარე და ანტონი საუბრობდნენ. თავდაპირველად მათ ყურადღებას არ ვაქცევდით, შემდეგ კი უნებურად ყური მივუგდეთ. თურმე ჩვენზე ლაპარაკობდნენ.

— მალე აქ მოსასვლელად არ მეცლება. — ეუბნებოდა ანტონი დაშას. — ხომ იცი, მოსავლის აღება იწყება. ამიტომ მარტო იქნები და მუშაობის მაგალითი უნდა უჩვენო სხვებს.

— არავის ჩამოვრჩები, — შეესიტყვა დაშა.

— რომ არ ჩამორჩები, ცოტას ნიშნავს. შენ, როგორც იტყვიან, სათავეში უნდა ჩაუდგე სხვებს. წელს მოსავლის აღების მკაცრი გეგმა გვაქვს... ჰოდა, თავის გართმევა გაგვიძნელდება...

— ხალხი რომ ცოტათი უფრო მეტი გვყავდეს, არ გაგვიძნელდებოდა. მუშახელი არ გვყოფნის და ეგაა უბედურება, — თქვა თავმჯდომარემ.

— აი! — მიუბრუნდა ანტონი დაშას. — შენი ამოცანაა კოლმეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფა.

— მერედა საიდან მოვიყვანო?

— მუშახელი ციდან არ ჩამოფრინდება. ვინცა გყავთ, ისე უნდა დაასაქმოთ, ორჯერ მეტი გააკეთონ. ჩვენ კოლტუბში კომკავშირული სამკელი მანქანები გამოვყავით და მათი დიდი იმედი გვაქვს.

— ჩვენ ხომ კომკავშირლები არა გვყავს, მე მარტო ვარ!

— ახალგაზრდობა? ყველა უნდა ჩავაბათ მუშაობაში. ბიჭებმა რა უნდა აკეთონ?

— მაგათგან რა ხეირს უნდა მოელოდე... — შეიჭმუხნა თავმჯდომარე.

— რა, პატარები ვართ? — წამოხტა გენადი. — ადგილი გამოგვიყავით და მაშინ ნახავთ...

— რა თქმა უნდა! — კვერი დაუკრა ანტონმა. — ხედავ, როგორები არიან! რით ვერ არიან მუშაკაცები? პატარებიც უნდა ჩავაბათ მუშაობაში. თითო ტომარა თავთავი რომ აკრიფონ, ესეც კარგია! დაშა, შეკრიბე გოგო-ბიჭები და აუხსენი საქმის ვითარება.

— ჩვენ ახსნა არ გვჭირდება, — უთხრა კატიამ. — თვითონ გვინდა მუშაობა. ეს „ველურები“...

— „ველურები“ ვინლაა?

— აი, ვასია შჩერბატი და მისი ძმაკაცები. შეუგნებლები არიან, ოღონდ აჩხუბე და მეტი არაფერი უნდათ

— ისინიც უნდა ჩავაბათ მუშაობაში, რომ საჩხუბრად აღარ ეცალოთ.

ჩვენ ვამტკიცებდით, „ველურები" უდისციპლინონი არიან და საქმეს უთუოდ წაახდენენო, მაგრამ ანტონმა გაიცინა და გვითხრა, ალბათ გეშინიათ, არ გაჯობონო.

ეს ძალიან გვეწყინა. გენადიმ თქვა, კეთილი, რაც გინდათ ისა ჰქენით, ჩვენ კი ვერასოდეს გვაჯობებენო.

ვფიქრობდით, როგორც შეგნებულებს, აბალგაზრდულ ბრიგადაში ჩაგვრიცხავდნენ და ყველაზე საპასუხისმგებლო სამუშაოს მოგვანდობდნენ, მაგრამ მეორე დღეს დაშამ და თავმჯდომარემ გამოგვიცხადეს, თქვენ ძნებს გამოზიდავთ, იქ დაგვეხმარებით. სადაც საჭირო იქნება, ხოლო გენადი, როგორც ყველაზე ღონიერი, ივან ლეპეხინთან ერთად სათიბ-სამკელზე იმუშავებსო. მეოთე სათიბ-სამკელს ფედორ რიაბიხი და ვასია შჩერბატი მიამაგრეს. ჩვენ ქვა ავაგდეთ და თავი შევუშვირეთ, ვითხოვდით, მეორე სათიბ-სამკელზე ან მე, ან პაშა დავესვით, მაგრამ თავმჯდომარემ ყურიც არ გვათხოვა.

მინდვრად გასვლის წინა დღეს მამაჩემი კინალამ წაეჩხუბა თავმჯდომარეს. მას თურმე უნდოდა მამაჩემი კანტორაში დაეტოვებინა.

— შენ რა, დამცინი? სულის მოთქმა მაცალე. ქაღალდების ფიქრი ნუ გაქვს, წესრიგში იქნება, — ხან მწყრალად, ხან თხოვნით ეუბნებოდა მამა თავმჯდომარეს და მაინც თავისი გაიტანა — მთიბლად დანიშნეს ფერდობზე: იქ მანქანა ვერ გაივლიდა და ხელით უნდა ეთიბათ.

მამაჩემი დიდხანს გულმოდგინედ პირავდა ცელს, იმარჯვებდა, იქნევდა. დედამ აჩქარებით მიალაგა ქოხი და დაგვაწვინა. რადგან ხვალ უთენია უნდა გავსულიყავით სამუშაოდ, თვითონ კი ღუმელთან დარჩა, რომ ორი დღის სადილი გაეკეთებინა.

...მომეჩვენა, თითქოს ბალიშზე ეს-ესაა დავდე თავი და მაშამ უკვე მხარზე მომკიდა ხელი:

— ადექი, შვილო, დროა!

ეზოში პირის დასაბანად გავვარდი. ტაიგა ჯერ კიდევ შავად

გამოყენებოდა. როგორც ღამით, ქოხებს ბინდი ებურა და მხოლოდ აღმოსავლეთით, ქედის გადაღმა იცრიცებოდა ცა, მაგრამ სოფელს უკვე ეღვიძა: ფანჯრებში სინათლე ინთებოდა, ისმოდა კარების ჯახუნი, ხმადაბალი გადაძახილი, სადღაც ვედრომ გაიწკარუნა.

დილის სიგრილემ და ყინულივით ცივმა წყალმა საბოლოოდ გამომაფხიზლეს. დედამ ჯერ ისევ მძინარე სონია დეიდა მაშას ვადაუყვანა. ჩვენ სწრაფად ვისაუზმეთ და გამგეობისკენ გავემართეთ. იქ უკვე შეეყარათ გოგო-ბიჭებს თავი. ძია ფედია მიწაყრილზე იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა და სიცილით ადევნებდა თვალს ბაბუა სავას. ბაბუას ტილოს თეთრი შარვალი ეცვა. პერანგზე მოქნილი ტყავის ღვედი შემოეჭირა. იგი შეფიქრიანებული შერბოდა გამგეობაში, მირბოდა სათიბ-სამკელებთან, მთიბელებთან, რომლებიც მოშორებით თამბაქოს ეწეოდნენ. დროდადრო ჩერდებოდა. თბილ კარტუზს იხდიდა, მელოტს იწმენდდა, თითქოს რაღაცას იხსენებსო, და ისევ აჩქარებით და შეურვებით შერბოდა გამგეობაში.

— კარგი რა, ძია სავა! — უთხრა მას თავმჯდომარემ გამგეობიდან გამოსვლისას. — რას გადი-გამოდიხარ? ყველაფერი ისე კეთდება, როგორც საჭიროა და ტყუილა რად იშლი ნერვებს... ხედავ, რა ყვინჩილასავით დაფრინავს? — ახლა ძია ფედიას მიმართა თავმჯდომარემ.

— ოცი წლით გაახალგაზრდავდა, — გაიღიმა მჭედელმა. — ძია სავა, ძალიან ნუ ფაციფუცობ, დაიქანცები!

— არა უშავს, ძალა ჯერ არ გამომლეულა, — მიუგო და მოახლოებულ საზიდართან მიირბინა.

— არ წავიდეთ, თავმჯდომარეე? მალე მზე გამოაჭყიტებს.

— ჰო, დროა... დავიძრათ ამხანაგებო!

ქალიშვილები გუნდად გაიჭრნენ ჭიშკარში, მათ ბიჭები გამოუდგნენ. მთიბლებმა ცელებს სტაცეს ხელი, თოფებივით გაიდეს მხარზე და ბიჭებს უკან მიჰყვნენ. ერთი მეორის მიყოლებით დაიძრნენ სათიბ-სამკელები, ყრუდ მიარაკუნებდნენ თვლებს ქვებზე. ყველაზე უკან მოდიოდა დატვირთული საზიდარი, რომელზეც დეიდა სტეპანიდა იჯდა, ხელი ვეება ქვაბისთვის მოეხვია და უგუნებოდ ეკინკლავებოდა ბაბუა სავას.

— თავს ნუ აქნევ, იცოდე! შენი საქმე ისაა, ყველაფერი რიგზე იყოს, — დამაჯერებლად ეუბნებოდა სტეპანიდას საზიდრის გვერდით მიმავალი ბაბუა სავა.

— ნეტა რას გადამეკიდე ძველი ხურჯინივით? შჩის გაკეთებას რა უნდა?..

— სწორედ რომ უნდა?.. აბა, რა დღეა დღეს? დღესასწაული!.. ჩვენ ამ დღეს მთელი წელიწადი ველოდით!.. ჰოდა, შენი საქმეა გაკეთება, ჩემი კი — შემოწმება. რაო, ტყუილა დამნიშნეს ხარისხის ინსპექტორად? არავის დავინდობ. შენც მოგთხოვ ხარისხს...

— კარგი რა, ინსპექტორო!.. ჯობს ფორანზე დაჯდე, თორემ ნაადრევად დაიღლები.

მაგრამ ბაბუა სავა წინ გავარდა და დამუნათება დაუწყო გენადის, რომელიც პირველ სათიბ-სამკელს მართავდა.

— „მე გავჩნდი...“ — გაისმა წინ ანა ტრეგუბოვას წკრიალა ხმა.

— „...როგორც ბალახი მინდვრად“, — აჰყვნენ გოგონები და ტიკას მჭექარე, ხმაშეწყობილი სიმღერა მოეფინა.

სიმღერა სევდიანი იყო. იგი ჰყვებოდა ობოლი გოგონას მწარე ბედზე, მაგრამ ხმები ისე ახალგაზრდული და წკრიალა გაბლდათ, ისე მხიარულად და გიჟმაჟურად ეღერდნენ, სევდიანი სიტყვების მიუხედავად, ნაღველი არავის იპყრობდა, აშკარად მღეროდნენ არა სიმღერაში ჩაქსოვილი დარდ-ვარამის გამო, არამედ იმიტომ, რომ ყველა კარგად, ხალისიანად გრძნობდა თავს და არაფერს ნიშნავდა შორეული წარსულის ეს უკვე გარდასული სიტყვები, მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ სიხარული, რაც ამ ხმაშეწყობილ გუნდში ჩქეფდა.

მდინარის გაღმა მწკრივი გაიწელა, ჯგუფებად დაიყო. ჯგუფებმა თავიანთ ნაკვეთებს მიაშურეს.

ჩვენ ჩვენს ნაკვეთზე მივედით. ივან ლეპეხინი გადმომყრელის ადგილზე იჯდა, გენადიმ სადავეები შეარხია და ცხენები დასძრა. ტარაბუამ თავთავები წააწვინა, დანებქვეშ ღეროებმა დაიხრაშუნეს და ნამკალში პირველი ძნა დაეცა.

— არ ჩამორჩე, ნასტია! — იყვირა ანამ და, თითქოს იერიშზე მიდისო, გატაცებით დაიწყო ძნის შეკვრა.

მეორე ნაკვეთზე ფედორ რიაბიხის სათიბ-სამკელის ფრთებ-

ჭა გაიბრწყინეს, ხოლო მაღლა ფერდობზე. თითქოს ბრძანება გაიცაო. გაიელვეს ცელებმა. გეგონებოდათ რაზმები ერთი მეორის მიყოლებით უტევდნენ ხორბლის მოღაღანე მოშრიალე კედელს. კედელი შეტევას ვერ უძლებდა და უფრო და უფრო შორს იხევდა.

ივან ლეპეხინი მესამე სვეზე გაოფლიანდა. სათიბ-სამკალზე გადამყრელად მუშაობა ადვილი როდია: აბა, ერთი სცადე, ფიწალი ისე დაიქნიო, ძნები ერთნაირი გამოდგეს და მუშაობაში არ ჩამორჩე თანაბრად მოკაკანე მანქანას, რომელიც წამდაუწუმ აქუჩებს მოჭრილი ღეროების ახალ და ახალ ფენებს. ლეპეხინს სახეზე ოფლი ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა, ფიწალს ხელს არ უშვებდა, ისე ხრიდა თავს მხრისკენ და სახეს პერანგზე იწმენდდა.

პაშა (მე და მას ძნები დაშასთან მივგქონდა, რომელიც მათ ჯვრებად დგამდა) სულის მოსათქმელად შედგა და, რომ გახედა სათიბ-სამკელს, რომელიც ახალ სვეს იწყებდა, მწუხარედ თქვა:

— ეს მაინც ჩამორჩენილი ტექნიკაა! კომბაინი რომ მოგვცა...

— აქ კომბაინს როგორ ამუშავებ?

ჩვენი მინდვრები ვიწროა, მაღლა ისინი ფერდობებად იქცევიან. ასე რომ, დიდი მანქანა იქ ვერ ივლის

— მაშასადამე, ისეთი პატარა კომბაინი უნდა გავაკეთოთ, რომელსაც ყველგან შეეძლება სიარული.

— ჰოდა, მას შენ გააკეთებ. მანამდე კი ძნები მოიტანე! ხედავ, დაშას დასაწყობი არაფერი მაქვს...

პაშამ ორი ძნა აიტაცა და დაშასკენ წაათრია, მაგრამ უცებ ბაბუა სავა დაესხა თავს.

ბაბუა სავას კარტუზი სადღაც დარჩენოდა, ტყავის ქამარი ალბათ დაეკარგა და ნიავი ტილოს პერანგს აფრასავით უბერავდა.

— მამაცო ვაჟკაცო, ძნებს რად მიათრევ მიწაზე? გალეწვამდე ლეწავ? ასწიე, ასწიე, წელში არ გადატყდები!.. ხალხმა ამდენი იშრომა, შენ კი მის ნაშრომს მიწაზე ფანტავ?..

პაშა გაწითლდა და ძნები ასწია.

— ძია სავა! — შეეხმიანა ანა. — კარტუზი სად დაკარგე? ჰელოტზე დაგაცხუნებს.

— არა უშავს, მელოტი ბლინი არაა, არ მოიხრუკება... შენ

კი როგორ კრავ, ლამაზო? ეს რა კონაა? როგორც ბავშვს ახვევენ, ისე უნდა შეკრა... თორემ ხელს გაჰკრავ და დაიშლება.

— შენ რა ყველას უყვირი? გენერლობა არ მომინდომა?

— აბა, რა გგონია? ალბათ ჩემს სამხვნელ-მთესველო საქმეში ყველაზე ნაღდი გენერალი ვარ. აგერ ნახავ, გაზეთებიც დაბეჭდავენ ჩემ შესახებ: ტიჟაში გახლავთ პურის დიდი ოსტატი და ამ ოსტატობისთვის პატივისცემის ღირსიაო... შენ კი იკრიჭები...

— მე ისე, ბაბუა...

— შეკარი, შეკარი უფრო მაგრად, — უთხრა სავა ბაბუამ ანას და ფედორ რიაბიხის ნაკვეთისკენ გაიქცა.

მაღლა აწეული მზე სულ უფრო ძლიერ აცხუნებდა. პერანგში ჩაყრილი ფხა გაოფლილ ტანზე ბწკენდა, მძიმე. მაგრად შეკრულმა ძნებმა ხელები მატკინეს, წელმა ტკივილი დამიწყო. პირი გამომიშრა და, მეჩვენებოდა, საცაა ძალა სულ გამომეცლება და გავჩერდები-მეთქი.

აქეთ-იქით ვიყურებოდი: შორს ისევ ისე თანაბრად კაკანებდა სამკალი მანქანა, ახრებოდა და სწორდებოდა ლეპეხინი, დინჯად, მაგრამ მარჯვედ მიაბიჯებდნენ ძნის შემკვრელები, მათ უკან უკვე ჯვრების მწკრივები გაბაწრულიყო, უფრო შორს კი ჭრელი კაბები მიმოფანტულიყო — კატია და სხვები თავთავებს აგროვებდნენ.

წელისა და ხელების ტკივილი თანდათან გამიქრა, ვიძაბებოდი, აუჩქარებლად ვახრებოდი ძნებისკენ, ვიღებდი და დაშასკენ მივეშურებოდით. პაშასაც კი ვეხმარებოდი, რომელსაც ქოშინით მიჰქონდა აბუტებული ძნები.

ოღონდ წყურვილმა შემიკლა ხელში! კიდევ კარგი რომ ფიმას დროდადრო ტიჟას ციკი წყლით სავსე კასრი მოჰქონდა. ჩამჩით ისე მედიდურად იღებდა წყალს, თითქოს ამქვეყნად ყველაზე მთავარი საქმე ეგ იყო. ვუყურებდით და ვიცინოდით, ცოტათი ვისვეულებდით ყელს, რადგან დაშამ თქვა, ბევრი წყლის დალევა არ შეიძლებაო; და ისევ ძნებს ვკიდებდით ხელს.

ჩვენს ნაკვეთზე მუშაობას სადილობამდე მოვრჩით და მამასთან გავიქეცი.

მთიბლები ერთი მეორეს საფეხურებისმაგვარად მიჰყვებოდნენ და მოელვარე ცელებს იქნევდნენ. თავი ისე შეემართათ, მხრები ისე ლაღად გაეჯგიმათ, ისე დინჯად მიაბიჯებდნენ, სახე ოფლით

რომ არ ჰქონოდათ დაცვარული, იფიქრებდით, დიდებულ ცეკვას ასრულებენო. თითოეული მათგანი სვეს რომ ჩაათავებდა, ცელს ტარით მიწას დააყრდნობდა და პირს ულესავდა. შემდეგ ყველაზე წინ მიმავალი ძია ფედია სხვა ნაკვეთზე გადავიდოდა და ყველანი ისევ საზეიმო სვლას იწყებდნენ.

ბაბუა სავა უკვე აქ იყო. თვალები ხელისგულით მოეჩრდილა და მთიბლებს აკვირდებოდა.

— რაო, ძია სავა, კარგად ირჯებიან? — ჰკითხა მოახლოებულმა თავმჯდომარემ.

ბაბუამ ტუჩები მოიწმაწნა და მიუგო:

— არა უშავს.

— წასულიყავი, დაგესვენა. დღეს ბევრი ირბინე. ახლა ისეთ ასაკში ხარ, სიმშვიდე გჭირდება.

— სიმშვიდეს რა თავში ვიხლი? ადამიანი ქვა ხომ არაა, ერთ ადგილზე ეგდოს... აბა, რას აკეთებ?! რას აკეთებ?! — გასძახა სავამ ახალგაზრდა მთიბელს, რომელიც ბოლოში მიაბიჯებდა. — ეგ ცოცხი კი არა ცელია! მიწას რად ჰგვი?..

— რა მოხუცია! — ჩაიცინა თავმჯდომარემ, შემდეგ ხელისგულები პირზე მიიდო და დაიყვირა: — ფედია, კმარა! სადილობის დროა!

მთიბლებმა ისევე დინჯად ჩაათავეს სვე. მხოლოდ ამის შემდეგ გულმოდგინედ გაწმინდეს ცელები, მხარზე გაიდეს და ბანაკისკენ გამოემართნენ.

ჩვენ რომ მივედით, ფედორ რიაბიხი და ვასია იქ დაგვხვდნენ. ფედორი მზარეულს სხვების გასაგონად ეუბნებოდა:

— აბა, დეიდა სტეპანიდა. საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავეებს უფრო სქელი შეჭამანდი ამოუღე.

გენადი წამოჭარხლდა და მაჩვენებლების დაფას მივარდა. მათი სათიბ-სამკელი ნახევარი ჰექტარით იყო ჩამორჩენილი.

ფიმამ და სენიამ ყოყოჩურად ჩაგვიარეს.

— „გნოლქათმები“, ოფლად გაიღვარნენ? — თქვა ფიმამ.

— გაიღვარნენ, — კვერი დაუკრა სენიამ.

— იქნებ დავეხმაროთ?..

გენადი გაბრაზდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. რა უნდა ეთქვა, როცა მართლა ჩამორჩენილნი იყვნენ!..

ნასადილევს ყველა დასასვენებლად მიწვა. მე და გენადიმ კი ტიჟასკენ მოვუსვით საბანაოდ. გენადის ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, ბევრი ვცადე, ამელაპარაკებინა, მაგრამ ხმა ვერ ამოვაღებინე. როცა უკან ვბრუნდებოდით, მხოლოდ მაშინ თქვა:

— კეთილი, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ეტყობა, ივან ლეპეხინსაც გული ჩაწყდა, რომ ჩამორჩნენ, და ნასადილევს ისე გაუტია, ხოლო გენადი ისე აჩქარებდა ცხენს, ნასტია და ანა ვეღარ ეწეოდნენ.

— რა მოგდის, ცეცხლი ხომ არ გიკიდია? — დაუყვირა ანამ. — ერთი გახედე, ხარვეზები გრჩება. ბაბუა ნახავს და გვიჩვენებს თვალის სეირს...

გენადიმ ცხენები შეაოკა და ხარვეზებიც გაქრა, მაგრამ ისიც და ფედორიც ისე გულდაგულ მუშაობდნენ, ტარაბუა ისე გატაცებით იქნევდა ფრთებს და დანების შეხებაზე ისე ხმიერად ხრაშუნებდნენ ღერები, ნამკალზე ისე გამალებით ცვივოდა ღეროების ხვავი. რომ ანამაც და ჩვენც ამ სწრაფ მუშაობას მხარი ავუბით და უფრო ავმოძრავდით.

დაშას მოეჩვენა, თითქოს ნასტია დაიღალა, და შესთავაზა ადგილები შევიცვალოთო. ნასტიამ ჯიუტად გააქნია თავი და ძნების შეკვრა განაგრძო. იგი დინჯად მიდიოდა, ანასავით არ ფაციფუცობდა და არ ტკარცალებდა. მაგრამ მანძილი მათ შორის ნელ-ნელა დიდდებოდა, ახლა უკვე ნასტია აღმოჩნდა წინ და აქოშინებული ანა მისძახოდა:

— სული მოითქვი, დაიქანცები!

პირიქით, თვითონ დაიქანცა, ნასტია კი ისევ ისე დინჯად მიიწევდა წინ, ხან ძნისკენ იხრებოდა, ხან ისევ იმართებოდა წელში.

ვერ გაიგებ, რანაირია ნასტია! წყნარი და მორცხვი ყოველთვის თავის ზორბა, დაუდგრომელ მეგობარს ეტმასნებოდა, თითქოს დაცვა სჭირდებაო. მისი ხმა თითქმის არასდროს ისმოდა, როცა ანა მხიარულად ტკარცალებდა. თითქოს ანას ბაძავდა ყველაფერში, სინამდვილეში პირიქით იყო: ანა იქოთქოთებდა, იბობოქრებდა, ხოლო როცა ნასტია წყნარად იტყოდა რაიმეს, თავისებურად გამოუდიოდა და არა ანასებურად. თურმე ფიცხი, ღონიერი ანა კი არ იყო მისი დასაყრდენი და ხელმძღვანელი, პირიქით თვითონ, მორცხვი, შეუმჩნეველი ნასტია ყოფილა ანას დასაყრდენი და

ხელმძღვანელი. ახლაც ანამ გატაცებით, გზნებით დაიწყო მუშაობა, სულსწრაფად ატრიალებდა ულოებს და ღონიერ ხელებს რომ ჩაავლებდა, მათ ხრაშუნი გაჰქონდათ. მაგრამ მალე დაიღალა და ჩამორჩა. ხოლო ნასტია დინჯად, თითქოს ზოზინითაც მიდიოდა ძნიდან ძნამდე. ანას ხმამაღლა ნათქვამ ხუმრობას ღიმილით პასუხობდა. ხოლო როცა ანა დაიღალა, ასევე მდუმარედ მიეშველა, და არასდროს გამიგონია, რომ დაღლილობაზე დაეჩივლოს. მერედა, რა ძალა აქვთ მის პატარა ხელებს? იქნებ მთავარი ძალა კი არა, სიმტკიცე და შეუპოვრობაა, რომელთა გარეშეც ძალა არაფერია?

მზე უკვე ქედზე შეფენილი სოქების მესერს ეფარებოდა, მინდორზე ადამიანებისა და მანქანების გრძელი ჩრდილები გაიქიმა და ჩამომდგარ სიგრილეში სუნთქვა აღარ გვიჭირდა. თუმცა დაღლილობა სულ უფრო გვეძალებოდა.

მეგონა, ჩვენი სათიბ-სამკელი ორი ჰექტარით მაინც გაუსწრებდა ვასიასას, მაგრამ გენადიმ და ლეპეხინმა ისღა შეძლეს, მხოლოდ დასწეოდნენ სხვა ბრიგადას. დაშამ თქვა, კარგია, ასეც უნდა: ჩვენ ხომ მოსავლის ალებაზე ვართ და არა დოღზე. მარტო სიჩქარე კი არა, ხარისხიც გვჭირდება და, თუ გენადიმ და ლეპეხინმა ასე იმუშავეს, უსათუოდ პირველ ადგილს დაიკავებენო.

ქედის ჩრდილი მთელ ხეობას გადაეფარა და ფერდობებს აუყვა. დასავლეთით ცა აგიზგიზდა, ვარდისფერი ალი მოედო კლდოვან მწვარვალებს და, თითქოს მათი ცეცხლი წაეკიდაო, ბანაკშიც კოცონი აბრიალდა. ბანაკს, კოცონს ჯერ შორეული, შემდეგ მახლობელი ნაკვეთებიდან მოაშურეს. პატარა ბავშვების პატრონი ქალები სოფელში წავიდნენ, დანარჩენები დინჯად, სიამოვნებით იბანდნენ ხელ-პირს და კოცონის შორიახლო სხდებოდნენ. კოცონთან სახეგაწითლებული დეიდა სტეპანიდა ფუსფუსებდა.

— კოლია, წამო, ვიბანაოთ, — მითხრა მამამ.

— ვიბანაოთ? ცივა! ნისლიც წამოვიდა...

მდინარეზე მართლაც გამოჩნდა მოცისფრო-მორძისფრო ფოშფოში.

— რა დროს სიცივეა! ჯერ ზამთარი არ დამდგარა, არ გაიყინები. ბანაობა სწორედ ახლაა სასიამოვნო და არა სიცხეში, როცა თქვენ ჩადიხართ წყალში.

ამ სიამოვნებას მართლაც ვერაფერი შეედრებოდა. დღისით

სიცხეში ჩვენ წყალში ვისხედით, ვიდრე არ გავლურჯდებოდით, ენა არ აგვებლუკებოდა. მაგრამ ნაპირზე ამოსულებს ისევ თაკარა მზე გვწვავდა და მზად ვიყავით ისევ წყალში ჩავსულიყავით. ახლა კი ჰაერის სიგრილის შემდეგ ტიჟას წყალი თბილიც კი იყო და თითქოს ოფლსა და მტვერთან ერთად დაღლილობასაც გვაცლიდა, უფრო ლაღად და თავისუფლად ვსუნთქავდით, სხეული უფრო დიდხანს ინარჩუნებდა მხნეობას.

მამა როცა ტანსაცმელს იცვამდა, მკითხა:

— ახლა შინ წავიდეთ?

მე სოფელში დაბრუნება არ მინდოდა. ბანაკში კოცონთან მხიარული ხორხოცი იდგა, ვიღაც, ალბათ ანა, თავგადაკლული კისკისებდა. იქ იყო ყველა, ვისთან ერთადაც გავატარე საუცხოო დღე, და რატომ უნდა დავშორებოდი მათ? მამა ალბათ მიმიხვდა გულისნადებს და მითხრა:

— კარგი, რაკი ასეა, წავიდეთ ბანაკში. ხალხთან ყოფნა უფრო სახალისოა...

ბანაკისკენ მიმავლებს კრინტი არ დაგვიძრავს, რატომღაც სამუდამოდ დამამახსოვრდა ეს გზა. გვერდი-გვერდ დინჯად, ცოტა არ იყოს, დაღლილი ნაბიჯით მივალაჯებდით. გავიფიქრე, მთელი დღე ვიმუშავეთ და კარგია, რომ ასე დიდი, ღონიერი და ყველაფრის მცოდნე მამა მყავს-მეთქი. მამა კი ალბათ ფიქრობდა, ჩემი შვილი პატარა ბიჭი კი არა, მუშაკაციაო... რა კარგია, რომ ჩვენ მშრომელი ამხანაგები ვართ და არა უბრალოდ მამა-შვილი! რა კარგია, ასე გვერდი-გვერდ იარო და ხმა არ ამოიღო, ვინაიდან უსიტყვოდაც ხომ შეიძლება გავუგოთ ერთმანეთს.

მე და მამა ხშირად არ ვსაუბრობთ — მას არასდროს სცალია, მე ხან გაკვეთილები მაქვს, ხან სხვა საქმეები — ხოლო თუ რამეს იტყვის, გინდა თუ არა, მაინც ისე იქცევი, როგორც ის ამბობს. დედას ჰო, კიდევ დაიყოლიებ, მამას კი ვერასდროს: ხმას არ იღებს, შემომხედავს და, რაც მას უნდა, იმას აკეთებ. მამაჩემის არ მეშინია, არა თუ ყურს ამიწევს, არასდროს დამიყვირებს, მაგრამ იმაზე უარესი რა იქნება, როცა დუმილით გდებს მსჯავრს და საქციელს არ გიწონებს. ხანდახან ამოცანის ამოხსნისას აიბნევი, შეეკითხები. მამა დახედავს ამოცანას და გეუბნება: „ამოხსენი“. მე თავს ვიმტვრევ, ის დროდადრო მოდის, დახედავს ამოცანას

და ისევ: „არა. ვერ გიფიქრია. კიდევ დაუკვირდი“. როცა ამოხსნას დავამთავრებ, მეტყვის: „ხედავ! მაშასადამე, თვითონ შეგძლებია ამოხსნა, არა? შენ კი გეეჭვებოდა. ხოლო დაეჭვებით სულ ბოლოს შეიძლება დაეჭვდე!“ ან კიდევ რაიმე ამდაგვარს დაურთავს. შემდეგ თვითონ მსიამოვნებს, რომ ამოცანას სხვის დაუხმარებლად მოვერიე, ხოლო მამას ძუნწი შექება სხვა ათასგვარ შექებაზე ძვირფასია.

კატია ამბობს, მამაშენი ულამაზოაო. თუ დაუკვირდები, რა თქმა უნდა, ლამაზი არ ეთქმის: მოხრილია, ზედა ტუჩზე პატარა ჯაგრისივით აზის შეკრეჭილი ულვაში, დიდი ცხვირი აქვს და სქელი ტუჩები. მეც მამას ვგავარ, მასავით ულამაზო ვარ, მხოლოდ თვალები მაქვს დედის. მერე რა, რომ ულამაზო ვარ? სულაც არ მინდა მამას გარდა ვინმეს ვგავდე. ყველაფრით მას მინდა ვგავდე და დავემგვანები კიდეც! აი, უკვე მასთან ერთად ვიმუშავე. თუმცა მისი ოდენი არ გამიკეთებია, მაინც ხომ მასთან ერთად ვიმუშავე, ხოლო როცა გავიზრდები, სწორედ ამხანაგივით ვიქნები...

ნავახშმევს გოგოებმა სიმღერა დააპირეს, მაგრამ თავმჯდომარემ ბრძანა, ყველამ დაიძინოს, ღამე მოკლეა, ხვალ კი უთენია უნდა ავდგეთო. მაგრამ ბულულის იქით, სადაც გოგოები დაწვნენ, კიდევ დიდხანს იგუდებოდა სიცილით ანა, კუჭკუჭებდა ნასტია და მათ დროდადრო მხარს უბამდა დაშა.

კაცები და ყმაწვილებიც დაწვნენ. გასავათებულ სავა ბაბუას ლოყა ხელისგულზე დაედო, მოკუნტულიყო და უკვე ტკბილად ხვრინავდა.

მე მამას გვერდით გულაღმა დავწექი. კოცონი ინავლებოდა, ვარსკვლავები უფრო გაკაშკაშდნენ. ხელ-ფეხი დაღლილობისგან მიბუჟდებოდა, მაგრამ ეს დაღლილობა მსიამოვნებდა. მიწაც (თითქოს ისიც დაღალა მზემ, ხმაურმა და შეძახილ-შემოძახილმა) ასევე ყუჩდებოდა და რაღაცნაირად რწევას იწყებდა. ვარსკვლავები კი უფრო დიდდებოდნენ, უფრო მეტად ბრწყინავდნენ და კაშკაშებდნენ. ბოლოს ისინიც შეტოკდნენ, თითქოს ცა ღაირწა და სადღაც გაცურდა...

მკა ჯერ არ დაგვემთავრებინა, რომ კალოზე სალეწი მანქანა გამოჩნდა. ძალიან გვინდოდა სალეწ ბრიგადაში მოვხვედრილიყავით, მაგრამ თავმჯდომარემ გვითხრა, ამ საქმეს ჯერ ვერ მოერეკითო.

სალეწ მანქახას ყველაზე ღონიერი ჭაბუკები და ქალიშვილები მიუჩინეს. დოლთან ლეპეხინი დადგა, ხოლო მიმწოდებლად ანა და დაშა გაამწესეს. გოგოებმა თავსაფრებით ისე შეიფუთნეს სახე, თვალებიღა უჩანდათ და თავთავიანთი ადგილები დაიკავეს.

— დაიწყეთ! — ბრძანა თავმჯდომარემ.

ტრაქტორი არახრახდა, გრძელი, ჩაზნექილი ღვედი ზანტად ამოძრავდა, სისწრაფეს მოუმატა, ნაკერი ბორბალზე გაატკაცუნა და დოლიც აგრიალდა. ლეპეხინმა შეკრული ძნა გაშალა, ღარზე მისწია, შემდეგ მეორე ძნა გაშალა. გრიალი მიწყდა და კმაყოფილი დოლი ერთ ხმაზე აგუგუნდა. სალეწი მანქანის უკნიდან ნამჯა გადმოცვივდა, ხოლო ყელიდან მარცვლის ოქროსფერი ნაკადი გადმოედინა...

რამდენი წელია პურის ლეწვას ვუყურებ, მაგრამ მაინც მოჯადოებულივით ვიდექი და თვალს ვერ ვაცილებდი ამომავალი მზის შუქზე შევარდისფერებულ მძიმე, უწყვეტ ნაკადს. მარტო მე კი არა, ჩემ გვერდით მდგომ გენადის, მამაჩემს, ძია ფედიას, თავმჯდომარეს, ბაბუა სავას... ყველას სიხარული გადაფენოდა სახეზე. ბაბუა სავა ვერ ისვენებდა, ტოკავდა, მღელვარებისგან ნაშზეური მელოტის ფერი ეცვალა.

— წამოვიდა, პური წამოვიდა! — ტუჩების ცმაცუნზე ვხვდები. რას ამბობს იგი.

თავმჯდომარე აქეთ-იქით იხედება, თითქოს ვერ გაუგია, როგორ შეიძლება პურის ლეწვას არ უყურო, და ყველას იპატიჟებს მის სანახავად.

— აი, კოლმეურნეობის ძალა! — დოლის გრიალის დასაფარავად ხმამაღლა ამბობს იგი. — მთელი დედამიწის საყრდენი პურია. მერედა, ამ პურს ვინ იძლევა? ჩვენ!.. ეს უნდა გვესმოდეს და გვეამაყებოდეს!

თავმჯდომარე მართლაც ამაყობს. სახეზე სიხარული უკრთის, ახალგაზრდულადაც კი გამოიყურება, შეცვლილია. იქნებ სინამდვილეშიც ასეთია და მოღუშული და მუდამ შეფიქრიანებული იმიტომ არის, რომ ჰგონია, ჯერჯერობით ცოტა რამაა გაკეთებული და უფრო მეტი უნდა გაკეთდეს?

თავმჯდომარის ფერიცვალებით გაოცებული პაშა პირდაღებული, თვალებდაჭყეტილი მისჩერებია მას.

— შენი პირი, ბიძია, სანიავებელი კი არაა, დამუწე, თორემ ყვავი შეგიფრინდება, — ეუბნება თავმჯდომარე პაშას და ყბაზე ნელა უტყაპუნებს ხელს ქვემოდან.

პაშას კბილებს რაწკუნი გააქვს და ყველა იცინის. არა, განა პაშას დასცინიან, იმიტომ იცინიან, რომ მხიარულ გუნებაზე არიან და შეუძლიათ ყველაფერზე იცინონ, ისეთი სიხარული უდგას გულში თითოეულს.

ჩვენ კალოზე ძნებს ვეზიდებით, შემდეგ ბაბუა სავას ხელქვეითები ვხდებით. იგი თივის ზვინს დგამს. დგამს და თვითონაც ბორგავს ვეება ზვინის ძირზე, გვიყვირის, ნამჯა წესიერად დააწყვეთ და დაბეკნეთო, ჩვენს დანაწყობს თავისებურად ასწორებს, თან პაშას და ფიმასაც აჩქარებს, რომლებიც ნამჯას ზემოთ გვაწვდიან. სალეწი მანქანიდან ზვინის თავზე გვარლებია გადაგდებული, ზვინის იქით გვარლებზე ცხენებია გამობმული, რომლებზეც პაშა და ფიმა სხედან. როცა სალეწთან ნამჯა დახვავდება, პაშა და ფიმა ცხენებს გარეკავენ, ხოლო გვარლები ნამჯას ხვეტავენ და მაღლა ზვინზე ააქვთ...

ზვინის დადგმა ძნელია. აბა, სცადეთ, მძიმე ნამჯის ხვავები ათრიო, როცა ფეხები ჯერ კიდევ დაუბეკნავ ნამჯაში გეფლობა, წესიერად და მკვიდრად დააწყო, რომ შემდეგ ზვინი აქეთ-იქით არ გაინაცლოს! ნამჯა პურის სუნითა და სიმხურვალით სულს გიხუთავს, თვალები ოფლით გევსება, ტანზე ფხები მიგვკვრია და აუტანლად გექავება. მაგრამ არა უშავს. ისე გატაცებით ვეზიდებით ნამჯას, თანაც სირბილით, ისე ჩქარა დიდდება ჩვენი ზვინი, ვის აგონდება ეს უმნიშვნელო უსიამოვნებანი.

დედამ დამტუქსა, სოფელში ღამეს არ ათევ, სულ გადაეჩვიე სახლსო, მაგრამ მამა გამომექომაგა:

— არა უშავს, სახლი არსად გაექცევა. სახლს თუ გადაეჩვია, სამაგიეროდ ხალხს მიეჩვია. უამისოდ კაცი კაცად არ ვარგა.

ასე ვცხოვრობდი ბანაკში მამასთან ერთად მოსავლის აღების დამთავრებამდე.

გენადიმ და ლეპეხინმა თავისას მიაღწიეს: მათმა სათიბ-სამკელმა ვასიასას გაუსწრო. მართალია, სულ ცოტათი, მეოთხედი ჰექტარით, მაგრამ მაინც იყოჩაღეს, თავი არ შეირცხვინეს.

როცა რამდენიმე ტონა პური გაილეწა, პაშას მამამ, ანისიმმა

ტიჟადან საზიდრები მოიყვანა პურის წასაღებად და ჩასაბარებ-ლად. მან „გენაცვაც“ კი შეაბა საზიდარში და თვითონ დაჰყაკდა. ანისიმი, მგონი, ყველაზე ღონიერია სოფელში. მხოლოდ მას შეუძ-ლია ეს ოთხტონიანი ვეება ულაყი, ჩვენი ფერმის სიამაყე, დაიურ-ვოს. ომის დროს ანისიმი არტილერიაში მსახურობდა და იქაც ცხენებს უვლიდა. ომიდან დაბრუნებულმა ისევ ფერმაში დაიწყო მუშაობა, უფრო სწორად, საძოვრებზე, ვინაიდან ცდილობდა, სა-ქონელი სულ ჰაერზე ჰყოლოდა. ამბობდა, ასე უფრო ჯანსაღად იქ-ნება, თან ეს სასარგებლო საქმეცააო. სულ ქარსა და მზეზე ყოფ-ნით კანი დაუწითლდა, თითქოს მოეთრიმლაო, ხოლო ისედაც ქერა თმა მთლად გამოუთეთრდა, რის გამოც ჭაღარა გეგონებოდა, თუმცა არც თუ დიდი ხნის გახლდათ. პაშა მამის ალი-კვალი იყო, თეთრფეროვანი, თითქოს თავზე თმა კი არ ჰქონდა, გათეთრებული ფთილა ედო, მასავით ზოზინი იცოდა და გონება უჭრიდა, თუმცა ჩემი ფიქრით, პაშას მხოლოდ მაშინ უჭრიდა გონება, როცა რაიმე-სი ეშინოდა.

ვინაიდან ორივე ბრიგადამ კარგად იმუშავა, თავმჯდომარემ თქვა, ალალს გენადი და ვასია გაჰყვესო. ჩვენ ვალიარეთ, რომ ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იყო.

ალალს თავმჯდომარე გაუძღვა. პირველ საზიდარს წითელი დროშა მიამაგრეს, მის ქვეშ მოიკალათეს ფედორ რიაბიხმა თა-ვისი ბაიანით, და გენადიმ, რომელსაც ცხენი მიჰყავდა. ვასია და ლეპეხინი მეორე საზიდარს მიჰყვებოდნენ, დანარჩენები, ვის სად მოუხვდა, იქ დასხდნენ. თავმჯდომარემ ბრძანება გასცა. ფედორმა კეპი კეფაზე ჩამოიწია და ბაიანი გაწელა. საზიდრები ხალისიანი მარშის ხმაზე ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით გაუდგნენ გზას.

ისინი ტიჟამდე გავაცილეთ. ვუცქეროდი საზიდრებს, რომლებ-ზეც ბრეზენტგადაფარებული ტომრები ეწყო, მაგრამ ნაცრისფერ ტომრებს და ბრეზენტს კი არა, სალეწი მანქანიდან გადმომდინარე ოქროსფერ ნაკადს ვხედავდი. ახლა ხომ არა მარტო ჩვენთან, მთელ ქვეყანაში გრიალებდნენ სალეწი მანქანებისა და კომბაინების დო-ლები და მოედინებოდა დაუშრეტელი ოქროსფერი ნაკადი, ფარავ-და მიწას, ადამიანებს სიხარულით და ძალმოსილებით ალავსებდა...

პაშაც წავიდა. მამამისი საძოვარზე ჯოგის გადარეკვის შემდეგ შინ ჩამოვიდა. მალე უკან გაბრუნდა, რადგან ჯოგი უნდა დაებრუნებინათ და ამ დროს პაშაც თან წაიყვანა. მათ ფიმა და სენიაც კაჰკუნენ. მე და კატია თითქმის მარტონი დავრჩით.

ძია ზახარს მთლად დაუსუსტდა ფეხები და ამბობდა, სარეწზე წასვლას ვეღარ შევძლებო. მაგრამ გული მაინც ტაიგაში, ნადირისკენ მიუწევდა და ხშირად მოდიოდა კატიას ეზოში ნაპოვარას დასახედად.

ნაპოვარა წამოიზარდა, დამშვენდა, ისეთი ჭკვიანი იყო, ყველას ცნობდა და ეგებებოდა: იცოდა რომ, მისთვის უსათუოდ ექნებოდათ შემონახული მარილმოყრილი პურის ნატეხი.

ერთხელ ძია ზახარმა თქვა, საფუტკრეში უნდა წავიდე: ნეფიოდი მოვინახულო, სურსათის მარაგი ჩავიტანო და თაფლი წამოვიღოო. ალბათ იქ ბევრი თაფლი ჰქონდათ დაგროვებული. ჩვენ მუდარით დავიყოლიეთ, თან წავეყვანეთ.

მე და კატიამ გადავწყვიტეთ, დრო კი არ გვეტარებინა, საფუტკრეში წასვლა ჩვენი მეორე სამეცნიერო ექსპედიცია ყოფილიყო. მოვამზადე დღიური, მამას კომპასიანი ჩანთა ვთხოვე, ყოველი შემთხვევისთვის ჩემი ზურგჩანთა წავიყოლე, თუმცა შორი გზა არ გვედო და სურსათის მომარაგება არ გვჭირდებოდა.

შინიდან ალიონზე გამოვიპარე, გავაღვიძე კატია და ძია ზახართან გავიქეცით. ძია ზახარმა ოთხთვალაში „მრისხანე“ შეაბა.

მრისხანე თხელფარფლიანი ჩალისფერი ლაფშაა. მარცხენა თვალი არა აქვს და სიარულისას ყოველთვის მარჯვენა მხარეს გადადის. სახელი მრისხანე სულაც არ შეეფერება, მისთვის ეშმაკი უნდა ეწოდებინათ: როცა ოთხთვალაში მეორე ცხენთან ერთადაა შებმული, ცდილობს, მოკლე ნაბიჯით იაროს, არ ეწევა ჭაპანს, თავი კი ისე მოაქვს, თითქოს მთელი ძალით ეზიდება. საკმაოდ თვალშისაცემად ეშმაკობს. ეს ალბათ თვითონაც ესმის, ვინაიდან როგორც კი სადავეებს მოსწევ, თავის მოკატუნება მაშინვე ავიწყდება და მართლა მიაქვს ტვირთი.

ძია ზახარი ოთხთვალას წინარზე თივაში ნაჯახს და თოკს დებს, ოთხთვალას ბრეზენტს აფენს და ჩვენ ვსხდებით, გავიარეთ სოფე-

ლი და ჩრდილოეთისკენ, დაჭაობებულ ხეობაში გავუხვიეთ. ეზე ჯერ არ გამოჩენილა, მხოლოდ მთების წვეროებზე ალისფრად ციაგებს მის მიერ გაშუქებული კედრები. ხეობაში ბალახი ნამს გაუჭალარავებია. მხოლოდ იქ, სადაც თვლები გადაივლის, მიწას ხასხასა მწვანე ბალახის ზოლები აჩნდება.

ცალთვალა მრისხანე ტირიფის ბუჩქებს გვერდს არ უვლის. ბუჩქებს ოთხთვალას ღერძი ედება, ჩვენ ცივი წვეთები გვეშხეფება და კატია ნიადაგ ვაი-ვაის იძახის. მალე ისე დავსველდით, თითქოს წვიმაში მოვყევით, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე ვართ, მზე თვალს აქუეტს და ჩქარა გავშრებით. ძია ზახარი კი სულ იქმუხნება და მრისხანეს ლანძღავს. მრისხანე თითქოს კვერს უკრავსო, თავს აქნევს, და მაინც ბუჩქებს ეხახუნება.

გზას პატარა ქოთქოთა მდინარე კვეთს. თვლები მორგვებამდე იფარება წყლით, ღრჭიალებენ ქვებზე. წყალი გაბრაზებით, ხმიერად ბუყბუყებს მანებშუა.

დათბა. ხეობას უცბად ედება სიმწვანე, კატია ოთხთვალადან ძირს ხტება და ყვავილების საკრეფად გარბის. ბალახს ჯერ კიდეე არ შეშრობია ნამი და კატიას ფეხის დაბიჯებაზე მბრწყინავი შხეფები იფანტება. კატიამ ყვავილების ვეება თაიგული დაკრიფა, შემდეგ ბალახი დაგლიჯა და მრისხანეს მიუტანა. მრისხანემ ჩიჩვირი წაიგრძელა და ბალახის მაგიერ თაიგულის გულს წაეტანა. კატია აკისკისდა, დატუქსა, შემდეგ კი მთელი თაიგული შეაჭამა.

დამრეც ფერდობზე გაბადრულ წყლის იელებში თვალის ძლივს შესამჩნევი ნაკვალევი მიიკლაკნება. ჩვენ იქით ვუხვევთ, მაგრამ ნაკვალევი სწრაფად ქრება და ახლა მხოლოდ ძია ზახარმა და ალბათ მრისხანემ იციან, რატომ მივდივართ სწორედ აქეთ, რატომ ვუხვევთ სწორედ ამ მხარეს და არა სხვაგან. აქ ვერავითარი ანიშნეტი ვერ გიშველის. ჩვენი სავალი ფერდობზე მიიკლაკნება, ხან მდელობს კვეთს, ხან დაბურულ ტყეში შედის. ტყეში ოთხთვალადან ფეხების გადმოკიდება აღარ შეიძლება, ვაითუ ოთხთვალას ლატანსა და ხეს შუა მოგეჭეჭყოს. მარტუღელზე გამოდებული ტოტები მტკივნეულად გვეხლება სახეში.

ისევ ჩავდივართ ბურცობებიან, თხრილებით თუ ნაკადულების მიერ დაღარულ ჭაობიან ხეობაში. ნაკადულების ნაპირებს ტირიფისა და ანყლის შამბნარი მოსდებია, ქვევით წყალი ციგლიგებს

და მრისხანეს ფეხი ძლივს ამოაქვს ფლოქვებქვეშ მოქყაპუნე ქანჭ-
როპ-დან. შორს თივის ორი მომცრო ზვინი ილანდება. აქედან თი-
ვას ხამთარში მოლიპულობისას გაიტანენ.

ზვინებთან ძია ზახარმა მრისხანე ოთხთვალადან გამოხსნა და
საძოვრად გაუშვა, თვითონ კი თაკარა მზეს ოთხთვალას ქვეშ შე-
აფარა თავი. ვცადე ჩვენი გზა ამეწერა, მაგრამ ვერას გავხდი: გო-
ნებაში განუწყვეტლივ კრთოდა შამბნარები და მოსახვევები, დაღ-
მართ-აღმართები. კატიას მზემ და დაღლილობამ სული ამოხადა.
ბრეზენტზე მიწვა და მასაც ჩაეძინა. მოკუნტული იყო და სულ
პატარა, სუსტი ჩანდა, რის გამოც შემეცოდა. თავზე თავსაფარი
წავაფარე, რომ არ დასცხომოდა.

ქედების თხემზე ქარი სოჭების წამახულ წვეროებს არხევს.
ჩვენთან კი სიმშვიდეა, მარტო მე და მრისხანე დავეხეტებით უკაც-
რიელ, წყნარ ქვაბულში...

ძია ზახარი ოთხთვალას ქვემოდან გამოძვრა, მზეს გახედა და
გამომძახა, ცხენი მოიყვანეო. ცხენის მოყვანა არც ისე ადვილი
საქმეა. მრისხანეს ბრმა თვალის მხრიდან ვერ მიუახლოვდები,
ნაბიჯების გაგონებაზე უმალ ძოტრიალდება, მარჯვენა მხარით
ბალახის წიწკნას განაგრძობს და ისე მაჩვენებს თავს, თითქოს
ყურადღებას არ მაქცევს, მაგრამ დროდადრო ჩემკენ ცერად იყუ-
რება. მე ვბრაზდები და მივსდევ. იგი დინჯად მიჩაჭჩაქებს, მშორ-
დება. შემდეგ ტრიალდება და ისევ მიცქერის.

ისიც კი მგონია, რომ ჩამოფლაშული ლაშები დამცინავად
ელმიჭება.

ბოლოს მოვახერხე და სადავეზე დავაბიჯე ფეხი, მაგრამ ყირა-
მალა გადავკოტრიალდი. ბოლოს მრისხანე გაჩერდა, უკან გამომყვა,
ვითომც მამა აბრამის ბატკანი ყოფილიყო.

ისევ მივყვებით ვიწრო მწვანე დერეფანს ხავსის რბილ ბალიშ-
ზე. ბუჩქებშუა ტოტების ტკაცატკუცით გავაღწიეთ და ნახანძრალ-
ზე გავედით. აქ ნაღვლიანად ასვეტილიყო ნაძვების დამწვარი
ხროები, ალაგ-ალაგ თეთრად ჩანდა წვრილი არყის ხეები, ხოლო
მიწას ერთიანად თხაწართხალა მოფენოდა. ნახანძრალს კედრის
ულრანი ტყე მოჰყვებოდა. მუქ-მწვანე ტოტები მაღლა, სულ მაღლა
ირხეოდა. აქ, ქვევით, მიწაზე კი ხმელი, უსიცოცხლო ტოტები
ეყარა. შემდეგ ტყე მეჩხერდებოდა, ჩნდებოდა მოტიტვლებული

ადგილები, ისევ კრთოდა სოკების და ფიჭვების წამახული კენწეროები. ტყეში ბინდდება და ვფიქრობ: ხომ არ დავიბენინთ, ძია ზახარს გზა ხომ არ დაავიწყდა-მეთქი? ის კი ჩიბუხს აბოლებს და წინ არც იყურება, თითქოს სრულიად დარწმუნებულია, საქმე რომ წახდეს, თვითონ მრისხანეც გაგვიყვანს ადგილზეო.

მრისხანე ნამდვილად გაგვიყვანს. უკვე სულ ჩამობნელდა. წინ მკრთალი შუქი კრთის, ქრება და ისევ ჩნდება. მრისხანე ნაბიჯს უჩქარებს. მალე დაბალ ქოხს მივუახლოვდით, კარის განათებულ სიოში ქალიშვილი გამოჩნდა.

— ძია ზახარი ხარ? — კითხულობს ქალიშვილი.

— დიახ, დიახ, — პასუხობს ძია ზახარი. — სტუმრებს შეხვდი, ლამაზო.

ძია ზახარი ცხენის გამოხსნას იწყებს, მაგრამ ქალიშვილი მიდის და ეუბნება:

— თქვენ ქოხში შედით, აქ კი მე მივხედავ ყველაფერს.

ძია ზახარი და ჩვენ ქოხში შევედით. მაგიდას ჭალარა კაცი უჯდა. ლამპის ქვეშ იგი დანით ნელა, გულდაგულ აქუცმაცებდა თუთუნს. სარკესავით გლუვ თავზე შუქის ათინათები უთამაშებდა.

— გამარჯობა, ნეფიოდ! — უთხრა ძია ზახარმა და ქუდი მოიხადა.

მოხუცმა დანა დადო, თვალი მოჭუტა, ძია ზახარს ჩააშტერდა:

— ზახარ, შენა? გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! კი ვფიქრობდი, რატომ იგვიანებს-მეთქი?.. ეს ბავშვები ვისებია?

— ივან ბერეზინის ვაჟი და ევაკუირებული მარიას ქალიშვილია. გაგიჟებით უნდათ აქაურობის ნახვა.

— უნდათ და ნახონ... შემოდით ქოხში, რას უდგეხართ ზღურბლზე!.. მკა დაიწყეთ?

— რაღა დროსაა! — იცინის ძია ზახარი, — მოვათავეთ კიდევაც.

— კარგი ერთი, მატყუებ?

— რად უნდა მოგატყუო, სიმართლეს გეუბნები.

ნეფიოდი უნდობლად უცქეროდა ძია ზახარს, დიდხანს აცმაცუნებდა ტუჩებს. — სულ ჩქარობთ! თითქოს კინწისკვრით გერეკებოდნენ, სულსწრაფები ხართ...

კატიას მოხუცი არ მოეწონა — ძალიან ბუზღუნა და უცხვირ-პიროაო, და დაბღვერილი, წარბშეკრული უცქეროდა.

შემოვიდა ქალიშვილი.

ნეფიოდის შვილიშვილს პაშას დიდი ხანია ვიცნობ. იგი მხოლოდ ერთი ზაფხულით გადმოვიდა აქ, რათა ბებუას მიხმარებოდა, ისე კი სოფელში ცხოვრობს. პაშას აბრეშუმივით რბილი თმა აქვს და კრიალა ცისფერი თვალები. ყოველთვის ისე უზაკველად და მშვიდად იცქირება, თითქოს ისეთი მნიშვნელოვანი რამ იცის, მასთან შედარებით ყველაფერი დანარჩენი ჩირადაც არ ღირსო. ფიოდორ რიაბიხმა ხუმრობით თუ სერიოზულად სთხოვა კიდევაც ერთხელ:

— პაშა! თუ ღმერთი გწამს, ნუ მიცქერი! შენს შემოხედვაზე ლაპარაკის უნარი მეკარგება...

პაშა ალერსიანად გვიცქერის და სუფრას შლის. მოხუცების წინ დებს თაფლის ნაყენით სავსე არყის ხის ქერქის ჭიქებს, კიტრებს და მჟავე მჭადა სოკოებს. ჩვენ გამჭვირვალე ოქროსფერი თაფლით გალიცლიცებული ჯამები მოგვიჩოჩა. მე და კატია ჯამში პურის ნატეხს ვაწებთ და მოხუცების დინჯ საუბარს ვუსმენთ.

ძია ზახარმა თაფლის ნაყენი დალია და ახლა კიტრს ახრამუნებს, ნეფიოდი კი მჟავე მჭადა სოკოს წუწნის, რადგან კბილები თითქმის აღარ შერჩენია.

ძია ზახარი სოფლის ახალ ამბებს ჰყვება. ნეფიოდს თაფლის ნაყენი მელოტს უწითლებს, ძია ზახარსაც მზით ერთიანად დამწკარი კანი საფეთქლებზე უმუქდება. ისინი იგონებენ ვიღაც უცნობ, დიდი ხნის გარდასულ და ყველას მიერ დავიწყებულ ადამიანებს, ამბებს.

— საფლავზე წამოხვალ? — ჰკითხა უცებ ნეფიოდმა ზახარს.

ძია ზახარს სახე მოექუფრა, ამოიხვნეშა და მიუგო:

— როგორ არ წამოვალ! რა თქმა უნდა, წამოვალ.

— საფლავს აქ რა უნდა? — იკითხა კატიამ. — აქ ხომ სასაფლაო არაა? ვისი საფლავია?

ძია ზახარი მდუმარედ აბოლებდა თამბაქოს, ეტყობოდა, კითხვა ვერ გაიგო, ან არ უნდოდა კატიასთვის ეპასუხა, მაგრამ ბოლოს მაინც თქვა:

— ადამიანმა არ იცის, სიკვდილი სად წამოეწევა. სადაც წამოეწია, ისიც იქ მოკვდა, დიდბუნებოვანი კაცი იყო.

ისევ გაჩუმდა.

— ძია ზახარ, გვიამბეთ მის შესახებ, — სთხოვა პაშამ.

— გიამბოთ? რატომაც არა, — მიუგო ძია ზახარმა.

სანდრო

აი, თქვენ უდარდელად იზრდებით, მაძღარნი ხართ, ჩაცმულნი, არ გციოვათ, გასწავლიან და სხვა. მაგრამ რა გამოხვიდოდით, რომ ცინდლებივით ქეჩოში ხელი ჩაევლოთ და ყინვაში გაეგდეთ?.. ჩემი ცხოვრება კი თითქმის ასე წარიმართა. თოთხმეტი წლისა, სულ მარტო დავრჩი, არც ნათესავები მყავდა, არც მოყვრები. აქაური არ გეგონოთ, ტომსკის მიდამოებიდან ვარ მოსული... როგორ მახეტიალებდა და მათრევდა ცხოვრება, ამის მოყოლას საკმაო დრო სჭირდება. ვაიუბედურობით მიწევდა თავის გატანა. ასე თუ ისე მრეწავებს შევეჩვიე. მათ არტელში როდი მიმიღეს. ისე სამადლოდ ამიყვანეს. მრეწავები ციყვებს ხოცავდნენ, მე კი მათ საჭმელს ვუკეთებდი. საჭმელსაც ყოველთვის არ ვამზადებდი: ამ გლეხებს კაპიკს ვერ გააგდებინებდი, უფრო მეტად მშრალ საჭმელს ეტანებოდნენ, რომ ნაკლები ხარჯი ჰქონოდათ: არტელში ყოველი ლუკმა აღრიცხული იყო. არტელი სხვათა შორის ეთქმოდა, თორემ მასში მეტწილად ნათესავები იყვნენ გაერთიანებულნი. იმათ გვერდით წელში ვწყდებოდი, თან ნელ-ნელა საქმეს ვაკვირდებოდი. შაშხანას, ღმერთო, ხელში ვინ დამაჭერინებდა. იმხანად ტყვიას და თოფისწამალს ცეცხლის ფასი ჰქონდა! როცა ვინმე ცუდად გახდებოდა და ფეხზე დგომას ვერ შეძლებდა, მაშინ გამიღიმებდა ბედი: შაშხანას მითმობდნენ, რომ უქმად არ გდებულიყო. ტყვია-წამალი თვლით იყო. რამდენი ვაზნაც გაქვს, იმდენი ტყავი მოიტანეო, მეუბნებოდნენ. არ მოვიტანდი და მცემდნენ: ან უმიზნოდ ისროლე, ან ტყავი სადმე დამალეო... როცა გაუწაფავი ხარ, ძნელია ნადირობა: ციყვი ციბრუტივით დახტის, ტყვია კი თვალში უნდა მოახვედრო, რომ ტყავი არ გაფუჭდეს...

მე შეეშცდარი თვალი მქონდა, მკლავიც მერჩოდა და სწრაფად გავიწაფე.

ასე ვიჯახირე, ვიდრე ოცისა გავხდებოდი. ჩემი ტოლები დაოჯახდნენ, შვილები გაუჩნდათ, მე დავწანწალებდი: რაც მეცვა, ჩემი შეძენილი კი არა, ნაჩუქარი იყო. ჰოდა, ოჯახსა და საკუთარ მეურნეობაზე აბა, როგორ უნდა მეფიქრა! ერთხელ ულალეში მოვხვდი. ასე ერქვა წინათ გორნო-ალტაისკს. ერთ შემსყიდველს გადავეყარე. შემსყიდველი თითქოსდა თანაგრძნობით მომეკიდა, მითხრა, ყველაფერს მოგცემ, რაც საჭიროაო, არც შაშხანაზე გეტყვი უარსო, როცა მოღონიერდები, ვალი მაშინ გადამიხადეო... მეც ფეხებში ჩავუვარდი: ჩემი მწყალობელი და მამა ხარ-მეთქი! ის წელი ბარაქიანი გამოდგა. უთვალავი ტყავი მოვიტანე. ეფიქრე, მთელ ვალს ერთბაშად გადავიხდი-მეთქი. მაგრამ შენც არ მომიკვდე! ვალი უფრო მეტი დამედო. მეორე წელს უარეს დღეში ჩავვარდი. ვალი უკვე ათგზის მქონდა გადახდილი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ შემსყიდველის მონად ვიქეცი.

საშინლად გავბოროტდი, ადამიანების დანახვაც ალარ მინდოდა, მგლებზე უარესებად მეჩვენებოდა. ღმერთმა დაგწყევლოთ! — ვფიქრობდი გულში, — რაკი თქვენთან სამართალს ვერ იპოვის კაცი, წავალ მარტო ვიცხოვრებ-მეთქი. ვდურთე ტაიგაში თავი, რომ ადამიანის ჭაჭანება არ მენახა. ვაგროვებდი ტყავებს, მოხეტიალე ვაჭრებს სურსათზე ვუცვლიდი და ისევ ტაიგაში ვბრუნდებოდი. სულ გავტყიურდი. ნეფიოდთან თუ შემოვივლიდი ხოლმე. ერთხელ ნეფიოდი დათვისგან დავიხსენი. მას ეს ახსოვდა და ყოველთვის თბილად მხვდებოდა. ნეფიოდთან დიდხანს არ ვჩერდებოდი, რადგან თვითონ ისე აწყდებოდა აქეთ-იქით, როგორც თევზი ყინულს...

მე ბოლშაია ჩერნაზე ვნადირობდი, სამხრეთით ბელუხამდე მივდიოდი, ჩუისკის ტრამალები მოვიარე. ცამეტ წელს კი განვიზრახე, ტელეცკის ტბის გადაღმა გადავსულიყავი. ამბობდნენ, იქ კორბაზე, აბაკანის მახლობლად სიასამურები არისო. დიდხანს მზადება არ დამჭირვებია: ხელში შაშხანა ავიღე, მხარზე ზურგჩანთა მოვიგდე, კოცონი ჩავაქრე და გზას გავუდექი. კებეზენთან ბიუ გადავკვეთე. შემდეგ ტბის გარშემო ვიარე, ხან ნაპირ-ნაპირ მივდიოდი, ხან ტაიგაში მივაბიჯებდი. თვალწარმტაცი ადგილები მხვდებოდა, ნადირი ბლომად იყო, ხოლო მიდამო ისე მივარდნილი

ჩანდა, გეგონებოდა. ადამის მოდგმისგან მხოლოდ შენ ერთი დარჩი დედამიწაზეო.

ბოლშოი აბაკანზე უსაბიხელეს ზაძთარში მოვხვდი. აქ ისეთი ადგილები იყო, ადამიანს თავის დღეში ფეხი არ ექნებოდა დადგმული. და, აი, ღამით მარტო ვუზივარ კოცონს, ვთვლემ. ტაიგაში მუდამ სიჩუმეა, აქ კი თითქოსდა ყველაფერი ჩამკვდარა.

უეცრად ხმაური, ტკაცანი შემომესმა. ვიფიქრე, ნაღდად ვინმე მაწანწალაა-მეთქი. შაშხანას ხელი დავავლე, დაველოდე. ხეების იქითა მხრიდან ორი კაცი გამოვარდა. დავუყვირე:

— შესდექით! ახლოს არ მოხვიდეთ! ვინა ხართ?

უცნობებს შაშხანისთვის ზედაც არ შეუხედავთ, პირდაპირ კოცონს მოაშურეს, კინაღამ ცეცხლში ჩაცვივდნენ. შიშისგან ლამის სული კოჭებში გამეპარა: ნაღდად კატორღიდან გამოქცეულნი არიან, ახლავე დამაცხრებიან, სულს გამაფრთხობინებენ და დამთავრდება ყველაფერი-მეთქი... გარეგნობაზე ეტყობათ, ნამდვილად კატორღელებია: უხეირო დაგლეჯილი ტანსაცმელი აცვიათ, ორივე თმა-წვერ მოშვებულია, გაბურძგნილი. თვალებიღა უჩანთ... წვერულვაში ყინულის ლოლუებით დაფარვიათ, ხელები კაუჩებივით ჰკიდიათ. ეტყობა, მთლად გაყინულან.

ერთმა, უფრო დაბალმა, დაინახა, რომ შაშხანა შემართული მქონდა, გაიღიმა და მთლად ჩვენებურად კი არა, სულ სხვანაირად მითხრა:

„ნუ გეშინიათ. შესაშინებელი რა გქონართ. არ მოგკლავთ... რიგორ ფიქრობ, ამხანაგო სერგეი, არ მოვკლავთ, არა?“

სერგეი ბურტყუნებს და ულვაშიდან ლოლუებს იგლეჯს.

ვუპასუხე: არ მეშინია. თვითონაც შემიძლია კაცი მოვკლა, თუ საქმემ მოიტანა-მეთქი.

ეს ისე, მხნეობის მოსაკრებად ვთქვი, რომ ისინი შემეშინებინა, ჩემი თავი კი გამემხნევებინა, ვინაიდან მართლა გვარიანად მეშინოდა.

— სწორია, — იცინის დაბალი. — ოღონდ ჩვენი მოკვლა არაფერს გარგებს. არ გაგამდიდრებს...

— იარაღი მართლაც გასწიე იქით, — მეუბნება მეორე. — თვითონ იარაღი არა გვაქვს, ჯაყვის გარდა არაფერი გვაბადია. გავთბებით და ჩვენი გზით წავალთ.

„ამ სიცივეში სად მიდიხართ, თანაც ასე გაღლეტილნი?“ — ვკითხე მე.

ხმას არ იღებენ. არაფერს მპასუხობენ... გათბნენ და დავაკვირდი. დაბალ-დაბალს, მოშავო კაცს, მგზნებარე თვალები აქვს, ისეთი სხარტია, ყველაფერზე ეტყობა, რუსი არაა, არც სახელი აქვს ჩვენებური — სანდრო ჰქვია. მეორე კი, სერგეი, ქერათმიანია. წარმოსადეგი, მუშაკაცს ჰგავს, ქარხნის მუშას. ღონიერი და უფრო ხნიერი ჩანს. მაგრამ დაბალს ისე უგონებს ყველაფერს, როგორც უფროს ადამიანს.

ძალიან გაყინულან, ეტყობათ, მშივრები არიან: ლოყები ჩაცვივნიათ, კანი ძვლებზე მიკვრიათ. მე ქაბარღას ფეხი მქონდა დარჩენილი. მოვჭერი ხორცი, ქვაბში ჩავაგდე, მოიხარშება და ჭამეთ-მეთქი, — ვუთხარი მათ. მადლობა მითხრეს, მკითხეს, როგორ ცხოვრობო. განსაკუთრებით სანდრო მეკითხებოდა. დასამალი რა მქონდა. ყველაფერი ვუამბე, მოვუყევი როგორ ვცხოვრობდი, რა დღეში ჩამაგდო ადამიანების სიხარბემ და როგორ გავიქეცი ტაიგაში.

„აი, ეროვნულ განაპირა მხარეებში ვაჭრობის სახით ძარცვის ტიპიური შემთხვევა, — თქვა სანდრომ და მკითხა: — მას შემდეგ როგორ ხართ, გამდიდრდით?“

აბა, რა სიმდიდრე მოვინაგრე? ჩემს შემსყიდველს გავექეცი და სხვის ხელში ჩავვარდი. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე.

ჭამეს. მკითხეს, საიი. წავიდეთ, ხალხი სად ცხოვრობსო. შევატყვე, რომ სოფელში შესვლა არ უნდოდათ, სურდათ, შორს გასცლოდნენ მას.

შიში სულ გამიქრა. არ ვიცოდი, რა ხალხი იყო, მაგრამ, ეტყობოდათ, გულში ავი რამ არ ედოთ.

„ამ ღამეს სად უნდა წახვიდეთ? აქ გაითენეთ, ჩემი შიში ნუ გაქვთ“.

„ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ ხომ ჩვენი გეშინიათ?“ — იცინის სანდრო.

„აბა რას ამბობთ. მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია: რა ხალხი ხართ და აქ საიდან გაჩნდით“.

„რაკიღა ჩვენიანი ხართ, არაფერს დაგიმალავთ... სოციალ-დე-

მოკრატები ვართ, ბოლშევიკები. გსმენიათ რამე ასეთი ადამიანების შესახებ?“ — მკითხა სანდრომ.

აბა, საიდან უნდა მსმენოდა? ის კი არა, წერა-კითხვა არ ვიცოდი... ჯირკი ვიყავი, ეგ იყო, თვალები მქონდა.

სანდრომ მიამბო ვაჭრების, ჩინოვნიკების, მეფის შესახებ, მიამბო, როგორ ტანჯავდნენ ისინი ხალხს. ხალხი როგორ იწყებდა ბრძოლას და როგორ მიუძღოდნენ მას წინ ბოლშევიკები, როგორ დევნიდნენ ბოლშევიკებს, გადასახლებაში, ციხეებში ალპობდნენ. ისინი კი არაფერს ეპუებოდნენ და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს არ ღალატობდნენ. სანდროც და სერგეიც გადაასახლეს, მკაცრად ადევნებდნენ თვალ-ყურს, მაგრამ მაინც გამოიქცნენ. ახლა ფარულად მიდიოდნენ რუსეთში, რათა ბრძოლა განეგრძოთ. ერთ ადგილას საიმედო ამხანაგები უნდა შეხვედროდათ, რომელთაც უნდა შეემოსათ და საჭირო ადგილზე გადაეყვანათ. მაგრამ სანდროს და სერგეის, ეტყობა, გზა აებნათ, ჰოდა, ახლა უიარაღოდ და უსურსათოდ მიდიოდნენ.

სანდრო დიდხანს მიყვებოდა ამ ამბებს. მისი ყოველი სიტყვა პირდაპირ გულში მხვდებოდა და შიგ იბუდებდა. სანდრომ და სერგეიმ უკვე დაიძინეს, მე კი ძილი არ მეკარებოდა, შამფურივით ვტრიალებდი, სულ ამ ადამიანებზე ვფიქრობდი, რა ძალას შეეჭიდებოდნენ, რარიგ იტანჯებოდნენ, რათა სიმართლისთვის მიეღწიათ...

ღილით დარჩენილი ხორცი მოვხარშე. მათ ჭამეს და წასასვლელად მოემზადნენ. მეც წამოვდექი.

„თქვენ ტაიგას არ იცნობთ, — ვუთხარი სანდროს და სერგეის, — ტყუილუბრალოდ დაიღუპებით, ცარიელი ხელით ვერც ნადირს მოკლავთ, ვერც ცეცხლს დაანთებთ. ჰოდა, ცოტაზე გაგაცილებთ, თუ ისურვებთ. მე კი მყვლეფელ შემსყიდველებს ნაკლებ კუდებს მივუტან, დასწყევლოს ღმერთმა ეს კუდები! სულ ერთია, გახრეკილი ვარ და გახრეკილი დავრჩები, ახლა კი კარგ ადამიანებს მაინც დავეხმარები...“

ჩრდილოეთით უნდა წავსულიყავით, რომ ტბისთვის შემოგვევლო, მაგრამ იქ, სადღაც სოფელი ან ტელენგიტის აილები იყო. ვინმეს გადაეყრებოდი და ტაიგაში ხმა გავარდებოდა: ზახარი ორ

ლტოლვილს მოუძღვებოდაო. ჩაფრებიც კვალში ჩაგვიდგებოდნენ. ამიტომ პირდაპირ ტბისკენ გავემართეთ.

ეს გზა ჩემთვის ნამდვილი სკოლა გამოდგა. იმდენი რამ გავიგე. სიზმარშიც არ მომელანდებოდა. უფრო მაშინ ვლაპარაკობდით, როცა ღამის გასათევად ვჩერდებოდით, რადგან ძალიან ჭირდა სიარული. სულ ქარი ქროდა, ანდა ისე საშინლად ყინავდა, სული გვეგუბებოდა. სანდროს და სერგეის ისეთი სამოსი ეცვათ, სიცივე ძვალსა და რბილში ატანდათ. სერგეი უფრო ჯანიანი იყო, სანდრო კი — სუსტი. შეხედავდი და იფიქრებდი, სული როგორ უდგასო. მაგრამ მიაბიჯებდა და აქეთ გვამხნევებდა.

ტბისკენ დავეშვით. ტბას ყინული გადაკვროდა. სანდროს და სერგეის ვუთხარი, ზემოთ, კიგამდე უნდა ავიდეთ, იქ ტბა გაყინული არ უნდა იყოს და ნავით მეორე მხარეს გავალთ-მეთქი. იმათ იუარეს. დრო ძვირად გვიღირს, ყინული მაგარია და შეიძლება ფეხით გავიდეთო. რაკი ასე გულადები ხართ, მე სულაც არ მეშინია-მეთქი. ჰოდა, გამოვუყევით ყინულს აქეთ, ამ ჩვენს მხარეს.

ყინული თოვლს მოეფიფქა და მყარი იყო, ფეხქვეშ ტკაცატკუცი არ გაჰქონდა, არ იზნიქებოდა, მაგრამ ტბის შუაგულს რომ მივაღწიეთ, ქარახვეტი ამოვარდა. რაც უფრო შორს მივდიოდით, ქარახვეტი უფრო ძლიერდებოდა. მიმოვიხედე, მთელი კორბა ბუქში გახვეულიყო. გული გადამიქანდა.

ხალხო, ილოცეთ და უფრო სწრაფად იარეთ. „ზემოურამ“ დაუბერა-მეთქი ვუთხარი მათ.

„ზემოურა“ რაღააო? — მკითხა სანდრომ.

რა არის და თუ ნაპირზე ვერ გავასწარით, ნაღდად დავიღუპებით-მეთქი.

გავრბივართ, ვჩქარობთ, ქარი კი მთელი ძალით უბერავს: ტბაზე მას არაფერი ეღობება, ისე ზუზუნებს თითქოს, მილში ქრისო. უკვე ვგრძნობ, რომ ყინული ტკაცუნებს, ფეხის დაბიჯებაზე იზნიქება.

ზედ ნაპირთან ვიყავით, რომ ისეთი ჭახანი გაისმა, იფიქრებდით, ქვემეხი ისროლესო: ყინული გასკდა! ჭახანს ჭახანი მოჰყვა და ატყდა ბათქაბუთქი, ერთმანეთს ვერაფერს გააგონებდით... სანდრო და სერგეი ნაპირზე გადახტნენ, მე შევყოვნდი, ფეხქვეშ ყინული ჩამემსხვრა და ქვასავით ჩავეშვი წყალში... ჩვენს არემარე-

ში ბევრმა არ იცის ცურვა: წყალი მთელი წელი გაყინულია და ბიჭი ხარ და ჩადი!..

ტელეცკის ტბაში დაბალი ადგილები იბვიათია, ზედ ნაპირთან იწყება ღრმული, მაგრამ მაინც არ დავიხრჩვი, სანდრომ გადამარჩინა! როგორც კი დაინახა, რომ წყალში ჩავვარდი, იმწამსვე გადმომყვა და ნაპირთან მიმათრია. იქ კი ორივე სერგეიმ ამოგვიყვანა ზემოთ.

მე და სანდრო ერთიანად დავსველდით, თანაც ციოდა. ღმუოდა „ზემოურა" და ძალ-რბილში გვივლიდა. ტანსაცმელი ერთბაშად გაგვეყინა. ხევში ჩავირბინეთ, სადაც შედარებით სიწყნარე იდგა. სერგეი ფიჩხის მოგროვებას შეუდგა. აბედი და თოფის წამალი რქაში მედო და არ დასველებულა, მაგრამ ვიდრე ცეცხლს გავაჩაღებდით, ერთიანად გავიყინე. სანდრო უარეს დღეში იყო. სერგეიმ ისეთი ცეცხლი დაანთო, ხარი შეიწვებოდა. მე და სანდრომ ტანსაცმელი გავიხადეთ და გასაშრობად გავფინეთ, ავადუღეთ ჩაი. გავთბით შიგნიდანაც და გარედანაც. ღამე ავად თუ კარგად გავათიეთ. გადავრჩით, ახლა შეიძლება გზას გაუდგეთ-მეთქი, — გავივლე გულში.

მაგრამ კაცი ბჭობდაო... სალამო ხანს სანდროს თვალები დაუწითლდა, ძლივს სუნთქავდა. ხველა აუტყდა. თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. გვაჩქარებდა. გავიდა ერთი დღე, გავიდა მეორე და შევამჩნიე, რომ სიცოცხლე ალარ მეეძლო. საცაა სულ გამოეცლებოდა ძალა. სერგეის ვუთხარი, იქნებ გავჩერდეთ, თორემ კაცი დაიღუპება-მეთქი. შევუჩნდით სანდროს, მან კი ქვა აავდო და თავი შეუშვირა: როგორ არ გესმოთ, თავისუფლების ყოველი დღე ძვირფასია და ტყუილუბრალოდ არ უნდა გავაცდინოთ... რა დროს დაყოვნება და გაჩერებაა.

მეორე დღეს კი გზაში წაიქცა. ამ საფუტკრემდე ოცი ვერსიღა გკრჩებოდა გასავლელი. საკაცის მაგვარი რაღაც გავაკეთე, სანდრო დავაწვინეთ და წამოვედით. მოვიყვანეთ ნეფიოდთან. სანდრო ერთიანად იწვოდა, იტანჯებოდა. ჩვენც ვიტანჯებოდით, ვერაფრით კი ვერ ვშველოდით. კიტრის მწნილის წვენი იყო მთელი ჩვენი წამალი. იმ დაწყევლილ დროს თუნდაც ფერშალს ას ვერსზე ვერ იპოვიდი...

ავადმყოფობამ სანდრო საბოლოოდ გატეხა წელში. ყველაფერ-

მა ერთად იჩინა თავი. ის ხომ რამდენი წელი იჯდა ციხეში, ჟანდარმები სცემდნენ, რამდენჯერ გადაასახლეს და ისევ გამოიპარა, ისევ თავის საქმეს ჰკიდებდა ხელს. ეგ ამბები შემდეგ სერგეიმ მიამბო.

სანდრო თვალსა და ხელს შუა გვადნებოდა, მთლად გაილია, სახე გაეცრიცა, მხოლოდ შავ-შავი თვალები ჰქონდა ანთებული. თვითონაც ხვდებოდა, რომ ვეღარ წამოდგებოდა, მაგრამ ერთი ბეწო შიში ან თავისი თავისადმი სიბრალული არ გამოუმქღავნებია.

— სიკვდილი არავის უნდა. არც მე მინდა. სიცოცხლეც მიყვარს და ცხოვრებაც. მაგრამ რას იზამ... ერთი რამ მაწუხებს: ადრე ვკვდები. სიცოცხლეს კაცი ადვილად დათმობს, ხოლო იცხოვრო ისე, რომ შენი სიცოცხლით ადამიანებს არგო, ნამდვილი სიხარულია. მე კი ჯერ ცოტა რამ მოვასწარი, ცოტა რამ ვავაკეთე. ამიტომ მწყინს სიკვდილი... — გვითხრა სანდრომ.

მოკვდა სანდრო. დავასაფლავეთ და მასთან ერთად თითქოს ჩვენი სულის ნაწილი ჩავმარხეთ მიწაში. სერგეი მკაცრი ადამიანი, რკინასავით კაცი იყო და იმასაც კი ცრემლი გადმოსცვივდა.

შემდეგ სერგეი შარაგზამდე მივაცილე. გზად სულ სანდროზე მიამბობდა. სანდრო თურმე კავკასიელი იყო და იატაკქვეშა წრეში სერგეის მასწავლებლობას უწევდა. ძალიან ჭკვიანი კაცი, ბოლშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა და ისე საოცრად მოხერხებული, თუმცა ჯაშუშები და ჟანდარმები გუნდ-გუნდად დასდევდნენ, მათ თვალსა და ხელს შუა უფრინდებოდა. ახლა დიდი საქმეები უნდა დაეტრიალებინა, მაგრამ ვერ მოასწრო.

ძია ზახარი გაჩუმდა. მე თვალი მოვავლე მაგიდასთან მსხდომთ. ნეფიოდს პირქუში, მწუხარე სახე ჰქონდა. პაშას თვალები მოღუშვოდა. კატიას ლოყებზე მალიმალ ჩამოსდიოდა მსხვილი კურცხლები.

პაშამ კატია თავისთან წაიყვანა. მე იატაკზე გაფენილ სურნელოვან თივაზე დავწექი და ცოცხლად წარმოვიდგინე ყოველივე, რაც მოვისმინე: აი, ჩაფრებს გაურბიან გადასახლებულნი, გაყინულნი და მშიერნი მიეხეტებიან თოვლიან ტაიგაში, უფსკრულებსა და ზვავებზე. ისე ცხადად ვხედავ და ვგრძნობ ყველაფერს, თითქოს მეც მათთან ერთად მივეხეტები, ვკანკალებ ქარში, პირში

შევიგრძნობ შიმშილის სიმწარეს, ნამქერში ვეფლობი, მივრბივარ მობუქულ ჩაზნექილ ყინულზე, ვვარდები შავ ყინულოვან წყალში... წინ მიგვიძღვება დაუცხრომელი, უშიშარი, თვალებანთებული კაცი, რომელსაც ამქვეყნად ყველაზე მეტად, თავის თავზე მეტად უყვარს ადამიანები...

ერთფეროვანი ზუზუნი მაღვიძებს. ღია ფანჯარაში მზე იქყიტება და უწყვეტი, თანაბარი ხმაური იქრება. თურმე ფუტკრები ზუზუნებენ: ზედ ფანჯრებიდან იწყება სკების მწკრივები, გეგონებათ, სათამაშო სოფლის სახლებიაო.

ძია ზახარს და პაშას ოთხთვალაზე ჩასაცურებლის დახმარებით ააქვთ თაფლიანი, პატარა კასრები. ნეფიოდი იქვე ტოკავს, ცდილობს დაეხმაროს მათ, ბრძანებებს იძლევა, მაგრამ დახმარების მაგივრად ხელს უშლის ორივეს.

ბოლოს კასრები ოთხთვალაზე დადგეს, შეკრეს თოკებით, გადააფარეს ბრეზენტი და საფლავზე წავედით. მალე კატია წამოგვეწია, რომელსაც ხელში ყვავილების ვეება თაიგული ეჭირა. ბებერი მხრებგამლილი კედრის ძირას მომცრო ბორცვი ხშირ დაბალ ბალახს დაუფარავს. ხოლო აქეთ-იქით გუშაგებივით დამდგარან კენარი მუქი პატარა სოჭები. კატია ყვავილებს ფრთხილად დებს საფლავზე. ჩვენ დიდხანს ვდგავართ ქუდმოხდილნი. ფიქრიანად და მწუხარედ შრიალებს კედრის ტოტები. ყელში რაღაც მეჩხირება და ამოსუნთქვას მიშლის.

შემდეგ სოფელში ვბრუნდებით. მზე ღრუბლებში ეხვევა. ღრუბლები დაბლა და დაბლა იწევენ, ქედებზე შეფენილი ხეების კენწეროებს გაფაფრული კუდებით ედებიან, ცივ წვიმას ასხურებენ მიწას. ვსველდებით, მაგრამ არ გვცივა, რადგან იძულებულნი ვართ წამდაუწუმ მივეხმაროთ მრისხანეს. ტვირთი არც ისე მძიმეა, მაგრამ წაქცეული ხეები იოლი გადასალახავი როდია. მრისხანე ზედ მიწამდე ხრის თავს, ხელნებშუა სხმარტალებს, ხეზე ძლივს გადააქვს ოთხთვალა და ამ დროს ყოველთვის დასასვენებლად ჩერდება, მკვეთრად აუდ-ჩაუდის ფერდები, ორთქლი ასდის, ჩვენც ასევე.

სალამოს ქვაბულში ზვინებამდელა მივაღწიეთ. ძია ზახარმა მრისხანე გამოხსნა, ჩვენ კი ცეცხლი დავანთეთ.

— აქ როგორ გავათევთ ღამეს? — იკითხა კატიამ.

— თქვენ არხეინად იყავით, — თქვა ძია ზახარმა. — ზვინში სორო გაიკეთეთ...

ზვინს თივას ვაცლით და შიგ ორ ვიწრო სოროს ვაკეთებთ. შემდეგ შიგ ვძვრებით. ძია ზახარი გარედან გვაფარებს ზვიხიდან გამოცლილ თივას. პირველად მეგონა, სველი ტანსაცმელი რომ გვეცვა, უფრო გავიყინებოდით და ჯობდა, ცეცხლთან ვმსხდარიყავით, მაგრამ შემდეგ დათბა და დაცხა კიდევაც. შეხუთული თივა სრულიად მშრალი იყო. მის სუნზე თუ დაღლილობასა და მთელ ტანში მოდებულ სითბოზე თავი ტკბილად მიბრუოდა. სადღაც ტანს იზელდა და თივას აფაჩუნებდა კატია, შეიძლება თაგვიც ხმაურობდა...

— ჰეი, თანაშემწენო! — ჩამესმა დილით ძია ზახარის ხმა. — გეყოფათ ძილი, გამოძვერით გარეთ!

გამოვძვერი ჩემი სოროდან, იმავე დროს კატიაც გამოძვრა თავისი სოროდან. ვუყურებთ ერთმანეთს და სიცილით ვიფხრიწებით: თავიდან ფეხებამდე თივის ბრელოთი ვართ დაფარულნი...

ცაზე ღრუბლის ნასახი არ ჩანდა. წვიმით განბანილი ბალახი გადახასხასდა, მაგრამ ეს უკანასკნელი სიხასხასე იყო შემოდგომის ჭკნობის წინ. აგერ, ყვითლად გაკრთა მოქნილი არყის ხეები, წითელი ფერი ედება სიცივისგან აკანკალებულ ვერხვს, მიწაზე ცვივა ტირიფის კალისფერი ფოთლები...

სინათლე მიწაზე

საძოვრიდან მობრუნებულ გენადის გზად ანტონთან შეევლო ელექტროსადგურში. როგორც მან გვითხრა, იქ უკვე ტურბინა გამოეცადათ და დგამდნენ გენერატორს, რომელსაც ელექტროდენი უნდა მოეცა.

ჩვენ ჩვენის მხრით გენადის საფუტკრეში ყოფნაზე მოვუყევით. ვუამბეთ, როგორ მიჰყავდა ზახარს ბოლშევიკები ტაიგაში.

— იცით, ეს ამბავი პატარებსაც და დიდებსაც უნდა გავაგებინოთ. წავიდეთ დაშასთან, — შემოგვთავაზა გენადიმ.

დაშამ თქვა, შესანიშნავი რამ იქნება, ბოლშევიკების ამბავი ხალხს უსათუოდ უნდა გავაგებინოთო. ძია ზახარს თავდაპირველად

ერიდებოდა, უარს ამბობდა მოხსენების გაკეთებაზე (მოხსენება ჩემს დღეში არ გამიკეთებია, ჩემი საქმე ტაიგა და შაშხანაა), მაგრამ ბოლოს დაგვთანხმდა. მე და კატიამ განცხადებები გამოვაკარით ქოხ-სამკითხველოს და გამგეობის კარზე, დანიშნულ დღეს კი ყველას ჩამოვუარეთ და ვუთხარით, მოსულიყვნენ.

ქოხ-სამკითხველო ხალხით გაჩედა. მოვიდა ვასიაც. მხოლოდ მისი მეგობრები — ფიმა და სენია არ ჩანდნენ. ფიმა დედას გამოელანძღა უქნარობისთვის და ფიჩხის მოსატანად გაეგზავნა — ღუმელი ვერ გამიხურებიაო. სენია ძმაკაცს წაჰყოლოდა დასახმარებლად.

ძია ზახარს ახალი პერანგი და პიჯაკი ეცვა, ეტყობოდა, პიჯაკი ეს-ესაა ამოეღო სკივრიდან — ნაკეცები აქეთ-იქით გაფშეკოდა. იგი დაჯდა, გაოფლილ სახეს იწმენდდა. ხმადაბლა, ენის ბორძიკით დაიწყო ლაპარაკი, შემდეგ გატაცებით გააგრძელა საუბარი. საღამაც ხალხის თავზემოთ დაჟინებით იყურებოდა, თითქოს თვალწინ ისევ გაუცოცხლდა ადრინდელი სურათები და მხოლოდ იმას აღწერდა, რასაც ახლა ხედავდა...

მან ლაპარაკი კარგა ხანია დაამთავრა, ხალხით გაჩედილ ქოხში ჰაერი შეიხუთა. ხრჩოლავდა ყველას მიერ დაიწყებული ლამპა და ოთახში ჭვარტლთან ერთად ნავთის სუნი ტრიალებდა. ფანჯრებს უჩვეულო სიჩუმით გაოცებული უკუნი ღამე მოადგა.

ბოლოს ძია ფედია მოეგო გონს და პატრუქი გაასწორა. ყველა გამოფხიზლდა, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. მხოლოდ დაბინდულ კუთხეში ამოიოხრა ვიღაცამ ხანიერად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— აი, ძვირფასო ამხანაგებო, ყოველგვარი აგიტაციის გარეშე დაინახეთ საქმის არსი! — ხმადაბლა, მხიარულად თქვა ძია ფედიამ. — თქვენ შორის ნახევარზე მეტი მაშინ დაბადებულიც არ იყო, ხოლო ვინც იყო, შავბნელ დღეში ცხოვრობდა. ამ მწარე ცხოვრებასა და სიბნელეში კი თავგანწირული ადამიანები ხალხს ბედნიერი ცხოვრებისკენ მოუწოდებდნენ. რამდენი ტანჯვა-წვალება განიცადეს, სათქმელადაც ძნელია. რამდენმა მათგანმა თავი დასდო მეფის საჯალათო კუნძზე და ჩვენს დედა ციმბირში! ჰოდა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ადამიანებმა სიცოცხლე ჩვენ შემოგვწირეს...

გენადი წამოხტა:

— ძია ფედია, შეიძლება სიტყვა ვთქვა?.. იქნებ ძველ ბოლშევიკებს ძეგლი დავუდგათ? თანაც ნამდვილი, ქვისა?

გენადის წინადადება ყველას მოეწონა. ქოხში მოწონების შეძახილები გაისმა. მაგრამ ძია ფედიამ ხელი ასწია:

— ძეგლის დადგმა, რასაკვირველია, შეიძლება. კარგი საქმეა, ადამიანებს ყოველთვის გაახსენებს მათ. მაგრამ ის კაცი ძეგლზე კი არა, სიცოცხლეზე ოცნებობდა, იმაზე ოცნებობდა, ცხოვრებას ხალხისთვის სიხარული მოეტანა და არა ტანჯვა-წამება. ჰოდა, ძვირფასო ამხანაგებო, უნდა ვიფიქროთ, როგორ შევქმნათ ისეთი ცხოვრება, როგორზეც ისინი ჩვენთვის ოცნებობდნენ და რომლისთვისაც, ესე იგი, ამ ჩვენი ცხოვრებისთვის, თავი გასწირეს...

ამ დროს გარედან ღრიალი მოისმა და ქოხში ფიმა შემოვარდა. ძლივს სუნთქავდა, შიშჩამდგარი თვალები გადმოეკარკლა. მან ზღურბლიდანვე დაიყვირა:

— ჩქარა!.. კოლტუბი იწვის! აქედან ყველაფერი ჩანს.

მერხები გრუხუნით გადაყირავდა. ქოხი უმალ დაიცალა. სიბნელეში უკვე ისმოდა ფეხების ბრაგაბრუგი, ქლოშინი, ბუჩქების ტკაცატკუცი. ხალხმა ქედზე აირბინა და მაშინვე გაყუჩდა: კოლტუბს თავზე შუქი დაგზნებოდა.

კოლტუბი შორს იყო. აქედან ისედაც ვერ დაინახავდი, რაკი დაბლობში მდებარეობდა, ვერაფერს გაიგონებდი. მაგრამ წარმოვიდგინე, ხალხი ცეცხლის ალში როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით, როგორ ყვიროდნენ და ტიროდნენ შეშინებული ბავშვები, ბღაოდა გაგიჟებული საქონელი, ცეცხლი კი შიშინითა და ნაპერწკლების ფრქვევით გააფთრებით ედებოდა ქოხებს, გადადიოდა ტაიგაში...

— ეს ხანძარს არ უნდა ჰგავდეს, — თქვა პაშას მამამ.

შუქი მართლაც უჩვეულო იყო: არც იმატებდა, არც კლებულობდა, ხანძრის არილივით არ ბაბანებდა.

— კარგი, ნუ დავიწყებთ მარჩიელობას და დროს ნუ ვკარგავთ, — გადაწყვიტა თავმჯდომარემ. — იქ გავარკვიოთ... აბა, სწრაფად ამხანაგებო, ხელი მოჰკიდეთ ნაჯახებს, ნიჩბებს და თაველასთან მოგროვდით...

ხალხი ისევ ისე სწრაფად დაეშვა ქვემოთ, გადათქერა ბუჩქები, რამდენიმე წუთში დაიფანტა და ისევ თაველასთან მოგროვდა. ანისიმი, თავმჯდომარე და ძია ფედია ცხენებს აბამდნენ ოთხთვა-

ლებში, რომლებშიც ჩვენები ნაჯახებს და ნიჩბებს ყრიდნენ. მე და გენადი ერთ ოთხთვალაზე ავხტით, ჭაბუკები შეუკაზმავ ცხენებს მოახტნენ და ყველანი ერთბაშად გავიჭერით კოლტუბისკენ მიმავალ გზაზე.

ოთხთვალაზე მდგომი თავმჯდომარე ცხენებს მათრახს უზაპუნებდა. მღელვარება ცხენებსაც გადაედო და ბრაზიანი ფთხვინვით, დაოთხილნი უფრო და უფრო სწრაფად მიფრინავდნენ. ბუჩქები, ნაძვები კი თითქოს აქეთ-იქით იფანტებოდნენ, შეძრწუნებით იქნევდნენ გაფაფრულ ტოტებს. ოთხთვალები თავდაუზოგავად მიხრიგინებდნენ ქვებზე, ფესურებზე ყირავდებოდნენ და ისევ მიქროდნენ იქით, სადაც ღრუბლებზე მკრთალი ანაშუქი კიანთებდა. ანაშუქი დროდადრო ქედების, ტაიგის დაკბილული კედლის მიღმა იკარგებოდა, შემდეგ ისევ ჩნდებოდა — არ იცვლებოდა, არ ინძრეოდა და ამიტომ განსაკუთრებულად საშინელი იყო...

ასე მივქროდით, ძლივს ვარჩევდით გზას, ვეღარც ვერსებს ვამჩნევდით და ვეღარც დროს.

უცებ სიბნელეს გამოეყო აფთხვინებულ ცხენზე ამხედრებული კაცი.

— შეჩერდით! — იყვირა მან. — ეს ცეცხლი არაა, ხანძარი არაა...

— მაშ, რა ხდება იქ? კოცონია? — მწყრალად შეეკითხა თავმჯდომარე.

— სინათლეა... სინათლე...

ფერდობზე ავიჭერით და მომეჩვენა, თითქოს მზე პატარ-პატარა ნამსხვრევებად დატეხილიყო და კოლტუბს დასცემოდა. ფანჯრებში კაშკაშა თეთრი შუქი ღადღადებდა, ქუჩების თავზე პატარა მზეების მწკრივი ეკიდა, ხოლო კაშხალი თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. ხალხი გარეთ გამოფენილიყო, მაგრამ არავინ დარბოდა, შეძრწუნებული არ ყვიროდა. ქარს საზეიმო ჟივილ-ხივილი და მხიარული სიმღერა მოჰყვებოდა.

— აა, თქვე მამაძაღლებო, — აღტაცებით ამბობს თავმჯდომარე, — მათ ხომ სადგური აამუშავეს...

კოლტუბს არნახული სინათლე დანათის და გაყუჩებულმა, ყურებდაცქვეტილმა ტაიგამ თითქოს სოფლიდან უკან დაიხია, ხოლო სქელი ღრუბლები სინათლეებმა მიიზიდეს და სულ უფრო დაბლა ეშვებიან, სინათლის ანაშუქი სულ უფრო აცისკროვნებს მათ.

— ოჰ, თქვენი გულისა! — ალტაცებით იძახის ანა ტრეგუბოვა (ის და დაშა, ეტყობა, ცხენებით მოქროდნენ) — ჩქარა წავიდეთ, ვნახოთ!..

— მოიცა! — გასძახის თავმჯდომარე. — ნაჯახებით და ნიჩბებით სად წავიდეთ... თავი მოგვეჭრება...

— რას ამბობ! — ეუბნება ლეპეხინი. — ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი ამბავი დაგვხვდებოდა. არაფერი უშავს...

ანა სადავეს ქაჩავს და ქარივით ეშვება ფერდობიდან. ჩვენც უკან მივყვებით. ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ სულ უფრო სწრაფად — მოუთმენლობისგან სული კბილით გვიჭირავს.

ქუჩებში ისეთი სინათლეა, წიგნს წაიკითხავ. მინდა ყოველ ქოხში შევვარდე, ვნახო, როგორ ანთია ჭერზე ეს პატარა მინის მზეები, მაგრამ კაშხალისკენ მივქრით. ელექტროსადგური თეთრ შუქს აფრქვევს. იქვე ხალხი ხმაურობს. აქ არის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე კუზმა კორჟოვი, „განთიადის“ ცალხელა თავმჯდომარე ლაპშინი, რომელსაც ოფიცრის კიტელი ჩაუცვამს და ზედ ორდენები და მედლები უბრწყინავს, აგრეთვე სახეგაბრწყინებული ანტონი.

ანტონის აბრეშუმის თეთრ პერანგს უკვე ზეთის მუქი ლაქები დასჩნევია. მაგრამ ის, მგონი, ამაყობს კიდეც ამ ლაქებით, თითქოს მართლა ლაქები კი არა, ორდენები ჰქონდა. აქ გახლდათ საველი მასწავლებელიც. სახიდან ჩვეულებრივი სერიოზულობა ჩამოცილებოდა და ღიმილით გაბადროდა.

ანტონმა პირველმა შეგვამჩნია და დაიყვირა:

— აჰა, ტიჟელები გვესტუმრნენ! მეგობრებიც ამათ ჰქვიათ.

— გილოცავთ დღესასწაულს! — უთხრა და ხელი ჩამოართვა თავმჯდომარემ. — ოღონდ ჩვენ... ვიფიქრეთ, ხანძარი ხომ არ გაუჩნდათო...

პასუხად თავშეუკავებელი ხარხარი გაისმა. ჩვენები ჯერ შემცბარნი იღიმებოდნენ, შემდეგ ისინიც ახარხარდნენ.

— ზრუნვისთვის მადლობა მოგვიხსენებია! — უთხრა ლაპშინმა. — ისე დროულად კი ჩამოხვედით — ახლა სწორედ სტუმრების მიღების დროა. ვფიქრობდით, იმ კვირას გაგვეხსნა საზეიმოდ, წესისა და რიგისამებრ, მაგრამ ყმაწვილები საქმეს მიეძალნენ და ვადაზე ადრე დაამთავრეს მონტაჟი, ხალხმაც ველარ მოითმინა, რისთვის გადავდოთო...

ანტონი ხალგურში მიგვიძღვის, ყველაფერს გვიხსნის და გვაჩვენებს. კოლტუბელებს მისთვის, რა თქმა უნდა. მრავალჯერ მოუსმენიათ, აქაურობაც მრავალჯერ უნახავთ, მაგრამ ისეთი გულისყურით ათვალიერებენ ყოველივეს და უსმენენ ანტონს, თითქოს პირველად ენახოთ ამუშავებული ელექტროსადგური.

ანტონს ხანდახან ენა ებმებოდა, უჭირდა ახსნა და ამ დროს მოკლედ და ხმადაბლა კარნახობდა რომელიღაც ფულაყუდა ჭაბუკი. ეს ჭაბუკი კოლტუბში ადრეც შევამჩნიე, ვფიქრობდი, ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია-მეთქი. თავი ყოველთვის დინჯად ეჭირა. და ყველა, დიდი პატივისცემით ეკიდებოდა, როგორც ხელმძღვანელს, თუმცა ხელძღვანელს სულაც არ ჰგავდა: ცხვირი ბიჭივით აპრეხოდა, ქერა თმა კეფაზე აფშეკოდა. ხოლო ფუნთუშა ლოყებსა და ნიკაპზე სასაცილო ღრმულები აჩნდა. მთლად ახალგაზრდა იყო. მაგრამ ყველა მოწიწებით მიმართავდა: ბატონო. თურმე ტექნიკოსად მუშაობდა და კოლტუბის ჰიდროსადგურის მშენებლობას მეთვალყურეობდა.

ვრცელი დარბაზი ცარიელია და საავადმყოფოსავით სუფთა. დარბაზის შუაში ხმადაბლა გუგუნებს გენერატორი. სადღაც ქვემოთ. იატაკქვეშ წყალი ბუყბუყებს. კედელთან თითქოსდა თეთრი ყინულისგან გამოკვეთილი დაფა ბრწყინავს. დაფაზე უამრავი სპილენძისფერი და თეთრი რაღაცები, ისრებმოცახცახე ხელსაწყოების შავი წრეებია.

— ნაგებობაც ამას ჰქვია! — აღტაცებული ძია ფედია. — უნებლიეთ შეგშურდება.

— შესაშურებელი რა გჭირთ? — გამოეხმაურა კორეოვი. — ორც თქვენთვის აუკრძალავთ ამის გაკეთება. „განთიადს“ მიბაძეთ და თქვენც აიგეთ.

ჩვენმა თავმჯდომარემ ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი:

— ჩვენ რას შევძლებთ ასეთი რამის აგებას!..

წაგვიყვანეს ბაკში. გვიჩვენეს ჩალასაჭრელი, რომელსაც რიხიანად გაჰქონდა კაკანი. მას პატარა ძრავა ამოძრავებდა. შემდეგ ძრავითვე აამუშავეს ტრიერი.

— სამომავლო გეგმები გვაქვს. — ამბობდა ლაპშინი. — ოლონდ ჯერჯერობით ძრავები ცოტაა. ხოლო როცა გავმდიდრდებით, ხეპარატორებს ჩავრთავთ, წყალს ძრავათი გავუშვებთ თავლაში, ბოს-

ლებში, შემდეგ ქოხებშიც. რაღა თქმა უნდა, ახლა პურს ელექ-ტროდენით გავლეწავთ...

— წყალსაცავზე კი, — აჰყვა ანტონი, — საწყლოსნო სადგურს გავმართავთ: გვექნება კოშკები, ნავები. ხოლო ზამთარში საციგურაო მოედანს მოვაწყობთ, როგორც ქალაქშია: განათებითა და მუსიკით...

ტიჟელები აღტაცებითა და სულ უფრო მზარდი შურით ვუსმენდით კოლტუბელებს. რატომ არ შეიძლება ჩვენც გვქონდეს ელსადგური? ტიჟა ხომ ზედ სოფლის ყურეში მიედინება, მაშ, რატომ ვერ ვაგებთ საკუთარ ელექტროსადგურს?

უფრო და უფრო ხშირად ვამჩნევ, რომ ჩვენები თავმჯდომარეს ისე გადახედავენ ხოლმე, მათ თვალებში მოთხოვნა, მუდარა იგრძნობა. თავმჯდომარე კი სულ უფრო იღუშება.

გამომშვიდობებისას კოლტუბელები გაგვიმასპინძლდნენ. მათ სულით და გულით ახარებდათ თავიანთი სადგური, ეამაყებოდათ და ტრაბახობდნენ კიდეც. ალბათ ჩვენც ვიტრაბახებდით, ასეთი სადგური რომ გვქონოდა, მაგრამ სატრაბახო არაფერი გაგვაჩნდა...

შინ დაღვრეძილნი მოვდიოდით და ვდუმდით. დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე უკან იხედებოდა, იქით, სადაც ქედების გადაღმა ღრუბლებზე სინათლის ანაშუქი ციაგებდა. ანაშუქი მაგნიტივით იზიდავდა ჩვენს მზერას და აზრებს, და თუმცა ყველა დუმდა, ვიცოდი, რომ მათი ფიქრი ერთსა და იმავეს უტრიალებდა.

— ო, როგორ გაუტკბებათ ცხოვრება ახლა! — ოცნებით თქვა ჩვენს გვერდით მომავალმა ანამ.

თავმჯდომარე აპალპილდა. მასაც უნდოდა საკუთარი ელექ-ტროსადგური გვქონოდა, მაგრამ რაკი არ გვქონდა და ყველა მას მიმართავდა, ფიქრობდა, მე მსაყვედურობენო. აპიტომაც ბრაზობდა.

— სხვისაზე თვალი ნუ გიჭირავს! — მწყრალად უპასუხა ანას.— სხვისი ნუ გშურს...

— არ გვშურს, — შეესიტყვა დაშა. — მაგრამ სხვისი კარგი რატომ არ უნდა გვიხაროდეს?

ამ დროს ოთხთვალაზე ძია ფედია შემოჯდა და თქვა:

— მე მგონი, არვის არ შურს, მაგრამ თუ შურს, ეგ არაფერი. შური სხვადასხვანაირია: ერთი ამბავია, როცა კაცი თავის თავზე

ფიქრობს, ყველაფერს თავისკენ იხვეტავს — მე მქონდეს და სხვას არაო. ხოლო, როცა სხვის კარგს ხედავს და თვითონაც სურს კარგი ჰქონდეს, ცუდი როდია, ასეთი შური სასარგებლოა, მე ასეთი შური მომწონს... კოლტუბელები კი, თქმა არ უნდა, ყოჩაღნი არიან.

— განა არ მესმის? მაგრამ საბანი როგორც გაგწვდება, ისე დაიხურეო. რის ძალაც შეგწევს, ის უნდა აკეთო, დაუფიქრებლად არ უნდა მოიქცე. კოლტუბელებმა მეც ამიმღვრიეს გუნება... ოღონდ განა მათი ტოლ-სწორნი ვართ? შენ ხომ გამგეობის წევრი ხარ, იცი, რა ფულიცა გვაქვს. ჰოდა, ტყუილა რას ლაპარაკობ!..

— ჩვენ იმ ფულის დარაჯები კი არა, პატრონები ვართ, — მიუგო ძია ფედიამ.

თავმჯდომარემ იმის ნაცვლად, რომ ძია ფედიასთვის ეპასუხა, ცხენს მათრახი გადაუჭირა და, ვიდრე სოფელს არ მივაღწიეთ, კრინტი აღარავის დაუძრავს.

ცხოვრების გზა

კატიამ კიდევ უფრო აგვიმღვრია გუნება: გაუთავებლად გვიყვებოდა, რა უხვად იყო სინათლე ქალაქში, როგორ აკეთებდნენ საჭმელს ელექტროქურაზე, როგორ დადიოდნენ ტრამვაები, იქ თურმე ელნათურების ან წითელი და ლურჯი მილაკების აბრებიც კი ჰქონდათ.

— მილაკები ეშმაკსაც წაუღია! — თქვა გენადიმ. — სადგური მოგვცა, თორემ...

ჩვენ დაშასთან წავედით, რომ მას გუშინდელ ამბავზე მოვლაპარაკებოდით, მაგრამ შინ არ დაგვხვდა: დილით ძია ფედიასთან ერთად კოლტუბში წასულიყო.

ისინი დღისითვე ჩამოვიდნენ. თან კორეოვი და ტექნიკოსი ვასილი ჩამოჰყვათ. დაშა და ტექნიკოსი მაშინვე წავიდნენ ტიჟაზე, ავიდნენ მდინარის საქცევთან, შემდეგ უკან მობრუნდნენ და ტიჟას ხუთ თუ მეტ კილომეტრზე ჩამოჰყვნენ. წამდაუწუმ ჩერდებოდნენ და ნაპირს აკვირდებოდნენ.

კატია ყველაზე პირველად მიხვდა, რას აკეთებდნენ ისიხი.

— ოჰ, ბიჭებო! — იყვირა მან. — მგონი, ელექტროსადგურისოვის ადგილს ირჩევენ!

დაშა ალბათ გზაზე ტექნიკოსს წაეჩხუბა, ვინაიდან უკან მობრუნებულს სახეზე სიბრაზე ეტყობოდა. ჩვენ კითხვა ვერ გავუბედეთ მას და ფეხდაფეხ შევყევით გამგეობაში.

— აბა, როგორაა საქმე, ამხანაგო ვასილ? — ჰკითხა ტექნიკოსს კორჟოვმა.

ტექნიკოსმა ახსნა დაიწყო და მისი ყოველი სიტყვის თქმასთან ერთად ქრებოდა სინათლეები, რომლებიც ჩვენი წარმოდგენით უკვე დახათოდა სოფელს.

— მდინარე ტიჟას რეჟიმი ერთობ ცვალებადია, — თქვა მან. — ამიტომ უნდა ავაგოთ დიდი ტევადობის წყალსაცავი და მძლავრი კაშხალი, რომელსაც თხუთმეტი მეტრი სიმაღლე და ორმოცდაათი მეტრი სიგრძე ექნება. ასეთი ნაგებობის აშენება კოლმეურნეობას არ შეუძლია. კაშხალისთვის მოსახერხებელი ადგილი სოფლის ქვემოთ, ხუთ კილომეტრზეა. მაგრამ იქ რომ კაშხალი აიგოს, წყალი მინდვრებს და ნაწილობრივ სოფელსაც წალეკავს. სადგური შეიძლება მნიშვნელოვანი სიმძლავრისა აშენდეს, მაგრამ შრომა წყალში ჩაიყრება, ვინაიდან კოლმეურნეობა მისი სიმძლავრის ერთ მეხუთედსაც ვერ გამოიყენებს. ხოლო რომ ვივარაუდოთ, სადგური სხვა კოლმეურნეობებსაც მოემსახურებაო, უაზრობა იქნება, რაკი ისინი ტიჟას დიდი მანძილით არიან დაშორებულნი.

კორჟოვმა კიდევ რაღაც გამოჰკითხა ტექნიკოსს. მაგრამ პასუხი ასევე უნუგეშო იყო. ყველას გუნება მოეშხამა.

— ესეც ჩვენი იმედი! — ამოიოხრა ძია ზახარმა. — მოგვხიბლა და გვიგანა!

— არა უშავს, ამხანაგებო, — თქვა კორჟოვმა და წამოდგა. — სულიერად ნუ დაეცემით. რაკი ეს გზა არ ვარგა, სხვა მოვძებნოთ...

ალბათ დასამშვიდებლად თქვა. ასე იფიქრა ყველამ.

რამდენიმე დღის შემდეგ ძია ფედია და დაშა ისევ წავიდნენ კოლტუბში და იქიდან შიკრიკი გამოუგზავნეს თავმჯდომარეს და მამაჩემს. ისინი რატომღაც სოფლსაბჭოში გამოიძახეს. უკან ერთად დაბრუნდნენ. მათ ჩამოყვა კორჟოვი და ტექნიკოსი, ხოლო ანტონმა და „განთიადის“ თავმჯდომარემ ლაპშინმა ცხენები მოაგელვეს.

თავმჯდომარემ სოფელი დაგვგზავნა — ყველანი ახლავე წამოვიდნენ, ძალზე მნიშვნელოვანი კრება გვაქვსო.

მაგიდას მიუსხდნენ ჩამოსულნი და ჩვენი მთელი გამგეობა.

— ამხანაგო კოლმეურნენო! — თქვა თავმჯდომარემ. — ჩვენ იმედი გვქონდა, რომ კოლტუბის მაგვარი ელსადგური აგვეგო. იმედი გაგვიქრა, ვინაიდან ეს საქმე ჩვენს ძალას აღემატება. მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა, ესე იგი კოლმეურნეობა „განთიადმა“ და სოფლსაბჭომ ამხანაგი კომუნისტებისა და კომკავშირელების ინიციატივით გადაწყვიტეს დაგვხმარებოდნენ, რათა ტიჟაშიც ანთებულიყო ილიჩის ნათურები.

რა ამბავი ატყდა! ყველამ იყვირა, ატეხა ტაშისცემა, ისეთი ამბავი დატრიალდა, თავმჯდომარემ ხალხის დაწყნარება სცადა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და თვითონაც დაუკრა ტაში სტუმრებს.

როცა ცოტა სიწყნარე ჩამოვარდა, სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ კორჟოვმა თქვა, „განთიადის“ სადგური ორ ტურბინაზეა გაანგარიშებული. ამჟამად ერთი მუშაობს და მისი სიმძლავრე კოლმეურნეობის ყველა საჭიროებისათვის საკმარისზე მეტია. მაშასადამე, კოლმეურნეობას ახლაც ზედმეტი ელექტროენერგია აქვს, ხოლო როცა მეორე ტურბინს აამუშავებენ, კიდევ მეტი ექნება. ამიტომ „განთიადს“ შეუძლია ტიჟას ელექტროენერგია მიაწოდოს, თავად კ არაფერი დააკლდეს. ამისთვის საჭიროა დიდი მუშაობა და ხარჯები. ჩვენმა ხელმძღვანელებმა საქმე აწონ-დაწონეს და დასკვნეს, რომ ამ საქმის მოგვარება შეიძლება. ოღონდ აინტერესებთ, რა აზრისა ხართ და თანახმანი ხართ თუ არა ასეთი დიდი საქმე დავიწყოთ.

ისევ დასცხეს ტაში და აყვირდნენ, ეგ რა სალაპარაკოა, ყველანი თანახმანი ვართ და ამას ბევრი ჩიჩინი არ უნდაო.

თავმჯდომარე ადგა და თქვა, ყვირილით საქმე არ გადაწყდება, კენჭი ვყაროთ და, ვინც თანახმაა, ხელი ასწიოსო.

მაშინვე ყველამ ასწია ხელი. თავმჯდომარემ თვლა დაიწყო და, როცა დანახა, მეც და გენადისაც ხელი აწეული გვქონდა, გაბრაზდა:

— თქვენ რაღა გინდათ? ხალხი აქ სერიოზულ საქმეს წყვეტს, თქვენ კი სერის საყურებლად მოხვედით? აბა, დაუშვით ხელი!

— ერთი წუთით მოითმინეთ, ამხანაგო ფროლოვ, — უთხრა

ანტონმა. — ესენი, რა თქმა უნდა, პატარები არიან და ჯერ ხმის უფლება არა აქვთ. ჩემი აზრით, ახლა ფორმალობა არ უნდა გამოვიჩინოთ... ყმაწვილებს არანაკლებ უნდათ ამ საქმის გაკეთება და იმუშავებენ კიდეც. ჰოდა, მათაც აქვთ ხმის უფლება.

— სწორია! — კვერი დაუკრა ძია ფედიამ. — ეს მათთვისაც საგულისხმო საკითხია.

თავმჯდომარემ დაბნეულად გადახედა კორეოვს.

— ჯობს კენჭი უყარო, ვინაა წინააღმდეგი, — ჩაიცინა კორეოვმა.

ყველა გაყუჩდა, როცა თავმჯდომარემ თქვა, ვინც წინააღმდეგია ხელი აწიოსო, და უკან მიიხედეს, თითქოს ეშინოდათ, იქ უარის მთქმელი არ გამოტყვრესო.

— მაშასადამე, წინადადება ერთხმად მივიღეთ, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

— ახლა კი, ამხანაგებო, მე მათქმევინეთ ორიოდე სიტყვა, — თქვა ანტონმა. — შარშან ტიჟელები კოლტუბელებს დაგვეხმარეთ. რომ პური ხანძრისგან გვეხსნა. ახლაც შეცდომით, მაგრამ მაინც გამოიქეცით დასახმარებლად. ჩვენ ეს გვახსოვს. ჩვენი ძალაც ის არის, რომ ჭირსა და ლხინში ერთად ვართ... ყველაზე შრომატევადი სამუშაო კოლტუბიდან თქვენამდე ხაზის გამოყვანაა. კოლტუბელებიც ხელს გამოვიღებთ ამ საქმეში. კომკავშირლებმა და ახალგაზრდებმა დამავალეს გადმოგცეთ, რომ ხაზის გაყვანა ორივე მხრიდან დავიწყოთ. ისინი ტიჟის ახალგაზრდობას შეჯიბრში იწვევენ...

ოჰ, ანტონ, ანტონ! ნეტა როგორ ვადარჩი მაშინ! ისეთი ყვირილი ატყდა, ისე ეხვეოდნენ და ბუბნიდნენ, შემდეგ კი ისე შეისროლეს მაღლა, ჭერისთვის დროზე რომ არ ეკრა ხელი, თავხეს მიეხეთქებოდა...

და გაჩაღდა სიმღერასავით ლამაზი, ბრძოლასავით ფიცხელი მშენებლობა.

თავმჯდომარე და მამაჩემი მეორე დღეს კოლტუბში წავიდნენ, რომ ხელი მოეწერათ ორი კოლმეურნეობის ხელშეკრულებაზე, შემდეგ კი რაიონში უნდა წასულიყვნენ და მავთული და სხვა მასალები ეშოვათ. ტექნიკოსი ვასილი, ანტონი და სამი ჭაბუკი ფეხით გაემართა კოლტუბისკენ, რათა ელექტროხაზის გასაყვანი ად-

გილი მოენიშნათ. ჩვენც გვინდოდა გავყოლოდით, მაგრამ დაშამ არ გაგვიშვა — ჯობს სამუშაო იარაღების გამზადებაში დაგვეხმაროთო.

დაშა კულომზინა ერთ დროს მორიდებული, მორცხვი ქალიშვილი, ხალხში სიტყვის თქმას რომ ვერ ბედავდა, სულ გამოიცვალა. ახლაც მორცხვობდა, წინანდებურად ცოტას ლაპარაკობდა, ოღონდ თუ დაიწყებდა, სიტყვას ვერ გააწყვეტინებდი. როცა პესტოვების ქოხს სამკითხველოდ ვაკეთებდით, იგი არ უფროსობდა, არც განკარგულებებს იძლეოდა, პირველი შეეჭიდა ყველაზე ძნელ საქმეს და შემდეგ, როცა ვინმეს რაიმეს გაკეთებას სთავაზობდა, ყოველთვის უგონებდნენ.

დაშამ გამგეობაში დაიქირა, საფუტკრედან დაბრუნებული ცისფერთვალება პაშა რაიონში გაეგზავნათ მეფუტკრეობის კურსებზე, ახლა კი, როცა მშენებლობის საქმე მოგვარდა, ძია ფედიას და ანტონის მარჯვენა ხელი გახდა...

ჩვენ ნაჯახები და ბარები მოვაგროვეთ და ძია ფედიას მეთვალყურეობით სამართებელივით ავლესეთ. თვით ძია ფედიამ ძალაყიხები და წერაქვები გაამზადა, რადგან ზოგან ორმოების ამოთხრა ქვიან ადგილებში მოგვიწევდა...

პაშა მაინც გაედევნა იმათ, ვინც ელექტროხაზის მიმართულების მოსანიშნად წავიდა, და უკან მობრუნებული სწავლულივით მსჯელობდა უბრალო და ანკერულ საყრდენებზე, ტყის განაკაფებზე, მოსახვევებზე, რომლებიც აგრძელებდნენ და აძვირებდნენ ხაზს.

ხაზის მიმართულება მონიშნეს. ანტონმა და ტექნიკოსმა თქვეს, ახალგაზრდების ბრიგადას ტყე გამოვაკაფვინოთო. ტექნიკოსის თქმით გზის გაყოლებაზე ხაზის გაყვანა არ შეიძლებოდა, მაგრამ ვინაიდან აქ ტრანსპორტი ნაკლებ დადიოდა, ეს საშიში არ იყო და ხაზს ძირითადად გზის გასწვრივ გაიყვანდნენ. ოღონდ იქ, სადაც გზა იკლაკნებოდა, ხაზი სცილდებოდა მას და პირდაპირ გადიოდა, თუ მონაკვეთი ცუდი არ იყო. ჭაბუკებს ტყე სწორედ ასეთ ადგილებში უნდა გამოეკაფათ, მოემზადებინათ და მოეთრიათ ბოძები. შემდეგ ჩვენ — გოგო-ბიჭები პალოებით მონიშნულ ადგილებზე ორმოებს ამოვთხრიდით.

გენადიმ შემოგვთავაზა, გოგო-ბიჭებმა ცალკე ბრიგადა შეექმ-

ნათ. რომ შემდეგ არ თქვან. თქვენ მხოლოდ „გვეხმარებოდით“, თვითონ კი არაფერს აკეთებდითო. მაგრამ, როცა დაშამ გოგობიქები შეგვკრიბა და ეს გვითხრა, ვასია შჩერბატიმ იყვირა, ჩვენ ასე არ გვინდაო.

— რატომ? — ჰკითხა დაშამ.

— მაგათთან არ ვიმუშავებთ, მორჩა და გათავდა! ესენი ცალკე იყვნენ, ჩვენ ცალკე და შემდეგ ვნახოთ...

ვასიას არ უთქვამს, რა უნდა გვენახა შემდეგ, მაგრამ ისედაც ნათელი იყო, რომ უნდოდათ ჩვენთვის ეჯობნათ.

— რა გაეწყობა, — თქვა ანტონმა. — ასე იყოს, უფრო გაგულისდებიან...

ჩვენ მართლაც გავგულისდით. ამ ვასიას რატომ ჰგონია, რომ მუშაობაში ყველას სჯობია?

გადავწყვიტეთ. სამი ბრიგადა შეგვექმნა—გოგონებისა, გენადისა და ვასია შჩერბატისა. მთავარი ბრიგადირი, „სამუშაოთა მწარმოებელი“ კი, როგორც ანტონმა თქვა, დაშა იქნებოდა.

შჩერბატის ბრიგადა მუშაობას შეუდგა სოფლიდანვე. შემდეგ იწყებოდა ანა ტრეგუბოვას უბანი, ხოლო მას ჩვენი უბანი მოჰყვებოდა. ჩვენ არყის ხეების კორომი გვეფარებოდა, ამიტომ სხვა ბრიგადებს ვერ ვხედავდით, არ ვიცოდით, რას აკეთებდნენ და ეს ამბავი გვაწუხებდა. თანაც ქვიანი უბანი შეგვხვდა. ამიტომ იძულებულნი გავხდით, ბარები მაშინვე დაგვეყარა და წერაქვებისთვის მოგვეკიდა ხელი.

პაშამ წერაქვი აკაკუნა, აკაკუნა და დასასვენებლად დაჯდა, ამ გრანიტს ვერაფერს უზამ, ტოლი ან ამონილია საჭიროო. გენადიმ დაუყვირა, ეს გრანიტი კი არა ქვიშაქვაა, გეტყობა. ტყუილა იყავი ექსპედიციაში! და თუ ახლავე დავსხედით დასასვენებლად, უთუოდ გვაჯობებენო... კატია კი, რაწამს შეენაცვლნენ, კორომს იქით გაიქცა, რათა ენახა, როგორ მუშაობდნენ სხვა ბრიგადები. გენადიმ ისიც დაამუნათა: შენ იმიტომ შეგენაცვლნენ, დაგესვენა და არ გერბინა, თანაც თვალების ცეცება რად გვინდა, იფიქრებენ, ჩვენი ეშინიათო... ერთი სიტყვით ნამდვილი ბრიგადირი გამოდგა და მაგრად იცავდა წესრიგს.

ვასიას ბრიგადამ მაინც გაგვისწრო. ო, როგორ მედიდურობდნენ და ყოყოჩობდნენ, როცა ჩვენ გვერდით მიდიოდნენ. ფიმამ ისევ

დაიწყო მანქვა-გრეხვა, ბუქსირზე ხომ არ გამოგიბათო. ისე შეგვრცხვა, ლამის ნახევრად ამოთხრილ ორმოებში ჩავმძრვალიყავით! ამ დროს დაშა მოვიდა და, როცა გუნებაწამხდარნი გვნახა, გვითხრა, ეგ არაფერია, ორმოების ამოთხრა მიწაში უფრო ადვილია, ამიტომ ქვაქვიშაში ამოთხრილი ერთი ორმო სამს უდრისო. ჩვენც ისე შევებით საქმეს, წერაქვს მხოლოდ ღორღი მოჰყვებოდა ფრენა-ფრენით და ჩვენს უბანზე ორმოების ამოთხრა შეღამებულზე მოვათავეთ.

მეორე დღეს ვასიას ბრიგადას გავუსწარით, მაგრამ მათსავით სულაც არ გვიყოყლოჩნია, ისე ჩავუარეთ გვერდით, თითქოს ასეც იყო საჭირო. ახლა ისინი ეჭიდავებოდნენ ქვას, ჩვენ კი მიწიანი უბანი შეგვხვდა. გაგვიხარდა, მაგრამ თურმე ნაადრევად: მიწა მხოლოდ ზემოთ იყო, სამ მეოთხედზე, შემდეგ წვრილი ქვა მოდიოდა, ხოლო შემდეგ — მთლიანი ქვა. წერაქვით მისი მომტვრევა ძნელი იყო. გენადიმ პაშა ძია ფედიასთან გაგზავნა სოლებისა და ჩაქუჩების მოსატანად. სოლებს ბზარებში ვასობღით და შემდეგ მთელ ლოდებს ვტეხდით. ასე უფრო ჩქარა კეთდებოდა საქმე, მაგრამ მაინც ცოტა მოვასწარით.

საღამოს კოცონთან მოვიყარეთ თავი. დაშამ გამოაცხადა, ვინ რამდენი ორმო ამოთხარა. ვასიას ბრიგადას ჩვენთვის ორი ორმოთი ეჯობნა. გვაჯობებდნენ, მაშ, რა იქნებოდა. ჩვენ ხომ ისეთი სუსტი არსებები გვყავდნენ, როგორიც იყვნენ კატია და ლუბა, პაშა კიდევ ყოველ წუთს ისვენებდა. ვასიას ბრიგადაში კი მუშაობდა ილიუშა გრაჩეევი, სუსტი მხოლოდ ვასია უმცროსი ჰყავდათ.

ვასია უმცროსი თავის დეიდა ბელოკურიხასთან ცხოვრობდა. ახლახან გადავიდა მესამე კლასში და სულაც არ იყო „ველურებ ს“ ძმაკაცი, მაგრამ ვასია შჩერბატის კუდში დასდევდა. ყველაფერს უგონებდა. შჩერბატიც არ იშორებდა და გადიასავით უვლიდა.

გენადიმ თქვა, ჭიპზე რომ გავსკდეთ, იმათ უნდა ვაჯობოთო. ყველანი დავეთანხმეთ.

ვაჯობებდით კიდეც, თავმჯდომარეს რომ არ შეეშალა ხელი... მას, მამაჩემს და ახალგაზრდა ტექნიკოსს თეთრი და შავი მავთულის გორგლები, იზოლატორების გრძელი ასხმულები და კიდევ რაღა-

ცები მოჰქონდათ. მათ მოსვლამდე ცივი წვიმა დაიწყო და გადაულებლად ასხამდა. მიუხედავად ამისა, სულმოუთქმელად ვმუშაობდით. ბოლოს გავიყინეთ და ლილასავით გავლურჯდით. ტექნიკოსი პირდაპირ ტრასაზე მოაბიჯებდა და განაკაფებს, ორმოებს აშოწმებდა. ჩვენს დანახვაზე გაკვირვებით აძგერა წარბები, გზაზე გადაუხვია, სადაც საზიდარი მოდიოდა, და რაღაც უთხრა თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ შემოგვხედა და მოიღუშა.

— დაშა! — დაიყვირა მან. — რას ყინავ ამ ბავშვებს აქ? თქვენ კი რაზმო, ოთხთვალასკენ იარ!

ვყვიროდით, წინააღმდეგობას ვუწევდით, მაგრამ თავმჯდომარემ მაინც წაიყვანა კატია, ლუბა და ვასია უმცროსი, ჩვენ კი გვიბრძანა, საღამოს სოფელში დაბრუნდითო.

ახლა ვასიას ბრიგადამ მშვიდად გაგვისწრო კიდევ ერთი ორმოთი და ველარ ვნახეთ, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს კოლტუბელები და ჩვენები.

სამუშაოდ დარჩნენ მხოლოდ ჭაბუკები. მათ შეუერთდნენ მოწიფული კაცები, რადგან უკვე ყველაზე მძიმე სამუშაო იწყებოდა — ბოძები უნდა ჩაესოთ და მავთულები გაებათ. თავმჯდომარემ პატარებს იმ არემარეზე გამოჩენა აგვიკრძალა — ვინმე არ გაიქყლიტოსო. ამიტომ იძულებულნი გავხდით, სოფელში გვეთხარა ორმოები. ჩვენ შორიდანღა ვხედავდით, ბარჯებით და გრძელი სატაცებით როგორ მიათრევდნენ ბოძებს ორმოებამდე, ხის ვეება დოლებს როგორ ხსნიდნენ მავთულს, შლიდნენ და შემდეგ საყრდენებზე ჭიმავდნენ ბოძებს შორის.

ტექნიკოსმა ჯერ ქოხების კედლებზე გარეთ აღნიშნა, სად უნდა შესულიყო ელექტროზონარი, შემდეგ კი შიგნით ცარცით მონიშნა ელექტროგაყვანილობის ადგილები და ანტონის თანაშემწე საქმეს შეუდგა. პაშამ სულ მიატოვა ორმოების თხრა, სადენების შულოებით და გორგოლაჭების ასხმულებით დაიხუნძლა და კვალდაკვალ დასდევდა ანტონის თანაშემწეს, თავი ისე ეჭირა, თითქოს მთავარი ოსტატი იყო. ასე გახდა პაშა მონტიორი! ყოველ შემთხვევაში თავის ქოხში ელექტროსადენები თვითონ გაიყვანა, ანტონის თანაშემწე კი მხოლოდ თვალს ადევნებდა, არაფერი შეშლოდა.

აჰა, ბოძებზე უკვე თეთრად გამოჩნდა ხან თითო-თითო, ხან ორ-ორი საყრდენი, აზუზუნდა მავთულები. სოფლის შემოსას-

ველში ფიცარნაგზე მილაკებიანი შავი ტრანსფორმატორი დადგეს. ქოხებში, ჭერზე ყინულის ნატეხებივით კრთოდა ჯერჯეროებით ცივი, უსიცოცხლო ნათურები.

ტექნიკოსმა და ანტონმა ქოხებში ელექტროგაყვანილობა შეამოწმეს და ფეხით გაუყვნენ ტრასას, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა, აღგვითქვეს, სალამოს დავბრუნდებითო.

ოჰ, რა დიდხანს არ დგებოდა სალამო!

ქოხ-სამკითხველო მწვანე ტოტებით მოვრთეთ, ჩამოვკიდეთ პორტრეტები, მაგიდას ახალი სუფრა გადავაფარეთ, რომელიც თავჯდომარეს რაიონიდან ჩამოეტანა. მივრბოდით კატიას დედასთან, პაშასთან, გენადისთან, სადაც საჭმელებს აკეთებდნენ, მივქროდით სოფლის გარეთ, მზე კი ერთ ადგილს მიეწება და სულაც არ აპირებდა ჩასვლას.

სინათლე შვიდ საათზე უნდა ჩაერთოთ საზეიმოდ, მაგრამ ექვს საათზე დიდი და პატარა ქოხ-სამკითხველოში შეიკრიბა, სადაც მიტინგი უნდა გამართულიყო. ჩვენ ერთ ადგილზე ვერ ვისვენებდით, წამდაუწუმ გავრბოდით პარმალზე, მივქროდით სოფლის გარეთ, რომ გაგვეგო, მოდიოდნენ თუ არა სტუმრები, თანაც მოგვესმინა, რარიგ ხმიერად და მხიარულად მღეროდნენ ქარში მავთულები. ბოლოს გამოჩნდნენ: ანტონი თავის ბაიანითურთ, კორჟოვი, ლაპშინი, აყლაყუდა ტექნიკოსი, კოლტუბელი ქალ-ვაჟები, რომლებიც ელექტროხაზის გაყვანაზე გვეხმარებოდნენ. ყველა ნავთის ლამპის მკრთალ შუქზე დასხდა, კედლებზე გუშაგებივით გაიწვართნენ გრძელი ჩრდილები.

ანტონმა საათი მოიხსნა და წინ დაიდო:

— სადგურის საათთან შევამოწმე. ათი წუთი დარჩა... მოდი ვისაუბროთ, დუმილობანა ხომ არ ვითამაშოთ?

ყველას მორცხვად გაეღიმა, მაგრამ საუბარი ვერ გაიბა, კიდევ უფრო მეტი სიწყნარე ჩამოდგა.

საათის ისრებს მხოლოდ მაგიდასთან მსხდომნი თუ დაინახავდნენ, მაგრამ მას სუყველა თვალმოუშორებლად მისჩერებოდა, თითქოს სწორედ იქ უნდა ანთებულიყო სინათლე, რომელსაც ერთიანად დაძაბულნი ველოდით.

— აბა, ამხანაგებო... — თქვა კორჟოვმა და ხელი ასწია.

ინაკენ წუთს ჭერქვეშ აინთო და თვალები მოგვკვეთა დამაბრმავებელმა სინათლემ. ქოხს კვნესამ თუ ოხვრამ გადაუარა, ყველა ალაპარაკდა. რაღაცნაირად ნეტარებით გაიცინეს და ყურთასმენის წამლები ტაში დასცხეს. ვის ვუკრავდით ტაშს? მაღლიდან გადმოფრქვეულ სინათლეს. კოლტუბელებს. რომლებიც ჩვენზე ნაკლებად როდი იყვნენ ბედნიერნი და ასევე უკრავდნენ ტაშს, თუ იმას. ვინც ჩვენთან არ იყო და მაინც იყო, ვისაც კედელზე დაკიდებულ სურათზე ალერსიანად მოეჭუტა თვალი, ჩვენს სიხარულს ულიმოდა და ჩვენთან ერთად ხარობდა?.. ასეც იყო, ვინაიდან ყველა იმ პორტრეტებსკენ შებრუნდა, რაღაცას ამბობდნენ და გაშმაგებით უკრავდნენ ტაშს...

თავმჯდომარემ ცალი ხელი ასწია, შემდეგ მეორე, შემდეგ ორივე ერთად და ბოლოს ცოტათი შეანელა ხმაური.

— ამხანაგებო! ნება მომეცით ჩვენი საზეიმო მიტინგი... — დაიწყო, მაგრამ ვიღამ დააცალა. უკან ხალხი ამოძრავდა. უცებ ყველა ერთად მისცვივდა კარს, ერთმანეთს უბიძგებდნენ, ახტებოდნენ მერხებს, შემდეგ ყოველი მათგანი კისრისტეხით გაექცა ქოხსკენ და ქოხებიც ზედიზედ ნათდებოდნენ, მოღადღადე ფანჯრის ჩარჩოებით კვეთდნენ შემოდგომის ღამის ცივ სიბნელეს.

ჩვენთან ბნელოდა! მეც გავიქეცი შინ. აკანკალებული ხელებით მოვძებნე ამომრთველი და მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე... კარებში იდგნენ თეთრ შუქში გახვეული ჩემს კვალდაკვალ გამოქცეული დედა და მამა. სონია სიხარულისგან ჭყიოდა და ჭერზე ჩამოკიდებულ პატარა მზისკენ მიიწევდა...

ხალხი ნელ-ნელა ისევ შეიკრიბა ქოხ-სამკითხველოსთან, თავმჯდომარე ამაოდ სთხოვდა მათ, შენობაში შემოდითო. ყველა პარმაღთან იჭუჭკებოდა, თითქოს ეშინოდათ, რომ შევიდეთ, სინათლე არ ჩაქრესო.

— ფროლოვ, მაშ, აქ ჩავატაროთ მიტინგი, — უთხრა პარმაღზე გამოსულმა კორჟოვმა ჩვენს თავმჯდომარეს. — უფრო თვალსაჩინო იქნება.

სხვებივით მეც ვუკრავდი ტაშს ორატორებს, თუმცა ყველაფერს ვერ ვიგებდი, არც მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. მხოლოდ ყველაზე ბოლოს გამოსული ძია ფედიას სიტყვა დამამახსოვრდა:

— ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ საბჭოთა ქვეყნის განაპირას,

ცხრას მთას იქით ვცხოვრობთ, მაგრამ აქაც ცხოვრების ფერხულ-ში ვართ ჩაბმულნი, ვიხაიდან ისევე, როგორც ყველგან, ყოველ ჩვენგანს ერთი მიზანი აქვს და ერთი რამისკენ ისწრაფვის. ესაა ადამიანის ბედნიერება... რა გითხრათ! ჩვენ დნეპრჰესი არ აგვი-შენებია... მაგრამ შეხედეთ ამ სინათლეებს. რაზე მეტყველებენ ისინი? იმაზე, რომ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით და ეს სინათლე დედამიწაზე ცხოვრების გზას, უკეთესი ცხოვრების გზას გვინა-თებს!..

შემდეგ დიდხანს ისმოდა ბაიანების ხალისიანი რაკრაკი, ხალხის მხიარული ჟივილ-ხივილი, ანა ტრეგუბოვას შაირებიც კი ამაღელ-ვებელ და მშვენიერ სიმღერებად მეჩვენებოდა.

ტიქას სინათლე დაჰნათოდა და ამ სინათლეზე მქრქალდებოდა, სიცივით გათანგულ ცის თავანზე იკარგებოდა აგვისტოს დიდრონი ვარსკვლავები.

პირველი დღე

რატომ ხდება ასე? რაც უფრო იწურება სასწავლო წელი, სულ უფრო ფიქრობ: ნეტა ჩქარა დამთავრდეს, ჩქარა მოვიშორო წიგ-ნები, დავივიწყო გაკვეთილები, საშინაო დავალებები და სეირნი-ბით გული ვიჯეროო. მაგრამ გაივლის ორი-სამი კვირა და, თუმცა სეირნობა არ მოგწყენია, გენატრება სკოლა, გაკვეთილები, ხმაური-ანი დასვენებები, ზარის ხმა, ნაწერით გადაჭრელებული, გვ-რიანად დაკაწრული, მაგრამ ძალიან მოხერხებული შენი მერხ მიმზიდველი პიონერული შეკრებები და საკლასო წერის დროს ჩ-მომდგარი დაძაბული სიჩუმე... ჰოდა, ახლა უფრო და უფრო გვიპ-ყრობდა მოუთმენლობა, მე სულ უფრო ხშირად ვფურცლავდ-მაგიდის კალენდარს, ვითვლიდი დარჩენილ დღეებს. ხოლო როცა პირველი სექტემბერი დადგა, ჩვენ დილაუთენია წავედით კოლ-ტუბში.

ჯერ ელექტროსადგურში ანტონთან გავიქეცით.

მზე ისევ ბრწყინავს ტბორის სარკეში, თვალებს გვტკენს. რამ-დენიმე დღის წინათ წვიმდა, წყლის დონე აიწია და კაშხალია თხემს მისწვდა. კაშხალის მოშორებით წყალი სრულიად უძრავი

ჩანს — არც ტალღებია, არც ჭავლი, — თითქოს მინისაგან, მაგრამ იგი მოძრაობს მთლიანად, მთელი თავისი სარკით. კაშხალის ახლოს ეს მოძრაობა უფრო ჩქარდება, ვიდრე სარკე წყალსაგდებზე მდორე, თითქოსდა გასლიპინებულ ჩანჩქერად არ იქცევა. აქ სარკე იმსხვრევა. წყალი ხმაურით ეცემა ძირს და ქაფქაფით, ღრიალით მიქრის ტიუასკენ.

ანტონს ხმაური სულაც არ უშლის ხელს. თითქოს აქ არაფერიო, უსტვენს და ყუთებს ხსნის. უკვე მეორე ტურბინი და გენერატორი ჩამოუტანიათ.

— ოჰ, არწივებო, მოფრინდით! — გვითხრა ჩვენ. — როგორაა საქმე? სკოლაში მიდიხართ?..

ელაპარაკობთ ათას რამეზე, ველოდებით, ყუთიდან როდის გამოჩნდება ტურბინის გარსაცმი და ლაქითა და წითელი სპილენძით აბზინებული შავი გენერატორი. შემდეგ სკოლისკენ მივრბივართ.

შესასვლელთან წითელი ტილო ჰკიდია, რომელსაც აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“! ეს, რა თქმა უნდა მარია მასწავლებლის, ჩვენი პიონერხელმძღვანელის დაწერილია. ლოზუნგების ასე გულდასმით და ლამაზად წერა მასავით არავის შეუძლია. აგერ თვითონაც გამოჩნდა! ალერსიანად გვიქნევს ხელს კლასის ფანჯრიდან.

— გამარჯობათ, ყმაწვილებო! გილოცავთ სწავლის დაწყებას! აქეთ წამოდით... ო, როგორ გაზრდილხართ! — გვეუბნება თვალებგაფართოებული მოღიმარი მარია მასწავლებელი. — აბა, ერთი დამენახვეთ...

თვითონ სულაც არ გამოცვლილა. იგივე შავი სარაფანი და თეთრი ზედატანი აცვია, სქელი ქერა თქმა ისევ ისე მაღალი გვირგვინივით შემოუხვევია თავზე, იგივე ხალისჩამდგარი თვალები და ლოყებზე დაჩნეული სასაცილო ფოსოები აქვს, ისევ ისეთი გამხდარი და სხარტია.

მარია მასწავლებელი ხალისიანად გვიჩუჩხურებს, გვეკითხება, იმავე დროს თავის საქმეს აკეთებს — რაფებზე და მასწავლებლის მაგიდაზე ყვავილებს დგამს. მას ეხმარება სკოლის დარაჯი დეიდა ჰელაგია. ჩვენი ყველაზე დიდი მჩაგვრელი (ცელქობისთვის ყველაზე მეტად მისგან გვხვდებოდა) და ყოველთვის ჩვენი მხსნელი (აბა, ვინ გაკერავდა შესვენებისას რატომღაც გახეულ პერანგს?).

ჩვენც ვეხმარებით, ეოთი კალისიდან მეორეში შევდივართ და, რა თქმა უნდა, ჩვენს ამბავს არეულ-დარეულად და უთავბოლოდ ვყვებით.

— იცით, რა გითხრათ! — გვეუბნება მარია მასწავლებელი. — გაკვეთილების შემდეგ ყველაფერი დალაგებულად მომიყევით. ახლა, სულ ერთია, ვერ მოასწრებთ, აგერ ბავშვები უკვე მოდიან...

სკოლის ეზოში მართლაც ჟრიამული დგას, მიწაზე ზაპანით ეცემა ფრენბურთის ბურთი.

მერედა რამდენი ყვავილი მოიტანეს ბავშვებმა! თითქმის ყველა გოგონას მთელი ხელეური ეჭირა და ახლა არა თუ ფანჯრებსა და მაგიდებზე, მერხებზეც ალისფრად, ლურჯად კიანთობს შემოდგომის ხასხასა ყვავილები.

მოვიდნენ მოსწავლეებიცა და მშობლებიც. მშობლებმა მოიყვანეს პატარები, რომლებიც პირველად მიუსხდებიან დღეს მერხებს. პატარები მორცხვობენ, ცდილობენ მკაცრად, დინჯად გამოიყურებოდნენ, მაგრამ სიმკაცრე რას ჰქვია, როცა სახე სიხარულით განათებიათ, იმით გაამაყებულებს და კმაყოფილებს, რომ თვითონაც მოსწავლეები გახდნენ, პირი ყურებამდე გახსნიათ.

პარმაღზე გამოდის დეიდა პელაგია, ხელს მაღლა სწევს და სკოლის ეზოს ედება ასე ნაცნობი და დიდი ხნის ნანატრი ზარის ხმა. ბავშვების მთელი ჯგრო პარმაღზე მიბაკუნობს და ჟივილ-ხივილით გარბის კარისკენ.

— წყნარად, თქვე ალქაჯებო! — მწყრალად ყვირის დეიდა პელაგია, მაგრამ სახეზე სულაც არ ეტყობა სიმკაცრე და, თუ შეკმუხვნია, მარტო იმიტომ კი არა, რომ მზე პირდაპირ თვალებში უკენტინებს, კეთილი ღიმილი ასახვია ზედ. მასაც მოენატრა ეს ყაჩაღანები.

— ბავშვებო! ბავშვებო! — ისმის მარია მასწავლებლის ხმა. — ჯერ პირველკლასელები შემოუშვით! დღეს, უპირველეს ყოვლისა. მათი ზეიმია...

პირველკლასელები შემცბარი, ვაყუჩებულ რემასავით ადიან პარმაღზე, ჩვენ კი საპატიო ყარაულივით მდუმარედ ვდგავართ. მათ შემდეგ ჩვენ ავდივართ მაღლა და ჩვენს კლასში შევდივართ.

კლასი ხელახლაა შეთეთრებული, დაფასა და მერხებს ახალი საღებავის სუნი ასდის და უცხო ოთახი გგონია. მაგრამ ეს ხომ

იგივე. ჩვენი კლასია! აი, დაფას. თუმცა სადებავი წაუსვამთ, კვლავ ეგზავნება ღობა ხაკაური (ერთხელ მე ძაგარი ცარცი შემხვდა და დაფაზე ეთობ მონდომებით გავავლე ხაზი). ჩვენს მერხზე კი გენადიმ ჯერ კიდევ მეხუთე კლასში სამელნეს ჩასადგმელის გვერდით თვითმფრინავი ამოკრა. მართალია, თვითმფრინავი გადაღებილია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ცხვირი აუწევია და სადღაც ისწრაფვის.

დარბაზში სიწყნარე ისადგურებს. დერეფანში ფეხის ხმა ისმის — პედაგოგები თავთავიანთ კლასებში შედიან. აფორიაქებულნი ვართ, მაგრამ ჩვენც ვწყნარდებით და დაძაბულად ველით საველი მასწავლებელს. დღეს პირველი გაკვეთილი მისი გვაქვს.

მასწავლებელი შემოდის, თვალმოჭუტული ათვალიერებს კლასს და ხმადაბლა გვეუბნება:

— გამარჯობათ, ბავშვებო!

— გაგიმარჯოთ!.. — ვპეკავთ პასუხად.

მასწავლებელი ჟურნალს ამოწმებს, შემდეგ წაწვეტებულ ჭაღარა წვერზე ხელს ისვამს, ღია ფანჯარაში ნახევარი წუთი მდუმარედ გასცქერის ტაიგას, შემდეგ ჩვენ გვავლებს მზერას და გვეუბნება:

— ჩვენ სსრკ-ის გეოგრაფიას შევისწავლით. რა არის გეოგრაფია საერთოდ, თქვენ იცით. ესაა დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება, დედამიწისმცოდნეობა. ასეთი იყო იგი და ასეთივე დარჩა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგრამ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფია სრულიად განსაკუთრებული გეოგრაფიაა. ზღაპრები გიყვართ?.. — გვკითხა მოულოდნელად.

ყველა უხერხულად იშმუშნება. შემცბარი ილიმება მის შემოხედვაზე. ჩენ ხომ პატარები ალარა ვართ?

— გგონიათ, ძალიან დიდები ხართ და ალარ უნდა გიყვარდეთ? — ილიმება მასწავლებელი. — მე თქვენზე ცოტათი უფროსი ვარ. მაგრამ ზღაპრები ძალიან მიყვარს და ამის თქმა არ მრცხვენია... ბავშვებს ძალიან უყვართ ზღაპრები, ზღაპრებს კი ბავშვები არ ქმნიდნენ, არც მათთვის ქმნიდნენ. დიდები ქმნიდნენ დიდებისთვის. ოდესღაც, დიდი, დიდი ხნის წინათ ადამიანი სუსტი და უმწეო იყო. ბუნების უძლეველ ძალებს ვერაფრით ებრძოდა და ქმნიდა ზღაპრებს, მითებს გოლიათებზე, გმირებზე, უჩვეულო გმირობასა და სასწაულებზე... თქვენ იცით ზღაპრები: ვასილისა

ბრძენთა ბრძენზე, შფრინავ ხალიჩაზე, გოლიათებზე, მთებს რომ ანგრევენ და ზღვებს სვამენ, ჯადოსნურ მშენებლებსა და ძოძკლებზე... მაგრამ ისინი სანუგეშოდ და თავშესაქცევად კი არ იქმნებოდა! ადამიანი ზღაპრებში ოცნებობდა იმაზე, რის გაკეთებაც ჯერჯერობით არ შეეძლო, მაგრამ რასაც ესწრაფვოდა. ოცნება წინ უბიძგებდა, აიძულებდა, ეშრომა, ეძებნა, ესწავლა, რათა თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა...

გეოგრაფია დაგეხმარებათ შეიცნოთ და შეიყვაროთ სამშობლო. შეიყვაროთ არა მარტო იმიტომ, რომ აქ ცხოვრობთ, საკუთარ ქვეყანას შეეჩვიეთ, რომ იგი მშვენიერია და მდიდარი, არც მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ხალხი შრომისმოყვარეა, ნიჭიერი და კეთილი, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენი სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც კაცობრიობის საუკეთესო ოცნებები ხორციელდება!

ზღაპრებში ადამიანებს გამოჰყავდათ მთიბლები, რომლებიც ერთ ღამეში იღებდნენ მოსავალს. ჩვენი კოლმეურნეები ტოლს არ უდებენ ამ მთიბლებს — დღეში ათი ათასობით ძნას კრავენ, ხოლო კომბაინერები არა თუ იღებენ, მაშინვე ლეწავენ პურს.

ზღაპრებში მშენებლები ერთ ღამეში აგებდნენ სასახლეებს. უკრაინაში კი ცხოვრობს კალატოზი ივან რახმანინი, რომელიც თავის ბრიგადასთან ერთად ერთ ცვლაში დიდ სახლს აშენებს. მისთანა კალატოზები ბევრია ჩვენს ქვეყანაში.

ბრძენთა ბრძენ ვასილისას სიზმრადაც არ მოელანდებოდა იმდენი ქსოვილი, რამდენსაც ჩვენი ფეიქრები ქსოვენ.

წინათ ციმბირელები ნაღვლიანად ხუმრობდნენ ხოლმე — კიტრი ჩვენი ვაშლიაო. ასეც იყო, ვინაიდან ვაშლი ჩვენთან არ ხარობდა და კიტრი იყო ერთადერთი პირის ჩასატკბარუნებელი. ახლა მთელ ციმბირში შენდება ხეხილის ბაღები. ჩვენთან, ალტაიშიც გაჩნდა წინათ არნახული ბაღები. ონგუდაის მკვიდრი მებაღე ბაბინი და სოფელ ანოსის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მებაღე ვორონკოვი ახარებს ვაშლებს. მსხლებს, ალუბლებს. განა მარტო ჩვენთანაა ასე! პოლარული წრის იქით, სადაც ხავსისა და ხავსურების გარდა არაფერი ხარობდა, ახლა ბოსტნეული მოჰყავთ.

ზღაპრებში დევგმირები მთებს ძრავდნენ და აქეთ-იქით სწევდნენ. ჩვენს ინჟინრებს შეუძლიათ მათი აფეთქება ისე, რომ აფეთ-

ქებ-ს შედეგად ამოსროლილი მიწა თავისთავად ლაგდება საჭირო სიდიდისა და ფორმის მიწაყრილად.

ზღაპრული გოლიათები ხელით ქვას წურავდნენ და მას წყალს ადენდნენ, მაგრამ განა ჩვენ შეგვედრებიან! უზბეკეთში საბჭოთა ადამიანებმა უნაყოფო უდაბნო, რომელსაც მშიერ ტრამალს ეძახდნენ, არა მარტო დაარწყულეს, აყვავებულ ბაღად აქციეს.

ასეა ყველგან და ყველაფერში. ადამიანი შეიცვალა, როცა თავისუფალი, საბჭოთა ადამიანი გახდა, და თვითონ უცვლის სახეს დედამიწას.

აი, ამიტომ სსრკ-ის გეოგრაფია სრულიად განსაკუთრებული გეოგრაფიაა. მეცნიერება არა მარტო დედამიწის შესახებ, არამედ იმის შესახებაც. თუ რა საუცხოოდ გარდაქმნის დედამიწას საბჭოთა ადამიანი...

თვალი გადავავლე კლასს: გენადი წინ გადაწეულა, კატიას მუშტებზე დაუყრდნია ნიკაპი და თვალებდაჭყეტილი მისჩერებია მასწავლებელს, სხვებსაც სუნთქვა შეუკრავთ.

ლამის შესვენება დაგვავიწყდა, გვინდა სულ ვისხდეთ და ვუსმინოთ მასწავლებელს, მაგრმ ზარის ხმა ისმის და მასწავლებელი გარეთ გვერეკება.

ადრე ნეტავ რატომ გვეშინოდა გეოგრაფიის მასწავლებლისა? სულაც არ ყოფილა საშინელი! მისი მოჭუტული თვალები მკაცრი გვეჩვენება, მაგრამ თვალებს იქნებ იმისთვის ჭუტავს, რომ მათში დასადგურებული სიკეთე დამალოს?..

შემდეგ გვაქვს გეომეტრია, ფიზიკა. ამ გაკვეთილებზეც სულ ახალ-ახალ ამბებს ვიგებთ, მაგრამ მთელი დღე მაინც გეოგრაფიის გაკვეთილი მიტრიალებს გონებაში.

გეოგრაფია ყოველთვის მიყვარდა, ახლა კი ყველა მეცნიერებაზე მშვენიერი მგონია და მტკიცედ გადავწყვიტე, არათუ ორიანები, ოთხიანებიც არ მყავდეს ამ საგანში.

მეცადინეობა დამთავრდა, მაგრამ შინ წასვლა არავის უნდა. დეიდა ჰელაგია გარეთ გვაძევებს, კლასი უნდა დავალაგოო. პარმაღზე ვსხდებით და მარია მასწავლებლს ველოდებით. ისიც მალე გამოჩნდა.

— რას უსხედხართ აქ? — გვეკითხება იგი. — წავიდეთ ტბორზე!.. და მომიყევით როგორც ცხოვრობდით უჩემოდ.

ჩვენ თხოვნა არ გვჭირდება. უამისოდაც ერთი სული გვაქვს, ვუამბოთ ლაშქრობის, ძია მიშას, ანტონის, სანდროს შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გაგვყავდა ელექტროხაზი. გვინდა უცებ მოვუყვეთ ყველაფერი...

ახლა რატომღაც განსაკუთრებულად თავისუფლად და შინაურულად გვიჭირავს თავი მარია მასწავლებელთან. ის სკოლაში მაშინ მოვიდა, როცა ჩვენ მეექვსე კლასში გადავედით. რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა და მალე უფროსი პიონერხელმძღვანელი გახდა. მასთან ყოფნა ყოველთვის საინტერესო იყო, მასთან ყოველთვის მხიარულად ვიყავით, მაგრამ ასე კარგად და შინაურულად არასდროს არ გვიგრძნია თავი, როგორც ამ წუთში. იქნებ წინათ უფრო მკაცრი და ასაკოვანი გვეჩვენებოდა? მერედა ახლა ხომ არ გაახალგაზრდავებულა?.. იქნებ ის კი არა, ჩვენ შევიცვალეთ? ჩვენ ხომ გავიზარდეთ...

კატია ბიისკის შესახებ ეკითხება, მაგრამ მარია მასწავლებელი თურმე ნოვოსიბირსკში ყოფილა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ძალიან უყვარს ეს ქალაქი და გული სწყდება, როცა იქიდან მოდის.

— მაშ, უკან რატომღა არ ბრუნდებით? — უკვირს გენადის.

მასწავლებელი წინ იყურება და კითხვითვე პასუხობს:

— უკან? არა, არ მინდა!.. აბა. შეხედეთ რა სილამაზეა აქ!..

მაღლა თვალმიუწვდომი გამჭვირვალე ცაა. შორეულ სივრცეს მტრედისფერი ფოშფოში გადაეკრა. ტბის შუაგული მზეზე ბრწყინავს და ელვარებს, დაჩრდილულ ნაპირებთან კი ქვევით გადახრილან და თავიანთი გამოსახულებების ცქერით ვერ ძღებიან მახლობელი ქედები. იქ სოჭებისა და ნაძვების შუქზე მუქ სიმწვანეში შემოდგომის ხანძარს შეუღწევია და ვერხვებს და არყის ხეებს მოსდებია.

— მთავარი მარტო აქაურობის სილამაზე როდია... როგორ მივატოვო სკოლა, ჩემი სამუშაო? ვსწავლობდი და ვოცნებობდი, გეგმებს ვადგენდი, როგორ მეცხოვრა. როგორ მესწავლა ბავშვებისათვის. მინდოდა, სასწრაფოდ დამემთავრებინა ინსტიტუტი, რომ ჩემი გეგმები განმეხორციელებინა. დავამთავრე ინსტიტუტი, აქ ჩამოვედი და თურმე ცხოვრებაში ყველაფერი უფრო რთული, ძნელი და საინტერესო ყოფილა. ინსტიტუტში მჯეროდა, თითქოს

ჩემს სამუშაოს ვიცნობდი და წინასწარ მიყვარდა. მაგრამ იგი, სკოლა, მოსწავლეები მხოლოდ აქ შემიყვარდა... და მათ აღარასოდეს მივატოვებ. თუმცაღა ძნელია, ძალზე ძნელია თქვენთან ურთიერთობა. ახლა შემიძლია ეს გითხრათ, რადგან უკვე დიდები ხართ. რამდენი დრო, ძალა იხარჯება ამაოდ თქვენს ანცობასთან, სიზარმაცესთან, გულგრილობასთან ბრძოლაში! მასწავლებელი ემზადება გაკვეთილებისთვის, ღელავს, ფიქრობს, თქვენც გზნება გეუფლებათ, მაგრამ კლასში უთუოდ გამოჩნდება რომელიმე ზარმაცი, რომელიც უწყინრად, უაზროდ შემოგყურებს და მისი ფიქრები სხვაგან ქრის... ვინ იცის, რაზე ფიქრობს?.. მეორე მერხში იქექება და მხოლოდ იმაზე უჭირავს თვალ-ყური, არ შევამჩნიო... პირველად მინდოდა ყველაფერი მიმეტოვებინა და წავსულიყავი, გავქცეულიყავი, რომ ეს გულგრილი თვალები არ დამენახა.

მასწავლებელს მთელი ამ თავისი სიტყვის ნახევარი ექნებოდა ნათქვამი, რომ პაშა უცებ ისე დააინტერესა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივმა ტოტმა, თითქოს რაღაც საუნჯე აღმოეჩინოს. იგი გაწითლდა და თქვა:

— აღარ ვიზამ!

— რას აღარ იზამ?

— გაკვეთილებზე ჯოხებს არ გავთლი...

— კარგია! — გაეცინა მარია მასწავლებელს. — ოღონდ ახლა ხელს რომ არ შემიშლით, ეს ცოტას ნიშნავს. უნდა დამეხმაროთ...

— აბა, როგორ? — ჰკითხა კატიამ. — ჩვენ ხომ არ შეგვიძლია დაგეხმაროთ.

— სწორედაც შეგიძლიათ. უკვე დიდები ხართ და გავლენა უნდა იქონიოთ პატარებზე... აი, ჩვენი სკოლის ეზო: სუფთაა, მაგრამ ცარიელი, მოშიშვლებული, რომ ისურვოთ, ყვავილებზე დასხდებით... საველი მასწავლებელმა თქვა, კარგი იქნება რამდენიმე მერხი გაგვეკეთებინა, ხეები დაგვერგოო... თქვენც ხომ გესიამოვნებათ, როცა სკოლის ირგვლივ მიდამო უდაბური აღარ იქნება და გადამწვანდება..

— ამას კი გავაკეთებთ! — წამოეხტო გენადი.

მართლაც გავაკეთეთ. პიონერთა შეკრებაზე საქმე გავინაწილეთ და შემდეგ მთელი ეზო ერთ დღეში ავავსეთ ნარგავებით. ხარგა-

ვების მოსატანად ხომ შორს არ გვჭირდებოდა წასვლა — ქედები ორ ნაბიჯზე იყო.

თითოეულ კლასს თავისი ნაკვეთი გამოეყო და იქ ხეები კიდევაც უნდა დაერგოთ და კიდევაც მოევლოთ. პატარები ყოველდღე ისე ბეჯითად რწყავდნენ ბუჩქებს, მათ გარშემო სულ ჯუბეები იდგა. გეოგრაფიის მასწავლებელმა ბოლოს აკრძალა ასეთი მორწყვა: ხეები დახმება, ესენი ხომ ჭაობის ბალახი არაა!

აი, სწორედ მაშინ გაახსენდა გენადის, ძია მიშამ რომ გვირჩია, ტიქაში ხეები დარგეთო. მივედით დაშასთან. ელექტროხაზის გაყვანის შემდეგ დაშა ისევ ჩვენი „სამუშაოთა მწარმოებელი" იყო, ყველაფერს მას ვეთათბირებოდით.

დაშას ჩვენი განზრახვა მოეწონა. ოცნებით თქვა, კარგი იქნებოდა ხეები მარტო ქუჩაში კი არა, უფრო შორსაც დაგვერგო — ქოხ-სამკითხველოდან სოფლის განაკიდემდე, რომ კულტურის პარკის მაგვარი რამ გვქონოდაო. მაგრამ ამ საქმეს მარტო ვერ მოვერეოდით, ყველა უნდა ჩაგვება მუშაობაში. ვინც დარგავდა, აღარ გადატეხავდა. ერთი სიტყვით, საჭირო იყო გამგეობაში დაგვესვა საკითხი, რადგან ეს საქმე მთელ კოლმეურნეობას ეხებოდა.

ხეების დარგვის გეგმაზე დაშამ გამგეობას უამბო.

— ოჰო, ეგ რა მოუფიქრებიათ! ტაიგაში ტყე გავაშენოთ!.. — გაეცინა პაშას მამას. მაგრამ ამ დროს საუბარში მოულოდნელად ძია ზახარი ჩაერია:

— ტყუილად ამბობ ამას, ანისიმ... ხეები ტაიგაშიც უნდა დაერგოთ. ტაიგა რაღაა? გრიგალის მიერ დალეწილი. ნახანძრალი. ულრანი ტყე. ტაიგაში ტყე კი არ იზრდება, იტანჯება. რითია ცუდი, თუ ქუჩაში არყის ხეები დაირგვება? ჩვენი ქოხები ისე ჩანს, როგორც კუნძი ბექობზე. ჰოდა, აქ სასაცილო არაფერია.

ძია ფედიამ თქვა, სასაცილო მართლაც არაფერია. კოლმეურნეობამ კარგ ინიციატივას მხარი უნდა დაუჭიროსო.

— რაო, ამაზე შრომადღეები უნდა გამოვწეროთ? — იკითხა თავმჯდომარემ.

შრომადღეები არ გვჭირდება. — შეესიტყვა დაშა. — ამას ნებაყოფლობით, თავისუფალ დროს გავაკეთებთ. ოღონდ ცხენები უნდა გამოგვიყონ და საქმე [illegible]ეაწყოთ, ყველა კოლმეურნე მონაწილეობდეს სოფლის გამწვანებაში.

— ცხენები ჩვენ მოცლილი არ გვყავს, — მოუჭრა თავმჯდომარემ. — ხოლო მუშაობაში ვინც გინდათ, ის ჩააბით. გასაგებია? შენ კიდევ, დაშა, თუ ღმერთი გწამს, ბავშვების ოინებს ნუ აჰყვები...

— მოიცა, — სიტყვა ჩამოართვა ძია ფედიამ. — სწორია, მოცლილი ცხენები არ გვყავს. ჰოდა, თუ უარს ვეტყვით, ყველაფერი თითქოსდა წესისა და რიგისამებრ იქნება. ხოლო თუ ამ საქმეს კაცურად არ მივუდგებით, არასწორად მოვიქცევით. ადრინდელმა ცხოვრებამ სიბეცე გამოგვაყოლა, ჩვენს ფეხებთან ვიცქირებით. საჭირო კია თავი ავწიოთ და შორს გავიხედოთ. მიწას ჩვენ ბოლოდ ვართმევთ ყოველივეს, მოვითხოვთ მისგან. ახლა კი დროა მის გამშვენიერებაზეც ვიფიქროთ, რადგან ეს ჩვენი ცხოვრების გამშვენიერებას ნიშნავს. შენ ამბობ, ბავშვებიო. რა თქმა უნდა, პატარები არიან. მაგრამ მათ მერმისს უნდა იცხოვრონ და ამ მერმ-ს უშიშრად უყურებენ... ბავშვებიც არიან დაა იმავე დროს თითქოსდა პატარა მოქალაქენიც. ამიტომაც სურთ ყოველ საქმეში მიიღონ მონაწილეობა და მათთვის ზურგის შექცევა არ ივარგებს. უნდა გვიხაროდეს, რომ ასე მოუთმენლად იღვწიან მომავალი ცხოვრებისთვის!..

თავმჯდომარე ბოლოს და ბოლოს დათანხმდა.

გადაწყვიტეს, შეექმნათ „მწვანე შტაბი“ ძია ფედიას, ძია ზახარისა და, რა თქმა უნდა, დაშას შემადგენლობით.

საღამოს, როცა ქალ-ვაჟები ჩვეულებისამებრ სასეირნოდ შეიკრიბნენ, დაშამ მათ „მწვანე შტაბის“ შესახებ უამბო და შესთავაზა, ამ საქმეში თქვენც მიიღეთ მონაწილეობაო. პირველად სუყველას სიცილი აუტყდა, ხოლო, როცა დაშამ თქვა, ქოხ-სამკითხველოსთან საცეკვაო მოედნის ირგვლივ რომ ხეებს დავრგავთ და კორომში მერხებს დავდგამთ, ნუთუ უკეთესი არ იქნება საკუთარ პარკში სეირნობა, ვიდრე ძელების გვერდით საძოვარზეო, ანამ პირველმა დაიყვირა, თანახმა ვარო...

და აი, ისევ დადგა დრო. როცა კვლავ ერთად შევუდექით საერთო საქმეს.

ქუჩის ბრიგადამ, რომელშიც ვასია შჩერბატიც შედიოდა, მუშაობა გამგეობის შენობიდან დაიწყო. პირველი ორმო რომ ამოვიღეთ და თავმჯდომარე დასახედად მოვიდა, მან ვერ მოითმინა,

ვასია უმცროსს ბარი გამოართვა და თვითონ დაიწყო მეორე ორმოს ამოთხრა. შემდეგ საქმეში ჩაერთო პაშას მამაც, — შემდეგ — დეიდა მარია და მამაჩემიც.

ერთ კვირადღეს, რა თქმა უნდა, საქმე ვერ დავამთავრეთ, უდაბური ადგილი გვარიანად დიდი აღმოჩნდა და გაკვეთილების შემდეგ კიდევ ორ დღეს ვიმუშავეთ.

შემდეგ ჩვენ მრისხანით, ხოლო ქუჩის ბრიგადამ ვარსკვლავათი არყნარიდან ნერგები გადმოვზიდეთ და მაშინვე შევუდექით დარგვას.

დიდი ჯაფა დაადგა ძია ფედიას და ძია ზახარს: ისინი თვალყურს გვადევნებდნენ, რომ ხეები კარგად დაგვერგო, საჭირო სიღრმეზეც ჩაგვეფლო, ფესვები არ გაგვექელა, თორემ მთელი შრომა წყალში ჩაიყრებოდა. ქოხ-სამკითხველოსკენ მიმავალ ბილიკს ჩემი სიმაღლე ნაძვები გავაყოლეთ და მაშინვე ნათელი გახდა, რა ლამაზი იქნებოდა აქაურობა, როცა არა მარტო ნაძვები, სხვა ხეებიც ამწვანდებოდა. თუმცა ახლა აქ მხოლოდ მოშავო, თითქოსდა ნამზეური არყის ხის უფოთლო წნელები იყო ჩარგული, ვხედავდი, მომავალში როგორ ხალისიანად აშრიალდებოდა მათი ფოთლები და მოშავო წნელები უფრო და უფრო ღია ფერისა გახდებოდნენ, ვიდრე ნაზ თეთრ არყის ხეებად არ იქცეოდნენ.

თავმჯდომარემ თქვა, ვინც მუშაობაში თავი გამოიჩინა, მათზე კედლის გაზეთში დავწეროთო.

დაშამ მიუგო, ყველაზე უნდა დავწეროთ, რადგან ყველა კარგად მუშაობდა და ბრიგადები ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენო. გენადიმ ვერ მოითმინა, ჩვენ კედლის გაზეთში გამოსაწერად არ გვიმუშავია, მაგრამ, თუ მართალს ვიტყვით, სხვებთან შედარებით ოცდაბუთ ხეზე მეტი დავრგეთო.

— ტყუი! — იყვირა ფიმამ.

— დათვალე, — მშვიდად მიუგო გენადიმ.

ვასიას ჭარხალივით აუწითლდა ყურები.

დაშამ ნარგავები დათვალა და, რა თქმა უნდა, გენადი მართალი აღმოჩნდა: ჩვენ გამარჯვებულად გვცნეს. მე მეგონა, ერთნაირად ვრგავდით და ჩვენს მეტოქეობას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ახლა უარესი მოხდა — ვასიამ წყენა გულში ჩაიდო. ეს სიბულეა: ვინ უშლიდა მათ, ჩვეიოდენი დაეოგოთ! მე ეს მეტო-

ქეობა კარგა ხანია მომბეზრდა. იმასაც კი ვფიქრობდი, კარგი იქნებოდა ორივეს გკარიანად ეჩხუბა და ყველაფერი ამით დამთავრებულიყო.

მათ მართლაც იჩხუბეს, მაგრამ გაცილებით გვიან.

წინმავალნი

წინასწარ შევთანხმდით, მინერალების მთელი კოლექცია სკოლისთვის გვეჩუქებინა. პაშამ თქვა, ქოხ-სამკითხველოში გამოვფინოთო. მაგრამ გენადიმ უთხრა, სისულელეა: აქ მხოლოდ მტვერი დაეყრება, სკოლაში კი თვალსაჩინოებისთვის გამოდგებაო. მთავარი ის როდია, ვინმეს ვახსოვდეთ. იმისთვის კი არ ვაგროვებდით, რომ ვიტრაბახოთ, არამედ სასარგებლო საქმე გაგვეკეთებინაო.

გენადი სულ შეიცვალა და ცრუპენტელას აღარ ვეძახდით. განა გამოგონება მიატოვა — ახლაც ისეთ რაღაცას მოიფიქრებდა, პირს ვაღებდით, — ოღონდ უკვე მარტო საინტერესოს კი არა, საქმიან რაღაცებს იგონებდა.

წიგნები ცოტა გვქონდა, კარგა ხანია წავიკითხეთ კიდეც და დაშა კულომზინას წინადადებით გენადიმ სოფელში ყველა წიგნი ჩამოკრიბა, რომ ქოხ-სამკითხველოს ჰქონოდა. რაიონიდან დაბრუნებულმა მამაჩემმაც მთელი დასტა ახალი წიგნები ჩამოიტანა. ასე შევქმენით ნამდვილი ბიბლიოთეკა. კატია ბიბლიოთეკარი გახდა და მსურველებს წიგნებს ატანდა.

გენადიმ პაშას შესთავაზა საკიდარი გაეკეთებინა, ოღონდ ხის კი არა, რქის კაჩხა. როგორც ერთ წიგნში ეხატა. პაშა ძია ზახარს ტაიგაში გაედევნა და იქიდან მარალის ორი წყვილი ძველი რქა მოიტანა. კაჩხა ძალიან ლამაზი და ტევადი გამოდგა. გენადიმ მეც გამიჩინა საქმე — ჟურნალში ჩაიწერე ყველაფერი, რაც ქოხ-სამკითხველოში ხდება, რათა მუშაობის დღიურის მაგვარი რამ გვქონდესო.

ერთი სიტყვით გენადი ნამდვილი ხელძღვანელი დადგა და ცდილობდა, ყველაფერში ანტონისთვის მიებაძა. მარიხენა ხილსაც ისე იქნევდა, როგორც ანტონი ლაპარაკისას.

მინერალების კოლექცია სკოლაში მივიტანეთ და გაანადგურა,

საველი მასწავლებლისთვის მიგვეცა, მაგრამ მან გვითხრა. ასე არ ვარგებს, საქმე უნდა დაასრულოთ — ნამდვილი თვალსაჩინოება გააკეთეთო. მთელი კვირა ვრჩებოდით სკოლაში გაკვეთილების შემდეგ. მინერალების ნიმუშებს მუყაოზე ვაკრავდით და ვაწერდით, რა მინერალი იყო. მარია მასწავლებელი ნამუშევარს გვიმოწმებდა და გვისწორებდა, თუ საჭირო იყო. შაბათს გაკვეთილებს შემდეგ მოსწავლეთა კრება მოიწვიეს და ისევ წავიკითხე მოხსენება. ოღონდ ახლა რვეულში კი არ ვიყურებოდი, პირდაპირ ვყვებოდი. ალბათ არცთუ დალაგებულად ვლაპარაკობდი, მაგრამ მეორესე უფრო მომწონდა. ბავშვებიც ერთობ ყურადღებით მისმენდნენ და იცინოდნენ, როცა მათ ჩვენს თავგადასავალს ვუამბოდი.

მინდოდა ყველაფერი ისე მომეთხრო, როგორც სინამდვილეში იყო. როცა ლაპარაკს ვამთავრებდი და ვამბობდი, როგორ დავიჭირეთ პატარა მარალი და კატია ხანძარს აქრობდა, უცებ შევამჩნიე, რომ მიტკალოვით გაფითრებული ვასია შჩერბატი დაჟინებით მიცქერდა. იგი უცბად შებრუნდა, სახე შეუტოკდა, დაელრიჯა. ენა დამება... ალარაფერი მითქვამს ვასია და ბიძამისი როგორ დავიჭირეთ და როგორ მოგვყავდა სოფელში. პაშამ გაკვირვებით დამაჭყიტა თვალები — ასეთი საინტერესო რამ როგორ გამოტოვეო? მაგრამ მალულად ვუჩვენე მუშტი და ალარაფერი უთქვამს.

დიღხანს მიკრავდნენ ტაშს. ეს ძალიან მსიამოვნებდა. მაგრამ შემდეგ, როცა ვიხსენებდი, როგორ მოხდა ყოველივე, ვგრძნობდი. ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ვასიას გაფითრებულმა სახემ დროზე შემაჩერა: არაფერი მითქვამს მასზე და ბრაკონიერობაზე და მან ხელმეორედ არ იწვნია სირცხვილი.

ჩემს შემდეგ ლაპარაკობდა გენადი. მან ნამდვილად მეცნიერული მოხსენება წაიკითხა მინერალებზე. იმდაგვარი, როგორც მაშინ ძია მიშამ, და პირდაპირ გამიკვირდა: როდის მოასწრო ყოველივეს გაგება-მეთქი. შემდეგ გამოტყდა. საველი მასწავლებელმა მომცა წიგნები და თვითონ ამიხსნა ძნელად გასაგები ადგილებიო.

საველი მასწავლებელმაც თქვა სიტყვა. მან რაისაბჭოს დადგენილებასა და პრემიაზე ილაპარაკა. ამბობდა, დაწყებული საქმე არ უნდა მიატოვოთ, რა თქმა უნდა. მარტო გეოლოგიასა და მინერალების შეგროვებას არ უნდა გადაჰყვეთ. იქნებ დიდი მეცნიერული მნიშვნელობის ბოტანიკური და ზოოლოგიური კოლექცი-

ეპიც შეექმნათ. ეგ საქმე შეიძლება ახლავე დაიწყოთ, მაგრამ განსაკუთრებით საზაფაულო არდადაგებზე უნდა გააჩაღოთ და ჩვენი რაიონის სიმდიდრის შესწავლაში ყველა ბავშვი უნდა ჩააბათო. ბავშვებმა ყვირილი ატეხეს, ჩაბმა რად კვინდა, მზად ვართ თუნდაც ახლავე მივატოვოთ ყველაფერი და ტაიგაში, მთებში წავიდეთო. რა თქმა უნდა, მათ ამაზე არავინ დათანხმდა, მოგზაურობას რა სჯობდა, მაგრამ გაკვეთილებს ვიღა ისწავლიდა...

მინერალების კოლექცია ჩვენს კლასში გამოვფინეთ. მის ზევით გავაკარით დიდი მუყაო, რომელზეც ლომონოსოვის სიტყვები ეწერა. ეს სიტყვები ძია მიშამ ჯერ კიდევ მაშინ ჩამიწერა რვეულში.

პირველ ხანებში ბავშვები შურით გვიცქეროდნენ და როგორც კი საბაბი მიეცემოდათ, მაშინვე ექსპედიციის მოწყობაზე იწყებდნენ ლაპარაკს. მაგრამ ექსპედიციაზე გაუთავებლად ხომ არ ილაპარაკებდნენ? ისედაც ქვეყნის საქმე გვქონდა: ყოველდღე იმდენ სასწავლს ვვაძლევდნენ, იმდენი უნდა გვემეცადინა შინ, მოკლე ხანში ალარავის სცხელოდა საექსპედიციოდ. მარტოოდენ პაშა არ ისვენებდა. რა წამს შემთხვევა მიეცემოდა, კვლავ და კვლავ ჰყვებოდა, როგორ იპოვა მაჩვის სორო და როგორ დაიჭირა ტაიმენი. ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე საველი მასწავლებელმა გაკვეთილზე არ უთხრა (ახლა საველი მასწავლებელი ისტორიას მეექვსე კლასსაც ასწავლიდა):

— მაჩვებისა და ტაიმენების დაჭერა კარგია, მაგრამ ორიანებს რატომღა იჭერ?

პაშამ იწყინა და დიდ დასვენებაზე მე და კატიას სულ გვიმტკიცებდა, ეს უსამართლობაოო.

— რა ვქნა, თუ ისტორიის სწავლა არ შემიძლია?.. ბიჭი ხარ და ისწავლე ათასგვარი კოროვინგები და მოტოპინგები...

— მეროვინგები და კაპეტინგები, — გაუსწორა კატიამ.

— იყოს მაროვინგები... რად მინდა მათი სწავლა? რაღაცას ომობდნენ, მეფობდნენ... იომონ და იმეფონ, ბატონო!.. მე რაში მეკითხება? არა, უსამართლობაა! ვისაც რა სპეციალობა მოსწონს, ის ისწავლოს. აი, ჩვენთან რომ მანქანებს ასწავლიდნენ, მაშინ სხვა ამბავი იქნებოდა!

— განათლებული უნდა იყო! — მკაცრად უთხრა კატიამ. — გაუნათლებელი რა ინჟინერი ან ტექნიკოსი დადგები?

— მე ვარ გაუნათლებლი?.. ჩემზე უკეთ ვინ იცის ფიზიკა!

— ფიზიკა შენზე ნაკლებად არ ვიცი.

— კი, ბატონო! იცი, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია... არა, ალბათ სკოლას მივატოვებ და სადმე წავალ, რომ ტექნიკა ვისწავლო.

— სწორედ შენისთანა სჭირდებათ იქ!.. შენ ხომ ფონვიზინის უმწიფარასავით, მიტროფანუშკასავით იქნები...

პაშა განაწყენდა და წავიდა, მაგრამ აზრი მგონი, არ შეუცვლია.

მე კი ჩემი მქონდა თავში საცემი. პაშასავით სულაც არ ვფიქრობდი, რომ რაც მოგწონს, ის უნდა ისწავლო — განათლებული ადამიანი ხომ უნდა იყო! ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, მაგრამ მათემატიკას ვერაფერს ვუხერხებდი. ისტორიაში, ლიტერატურაში, გეოგრაფიაში ხუთები მყავდა, ხოლო გეომეტრია თავში არ შემდიოდა. იქნებ საიმისო უნარი არ მქონდა? სწავლობ, სწავლობ და ტვინში კუთხეების, პერპენდიკულარების, მხებების დომხალი იქმნებოდა. ჰოდა, წადი გაკვეთილზე ამ დომხალით და ელოდე, როდის გამოგიძახებენ. რატომღაც სულ ასეა: როცა არ ისწავლი, სწორედ მაშინ გაგიძახებენ, ხოლო როცა ისწავლი, გეომეტრიის მასწავლებელი შენკენ არც გამოიხედავს. ეს ისე მწყინდა, ახლა გაკვეთილის ახსნას ვეღარ ვუსმენდი და წინასწარ მაციებდა და ვწითლდებოდი იმის მომლოდინე, რომ მასწავლებელი აგერ-აგერ იტყოდა: „ბერეზინ, დაფასთან!“

გახვალ, და რაც იცი, ისიც გავიწყდება. ამ დროს კიდევ ყოველი მხრიდან გკარნახობენ. განსაკუთრებით კატია. ის პირველ მერხზე ზის და, რაწამს ავირევი, მაშინვე მიჩურჩულებს და თითებით მანიშნებს. ოღონდ მე კარნახს ვერ ვიტანს: როცა ვიცი, ხელს ნუ მიშლიან. როცა არ ვიცი, არ ვიცი. თაღლითობა კი არ მინდა. კატიას წავეჩხუბე კიდეც ამაზე.

— მე ხომ მინდა დაგეხმარო! — გაკვირვებით შემესიტყვა. როცა ვუთხარი, შენი კარნახით გულს ნუ მიწყალებ-მეთქი.

— ეს რა დახმარებაა, თუთიყუში ხომ არა ვარ?

შემდეგ როცა გაკვეთილი არ ვიცოდი, გეომეტრიის მასწავლე-

ბელს ყოველთვის წინააღმდეგ ვეუბნებოდი, რომ არ გავწითლებულიყავ და თვალები არ მეფახულებინა. ჩემი ფიქრით ასე ჯობია და არა როგორც სოფლისაჰვის თავმჯდომარის შვილი კოსტია კორჟოვი იქცეოდა: თუმცა გაკვეთილი არ იცოდა, დაფასთან მაინც გადიოდა და სისულელეს როტავდა. მასწავლებელი უსმენდა, შემდეგ უსწორებდა. ეტყოდა, რაც უნდა ეთქვა.

— მეც ხომ ასე ვამბობ! — კვერს დაუკრავდა კოსტია და კვლავ ჩმახავდა აბდაუბდას.

მასწავლებელი კვლავ უსწორებდა, კოსტიაც კვლავ ეთანხმებოდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს სწორად ჰყვებოდა. მასწავლებელი კი ნათქვამს უდასტურებდა.

— რას იზამ, კორჟოვ. ახლა ჩვენ როლები შევიცვალეთ: მე ვპასუხობდი. შენ მეკითხებოდი. ჰოდა, მე ჩემს თავს ნიშანს არ დავუსვამ. შენ კი... — ეტყოდა ბოლოს მასწავლებელი და ორიანს მიარტყამდა.

ყველანი ვიცინოდით, ხოლო კოსტია ამას აინუნშიაც არ აგდებდა.

...კატიას ჩხუბის შემდეგ რამდენიმე დღე ხმა არ გაუცია ჩემთვის, ბოლოს თვითონ მოვიდა:

— იცი... ამიერიდან ალარავის ვუკარნახებ! ეს მართლაც უსარგებლო რამაა... შენ გლანდები ხომ არა გაქვს?

— რა გლანდები?

— გლანდები ყელში აქვთ ხოლმე... აბა, პირი დააღე!.. დნეპროპეტროვსკში ერთი გოგონა გვყავდა. როცა ვეუბნებოდით, ცუდად სწავლობო, გვიხსნიდა, გლანდების ბრალიაო... მგონი, ტყუოდა. გლანდები რა შუაშია, არა? იცი, რა გითხრა? შენ ალბათ რაღაც დაგავიწყდა, ან ადრე ცუდად სწავლობდი, მათემატიკაში კი ჯანია... — მან თითები მჭიდროდ გადააწნა ერთმანეთს. — თუ ერთი რამ არ იცი, მეორეს ვერ გაიგებ... მინდა ზოგი რამ გადავიმეორო — საცაა გამოცდები მოგვადგება... ერთად გავიმეოროთ, ჰა?

თავდაპირველად მეუხერხულებოდა, მრცხვენოდა კიდეც: კატია ყველაფერს უცებ იგებდა და იმახსოვრებდა, მე კი — ვერა. მაგრამ თანდათან გამოვკეთდი, შემდეგ გეომეტრია საინტერესოც გახდა, უკვე კატიასავით ვხსნიდი ამოცანებს, მხოლოდ ცოტათი ჩამოვრჩებოდი. მაშასადამე, უნარი სულაც არ ყოფილა მთავარი.

მთავარია, საქმეს შეეჩვიო, გულიანად მიუდგე. რაკი ხელს მოჰკიდებ, არაფრის გულისთვის უკან არ უნდა დაიხიო და აუცილებლად მიაღწევ მიზანს!

გენადის ეს უბედურებანი არ აწუხებდა (იგი კატიასავით ფრიადოსანი იყო). გაკვეთილებს სწრაფად სწავლობდა. შემდეგ კი სულ გეოგრაფიის და გეოლოგიის წიგნებს უჯდა. თავისი მოხსენების შემდეგ ისე შეუყვარდა ეს მეცნიერებანი, წიგნებს არა მარტო კითხულობდა, იქიდან იწერდა კიდეც ადგილებს, ადგენდა კონსპექტებს და ხაზავდა რუკებს. ეს ყველაფერი საველი მასწავლებელმა ასწავლა. იგი ამარაგებდა წიგნებითაც. გენადი ყოველდღე მასწავლებელთან იკარგებოდა. ერთხელ მეც წამიყვანა.

— რაო, ბერეზინსაც აინტერესებს გეოლოგია? — იკითხა საველი მასწავლებელმა. — აბა, შემოდით, დასხედით, კართან რას დადგარხართ... ახლა ჩაი დავლიოთ.

ვიდრე მასწავლებელი ჩაის ადუღებდა, გენადი კი წიგნებში იქექებოდა. მე ქოხს ვათვალიერებდი. ჩვეულებრივი ქოხი იყო. მაგრამ ძალიან სუფთა. ბევრი წიგნი და გაზეთი ჰქონდა მასწავლებელს. იგი გენადის წაკითხული წიგნების შესახებ ეკითხებოდა, მე სულ არ მაქცევდა ყურადღებას, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი. შემდეგღა მივხვდი, რომ ასე განგებ იქცეოდა. რათა იქაურობას შევჩვეოდი და გავთამამებულიყავი. თავდაპირველად მართლაც უხერხულად ვგრძნობდი თავს: ხუმრობა ხომ არ იყო თვით დირექტორს სწვეოდი სტუმრად. ჭიქაც ისე ცხელი იყო, ვერ დაიჭერდი, შეიძლება ხელიდან გაგვარდნოდა...

— აბა, ბატონო ჩემო, ფროლოვს რომ გეოლოგია უყვარს, ვიცი. შენ რაღა გაინტერესებს? — მომიბრუნდა ბოლოს მასწავლებელი.

— ეს ჩვენი „მემატიანეა“, — ჩაიფრუტუნა გენადიმ.

ოჰ. შე გამყიდველო! მასწავლებელი ახლა სასაცილოდ ამიგდებს-მეთქი. — გავივლე გულში.

— მემატიანე? საინტერესოა. კი, მაგრამ რა მატიანეს წერ?

— არ ვწერ, ვწერდი და მივატოვე. საწერი არაფერია...

იძულებული გავხდი ყველაფერი მიამბნა. მასწავლებელი დიდი ყურადღებით მისმენდა.

— ეს სულაც არაა სასაცილო, — თქვა ბოლოს. — ძალიან კარ-

ჯი რამ მოგიფიქრებია. ოლონდ მატიანე კი არა, რა თქმა უნდა, უფრო უბრალო რამ წერე. უნდა აღწერო, მაგალითად, ჩვენი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, წერო ჩვენს გამოჩენილ ადამიანებზე...

— გამოჩენილები რომ იყვნენ, კიდევ ჰო! ერთი სანდრო იყო და ისიც დიდი ხანია გარდაიცვალა...

— სანდრო ვასაძე? (თურმე იცნობდა სანდროს) დიახ, სანდრო ვასაძეზეც უნდა წერო... ტყუილა ფიქრობ. გამოჩენილი ადამიანები მხოლოდ წინათ იყვნენო. ახლაც არიან. ხოლო თუ გამოჩენილებად არ მიგაჩნია, დამნაშავე შენა ხარ და არა ისინი. შენ ჯერ არ გისწავლია მოვლენის დანახვა და გაგება. უფრო ყურადღებით დააკვირდი და ნახავ, რამდენი ჩინებული დამიანი აღმოჩნდება ირგვლივ! აი, მაგალითად, ლაპშინი. იცი რამე მასზე? იცი, რომ ხელი არა აქვს? იცი, სად დაკარგა და როგორ? არ იცი?.. ლაპშინი ტანკის მეკოშკურე იყო, ხელი ბრძოლის დროს დაეჭეჭყა და მიუხედავად საშინელი ტკივილისა, ცეცხლი არ შეუწყვეტია... აი, თქვენთან ცხოვრობს მონადირე ზახარ დოლგუშინი.

— ძია ზახარი?

— დიახ. იმდენ რამეს გიამბობს ცხოველთა ცხოვრებაზე, ტაიგაზე, ჯერჯერობით წიგნებშიაც ვერ ამოიკითხავთ... ფედია რუბლევი.

— ის ხომ მჭედელია!

— მარტო მჭედელი როდია. აბა, ერთი გულახდილად ელაპარაკე... თუმცა თავის თავზე ლაპარაკი არ უყვარს. აი, მეორეჯერ მოხვალ და თვითონ გიამბობთ მის ამბავს, ახლა კი დროა შინ წახვიდეთ. მეც უნდა წავიმუშაო...

მასწავლებელმა დაპირება ვერ შეასრულა. ჩვენ შაბათს ვიყავით მასთან და გზაზე უკვე წვიმამ მოგვისწრო. შემდეგ მთელი კვირა და ორშაბათი წვიმდა, ხეობა წყლით დაიფარა და კოლტუბამდე მისვლაც ვერ მოვახერხეთ. ხოლო, როცა სამშაბათს სკოლაში მივედით, გვითხრეს, დირექტორი ავად გახდაო. და მასთან არ შეგვიშვეს.

მთელი სოფელი შეშფოთდა. ბავშვები დასვენებებზეც აღარ ცელქობდნენ: დირექტორის ფანჯრები სკოლის ეზოსკენ იცქირებოდა და მარია მასწავლებელმა გვითხრა, ხმაური ავადმყოფს ვნებსო. დირექტორის ოთახში იმდენი თაფლი, კარაქი, არაყანი,

ფუნთუშა და ღვეზელი მოზიდეს, თითქოს დაძაბუნებული იყო, კვდებოდა და დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ უნდა ექმიათ. მაგრამ დეიდა პელაგია (იგი უვლიდა დირექტორის სახლ-კარს) არაფერს ღებულობდა და საველი მასწავლებელთან არავის უშვებდა: საჭმელი ისედაც ყოფნის, ავადმყოფი ადამიანის შეწუხება კი საჭირო არაა. დირექტორს მორიგეობით უვლიდნენ მარია მასწავლებელი და კულტუბელი ექთანი მაქსიმი.

ტიფაშიც შეაწრიალა ხალხი საველი მასწავლებლის ავადმყოფობამ. მამაჩემი, თავმჯდომარე და სხვა ბევრი, ახლა უკვე მოწიფული ადამიანი თავის დროზე მისი მოსწავლეები იყვნენ და ყოველი მათგანი შემთხვევას არ უშვებდა, რომ მოეკითხა, მოენახულებინა. მაგრამ მთავარი თურმე ის კი არ ყოფილა, რომ მის კლასში ისხდნენ. მხოლოდ ძია ფედიასთან საუბრის შემდეგ მივხვდი კარგად, რა კაცი იყო საველი მასწავლებელი და რას წარმოადგენდა ყველასთვის.

ძია ფედია კვირას კოლტუბში წავიდა საველი მასწავლებლის მოსანახულებლად. მე და გენადიც ავეტორღიალეთ. ვიმედოვნებდით, რომ ავადმყოფთან შეღწევას მოვახერხებდით. მაგრამ დეიდა პელაგიამ ჩვენი ხვეწნა-მუდარა არ შეიწყნარა და არ შეგვიშვა. არც ძია ფედია შეუშვა. მაგრამ მასწავლებელმა იგი ხმაზე იცნო და თვითონ დაუძახა.

ცოტა ხნის შემდეგ ძია ფედია მოღუშული და დამწეხრებული გამოვიდა გარეთ.

— ცუდადაა საქმე. ყმაწვილებო!—გვითხრა მან. — გული სულ დასუსტებია... მერედა რა ვაჟკაცი იყო! ახლა კი... ათი კაცის საქმეს აკეთებდა, თავის თავზე არასდროს უფიქრია. ასე გული კი არა, მანქანაც გაცვთება... მხოლოდ სული არ ეცვთება!..

ძია ფედიას ვამოკითხვა დავუწყეთ. ის ძუნწად, მოკლედ გვიხსნიდა, შემდეგ ლაპარაკმა გაიტაცა და კითხვები არ დაგვჭირვებია, ისე გვიამბო ყველაფერი. თურმე ის და საველი მასწავლებელი სამოქალაქო ომიდან იცნობდნენ ეთმანეთს. მაშინ ძია ფედია პირტიტველა ყმაწვილი იყო, მოხვდა ოცეულში, რომელსაც საველი ლოზოვოი — მხიარული მომღერალი, ამხანაგების სული და გული, თავზეხელაღებული მებრძოლი მეთაურობდა. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილის რაზმი, რომელშიც ლოზოვოის ოცეული

შეადიოდა, ადგილობრივი კულაკებისა და შემორჩენილი კოლჩაკელებისგან შეკოწიწებულ ბანდიტთა ბრბოს ებრძოდა.

ორივე ერთ ბრძოლაში დაიჭრა. ვიდრე გამოჯანმრთელდებოდნენ, მთავარი ბანდიტი, პოდესაული კაიგოროდოვი კატანდაში შეიპყრეს. მისი ბანდა გაანადგურეს და ბრძოლა აღარავისთან უწევდათ.

საველი ლოზოვოი კი სხვაგვარად ფიქრობდა. დაუკვირდა, როგორ ცხოვრობდა გაჭირვებით სულამოხდილი, უმეცარი ხალხი ალტაიში და გადაწყვიტა. სწორედ ახლა იწყება უმძიმესი და გაჭიანურებული ომი — ომი ადამიანის ბედნიერებისთვისო.

ისინი რამდენიმე წლით დაშორდნენ ერთმანეთს. ძია ფედია თავის ქურას დაუბრუნდა, დაოჯახდა, საველი ლოზოვოი კი სასწავლებლად წავიდა. ჯერ ბიისკში, შემდეგ ნოვოსიბირსკში. როცა სწავლას ამთავრებდა, კოლტუბში დაწყებითი სკოლა გახსნეს და ისიც აქ გამოგზავნეს გამგედ.

ლოზოვოის და მის ახალგაზრდა მეუღლეს, ასევე მასწავლებელს, არცთუ თბილად შეხვედრიან. კულაკებმა და მათმა დამქაშებმა მაშინვე იგრძნეს. რომ მასწავლებელი მათ სიკეთეს არ დააყრიდათ. უფრო ღარიბები თავიანთი უმეცრების წყალობით ალმაცერად უყურებდნენ: ჩამოვიდნენ ჭკუის სასწავლებლად, ჩვენ კი ჩამოტანილი ჭკუის გარეშე ვცხოვრობდით და როგორმე ვიცხოვრებთო...

საველი ლოზოვოი კი ისე მტკიცე აღმოჩნდა, არაფერი აშინებდა. ხოლო მას არათუ აშინებდნენ, ესროდნენ კიდევაც... ეს მოხდა უფრო გვიან. როცა კოლექტივიზაცია დაიწყო. კულაკები გრძნობდნენ, რომ აღსასრულის დღე დაუდგათ და ხალხის დაშინებას ცდილობდნენ. იმ დროს უკვე საველი ლოზოვოის მხარს უჭერდნენ ღარიბები. მასთან იყო კორეოვიც. ლოზოვოიმ ძველი მეგობრობა გაიხსენა და ძია ფედიაც გვერდში ამოიყენა.

ასე და ამგვარად საველი ლოზოვოი მარტო სკოლის კი არა, მთელი ამ არემარის ცხოვრების მასწავლებელი გახდა. ვისაც უჭირდა და უმძიმდა. სულ მას აკითხავდა რჩევისთვის, დახმარებისთვის. ოღონდ გაჭირვებას. ვაებას განა მალამო უშველის, ისინი ძირფესვიანად უნდა მოსპო. შეიქმნა კოლმეურნეობა. თავდაპირველად კოლმეურნეობა თავიდან პატარა, ღარიბი იყო, მაგრამ

შემდეგ გაიზარდა და გაძლიერდა. რადგან სახელმწიფო მანქანებით, სესხით დაეხმარა.

როცა კოლმეურნეობაში პარტუჯრედი ჩამოყალიბდა, საველი ლოზოვი მისი მდივანი გახდა. ის ჯერ კიდევ ქალაქში შეეიყვანა პარტიაში და დღემდე ხელმძღვანელობს პარტორგანიზაციას. სცადეს სხვა ადგილზე გადაეყვანათ, უფრო დიდი თანამდებობა შეთავაზეს, მაგრამ ფეხი არსად გაადგა. არა იმიტომ, რომ აქაურობას შეეჩვეოდა. მოწყობილი სახლ-კარის მიტოვება ენანებოდა, არამედ ცხოვრების მიზნად. თავის მოვალეობად მიაჩნდა მის ნიერვე გამოღვიძებულ ამ მივარდნილ კუთხეში დაწყებული საქმე განეგრძო, ემუშავა, ვიდრე ძალა გამოელეოდა. ძალას კი არ იშურებდა, ათი კაცის საქმეს აკეთებდა.

— რისთვისაც უნდა მოეკიდათ ხელი, რა კარგი საქმეც უნდა წამოეწყოთ, საველი ლოზოვი ყოველთვის ან თავის აზრს გამოთქვამდა პირველი, ან სხვას უპერდა მხარს. ადამიანისთვის დროულად მხარის დაჭერა კი დიდ რამეს ნიშნავს! — გვითხრა ძია ფედიამ. — საველის კარგა ხანია დასვენების ჟამი დაუდგა: გულით ავადმყოფია, ვაჟის სიკვდილმაც სრულიად დააძაბუნა... მეუღლე გარდაეცვალა, ცალუღად დარჩა. მისი ქალიშვილი ტომსკშია გათხოვილი, არაფერი აკლია, ეუბნება ჩამოდიო, თვითონაც ჩამოვიდა. იქნებ წავიყვანოო, მაგრამ ვერაფერი გაახერხა. საველი არ გაჰყვა. მეც ვეუბნებოდი: მკურნალობა გჭირდება, დროა დაისვენო. შენ ხომ ეს ჯილდო დაიმსახურე, ესე იგი, მშვიდად უნდა იცხოვრო-მეთქი. მშვიდად ცხოვრება ჯილდო კი არა სასჯელიაო! — მითხრა. — ჩემი საუკეთესო ჯილდო ჩემს ადგილზე დარჩენაა. რატომ გინდათ ეს ბედნიერება წამართვათო? ჩვენი ადრინდელი და ახლანდელი ცხოვრება ცა და დედამიწასავით განსხვავდება. საველი ლოზოვოიც ყოველ საქმეში. ყოველ გარდაქმნაში მონაწილეობდა, საქმეს პირველი ჰკიდებდა ხელს და წინ მიუძღოდა ხალხს... როგორ უნდა გიყვარდეს ხალხი, რა გაბედული უნდა იყო, რომ წინ მიდიოდე!.. დიახ, ყმაწვილებო... თქვენ კი ფიქრობთ. ჩვეულებრივი მასწავლებელიაო!

ძია ფედია ჩუმდება. არც ჩვენ ვიღებთ ხმას.

დიდხანს ვფიქრობ ჩვენს ჭაღარა მასწავლებლებზე, იმ უხილავ სიმზე, სანდროდან რომ მოდის, სანდროზე ადრე მყოფთაგან რომ

მოდიოდა და საველი ლოზოვოის გადმოეცა, საველისგან ძია ფედიას, ანტონს. როგორ იზრდება ეს სიმი, იზრდება, იზრდება, იტოტება. ყველა კუნჭულში იჭრება და მოიცავს ყველაფერს, მთელ ქვეყანას. ალბათ ყველა კუთხეში ჰყავთ თავიანთი სანდროები, ყველგანაა თავიანთი საველი ლოზოვოიები, ძია ფედიები, ანტონები. ისინი მიდიან წინ, კვალავენ პირველ ბილიკებს, ბილიკები ფართოვდება, მათზე სულ უფრო მეტი და მეტი ხალხი მიდის და უკვე ყველა ისწრაფვის იმისკენ, რისთვისაც იტანჯებოდნენ, ეწამებოდნენ და იხოცებოდნენ სანდროები, რისთვისაც თავდაუზოგავად იბრძოდნენ საველი ლოზოვოიები... და რა დიდებულია ეს — იყო წინმავალი, კვალავდე ბილიკს, რომელსაც სხვები გაჰყვებიან!

ჩვენ მსახიობები ვართ

საველი მასწავლებელი გამოკეთდა და სკოლაც ისევ გამოცოცხლდა. შესვენებებზე წინანდებურად იდგა ხალისიანი აურზაური, პატარები გულგამგმირავი წივილ-კივილით იკლებდნენ ეზოს. იმიტომ კი არა, რომ ეს საჭირო იყო, არამედ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეეძლოთ. ერთი საათი მდუმარედ ჯდომის შემდეგ სასიამოვნოა წელში გაშლა და დარწმუნება, რომ ხმა არ ჩაგხშობია, არ ჩაგწყდომია და წინანდებურად ყურთასმენის წამღები და წკრიალა გაქვს. თითქოს საველი მასწავლებელსაც უხაროდა, რომ ეს მრავალხმიანი ხმაური ისმოდა: აბა, ვის სიამოვნებს ავადმყოფობის ნაღვლიანი სიჩუმე!

ოღონდ ახლა საველი მასწავლებელი, რომელიც წინათაც ნელა დადიოდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა, კიდევ უფრო ნელა და ფოთხილად დააბიჯებდა, თითქოს ყოველ წამს შეიძლებოდა რაღაც მყიფე რამ გადამსხვრეოდა, თუკი მკვეთრად შემობრუნდებოდა ან იყვირებდა. ვიცოდით, რომ მღელვარება ვნებდა და ყოველნაირად ვცდილობდით ისეთი რამ არ გაგვეკეთებინა, რაც მას ააღელვებდა.

თუმცა ეს-ესაა გამოკეთდა, მაინც ძველებურად საქმიანობდა და არ ისვენებდა. წინანდებურად აკითხავდნენ თავიანთი საქმეების მოსაგვარებლად კოლტუბიდან, ახლომახლო სოფლებიდან, წინანდებურად იცოდა ყველაფერი, რაც იმ არემარეში ხდებოდა,

ასწრებდა თავისი გაკვეთილების ჩატარებას, მარია მასწავლებელს პიონერებთან მუშაობაში ეხმარებოდა, ჩვენ ყველა შეკრებაზე გვესწრებოდა და ხშირად რამდენიმე სიტყვით გვიბიძგებდა, რაიმე ახალი, საინტერესო საქმე გაგვეკეთებინა.

ასე მოხდა მაშინაც, როცა საშვიდნოემბროდ ვემზადებოდით. რამდენი ვიმსჯელეთ და ისლა მოვიფიქრეთ, კედლის გაზეთი გამოგვეშვა, კლასებში საუბრები ჩაგვეტარებინა და საერთო კრება მოგვეწვია.

— საღამო მოაწყვეთ და კონცერტი გამართეთ, ან კიდევ სპექტაკლი დადგით, — გვითხრა საველი მასწავლებელმა.

სპექტაკლი? სკოლაში?.. კოლტუბის კლუბში დრამწრე ზოგჯერ თავის სპექტაკლებს დგამს, მაგრამ მათ აქვთ სცენა, დეკორაციები, თანაც იქ დიდები არიან... ჩვენ როგორღა მოვახერხებთ? არა გვაქვს სცენა, ფარდა, არაფერი გაგვაჩნია. მერედა, ვინ შეასრულებს როლებს. ამის გაკეთება ხომ არავის შეუძლია.

— შეიძლება დროებითი სცენა გავმართოთ. როლებს კი თქვენვე შეასრულებთ. ისწავლით. მოსკოვიდან მსახიობებს ხომ არ ჩამოვიყვანთ!..

თავდაპირველად ამ აზრმა დაგვაფრთხო. გვეგონა, ვერ განვახორციელებდით. შემდეგ უფრო და უფრო მოგვწონდა და ბოლოს დაგვეუფლა დაუოკებელი სურვილი — ნამდვილი სპექტაკლი დაგვედგა. ყველაფერი ნამდვილი თეატრის დარად მოგვეწყო. მაგრამ რა დაგვედგა?

ძალიან მალე გამოირკვა, რომ დიდ პიესას ვერ მოვერეოდით: მას ბევრი დეკორაცია, კოსტიუმი სჭირდებოდა და, თუმცა სპექტაკლში თამაშის მსურველი აუარება იყო, საჭირო ხალხს ვერ გამოვძებნიდით, ოქტომბრამდე მცირე დრო რჩებოდა, ხოლო მსახიობები დიდი როლების დასწავლას ვერ მოასწრებდნენ. ბევრი კამათის შემდეგ დავთანხმდით მარია მასწავლებლის წინადადებას: პატარები წარმოადგენდნენ „მეთევზისა და თევზის ზღაპარს“, ხოლო უფროსკლასელები „ბორის გოდუნოვისა“ და „ტარას ბულბას“ ნაწყვეტებს.

ახლა, უპირველეს ყოვლისა, სცენის საქმე უნდა გაგვერკვია. გავიქეცით ანტონთან. მასზე უკეთ ვინ დაგვეხმარებოდა! ანტონს ჩვენი წამოწყება ძალიან მოეწონა და სკოლაში მოვიდა, რომ იქვე

ენახა. რა და როგორ მოწყობილიყო. ცოტა ხანს იფიქრა და გვითხრა:

— ყველაფერი ძალიან მარტივად მოეწყობა! დარბაზი დიდია. ავიღოთ მერხების სამ-ოთხი რიგი. მათზე დავაწყოთ ფიცრები და სცენაც იქნება. კანცელარიაში კი მსახიობთა საპირფარეშო გაიმართება. ფიცრებს ლაპშინი მოგვცემს, მას აქვს სამმეტრიანი ფიცრები...

— არ ივარგებს! — შეაწყვეტინა საველი მასწავლებელმა. — მერხებს ლურსმნებს დააჭედებ?

— რატომ უნდა დავაჭედო? ულურსმნებოდ გავაკეთებთ ფიცარნაგს. არც ლაპშინი გაგვაფუჭებინებს ფიცრებს ლურსმნებით... არა უშავს, ასეც გავალთ იოლას. ფარდას და დეკორაციებს კლუბიდან წამოვიღებთ. რა დეკორაციები გჭირდებათ?

— „ბულბასთვის“ — ტრამალი და ტყე. „გოდუნოვიდან“ დავდგამთ სცენებს — ჩუდის ტბაზე და შადრევანთან. ხოლო ზღაპრისთვის ზღვა, ქოხი და სასახლე გვინდა...

— ვერაა საქმე კარგად! — შეურვებით წაივლო ხელი ანტონმა წითურ ქოჩორზე. — სასახლე რანაირად გვექნება? ჩვენ მხოლოდ ტყე და ქოხი გვაქვს. ისედაც, ჩვენი დეკორაცია აქ არ შემოეტევა, არც შესაფერისი კოსტიუმები გაგვაჩნია.

ისე გვეწყინა, ენა მუცელში ჩაგვივარდა.

— ნაადრევად ნუ იფუჭებთ გუნებას. — გვითხრა საველი მასწავლებელმა. — გზას ვიპოვით. მე წამიკითხავს, რომ დეკორაციების მაგივრად დიაპოზიტივებს იყენებენ. დახატავენ მინაზე, ჩადგამენ ჯადოსნურ ფარანში და მორჩა. კედელზე დეკორაცია იქნება. ფარანი გვაქვს. მხატვარიცა გვყავს, — მან მარია მასწავლებელს გადახედა. — ზღაპრისთვის უკეთესს ვერაფერს მოიგონებ — იქ სომ სწრაფად უნდა ცვალო სურათები. მონასტრის სცენა შეიძლება უდეკორაციოდაც ჩაატარო, ანდა მინაზე დაიხატოს სენაკი. ხოლო „ბულბას“ და შადრევანის სცენისთვის „ტყე“ შეიძლება კლუბიდან მოვიტანოთ. ოღონდ აი, შადრევნის სცენას რა ვუყოთ, სად ვიშოვოთ შადრევანი?

— გავაკეთოთ! — მიუგო პაშამ.

— სწორია! — ქოჩორი შეარხია ანტონმა. — რა უნდა შადრევნის გაკეთებას! ელექტროსადგური ავაშენეთ და შადრევანს ვერა-

ფერს მოვუხერხებთ?.. აი, მე დამხმარე მყავს, ერთად გავაკეთებთ.

პაშამ თავი დაუქნია. სცადა მკაცრი, საქმიანი გამომეტყველება მიეღო, მაგრამ მხოლოდ გაბღინძა, ამაოდ ცდილობდა დაეფარა ის სიამოვნება, რაც ანტონის სიტყვებმა მოჰგვარა.

მეორე დღეს გაკვეთილების შემდეგ მარია მასწავლებელმა ის სცენები წაგვიკითხა, რომლებიც უნდა წარმოგვედგინა. ხოლო საველი მასავლებელი დიდხანს გვესაუბრა იმ ძველ დროზე, გმირებსა და ადათ-ჩვეულებებზე.

ჯერ სპექტაკლის მომზადება არ დაგვეწყო და კინალამ ვიჩხუბეთ, როცა საქმე როლების განაწილებაზე მიდგა. ზღაპრის ამბავი უფრო მარტივად გადაწყდა. ვასია უმცროსს მეთევზის როლი მისცეს, ლუბას — მოხუცი ქალისა. ხოლო მეოთხეკლასელ გოგონას ოლია სედიხს — ოქროს თევზისა. ძალიან გაგვაწვალა პუშკინის როლის შემსრულებლის მოძებნამ. მარია მასწავლებელმა თქვა, ავტორის ტექსტი წამყვანმა უნდა წაიკითხოსო. მას პუშკინის გრიმი გაუკეთდება. სცენაზე დაჯდება ან გვერდით დადგება და ყველაფერს მოჰყვებაო. მაგრამ ჩვენ რა პუშკინები გვყავდა? ვეძებეთ, ვეძებეთ შესაფერისი ყმაწვილი და ბოლოს დავასკვენით, ჩვენი კლასელი სერგეი ლიონი ყველაზე უკეთ კითხულობა ლექსებს და პუშკინიც ის იყოსო.

„ბორის გოდუნოვთან“ დაკავშირებით საქმე უფრო აირია, ამჯერად ჩემ გამო.

კატიას მეტოქე არ ჰყავდა, მაშინვე თქვეს. ყველაზე მეტად შეეფერება მარინა მნიშეკსო. მართალსაც ამბობდნენ: ჩვენი სხვა გოგოები ისე ჩაფსკვნილნი და ლოყებღაჟღაჟები იყვნენ, ფქვილი თუნდაც თავიდან ფეხებამდე შეგეფრქვიათ. ფერი მაინც არ შეეცვლებოდათ და არისტოკრატ ქალებს ვერ დაემსგავსებოდნენ. კატია კი გამხდარი, ფერმკრთალი იყო, თანაც თეატრში გახლდათ ნამყოფი და იცოდა, რა და როგორ ეკეთებინა.

პიმენის როლი კი უცებ მე მომცეს.

— კარგია! — გაიცინა კატიამ. — ოლია ხომ მემატიანეა. ამაზე კარგად ვერავინ ითამაშებს

ვაი ჩემს თავს! ვიმედოვნებდი, რომ კატია ისურვებდა, თვითმარქვია მე მეთამაშა! თავიდანვე თვითმარქვიას თამაშზე ვფიქრობდი: როლიც დიდია, თვითმარქვია ახალგაზრდაა და ლამაზი

კოსტიუმიც უნდა ეცვას, გარდა ამისა, კატიასთან ერთად მომიწევს-მეთქი თამაში. ნეტა როდის დამანებებენ თავს ამ ნავსი მატიანით? თანაც არც მინდა და არც ვიცი მოხუცების თამაში... ასე თუ წავიდა საქმე. საერთოდ არ ვითამაშებ.

— ჯერ არავინ არაფერი იცის, — მითხრა მარია მასწავლებელმა. — —შენ კიდევ სულ ტყუილ-უბრალოდ ჭირვეულობ პატარა ბიჭივით. პიმენის როლი ძალიან კარგია, მაგრამ რთული. ამ როლის თამაში უფრო ძნელია, ვიდრე თვითმარქვიასი. ჩვენ კი შენ გენდობით იმიტომ, რომ თავს გაართმევ...

ერთი სიტყვით დამიყოლიეს.

თვითმარქვიას როლი კოსტია კორჟოვს მისცეს. თვითონ რომ არ მდომოდა თვითმარქვიას როლი, ვაღიარებდი, რომ მას შეეფერებოდა — ყოველთვის ისე კუდაბზიკობდა და იტყუებოდა, პირდაპირ ზედგამოჭრილი თვითმარქვია იყო.

კოსტიამ იქვე მოჩმახა, სახითაც ვგავარ თვითმარქვიას: პაჭუა ვარ და ხალიც მაქვს. როგორც ცრუ დიმიტრისო. პაჭუა მართლა იყო, ხალი კი მოიგონა — სახეზე ჩვეულებრივი განაკაწრი ემჩნეოდა.

„ტარას ბულბამ“ ლამის მთლად ჩაფუშა ყველაფერი. გენადიზე ერთხმად თქვეს, ტარას ბულბას შეეფერებაო. სამაგიეროდ ანდრის როლზე არავინ თანხმდებოდა. მარია მასწავლებელი ურჩევდა, ურჩევდა ბავშვებს ითამაშეთო და ბოლოს გაბრაზდა:

— რას ჰგავს ეს? რატომ არავის არ უნდა ანდრი იყოს?

— რა შავ ჭირად გვინდა! ის ხომ გამცემია, სამშობლოს მოღალატე... — ამბობდნენ ბავშვები.

ძალიან გაწამდა მარია მასწავლებელი, ვიდრე ფიმას დაითანხმებდა. ეუბნებოდა, ანდრის როლის თამაშით გამცემად და მოღალატედ აბა, ვინ მიგიჩნევსო.

გადავიწერეთ როლები, დავისწავლეთ და დავიწყეთ რეპეტიციები.

მერხები დეკორაციების მაგივრად გამოვიყენეთ, დედამიწის ნახევარსფეროების რუკა — „ჰორიზონტად“, ჭერზე ჩამოკიდებული ნათურა ხან მზე იყო, ხან მთვარე, ხან სანთლის ნამწვი. ისე გაგვიტაცა ამ ამბებმა, ირგვლივ ყველაფერს და ჩვენს თავსაც სულ სხვა თვალით ვუყურებდით და სერიოზულად ვიტანჯებოდით და

ვეწამებოდით. ჩვენ უკვე თვალებფართო. მოკლეკაბიან კატიას კი ალარ ვხედავდით, არამედ ეშმაკ, ინტრიგან მნიშეკს. არა ჩვეულებრივ გენადის, არამედ მრისხანე კაზაკ რაინდსა და მამას — ბულბას, არა აჯაბაჯა მოსიარულე ფიმას, არამედ თავის შერცხვენით განადგურებულ ანდრის... ესე იგი, ყოველივე ამას შემდეგ ჩავწვდით, თავდაპირველად კი ისე გააფთრებით ვყვიროდით და ისე აჩქარებით ვაკაკანებდით ჩვენს რეპლიკებს, თითქოს სიტყვები ყელში გვეჩხირებოდა და, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ამოგვესროლა, რომ არ დავეხრჩვეთ.

სხვა ბავშვებს ცნობისმოყვარეობა კლავდათ და ერთი სული ჰქონდათ რეპეტიციებზე შემოეღწიათ, მაგრამ არავის ვუშვებდით. ჯერ ერთი იმიტომ. რომ ხელი არ შეგვშლოდა, მეორეც — რაღა იქნებოდა საინტერესო, თუ ყველაფერი წინასწარ ეცოდინებოდათ!

რეპეტიციას არა მარტო კლასში, ყველგან და ყოველთვის ვატარებდით: შესვენებებზე, შინ, გზაზე — შინიდან სკოლაში მიმავალნი და სკოლიდან შინ მობრუნებულნი. დათოვლილ, გაყინულ სოფებს რამდენჯერ მოუსმენიათ პიმენის „უკანასკნელი ამბავი“ ან მარინას ამაყური, დამცინავი სიტყვები!

დედას შეეშინდა კიდეც, როცა მოესმა ჩემი ბურტყუნი: „...თვის ცოდვათა თუ ბნელ საქმეთათვის, ეკედრებიან მორჩილად უფალს...“

— შენ რაო, ლოცვა დაიწყე? სად ისწავლე?

— ეს ლოცვა კი არა, როლია, დედა.

— რა როლი? იცოდე მამაშენს ვეტყვი! ასწავლიან, ასწავლიან, ესენი კი ნარშავებად იზრდებიან. წადი და ბებია ლუშასთან იბურტყუნე... აბა, რას გეტყვიან სკოლაში?

როცა გაიგო, რასაც ვაკეთებდი, თავის შიშზე იცინა.

კოსტია კორეოვი ყოველ ნაბიჯზე აფრქვევდა თვითმარქვიას სიტყვებს. თავის მეგობარ სერგეი ლუჟინს ხანდახან იღლიაში ისე ამოიჩრიდა, სერგეი მთელი ხმით იყვირებდა, თვითონ კი შესძახებდა:

— „რა მომხიბლავი და ტკბილი ხმაა! ნუთუ შენა ხარ, ბოლოს და ბოლოს? ნუთუ შენ გხედავ?..“

როცა ამოცანას მცდარად ამოხსნიდა, თავზე იტაცებდა ხელს და ტრაგიკული ხმით აბობდა:

ბედნიერება, მოხაგარი ეგრე წვალებით,
მგონი, დაეკარგე სამარადჟამოდ.
რა ჩავიდინე ეს მე, უგნურმა?

საველი მაქსიმოვიჩის გაკვეთილზეც კი, ერთხელ, როცა რუკისკენ მიდიოდა, საშინაო დავალება კი არ იცოდა, თქვა:

მე მგონია, მშიშარა არ დავბადებულვარ...

იქ სამი წუთი იდგა, ამაოდ შეეცადა. გაკვეთილი გაეხსენებინა, შემდეგ დარცხვენილად გაიღიმა, მაგრამ ამ სიტყვების ნაცვლად თვითმარქვიას სიტყვები წამოცდა:

მაგრამ დადგა დრო და არა მახსოვს...

ჩვენი დროც დადგა — მოვიდა ხუთი ნოემბერი, როცა სკოლაში საღამო უნდა გაძართულიყო. საღამო განგებ დანიშნეს ხუთ ნოემბერს, ვინაიდან ექვს ნოემბერს კლუბში საზეიმო სხდომა ტარდებოდა.

გაკვეთილების შემდეგ ვეღარ მოვასწრებდით ტიეაში შერბენას. ექვს საათზე იწყებოდა საღამო და ამიტომ სკოლაში დავრჩით. ფიმა კოსტია კორჟოვს გაჰყვა, ჩვენ კი მარია მასწავლებელმა წაგვიყვანა დასაპურებლად, მაგრამ თითქმის არაფერი გვიჭამია — სადილისთვის ვის სცხელოდა! მარტო პაშამ გადასანსლა ყველაფერი, რაც წინ დაუდეს და ანტონთან გაიქცა. დღეს იგი მთავარი მექანიკოსია: გახსნის და დახურავს ფარდას, თოფს დააქუხებს, გამართავს შადრევანს. ამიტომაც თავის მოსაფხანად არ სცალია.

არც ჩვენ გვცალია თავის მოსაფხანად და სკოლაში მივდივართ, ხოლო კატია მარია მასწავლებელთან რჩება, რომ მან კოსტიუმი მოარგოს. დღეს კატიას დედის ძველი აბრეშუმის კაბა პოლონელი არისტოკრატი ქალის საბალო ტუალეტად იქცევა.

სკოლაში მხიარული ღრიანცელი დგას. საღამოს დაწყებამდე რამდენიმე საათია დარჩენილი, მაგრამ ბავშვები უკვე შეკრებილან და მონდომებით ეხმარებიან ანტონს: ეზიდებიან ფიცრებს, კლასებიდან მერხები გამოაქვთ. ოთხი რიგი ფიცარნაგის საყრდენად გა-

მოიყენეს. დანარჩენები დარბაზში დააწყვეს სკამების ნაცვლად. ზოგი მაშინვე დასხდა პირველ მერხებზე — ადგილები დაიკავეს და ახლა, რა თქმა უნდა, აღარ ადგებიან, ეშინიათ, ამორჩეულ ადგილზე სხვები არ დასხდნენ.

ანტონი და კიდევ ორი ბიჭი სწრაფად აკეთებენ ფიცარნაგს, ჭერზე კედლიდან კედლამდე მავთულს ჭიმავენ, ამაგრებენ ბლოკებს პაშა თოკს ქაჩავს და ფარდა რგოლების ჩხაკუნით ფარავს სცენას. მაგრამ ფარდის კუთხეს მაშინვე მაღლა სწევენ, იქ ჯერ ერთი თავი ჩნდება, შემდეგ მეორე და ასე გრძელდება საღამოს დაწყებამდე. ბავშვებს ერეკებიან, მაგრამ მაინც იჭყიტებიან. რა ხდება სცენაზეო.

სცენის ნაპირზე, მაღლა ანტონი ზონარზე რამდენიმე ნათურას ამაგრებს, სინჯავს ფარანს. ჭერზე ჰკიდებს გვერდითა დეკორაციას — სატომრე ქსოვილზე დახატულ ხეებს. ხეები ჩვენს სცენასთან შედარებით ძალიან მაღლებია და იძულებულნი ვართ, ქვემოთ შემოვკეცოთ. მაგრამ არა უშავს — დარბაზიდან მაინც და მაინც ვერ შეამჩნევენ. შემდეგ ანტონი და პაშა შადრევანს მართავენ. თუმცა ეს უბრალო, საცდელი შადრევანია და არა ნამდვილი, ქვებისა.

პაშამ ჯერ კიდევ ადრე საველი მასწავლებელს რეზინის ყველა მილი გამოართვა, რაც კი კარადაში ფიზიკის ხელსაწყოებს ჰქონდა. ელექტროსადგურში ანტონსაც აღმოაჩნდა რეზინის საიზოლაციო მილების ნაჭრები. ახლა ისინი ყველას შეაერთებენ და რეზინის გრძელი მილი გამოუვათ. მილის თავი სცენის შუაში დადგმულ ფიცარზეა მიმაგრებული, ხოლო ბოლო იატაკზე კულისებს მიღმა მიიწევს. სადაც ტაბურეტზე წყლიანი ვედრო დგას. მაგრამ წყალი მილიდან არ იფრქვევა. პაშა მილიდან ჰაერს ხაპავს და წყალიც გადმოედინება, ოღონდ წვრილ, ზანტ ნაკადად.

ტაბურეტზე ტაბურეტი შეადგი, — ეუბნება პაშას ანტონი. ახლა წყლის ნაკადმა მოიმატა.

კიდევ ერთი ტაბურეტი დაუმატე!

აი, ეს უკვე ნამდვილი შადრევანია! ნაკადი მეტრ-ნახევარ სიმაღლეზე ჩქეფს, მაგრამ მალევე წყდება.

ანტონი მილს ფირფიტაზე მავთულით აკრავს და უჭერს — ნაკადი წვრილდება: ასეთი ხაკადის წყალი მთელ სცენას ეყოფა

— ახლა თვითონ მიხედე საქმეს, მე კი მსახიობებს გრიმს გავუკეთებ. გაართმევ თავს? — ეკითხება ანტონი პაშას.

— რატომაც არა! — მედიდურად უპასუხებს პაშა. ის უკვე თავიდან ფეხებამდე გაითხვარა. მისმავე შადრევანმა გაწუწა, ბედნიერია და სჯერა, რომ უიმისოდ ყველაფერი უსათუოდ ჩაიფუშება. — პირველი ზარი ხომ არ დამერეკა?

— დაიცა, მოასწრებ.

მოვიდნენ მარია მასწავლებელი და კატია და ყველამ დავიწყეთ ჩაცმა. კანცელარიის ერთ კუთხეზე ზეწარია ჩამოფარებული. იქ გოგონები იცვამენ, თან ჩურჩულებენ, დროდადრო ერთიმეორეს გადახედავენ და კუჭკუჭებენ.

ყველაზე ადვილად ვასია უმცროსს ჩააცვეს. მთელი მისი კოსტიუმი თეთრი შარვალი, პერანგი და ქუდი იყო. მართალია, ყველაფერი ზომაზე დიდი ჰქონდა: შარვალი იღლიებქვეშ უნდა შემოეჭირა და ტოტები სანახევროდ შეეკეცა, პერანგი თითქმის ქუსლებამდე წვდებოდა, მაგრამ რა უშავდა, ქამარს შემოირტყამდა და საქმეც მოგვარდებოდა. არც ლუბას ჩაცმა იყო ძნელი. ბოიარის მეუღლისა და დედოფლის კოსტიუმები არ გვქონდა და მარია მასწავლებელმა გზა მონახა: როცა ლუბა ბოიარის მეუღლე იქნებოდა, პელაგია დეიდას ჭრელ თავშალს მოიხურავდა, ხოლო როცა დედოფალი გახდებოდა, მარია მასწავლებლის გრძელფოჩიან აბრეშუმის თეთრ თავშალს მოისხამდა და თავზე მუყაოსაგან გაკეთებულ თავსამკაულს დაიდგამდა.

ჩვენი გამოწყობა კი ძნელი აღმოჩნდა. ჩემი და კოსტიას — გრიგორი ოტრეპიევის — სკუფიები მარია მასწავლებელმა შეკერა, მაგრამ მღვდლის კაბები ვერსად ვიშოვეთ. მათ მაგივრად გამოვიყენეთ ამბულატორიის სანიტრების ყავისფერი ხალათები. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ხალათებს ჯიბეები ჰქონდა და უკან ორი ზორტით იკვრებოდა. მათ გადაკერება სჭირდებოდა. მარია მასწავლებელი გოგონებს აცმევდა და ანტონმა თვითონ სცადა გადაკერება, მაგრამ თითში ნემსი იჩხვლიტა რამდენჯერმე, შემდეგ ნემსი დაეკარგა და დარცხვენით თქვა:

— არა, თქვენ თვითონ როგორმე გადააკერეთ...

მე და კოსტია ერთმანეთს მაგრად ვფუთნით ხალათებში და შემდეგ სხვებს ვეხმარებით. გენადი მუცელზე ბალიშს იჭერს. შარ-

ვლის მაგივრად კორეოვის მამის ლურჯ გალიფეს იცვამს. კორეოვი ერთობ ახოვანი კაცია და მისი გალიფე ისე დიდია, თითქმის ნამდვილი შარვლის მაგივრობას სწევს. გენადის კრაველის ქუდს საველი მასწავლებელი აძლევს, ხიფთანები კი არა გვაქვს. კლუბში ერთი მწვანე კაზაკური ხიფთანია, მაგრამ იგი თვითმარქვიასა და ანდრის სჭირდება. ამიტომ ხიფთანებად ჩვენი ხალათები უნდა გამოიყენონ იმის შემდეგ, როცა თამაშს მოვრჩებით. ოღონდ მათ შემოკეცვა დასჭირდებათ. სხვა გზა არაა.

სერგეი ლუჟინს განსაკუთრებული კოსტიუმი არ უნდა, რადგან დამჯდარი იქნება. მას შავ პიჯაკს აცმევენ. ისე შემოახვიეთ, ჟაბოსავით ჰქონდეს, — ამბობს მარია მასწავლებელი. ანტონმა სერგეის ნამდვილი შავი პარიკი და ქილვაშებიც მოუტანა და, როცა გრიმი გაუკეთა, თუ ფეხებზე არ დააცქერდებოდით, ნამდვილი პუშკინი გეგონებოდათ.

შემოდის საველი მასწავლებელი და გვეკითხება:

— რაო, მსახიობებო, მზადა ხართ?

— არა, არა! — ვყვირით თავზარდაცემულნი.

— დროა დავიწყოთ, ხალხი ღელავს.

დარბაზი განუწყვეტლივ ხმაურობს, მოხშირებით ისმის ტაში და ფეხების ბრაგუნი. ეს რა შეუგნებელი ხალხია! ვთქვათ და მე დავაბრაგუნებდი? მართლა და მართლა, ხომ უნდა მოვემზადოთ...

— დაიწყეთ, საველი მასწავლებელო! ვიდრე მოხსენება და ანტრაქტი ჩათავდება, ყველაფერს მოვასწრებთ, — ამბობს ანტონი.

საველი მასწავლებელი გადის. ისმის ზარის ხმა. დარბაზი წყნარდება.

ანტონი წვერ-ულვაშს გვაწებებს. საჭირო თმა არა გვაქვს და ძენძს ვიკეთებთ. მე, ვასია უმცროსს და გენადის ანტონი ძენძზე პუდრს გვაყრის, ხოლო ოსტაპს ულვაშზე მურს უსვამს, რომ გაუშავდეს. ყველაზე უფრო კარგად გენადის აქვს „თმა“ — გრძელი, მსხვილი ძენძი ძეხვებივით ჩამოკიდებია ორ მტკაველზე. მე წვერი მუცლამდე მწვდება, ულვაში მთლად მიფარავს პირს. თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ძენძი პირში მიძვრება და შიგ ჩარჩენილი ბეწვები მჩხვლეტს და მიღიტინებს. ანტონმა გრძელი, დაფანჩული წარბებიც მომაწება: მოკლედ, ჩემი ფიქრით, ტყის კაცის მაგვარ საფრთხობელას დავემსგავსე, მაგრამ ყველა ამბობდა, ძალიან კარგია,

ნამდვილი მოხუცი. ზედგამოჭრილი მემატიანე ხარო, თითქოს ერთხელ ძაინც ენახოთ ცოცხალი მემატიანე!

ცხვირის წიბოზე ანტონი ზოლს გვიკეთებს, ცხვირის გვერდებს კი წითლად გვიფერავს. მე გარდა ამისა სახეზე ყავისფერი საღებავით ნაოჭებს მახატავს. მე ოდნავ დამანაოჭა, ლუბა კი ისე მიხატ-მოხატა, დატატუირებულ ინდიელს დაამსგავსა. მაგრამ თითქოს ასეცაა საჭირო — სცენიდან ეს ნახატი ნაოჭები ნამდვილი ნაოჭებივით გამოჩნდება.

დარბაზში ტაში გრიალებს — დამთავრდა მოხსენება. ახლა ჩვენ უნდა გამოვიდეთ. მარია მასწავლებელს და კატიას ჯერ არ სცალიათ. რამდენ ხანს უნდა იცვამდნენ? ბოლოს ანტონი გრიმს იღებს და ზეწრის მიღმა გადის: ვიდრე მარია მასწავლებელი კაბის შემოტეხვას დაასრულებს, ანტონი კატიას გრიმს გაუკეთებს.

ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ისვენებს. ვტოკავთ, მივდი-მოვდივართ კანცელარიაში, გავრბივართ სცენაზე და ისევ კანცელარიაში ვბრუნდებით. გრიმს ქონის მეტისმეტად ტკბილი სუნი ასდის, სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები გვასხდება, თითქოს ეს-ესაა აბანოდან გამოვედით, ძენძის ბეწვები სახეზე მიღიტინებს და სულ მინდა მოვიფხანო. არა უშავს, ყველაფერ ამას გაუძლებს კაცი, შეიძლება მოითმინო, მაგრამ შემდეგ რა იქნება?.. გული საგულიდან ამოვარდნას ლამობს და ბაგაბუგი გააქვს.

— მზადაა! აბა, გამობრძანდით, პანა მნიშეკ, — გვესმის ანტონის ხმა ზეწრის გადაღმიდან.

გამოდის კატია და... ნუთუ ეს კატიაა? სარტყელშემოჭერილი სოსანი კაბა განიერი კალთებით იატაკზე მოფოფიალებს, შარიშურობს და აბრეშუმივით ბზინავს. კატიას თავზე თმის მაღალი გვირგვინი ადგას, რომელშიც, როგორც მე მეჩვენება, ბრილიანტები უბრწყინავს. მაღალი საყელო უკეთია, ფერმკრთალ სახეზე ქედმაღლობა და სიგოროზე აღბეჭდვია. თვალებქვეშ ლურჯი წრეები აქვს.

კატიამ მოშარიშურე კაბის ბოლო აიკეცა და ამაყად გამოიარა ოთახში ჩვენ გვერდით, სანიტრის ხალათებში გახვეული თხუპნიების გვერდით. მაგრამ თავი ვერ შეიკავა, ცალ ფეხზე შემობზრიალდა და გვკითხა:

— როგორი ვარ?

— დიდებული! — წამოიძახა აღტაცებულმა კოსტიამ. — „ნუთუ შენ გხედავ?...“

მე კი გულში ხანჯალივით გამიარა შურმა: თვითმარქვიას რატომ კოსტია თამაშობს და არა მე?

კატია ისე ლამაზი მომეჩვენა, სულში რაღაც ჩამწყდა. კარებში თავს ყოფს პაშა და გაბრაზებით, აგდებულად ამბობს:

— საველი მასწავლებელმა თქვა, მეორეჯერ დარეკეთო. მაღე მორჩებით საქმეს?

კარებში ტაში და ხმაური იჭრება.

— აბა, აბა! — ამბობს მარია მასწავლებელი. — გავიდეთ სცენაზე!

სერგეი პატარა მაგიდასთან ჯდება, რომელზეც მუქი ქსოვილია გადაკრული. მუქი ქსოვილი იმიტომ, რომ ბიჭს ფეხები არ გამოუჩნდეს. მარჯვნივ კულისის მიღმა ლუბა-დედაბერი დგება, ხელში თითისტარი და ფთილა უჭირავს, მარცხნივ ოლია. რომელსაც ყვითლად შეღებილი და თევზის თავივით მოხატული ჩაჩი ახურავს. ვასია უმცროსი კი უკანა კედელთან დოლბანდის მწვანე ბადეს ისვრის. ანტონი ჯადოქრულ ფარანთან დგას. მარია მასწავლებელი მარცხენა კულისის მიღმაა, ხელში წიგნი აქვს: იგი მოკარნახის მოვალეობას ასრულებს.

— დარეკე მესამეჯერ! — ეუბნება ის პაშას.

პაშა თითქოს ხანძარიაო. გაშმაგებით რეკავს, ტუჩს იკვეხტს და თოკს ქაჩავს. ფარდა იწევა. თალფაქში ანთებული პატარა ნათურა (თალფაქი პაშას უჭირავს) ბოლოდ სერგეი ლუკინს ანათებს. ასლა ლუკინი, კიდევ უფრო ჰგავს პუშკინს. იგი მოხერხებულად დაყრდნობია მაგიდას, მშვიდად გასცქერის დარბაზს და მაყურებელთა დაწყნარებას ელოდება. ბოლოს იწყებს:

ცხოვრობდა მოხუცი ცოლ-ქმარი
ზღვა ლურჯი, ლურჯი ზღვის პირას...

უკანა კედელზე ინთება ლურჯზე ლურჯი ზღვა (მარია მასწავლებელმა ძალიან კარგად დახატა ყველაფერი!), ხოლო ვასია უმცროსი, რომელიც ფარნის შუქზე უფრო ლურჯი გამოჩნდა, თავის ბადეს ისვრის. მესამეჯერ ბადეს კედლისკენ კი აღარ ისვრის, მარ-

ცხენა კულისს გაღმა. ოლია-თევზს თავზე აცვამს, უკან იხევს და იგი სცენაზე გამოპყავს.

— „ოი. გაბიშვი მოხუცო ზღვაში!..“ — ამბობს ოლია წრიპინა, მღელვარებისგან ჩამწყდარი ხმით.

ყოველივე წესისა და რიგისამებრ მიმდინარეობს. არავის ებმება ენა. არ ირევა. დოინჯშემოყრილი ლუბა ისე ლანძღავს მოხუცს. ხოლო მოხუცი ისე მონდომებით აკეთებს ყველაფერს, უკეთესი არ იქნება. მართალია, მარია მასწავლებელმა ვასიას უთხრა, მოიკაკვეო, მოხუცები ნიადაგ მოკაკვულნი არიანო, მაგრამ ვასია ვერ იკაკვება. ამის მაგივრად მოიხარა და ისე დადის, თითქოს მუცელი აუტანლად ტკივა. თავს მაღლა არ სწევს, არც დარბაზს უყურებს, არც სცენაზე მყოფთ, დაჟინებით დასცქერის იატაკს. მოხუცი დედოფლის წინაშე მას ქუდი უნდა მოეხადა. ხოლო როცა მოიხადა, დარბაზში გაიცინეს: მისთვის პარიკის გაკეთება დავიწყებოდათ და გაკრეჭილი შავი თმა გამოუჩნდა, წვერ-ულვაში კი ჭაღარა ჰქონდა.

ფარდა დაიხურა. დარბაზში ტაში დაუკრეს, დაუსტვინეს (იმიტომ კი არა, რომ ყმაწვილებმა ცუდად ითამაშეს, სწორედ პირიქით. მოეწონათ მათი თამაში). ლუბა, ოლია და სერგეი მადლობის სათქმელად გამოვიდნენ, ხოლო ვასია კანცელარიაში მიიკუნჭა და არაფრით არ ისურვა გამოსვლა.

— რა მოგვიდა, ვასია? როცა ტაშს უკრავენ, უნდა გახვიდე,— უთხრეს მას.

— რატომ? — სერიოზულად იკითხა ვასიამ (იგი არასდროს ყოფილა სპექტაკლზე და არ იცოდა, რა ხდებოდა იქ.)

— მაყურებლები ტაშს რომ დასცხებენ, ამით მადლობას უხდიან მსახიობებს, ხოლო მსახიობები თავს რომ უკრავენ მაყურებლებს, ამით მადლობას ეუბნებიან მათ, — აუხსნეს ვასიას.

ვასია დაფიქრდა და არაფერი უთქვამს.

მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რიგიც დგება. მესამე ზარზე გული გადამიქანდა. ამას ისიც დაერთო, რომ ჩემს ფეხქვეშ სროლა გაისმა. გვერდზე გადავხტი და ისევ გაისმა სროლა.

თურმე სათამაშო დამბაჩის საცობი გავარდა. ბულბასთვის ნამდვილი თოფი იშოვეს. მაგრამ საველი მასწავლებელმა არა მარტო ცარიელი ვაზნების, ფისტონის ხმარებაც კი აგვიკრძალა. ჰოდა, იმ

დროს. როცა ბულბა ანდრის კლავდა, პაშას სცენის მიღმა სათამაშო დამბაჩა უნდა გაესროლა. დამბაჩა ერთ მეორეკლასელს გამოვართვით, მაგრამ მას სულ ხუთი საცობი აღმოაჩნდა. იმათგან ორზე ახლა მე ფეხი დავადგი და გავსრისე, მესამე სადღაც შეგორდა და ვერაფრით ვიპოვეთ, ამიტომ ორიღა დაგვრჩა.

პაშას სასო წარეკვეთა და საშინლად მთათხავდა. მარია მასწავლებელმა კამათი შეგვაწყვეტინა, სცენაზე გასვლის დროაო!

ვჯდები საწიგნედ თუ პიუპიტრად გადაქცეულ მერხზე და დაგრაგნილ ქაღალდს ვასწორებ.

— კალამი? სადაა კალამი?

გენადი კისრისტეხით გარბის კანცელარიაში, სამელნე და კალმისტარი მოაქვს.

— ეს რა არის? ბატის ფრთაა საჭირო! — იძახის მარია მასწავლებელი და საშინლად უფუჭდება გუნება — მაშინ ხომ ფოლადის კალმები არ ჰქონდათ! როგორ დაგვავიწყდა?

ცოტათი დავიბენით. მალე პაშა პელაგია დეიდას მოსაძებნად გაიქცა. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს, რომ პელაგია დეიდა ღუმელს ბატის ფრთით წმენდდა და პაშამაც მოიტანა ნადავლი. იგი კალთის ქვეშ შეემალა, რომ დარბაზში არ დაენახათ. ნადავლი საკმაოდ ჭუჭყიანი და დაგლეჯილი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი ბატის ფრთა გახლდათ.

კოსტია კორეოვი მერხზე წვება, ზურგი დარბაზისკენ აქვს მიქცეული. მე ჩემს ადგილზე ვარ. ჩემს გვერდით სანთლის ნამწვი ანთია. იხსნება ფარდა და ბნელი დარბაზი საბოლოოდ მაკარგვინებს გამბედაობას. ბატის ფრთას აკანკალებული ხელით მონდომებით ვაწებ სამელნეში, შემდეგ ქაღალდზე ვუსვამ და სიტყვას ვერ ვძრავ.

— „კიდევ ერთი...“ — მესმის მარია მასწავლებლის ჩურჩული.

არა, ხმას ვერ ამოვიღებ!

— ვინ არის ეს? — ისმის დარბაზში და მიხარია, რომ ძენძის გაბურძგვნილი წვერით მოსილს ვერავინ მცნობს. ახლა დაიხურება ფარდა, სცენიდან, სკოლიდან, სოფლიდან გადავიკარგები. ოღონდაც ბოლო მოეღოს ამ თავის შერცხვენას...

„კიდევ ერთი...“ — იმეორებს მარია მასწავლებელი. — თქვი ბოლოს და ბოლოს!

თავს არაადამიანურად ვატან ძალას და ყელიდან თაგვის წრიპინი ამოვდის. ბოლოს დაჯაბულად, ჩახრინწული ხმით ვჩურჩულებ.

...კიდევ ერთი. ეთი ამბავი...

— ხმამაღლა! — ყვირიან დარბაზში.

მაგრამ ყველაზე საშინელი რამ უკან დარჩა — პირველი სიტყვები წარმოვთქვი — ახლა უკვე ხმამაღლა და დარწმუნებით განვაგრძობ:

და დავამთავრებ ჩემს მატიანეს...

— ეს კოლია ბერეზინია! — ისმის დარბაზში მხიარული შეძახილი.

მაინც მიცნეს! მაგრამ სად გადავკარგულიყავი...

ღმერთმა ინება, მრავალი წელი
რომ ვყოფილიყავ მოწმე-მხილველი
ამა ქვეყნისა... და მწიგნობარი...

უცებ ჩემს ზურგს უკან ისმის უცნაური ბგერები:

— ხრ-რ... ხრ-რ-რ... ხ-ხ-ხრ...

კოსტია მძინარე გრიგორის ანსახიერებს და მეტი დამაჯერებლობისათვის ხვრინავს. დარბაზს სიცილი ედება — კოსტია კიდევ უფრო გულმოდგინედ ხვრინავს.

— კოსტია. შეწყვიტე ხვრინვა! — აღშფოთებით ჩურჩულებს მარია მასწავლებელი.

— კოს... — კინაღამ გავიმეორე, მაგრამ მაშინვე განვაგრძობ ჩემს ტექსტს:

...დაე, უწყოდეს შთამომავლობამ
წარსული იგი თავისი ქვეყნის...

უჰ! როგორც იქნა ჩავათავე მონოლოგი, ახლა უნდა ვწერო.

— უჰაა?... — ისმის ჩემს ზურგს უკან ბღავილი თუ ჩხავილი: გრიგორი-კოსტიამ გაიღვიძა, ტკბილად იზმორება და ამთქნარებს.

კოსტია ლაპარაკს იწყებს, მეც ვბედავ და დარბაზს ვავლებ თვალს. ბინდით მოცულ დარბაზში ყვითლად ჩანს სახეები... არა,

მეტად აღარ გავიხედავ იქით — შიში უფრო მემატება და ენა მთლიანად მიკეტავს ხორხს

კოსტიას რა უჭირს! თავისუფლად გრძნობს თავს, ძალზე თავისუფლადაც კი ლაპარაკობს. ხან ერთ ხელს სწევს მაღლა, ხან მეორეს. თანდათან კალაპოტში ვდგები და თუმცა ხელებს არ ვიქნევ (ისინი წინანდებურად მიკანკალებს), უფრო გაბედულად ვლაპარაკობ.

სცენა მშვენივრად ჩათავდა ჩემი ბოლო ფრაზით გათავებული.

— „არგანი მომაწოდე, გრიგორი", — ვამბობ და ძრწოლა მივლის: არგანი კანცელარიაში დაგვრჩენოდა!

კოსტია ზეზე ხტება და აქეთ-იქით აწყდება, მაგრამ რაც არ არის, რას იპოვის. იგი ეძებს, მე კი ვდგავარ და არ ვიცი, რა ვქნა.

— წადი, წადი! — მიჩურჩულებს მარია მასწავლებელი. მაგრამ ფეხს ვერ ვძრავ: არგანია გარეშე როგორ წავიდე?

— არგანი არ არის აქ! — ამბობს უნაყოფო ძებნით გაწამებული კოსტია.

სცენაზე გაჩერება აღარ შეიძლება

— მაშ, არ არის საჭირო, — წარმოვთქვამ აკანკალებული ხმით და გავდივარ, თითქმის გავრბივარ კულისებში, მავიწყდება, რომ პამენი ხანშიშესულია.

ჩავფლავდი! მეც ჩავფლავდი და ყველაფერი. ყველაფერი ჩავაფლავე!... სად გავექცე ამ სირცხვილს?

ვერ ვამჩნევ, რომ კოსტიამ თავისი რეპლიკა ჩაათავა, ფარდა დაიხუნა და ისევ გაიხსნა. დარბაზში ტაში ქუხს.

— გადი! გადი! — მესმის ყოველი მხრიდან და სცენაზე მაგდებენ.

დარბაზი გრიალებს. კოსტია მაჭაცურად ხრის თავს, მე კი გაშტერებული ვდგავარ. უცებ ტაშს სიცილი ერთვის. ტაში კიდევ უფრო ძლიერდება. რა თქმა უნდა, დამცინიან!.. ვტრიალდები, რომ გავიქცე და ვასია უმცროსს ვხედავ: მას გადაეწყვიტა, თავისი შეცდომა გამოესწორებინა და ახლა გაჭოსულიყო ტაშზე. ულვაში ცალ მხარეს მოსცილებოდა და ხელით იჭაგრებდა, თავს ხრიდა, წელში იკაკვებოდა. დარბაზი კი ხარხარებდა და ტაშს უკრავდა...

— ყოჩაღ! კარგად ითამაშეთ. — გვეუბნება საველი მასწავლებელი, როდესაც წაძით შემოიხედა კანცელარიაში.

— მართლა? — უნდობლად ვეკითხები. — კი მაგრამ... არგანი?

— ეგ არაფერი! მთავარი ისაა, რომ ყველაფერი სწორად, გრძნობით გააკეთეთ...

ყველანი ვმსჯელობთ ახლახან გათამაშებულ სცენაზე, ერთმანეთს არ ვაცლით ლაპარაკს, გული თითქოს საგულეში დგება და ვფიქრობ, შეიძლება მართლაც კარგად ჩაიარა ყველაფერმა, ხოლო ხელები რომ შიშისგან მიკანკალებდა, ეგ ხომ არავინ იცის-მეთქი.

კოსტიას სასწრაფოდ აცმევენ ჩალიჩებმიკერებულ მწვანე ხიფთანს. შესაფერისი ქუდი არა ჩანს და მარია მასწავლებელი თავის თეთრ პლუშის ბერეტს ახურავს. ბერეტზე გულისქინძისთავითაა მიმაგრებული ზემოთ აპრეხილი თეთრი ქათმის ფრთები.

სცენაზე ავრბივარ, მინდა ვნახო, როგორ ამზადებენ დეკორაციას. იქ პაშა განმგებლობს — ჰგონია, ყველაზე მთავარი დღეს შადრევანია და სწორედ მის გამო იდგმება სპექტაკლი. ამიტომ უნდა შადრევანი ზედ ფარდასთან დადგას, მაგრამ ანტონი ეუბნება, კედელთან დადგი, თორემ მოქმედ პირებს ხელს შეუშლისო. პაშა ცდილობს შეეკამათოს, შემდეგ მაინც გადააქვს კედელთან. შადრევანი ძალიან უბრალოდ გაკეთდა: ტაბურეტს მიადგეს რეზინიანი ფიცარი, ხოლო პაშამ მას ირგვლივ ქვები შემოუწყო. შეხედავდი და იფიქრებდი, წყალი პირდაპირ ქვებიდან ამოჩქეფსო. რით არ ჰგავდა შადრევანს?

— ეჰ, არა, არ ვარგა! — თქვა ანტონმა. — ასე მსახიობები წყალში იცურებენ. ქვეშ რამე უნდა დავუდგათ.

პაშა პელაგია დეიდას მოსაძებნად გარბის და ტაშტი მოაქვს.

— ტაშტი მომინანქრებულია, არ გატეხო! — უკან მოსძახის დეიდა პელაგია, მაგრამ ხედავს რისთვისაც გვჭირდება, მშვიდდება და დარბაზში შედის.

წყალი ჩხრიალით ეცემა ტაშტზე, შემდეგ ტაშტის ფსკერი იფარება და წყალი უკვე ნაკადულივით იწყებს რაკრაკს. პაშა შადრევანს ჯერჯერობით საცობს უკეთებს.

ჩემს მხართან ვიღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავს. ეს კატიაა. თვალები დაუჭყეტია და ხელისგულები მკერდზე მიუდევს.

— ვაი, მეშინია! — ჩურჩულებს და მთელი ძალით ხუჭავს თვალებს.

— არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება, აი, ნახავ! ღრეს ისეთი ხარ...

კატია სიტყვას არ მამთავრებინებს:

— შენ რა გიჭირს, უკვე ითამაშე... მე კი მეშინია... ვაი, დედა, მეშინია!...

— კოსტია სცენაზე! ვიწყებთ, — აჩქარებს მარია მასწავლებელი.

კოსტია კორეოვი ფიცარნაგზე ადის, ანტონი ყვითელ-მწვანე შუქ-ფარიან ფარანს რთავს და სცენას ანათებს მკრთალი. თითქმის ნამ-დვილი მთვარის შუქი. პაშა შადრევანს საცობს აცლის და ფარდის-კენ გარბის.

დარბაზი წყნარად ოხრავს: მომწვანო შუქზე წყლის ნაკადი ცი-ალებს და ხალასი ვერცხლივით ბზინავს. კოსტია მკვირცხლად გა-მოდის სცენაზე.

— „აი, შადრევანიც, — ამბობს და სარწმუნო რომ იყოს ნათ-ქვამი, ხელს იშვერს შადრევანისკენ. — იგი აქ მოვა...“

კოსტია ცდილობს ხელები ჯიბეებში ჩაიყოს, მაგრამ ხიფთანს ჯიბეები არა აქვს, ხოლო კალთები რომ აიწიოს და შარვლის ჯიბე-ებს მისწვდეს, არ შეიძლება. აღარ იცის, რა უყოს ხელებს, შემ-დეგ მათ აქეთ-იქით იქნევს და ისევ ეუფლება სიმტკიცე და სითა-მამე.

— „უფლისწულო!“ — ისმის კატიას ხმა.

— „ისაა! — კოსტია მეხნაკრავივით იგრიხება — ასე გამოხა-ტავს მღელვარებას — და საშინელი ხმით ჩურჩულებს: — ძარ-ღვებში სისხლი გამეყინა...“

კატია მთვარის მომწვანო შუქზე უფრო ფერმკრთალდება, თვა-ლები უფრო უდიდდება და უშავდება. სახეზე ისეთი ქედმაღლობა, მედიდურობა და თვითდაჯერებულობა ეხატება, ვერაფრით ირწმუ-ნებ, რომ ეს-ესაა თვალებს ხუჭავდა და შიში აკანკალებდა. მერედა რა ლამაზია ახლა! ეჰ, ნეტავ მე ვიყო თვითმარქვია!.. კოსტია კი... განა თამაშობს? პირდაპირ ყვირის.

— „მარინა! — ამბობს და მკერდზე ისე იბრაგუნებს ხელს, მა-რინას მაგივრად „მარინახი“ გამოუდის. — აბა, შემომხედე...“

მერე რა სიტყვებს ამბობს კოსტია! მათ ვერაფრით ვერ მო-იფიქრებ და ვერ იტყვი. ეს სიტყვები ხომ გრძნობით. მგზნებარედ უნდა წარმოთქვა, როგორც მარია მასწავლებელი გვიხსნიდა. კოს-

ტიას კი კარგად არ ესმის, რას ნიშნავს „მგზნებარედ“, ჰგონია „მგზნებარედ“ და „საზარლად“ ერთი და იგივეა და ცდილობს, რაც შეიძლება საზარლად ილაპარაკოს: თვალებს აყვრიალებს, ხმაჩახლეჩით ლაპარაკობს, თითქოს ახრჩობენო, სცენაზე აქეთ-იქით აწყდება.

მშვენიერი ამაყი მარინა სულ უფრო მაჯადოებს, მაგრამ დარბაზის სიმპათია თვითმარქვიასკენაა.

— „მრცხვენია ერთობ, — წამოიძახა კოსტიამ და კატიას, როგორც მაშინ ვასიამ შეშის ნაწყობთან, ზუსტად ისე მოქაჩა ხელზე, რის გამოც ქალიშვილს თავი შეუქანდა. — ამაყი პოლონელის წინაშე დამცირება...“

— აბა, კოსტია! — ყვირის ვიღაც დარბაზში. — ჩასცხე, რომ არ გაყოყოჩდეს...

სცენა მშვიდობიანად მთავრდება — არავითარი შეცდომა, არაკითარი შეფერხება. ბარაქალა! ჩვენ რას შევედრებით... დარბაზი დიდხანს გამაყრუებლად უკრავს ტაშს. კოსტია ისევ ისე იქნევს ხელებს, თავს უკრავს მაყურებელს, ხოლო კატიას თავის დახრა არ შეუძლია: ხეშეში საყელო ზედ ნიკაპზე ებჯინება. თურმე რატომ ეჭირა თავი ასე მედიდურად!.. ფარდა იხურება, კატია კანცელარიაში შერბის და ძალაგამოცლილი ეცემა სკამზე. რამდენიმე წამს თვალდახუჭული ზის, შემდეგ თვალებს ახელს და ბედნიერი ღიმილი ეფინება სახეზე — ყველაფერი ხომ ასე კარგი იყო!.. და მე არ ვიცი, რომელი კატია უფრო კარგია: ეს — მხიარული და მოცინარი თუ ის, სცენაზე მყოფი — ამაყი და მიუკარებელი...

ისეთ დროს ვარჩევ, როცა მახლობლად არავინაა, და ვეუბნები:

— იცი, კატია... დღეს ისეთი ხარ...

— როგორი? — დაბნეულად მეკითხება და მე ბოლომდე არც მისმენს, კორკოვს გასძახის: — კოსტია! განა შეიძლება ასე მოქაჩვა, მეგონა, თავი მომძვრება და ხელი ამომიგარდება-მეთქი...

ისინი ხელახლა განიცდიან წეღანდელ მღელვარებას, მე კი ვშორდები მათ. მათთან არაფერი მესაქმება. კატიას სულაც არ აინტერესებს, როგორი მეჩვენება იგი. ასე იყოს!.. მაგრამ ჩემი სული მშფოთვარებითა და ნაღველითაა სავსე.

— ახლა შენ თვითონ მიხედავ საქმეს, — ეუბნება ანტონი პაშას. — მე კი დარბაზში შევალ, ვნახავ. იქიდან როგორ ჩანს ეს ყველაფერი.

პაშა სიამაყისგან იბერება და ყველას უყვირის. ადრე ამაზე ვიცინებდი, ახლა კი გაღიმებაც არ მინდა.

სცენა — ტარას ბულბა შვილებთან და დედასთან ერთად — უხადოა. გენადი პირდაპირ ბრწყინვალეა: ისე დიდებულად ისვამს ხელს ხან ულვაშზე. ხან მუცელზე მიკრულ ბალიშზე — ზედგამოჭრილი პოლკოვნიკია! ქსენია ვოლკოვაც — იგი დედის როლს ანსახიერებს — ნამდვილ დედასავით ტირის და მოთქვამს. ფიმაც კი მშვენივრად თამაშობს, ჩვეულებისამებრ არ ყანყალებს.

აი, ბოლო სცენაც მთავრდება და ამ დროს ხდება უბედურება...

ბულბა დაეწია დამნაშავე შვილს, მოღალატე ანდრის.

— „ახლა რაღა ვქნათ? — მრისხანედ კითხულობს ტარასი და თვალებში ჩასცქერის შვილს. ანდრი მამის მზერას ვერ უძლებს და თავს ხრის. — რაო, შვილო ჩემო, დაგეხმარნენ შენი პოლონელები?“

ანდრი დუმს და კანკალებს.

— გაგონილა ასეთი ღალატი? უღალატო რწმენას? ეროვნულ შენიანებს? აბა, შეჩერდი!..“

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა.

— „გაჩერდი და არ გაინძრე! — ამაზრზენი ხმით ლაპარაკობს გენადი. — მე გშობე და მევე მოგკლავ!..“

ტარასი ნაბიჯს უკან დგამს, იხსნის თოფს. მხარზე ნელა იბჯენს კონდახს და შვილს უმიზნებს...

უმიზნებს და უმიზნებს, თოფი კი დუმს. კულისებში ხმაძალალი, გაბრაზებული ჩურჩულია, ფუსფუსია, მაგრამ სროლის ხმა არ ისმის.

დარბაზს სიცილი უვლის.

გენადი თოფს ძირს უშვებს, დაბნეულად უცქერის კულისებს და ისევ იწყებს:

— დიახ, ანდრი! ვერ გიშველეს შენმა პოლონელებმა? მე გშობე და მევე მოგკლავ!

ისევ მაღლა სწევს თოფს, ისევ დიდხანს, დიდხანს უმიზნებს, მაგრამ სროლის ხმა არა და არ ისმის. მაყურებლები უკვე მთელი

ხმით იცინიან. სასოწარკვეთილი გენადი ჩახმახს აჩხაკუნებს და ბწყრალად უსისინებს ფიმას:

— წაიქეცი!

ფიმა კულისებს მსწრაფლ აპკრობს მზერას, ამჩნევს მარია მასწავლებლის ნიშანს, სახეზე სასოწარკვეთილება ეხატება, თვალებს კარკლავს და ბრაგვანს ადენს ფიცარნაგზე.

ისე მონდომებით ეცემა, ისმის ფიცარზე მისი თავის დახეთქების ხმა. გენადი თოფს ძირს უშვებს, მწუხარედ დასცქერის გარინდებულ ანდრი-ფიმას. მაგრამ ფიმას ეტყობა, ახსენდება მარია მასწავლებლის ნათქვამი, დაცემისას ხელი გულზე უნდა იტაცოო, და ახლა იატაკზე დაწოლილი უცებ ხელს მარცხენა გვერდზე იდებს.

— არ გაინძრე! — ჩურჩულებს მარია მასწავლებელი.

— არ გაინძრე! — მრისხანედ ბღავის მთლად დაბნეული გენადი.

ამ დროს კულისებში დიდი ხნის ნანატრი სროლის ხმა ისმის. დარბაზი ხარხარებს. კულისებში ჩვენც სიცილისგან ვიჭაჭებით. პაშას თურმე დამბაჩაში საცობი მჭიდროდ ჩაედო. საცობი სველი იყო თუ სხვა რამ მოხდა, კაცმა არ იცის, საქმე ისაა, რომ დამბაჩამ არ დაიქუხა, ხოლო ვიდრე სირცხვილისა და დაძაბულობისგან გაჭარხლებული პაშა დამბაჩიდან საცობს ლურსმნით ამოაძრობდა, უკვე დაგვიანდა...

დარბაზი თავაწყვეტით ხარხარებს.

გენადი იცინის. სახე გვერდზე მიუბრუნებია, მაგრამ მუცელზე მიკრული ბალიში ამხელს, რომ სიცილით კვდება. მწოლარე ფიმას კრუნჩხვა უვლის, ბოლოს თავს ვერ იკავებს, გვერდზე ბრუნდება, ბაყურებელს ზურგს აქცევს და მთელი დარბაზი ხედავს, ეს ზურგი როგორ ცახცახებს სიცილისგან.

— ფარდა! — თითქმის ყვირის მარია მასწავლებელი.

საბოლოოდ გუნებაწამხდარი პაშა მთელი ძალით ქაჩავს თოკს — თოკი ბლოკს სცილდება და ფარდა ადგილიდან არ იძვრის. მე და კოსტია იძულებულნი ვართ ფარდა აქედან-იქიდან ხელით მოვწიოთ და დავსუროთ.

გენადის გულს ვერაფერი უკეთებს, დარბაზში კი ტაში გრიალებს და მსახიობები იძულებულნი არიან სცენაზე გავიდნენ. ბო-

ლოს ყველა ყვირის: „მარია მასწავლებელი!“ და გააფთრებით უკრავენ ტაშს. ისიც გამოდის და მხიარული ღიმილით თავს უქნევს მაყურებელს.

სპექტაკლის შემდეგ ანტონს თავის სახლში მივყავართ ღამის გასათევად, ხოლო კატია მარია მასწავლებელთან მიდის. ანტონი გენადის და პაშას არწმუნებს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და გულგასატეხი არაფერი გაქვთო. გენადის ნელ-ნელა უკეთდება გუნება, მაგრამ პაშა ისევ ცხვირჩამოშვებულია.

მეორე დღეს სულ სპექტაკლზე ლაპარაკობდნენ. ბავშვები აღფრთოვანებულნი იყვნენ ჩვენი ნიჭიერებით. განსაკუთრებით ყველას მოეწონა კოსტია-თვითმარქვია და გენადი-სულბა. სწორიც იყო: ისინი სხვებს სჯობდნენ... მაგრამ კატიას ჩემის აზრით ვერ შეედრებოდნენ.

რვა ნოემბერს კიდევ ერთხელ დავდგით ჩვენი სპექტაკლი. დაგვესწრნენ ტიქელებიც: კატიას დედა — მარია დეიდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ძია ივანე და მამაჩემი, აგრეთვე ბევრი კოლტუბელი. ამჟამად ყველაფერმა შეუფერხებლად ჩაიარა, პაშას დამბაჩამაც თავის დროზე დაიქუხა და ბიჭს სირცხვილი არ უჭამია.

ახლა არ ვცდილობ, კატიას ვუთხრა, როგორია. თვითონ კატია წინანდელ საუბარს არ იხსენებს. შემდეგ იწყება მეცადინეობა და იმხანად განცდილი მღელვარება აღარ მეუფლება.

მაგრამ ყოველთვის, როცა ის ამბავი მახსენდება, სული მშფოთვარებით მევსება და ვნანობ, რომ მაშინ კატიას არაფერი არ ვუთხარი...

სარეგვავი

შემოდგომის წვიმებს გადაღების პირი არ უჩანდა. შემდეგ ყინვები დაიწყო, მაგრამ დიდხანს არ გათოვებულა. უცებ კი, ერთ ღამეში მიწა და ტაიგა ფუმფულა საბურველში გაეხვია. ძია ზახარი დანაღვლიანდა: ზუსტად ნადირობის დრო დადგა, მას კი რევმატიზმი აწამებდა და სოფლის იქით გასვლა არ შეეძლო. ამიტომ კატიასთან სიარულს მოუხშირა.

კატიას ზამბარასავით მოქნილი, შავთვალა ნაპოვარა ხომ ჰყავ-

და. შემდეგ ძია ზახარმა წყვილი ცოცხალი ციყვი აჩუქა. კატიამ კიდევ ფრთახალოთოები ჭკა იპოვა. კუზმა დაარქვა და უვლიდა.

კატიას კოვის გაზრდაც უნდოდა, მაგრამ დედამისმა ამის ნება უკვე აღარ მისცა. როცა მარია დეიდას მთელი ეს ცხოველ-ფრინველი თავს აპეზრებდა, გულმოსული ყვიროდა:

— ეგ რა ამბავია? ქოხი კი არა სამხეცეა! — და იმუქრებოდა ყველას გავყრი აქედანო.

კატიას „სამხეცეს" სანახავად დადიოდა სწორედ ძია ზახარი. ივენც ხშირად ვიკრიბებოდით იქ.

ციყვებს სანია და ანია ერქვა. ისინი ისე სასაცილოდ ჩხუბობდნენ პურის ქერქისთვის, შემდეგ კი, როცა შერიგდებოდნენ, ისე კისრისტეხით დარბოდნენ მთელ ქოხში და ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის გაესწროთ, ნაპოვარა ისე ლამაზი იყო, ხოლო კუზმა იაე სასაცილო, მათთან არაფრით არ მოგწყინდებოდა.

განსაკუთრებით სასაცილო კუზმა იყო. თავი დარბაისლურად და მედიდურად ეჭირა, როცა ვეება ნისკარტს აუჩქარებლად აბრუნებდა აქეთ-იქით. ხოლო, როცა კატია გაკვეთილების დასამზადებლად ჯდებოდა, უსათუოდ საბელმძღვანელოების დასტაზე იკალათებდა; აიბუზებოდა და თვლემდა. თუ სანია და ანია უსაშველო ალიაქოთს ატეხდნენ, თავს ასწევდა, მათ თითქოსდა საქციელს არ უწონებსო, დაიჩხავლებდა და ისევ იძინებდა. ისე კი ქურდბაცაცა ეახლდათ. კატია ამისთვის ბევრს ამუნათებდა. მიუხედავად ამისა, ბაგიდაზე ახალი, მბზინავი კალამი რომ დაეტოვებინა, უმალ გააქრობდა და შემდეგ ვეოაფრით ვერ მოძებნიდი.

კუზმა სინათლეს ვერა და ვერ შეეჩვია. ელნათურის ანთებაზე შეშფოთებით წამოიწევდა, ფრთებს ფარჩხავდა, მობრჭყვიალე მინის ბურთულას უბღვერდა და ხმა როგორღაც ეხრინწებოდა. ერთხელ. როცა უკვე ფრთა მოუშუშდა, დღისით სცადა ნისკარტით გაეტეხა ნათურა, მაგრამ შეეშინდა. რაფაზე გადმოფრინდა და იქ დიდხანს იტკეპნებოდა ერთ ადგილზე, მწყრალად ფარჩხავდა ფრთებს და უხმოდ აღებდა ნისკარტს.

ძია ზახარი ღუმელთან ჯდებოდა ხოლმე, ჩიბუხს აბოლებდა. სანიას და ანიას სირბილს თვალს ადევნებდა, რაღაცაზე ფიქრობდა და ოხრავდა. გაკვეთილების მომზადების შემდეგ ჩვენ გვერდით

ვუსხდებოდით (ამ დროს კუზმაც ღუმელზე გადმოინაცვლებდა) და ნადირობის, ტაიგაში გადახდენილი ათასგვარი თავგადასავლის ამბებს ვეკითხებოდით.

ზამთრის ერთ საღამოს, სწორედ ასეთი გამოკითხვის დროს გაგვიჩნდა აზრი. ჩვენც მოგვეკიდა ხელი ნადირობისთვის. რა თქმა უნდა, ნამდვილ ნადირობას ვერ შევძლებდით. ნებას არ დაგვრთავდნენ. თანაც არც შაშხანები გვქონდა. არც ტყვია-წამალი. ხოლო უამათოდ ბევრ ნადირს ვერ დახოცავდი. გუნდიმ კი თქვა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ხომ ნანადირევი კოლექციისთვის გვინდა და არა გასაყიდად: დავხოცავთ სხვადასხვა მხეცს, გავაკეთებთ ფიტულებს და ისევ სკოლას მივცემთ, როგორც მინერალები მივეცით. თანაც თოფი სულაც არ გვჭირდება. ძია ზახარი მახეების დაგებას გვასწავლის. თუ რიგიანად დავდგამთ, დავლით ავივსებითო.

ძია ზახარს ჩვენზე ნაკლებ როდი გაუხარდა, მაშინვე გვიამბო, მახეები როგორია, როგორ კეთდება და სად იდგმება.

სიასამური ჩვენში გადაშენდა. ქაბარღას და ქურციკის მახეები სოფლიდან შორს უნდა დაგვედგა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ორი პატარა — თითო-თითო კილომეტრის სიგრძის — ბილიკი მოგვენიშნა და ზედ ისხერტები და სარეგვავები დაგვედგა.

ძია ზახარმა თითქმის მეტრიანი შეშის ღერი აიღო, ორ არათანაბარი სისქის ნაწილად გააპო, შემდეგ თხელი ფიცარი ამოკვეთა, მას მეორე თხელი ფიცარი დააბჯინა. მეორე ფიცარი რომ არ ასხლეტილიყო, ფიცრების ნაპირები ამონაჭრიანი კვარით გააჭაგრა. აწეული ძელის ქვეშ მოქცეულ კვარზე სატყუარა ეცმებოდა. როგორც კი სატყუარას შეეხებოდი, ორივე ფიცარი კვარის ამონაჭრიდან ამოვარდებოდა და მათზე დაყრდნობილი ზედა დიდი ძელი ძირს ეცემოდა.

სარეგვავი კიდევ უფრო მარტივი იყო. თექის ჩექმის ჭვინტით ძია ზახარმა ნამქერში ღრმული გააკეთა. შესასვლელთან ოთხი პატარა პალო ჩაასო. მათ შორის ზღურბლი — სამი სანტიმეტრი სისქის ჯოხი ჩადო. ზემოთ, პალოებს შორის მეორე უფრო გრძელი ჯოხი — საცემი დააყენა, ხოლო ის რომ მძიმე ყოფილიყო, ზემოდან კიდევ ერთი ჯოხი მიაბა. საცემს იკავებდა ყარაული — მეორე დახრილი ჯოხის ჭდეს მიბჯენილი ჯოხი, რომლის წაწვეტებულ ბოლოს სატყუარა ეცმებოდა. როცა სატყუარას შეეხებოდნენ, ყარა-

ული ჭდიდან ამოვარდებოდა და პალოების მიერ მიმართული საცეცხ ხღურბლზე ეცემოდა.

ჩვენ სარეგვავი უფრო მოგვეწოხა, რადგან ტყეში ისხერტის გაკეთება ძნელია, სატარებლადაც მძიმეა. სარეგვავს კი სადაც გინდოდა, იქ გააკეთებდი, თუ ნაჯახი გექნებოდა. მე და გენადიმ მაინც გავაკეთეთ ორი ისხერტი, ხოლო პაშამ თქვა, ჯიღამშვილდს გავაკეთებო. ეს იყო მახე, რომელშიც ნადირს ლარზე მობმული საცემი — ისარი — ჰეჰყავდა. ჩვენ მისი ჯიღამშვილდის გაკეთებას აღარ დაველოდეთ და მარტონი წავედით.

კატია დედამისმა არ გამოუშვა, ზამთარში ტაიგაში სიარული რა საჭიროა, თანაც გაცივდებიო.

პირველი ბილიკი სოფლის ჩრდილოეთით, ქედის გადაღმა გავკვალეთ. შემდეგ დასავლეთისკენ გავუხვიეთ, ერთი კილომეტრი გავიარეთ და მეორე — უკან მოსაბრუნებელი — ბილიკი მოვინიშნეთ. ისხერტები მოსახვევებში დავდგით, ხოლო ყოველ მონაკვეთზე ოთხ-ოთხი სარეგვავი გავმართეთ. გადავწყვიტეთ, თუ არ იკმარებდა, შემდეგ დაგვემატებინა. სატყუარად გვქონდა გამხმარი სოკო, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ციყვების მონადირება გვინდოდა.

მახეებს ორი დღის შემდეგ ჩამოვუარეთ, მაგრამ ისინი ცარიელი დაგვხვდა. მახეების ნახევარი ტოტებიდან ჩამოცვენილ თოვლს დაეფარა, დანარჩენებს კი არაფერი მოსვლოდათ, ოღონდ იქ არც ნადავლი იყო, არც სატყუარა. გენადიმ ივარაუდა, ჩვენს მოსვლამდე ვიღაცამ მოიპარაო. ისევ გავმართეთ მახეები და უკან დაბრუნებულებმა ძია ზახარს ვუამბეთ ჩვენი წარუმატებლობის ამბავი.

— ყარაულები მაგრად ხომ არ დააყენეთ? ციყვი სატყუარას შემოჭამს და ყარაული არც კი შეინძრევა. იქნებ უფრო ფომფლოდ დაგეყენებინათ...

ყარაულები მართლაც მაგრად გვქონდა დაყენებული. ახლა ისე დავაყენეთ. პირველივე შეხებაზე ჩამოვარდნილიყო. მეორე ისხერტის გასწორებისას გენადი შავ დღეში ჩავარდა.

ყარაულს რომ სინჯავდა, მას წნელის მაგიერ ხელი შეახო და მძიმე ძელმა თითებზე ისე დაჰკრა, ტკივილისგან დაიგმინა. შემდეგ კი გაიხარა.

— ხედავ. — მითხრა მან. — ძელი კარგად ეცემა. ყარაღული არაფერ შუაშია. აქ ვიღაც დაეხეტება... დავიჭერ მე იმას.

ჩვენ მეორე ბილიკზე სარეგვავისკენ გადავუხვიეთ და უცებ გენადი შეჩერდა. ბუჩქების უკან დაიხარა, მეც დავიხარე. წინიდან თოვლის ჭრაჭუნი. გადაწეული ბუჩქების შრიალი მოისმა და ხეების მიღმა დაბალ-დაბალი კაცი გამოჩნდა. იგი დამალვას არ ცდილობდა და. ეტყობოდა, ჩქარობდა. ჩვენ მხოლოდ მისი ზურგი და თოვლდაყრილი ქუდი დავინახეთ. გენადიმ თავი დამიქნია და უცნობს კვალდაკვალ მივყევით. კაცი სოფლისკენ გაემართა, მაგრამ ჩვენს ბილიკს კი არ გაჰყოლია, იგი გადაკვეთა. ქედზე რომ ავიდა, შედგა. დაიხარა. უცნობი რაღაცას აკეთებდა, მაგრამ რას, ვერ ვხედავდით, რადგან ბუჩქები გეფარებოდა. შემდეგ გასწორდა და ძირს დაეშვა, იგი კოლტუბის გზისკენ მიდიოდა და უცნაურად იქნევდა უკან გაწვდილ ხელს. დავიცადეთ, ვიდრე თვალს მოეფარებოდა და იმ ადგილას მივირბინეთ.

ნამორთან სახელდახელოდ გაკეთებული, ნახევრად თოვლით დაფარული პატარა სარეგვავი იდგა. საცემის ქვეშ უკვე გაყინული ციყვი იდო. კაცის ნაკვალევი არ ჩანდა — მის მაგივრად გაფაშრული თოვლის ფართო ზოლი მიიწევდა.

— ხედავ! — მითხრა გენადიმ. — ტოტით თავისი კვალი წაშალა... ოჰ, ეს ქურდბაცაცა!

— მას ხომ არაფერი წაუღია! ციყვი აგერ დევს, — შევესიტყვე მე. მაგრამ გენადი თავის ნათქვამზე იდგა და მისი გადარწმუნება აღარ შეიძლებოდა.

— მერე რა? იქნებ აქ ციყვი კი არა. ყარყუმი ან ქრცვინი იყო?..

ამ შემთხვევაში სულ სხვა ვითარება იქმნებოდა. თუ მართლა ასე იყო, ქურდი ცბიერი ბრძანდებოდა: ეჭვი რომ არ აღეძრა, ნაკლებად ძვირფას ნადავლს ტოვებდა. თვითონ კი უფრო ძვირფასი მიჰქონდა...

ჩვენც წავშალეთ ჩვენი ნაკვალევი და ქვემოთ ჩამოვირბინეთ.

მაშინვე ნათელი გახდა ყველაფერი: დაბალი კაცი კოლტუბის გზაზე ჩავიდა, სოფლისკენ გაუხვია და შჩერბატების ქოხში გაუჩინარდა.

ეს ამბავი არავისთვის მოგვიყოლია. მაგრამ გადავწყვიტეთ, თვა-

ლი გვედევნებინა ვასიასთვის, დანაშაულის ადგილზე შეგვეპყრო და ერთხელ და სამუდამოდ წაგვეოთვა სხვისი ნადავლის აწაპვნის სურვილი. ეტყობა, ტყუილა დავინდე მაშინ კრებაზე და ხალხს მისი ბრაკონიერობის შესახებ არ ვუამბე! შეიძლება. სხვისი მახეების ქექვა-ჩხრეკვა აღარ დაეწყო.

კატია სიცილით მოგვიყვა: პაშამ ჯილამ'ძვილდი გააკეთა და გადაწყვიტა, სოფელშივე გამოეცადა, რადგან თავლასთან ქრცვნის კვალი შეემჩნია. დადგა კიდეც, მაგრამ შიგ ქრცვინის მაგიერ მათივე კატა გაება. ცოცხალ-მკვდარი, შიშისგან გაგიჟებული კატა პაშას მამამ გამოათრია და მახე დაამტვრია. თვითონ პაშა აბლა შინ ზის და სირცხვილისგან თავს გარეთ ვერ ჰყოფსო.

ჩვენ პაშასთვის არ გვცხელოდა. ვცდილობდით, თვალი არ მოგვეშორებინა ვასიასთვის, და სკოლიდან დაბრუნებისთანავე მის ქოხს ვმეთვალყურეობდით.

ვასია არსად არ წასულა. მხოლოდ კვირადღეს გენადიმ დაინახა, რომ მან თხილამურები აიღო, კოლტუბის გზაზე გავიდა და ტყეში მიიმალა.

გენადის ვუთხარი, გავედევნოთ-მეთქი, მაგრამ მიპასუხა, ასე შეიძლება შეგვამჩნიოს. უმჯობესია, იმ სარეგვავის მახლობლად გავინაბოთ, ვასია იქ აუცილებლად მივაო.

ქედზე მეორე მხრიდან ავედით. სარეგვავი ცარიელი დაგვხვედა. ახლოს არ მივსულვართ, შორიდან გავხედეთ და ბუჩქებში დავიმალეთ, რომ ვერავის შევემჩნიეთ, ჩვენ კი ყველაფერი დაგვენახა. გენადიმ ტოტებიც კი შეარხია, რომ თოვლი დაგვყროდა და უჩინარნი ვყოფილიყავით. დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. გვარიანად გავიყინეთ. სულ ტყუილა ვდარაჯობთ ცარიელ სარეგვავს-მეთქი, — გავივლე გულში, შემდეგ ხმამაღლა ვთქვი ეს და ნაბიჯების ხმაც მოისმა...

ვასია მაშინდელივით მივიდა სარეგვავთან, დაიხარა და საცემმა ყრუდ გაიტკაცუნა.

ვასიამ ისევ დაიწყო კვალის წაშლა. ჩვენც გამოვცვივდით ბუჩქებიდან და ვეძგერეთ. ვასია ამას არ მოელოდა. თხილამურებიდან ფეხი გადაუცდა და თოვლში დაეცა. ჩვენ ზემოდან დავაცხრით.

ვასიამ გვიცნო და შემოგვყვირა:

— რა მოგვიდათ, გაგიჟდით?

— ახლავე გაგაგებინებთ, რაც მოგვივიდა. — ღვარძლიანად მიუგო გეხადიმ და თოვლი მობღუჯა. — გაგაგებინებთ, როგორ უხდა სხვისი სარეგვავების ქექვა-ჩხრეკვა... შე, ბრაკონიერო, შენა!

— შენი სარეგვავი გავჩხრიკე თუ? — იყვირა ვასიამ. იგი ცდილობდა, ხელიდან გაგვსხლტომოდა. — გიჯობს გამიშვა.

— არ გაგიშვებ! ჩვენიც გაჩხრიკე და აქაც ჩხრეკ... გადაგაჩვევ ამას, იცოდე!

ვასიამ თავი გაითავისუფლა, ჩვენ კი თოვლში ჩავცვივდით, შემდეგ ისევ დავაცხერით მას. ვასია ისეთი სხარტი იყო, ვერაფრით ვერ დააკავებდი, და ჩვენ თუმცა ორნი ვიყავით, წამდაუწუმ თოვლში ვეცემოდით. ქუდები დაგვეკარგა, თოვლი სახელოებსა და საყელოებში ჩაგვეყარა. უკვე სარეგვავების და ნადავლის დარდი სულ აღარ გვქონდა — ახლა ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა უნდა გვესწავლებინა ვასიასთვის...

უცებ შუა დაკადაკაში, როცა სამივენი ისევ ვეცით ერთმანეთს, იქვე გაისმა ბავშვის ნაწყენი და გაოცებული ხმა:

— ბიჭებო! რას ცელქობთ აქ? ციყვებს სულ დააფრთხობთ...

უცებ წამოვდექით. ჩვენ წინ იდგა ვასია უმცროსი. იგი ამაოდ ცდილობდა წარბები შეეკრა.

— შენ რაღას დადიხარ აქ? — ჰკითხა გენადიმ.

— მე საქმეზე დავდივარ, — დინჯად მიუგო ვასია უმცროსმა. — თქვენ კი რას ძიძგილაობთ? სხვა ადგილი ვერ ნახეთ?.. — მიუგო ვასია უმცროსმა და სარეგვავისკენ გაემართა.

— ეს შენია?

— ჩემია, მაშ, ვისი იქნება!

— შენ რაო, — ისევ აიფოფრა გენადი — პატარას პარავ? — უთხრა ვასია უფროსს.

— შენ მე ქურდობაზე დამიჭირე? — პირქუშად შეესიტყვა ვასია.

— რა მოიპარა? — იკითხა ვასია უმცროსმა. — არ მოუპარავს: ციყვი აგერაა! — მან საცემი ასწია და კუდით გამოათრია მკვდარი, მონაცრისფრო ბეწვიანი ციყვი.

პირი დავაღეთ. როდის მოხვდა ციყვი მახეში? ჩხუბის დროს ხომ არ შეძვრებოდა შიგ. ჩხუბის დაწყებამდე კი სარეგვავი ცარიელი იყო, ორივემ ვნახეთ ეს.

აუხსნელმა გამოცანამ გამაწითლა. ალბათ იგივე გაიფიქრა გენადიმ, რადგან მასაც სიწითლე მოედო.

— მაშასადამე, შენ... — დავიწყე აბნეულად.

— არავითარი მაშასადამე... ეს თქვენი საქმე არაა, გასაგებია? — გვითხრა ვასიამ. — სხვაგან ცხვირს ნუ ყოფთ, თორემ ინანებთ... აბა. ერთი სცადეთ ამ ამბის გახმაურება! წავიდეთ, ვასია!

ჩვენ არ „ვახმაურებდით", რადგან გვრცხვენოდა. მე მხოლოდ კატიას ვუამბე ეს ამბავი. მან ტაში შემოჰკრა და მითხრა:

— რა ბრიყვები ხართ, ბიჭებო! რა გიკვირთ, რომ ვასია შჩერბატი ვასია უმცროსს ეხმარება? ვასია უმცროსი ხომ პატარაა და ციყვის დაჭერა არ იცის. ჰოდა, შჩერბატი ჩუმად ულაგებს ციყვებს, თორემ მის სარეგვავში ალბათ არც ერთი ციყვი არ მოხვედრილა... ვასია უმცროსი თვითონ მეუბნებოდა, ციყვებს დავხოცავ და ქუდს შევიკერავ. თორემ ძველი მთლად გაცვთაო... და ძალიან კარგი, თუ შჩერბატიმ ასე ჰქნა. ჩვენი სირცხვილი, რომ ვერ მივხვდით...

თავდაპირველად სისულელედ მეჩვენა, რომ შჩერბატი ცალცალად დებდა პატარა ბიჭის სარეგვავში ციყვებს. ასე საგაზაფხულოდ თუ მოაგროვებდა ქუდისთვის საჭირო ტყავებს, ჯობდა თვითონ მოეგროვებინა და ერთიანად მიეცა მისთვის. შემდეგ მივხვდი, რომ ეს სულ სხვა რამ იყო: ვასია უმცროსს საჩუქარი კი გაახარებდა, მაგრამ საკუთარი ხელით მონაგრებული ქუდი მისთვის გაცილებით ძვირფასი იქნებოდა.

რაც მეტს ვფიქრობდი, ვასია შჩერბატის მიმართ უფრო მეტი პატივისცემით ვიმსჭვალებოდი და უფრო მეტ სირცხვილს ვგრძნობდი. ყველაზე მეტად იმის გვრცხვენოდა, რომ სწორედ ვასია შჩერბატი მიხვდა და არა ჩვენ, ვასია უმცროსს დახმარებოდა.

ყველას მოგვწონდა თეთრთავა, ჯირკუტანა ვასია უმცროსი, ვეება, ზომაზე დიდი ჩექმები და ქურთუკი რომ ეცვა და გაქუცული ხბოს ტყავის ქუდი გამუდმებით ეფხატებოდა თვალებზე. ვასია უმცროსს დარბაისლურად ეჭირა თავი, ძალისძალად ჭმუხნიდა წარბებს და სამეურნეო საქმეებზე კაცივით მსჯელობდა. არასდროს დაუწუწუნია და არ დაუჩივლია. არც მისი გამხდარი, ავადმყოფი დეიდა წუწუნებდა. დეიდა დედის მაგივრობას უწევდა, როცა ბიჭს დედა გარდაეცვალა, ხოლო მამა ფრონტზე დაეღუპა. დეიდამ წა-

მოიყვანა თავისთან და ყველამ თქვა, კარგად და სწორად მოიქცაო. დეიდა სხვებივით მუშაობდა, მაგრამ ცხოვრება უჭირდა: ხშირად ავადმყოფობდა, ოჯახში კი სხვა მუშაკაცი არ ჰყავდა.

ჩვენ ჩვენს ან საერთო საქმეებს ვიყავით გადაყოლილი, როგორც გვეჩვენებოდა, ძალზე მნიშვნელოვან საქმეებს, და არ გვეცალა. ამიტომ მხედველობიდან გამოგვრჩა ვასია უმცროსი.

და განა მარტო ის? აი, ლუბას დაგლეჯილი ქურთუკი აცვია, ფიმა ვერაფრით ვერ იმარაგებს შეშას, რადგან მათთან მაინც ძველი ღუმელი უდგათ. ეს ღუმელი ღორმუცელასავით ნთქავს შეშას, მაგრამ მათთან მაინც ცივა...

რაც უფრო მეტს ვფიქრობდით ამაზე, მით უფრო მეტ სირცხვილს ვგრძნობდით. გენადის უცებ დაეუფლა მგზნებარება და შემოგვთავაზა, ისხერტები და სარეგვავები გაგვეომარგებინა, რათა ტყავები კოლექციისთვის კი არ მოგვეგროვებინა, სულ ვასია უმცროსისა და ლუბასთვის მიგვეცა. ახლა ციყვები ჩვენს სარეგვავებში ხვდებოდა. ძია ზახარის მიერ საჭიმზე გადაკრული ჩვიდმეტი ტყავი უკვე შრებოდა... ტყავები რომ ვასია უმცროსისა და ლუბასთვის მიგვეცა, ამაზე უარს არავინ ამბობდა, მაგრამ ტყავები ცოტა გვქონდა და რჩევის საკითხავად დაშა კულომზინას მივაკითხეთ.

— კარგია, ყმაწვილებო, — გვითხრა მან. — განაგრძეთ თქვენი საქმე. ძია ფედიამ უკვე ილაპარაკა ამის შესახებ...

შემდეგ გავიგეთ, რომ ჯერ კიდევ ადრე გამგეობის სხდომა შემდგარა და ძია ფედიას და დაშას დაუსვამთ საკითხი — დახმარებოდნენ ომის შედეგად დაობლებულ ბავშვებს. აგრეთვე იმათ, ვინც კარგად მუშაობდა, მაგრამ რაღაც უჭირდათ და თვითონ ამ გასაჭირს ვერ უმკლავდებოდნენ. ძია ფედიას წინადადებით გამგეობას გადაეწყვიტა, ლუბას დედისთვის კოლმეურნეობას გამოეყო ცხვრის ტყავი, ფიმას ქოხში ხელახლა აეშენებინა ღუმელი, ხოლო ვასია უმცროსის დეიდისთვის სესხი მიეცა.

დაშამ ძია ფედიას ჩვენი გეგმების შესახებ უამბო და, როცა მჭედელთან საჭიმის მავთულისთვის მივირბინეთ, გვითხრა, კარგები ხართ და სწორედ იქცევით, ასეც უნდაო!

ფიმამ რაღაცნაირად ყველაფერი გაიგო და მანჭვა-გრეხვა მიატოვა. ერთ საღამოს თვითონ მოვიდა ჩემთან:

— თქვენ ღუმელის შესახებ მოილაპარაკეთ? ვიცი ეს. მერე რა?

— არაფერი. ნუ ყოყოჩობთ. მეც შემეძლო ამის გაკეთება.

— არც ვყოყოჩობთ. შენ კი რაც გინდა, ის იფიქრე.

ფიმამ ცოტა ხანს იყუჩა, მიწას დასცქეროდა, შემდეგ თქვა:

— არაფერსაც არ ვფიქრობ... იცი, ამის შემდეგ „გნოლქათმებს" აღარ დაგიძახებთ...

ორი დღის შემდეგ ჩვენ ყველანი კატიასთან ვისხედით და კუზმაზე ვიცინოდით (კუზმამ სცადა გაწმენდილი სუფრის კოვზი მოეპარა, მაგრამ რაკი შეამჩნია, რომ ყველანი ვუთვალთვალებდით, ნისკარტი გაუშვა და ახლა თავი ისე ეჭირა, თითქოს კოვზი სულაც არ დაუნახავს და მხოლოდ ძაფის კორძი აინტერესებდა. ამ დროს ფიმა მოვიდა და ზღურბლიდან სინდიოფალას ტყავი გამოგვიწოდა...

— აჰა. ვიცი, რომ კოლექციას აგროვებთ, — გვითხრა მან.

ერთი სიტყვით, ფიმა ჩვენს ბანაკს შემოუერთდა, შემდეგ სენიამ მიბაძა მას. ფიმას განსაკუთრებით მიმღები იზიდავდა და ნიადაგ პაშასთან ტრიალებდა, რომელიც ახლა ქოხ-სამკითხველოს მთავარი რადიოტექნიკოსი იყო.

მხოლოდ ვასია შჩერბატიმ არ გვაპატია „ბრაკონიერის" დაძახება. ხოლო ახალმა შეცდომამ საბოლოოდ მოგვისპო შერიგების იმედი. გენადიმ სცადა გულახდილად მოლაპარაკებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ვასიამ შუბლშეკრულმა მოუსმინა, არაფერი უთხრა და წავიდა.

ვასია უმცროსს მალე გაუჩნდა ციყვის ტყავის ახალი ქუდი. მართალია, ტყავები ცუდად იყო გამოქნილი და ყოველ შეხებაზე ქუდს ტკაცუნი გაჰქონდა, თითქოს თუნუქისაააო, მაგრამ ბიჭი ამაყი და ბედნიერი იყო.

ჩვენ არცთუ წარმატებით ვინადირეთ, მაგრამ მაინც თავი მოვუყარეთ ოცდაჩვიდმეტ ციყვის, ხუთ ყარყუმის და ორ ქრცვინის ტყავს. კარგი ტყავებისგან ფიტულები გავაკეთეთ და სკოლას გადავეცით, დანარჩენი დეიდა მარიას მივუტანეთ. მან ციყვის ტყავები კატიას პალტოს და ლუბას ქურქის კალთებსა და სახელოებს შემოაყოლა, ხოლო ყარყუმის ტყავები მათ ქუდებს მიაკერა. ქუდები ლამაზი გამოვიდა.

მთელი დეკემბერი პოლიტი ქარები ქროდა და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. წამდაუწუმ ხვავრიელად თოვდა. თოვლბუქის თეთრ მოქანავე საბურველში ეხვეოდა ცა და ტაიგა. კოლტუბის გზა ძალზე მაღალი ნამქერების ქვეშ ჩაიკარგა და სკოლისკენ მიმავალნი ყოველთვის ახალ ბილიკს მივიკვალავდით, გვერდს ვუვლიდით თოვლის ზვინულებს. ტბის სარკისებრ ყინულზეც კი თოვლის ტალღები იზრდებოდა, რომლებიც რამდენიც უნდა გვეწმინდა, მაინც ჩნდებოდა ისევ და ისევ.

დეკემბრის დამლევს საოცრად ნათელი დღე გამოხდა. მზე ისე აცხუნებდა, შუადღეს სახურავებზე თოვლმა წვეთა დაიწყო, ხოლო ნამქრები გამაგრდა — მოტკაცუნე ლიპი გადაეკრა.

იმ დღეს პაშას შინ მიეჩქარებოდა. ამიტომ სხვა ბავშვებს გაეყვა, ჩვენ, სამნი კი საციგურაოზე გავიქეცით. ანტონმა დაპირება შეასრულა — ტბორზე კომკავშირელებმა საციგურაო გაწმინდეს და გაკვეთილების შემდეგ ხშირად ერთი-ორი საათით მივდიოდით იქ.

ამჯერად დიდხანს ვიციგურავეთ და გონს მაშინ მოვეგეთ, როცა ცას ღრუბლები გადაეკრა, ქარი ამოვარდა და თოვლის ტალღებს ჩრდილოვანი მხარეები აიფოფრა. კოლტუბის გადაღმა ქარი კიდევ უფრო გაძლიერდა. ისევ გათოვდა.

— იქნებ უკან დავბრუნდეთ, სკოლაში დაველოდოთ გამოდარებას? — შეშფოთებით თქვა კატიამ.

— რას ამბობ! გზა არ დაგვებნევა. — მიუგო გენადიმ.

გზა, რა თქმა უნდა, არ დაგვებნეოდა: ელექტროხაზი თითქმის სულ თემშარას მიჰყვებოდა და, თუ მას თოვლი დაფარავდა, ბოძები მაინც გამოჩნდებოდა.

ქარი გააფთრებით ზუზუნებდა მავთულებში. ხანდახან ისე დაუბერავდა, ვიცუცქებდით, რადგან ფეხზე არც ერთს არ დაგვაყენებდა. ზურგიდან რომ დაებერა, რა უშავდა, თითქოსდა განგებ პირდაპირ სახეში გვცემდა! მშრალი მჩხვლეტავი თოვლი სახეზე გვეხლებოდა, სახელოებში, ტყაპუჭქვეშ გვიძვრებოდა.

განსაკუთრებით კატია ჩავარდა შავ დღეში: მას ქურთუკიც არ ეცვა. მხოლოდ ბამბიანი პალტო ემოსა. თავდაპირველად დაწალიკებით მივდიოდით: მე და გენადი რიგრიგობით მივაბიჯებდით წინ,

კატია კი ჩვენ შუა მოდიოდა. მაგრამ მან შემდეგ თქვა, ასე ერთმანეთს დავკარგავთ და ჯობს ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთო. მიწას გაკრულნი, თვალისმომჭრელი თოვლისა და ქარის გამო თვალდახუჭულნი ვერაფერს ვხედავდით, მხოლოდ სადღაც ზემოთ მკვნესარე მავთულებს ვაყურადებდით. კარგა ხანია გაქრა დილით ჩვენ მიერ გაკვალული ბილიკი, ვერაფერს გაარჩევდით გაავებულ რძისფერ ბურში. უკვე პირდაპირ ნამქერებზე მივაბიჯებდით, ხოლო მცირე ხნის შემდეგ კი აღარ მივაბიჯებდით, მივბობღაკდით, თხელი ლიპიდან წამდაუწუმ ვცვივოდით ფაშარ თოვლში. გაჭირვებით ამოვდიოდით იქიდან და ისევ ვიფლობოდით ნამქერში.

ყველივე ამასთან ერთად უცებ ჩამობნელდა. არავინ იცოდა, ნახევარი გზა გავიარეთ, მესამედი თუ მეოთხედი. ვერც გავიგებდით, ვინაიდან ვერაფერს ვარჩევდით მჩხვლეტავ, აღმუელებულ წყვდიადში. ქარი და დაღლილობა სულ უფრო ხშირად გვაიძულებდა შევჩერებულიყავით, ზურგი შეგვექცია ქარისთვის და დაგვესვენებინა. მაგრამ გაჩერებისთანავე აუტანელი სიცივე გვეუფლებოდა და საშინლად ვკანკალებდით.

პირველი კატია იღლებოდა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენზე სუსტი იყო, იმიტომაც, რომ ბარნაულში ნაყიდი ირმის ტყავის ლანჩებამოკერებული ვეება ჩექმები ეცვა. ამ ჩექმებით სიარული კარგ გზაზეც ჭირდა. თორემ თოვლის ნაბუქში ხანხალი ხომ სულ შეუძლებელი იყო. ბოლოს კატიამ ვეღარ მოითმინა. თოვლზე დაჯდა, სახეზე ხელები აიფარა და გვითხრა, ძალა გამომელია და ვეღარ გამოგყვებით, სულ ერთია, აქ გავიყინები თუ იქო. ჩვენ დარიგება დავუწყეთ, ვარცხვენდით, მაგრამ ის არ ინძრეოდა.

— ეჰ, შენა! — გავბრაზდი მე. — აბა, ის ბოლშევიკები როგორ მიდიოდნენ ძია ზახართან ერთად?

კატია ვაი-ვაგლახით წამოდგა, ხელკავი გავუკეთეთ და წავიყვანეთ. მაგრამ ჩვენც გამოგველია ძალა და გადავწყვიტეთ, წესიერად დაგვესვენა. კატია აღარაფერს ამბობდა, ერთიანად კანკალებდა, ხელი სახეზე მივადე და ვიგრძენი, რომ ცრემლი სდიოდა.

გავიფიქრე, ვაითუ მართლა გავიყინოთ-მეთქი. რაღაცნაირად დუნედ, შიშის გარეშე გავიფიქრე, თითქოს სრულიად უმნიშვნელო აზრი დამებადა და იგი სულაც არ იყო საშიში. სწორედ ამ გულგრილობამ შემაშინა: სხვათა ნაამბობის მიხედვით ვიცოდი,

რომ ადამიანები სწორედ ასე იწყებენ გაყინვას, როცა მათთვის სულ ერთია — იცოცხლებენ თუ არ იცოცხლებენ, ოღონდაც ადგილიდან არ დაიძრან. ზეზე წამოვხტი, კატია წამოვაყენეთ და ისევ წავიყვანეთ.

ოცი ნაბიჯი გავიარეთ და რაღაცას შევეჯახე, ხელი დავაბჯინე და შეძრწუნებულმა შევყვირე: ის რაღაცა ინძრეოდა! ავსული! აბა, ამ დროს აქ ვინ იქნებოდა მის გარდა? მაგრამ ავსული არ წამომართულა და არ დაუღრიალია, მან ადამიანის ხმით ჯრუდ იკითხა:

— ვინ არის მანდ?

— შენ ვინღა ხარ? — სიხარულით შევძახეთ ჩვენ.

— მე ვარ, — გვიპასუხა და წამოიწია.

— ვასია? რა გინდა აქ?

— კარგა ხანია შინ ვიქნებოდი, მაგრამ გავიყინე, ამანაც არაქათი გამომაცალა... — გვითხრა ვასიამ. მისი კალთის ქვეშ ვასია უმცროსი მოკრუნჩხულიყო.

— მაშ, სუყველანი აქ არიან? — შეშფოთებით იკითხა გენადიმ.

— არა... ისინი რახანია შინ იქნებიან, ქარბუქის ამოვარდნამდე მივიდნენ. ჩვენ შემდეგ გამოვედით სკოლიდან. ამას სიარული სულ არ შეუძლია, თოვლში იფლობა, ზურგით მომყავს.

თუმცა ვასია შჩერბატი იყო, მაგრამ მაინც გაგვიხარდა. ახლა ბევრნი ვიყავით და შიში ვერ მოგვერეოდა...

ვასია უმცროსი ისე გაყინულიყო, ხმას ვერ იღებდა, არც კატია იყო უკეთეს დღეში — არაფერი უთქვამს, რომ უცებ ჩვენ წინ შჩერბატი და ვასია უმცროსი გაჩნდნენ. მხოლოდ ეს წაიბუტბუტა კბილების კაწკაწით:

— ნეტავ წუთით მაინც სადმე შეგვაფარებინა თავი!..

— ვერსად შევეფარებით. უნდა ვიაროთ, — თქვა ვასიამ.

— ის მაინც ვიცოდე, რამდენი გვაქვს გასავლელი, თორემ ბრძენივით მივეხეტებით... — ვთქვი მე.

— ზუსტად შუა გზაზე ვართ, — თქვა ვასია შჩერბატიმ.

— საიდან იცი? — ჰკითხა გენადიმ.

— ვიცი. ბოძები დავთვალე. ახლა ანკერული საყრდენი იქნება. ის ზუსტად შუა გზაზეა.

ვასიამ ვასია უმცროსი ზურგზე მოიკიდა და მოხრილი წავიდა

წრ. რამდენიმე წუთში საყრდენს გავუსწორდით. კატიას სულ გა-ოეცალა ძალა და ჩვენ თითქმის ხელით მიგვყავდა.

— გაჩერდით, ბიჭებო! — იყვირა უცებ გენადიმ. — გაჩერდით! აქ ხომ ჩვენი გამოქვაბულია!.. აქ მოვიცადოთ ქარის ჩაცხრომამდე.

იქ მართლა შეიძლებოდა ქარსა და თოვლს გავრიდებოდით, რადგან გამოქვაბული ქარისგან დაცულ მხარეს იმყოფებოდა.

ვასიამ გამოქვაბულის არსებობა არ იცოდა და გენადის არ დაუჯერა.

— სულ რაღაცას იგონებ! — უთხრა მას. — უნდა ვიაროთ...

— შენ წადი, რაკი გაყინვა გეხალისება. ამ ბიჭსაც გაყინავ...

ვასია უმცროსი სულ აღარ ინძრეოდა და ხმას არ იღებდა, ალბათ ამან აიძულა ვასია შჩერბატი გენადის დათანხმებოდა.

მერედა ვიპოვით ახლა? — დაეჭვებით კითხა მან.

— ვიპოვით! ზუსტად ამ საყრდენის მარცხნივაა, — დაბეჯითებით მიუგო გენადიმ.

უმალ შვება ვიგრძენით, რადგან ახლა ქარი მარჯვენა გვერდში გვიბერავდა და არა სახეში. სუნთქვაც შეიძლებოდა, თუკი შებრუნდებოდი. აქ თოვლიც ცოტა იყო, ვიდრე განაკაფში. კლდეებს მიღმა უფრო მეტი სიწყნარე იდგა: ამ ადგილებში ქარი ყველაზე ძლიერი დაჭროლვისას თუ აღწევდა... გენადი შეჩერდა, მიმოიხედა. შემდეგ ნამქერზე აძვრა და გაქრა.

— აქეთ, ბიჭებო! — გავიგონეთ მისი ხმა. — ვიპოვე...

ნამქერზე ავედით და პირდაპირ გამოქვაბულში მოვხვდით. შიგ საკვებით ბნელოდა და მხოლოდ შესასვლელთან ჩანდა მკრთალად თოვლის ნამქერი. შჩერბატიმ ვასია უმცროსს ნჯღრევა დაუწყო. ბოლოს ბიჭმა დუნედ თქვა:

— დამანებე თავი... გავიყინე...

ჩვენ ყველანი გავიყინეთ და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესად ვხდებოდით. გამოქვაბული ქარისაგან და თოვლისგან გვიფარავდა, მაგრამ არც გათბობა შეეძლო და არც სიცივისგან დაცვა. კატია მოიკუნტა და ძლივს გასაგონად კვნესოდა.

— რა მოგივიდა?

— ფეხებს ვერ ვგრძნობ... — კბილების რაკარუკით, ენაბლუსავით გვიპასუხა.

ამ დროს გავიფიქრე, ჩექმები ალბათ პირამდე თოვლითა აქვს სავსე-მეთქი.

— გაიძვრე ჩექაეი, — ვუთხარი მე.

კატია არ ინძრეოდა.

პასუხისთვის არ დამიცდია, ცალი ფეხიდან ჩექმა წავაძვრე. ჩექმას შიგნიდან დაწნეხილი და გამლღვალი თოვლის სქელი ფენა მოსდებოდა. წინდა ყინულივით ცივ წყალს გაეღენთა. წინდაც გავაძრე, მაგრამ კატიას ეს ალბათ არც გაუგია. ხელჯაგით თოვლი მოვხვეტე და ფეხის დაზელვა დავუწყე. ისე ვუზელდი, მალე თვითონვე დამცხა.

— ვაი, არ მინდა! მტკივა... — თქვა ბოლოს კატიამ.

კატია მიბიძგებდა, თავი დამანებეო, მაგრამ ფეხი მშრალი ხელჯაგითაც დავუზილე, შემდეგ ჩემი ჩექმა და შალის წინდა გავიცვამდე და მას ჩავაცვი. კატია აღარ მეწინააღმდეგებოდა, არაფერს ამბობდა, ხმადაბლა სლუკუნებდა მხოლოდ. ვიდრე მეორე ფეხს კეზელდი და ვაცმევდი, ფეხსახვევები მომეხსნა და ფეხებზე შემკიცვდა. კატიას ჩექმებიდან სასწრაფოდ გადმოვყარე თოვლი და ჩავიცვი.

გენადი თავდაპირველად ადგილზე იბეკნებოდა, ხელებს იკარტყუნებდა, რომ გამთბარიყო, შემდეგ ჩვენ მოგვიჯდა.

— რას ჯახირობ მანდ? — მკითხა გენადიმ.

— ფეხზე ვიცვამ, — მივუგე ბურტყუნით.

— არ გიშველის, კოცონი რომ ყოფილიყო!..

— კოცონს საიდან გააჩენ! ყველაფერი თოვლმა დაფარა. ალბათ ფიჩხის ნასახს ვერ იპოვი... — თქვა ვასია შჩერბატიმ.

— მახლობლად გამხმარი ხეებია, ოღონდ ასანთმ არა გკაქვს.

— მე მაქვს. წავიდეთ! თორემ ეს ბიჭი მთლად გაფიჩხდა.

გენადი და ვასია ქარიშხლის მღვრიე შუქში ჩაიმალნენ. მეც უნდა გავყოლოდი, მაგრამ კატია უცებ ჩამეჭიდა, თითქოს შეეშინდა, რომ ყველანი წავიდოდით და ქარბუქიან ტაიგაში დავიკაოგებოდით, ის კი მარტო დარჩებოდა ნახევრად გაყინულ ვასია უმცროსთან ერთად. მე ვასია შევანჯღრიე. მან დუნედ მკითხა, რას მანჯღრევო, და ისევ გაყუჩდა. მე და კატიამ ვასია შუაში ჩავისვით, ყველანი ერთმანეთს მივეხუტეთ და მდუმარედ ველოდით გენადის და ვასიას დაბრუნებას.

— კოლია, იცი, შენი ჩექმები ბუხარივითაა, ფეხები მთლად დამიცივდა, ძხოლოდ მწიწკნის... — რატომღაც ჩურჩულით მითხრა კატიამ.

კბილების კაწკაწი შევიკავე და მივუგე:

— მალე ეს წიწკნაც გაგივლის.

თვითონ სულ უფრო მიცივდებოდა ფეხები. კატიას ჩექმებიდან თოვლის მთლიანად გადმოყრა ვერ შევძელი. ჩემი ფეხების სითბომ თოვლი გაადნო და ფეხსაცმელები ყინულოვან კომპრესად მექცა. ტერფებიდან სიცივე ზევით და ზევით მოიწევდა, მეჩვენებოდა, თითქოს გულიც მეყინებოდა. ახლა იმასღა ვცდილობდი, კანკალი შემეკავებინა, რომ კატია ჩემს გაჭირვებას არ მიმხვდარიყო და თავისი გაყინული ჩექმების ჩაცმა არ მოეწადინებინა.

კატია თავს წარამარა გასასვლელისკენ აბრუნებდა, ქარბუქის ღმუილს აყურადებდა. მეც მეუფლებოდა გულის შემძვრელი მოუსვენრობა. ვიფიქრე, ბიჭებს გზა აერიათ, გამოქვაბულს ვეღარ აგნებენ-მეთქი, და მინდოდა გარეთ გავსულიყავი, მათთვის დამეყვირა, რომ უცებ შემოსასვლელი ჩამობნელდა — გენადი და ვასია ხმაურით, ფიჩხის ტკაცატკუცით შემოცვივდნენ შიგ.

— ეჰეი, ხომ არ გაიყინეთ? — შემოგვძახა გენადიმ. — ჩვენ კინაღამ გზა აგვერია. ძალიან კი გავიტანჯეთ! ხან ნედლ ხეს ვეცემოდით, ხან გამხმარ ტოტებს ვერ ვტეხავდით. ჩქარა, ვასია!

— ახლავე, ხელებს გავითბობ, თორემ თითები გახევებული მაქვს...

გამოქვაბული ხმელი ფიჩხის ტკაცუნმა აავსო, შემდეგ ქაღალდის გახევის ხმა გავიგონე — ვასიას თუ გენადის რვეული იფხრიწებოდა, — ფანჯანივით დაწყობილი მოწითალო თითების მუქ რგალში სუატი სინათლე აკიაფდა.

არა მგონია. უფრო ძლიერი ყოფილიყო ელექტროშუქის დანახვაზე განცდილი მაშინდელი ელდა ამ ჩვენს მდუმარე აღფრთოვანებაზე. მდუმარე იმიტომ, რომ გვეშინოდა, თუნდაც ჩვენი სუნთქვით არ ჩაგვეჭრო ეს საცოდავად მოქანქარე ცეცხლის ალი.

ქაღალდს მოეკიდა, წყნარი ტკაცატკუცით აინთო ხმელი პაწია ტოტები და აი, ცეცხლი მოედო როკებს, მაღლა აიჭრა კვამლი და გამოქვაბული მოცეკვავე შუქმა გაანათა. კვამლი ზემოთ დაიბოლქვა. გასასვლელისკენ გაემართა, ქარმა ისევ შიგნით შემოაბრუნა

და ჩვენ ხველა-ტირილი აგვივარდა. არ ვიცი, წიწვის მწარე კვამლის თუ სიხარულის გამო.

კოცონიდან გამოტყორცნილი სითბოთი ვნეტარებდით. ხელები ცეცხლის თავზე გავიწოდეთ და ამას ისეთი საზეიმო ელფერი ედო, თითქოს მსხნელ ცეცხლს რაღაცას ვეფიცებოდით.

— ჯერ მაინც რა ბრიყვები ვართ!.. — უცებ ფიქრიანად და ნაღვლიანად თქვა გენადიმ.

მეტი არაფერი უთქვამს, არც არავინ შესიტყვებია, არც არავის უკითხავს, რატომ ვიყავით ბრიყვები. ალბათ ყოველი ჩვენგანი გულში ეხმიანებოდა გენადის ნაღვლიან სიტყვებს. გენადის ნათქვამი შეიძლება ეხებოდა იმას, რომ ესოდენ ქარაფშუტულად შევრჩით საციგურაოს და ქარბუქში მოვხვდით; შეიძლება იმას, რომ აქამდე გრძელდებოდა ვასიასა და ჩვენი უაზრო მტრობა; შეიძლება იმას, რომ ჯერ კიდევ კარგად ვერ ვაფასებდით ჩვენს მეგობრობას და ერთმანეთს...

კოცონი აბრიალდა და იძულებული გავხდით, უკან დავწეულიყავით. ვასია უმცროსი გონს მოეგო, ლოყები შეუვარდისფერდა, კეფაზე გადაიწია ციყვის ტყავის მოტკაცუნე ქუდი, როცა თავის მიჭყლეტილ ცხვირს მიაგნო.

— უჰ, რა კარგია! — სიამოვნებით მოჭუტა მან თვალები. შემდეგ თქვა: — შემეშინდა, რომ გავიყინო, უჩემოდ დეიდას რა ეშველება-მეთქი.

კატიას წინდები ცეცხლზე გავაშრე. მას უნდოდა, ჩემი წინდები გაეხადა, მაგრამ ვუთხარი, არ გაიხადო, თორემ ფეხები ისევ გაგეყინება-მეთქი. თოვა შეწყდა, ქარი ჩაცხრა. მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, კიდევ მცირე ხანით შეგვეცადა „ხსნის გამოქვაბულში". ასე მონათლა კატიამ ჩვენი გამოქვაბული.

ჩაიწვა ბოლო ტოტები და გამოქვაბულიდან გამოვედით. ქარი თითქმის მთლიანად ჩამდგარიყო, მხოლოდ ხანდახან ნამქერების თხემებიდან წამოფრინდებოდა თოვლის მსუსხავი გაყინული მტვერი. ახლა უკვე შეიძლებოდა გაგვერჩია, ფუმფულა თოვლში გახვეული კლდეები, ხეების შავი ზროები და თითქოსდა გოლიათის ფეხებიაო, ფარგალივით გადგმული საყრდენები. ღრუბლის საბურველი გაიხა და თანდათან მზარდ ღიობებში ცნობისმოყვარე ვარსკვლავებმა გამოიჭყიტეს.

ვცდილობდით ნამქერებისთვის შიმოგვევლო. მაგრამ იქაც კი, სადაც ნამქერები არ იყო, ფეხები მუხლებამდე გვეფლობოდა თოვლში და მე ჩექმებში ყოველთვის თოვლი მეყრებოდა. უცებ გავიყინე, კვლავ ამიტყდა კანკალი და რატომღაც თავის ტკივილი დამეწყო. რაც შემეძლო, გულს ვიმაგრებდი, არ ვამყღავნებდი, რომ ძალ-ღონე გამომელია: კატიას დახმარება არ შეეძლო, ხოლო ვასია და გენადი რიგრიგობით მიდიოდნენ წინ — ერთი ბილიკს მიიკვალავდა, მეორეს ვასია უმცროსი მიჰყავდა.

კილომეტრამდე გვექნებოდა გავლილი, რომ წინ სინათლე გაკრთა და ძაღლის ყეფა მოისმა. ძაღლი ნამქერში იძირებოდა, თან ყურთასმენის წამღებად ყეფდა. რამდენიმე წუთში ჩვენთან მოიჭრა კრენდელივით კუდაპრეხილი ფუმფულა ბურთი—ძია ზახარის მყეფარა ძაღლი. ერთ სინათლეს მეორე მოემატა. სინათლეები სწრაფად ახლოვდებოდნენ, უკვე გამოჩნდა მარხილში შებმული ცხენი და ორი მხედარი, რომელთაც ფარნები „ღამურები" ეჭირათ. ცხენებით მამაჩემი და ძია ივანე მოდიოდნენ, მარხილით — ძია ზახარი. მოწაფეები ტიკაში ქარბუქის ამოვარდნამდე დაბრუნებულიყვნენ. მხოლოდ ჩვენ არ ვიყავით და, თუმცა ყველას ეფიქრა, რომ ქარბუქის დადგომას კოლტუბში დაველოდებოდით, მაინც წამოსულიყვნენ საძებნელად, შეშინებოდათ. გზაზე თოვლს არ ჩავეჩუმქრეთ.

ჩავწექით მარხილში, მე სულ უფრო მაციებდა, წამდაუწუმ ცნობას ვკარგავდი. დროდადრო მარხილის კავების ქვეშ თოვლის ხრაშუნი მაფხიზლებდა, თვალს შევავლებდი მარხილის აქეთ-იქით მომავალ მამაჩემს და თავჯდომარეს, მონამქერებულ ულრან ტყეს და ისევ სიცარიელეში ვეშვებოდი. უცებ მარხილი შეინჯღრა, თვალებში თოვლის მიერ არეკლილი შუქი მეცა — ჩვენ სოფელს ვუახლოვდებოდით. ამ დროს ვასია შემობრუნდა და ხმადაბლა თქვა:

— გენადი, მოდი ნუღარ ვიჩხუბებთ, ჰა?

მარხილი ისევ შეინჯღრა და გენადიმ რა უპასუხა, არ გამიგონია...

უკანასკნელი რამ, რაც დამამახსოვრდა, ეს იყო დედას გაფითრებული სახე და სონიას შიშჩამდგარი თვალები.

...სონიას თვალებს მაშინაც ვაწყდები, როცა გონს მოვდივარ. სონია საწოლთან დგას, ცნობისმოყვარეობით და ყურდღებით მაცქერდება. შემდეგ სიხარულით წივის და მთელ ქოხში გაჰყვირის:

— ხედავ! დედა ხედავს!..

— რა გაყვირებს, სულელო? — ვეკითხები მე.

სონიას არ ესმის ჩემი ხმა, თვითონაც არ მესმის, ისეთი სუსტი და წყნარი ხმა მაქვს.

სამზარეულოდან სახეგანათებული დედა გამორბის, შემდეგ მამა მოდის.

— გამოფხიზლდა ჩემი გბილი? — კითხულობს მამა.

მათ სახეზე ბედნიერება და რატომღაც თანაგრძნობა ანათია. დედა ჩამომჭკნარა. ფერი დაკარგვია. მამას პირის ირგვლივ ნაოჭები დაყრია. მაშასადამე, დიდხანს და მძიმედ მიავადმყოფია. რაკი შიშ-მღელვარებას ასე ღრმა ნაკვალევი დაუტოვებია დედ-მამისთვის... უცებ მაგონდება ქარბუქი და „ხსნის გამოქვაბული"

— კი, მაგრამ სადაა... — ვიწყებ და ვჩუმდები.

დედას კი არ ესმის, უფრო ხვდება ჩემს ნათქვამს და ღიმილით მეუბნება:

— აქაა, აქ... ალბათ მალე მოირბენს.

შემოსასვლელში კარზე აკაკუნებენ! და ოთახში კატია შემოდის.

— ვაი! — მკერდზე ხელისგულებს იკრავს და თვალებს აჭყეტს. — გონზე მოხვედი?

კატია ღიმება, მეც ვიღიმები და არ ვიცი, რა უფრო მახარებს— ჩემი თუ კატიას სიხარული.

— აბა, როგორ ხარ? — მეკითხება კატია. — მე... ჩვენ ისე გვეშინოდა!..

არ მეუბნება, რისი ეშინოდათ, მაგრამ თვალები საეჭვოდ უბრწყინდება.

— წავალ, ბიჭებთან გავიქცევი, ვეტყვი!.. — ამბობს, ცალ ფეხზე ტრიალდება და კარისკენ მიქრის.

მალე ბიჭებიც მორბიან. გახარებულნი, აქოშინებულნი, ქუჩდებიან საწოლთან, ჯერ ვერაფერს ამბობენ, ერთმანეთს მხოლოდ სულელურ რაღაცებს ვეკითხებით. ბოლოს გენადი იწყებს ამბის მოყოლას და დედა გარეთ აძევებს მათ, რადგან ჩემი დაღლა არ შეიძ-

ლება. პაშა სულ აპირებდა რაღაცის თქმას, იფხორებოდა, ქშინავდა და მხოლოდ ხღურბლზე ივაჟკაცა:

— შენ... ისა... გამოკეთდი... მე შენ რადიოს გაძოგიყვახ, აი, ნახავ!

შესაღამოვებულზე კატია და დედამისი მნახულობენ. კატია მოშორებით ჯდება, მარია დეიდა — ჩემს საწოლთან და მეკითხება, თავს როგორ გრძნობ, ხომ არაფერი გინდაო. ცოტა ხანს იჯდა, წასვლისას მითხრა:

— კარგად იყავი, კოლია! შენ ყოჩაღი ბიჭი ხარ! შენ ნამდვილი კაცი დადგები...

დეიდა მარია სამზარეულოში გადის, კატია კი ჩემთან მოდის და რაღაცას მეუბნება თუ მიმტკიცებს:

— შენც ჩახტებოდი წყალში, როგორც ის სანდრო ჩახტა... ხომ მართალია?

მე ცეცხლი მეკიდება, მაგრამ ხმას არ ვიღებ. კატია ჩემს პასუხს არ ელოდება და გარბის.

შემდეგ სამზარეულოდან დედაჩემის და მარია დეიდას ხმა, სიცილი და კატიას აღშფოთებული ნათქვამი მესმის:

— დედა, როგორ არ გრცხვენია!..

მეორე დღეს კოლტუბელმა ფერშალმა მაქსიმმა, ტარაკანასავით რომ აცმაცუნებდა თამბაქოს კვამლით გაყვითლებულ ულვაშს, მომისმინა, ხმამაღლა დაიჯიღჯიღა და დედას, რომელიც შეშფოთებით ადევნებდა მას თვალს, უთხრა:

— კრიზისმა გაიარა, ყველაფერი რიგზეა. ახლა ეს ას წელს იცოცხლებს... მაგრამ ჯერ უნდა იწვეს! მე ისევ მოვალ, გავსინჯავ...

ნელ-ნელა ვიკურნები.

პაშამ დაპირება შეასრულა. ისე შეუჩნდა ანტონს, მან ბოლოს გაფუქებული ძრავის მავთული და ყურსაცვამები გაძოუძებნა. პაშამ სამკითხველოდან ჩვენს ქოხამდე ნარგავებს შორის მავთული გაჭიმა და ახლა, როცა სამკითხველოში მიმღებს ჩართავენ, მეც ვუსმენ, უფრო სწორად მე და სონია. სონია საწოლზე ამოდის, ჩემ გვერდით იკალათებს, ცალი ყურსაცვამით მე ვუსმენ რადიოს, მეორით — ის. სონია მასწავლის სიარულს. როცა სულ პატარა იყო, მე სალოკ თითს ვუწვდიდი, იგი თითს მთელი ძალით ჩაეჭიდებოდა

და მისთვის მეტად ძნელ ქოხის სივრცეს სძლევდა. ახლა კი, ადგომას რომ ვიწყებ, თითს მთხოვს, მეჭიდება და თვითონ მონდომებით დამატარებს ოთახში, სახე ისე დაძაბვია და გამკაცრებია, თითქოს საოცარ, ერთობ მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. უფლებას არ მაძლევს, მარტო ვიარო, დარწმუნებულია, რომ უმისოდ უსათუოდ წავიქცევი.

როცა მოვმაგრდი და სიარული დავიწყე, გენადიმ მითხრა:

— გეყოფა უსაქმურობა, დროა მეცადინეობას შეუდგე, თორემ ჩამორჩები...

მეგობრები რიგრიგობით მოდიან, მეუბნებიან, რა ისწავლეს, და მე გაკვეთილებს ვამზადებ, თითქოს ისევ სკოლაში დავდიოდე. ერთხელ გენადიმ გაკვეთილი შუაზე გაწყვიტა და ჩაფიქრდა:

— რა მოგივიდა? — ვკითხე მე.

— იცი, მაშინ რომ მივხვედრილიყავით და ასე დავხმარებოდით ვასიას, შეიძლება იმავე კლასში არ ჩარჩენილიყო...

გენადი მართალია, მე ნაგვიანევი სირცხვილი მეუფლება. რა თქმა უნდა, განა ამხანაგები ასე იქცევიან? ვასია მივატოვეთ, თვითონ კი წინ გავიქეცით...

— ახლა როგორ ხართ ერთმანეთთან?

— კარგად. სამუდამოდ შევრიგდით.

კატია უფრო ხშირად პირდაპირ სკოლიდან მოდის და იმწამსვე ვამზადებთ გაკვეთილებს, შემდეგ ათასგვარ რამეზე ვსაუბრობთ. ქარბუქს, „ხსნის გამოქვაბულს“ არ ვიხსენებთ, თითქოს პირი შევკარით. მხოლოდ ხანდახან ვამჩნევ, რომ დაფიქრებით მიცქერის, რაღაცის კითხვა უნდა, მაგრამ ჩემს თვალებს რომ წააწყდება, თავს აბრუნებს ან რაღაც სისულელეს ამბობს.

ᲒᲖᲔᲑᲘ

უცებ მოვარდა გაზაფხული, აბობოქრდა გადარეული ტიკა, თოვლის ქურქი გადაიძრო ტაიგამ და პირველ ჭექა-ქუხილსა და მზის სხივებით დაისრულ წვიმას ჩვენს ცხოვრებაში ახალი ცვლილებები მოჰყვა.

ალია და სანია ღია ფანჯარაში გადახტნენ და გაიქცნენ. მალე

კუზმაც გაქრა. ახლაც ვერ მოითმინა და კატიას საკარცხელი აწაპნა. ჩვენ სიცილით კამბოადით, სამაბსოვროდ მოიპარაო. კატიას მაინც და მაინც არ სწყენია.

— თვითონ გავუშვებდი ყველას. აბა, აქ, ქოხში რა გააძლებინებდათ! — ამბობდა იგი.

კატიაც გაპოიცვალა. თვალები თითქოს უფრო გაუფართოვდა, კიკინები ნაწნავებად ექცა და აქეთ-იქით არ ჰქონდა გაფშეკილი, მსხვილი ჩალიჩებივით ასხდა კაბაზე. თვითონ წინანდებურად სხარტი და მოძრავი იყო. ოღონდ უფრო მკაცრი და თავშეკავებული გახდა.

კატიას მხოლოდ ნაპოვარა შერჩა. ნაპოვარა უკვე დიდი მარალი იყო. კატიას მისი გაშვებაც უნდოდა ტაიგაში. ძია ზახარს რჩეკა ჰკითხა კიდეც. როდის ჯობს გავუშვაო, მაგრამ ძიამ უთხრა. ნუ აჩქარდები, რაღაც ჩავიფიქრეო.

ერთხელ, როცა ზახარი მიწაყრილზე იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა. ნაპოვარას უყურებდა და ოხრავდა, ძია ივანე მივიდა მასთან.

— რას ოხრავ? — ჰკითხა ძია ზახარს.

– სული მიკვნესის... ეტყობა, ნადირობას სავსებით უნდა გამოვეთხოვო...

— ჰო, მგლის მუხლი აღარ შეგრჩა.

— რაღა დროსია. ახლა სხვა ფიქრი მიდევს გულში. შენთან ვაპირებდი მოსვლას. ვითომ ნადირთფერმა რად არ უნდა გავიჩინოთ?

— თვითონ ნადირთან წასვლა არ შეგიძლია და აქეთ გინდა მოიყვანო? — გაეცინა ძია ივანეს.

— ეგ თავისთავად იგულისხმება... მაგრამ საქმეც სარფიანია. მარალი ჭირვეული ცხოველი არაა. დიდი მოვლა არ სჭირდება. სამაგიეროდ ფულს დაახვევს. კოლტუბელებიც ფიქრობენ სამარალეს შემოღობვას.

— გაჰიგონია.

— ოღონდ მოხერხებული ადგილი არა აქვთ. რაცა აქვთ, ის მთლიანად უნდა შემოიღობოს, მთლიან შემოღობვას კი უამრავი მუშახელი სჭირდება. ჰოდა, ფიქრობენ... სამაგიეროდ ჩვენ ის მისადევრები გვაქვს, სადაც ზაფხულში ბალღები დადიოდნენ. ნამყოფი ვარ, ვიცნობ იქაურობას... ერთ მხარესღა უნდა შემოღობვა.

ამ საქმეს მარტო ვერ მოვერევით, რადგან ძელებით დაგვჭირდება შემოღობვა. კოლტუბელებთან საზიარო სამარალეს გაკეთება კი უპრიანია: ეს იმათაც არგებთ და ჩვენც...

ამჯერად საუბარს შედეგი არ გამოუღია, ძაგრამ ძია ზახარს ფარ-ხმალი არ დაუყრია. ელაპარაკა ძია ფედიას, მამაჩემს, პაშას მამას და ისე შეუჩნდა ძია ივანეს, მან ბოლოს და ბოლოს უკან დაიხია. შემდეგ ჩავიდნენ კოლტუბში, მოელაპარაკნენ „განთიადს" და გადაწყვიტეს, ერთობლივი საკოლმეურნეობათაშორისო სამარალე გაეკეთებინათ. შემოღობვა უფრო თავისუფალი დროისთვის, თესვასა და მოსავლის აღების შუა დროისთვის გადადეს.

ჩვენ ამ საქმეში მონაწილეობის მიღება არ შეგვეძლო, ვინაიდან გამოცდები გვეწყებოდა. საგამოცდოდ მზადებას მთელი დრო მიჰქონდა და ქობ-სამკითხველოშიც კი იშვიათად დავდიოდით. იქ კატიას მაგივრად ლუბა იძლეოდა გაზეთებსა და წიგნებს. ლუბა ძალიან მკაცრად იცავდა წესრიგს და, ვინც კი თუთუნის გასახვევად გაზეთს თუნდაც პატარა ნაწილს მოხევდა, ისეთ დღეში აგდებდა, გაზეთების დახევას უკვე ვეღარავინ ბედავდა. რადიომიმღებთან ახლა ფიმა მბრძანებლობდა. მან მანქვა-გრეხაზე ხელი აიღო, რადგან მიმღები სერიოზული რამ გახლდათ და მასთან მაიმუნობა აღარ შეიძლებოდა.

პაშა ადრევე წავიდა სახელოსნო სასწავლებელში. ზაფხულში შვებულებით ჩამოვიდა და თუმცა ცხელოდა, სულ კარტუზი ეხურა და ღილებშებნეული მაზარა ეცვა, რათა ყველას ენახა მისი ფორმა. გამოცდების დამთავრებისთანავე გენადი ნოვოსიბირსკში გავაცილეთ, სადაც ბიძამისი ქარხანაში მუშაობდა. გენადი ბიძასთან იცხოვრებდა და გეოლოგიურ-საკვლევო ტექნიკუმში ისწავლიდა. მე და ვასია შჩერბატის გვეპატიჟებოდა, თქვენც წამოდითო, მაგრამ ვასიას კიდევ ერთი წელი უნდა ესწავლა, მე კი სხვა სპეციალობა ავირჩიე.

მარტო კატიამ არ იცოდა კარგა ხანს, რა ექნა, მაგრამ ეოთხელ საღამო ხანს მარია დეიდას ძია ივანემ და ძია ფედიამ მოაკითხეს. (ჩვენ ფანჯრებქვეშ მიწაყრილზე ვისხედით და ყველაფერი გავიგონეთ.) ჯერ ათასგვარ რაღაცაზე ილაპარაკეს, შემდეგ ძია ივანემ მარია დეიდას ჰკითხა:

— ოაო, რას ფიქრობ შენს კატიაზე?

— აბა, რა ვიცი... უნდა ისწავლოს, მაგრამ, არ ვიცი სად, გაშ-ვებისაც ძნშინია...

— რის გეშინია? გოგონამ უნდა ისწავლოს... ჩვენ ჩვენთვის ეს საკითხი ავწონ-დავწონეთ: ცხოველები ყველაზე უფრო უყვარს და სწორედ რომ თანაშემწედ გამოადგება ანისიმს. ოღონდ, რა თქმა უნდა, საჭიროა ჯეროვნად გაიწვრთნას. ანისიმმა საქმე იცის, მაგრამ უფრო პრაქტიკოსია, მეცნიერების გარეშე კი ძნელია მესაქონლეობა. დღევანდელი მასშტაბების მიხედვით მეცნიერების გარეშე ცხოვრება არ შეიძლება. ჰოდა, დროა საკუთარი კადრი გვყავდეს, ვთქვათ, ზოოტექნიკოსი და სხვა მისთანანი... ჰოდა, რაკი კატიას ცხოველები უყვარს, გორნო-ალტაისკში, ზოოტექნიკუმში გავგზავნით... ჰა რას იტყვი? ეს შენთვისაც უპრიანია. გოგონა შენვე დაგიბრუნდება და კოლმეურნეობასაც მეცნიერული კადრი ეყოლება...

დეიდა მარიამ მადლობის გადახდა დაიწყო, ხოლო კატიას ცრემლი წამოცვივდა.

— რა გატირებს? — ვკითხე მე. — კი არ უნდა ტიროდე, უნდა გიხაროდეს.

— შენ მთლად სულელი ხარ, კოლია და არაფერი გაგეგება,— მიპასუხა მან. — ეს სიხარულის ცრემლია.

ასე გადაწყდა კატიას ბედი.

მე კი გორნო-ალტაისკის პედსასწავლებელში მივდივარ, რადგან კარგა ხანია მასწავლებლობა და შემდეგ უკან დაბრუნება ჩავიდე გულში. მე და კატია შევთანხმდით, რომ თუმცა სხვადასხვა ტექნიკუმში ვიქნებოდით, ერთად ვისწავლიდით და შინაც ერთად ჩამოვიდოდით.

ჩვენ გაუთავებლად ვაწყობთ ათასგვარ გეგმას, ათასნაირად ვფიქრობთ, როგორ ვისწავლით, შემდეგ კი როგორ ვიმუშავებთ. ეს გეგმები სულ უფრო ნათელი, მიმზიდველი ხდება, ასე რომ სული გვიგუბდება და ვჩერდებით. ვყოყმანობთ: ვითომ ასე წარიმართება ყველაფერი? ხოლო შემდეგ ვასკვნით: აგრე წარიმართება, რასაკვირველია, აგრე წარიმართება.

ოღონდ... რა კარგი იქნებოდა, განშორება და გამოთხოვება რომ არ იყოს! და რატომაა, რომ სიხარულს ყოველთვის მწუხარება

ახლავს და უბედურება სწორედ მაშინ დაგატყდება თავს. როცა იგი ყველაზე სამძიმოა?

აი. განვშორდით გენადის, ალბათ სამუდამოდაც: ზაფხულში პრაქტიკაზე ივლის, შემდეგ გეოლოგი გახდება და დაიწყებს ხეტიალს, ხოლო თუ სწავლა განაგრძო, შეიძლება სულაც არ შემოიხედოს ტიჟაში. გენადი კმაყოფილია — აუსრულდება მოგზაურობის ოცნება, მაგრამ განშორება მასაც დაანაღვლიანებს. მასაც და ჩვენც ახალი მეგობრები გაგვიჩნდება, ოღონდ ამგვარი მეგობრობა აღარ განმეორდება: ჩვენ მაინც ერთად გავიზარდეთ და ყოველთვის ყოველ დღეს ყველაფერი იყო მისი და ჩვენი, იყო განუყოფელი და დაუვიწყარი. შემდეგ რამდენჯერ გაგვახსენდება გენადი, ტყუილების გუდა და ფანტაზიორი, ოდესღაც ცრუპენტელას რომ ვეძახდით მისი დაუშრეტელი ფანტაზიის გამო, უშიშარი და მომთხოვნი ამხანაგი, ჩვენი წინამძღოლი.

გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მე და კატიას გულმა უცებ სკოლისკენ გაგვიწია: საქმე კი არ გვქონდა, ისე გვინდოდა, ერთხელ კიდევ მივსულიყავით, დაგვეხედა იქაურობისთვის, მეტი არაფერი. დეიდა პელაგიამ ცოტა იბუზღუნა, მაგრამ მაინც შეგვიშვა სკოლაში.

უცნაური, უჩვეულოა ჩვენთვის, რომ ცარიელ მერხებს ვხედავთ, გვესმის ჩვენი ნაბიჯების მოზრიალე გამოძახილი, დახშული ხმები.

გათავდა ყველაფერი, მშვიდობით, სკოლავ! ამიერიდან ალბათ აღარ დავბრუნდებით და აღარასოდეს მივუსხდებით ჩვენს მერხებს, შიშისგან აკანკალებულნი არ დაველოდებით, რომ საცაა გამოგვიძახებენ და დაუსწავლელ გაკვეთილს გვკითხავენ. მასწავლებელს აღარ მოვუსმენთ მთელი ყურადღებით, როცა ვერ ამჩნევ დერეფანში აწკრიალებულ ზარს, ანდა ხმაურს... ახლა სხვები მიუსხდებიან ჩვენს მერხებს. კლასს ათასხმოვანი ჟრიამული აავსებს, გენადის მერხზე ამოჭრილი ცხვირაწეული თვითმფრინავი ვიღაცის წინ იფრენს დაუსრულებლად.

მერხებზე, კლასებში მხოლოდ კვალი დარჩება ჩვენი ბავშვური ოინებისა, ისიც მცირე ხნით: ჩატარდება რემონტი და ყველაფერი გაქრება. მხოლოდ კანცელარიაში შეინახება სიები, ცხრილები და ნიშნები, რომლებიც ხან გულს გვტკენდა, ხან გვახარებდა,

სოლში კი მთელი სიცოცხლე შემოგვრჩება სკოლა. განა შეიძლება დავივიწყო შენი მერხი, პირველი წაკითხული წიგნი. საბუაროს შეცნობის პირველი სიხარული და ის ადამიანები, რომლებიც ბეჯითად და მოთმინებით წაგვიძღვნენ ჩვენ — ანც, მოუსვენარ ბალღებს — ცოდნის მძიმე და სიხარულით აღსავსე კიბეზე! ახლა ეს ხმაურიანი შეკრებები, ხალისიანი ალიაქოთი შესვენებებზე, საოცრად მშვენიერი, არაფრის დამნდობი და თავდადებული ბალღური მეგობრობა!... სპექტაკლი!.. ჩვენ ვნახავთ დიდ ქალაქებს... შეიძლება მოსკოვშიც მოვხვდეთ, წავალთ სახელგანთქმულ თეატრებში, მაგრამ სად რომელ თეატრში განვიცდით ისეთ მღელვარებას, როგორც აქ, მშობლიურ სკოლაში განვიცადეთ, როცა ჩვენ თვითონ ვიყავით მსახიობები?

ჩვენ გულის ამაჩუყებელი და სასაცილო, გულსატკენი და სიხარულით აღსავსე მოგონებანი შემოგვესივნენ და დიდხანს ვუსხედით მერხებს, თითქოსდა ვცდილობდით, ხელახლა განგვეცადა უკვე განცდილი.

მერხები ახლა ადრინდელზე უფრო პატარები გვეჩვენა. რა ოქმა უნდა, მერხები იგივე იყო, მხოლოდ თვითონ გავიზარდეთ, შევიცვალეთ. და არა მარტო ჩვენ. აგერ ფანჯრიდან შორს თეთრად ჩანს ჰიდროსადგურის შენობა. იქიდან ძალუმად მოაბიჯებენ ელექტროხაზის საყრდენები, თანაც არა მარტო ჩვენკენ ტიჟაში, არამედ ფუტალშიც. მეორე ტურბინის ამუშავებით დენი მიიღო უსტალმაც და კოკ-სუმაც. აღარც ანტონია ელექტროსადგურში. იქ ახლა უფროსი ანტონის თანაშემწეა. მას კი კოსტია კორუოვი ეხმარება, რომელიც ელექტროტექნიკოსობას აპირებს. თვით ანტონი ახალი საქმითაა გატაცებული — დღე და ღამე ხე-ტყის სახერხშია, რომელსაც მდინარე ტიჟაზე სოფლიდან ორი კილომეტრის დაშორებით აშენებენ.

— აბა, მე რა მოხელე ვარ?.. იქ ყველაფერი წესრიგზეა, ყველაფერი ადგილზეა... — მოგვესმა დეიდა პელაგიას ხმა. — თქვენ უნდა იწვეთ, კი არ უნდა იხეტიალოთ...

— აბა-აბა, შენ რომ გკითხონ, ლოგინიდან არ ამაყენებდი, — მიუგო საველი მასწავლებელმა. — უწესრიგობა კი სწორედ ესაა! კლასი რატომაა ღია?

— ბავშვები არიან იქ... მთხოვეს...

— რომელი ბავშვები? — საველი მასწავლებელმა კლასში შემოიხედა. — ა-ა... ესენი ხომ ბავშვები აღარ არიან! გამარჯობათ, ჭაბუკებო!

ჩვენ წამოვდექით.

— რაო, სკოლას ემშვიდობებით? — იგი ფრთხილად დაჯდა ჩვენს გვერდით მერხზე. — აი, მეც... განკურნება მომინდომეს, კურორტზე მგზავნიან. კურორტი რას მიშველის? მუშაობა ყოველგვარ კურორტზე უკეთესია. როგორც კი ჩემს საქმეს მოვწყდები, სულ დავძაბუნდები...

საველი მასწავლებელი კიდევ უფრო გაჭაღარავდა და თითქოს სიმაღლეში მოიკლო. მხოლოდ მისი მოჭუტული თვალები იმზირებოდნენ წინანდებურად ყურადღებით და ცოცხლად.

საველი მასწავლებელმა გამოგვკითხა სასწავლებლად როდის მიდიხართ. საბუთები თუ გაგზავნეთო. ამ დროს გუნებაწამხდარი მარია მასწავლებელი შემოვარდა:

— ბატონო საველ! განა ასე შეიძლება? ექიმი ერთს გეუბნებათ, თქვენ მეორეს აკეთებთ... ბოლოს და ბოლოს უფლება არ გაქვთ, თავს არ მოუფრთხილდეთ!..

— კარგი, კარგი. მარია!.. რაო, ახლა გარეთ გასვლაც არ შემიძლია? ისედაც შინაპატიმრობაში გყავართ. აი, ბავშვებთან წავისაუბრებ და წავალ... უკეთესია შეხედოთ, როგორ დაიზარდნენ, თითქოს სასუქი მოეყრიათო!

ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ საველი მასწავლებელი შინ მივაცილეთ. გზაზე კატია და მარია მასწავლებელი აქეთ-იქიდან ფრთხილად ამოუდგნენ. ის კი ხან ბრაზობდა, ხან იცინოდა, პატარა ბავშვივით მიგყავართო. ქოხში შესვლა არ ისურვა და პარმაღზე დარჩა.

წამოსულები რამდენჯერმე შემოვტრიალდით. საველი მასწავლებელი სულ იჯდა და ჩვენ გვიყურებდა. როცა შეამჩნია, რომ შევბრუნდით, ნელა დაგვიქნია ხელი.

შინაც ყველაფერი სხკანაირადაა. დედა არაფერს ამბობს, მაგრამ ვამჩნევ, რომ სულ ერთსა და იმავეზე — ჩემს გამგზავრებაზე— ფიქრობს. დიდი ხნით არასდროს დავშორებულვართ და ათასგვარი საშინელება ელანდება, რომლებიც კი შეიძლება შემემთხვეს. მამა ჩუმ-ჩუმად იცინის დედის შიშ-კანკალზე, მაგრამ თვითონაც დრო-

დადრო დაფიქრებით მიცქერის. თითქოს კითხულობს: ვითომ ყველაფერი რიგზე იქნება?

ჩემო კარგებო და ძვირფასებო! ნუ ‘ძფოთავთ და ნუ სწუხხართ. ყველაფერი კარგად იქნება. აი, ნახავთ! მე ხომ წერილებს მოგწერთ. ჩამოვალ, ხოლო როცა სწავლას დავამთავრებ, ისევ აქ დავბრუნდები და აღარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს. მხოლოდ მცირე ხნით შეიძლება დაგშორდეთ, სადმე წასვლა თუ დამჭირდა...

ვიგონებ ყველაფერს, ვიგონებ ბოლო წელს, რომელმაც ამდენი ახალი რამ შემძინა. მაინც რა მოხდა უჩვეულო ხომ არაფერი იყო...

დიახ, ყველაფერი ჩვეულებრივი და ამასთანავე უჩვეულო იყო! ამ წელს იმდენი რამ ვნახე, გავიგონე და გავიგე, თითქოს თვალყური ხელახლა გამომესხა, თითქოს რაღაც ისეთი გამიჩნდა, რასაც სახელი არ მოეძევებოდა, მაგრამ ურომლისოდ სიცოცხლე არ შეიძლებოდა. ნაცნობი, ჩვეულებრივი სამყარო ხელახლა გადაიშალა ჩემ წინ და რა ბევრი რამ გავიგე, რა კარგი ადამიანები იყვნენ ირგვლივ!

მაგრამ ეს ხომ მხოლოდ დასაწყისია. რამდენ რამეს ვნახავ, გავიგებ, რანაირ ადამიანებს შევხვდები კიდევ, დავუმეგობრდები, შევიყვარებ!.. მერედა მ ინც რა მშვენიერია ეს ცხოვრება!..

გამგზავრების წინ მე და კატიამ ცოტა გავისეირნეთ ერთი წლის წინათ ჩვენს მიერ დარგულ არყების კორომში. კატიამ ოცნებით თქვა:

— იცი, კოლია... იცი, როცა მოვხუცდებით... ესე იგი, მე არ ვფიქრობ, რომ მოვხუცდებით. ასე მგონია, სულ ახალგაზრდები ვიქნებით... მაგრამ ხომ მოვხუცდებით, არა? ყველა ხუცდება... მაგრამ ჩვენ ძალიან დიდი ხნის შემდეგ მოვხუცდებით... მაშინ აქ სოფელი კი არა, დიდი ქალაქი იქნება, ხოლო კორომი დარჩება, ოღონდ ხეები უფრო დამსხვილდებიან და გამაღლდებიან. ჰოდა, აქ სასეირნოდ მოვალთ და მოვიგონებთ, როგორნი ვიყავით პატარაობისას და რა კარგი იყო ყოველივე...

მე ვუთხარი, რასაკვირველია, მოვალთ და სასიამოვნო იქნება ყველაფრის გახსენება-მეთქი... კატია გაწითლდა და არაფერი მიპასუხა. შემდეგ კიდევ ერთხელ წავიკითხეთ ძია მიშას წერილი,

რომელიც წინა დღეს მქონდა მიღებული. ძია მიშა იმიერპოლარეთში მიდიოდა და გაძომშვიდობებისას მწერდა:

„ძალიან გამახარეთ წარმატებებით. გენადიმ აუცილებლად მომწეროს თავისი სწავლის ამბავი. რაც უნდა იყოს, მისი პირველი მასწავლებელი მე ვიყავი და მინდა ვიცოდე, როგორი გეოლოგი დადგება. იქნებ დავეხმარო, თუკი რამე გაუჭირდება. შენ წიგნები და სიმღერები გიყვარს. კარგია. ოღონდ გაჩსოვდეს, ისინი არსებობენ არა თავისთვის, არამედ ადამიანისთვის. და, თუ მათ უკან ადამიანი არა დგას, მაშინ სუყველა დაჩხაპნილი ქაღალდი იქნება და მეტი არაფერი. ისწავლე, გიყვარდეს ადამიანები და, ვინ იცის, იქნებ სიტყვიერების მადნიდან ფერადი თვლების მოპოვება ისწავლო.

სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს ლაშქრობას და თქვენს ძვირფას სიფათებს (როგორც კი შეძლებთ, ფოტოსურათები გამომიგზავნეთ).

ვიცი, მაშინ გულგატეხილნი იყავით, რომ ზურმუხტები ვერ ვიპოვეთ. მაგრამ განა მთავარი ძვირფასი თვლის პოვნაა? თქვენ შემდეგ ყველაზე ძვირფას რამეს მიაგენით, მიაგენით საყვარელ საქმეს, რომლითაც ხალხს მოემსახურებით. მაშასადამე, ცხოვრებაში იპოვეთ ნამდვილი ადგილი. ეს კი მთავარია.

ყოველთვის და ყველაფერში, დიდსა თუ პატარა საქმეში წინწავალნი იყავით! გისურვებთ ბედნიერებას და წარმატებებს...“

ქარი არყის ხის ფოთლებს არხევდა და წერილზე მთრთოლვარე, მომწვანო ჩრდილები გადარბოდნენ.

წამოვდექით. მხიარულად მოშრიალე კოროძი გაიწ-გამოიწია და წინ მზით გასხივცისკარებული სივრცე და მოციმფრო ფოშფოშში გახვეული შორეთი გადაგვიშალა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ლ. ვორონკოვა — ალტაური მოთხრობა 7

ნ. დუბოვი — ცხრა მთას იქით 207

Воронкова Любовь Федоровна, Дубов Николай Иванович

АЛТАЙСКАЯ ПОВЕСТЬ. НА КРАЮ ЗЕМЛИ

(На грузинском языке)
Детгиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1987

ს. ბ. № 1999

რედაქტორი ლ. ერისთავი, მხატვარი ჯ. უავლაშვილი, მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე. ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე, კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე, კორექტორი მ. შველიძე, გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 17.08.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.09.87. ანაწყობის ზომა 60×84 1/16. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 25,11. საბეჭდი ქაღალდი № 1. საღებავგატარება 25,23. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 21,09. ტირაჟი 20 000. შეკვ. № 457.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზ. № 28
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира № 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.